

1932/2

მნათობი



3-4

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამ. კომ. პარტ. (ბ.) ცენტრ. კომ. და აღმოსავლეთი კავშირების განყოფილება.

ლიტერატურა

ი. ვ. გომბოვი, ბ. ტაბიძე, კ. კა-
ლაძე, ს. ჩიქოვანი, ი. აბაშიძე,
გ. ცაგარელაძე, კ. ბოგოროვი.

პ რ ი მ ე რ

პ. ჩიქოვანი, კ. ლომთაძე, ა. ლომთაძე,
დ. სულთნიანი, მ. ჯავახიშვი-
ლი, დ. შიშინაძე, ა. ბაქრა-
შვილი, ს. კლდიაშვილი, ბ. ბი-
ბინაშვილი.

ლიტერატურის და სხვა ნაშრომები

ა. არსენიშვილი, ა. ბაქრაშვილი,
ბ. შიშინაძე, გ. ნატარაძე,
დ. ბინაშვილი.

სალიტერატურო აკადემიის

მდივანი ბაქრაშვილი.

ცენტრალური და მხარეთმცოდნეო

კომისიის ი. ბინაშვილი

ბიბლიოთეკის

ა. არსენიშვილი, დ. ბინაშვილი,
გ. ნატარაძე.

ლიტერატურის კომისია

საქართველოს
საზოგადოებრივი ურთიერთობების
სამინისტროს
სამხარეთთა და
საზოგადოებრივი ურთიერთობების
მ. უ. რ. ე. მ. ი.

K

№ 3-4

თავისებური
20190902

ქ რ თ ი წ ა ე ი
მ რ ც ხ ბ რ


65479
12759
9129



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ს ა ს უ ლ მ შ ი დ მ
გ ა მ თ მ ც ი მ ლ თ მ ა
მ. უ. რ. ე. მ. ი.

გნათობი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ს ა ს უ ლ მ შ ი დ მ
გ ა მ თ მ ც ი მ ლ თ მ ა
მ. უ. რ. ე. მ. ი.



პ/შგ. რედაქტორი: გიორგი ყურულაშვილი
 რედაქციის წევრები: ს. აული
 შ. კადიანი
 დ. სულიაშვილი
 გალ. ტაბიძე
 ტიც. ტაბიძე
 კატრა შარიბ
 სიმ. ჩიქოვანი
 რედაქციის მდივანი: ლევ. ასათიანი

პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა შტა. № 1084. ტირ. 3000. შთავლიტ. № 859.
--

რედაქციის მისამართი: ტფილისი, შარბლის ქ. № 13
 კანტორის მისამართი: ვან. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე. ტელ. № 1-65
 ტფილისი, ჯრუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ



საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგინდება

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სოციალისტური მშენებლობის საგრძნობ წარმატებათა საფუძველზე მიღწეულია ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა.

რამდენიმე წლის წინად, როცა ლიტერატურაში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა უცხო ელემენტების საგრძნობ გავლენას, რომლებიც განსაკუთრებით გამოცოცხლდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში, პროლეტარული ლიტერატურის კადრები სუსტი იყო და პარტია უოველნაირად უწყობდა ხელს განსაკუთრებული პროლეტარული ორგანიზაციების შექმნას და განმტკიცებას ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, პროლეტარული მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა პოზიციების განმტკიცების მიზნით.

ამთამად, როცა პროლეტარული ლიტერატურისა და ხელოვნების კადრები უკვე გაიზარდა. ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან დაწინაურდნენ ახალი მწერლები და მხატვრები, არსებულ პროლეტარულ სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა (პროლეტარულმწერალთა ასოციების საკ. გაერთიანება, რუსეთის პროლეტ. მწერალთა ასოციაცია და სხვ.) ჩარჩოები უკვე ვიწრო ხდება და აფერხებს მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას. ახეთი გარემოება ჰქმნის იმის საფრთხეს, რომ ეს ორგანიზაციები სოციალისტურ მშენებლობის ამოცანების გარშემო საბჭოთა მწერლების და მხატვრების, რაც შეიძლება მეტი მობილიზაციის საშუალებიდან გადაიქცევიან ჯგუფური კარჩაკეტილობის დანერგვის, თანადროულობის პოლიტიკური ამოცანებისა და მწერალთა და მხატვართა იმ საგრძნობი ჯგუფებისაგან მოწყვეტის საშუალებად, რომლებიც თანაუგრძნობენ სოციალისტურ მშენებლობას.

აქედან გამომდინარეობს სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა შესაფერი გარდაქმნის და მათი მუშაობის ბაზის გაფართოების საკითხი.

ანის გამო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღგენს:

1. გაუქმდეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანება, რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია).

2. ყველა ის მწერლები რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლათფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანებულ იქნან საბჭოთა მწერლების მთლიან კავშირში, სადაც შეიქმნას კომუნისტური ფრაქცია.

3. გატარდეს ანალოგიური ცვლილება ხელოვნების სხვა სახეთა ხაზით.

4. დაევალოს ორგანიზაციის დაამუშავოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

რედაქციისაგან

გერნალ „მნათობს“ თავის არსებობის მეცხრე წელს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და რთულ ისტორიულ პირობებში მოუბდება მუშაობა. სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპი ახალს, უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს უსახავს საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაციის მთავარ ორგანოს და მასთან ერთად საბჭოთა მწერლობისა და სამეცნიერო ძალების იმ აქტივს, რომელიც ამ ორგანოს გარშემო არის შემოკრებილი.

ვასულ წელს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, პარტიის და მისი ბელადის ამა. სტალინის მეთაურობით, გადამწყვეტ გამარჯვებებს მიიღწია სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. 1931 წელს დამთავრებულ იქნა სოციალისტური ეკონომიკის საბირჟველის ამოწმება და საბოლოოდ გადაჭრილი იქნა კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის სასარგებლოდ ლენინის კითხვა: „ვინ-ვის?“ მე-17 საკავშირო კონფერენციამ, შტერეშილმა პირველისა და მეორე ხუთწლედის ისტორიულ მიჯნაზე, ჯამი გაუქვთა რა განვიღო სამი წლის უდიდეს მუშაობას, დასაბა გრანდიოზული პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ამოცანები, რომელიც მეორე ხუთწლედის მანძილზე უნდა იქნას გადაჭრილი. „მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას, გკითხულობთ კონფერენციის რეზოლიუციაში, — წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტებისა და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, სრული მოსპობა იმ მიზეზებისა, რომლებიც იწვევენ კლასიურ განსხვავებას და ექსპლოატაციას, აღმოფხვრა კაპიტალიზმის ნარჩენებისა ეკონომიკასა და იდეალთანა შეგნებაში და გადაქცევა ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მასებისა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად“. ამ სიტყვებში მოცემულია ფორმული როგორც იმ უდიდესი მსოფლიო ისტორიული ამოცანისა, რომელსაც პარტია ისახავს მეორე ხუთწლედის გეგმის ძირითად შინაარსად.

სოციალიზმის ახალ წარმატებებს, — გკითხულობთ იმავე რეზოლუციაში, მუშათა კლასი უზრუნველყოფს მხოლოდ ბრძოლით კაპიტალიზმის ნარჩენებთან, უღმობელი შეტევით დაღუპვის კარზე მიმდგარ კაპიტალისტურ ელემენტებზე, ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობათა დაძლევით მშრომელთა შორის და შედგარი მუშაობით უკანასკნელთა სოციალისტურად აღზრდისათვის“.

პარტიისა და მუშათა კლასის მიერ დასახულ უდიდეს ამოცანათა სრულეში უფრო გარკვევით, უფრო მეტწილად და ხელსაზრდად ისახება ის ამოცა-

ნები, რომელიც დღეს წამოჭრილი არის ლიტერატურის და ხელოვნების, მეცნიერების და მთლიანად კულტურული ფრინტის წინაშე.

არაეისთვის დასამალი არაა ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარება საგრძნობლად ჩამორჩება სოციალ-დემოკრატიული ტემპებს ჩვენს ქვეყანაში. კერძოდ მიმდინარე ეტაპზე საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის ჩამორჩენა ამ მხრივ მეტად ხელსახები ხდება. ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ასახული ის გრანდიოზული ძვრები, რომელმაც ძირიან-ფესვიანად შესცვალა ჩვენი ქვეყნის ძველი სოციალ-ეკონომიური წყობა, დაარღვია ძველი ყოფა-ცხოვრებითი ნორმები და შექმნა ახალი ურთიერთობანი ადამიანთა შორის, როგორც წარმოების, ისე ყოფა-ცხოვრების სფეროში. ჩვენი სოციალისტური პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები, ჩვენი ბრძოლათა და გამარობით აღსავსე დღევანდელი მისი უაქტუალური პრობლემები, როგორც ვსთქვით, ჯერ კიდევ არ არიან ასახულნი სათანადო სიღრმით და სისხვეთ ჩვენს მხატრულ შემოქმედებაში.

საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი ამოცანები დღეს გამომდინარეობენ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და პარტიის მიერ დასახულ მიზნებისა და ამოცანებისაგან. საბჭოთა ლიტერატურა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორი იდეოლოგიურ ფრონტისა, უნდა წარმოადგენდეს მუშათა კლასის მკვეთრ იარაღს სოციალიზმისათვის ბრძოლაში. იგი უნდა წარმოადგენდეს მსოფლიო ისტორიულ სარბიელზე აღმაჯალ კლასის,—პროლეტარიატის იდეებისა და მსოფლმედელობის მხატრულ გამტარებელს და მრავალ მილიონიან ძმრომელთა მასების ორგანიზატორს იმ გამწვავებულ კლასიურ ბრძოლაში, რომელმაც საბოლოოდ უნდა აღმოუხერას ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ყოველგვარი ნარჩენები და მოახადოს შესაფერი პრობები უკლასო სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად.

ახალი განსაკუთრებით გამწვავებული ფორმები კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც ადვილი ექნება ჩვენს ქვეყანაში უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე თავის გამოხატულებას ნახევრ ლიტერატურის ფრონტზედაც. ბრძოლა კაპიტალიზმის ნარჩენების დაძლევისათვის ეკონომიკაში და ადამიანთა შეგნებაში თავის უკუფენას იპოვის მხატრულ სიტყვაშიაც. ყოველივე ეს გარემოება, როგორც ვსთქვით, ახალ რთულსა და საპასუხისმკებლო ამოცანებს უყენებს თვითვე ლიტერატურულ ორგანიზაციას, თვითველ ბეკვდათი ორგანოს და კერძოდ საქართველოს საბჭოთა ფედერაციის მთავარ ორგანოს ეფრნ. „მნათობს“.

მთავარი პირობა, რომელიც გაამართლებს ჩვენი ეფრნალის არსებობას და საშუალებას მისცემს მას უპასუხოს დასახულ ამოცანებს,—ეს არის ეფრნალის მუშაობის ძველი წესებისა და შეთოდების სრული გადახალისება.

ეფრნალმა ერთხელ და საბოლოოდ უნდა ჟარყოს ის ყოველად უვარგისი გზა, რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე იგი მიიყვანა სრულ გაუბროვნებამდე მხატრული და თეორეტიული დონის დაქვეითებამდე. თვითდონებაზე დაშვარებამ, მტკიცე თემატიურა გვემის უქონლობამ, ჩამორჩენამ თანადროულლობის პოლიტიკურ, სამეურნეო და საერთო კულტურულ განვითარების

ტემპებისაგან ჟურნალს დაუკარგა მებრძოლი ორგანოს ხასიათი და წაართვა მას საჭირო აქტუალობა.

როგორია ჟურნალ „მნათობის“ გეზი მომავალში? უწინარეს ყოვლისა ჟურნალმა თავის მუშაობას საფუძვლად უნდა დაუდოს ამხ. სტალინის წყვეტნიანობა, იშვიათის თეორეტიული სიღრმითა და გარკვეულობით მოცემულ საკითხებზე: „ახალი პირობები, ახალი ამოცანები სამეურნეო მშენებლობისა“. ჟურნალმა ამ ახალ პირობებთან შეფარდებით უნდა შესცვალოს თავის მუშაობის მეთოდები და მტკიცედ და შეურყევლად დაისახოს ამოცანა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დაახლოვებისა სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პრობლემებთან. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და პოლიტიკური თვალსაზრისით ფრიად საპასუხისმგებლო როლი ეკისრება ჟურნალს სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ საკავშ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის 23 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით. ამ ისტორიული დადგენილების თანახმად, როგორც ვიცით, უქმდება პროლეტარულ მწერალთა ცალკე ასოციაციები და ყველა საბჭოთა მწერლები, რომელნიც შპარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და სკდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, ერთიანდებიან საბჭოთა მწერლობის ერთ მთლიან კავშირში. ეს გარემოება გარკვევით უკარნახებს ჟურნალს კიდევ უფრო გაამახვილოს თავისი კლასიური, პოლიტიკური სიფიხიზღე, კიდევ უფო მეტის ენერგიულობით იბრძოლოს საბჭოთა მწერლობის ფართე ფენების იდეურ-მსოფლმხედველობითი გადამუშავებისათვის, მათი შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზული დაკავშირებისათვის სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობასთან და პროლეტარიატის მიერ დასახულ დიად ისტორიულ ამოცანებთან. იდეოლოგიურ ფრონტზე პარტიამ უკვე ჩაატარა გარდამწყვეტი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზისადმი მტრულად განწყობილ თეორიების წინააღმდეგ. გამომჟღავნებულ და განადგურებული იქნა რუბინშინა, მეხანიციზმი და მომენშევიკო იდეალიზმი, ანტიმარქისტული თეორიები აგრარულ ფრონტზე, პერვეერზელობა, ლიტერატურა-ველობა და სხვ. პარტიის ბელადის წერილში „პროლეტარულ რევოლუციის“ რედაქციისადმი მოცემულია გამანადგურებელი კრიტიკა ტროცკისტული კონტრბანდისტებისა, ყოველი ჯურის რევიზიონისტებისა და დამპალი ლიბერალიზმისა ბოლშევიზმის ისტორიის საკითხებში. ამ წერილმა უდიდესი როლი ითამაშა პარტიული სიფიხილის გაძლიერების საქმეში კლასიური მტრისა და მისი აგენტურისადმი იდეოლოგიურ ფრონტზე. ამ წერილის საფუძველზე ჩვენმა ჟურნალმაც უნდა გაამახვილოს ყურადღება ორ ფრონტზე ბრძოლისადმი და აწარმოოს მედგარი შეტევა ყოველი სახის ბურჟუაზიული გაფლენების წინააღმდეგ ლიტერატურის იდეურ და მხატვრული პრაქტიკის სფეროში. ჟურნალი ამიერიდან უნდა გადაიქცეს თავისებურ მებრძოლ შტაბად, რომელიც შეეცდება დასახული გეზით გვემანად წარმართოს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ძალების შემოქმედებითი—პრაქტიკული მუშაობა და თავის ფურცლებზე ფართოდ და ღრმად ასახოს თანამედროვე სოციალურ გარემოცვის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები.

ჟურნალი ფართო ადგილს დაუთმობს ბელეტრისტულ ნაწარმოებებს, ლექსებს და ნარკვევებს თანადროულობის თემატიკაზე, — ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებაზე. ჟურნალს უფროდღეს ყურადღებას მიაქცევს სოციალისტური მშენებლობის გზის რეკონსტრუქტურაში; კაპიტალისტური გარემოცვისა და მოსალოდნელი იმპერიალისტური თავდასხმის საშიშროებისადმი მკითხველთა ფართო მასების ყურადღების გასამახვილებლად ჟურნალი განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს სამხედრო თავდაცვითი თემატიკის დაუფლებას მხატვრულ შემოქმედების მიერ; ჟურნალი სათანადო ადგილს დაუთმობს სამოქალაქო ომების ისტორიის თემატიკას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ლენინის უზღიდრესი მემკვიდრეობის დამუშავებას ლიტერატურის თეორიის დარგში, რაც მტკიცე საფუძვლად უნდა დაედოს კრიტიკისა და ლიტერატურათ — მკოდნეობის ხაზით წარმოებულ ყოველგვარ მუშაობას მომავალში.

ჟურნალი იბრძოლებს საბჭოთა მწერლობის საეკეთესო ძალების მსოფლმხედველობითი გადაწევაებისა და პროლეტარიატის იდეურ პოზიციებზე გადაყენებისათვის. ამ მიზნით ჟურნალი აქტიურად გამოეხმობურება შემოქმედებითი მეთოდის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემებს და ფართო გასაქანს მისცემს თავის ფურცლებზე შემოქმედებითი მეთოდის გარშემო აღძრულ დისკუსიას.

ზემოაღნიშნულ მთავარ ამოცანების გარდა ჟურნალს მიზნად აქვს დასახული გააშუქოს და გააცნოს მკითხველთა ფართე მასებს მთელი რიგი თანამედროვე აქტუალური პრობლემების და საგულისხმო მოვლენებისა. ჟურნალი ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ლიტერატურაში გაწვეულ დამკვრელთა საუკეთესო შემოქმედებით ნიმუშებს. ჟურნალი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მ. გორკის ინიციატივით წამოწყებულ ფაბრიკა-ქარხნების მხატვრულ ისტორიის შედგენა-დამუშავების საქმეში და გამოაქვეყნებს საუკეთესო ნაწარმოებებს ამ დარგში.

თვითმპყობლური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარი გამობატულების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ნაციონალურ-კულტურულ კარჩაეტილობა-განკერძოების აღმოსაფხვრელად და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ-მხატვრულ მოდწევათა გასაცნობად და შესათვისებლად. ჟურნალში განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცევა საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა თანამედროვე ლიტერატურას. ჩვენი მასიური მკითხველი თითქმის სრულებით არ იცნობს მეზობელ ხალხების ლიტერატურულ მიღწევებს. ჟურნალში პერიოდულად მოთავსდება მეზობელ რესპუბლიკების თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების მიმოხილვები და აგრეთვე თარგმანები სანიმუშო ნაწარმოებებისა; ამით ჩვენს მკითხველს საშუალება მიეცემა წარმოადგენა იქონიოს იმ უდიდეს კულტურულ — შემოქმედებით მუშაობაზე, რომელსაც აწარმოებენ ყოფილი მეფის რუსეთის ჩაგრული ერები საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

გარდა ამისა ჟურნალი პერიოდულად მოთავსებს მიმოხილვებს თანამედროვე დასავლეთ-ბურჟუაზიულ ლიტერატურისა და განსაკუთრებით რევოლუციონური პროლეტარული მწერლობისა, რომელიც უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ განვითარებას პოულობს კაპიტალიზმის კრიზისთან და მსოფლიო

რევოლუციონერ მოძრაობასთან დაკავშირებით; ჟურნალში ზერიოსტელად დაიბეჭდება აგრეთვე წერილები თეატრალურ ცხოვრებაზე, სახეითი ხელოვნებაზე, კინოს პრობლემებზე, ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე, მათგან რომელიმე ფოლკლორზე სათანადო ნიმუშებით ხალხური შემოქმედებიდან, — წერილები თანამედროვე საბჭოთა კულტურის და ყოფა-ცხოვრების, ხელოვნებისა და მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე.

დაბოლოს ჟურნალი სისტემატიურად მოათავსებს ისტორიულ რევოლუციონერ და ლიტერატურული ხასიათის ნემუარებს და დოკუმენტებს.

ჟურნალი იბრძოლებს თავის პროდუქციის მხატვრულ იდეური ხარისხის უმაღლეს დონემდე აყვანისათვის. ბრძოლა ხალხურის წინააღმდეგ, ბრძოლა მხატვრული შემოქმედებითი პრაქტიკის მაღალ კვალიფიკაციისათვის, იმ, რა დაედება ქვაკუთხედათ რედაქციის წიგნ შემდეგ მუშაობას. მხოლოდ მაღალი იდეურ-მხატვრული ხარისხი იქნება მიზნული ერთადერთ კრიტერიუმად. ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა — შეფასებისა, და მათი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნების დროს.

დასახულ მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას ჟურნალი შესძლებს მხოლოდ საბჭოთა მწერლობისა, მეცნიერებისა და მთლიანად კულტურულ ფრონტის მუშაკთა მოწინავე, საუკეთესო და სასიცოცხლო ძალების დახმარებით.

ჟურნალის რედაქციის ირგვლივ შემოკრებილ საბჭოთა მწერლობის მომქმედ აქტივზე დამყარებით ჟურნალი იბრძოლებს და აღმათუახლოეს მომავალში კიდევ შესძლებს გააცნოს თავის ფურცლებზე მკითხველთა ფართო მასებს ნიმუშები დიადი ეპოქის შესაფერი ლიტერატურისა, ნიმუშები ბოლშევიზმის დიადი ხელოვნებისა.

პროზნებათა

მ ა რ უ ი

ჩვენ ერთი ვართ თუმც სხვადასხვა
 გქვია სახელი,
 ჩვენ ერთი ვართ; ქართველი თუ
 ყარაბახელი.
 სოლიდარულ დროშის ქვეშ სდგას
 ბეგრის ამტანი
 აღერბეიჯან,
 საქართველო,
 შაიასტანი
 პაპის-პაპას ძველის-ძველი
 მქონდა გაგება:
 შეტაკება, შურის გების
 პაპანაქება;
 მონათა ოკტომბერმა
 მზიანი მიზნით,
 შოვინიზმი გადალახა—
 რა ლენინიზმით
 გადალექა სისხლიანი
 ლობე—მესერი—
 ძველ რუსეთის ნაცვლად ბრწყინავს
 რესეფესერი.
 ჩვენს კავშირში სხვაგვარია
 ომის ბაცილა,
 რაც ევროპამ თავის ქვეყნებს
 ვერ შოაცილა.
 იქ ყოველი ცის ნაფლეთი
 ტყვიის ფერია,
 ცხენოსანთა ბორგავს ჯარი,
 არტილერია,
 აქ აფუქნებს სოციალიზმს
 საჭმე სართველო
 ტაჯიკია, თურქმენია,



თუ საქართველო,
 იქ გაზების ეშვებიან
 შავი შვავები
 ყუმბარებით დატვირთულან
 თვითმფრინავეები.
 ნალმების ხმამ ზღვად გემები
 არივ-დარია
 მაგრამ თუ იქ დარბეული
 ციციკარია,
 აქ შეორე ხუთწლედ იღვას
 და ჭარბი ჯარი
 უკრაინა, საქართველო,
 ადგრბაიჯანი.
 იქ რომელი რომელსა სძლეეს—
 ცხადზე ცხადია:
 კლასიური ომების გზა
 გზად ნაცადია.
 იარაღით შებრუნდება
 მტრების ჯივარი
 რომ აენტოს ცისკარივით
 ის ციციკარი.
 აი რა დროს ნატრობენ დღეს
 ველნი და მთანი,
 ბელორუსია, უკრაინა
 უზბეკისტანი.
 სოლიდარულ წინმსვლელობის
 საქმე რითია
 უძლეველი? ამის მტკიცე
 მაგალითია—
 ეს ამიერ-კავკასია
 ძმური, გამტანი,
 აზერბაიჯანი, საქართველო,
 ჰაიასტანი.
 ვაშა დიად სოცილიზმს
 აქ, რომ შენდება!
 გეჯერა: ძლიერ კომუნისმის
 დღე გათენდება!
 ერთი დიდი იდეაა
 შვების მომბერი
 მთელ მსოფლიოს—რომ მსოფლიო
 სძლეეს ოქტომბერი!!

ამბავი აჭარელ ამხანაგების თქმული კარლო კალაძის მიერ

ნაღბური ეპოსი
ველემირ ზღებნიკოვს

I.

შეა და პირველად მარტო მისი დიდების მოქმელი ვარ...

და იმ კარგ საღამოს, რომლის შემდეგ ამბავი იწყება,—
იგი ძვეს ზღვის გულზე კუნძულივით და იძირება;

მისი ცა მარტოდენ ზორასანში თუ არი ნახული,—
დარბეულ შეელების მკვლევლობაა ზედ ამოჭარგული

და ეხლა შიდაღმოს ფიქრებივით გადმოთვლინენ;
ზის თვალებ ჩამჭრალი და ამ ცანდე მართალი გულინე.

გარშემო ბინდებით შებურვილი აჭარის მთებია,
თვალების მანძილზე ზღვაა ლურჯათ შემოგროვილი,—
ხანდახან ჩამოვლენ გრიგალები და აჯანყდებიან!..
ჯერ ვიდრე მარტოა კენჭაობს ზღვა გულჩათხრობილი.

II.

თუ ნახე თვალტანად რომელიმე ლამაზი ალვის ხე,
ან და ნაკადული,—კლდეებ შუა ზვირთებ მოხალისე,—

ის იყო გულინე,—ბაადურის ცქრიალა გოგონა;
შეწოდა განაბულს მოკრძალება აჭარელ ქალისა
და მისი სიმღერა, მაშინდელი, ვინ გაიგონა?—
ის ეხლა მახვერპლია ბაადურის მრისხანე თვალისა!

III.

ცეცხლის წინ, ოჯახში, თუხმორთხმული ზის შვიდი თვეა და
მოელის დაკარგულ შვილის მოსელას დამუნჯებული:

„—იდუმალ ბილიკებს, ვიცი ჰასან სიმშვიდით იარ და,—
„ სად არი, რომელღა დაუმარცხა სიმარდე რჩეული!

„თურქებში გადასვლა, გაბედულად თუ მიბრძანებდა,
„მეკობრეები ერთმანეთის ერთგული ძეგბია!“

ეროვნული
მეცნიერება

დაღონდა ბაადურ. მეტი ფიქრი მას არა ჰქონდა რა;
ვითარდებოდენ აჩრდილები გარშემო თანდათან...
და ერთხელ, უეცრივ, შუილამით,—სად იყო სად არა
მოვიდა პასან, და, სიხარულმა შინ შემოანათა.

ცქრიალებს გულანე. ბაადურსაც მოუჩია იარა,—
ფარული ღმირით შეჭყურებენ ერთმანეთს მღღმარი...
გული ვერ დასძლია დაკარგულმა და ბევრი იარა
თუ ცოტა იარა,—მოვიდა შინ, და მოჰყვა სტუმარი!

ნახა რა მოხუცმა რომ უცნობი არმიელია,—
გაოცდა. შეიღს უთხრა „გეიამბეო“ და ამბავს ელიან.

IV.

„ზღვის გულში, ბაადურ გაიხსენე,—ტრიალებს რისხვა!
„რჩები შენ. ზღვაში კი ნაოსნები გულღონეს იკრებენ...
„მიეცურავთ. გარშემო შავია სულ ღამე და შავი ზღვა,
„ძლიერდებიან გრიგალები და გეიმორჩილებენ.

„ზღვამ ნავი გარიყა. ნაოსნები ნაპირზე ეყარენ...
„ჭეშმა და ტალღები ამოჰყარა ხმელეთზე,—მღელვარემ!

„ღამეა, კლდეებში ჩამალული მიცდიან ჩეცნები,—
„გაედღვარ... და ჩემდა უნებურად კაცის წინ ვერდები.

„უცნობის შეხვედრა მართლა იყო სულ მოულოდნელი;
„„მან ხელში თოფი ვერ მოიხმარა,—მე ღამე ბნელი...“

დამსხდარან... და შემდეგ საუბარში თუ როგორ შერიგდენ,—
ძნელია მოხუცმა უჯავრელად შეიძლოს გაგება...
შორეულ კლდეებში არმიელი და პასან შეიბნენ,
არმიის ბანაკში ჩამოვიდენ ამზანაგებათ!..

V.

დაჩუმდა ბაადურ.—შეილი დარჩა შორეულ ხალისად
დაჩუმდა თვითონვე,—პასან უფრო გაურჩებული...

სტუმარმა გათვალა ტანადობა აჭარელ ქალისა,
ქალი კი ცალკეა შავი ჩადრით მოფარებული.

„—პო და მაშ წარსულთან, მიმაჩემო, ერთადვე გვებრძოლა!“
თქვა ეს და გულინეს მოაცალა უეცრივ პირბადე...

„—ურჯულო!“—იეღა ბაადურმა და ტყვია ესროლა.—
მან მარდი ნახტომი მოიხმარა სიკვდილისპირამდე.—

ერეკლე
გინაძე

VI.

გაიქრა ბაადურ, დაპგმო შეილი და მისი დამობა.
პასანმაც სტუმარი წაიყვანა და სახლი დასტოვა.

VII.

სად არი ბაადურ? რომელი გზაა გულშესაფარი.

იციან მიუღალ ბუნაგებში ფიქრების განდობა,
და სადაც კოროხის წყალდიდობით კლდეები რბეულან,—
მუხების ძლიერი და ხნიერი შთამომავლობა
ჩამღვარან ძეგბივით ბაადურთან,—და ჩაფიქრებულან...

გულინეს კი ჯავრი ნისლებივით გადმოუვლინენ,—
ზის ეხლა ნაპირზე, მარტოთ მარტო, საბრალო გულინე.

VIII.

მის თვალებს და ფიქრებს ჭეარავს ჩადრი. წამოდგა და მაშინ
როდესაც გულამდე ჩავიდა მზე,—წამოვიდა შინ.
ლამეა. ნისლებით ჰაერი სულ მოწმენდილია—
ზღვის ძირზე ქვიშაა, ვარსკვლავებით ცა მოქედილია!

IX.

საბრალო გულინე... როგორც თვალებს სიერცეში მიმოვლილს,
ისე იმ ვარსკვლავებს, მთელი ლამით ძილი არ ჰქონია.
დღე დადგა, და ფიქრთა გასართველად ველარ იპოვნის,—
ეს ეხლა,—ზეცაზე ამომავალ მზის ალიონია!

გარშემო კი ზღვიდან ვიდრე მთები,—კლდეები უვალი,
გორებზე დაურგავთ სახელმწიფო ჩაის ბუჩქნარი...

მარტოა გულინე. მეზობლები შრომაში ჩამბულან,
და ჩაის საკრეფად ჩაფრენილან ქრელკაბა ქალებიც!
მათ შორის ხანდახან აქარულად გაივლის ჩაქურა
და მერე ბუჩქებში, ქარაგმულად ელავენ თვალები...

გულინე შედგა და,—გულმა უთხრა:—შებნე თვითონ,
სიძლიერით ტოლებმა გადირბინეს შაველა მდინარე,—
მზე გინდა, ზღვა გინდა,—მთადაბარი ძევს საშავალითო,
მოიხსენ პირბადე გაბედულმა,—და მოეღბინარე!

**X.**

მოსულან მთებიდან, — მოჰყოლიათ გმირული მხნეობა
და მთელი გულღონით შედგომიან მეურნეობას.

მალე ეგ ნერგებიც, შვილებივით დაიზრდებიან!
სად სახელოვანი, დიდებული ზეები ხარობენ...
ახლობელ მთაგორებს, მუწახელი თუ შებრძოლებია, —
შორეულ კლდეებში მოვა შავი მემალაროე!..

XI.

მზეა და პირველად, მარტო მისი დიდების მთქმელი ვარ, —
ამ ბოლო ამბავსაც თუ მომისმენთ, — მე მადლობელი ვარ.

როგორღა გაუქლოს გულისძგერამ აჭარულ ვაჟკაცებს!
უცაბედ გამვლულსაც, — გარბენილი მუხლი მოსჭრა და
ბაადურს ამბავი ცხრამთას იქეთ ვინ უნდა გადასცეს?! —
მზეთუნახავი მისი სახე ხალხში რომ მოსჩანდა...

— აშიერიდან მწუხარების მორჩილი არა ხარ,
მოიხსნეს ჩადრი და მონა ქალი, ხედავენ, არა ხარ, —
გაიფლო გულში და სიხარულად ეცვალენ ფიქრები...

დგას თავისუფალი მომუშავე რიგებში მხარდამხარ, —
და გრძობს: ხმელეთზე ძღვევამოსილ ნაბიჯით მხარდამხარ-
წინ როგორ მიდიან, — ამომავალ მზის ქვეშ გმირები!

მუშაობს გულინე, შეჯიბრებულ ტოლებში ჩამდგარი,
დალაღებ გაშლილი სასიმღეროდ ყოველთვის მზად არი! —

რომ ერთხელ... უცტრად, შედგა შიშით წელმოცვლილი;
სულ მოულოდნელად საიდანღაც მოვიდა წერილი:

„...ჯავრი და წარსული, დაო გულზე ხომ აღარ გატყვია?
მე ჩემი კრილობა მოვირჩინე, — დროება შევიცან.
ჯარში ვარ, თვალმოკრულ წერტილშივე ჩაეაჯენ ტყვიას!
და შენ ვაბედულ შრომის მცველად მიგულე. პასან“.

XII

ამგვარი ყოფილა, მათი მოკლე, წარსული ამბავი...
მთქმელსა და გამგონეს ჯანი ჰქონდეს დაუღალავი.

გ მ ი რ ი ს პ ი ე ბ ა უ ი

ტეხურის პირას, სენაკის ახლოს
გვხვდება ნაგები, კოშკი სილოსის;
და ფლობს შილიანად

ტეხურის მადლობს
კოლმეურნენი ნატაჩიოსი.
დროულ ცხოვრების მუშური განცდით
კოლმეურნენი გასულან ველზე
ოჯახში ქულზე

ამდგარა კაცი
და აგებს სოფელს მძლე საფუძველზე.
ბევრია შიგნით მშრომელი, მკვეთრი
მუშის კუნთის და აზრის მხლებელი;
მაგრამ მათ შორის

შეკმნილა ერთი
გლეხებში თითით საჩვენებელი.
კაცი ლტოლვდა სოფელს შორის
მკლავის სისწრაფით მეხის ბადალი;
ხენაში ამარცხებს

ხუთ მომუშავეს
და უწოდესო მინდვრის სარდალი.
თოხშიც ქონია ბევრი შეჯიბრი
სასწაულს ახდენს

ნამგალის გასმით;
ერთ ჯგუფს გაიყვანს
და სხვებთან მიჰქრის
მიჰქრის და მიაქვს ენტუზიაზმი.
საოცარ უქრის კუნთების ქეუა
პარტიის ყდაში

ნახულობს ყალიბს;
დამკვრელი არის გვირავთ მოჯგუა
კოლექტივს შიგნით ჩამდგარი თვალი.



ტეხურის პირას
 სენაკის აბლოს
 კოშკთან შექმნილი
 დევსო სილოსი—
 გმირი თუ გინდათ,
 თქვენ უნდა ნახოთ
 დამკვრელი გლეხი ნაჭაჩიოსი

 ნათხრობის შემდეგ კოლექტივისკენ
 წავედით, ვნახოთ
 კაცი განცდილი;
 იყო დილა და ნიაეის სისქე
 იწვა შარაზე, მზეში გაცრილი.
 გზა იყო სოფლის მიმართ ირიბი
 ჩნდა კოლექტივის მაღალი ოდა
 და მივეყვებოდით მზერით ტირიფებს
 სანამდი თვალი მიგვიწვდებოდა.
 იწვა სოფელში
 სოფლის მარტის თვე
 იწვა ტეხური, როგორც წურბელი
 და გზათ მიყავდათ ჩალისთვის
 კოლმეურნეებს ჭრამები.
 და აბარჩხალდა
 მზე კაობიდან
 ტეხურიც გაწვა სხივებზე ცხედრად,
 შეგებუდა,
 აღგა
 და წამოვიდა
 სოფლის მდივანი
 ჩვენ შესახვედრად.
 შეგებუდა, ოდისკენ მიგვიპატივა
 გახსნა სათესი რუქა ყანისა;
 კულაკის მხარე ფანქრით გათიშა
 და გვერდზე მდგომნი წაახალისა.
 კაცი გაგზავნა, რომ შეგვეგებოს
 ბოჯგუა ჩვენ და
 გვითხრას გეგმები.
 კბილით გასინჯა მარცვალის გემო
 და მზეზე დადგა სველი ჩეჭმები.
 შემდეგ მოვიდა ცნობა(ც ყანიდან:
 გმირი სილოსის კოშკთან არისო.
 ჩვენ შევისვენეთ
 და აივნიდან



თვლების უბე კვრეტით აივსო.
 შემდეგ წავედით
 და კოშკთან ვუცდით,
 გვინდა შევხედოთ
 გმირსა და ნაშრომს;
 ეჩოს ხმარობდა გამრჯე მოხუცი
 თლიდა ხისაგან ნაგავის საშრობს.
 მოხუცმა გვითხრა:
 ბოჯგუამ ეხლა
 შე გამაკვირვა თავის საქმეთი.
 კოშკი შექედა. გაუარდა მეზად
 და სურს მოსწმინდოს
 ბარდის ნაკვეთი.
 გამყოლმა გლეხმაც,
 დასძინა დინჯად:
 „მადლის ღირსია კაცობას ფეიცაე“.
 შემდეგ ნებვის კოშკს
 მოსწმინდა ხინჯი
 და ხელგადასმით დაეყრდნო ფიცარს.
 ჩვენ ბარდისაკენ გავყვევით დახუნლს—
 გლეხებს სახნავი ედოთ უბნებად
 დღე იყო ცაზე გამოსახული
 და კოლმეურნის თავისუფლება.
 შორს მიდიოდენ ურმები
 უსაპრო ღერძის ისმოდა კენესა;
 ყანა გაეხსნათ კოლმეურნეებს
 ვით ბოლშევიზმის მტკველი პრესა.
 ბოჯგუა უკვე საწმენდავ ბარდის
 ნაპირთან იდგა
 და სწმენდდა გამრჯეთ.
 „უნდა ეთქვათ სწორედ,
 ბიჭია მარდი,
 ჭკონია ცეცხლი მაგის გამომკედს“.
 იქვე მოკრილს და
 მინდორში გაშლილს
 ცეცხლს უკიდებდენ
 ნაპირის ეკალს.
 გმირი გმირს ედგა
 ბრძოლისთვის მზარში
 და უძახოდა ეილაც ზეინკალს.
 ბარდისკენ წასვლა
 რომ დავაპირეთ



მდივანმა კაცი გვიჩვენა თითით:
 ხომ ხედავთ იგერ გაქცეულ ირემს—
 აგურის საწვავ ფარეში მიდის.
 იქაც მიუსწრებს მაგის მარჯვენა
 დასწვავს აგურს და გადაეა ველზე;
 ნეტავ შრომაში გმირი გაჩვენათ—
 შემომქმედია ჩვენს საფუძველზე.
 მაგრამ „იქამდის“

შევჩნით მიდამოს
 გმირს გამოეწვა ბლომათ აგურიც:
 ორთქლი დიოდა ფარეშს ჯიბიდან
 და გიზგიზებდა ცეცხლის სადგური,
 ბოჯგუა გინდათ?

— დამხურმა გვითხრა
 — დაეძებთ ჩვენში გმირობის საგანს?
 ის არ ჩერდება ერთ ადგილს დიდხანს,—
 ასრულებს გეგმას

და მიდის სხვაგან.
 გამოღმა გეგმა შეავსო გმირმა
 გაღმა ეშურვის კენაფის ფართობს;
 სურს შეამოწმოს სათოკე სირმა
 და მოედანიც მოსწმინდოს მარტო,
 ამ გვარ საკვირველ საქმეს ვინ იზავს?
 უჭრის მკლავი და

თვალეზიც უჭრის;
 მუხლი მუხისა,
 წელი რკინისა
 ფუძეთ გველირსა კოლმეტის ბურჯი
 და დამორჩილდა ფოლადიც ურჯი.

ყანა წინ იყო გაშლილი ველზე
 და იღვა შრომა, როგორც სინათლე.
 სოფლის გარდაქმნა

მძლე საფუძველებზე
 კოლმეურნეთა საქმეს შეადგენს.
 მზე გადიხარა, მოაწვა ოდას
 გმირის ძიებით, ნახულ ბუნებით;
 უკვე საღამო აბლოვდებოდა
 და იშლებოდნენ კოლმეურნენი.
 გმირს ვერ მიუსწრეთ;

დაესეტყვდით სველით,
 საღამოა და იძინებს ველი



გმირი სად არის

რომ ვეძიებდით,

რად ვერ ვიხილეთ

გლები დამკვრელი?

მდივანმა გვითხრა:

ეგზობ ხალისით

ვერ დაეწვეით მგზავრები არწივს;

კაცს გამოაჩენს საქმე თავისი

და გმირის საქმეც

გიდგიათ თვალწინ.

თქვენ კოშკი ნახეთ,

ციცხლიც მედგარი,

ბარდის წმენდა და ფესვიც დამრობაც;

გმირის ერთი დღის ნამოქმედარი

ხატავს გმირსა და საზღვრავს კაცობას.

სახის მაგიერ საქმე დახატეთ—

გმირის ჩვენებაც გამოვა ნამდვილ

გაყვება განცდა სუფთა ქაღალდებს

და რთულ გრძობებსაც ვაევიგებთ ადვილ.

ამის გარდა ხომ

ტემპის სისწრაფემ

სჩანს ვაგისწროთ და

ჩამორჩით უკან.

ხელსაწყოს უნდა ვზემის გაკაფვა

და ლაქვარდები ავარდნილ ვულკანს.

თქვენ, მართალია, მთვარე მოჰკალით,

მაგრამ ამ დროსთან

მთვარე ბეწვია;

თქვენ უნდა მიხედეთ ამ მაგალითით,

რომ გმირს მწერალი ვერ დაეწია...

შეხედეთ ნათელს,

გასწიეთ ჩრდილი,

განცდები მუხლში ჩადგება ფესვად.

დრო ყანასავით ჩვენს წინ გაშლილი

მეტყველებს ირგვლივ

ციხფერი დღესაც.

მდივანი დროულ განცდით აივსო;

გვთხოვდა დარჩენას. ვადეკით უარს.

კაცს გამოაჩენს საქმე თავისი

და ჩვენც ვიცნობდით

უცნობ ბოჯგუას.

უნახავ კაცის საქმემ გვიამბო
 თუ როგორ ტემპით მიჰქროდა გმირი;
 დღე დაიწურა. მანძილს მოაპობს
 და კოლექტივში მოვიდა ჩრდილი.
 ტემპი და ტემპთან შრომის ხარისხი,
 თუ გინდა გმირის



ნამდვილი სახე,
 გასწი იშრომე, ფრთები აისხი,
 გაყვე მინდორზე კუნთების ძახილს.
 ამგვარ მივსდევდით მიწის იარებს;
 სწანდა სხივების ბოლო გრეხილი
 ქარი არხვედა აყრილ შვიალებს
 და მინდორების გამოძახილი.
 ტეხური დიდი

იწვა, ოხრავდა,
 იყო შრისხანე ჩვენი ურგები;
 ჩალით ნატვირთი უკვე მოჰყავდათ
 კოლმეურნებს ურმები.

.....
 ტეხურის პირას, სენაკის ახლოს
 გვხდება ნაგები კოშკი სილოსის
 და ფლობს მთლიანად ტეხურის მადლობს
 მძლე კოლექტივი.

ნატაჩიოსი.
 დროულ ცხოვრების მუშური განცდით
 კოლმეურნენი გასულან ველზე,
 ოჯახში ქუდზე

ამდგარა კაცი
 და აგებს სოფელს
 მძლე საფუძველზე.
 ტეხურის პირას,

სენაკის ახლო,
 მოსჩანს სიციცხლე გაშლილ სიოში
 და გმირი თუ გასურთ--

თქვენ უნდა ნახოთ
 გმირის ნაშრომი ნატაჩიოში.

შეიქმენ გმირი!

დიახ, საბჭოთა ქვეყნის აზრის ფორმა,
 რომელიც აწარმოებს გმირების მასიურ-
 ნაგრამ არა სტანდარტულ დაშლადებას.
 კ ა რ ლ რ ა დ ე კ ი

შენ სადღაც სჭირდები ეპოქას
 ტემპით და იერიშით დანთებულს;
 ეპოქა გეძახის როგორც კაცს
 და როგორც ბრძოლაში ვალდებულს.
 იგი არც შეხვედრას გალირსებს
 ზეიმიით, დაფნით და პარადით,
 არც სადმე ბინაზე დაგეტებს
 თხოვნით და მოსაწყვევ ბარათით.
 ეპოქა გიბრძანებს: — გამიძებ,
 გადამღვართ ცხოვრებას ჩაუშვარ,
 კაცი ხარ, ღონე გაქვს, გონებაც,
 გადაჰკარ, გასწი და გაუსწარ.
 უნარი გახსოვდეს, შენც გიძევს,
 შენც შეგწევს გმირობის რკინის ხმა
 და თითონ ეპოქა ხელს გიწერს
 დაიწყე, შეძლებ და გმირიც ხარ.
 საგმირო ცეცხლი და ურჩობაც
 მან თითონ მოგცა და შეადგენს
 ეძებე,

ეძებე უმჯობეს,
 შეიგრძნე შიშვევ და შიავენ.
 სიძნელე გაჩნდეს და გასწირე
 თავდასხმით, დაკვრით და შენებით,
 რთულია?

დაშალე ნაწილად
 ამოხსენ, შეჰკარ და შეეზი.
 გარღვევას მყის უნდა მოედო,
 გეგმას და სიპარდეს ენდევ;
 თავდაცვის სჯობიან ყოველ დროს
 ბარემც და შენ იყო შემტევი.



ს ტ ც ი ა ლ ი ზ მ ი ს მ ნ ტ უ ზ ი ა ს ტ მ ბ ს

1

ჰქრის გაზაფხულის ნელი ნიაეი.
წასრულის ხსოვნა ლანდად ილვიძებს:
თავადიშვილი და მოურავი
ანაწილებდენ საყანე მიწებს.

პატივში იყო ძღვენი და ქრთამი;
გლეხი უღელში ება დღე-ღამე.
„როცა წყალს დაღვეს, ზეცას ქათამი
შებედავს,—შენაც ღმერთი იწამე“...

ბოროტ მოურავს ეტყოდა გლეხი,
ანაწიოკი, განაპარტახი,
რომ გასაჭირით წელში გატეხილს,
სულს უხუთავდა მონის არტახი.

2

იცვალა დრო და, დღეს საყანებს
ალარ სჭირდება მიტანა ქრთამის,—
მიწა ეკუთვნით კოლმეურნებს,
რკინის ტრაქტორი მიარღვევს ყამირს.

სოციალიზმის ფუძე მაგრდება,
მოშლილი არის მიჯნები ძველი,
შეჯიბრებაში ტოლებს შეება
ახალი გმირი — მინდვრის დამცვრელი.

დღეს ხალხი უკვე ალარ იყოფა:
ქედმოხრილ გლეხად და აზნაურად;
დამცვრელობაში ვინ ვის აჯობა,
კოლმეურნენი მსჯელობენ ძმურად.

დღეს მოურავი არ გვეფეთება,
მებატონეთა ხმა ალარ ისმის;
ახარებთ ქვეყნის გადაკეთება
ენტუზიასტებს სოციალიზმის.



ბანაკის მუხენებელი სურობი

ქალაქებში ვიყავთ დღემდე,
— დღეს ვაშენებთ ბარაკებს,
თავდადებულ წითელ მხედრებს
საბანაკოდ ვამაგრებთ.
შეკრილი ვართ ვრცელ ტევრანარში
ჩაქუჩს გააქვს გრიალი;
ირგელივ მთების სიმწვანეა
და ქარების ქრიალი.
ჩვენ ვართ ქვეყნის მშენებელნი,
მოვსპეთ ყოფა მონური;
გვალხენს ხმები ჩვენებური
— ჰიმნი ბუდიონური.
აქ ბუნებაც ხარბად შლილობს,
რომ გამაგრდენ მხედრები,
ზურგს ვუმაგრებთ ვოროშილოვს
ახალ შემოქმედებით.
მტრები შურით უშხერიან.
ჩვენს სამხედრო მიღწევებს,
ის მედგარი ფრუნხელია
ბრძოლის დროს, რომ იხსენებს:
— როცა ჰქუხდა ბარიკადა
და ტყვიები გვიშინეს,
მწვერვალივით აიშართა
გამარჯვების ყიჟინა.
როცა დროშა გმირობისა,
ძმებს უწვდიდა მურ ხელებს,
შეე რაზმელებს გულის ისრად
ვამებებდით სიამღერებს.
ქარიშხალი არ დაცხრება,
საბჭოების გადაღმა;
გმირულ ბრძოლის გატაცება
დღეს შრომაში გადაგვაქვს.
ბარაკები გადავხუროთ,
მთებზე ანაფერდები,
ხუროებს, დასცხეთ ურო
გავიხუროთ მკერდები!



ნ ა ბ ი ზ ი მ ა

ც რ ი ლ ე გ ი ა
ქ ი გ ნ ი მ ი რ ა ე უ ლ ი

ქართველის მოლოდინი *

ანას მადანი

სოფლად გახშირდა ყაჩაღობა და თავდასხმა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ორი-სამი არ გაეძარცვათ. ეცემოდნენ ვაჭრებს, შეძლებულებს... ზოგჯერ ღარიბებსაც. ფოსტას ისე ვერ გაიტანდნენ სოფლიდან, რომ მახლობელ დაბასა თუ რკინის გზის სადგურამდე თავს არ დასხმოდნენ ბოროტგამსწრაფებლები.

თავდასხმა ხშირად უშედეგოც იყო, მაგრამ აქ გამოქნილი ფოსტის მოხელეები იყვნენ დანაშაუდნი: განგებ ხმას გაავრცელებდნენ: „დღეს სამი ათასი მანეთი იგზავნება ფოსტით, ხუთი ათასი“... და სინამდვილეში ფოსტის ცალიერი პოვოსკა მიხრივინობდა გზატკეცილზე... დაშაშაფებული აბრაგები კი პირში ჩაღვამოვლებული რჩებოდნენ.

არც მეგობრებს იფიწყებდნენ სოფლის ბაცაცები, ხშირად თვალსაჩინო ნღობისა და თანამდებობის პირებიც კი.

სურვილი და მონდომება, თორემ... ამაზე ადვილი რა არის, მით უმეტეს, როცა მდგომარეობა ხელს გიწყობს და თანამდებობითი უფლება ბრწყინვალედ შეგიძლია გამოიყენო ასეთი საქმისათვის...

ჰო და...

ერთ დღეს ხმა გავარდა სოფელ საბერიოში.

საბერიოს მცხოვრებთ კორიკ ეხერხებოდათ: გაუგონარს მოიგონებდნენ, მაგრამ გუბერნიაში მომხდარი ამბების დაწვრილებითი ინფორმაცია საბერიოლელებმა უფრო იცოდნენ ვინემ თვით გუბერნატორმა, ან დეპარტამენტის რომელიმე მოხელემ.

— ერთი კვირის წინ კბილებამდე შეიარაღებული შვიდი აბრაგი დასცემია ურიდიის კარავს. ატტეხიათ სროლა. ურიდია დაუჭრიათ. სროლის დროს პირუტყვიც ბლომად დაუხოციათ...

— საწყალი!

* იხ. „მნათობი“ № 1—2.



— უბედური! — იკადვებდნენ ურიდიას საბერიოში და დღეების წინ სკამ-ლოგინზე ჩამწკრივებულნი ზოსაუბრეს ყურს უგდებდნენ, დინჯად ამოვლებდნენ ყალიონს და დროგამოშვებით იბურჭყებოდნენ.

— დააქციეს გურია-სამეგრელო მაგ ძიგუებმა და ეს არის.

— დააქციეს, ნაგრამ ვინ არის ჩენი შეშვე...
 შიგლირისია

— რაო? ვინ დააქცია? — წამოხტა ფეხზე ქალბარა იაკინთე გაფორჩხია, მოყურადეები ჩაათვალირა და როცა დარწმუნდა, რომ ახლომახლო საეჭვო არა-ვინ იყო, სიტყვა განაგრძო: — პეტერბურგში რომ დაცემა მოხდეს ახლა, იმსაც ძიგუებს დააბრალებო, მე რომ თქვენი ამბავი ვიცი... კაცი ურიდიას კარავში თავს ინახავს და დაცემასაც თვითონვე მოუწყობდა?

— აბა რად იმალება თუ თავი დამნაშავედ არ მიაჩნია?

— ერთი შენც! — შეუტია იაკინთემ ხანშესულ გლეხს, — ძიგუა პრისტავ მირხახანის მკვლელია, თორემ...

— მკვლელიც არის და აბრაგიც... მცარცველი! — დაატანა ვილაყამ. — მით უფრო ის უმცროსი ძმა, ძიკი... ძიკი რწყილს გაატყავებს ისეთი ვაქნილია და გაუმადლარიც.

— როცა არ იცი?! მიახალა იაკინთემ უკანასკნელს.

— რა არ ვიცი, ყაძახო! — ჩაერია საუბარში სოფლის აზნაური გიორგი ადამია, ოომელსაც გასულ საუკუნის მიწურულში შეკერილი წულამესტები ფეხზე შემოხუნებოდა და ჩოხა-ახალხს პირვანდელი სახე დაკარგოდა. — მე არ ვიცი, რომ ბეგლარ ძიგუამ შეძრა და შეაწრიალა გურია-სამეგრელო! მე არ ვიცი, რომ მაგ ორი კაცის შიშით პატროსან კაცს გარეთ არ გაესვლება?! ქურში კი არ მძინავს ზოგიერთებსავეთ!

გიორგიმ შელანძლული ჩოხის კალთა ჩამოიკეცა, სახელოები წაიკაპიწა და ისეთი პოზა დაიკირა, თითქო ეს არის საჩხუბრად ემზადებო.

— მაგი არ ვიცი, მე? — ისევე განაგრძობდა ადამია და გლეხებს სათითაოდ აკვირდებოდა. თითქო დასტურსაც იმათგან მოეღისო. — როგორ გეკადრებათ!..

— ტყვილია ცხარობ, ბიძია გიორგი, ტყვილ-უბრალოდ — არ ეშვებოდა ადამიას მისი ახლო მეზობელი და ოდესღაც მისივე ნაყმევი იაკინთე გაფორჩხია, რომელიც ამჟამათ მოწინავე გლეხად ითვლებოდა საბერიოში, მიუხედავად იმისა, რომ ახალთაობის კაცად იყო მიჩნეული როგორც ხალხში, ისე მთავრობის თვალშიაც, სოფლის მედიატორეობა მას არ აცდებოდა, როცა გლეხები შინაურ სამართალს ამჯობინებდნენ მთავრობის სასამართლოს.

— როგორ თუ ტყვილ-უბრალოდ, ყაძახო! გამოდის, რომ შენ ჩემზე უკეთ გაგეგება ამ ქვეყნის აჯარაგი.

— მაგას ვინ ამბობს, ჩემო გიორგი!

— ასე გამოდის შენი სიტყვიდან... აბა!

— ყური მიგდე, ბიძია გიორგი! — დაიდაბლა სმა ქალბარა იაკინთემ, რომელიც არც ისე ხანშესული იყო, როგორც ამას მისი ვარეგნული შეხედულება ამელავნებდა.

ჩვენს შორის დარჩეს და ძიგუებში კი არ დააქციეს გურია-სამეგრელო... პირიქით, რომ მაგ ორი ძმაცაცის არ ეშინოდეს პოლიციის, მერწმუნეთ, ამდენ-ხანს ცხრა კეც ტყავს აგვაძობდენ გლეხებს კისერზე.

მეზღვრეთქა

— გლეხებს, — ჩაიხიხითა ბრაზით ადამიამ.

— დიად, გლეხებს, — გაუსვა ხაზი იაკინთემ და ისევ განაგრძო: — დაცემა და ყაჩაღობა ახლა თუ ხშირია, ძიგუსა და მისი ამბანაგების გადაკარგვა რომ შეიტყოს პოლიციამ, გარწმუნებთ, შეადღისას შარვალს გაგზდიან შარავგაზე და ხმას არ ამოგაღებებენ...

— პოლიციამ? პოლიცია რა შეაშია, როცა აბრაგი...

— პოლიცია?! დაფიქრდით და თვითონვე დაწმუნდებით. შორს რად მიდინართ, როცა მაგალითი თვალწინ გვიდგას.

— მაგალითი?

— რა მაგალითი? — მკვებედ იკითხა ადამიამ და უღვაშები ნერვიულად შეიგრინა.

— რა მაგალითი? — გაფორჩხიამ ეშმაკურად გაიღიმა, მოყურად გლეხები ერთხელ კიდევ ჩაათვალერა და ადამიას ბრაზით ანთებული სახე თვალბში ჩაისვა. მძიმედ ჩაახველა და დაბალი ხმით დაიწყო:

— ურიდიას კარავზე დაცემის ამბავი ხომ იცით? —

— ხალხი შეიშმუნა.

— მერე? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— ამხე უკეთესი მაგალითი რაღა გინდათ!

— როგორ?!

— არ მესმის?!

— ვერ დაგიჯერებ!

— ახლა იმასაც იტყვიან, რომ ძიგუა მართალია ურიდიას საქმეში! — ჩაიღინღინა ვილაკამ.

— ვინაზეთ ამისთანა?! — გაცხარდა გაფორჩხია როცა ასე უხეშად იხსენიებდენ პოლიტიკურად დევნილ ძიგუებს, თუმცა მათი, ძიგუების, ტყეში გასვლა და იარაღის ხელში აღება შეცდომად მიაჩნდათ მოძრაობასთან ახლო მდგომ პირებს, მათ შორის იაკინთე გაფორჩხიასაც. — ძიგუა პოლიტიკური კაცია... პოლიტიკური ყაჩაღი, თუ შეიძლება ასე ითქვას, და არა მძარცველი და შანტაჟისტი. ძიგუა ტერორის ტია.

— სცდები! — გაცხარდა ადამია, რომელიც წინაგრძობით იყო მტრულად განწყობილი ძიგუებისადმი და რომელსაც უტყუარ კეშმარტებად მიაჩნდა ძიგუების საწინააღმდეგოდ მოგონილი ჭორები და ყოველგვარი ცილისწამება.

— თვითონვე სცდები, ბიძია გიორგი, გარწმუნებ, რომ სცდები!

— ყაზახო! — იტყიკა ადამიამ.

— ცოტა ხმადაბლა, ბიძია გიორგი, თორემ... — აღუღვებელი ტონით დაუბრიალა თვალები გაფორჩხიამ ანთებულ ადამიას და მუნჯური მუქარა გამოამტკიცა.

ადამია მოლბა, შეშინდა კიდევ...

— აბა რას მიქვია, რომ მე ვცდები?!. როდის იყო გიორგი ადამია რომ ცდებოდა, რამე საქმეში?! არ იტყებდა იხტიბარს აზნაურული პარტივისციების მაღლობიდან დაქანებული ადამია, რომელიც დღესაც ვერ ამჩვენდა ცდებისგან ზედმეტ შელაპარაკებასა და წინააღმდეგობას.

— ყური მიგდე, გიორგი! მომისმინე...

— გინახავთ ამისთანა? „სცდებიო“, მლანძღავს და „ყური მიგდეო“.

— ნუ ცხარობ, ბიძია გიორგი! ესლავე ყველაფერს გამოვარკვევით...— შეარბილა ტონი იაკინთემ.

— ?!

— კარგია, განაგრძე, იაკინთე!

— როცა ურიდიას კარავს დაცემიან, ბეგლარ ძიგუას კარავში სძინებია.. აღბათ ყველას გაგეგონებათ, რომ ბეგლარ და ძიკი ძიგუა ურიდიას კარავში ინახავდენ თავს მთელი ზაფხულის განმავლობაში... ეს პოლიციამაც კი იცოდა... ჰო და იმას ვამბობდი,— დაიწყეთ გაფორჩხიამ თავდასხმის შესახებ,— როცა აბრაგები კარავს ჩასაფრებია, ბეგლარი კარავში ყოფილა, ამბობენ ეძინაო, ძიკი სანადიროდ ყოფილა წასული, თვითონ ურიდია კი ძროხებს წველიდა თურმე მწყემსებთან ერთად. როცა კარავს მიახლოვებია, ბეგლარს გაღვიძებია და ის იყო ლოგინიდან წამოდგომა დაუპირებია, რომ ღია კარიდან ეს შეუნიშნავს რომელიღაც აბრაგს და, იარაღში ჩამუდარს ბეგლარის დანახვაზე სროლა აუტეხია...

— სროლა?!

— პირდაპირ უსვრია?!

გაფორჩხიამ საუბარი შეწყვიტა და გლეხებს გადახედა, რომელნიც სულგანაბლნი უსმენდენ მას, დაინტერესებულნი, თუ რით დამთავრდა კარავზე თავდასხმა.

— მერე?

— განაგრძე!—ველარ მოითმინა გიორგი ადამიამაც და იაკინთეს პირდაპირ შეხედა.

— მერე და, უსროლიათ თუ არა ბეგლარისათვის, ხომ იცით, ბეგლარი როგორი მამის შეილია, გულადი, თავზეხელაღებული.

— კარგი, ერთი, თუ ღმერთი გწამს,— იწყინა რატომღაც ადამიამ ბეგლარის შეტება და ზიზღით გვერდზე გადააფურთხა.

— ტყუილს ხომ არ ვამბობ, ბიძია გიორგი. „ერთი თხისკენ, ერთი მგლისკენ“, გამიგონია, და ნიკო ძიგუა, ბეგლარის მამა, რომ გლეხის პირობაზე მოწინავე კაცი იყო ჩვენს საპრისტიავოში და ამასთან ერთად კარგი ვაჟკაციც, ეს შგონი სადავო არ არის!

— მართალია!—უმალ დაემოწმენ გლეხები იაკინთეს.

— მისი უფროსი ვაჟი ბეგლარი რომ პირწავარდნილი ნიკო ძიგუაა, ვგონებ არც ეს არის გამოგონილი ამბავი. ჰო და, გავარდნილა თოფი თუ არა,— დანჯად განაგრძობდა იაკინთე გაფორჩხია,— ნამძინარევი ბეგლარი ვეფხვივით წამოვარდნილა ზეზე, გავხედ-გამოუხედავს და, როცა შეუტყვია, რომ გზები ყოველი მხრიდან იყო შემოაკალული, კარავის უკანა კარებიდან გაქცეულა ნაბადწამოსხმული.



— ბიჭოს!

— აი გაბედვა!

— მერე?—ვერ ითმენდენ ზოგიერთები.

— მერე, მერე?—დაინტერესდა ადამია ბეგლარის მხნეობით და მისდაუნებურად თვალები გაუბრწყინდა, თუმცა არაფერი შეიმჩნია და ხელოვნურ გულგრილობაში ჩაკლა ალტკინება.

— კარგი მანძილი გაურბენია ნაბადწამოსხმულს, საილყო რკალი გაურღვევია... უსვრიათ აბრაგებს. უსვრიათ, მაგრამ... ხუმრობ თუ? ტყვია სიახლოვესაც ვერ გაუკარებიათ!

— აი მაღადეც!

— ყოჩაღ, ვაჟაკო!

— მოიცათ, ერთი!

— მერე, მერე?—არ ეშვებოდენ გლეხები იაკინთეს.

— კარგა მანძილზე რომ დაშორებია ბეგლარი აბრაგებს და თავი სამშვიდობოზე უგრძენია, შეჩერებულა.

— ლპ, შენი ჭირიმე, ვაჟაკო, შენი!—ველარ ითმენდენ გლეხები და მეტი-მეტი მოუთმენლობით მკლავებზე ჩოხის სახელოს იკარწაბებდენ, თითქო ვინმეზე საჩხუბრად მიიწვევენო.

— დააცათ, კაცო!

— აი ვაჟაკი!

— ბიჭო გამაგონეთ, რას ამბობს ეს კაცი!—უსაყვედურა გლეხებს ადამიამ და სმენა კიდევ უფრო გაამახვილა.

— შეჩერებულა,—განაგრძობდა იაკინთე და უკანასკნელ ეპიზოდს განგებ აქიანურებდა, წინადადებას უადგილოდ წვევტდა, ისვენებდა, აქეთ-იქით მიიხედავდა, ჩაახველებდა და ისედაც მოთმინება—დაკარგულ გლეხებს კიდევ უფრო აღიზიანებდა.

— შეჩერებულა, ჰო... მერე?—წამოიძახა ისევ ადამიამ...

— შეჩერებულა... ერთი ბომბი უთხლეშია კარავზე გარშემორტყმულ აბრაგებისთვის, გზა გაურკავს და ისევ გაქცეულა.

— გაქცეულა?!

— გაქცეულა მამაძალი, უყურე შენი აქცენტით წამოიძახა რომელიღაც მეგრელმა და სიამოვნებით აიჩეჩა მხარები.

— როგორ?

— როგორ და ფეხებით,—დასცინეს ერთმანეთს განცვიფრებულმა გლეხებმა.—თუ გაიქცა, ფეხით გაიქცეოდა...

— აბრაგები?

— დადევნებინ აბრაგები... უსვრიათ გზადაგზა, მაგრამ.—გაფორჩხიამ აქ გულიანად ვადიხარხარა, ვადიხარხარა და გაბრწყინებული სახით გლეხებს გადახედა.

— რა თავს იგდებ, ყაზახო!—ადამია გაწყრა გაფორჩხიას საქციელზე, რომელმაც თავისი გულისწყრომა ქარქაშწემოცვეთილ ხანჯლის ტარზე დაახვია და საუბრის უადგილო გაწყვეტისათვის იაკინთე თვალებით ამოიღო მიზანში.

— როგორ არ გავიცინო, ბიძია გიორგი, როცა... ხა-ხა, ხა! — კვლავ ვე-
ლარ შეიკავა სიცილი იაკინთემ და ცბენივით ახეიხეინდა.

— შეგარცხვინა ლმერთმა! — შეტრიილდა განზე ადამია.

— მოიცათ, კაცო!

— აბა, რა არის მაქ სასაცილო? — ცხარობდა ადამია და სკამლოგინზე წამფურცივით ტრიალებდა...

გაფორჩხია კი მედიდურად გადახედავდა ხან ერთს, ხან მეორეს და სიამოვნებით იღიმებოდა. გაფორჩხიას უკვირდა ხალხის ასეთი დაინტერესება ძიგუას ფაქტობით, განსაკუთრებით ადამიას აცქმუტება, მაგრამ აქ საკვირველიც არაფერი იყო. ხალხს მოსწონდა ყოველი გავარდნილი, დევნილი, თავგზებულადებული.

მოსწონდა მეგრძოლი და მემამოხე...

ბეგლარი ხომ ასეთებშიაც გამოირჩეოდა... ამიტომ აზნაური ადამია სიამოვნებით ისმენდა ყოველგვარ რაინდულ ამბავს და გავარდნილთა თავგადასავალს. ბეგლარ ძიგუას თავგადასავალიც რაინდულად ეჩვენებოდა გაფხეკილ აზნაურს.

— როგორ არ გავიცინო, ბიძია გიორგი! — ღიმილით განაგრძობდა გაფორჩხია, — ბომბით გზა გაურეკავს თუ არა, ძიგუას მიმართულება შეუცვლია, აბრაგებს გზა დაუკარგავთ. ამასობაში ბეგლარი ტყის კალთებს შეფარებია. თვალთმაქცურად ნაბადი ნაძვის გადანაქერ ჯირკზე წამოუხსამს, თავი ყაბალახით წაუტარავს ჯირკისთვის, ჩასაფრებული კაცის საფრთხობელა გაუკეთებია და თვითონ კი არხეინად შემალულა ტყეში. უტყინო აბრაგებს თვალი მოუკრავთ საფრთხობელასთვის და, როცა დარწმუნებულან, რომ კაცის მაგიერ საფრთხობელას ესროდენ ამდენ ხანს, ბრაზით დაუყენებიათ ტუჩები. გაცეცხლებული მობრუნებულა და ფიცხელი განკარგულება გაუცია: „მორკეთ ტყე და რითაც არ უნდა დაგოჯდეთ, ხელში ჩაიგდეთ გაქცეული“.

— კი, მაგრამ... მოიცა, მოიცა, ზემო იაკინთე, — წამოიძახა ადამიამ და, ამდენხანს უმოძრაოდ გარინდულმა, უცნაურად გაიღიმა, — ერთი ის მითხარი, როგორ ესროდენ საფრთხობელას თავდაშხმელები, როცა ვითომ კაცივით ჩასაფრებული საფრთხობელა სროლით არ უპასუხებდა? ნუ თუ ვერ მოისაზრეს, მკედარი იქნებაო, როცა ადგილიდან არ იძვროდა ჩასაფრებული და არც სროლით უპასუხებდა.

— თქვა ამანაც სიბრძნე, — ჩაილაპარაკა რომელიღაც გლეხმა.

— აბა, ვერ მოიფიქრეს, რომ...

— ერთი შენც, თუ იმის მოფიქრება შეეძლოთ, მკედარი იქნებაო, რატომ არ უნდა ეფიქრათ, იქნება თავს იმკედარუნებს და აბრაგების მოახლოვებას ელოდება, რომ უფრო უსუსტათ ამოიღოს მიზანშიო, — განმარტა მანვე.

— საჭმე ის არის, რომ... — ცხარობდა ადამია და უღვაშებს იგრუნდა გლეხების მეტოქეობით გაბრაზებულნი.

— დიად, საჭმე ის არის, — ჩამოართვა სიტყვა ადამიას რომელიღაც გლეხმა, — თუ როგორ მოისაზრა ასეთ დროს ბეგლარმა საფრთხობელით აბრაგების დაბრკელება და არა ის, თუ რატომ ვერ მოიფიქრეს აბრაგებმა...



— მოიცა, ყაზახო!

— განაგრძე, იაკინთე!

— პო და, — განაგრძობდა გაფორჩხია, როცა გლეხები და ადამიანთა დასხრა თავის უხვირო ამოჩემებაზე, — გაუცია თუ არა ადგილიდან აბრაგები, ტყიდან მოულოდნელად გაფარდნილა თოფიც და ფეხმოტეხილი მოწინავე აბრაგი დაგორებულა გულშელონებული.

— ფეხმოტეხილი?..

— როგორ, ფეხმოტეხ... — შეჩოთირდენ ზოგიერთები და წინადადების დაბოლოება ველარ გაბედეს.

— დიალ, მარჯვენა ფეხი მოუტეხია, — ხაზგასმით გაიმეორა გაფორჩხიამ და ცბიერი ღიმილი შეეპარა უღვაწებში.

— მოიცა, კაცო, მარჯვენა ფეხი... — შეიგრინა უღვაწები ადამიანაც... — საკვირველია, თქვენ ნუ მომიკვდეთ...

ხანშესულმა გლეხმა მუჯლუგუნი წაჭრა მის გვერდით მჯდომ მეზობელს და გასტერებულმა სიჯერ გამოისახა პირჯვარი.

— მარჯვენა ფეხი... როგორ გეკადრება, შეუძლებელია! — განგებ ვაგი-უტდა გიორგი ადამია, რადგან თვითონაც კარვად გრძობდა, რომ მუნჯური დაეკვების მისამართი ერთი თვალსაჩინოა მოხელის გარშემო ტრიალებდა, რომელიც ამ დროს ქუთაისში იყო წასული სწორედ მოტეხილი მარჯვენა ფეხის სამკურნალოდ და გასამთვლებლად.

— მარჯვენა ფეხი... რაეა, მარჯვენა ფეხში არ ჰკრეს ტყვია იმ ჩვენ ბოქალსაც? — გულუბრყვილოდ ვაჩიამელაენა ბოლოს ერთმა სოფელელმა, რომელიც აქამდე სულ იმის ფიქრში იყო, თუ ვის სტკიოდა ამ ბოლო ხანებში ნატყვიარი მარჯვენა ფეხი.

— ვითომ? როგორ დავიჯერო?! — ამოიწმინდა თვალეები ადამიამ.

— ყაჩაღობასაც მიჰყო ხელი?!

— აღარ გეჭონია საშველი და ეს არის, — სთქვა ერთმა.

— მის რაიონში ხომ არ მონხდარა, სხვისას რას დაეძებს, — დაუმატა მეორემ.

— ჩიჩია შეთაურობდა კარავზე თავდასხმას?! ვაიმე ცოლშვილო!.. — აღმოხდა სოფლის ღარიბ გლეხს ივანე ჯალორის და ისე მაგრა იტკიცა ხელი მოტეხილ შუბლზე, გეგონებოდათ მოსწრებული შვილი შეიცხადაო.

— კი, მაგრამ გადაცმული ყოფილან, თუ პოლიციის ფორმაში გამოწყობილი? — კვლავ დაეკვდა ადამია ჩიჩიას ნამოქმედარზე.

— ცხადია, გადაცმული. პირველად აბრაგების სახით თავს დასამიან ურიდიას კარავს... ამბობენ — დიდძალი ფული ეგულებოდათ კარავშიო, და მიზანიც ცხადია, გაძარცვა იქნებოდა.

— ძიგუა?!

— ძიგუა აღაბთ შემთხვევით შეხვედრიათ, ან შეიძლება მისი ჩემად მოკლა ჭინდათ განზრახული.

— ზერე?

— როცა პირველად ძიგუას შეეჩეხენ კარაეში, მისდამი დადევნეა ც ალ-
ბათ სწორედ ამითვე აიხსნება, მაგრამ აბრაგები მოტყუედენ ანგარიშში...
— როგორ?

— სროლის გაგონებაზე ურიდია გამოქცეულა კარავისაკენ. უსერიით მისთვის-
საც, ამზობენ მსუბუქად დაიჭრაო; ფული წაუღიით, მაგრამ... ბეგლარი ველარ
უპოვნით... ვასულა რამდენიმე ხანი, და ურიდიას კარაეში მიბრუნებულან ახ-
ლა უკვე პოლიციის ფორმაში გამოწყობილი „აბრაგები“... მოუხდენიით თვალთ-
მაქცური კვლევა-ძიება... დადევნებიან „თავდამსხმელთა“ ნაკვალეებს. აურტხიით
ტყეში სროლა, ვითომ „აბრაგების“ შესაპყრობად, და მეორე დღეს ხმა დაუ-
ყრიით: აბრაგებთან შეტაკების დროს მარჯვენა ფეხში მძიმეთ დაიჭრა ურაველ-
ში დასესვენებლად ჩამოსული საბერიოს ბოქაული მურთაზ ჩიჩია.

— ვითომ ბეგლარი მოტებდა ფეხს?

— ჩუ, არავინ გაიგონოს!— გააფრთხილა ივანე ჯოლორიამ თავისი მეზო-
ბელი.

— გაიგონოს რა, მთელ ქვეყანას ცოდნია ეს ამბავი და ახლა რა დასა-
მალაგია.

— იციან, მაგრამ...

— ჰაი გიდი დროებავ!— ამოიხრა ივანემ.

— ივანე, რაზე ამოიხრე?

— იცით ჩიჩია რა წარჩინებას მიიღებს მაგ ფეხის თაობაზე?

— ამზობენ, უკვე უცნობებია გუბერნატორისათვის, გუბერნატორს კი
მთავარმართებელიზა მოუხსენებიაო.

— ნეტა როგორი ცნობა წაადგინა?!— დაინტერესდენ ზოგიერთები.

— როგორი და: „აბრაგებთან შეტაკების დროს ბოქაული ჩიჩია პირადად
გვეთა მტერს, დახოცა რამდენიმე აბრაგი და თვითონაც დაიჭრა მარჯვენა
ბარძაყში“.

— ო-ო-ო!

— ზედავ?!— აქნეედენ თავს გლეხები.

— ამზობენ, პასუხიც მიუღიაო, — დაასრულა ამბავი იაკინთე გაფორჩხიამ
და სკამზე ჩამოჯდა.

— დააჯალდობდენ უთუოდ.

— წმ. ანას ორდენი და ოქროს მედალი სიმამაცისათვის.

— ჰაი გიდი დროებავ!— ეკლავ ამოიხრა ივანემ და თავი აამოძრავა. —
ვისთვის დედაა ეს ცხოვრება და ვისთვის დედინაცვალი...

— კი, მაგრამ აზნაური მაინც არ იყოს მაგ შობელძალი...— ჩაილაპარა-
კა თავისთვის აღამიამ და თავი დაბლა დახარა. — კეთილშობილი სისხლის პატ-
რონი კაცი. მაგას როგორ იკადრებდა?

— კეთილშობილი სისხლის პატრონი...— დასცინეს აღამიას.

— ჩიჩია და კეთილშობილი?!

— რა ვიცი, შე კი მეჩოთირება და, — დაასკენა ისევე აღამიამ და განგებ
გაილურსა.

— მეჩოთირებოდეს... გულში შენც კარგად ხარ დარწმუნებული, მაგრამ...
აზნაური ხარ, ჩემო ბიძია, კუდაბზიკა აზნაური... ვახუნებული...



- გახუნებული?!—აიმაღლა ხმა ადამიამ.
- არა. მამა გიცხონდა...—ახმაურდენ ირგვლივ გლეხები.
- გახუნებული?—გაიმეორა ადამიამ განაბრაში ხმით.
- დიად, გახუნებული! შენ კი არა, საცაა დადიანიც კი...
- ჩუმად, ყაზახო!—დაიჩემა ადამიამ.
- ხა, ხა, ხა!—ახითხითდენ გლეხები და ადამიას ტანშორთულობას ეშმაკურად ვადახედეს.

— ყაბალაბი შერჩენია გაუხუნებული,—სიცილით თქვა ერთმა.
 — ყაზახო, ჭკვიანად შეთქი, თორემ...—იწყინა ადამიამ, შაგრამ ვერაფერი გაბედა და ძალაუნებურად ხუმრობაში ჩაატარა მისი აზნაურული „ქედმაღლობა“ და ასეთივე ყაიდის სიფიცხე-გულმოსულობა.

მზე გადახრილიყო, როცა გლეხები დუქნიდან წამოიშალენ და მხრებზე ყაბალახადაგდებულნი შინისაკენ დაიძრენ.

- ველარც მთაერობას უნდა ენდოს კაცი?!
- ვაი, რა დრო დაგვიდგა?!
- მთაერობას! რომელ მთაერობაზე ლაპარაკობ?
- რომელ მთაერობაზე?
- ჰო, რომელზე?
- ხალხის მთაერობაზე.

— სადა გვეყავს, ივანე, ხალხის მთაერობა?! ჩვენი მთაერობა შეძლებელთა მთაერობაა, კაპიტალისტების დამცველი, და არა ხალხის...

— მოიცა, რაფა...—მიუბრუნდა იაკინტეს ივანე ჯოლოსი და ნაბიჯი შეანელა.

— ხალხის მთაერობა გვეყოლება, ჩემო ივანე, ოდესმე გვეყოლება, და მაშინ ნახვ თუ რა განსხვავებაა ხალხისა და ნაძირალების მთაერობას შორის.

- რაფა, მთაერობა გამოიცვლება თუ?—დაეჭვდა ივანე.
- კი არ გამოიცვლება, გამოსცვლიან, ჩემო ივანე, ვადმოაგდებენ და ახალს აირჩევენ.

— მოიცა, მოიცა, თუ ღმერთი გწამს, ერთი რიგიანად ამიხსენი ეგ აშბავი,—დაინტერესდა გზადაგზა ივანე და მის მეზობელ იაკინტეს პირველად გამოკითხა დაწერილებით ახალთაობისა და მომავალი მთაერობის საკითხები...

ჯონ ელიოტი ოცნებობს.

სურების ტყე ნიხლით შესუდრულა.

სახელდახელოდ აგებულ ხის კარავში რაღაცას ჩოჩქოლობენ. უცხო სტუმრები სწვევია სურებს.

მაგიდაზე გადაშლილ საქართველოს რუკას გარშემო ეხვევიან სპეციალისტები. ფერადი ფანქრებით რუკას ხაზავენ, ციფრებს აჯამებენ.

— სურების ტყე... მდინარე სუფსა... შავი ზღვა...—გაავლო ხაზი ინჟინერმა და ინგლისელ კონსტრუქციონერს ჯონ ელიოტს თვალში შეატყდა.

— სუფსა... შავი ზღვა.—ოცნებობს კონცესიონერი და ჩიბუხს ათითბინებს.— ხმელთაშუა ზღვით პირდაპირ ინგლისში.— უმატებს თვითონვე და ისევ, ოცნებაში იძირება.

ოცნებობს ინგლისელი... დიან, ოცნებობს, რადგან, მართალია, სურების ტყე მდიდარია ძვირფასი ფიჭვნარით, ნაძვნარით, სოკითა და ურთხელით, მგერამ...

— გზა?!

— ?!

— გზა...

აი აქ კი დაფიქრდენ უცხოელი სპეციალისტები.

დაფიქრდა კონცესიონერი ჯონ ელიოტიც.

— გავიყვანოთ რკინის გზა,—დაარღვია ელიოტმა მყუდროება.

— ?!

— ძვირად დაგვიჯდება, ვერ გავუძლებთ,—გაბედა მრჩეველმა.

— გზატკეცილი?

— სიექსპლოატაციოდ არ გამოდგება.

— მაშინ მდინარით. წყალი ხომ ყველაზე იოლი საშუალებაა ხე-ტყის გადასაზიდათ.

— მართალია. ტივებით, პირდაპირ შავი ზღვისაკენ.

ინგენერი შეყოყმანდა.

— ლრანტები, კლდეები?—იკითხა ვილაკამ.

— მეც მაგაზე ვფიქრობდა,—გამოამჟღავნა ყოყმანი ინგენერმა.

— სუფსის კალაპოტი ვიწროა, ორწოხებიანი. ტივებს ვერ გაემართავთ.

— მეც ასე ვფიქრობ,— კვლავ დაადასტურა ინგენერმა.

— არ ეპარა მარტო ფიქრი,—შენიშნა ელიოტმა,—უნდა გავმართოთ და გავიტანოთ.

კონცესიონერი კვლავ ჩაფიქრდა წამოჭრილ დაბრკოლებაზე. მას თვალწინ წამოუდგა კონცესიაზე უკვე დახარჯული ორმოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი, გაითვალისწინა მომავალში მოსალოდნელი ხარჯები, არა ნაკლებ ასი ათასი გირვანქისა და...

— ავინახლავურებ... წკებლასაც არ დავტოვებ საკონცესიო ფართობზე, ოლონდ...

მრჩეველი უდავოდ ეთანხმება კონცესიონერს. ეთანხმება და თავს აქიციენებს.

გადაწყდა: ხე-ტყეს შავ ზღვამდე მდინარე სუფსით გავიტანთ, ხოლო წყალმა რომ ტივები ვაიბაროს, საჭიროა მდინარის კალაპოტის გაწმენდა და გასუფთავება.

— ლაღუმები, იფეთქება, და კალაპოტიც გაიწმინდება,—დაასვენა საბოლოოდ კონცესიონერმა და მახლობელი ფოსტის განყოფილებიდან ტელეგრაფმა წაიღო ცნობა ინგლისში შესახებ ასაფეთქებელ ნივთიერებათა მარაგის გადმოგზავნისა სურების ტყეში.

დამწვინებულმა ჯონ ელიოტმა ჩიბუხი ხელიდან გააგდო, ძვირფასი ინგლისური სიგარა გააბოლა და სპეციალურად ინგლისიდან წამოყვანილ მზარეულს ბიფშტექსი დაუკვთა.

ელიოტი სუფსის პირად იჯდა და დაწყურული თვალებით ჯერ ხელსუბლებელ სურების ტყეს ზეერავდა.

ტაფაზე სისხლიანი ბიფშტექსი მიშხინებდა.

სუფსის პირად მუშები შეგროვილა.

— წყალი გაიტანს ამ საწინახლის ტოლა მორებს?—კითხულობს ყაბაღი-ბით თავშეხვეული.

— ამბობენ, კალაპოტი უნდა გაიწმინდოსო.

— თუ გინდა გაიწმინდოს, წყალი ამ ხეებს მაინც ვერ ზიდავს.

— ლანქერს შეურჩევს.

— ლანქერს? მაინც შეეშვება! ლანქერი თვენახევარში ჩათავდება და მერე ბაწრით თუ წაათრევ, თორემ წყალი ვერ მოერევა ამ სისხო მორებს.

— ვერ მოერევა და...

— მუშებში სიცილი ატყდა.

— დაგვრჩება ამდენი ნამუშევარი.—გამოამკლავნა ერთმა სიცილის მიზეზი.

— რას დატოვებს!—დაეჭვდა მეორე.

— ინგლისელი რამეს დატოვებს!? დაემოწმა მესამე.

— თუ არ დატოვებს, რკინის გზა უნდა გამოიყვანოს ბათომიდან...

— არც რკინის გზას გამოიყვანს და არც ტყეს დატოვებს.

— დამიჯერე რომ დატოვებს...

— ერთი შენც! რას დატოვებს, როცა ორი ვაგონი ლალუმის წაშალი და ფითილი გამოუწერია ინგლისიდან, აი კარჩხლები უნდა ააფეთქოსო,—დაიჭინა ვილაკამ.

— აბა, მოგვხმარებია ღმერთი გურულებს. სამუშაო გვექნება. ცალკე ტყეში, ცალკე აფეთქებაზე.

— სამუშაო ბლომად იქნება ხელფასზე მაგრა დაეპიროთ თავი.—გაფთხილების ნიშნად თქვა ერთმა.

— მართლა, ნუ გეშინია, ინგლისიდან ვერ მოიყვანოს მუშები. რას ვახდებ!

— ეს ჩვენს რწმუნებულზეა დამოკიდებული.

— რწმუნებულის იმედით ფართო ლოგინს ნუ დაიდგამ, წამოიძახა ერთმა, რწმუნებული თვითონ ფიქრობს გამდიდრებას, ჩვენთვის როგორ იბრძოლებს.

— არ იბრძოლებს და არ ვიმუშავებთ.

— შენ არ იმუშავებ, მაგრამ... სხვები იმუშავენ,—დაბეჯითებით განაცხადა ირაკლიმ.

— რა?

— სხვები იმუშავენ?—წყენით გაიმეორა ილიკომ და ირაკლის ახედდახედა.

— დადგენილება გამოვიტანოთ.

— წრის სხდომაზე დავსვათ.— ახმაურდენ მუშები, ილიკო ჩაფიქრდა.

— იცით რა, ბიჭებო? რწმუნებული დიდი გაიძვერა ვინმესა და ვინმის იცის როგორ მოაქაზებრაკოს საქმე ინგლისელთან, ამიტომ...

— ამიტომ ერთსულოვანობაა საჭირო. პირი შეეკრათ.

— პირი შეეკრათ და სანამ კომიტეტი არ დაადგენს, ხალხს სამუშაოზე ნუ გამოვიყვანთ.

— ჩუ!— წამოიძახა უცებ ილიკომ.— ქიშვარდი მოდის, ჩვენი რწმუნებული. ახლავე მოველაპარაკოთ.

— მოველაპარაკოთ.

შარაზე მართლაც გამოჩნდა ელიოტის ადგილობრივი რწმუნებული ქიშვარდი შერვაშიძე. მაღალი, თვალთანადი, მხარბეჭიანი. ამაყად იჯდა შერვაშიძე კობტა იორლაზე... არწივივით იყურებოდა.

ცხენი მოთხარაკობს ქადმორეული და ლავამს ძოდნის... რწმუნებული კი სარფიან ოცნებას გაურტაცნია. ოცნებობს შერვაშიძე კონცესიაზე, კონცესიონერზე, მოსაგებზე, გამოსარჩენზე და...

— სიქას გავაცლი მაგ ინგლისელ იორქშირს, ტყაეს გავაძრობ. ცალკე ელიოტს დავცინცლავ, ცალკე ამ ცხვრის ფარას გავკრეკ.

რწმუნებულმა კონცესიონერის კარავის მიღმა თავმოყრილ მუშებს მოავლო თვალი და ცბიერად ჩაიღიმა იორლაზე კოდალივით გამართულმა.

რწმუნებულს მისვალმენ. ცხენი ჩამოართვეს.

— რას იტყვიან ახალს?— იკითხა შერვაშიძემ და ბაღდადური ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა.

— ახალს თქვენგან მოველით.— მდაბლად მოახსენეს რწმუნებულს.

— საჭიროა მოვილაპარაკოთ.

— კარგი, ახლავე მოვილაპარაკოთ.

ქიშვარდი კარავიდან გამოსულ ინგლისელს მისვალმა.

მუნჯურად გაუღიმა სერ ელიოტმა ახმაურ შერვაშიძეს.

ლიმილიდან ბირდაპირ საქმეზე გადავიდენ.

— რას მოითხოვენ თქვენი მუშები დღიურად?— იკითხა ელიოტმა.

— ორ მანეთს.— არ დააყოვნა შერვაშიძემ. ამას წინადაც ხომ მოგახსენებთ მუშათა ხელფასის შესახებ,— ლიმილით დაუმატა გაქნილმა რწმუნებულმა

— ორი მანეთი... არ შემოძლია. ეჭვსი აბაზი და სამუშაო იარაღები გმონებ იმ დღესაც ასე შევთანხმდით.— მოაგონა თავის მხრივ ჯონ ელიოტმა რწმუნებულს და ლიმილზე ლიმილით უპასუხა.

— შევეკითხები და ვნახოთ.

რწმუნებული მუშებს მოუბრუნდა:

— სამ აბაზს იძლევა დღიურად და სამუშაო იარაღს.

— სამ აბაზს?

— ცოტაა! დავცინის თუ?

— არ ვიმუშავებთ,— აყაყანდენ ერთხმად მუშები.

— ჩვენი ხარჯით სამ აბაზად როგორ ვიმუშავებთ?!

— რაო?— დანიტერესდა ხმაურობით ინგლისელი და მუშებს მოუახლოვდა.

— უარს ამბობენ. არ ვიმუშავებთო, — გადასცა რწმუნებულს ნაბეჭდი მანს რომელიც ძლიერძლივობით ლაპარაკობდა რუსულს, თარჯიმანს კონცესიონერს მოახსენა:

— მანეთ ნახევარი დღეურად... მეტი კი არც ერთი კაპიკი.— მოუმატა ელიოტმა.

— თხუთმეტ შაურს იძლევა. მეტის მომატება არ შემიძლიაო, — გააცნო რწმუნებულმა მუშებს კონცესიონერის უკანასკნელი წინადადება.

— ცოტაა.

— არ ვიმუშავებთ.

— არ იმუშავებთ და...— აიღერდა ირაკლი რომელიც აქამდე რწმუნებულს მიჩერებოდა თვალბში.

— რა! ერთბაშად ინგლისიდან არ მოიყვანოს მუშები!..

— მოიყვანს, რატომ გგონია, რომ ვერ მოიყვანს, — შეესიტყვენ ერთმანეთს მუშები.

— თხუთმეტ შაურად როგორ ვიმუშავებთ! მანეთ ნახევარი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვიმუშავებთ.— დაასკვნა ილიკომ.

— დიხაც არ ვიმუშავებთ, — დაემოწმენ მუშები ილიკოს.

— ვეცდები და ვნახოთ— შეტრიალდა რწმუნებული.

— რაც უნდა ის ნახოს. მანეთ-ნახევარი რა დიდი ხელუასია?!

— არ მოგვეცემს და ნუ ვიმუშავებთ.— გულს იმაგრებდენ მუშები.

— არც სხვა მუშებს მოვაყვანიებთ.

— შენც ამბობ, რაღა?!— აიღერდა ირაკლი გვარამაძე.

— რა? შენ გგონია მოვაყვანიებთ?

— ვინ გვეკითხება, რომ არ მოვაყვანიებთ.

— მაშინ გაიგებს.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, — აიტკიცენ ზოგიერთები.

— ბიჭებო! — ჩაერია საუბარში კონცესიონერთა მოლაპარაკების შემდეგ დაბრუნებული რწმუნებული. — იძლევა ექვს აბაზ ნახევარს, იმ პირობით, თუ ძალიან იერთგულდებნო.

— ცოტაა!..

— ცოტაა, მაგრამ... დათანხმდენ ბოლოს მუშები.

— თუ გინდათ, სანარდოზე იმუშავეთ... ნაპრობით...

— ვიმუშავებთ.

— იმუშავეთ... და მერწმუნეთ, სამ მანეთზე მეტს გააკეთებთ დღეში. კონცესიონერიც მოხარული იქნება, რადგან სამუშაოს აღრე დაამთავრებს და ლანქრობაზე წყალი გაწმენდილი დატრჩება..

რწმუნებული სანარდო სამუშაოში მეტს სარგებელს ხედავდა და ამიტომ იყო, ასე გულმოდგენედ ურჩევდა მუშებს სანარდოზე გადასულიყვენ.

მუშები გავიდენ სამუშაოდ.

მეორე დღეს სურების უღელტეხილს შიშის ზარს გვრიდა ერთ-ერთი მეორეზე შეწყობილი ლალუმების გრიალი და ორ კედელ შუა გამოწყვედილი დამაყრუებელი ხმაურობა.

მუშები აფეთქებდნენ მდინარის კალაპოტს, ელიტი კი მსუფთავებდა ზარისა და ევროპის სხვა და სხვა ქალაქში ფრანკო-ტყის ფასის შესახებ ოცნებობდა.

დანისლული გული.

მოწყენილი გავიდნენ ძმები სანისლიაზე.

რთილს შეუფიქრავს გაშლილი საძოვრები.

ჯოჯი აღარ მოიანს თვალუწვდენ მინდვრებში. ქალტამიც * რთვილით შესუდრულა.

ურიდიას ჯოჯი ზარას აწფოთებს გაბმული ბლავილით.

შემოდგომის ირიბი მზე ეპარება მთის კალთებს.

ქიპებს ოწხივარი ასდის. სიპებზე სითბო მომაგრებულა. ჩამოჯდა ძიკი.

ბეგლარი შეელივით ახეტიალებს თვალებს დართვილულ მინდვრებში.

მთის წვერი გატიილდა: ნისლი გადარეკა ფართხალა სიომ. ნისლი გადა-რეკა, მაგრამ ძმების გული დანისლულია.

გამოიწნდა ბარი. სამოსელ—შეყვითლებული სოფლები, რთველ მოწყული, მომარაგებული.

უფერულია შემოდგომის მზე. უსიცოცხლო გამოფიტული.

უსიცოცხლო და ფერმკრთალია ირგვლივ ყველაფერი უნებლიედ გრძნობ ზამთრის სიახლოვეს და გული გეკუმშება.

ძიკი გაპყურებს თვალუწვდენ სივრცეს. შორს—დანისლული სვანეთის მთები, თეთნულდი, უშბა... დაბლა—სამეგრელო და იმერეთის კალთები. ცენტრში—სამტრედია, რკინის გზის დეპო, საკვამურები.

— ეჰ!—დაიგმინა ძიკიმ გულსაკლავად.

— რა იყო?

— არაფერი.

— რაზე ამოიხრეს ასე მწარედ? იქნებ სოფელი მოგენატრა?

— როგორც ყოველთვის. იცი ბეგლარ, — ისწია თავი ძიკიმ და ხელი ბარისკენ გაიშვირა. — შე სოფლისთვის დაეზადებულვარ, მყუდრო ოჯახური ცხოვრებისათვის, შენ კი... აბა, ამ მთაში რა გამაძლებინებს? მთაში და გაეარდნილი...

— მიზეზი მთა როდია, ძიკი!

— გარწმუნებ.

— მიზეზი ხულ სხვა რამეა.

— არა მეტქი!

— შენ ბარშიაც ცუდი მებრძოლი ხარ.

ძიკი დაფიქრდა.

„შართლაც რომ ცუდა მებრძოლი“... — აღარ დაასრულა აზრი ძიკიმ და მოიღრუბლა.

* ველურა მცენარეებით დაფარული ადგილი.

— უსუსური ვარ. ამას თავიდანვე ვგრძნობდი. — წამოისროლა მანუჩი.
რამდენჯერ გითხარ დამტოვე შეტქი! — აიტყია ბეგლარ.

ძიკი დამტოვდა. ნერწყვი წველებით გადაყლაპა.

— განიარაღდი, დაუბრუნდი მკუდრო ცხოვრებას.

— შრტხენია! — აღინდილდა ძიკი.

— გრტხენია... — დასცინა ბეგლარმა გაუბოროლ ძიკის — გასწი! სულერთია შე სხვაგან ვაპირებ. — აიმაღლა ხმა ბეგლარმა.

— სად, ბეგლარ?

— ეგ შენი საქმე არ არის.

— ბეგლარ!

— არ არის შეტქი!

— ბეგლარ?

— !?

ტყე შეიშვეშნა. მოისმა გამაყრუებელი ხმაურობა და კანტა-კუნტი ვრიალი. ძიკი შეტოკდა. სროლა მოავონდა. კარაუზე თავდასხმა, თავდასხმის დროს ჩიჩიას ზურგი, და უჩარდიას გამანადგურებელი შეძახილი: „მოიტა თოფი!“

— გრ-რ-რ-რ! — ევლავ აქუხდა სურების ხეობა და მიუბი შეზანზარდა.

— რა მოხდა, ბეგლარ? ნუთუ... — გაუფართოვდა თვალები ძიკის.

— არაფერი! კლდეებს აფეთქებენ, — შვიდალ უპასუხა ბეგლარმა.

— შენ... საიდან იცი, რომ აფეთქებენ?

— ვიცი. სურებში რომ ვიყავი, იქ გადმომცეს.

— გუშინწინ?!

— უფრო ადრეც.

— მაშ შენ...

არა, შე რუსეთში ვაპირებ ვაპარვას, — იცრუა ბეგლარმა, — ამას წინადაც გეუბნებოდი: მომწყინდა შეტქი! მომწყინდა და მუშაობას უნდა შეუდგე.

ძიკი კვლავ ჩაფიქრდა. თუკა მას ყველაფერი ადრევე ქანდა გადაწყვეტილი, მაგრამ დღესაც ოცნებამ გაიტაცა.

— შე... თუკა, რა სჯობია ახლა სოფელს, სოფელში ყოფნას?

მატარებელი შეიქრა რომელიღაც სადგურში და ღია მინდორზე დატოვა ნისლი ტყეისფერი.

— მიჰქრის მატარებელი. მოჰქრის! — ძიკიმ ხელმოფარებით გადახედა ბარს და ისევ განაგრძო: — აი. საბერიოც! ალვის ხეებს ხომ ხედავ, ბეგლარ? შეყვითლებულ ალვის ხეებს.

— ეხედავ — უგულოდ თქვა ბეგლარმა და ისევ ფიქრება მისცა თავი.

დაფიქრდა ძიკიც მაგრამ ახლა ის სულ სხვა ფიქრებში გართულდა. ურავლაზედაც კი ელენე ავონდებოდა ძიკის იმ დამეს, როცა შეფეთა ურიდიას ოჯახში.

დამუნდა ძიკი. წარბი დახარა ელენეზე ფიქრებით აფორიაქებულმა.

— მშვიდობით, ძიკი! — ერთბაშად წამოიძაბა ბეგლარმა და უმკროს ძმას ხელი გაუწოდა.

ძიკიმ თვალები ვერ გაუმაგრა ბეგლარის ანთებულ თვალებს და გამოუვადლი უხერხულობა იგრძნო.

— მშვიდობით!— გაუგებოდა. ბეგლარმა— ადამიანი როცა სოფლებსკენ მიიწევს, შეუძლებელია მისი სხვა გზით ტარება.

— ბეგლარ! მე მტკბენია ჩემი საქციელის.

— არაფერია: წადი, შეურბედი მთავრობას. იცხოვრე წყნარად და მოსვენებით, თუ კი ასეთ ცხოვრებას სადმე მიაგნებ.

— ბეგლარ!

— დედას მიხედვით კია! მისი სიციხულე ძვირად გიღირდეს. მშვიდობით! ძიკიმ კანკალით ასწია ხელი, ბეგლარის გაწვდილ ხელს ოდნავ შეეხო და დამბლადაცმულოვით მოიღვენთა. რა არ მოაგონდა ამ წუთში ძიკის! სოფელი... კარავი, ურიდია... გოჩა ურიდია... უჩა... ელენეც... ბეგლარმა იგრძნო ძიკის უსიციხულო ხელი... უსულგულო გამოთხოვება, და სიზმარივით მოაგონდა მირზახანზე თავდასხმისა და გაქცევის დღეები, ძიკის სიზნაღე და ლაჩრობა.

— ბეგლარ! მე შენს თანამგზავრად ვერ გამოვდექი, ამჟანაგობა ვერ გაგიწიე. ძმა ხარ ჩემი, მაგრამ სულ სხვა ყაიდის კაცი ხარ. პირდაპირ გეტყვი: კარავზე თავდასხმის დროს...

ძიკი დამუნჯდა. მოფიქრებულის თქმა ვეღარ მოახერხა.

— რა?— ზგულოდ შეეკითხა ბეგლარი ძიკის.

— არაფერი.— შევშინდი და დავიმაღე, როგორც ყოველთვის.

— კარგია, ძიკი! რა საჭიროა აღსარება ღვიძლი ძმის წინაშე. ჩვენ ხომ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. დამალვა არაფერია. საკუთარ სიციხულეს ვინ არ უფროთხილდება და ეფერება, მაგრამ... მაგრამ როცა სიზნაღის წინ გამბედაობაც წამოიჭრება, ორქოფობაც... ერთი სიტყვით, როცა სასწოროზე შედგება ორი სხვა და სხვა სიდიდის საკითხი... და როცა პირადული გადასწევს სასწოროს, ეს კი ცუდია და გამოუსწორებელი.

— ბეგლარ, ეგ გადაკრული სიტყვები?! რისთვის?

— არაფერია. ოდესმე შეგხვდებით ერთმანეთს სულ სხვა პირობებში და მაშინ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ. ახლა კი გასწი! ეცადე ჩიჩიასთან კარგი კავშირი გააბა, — დასცინა ბეგლარმა ძიკის, — ეცადე თუ წარჩინებით არა, უზრუნველად მინც იცხოვრო.

— ბეგლარ! ეგ რა დაციწეა?!

— არაფერია: ჩიჩიას გადაეცი მარცხენა ფეხს გაუფროთხილდეს, შენ კი... მცადე!

— ბეგლარ! მე არ წივალ სოფელში, — ახლწია ძიკი ერთბაშად და ყურებაშდე გაწითლდა.

— წახვალ — დამშვიდებით მიუგო ბეგლარმა, — ჩემზე კი იტყვი — რუსეთში გაიპარათქო! საცაა მართლა რუსეთში ვიქნები და იქ მეძიონ მაგ მუტრუკებმა. ძიკი, დედანწმი არ დაგავიწყდეს. აი ჩემი უკანასკნელი დავალება. უჩემობა არ იგრძნოს დედაჩემმა. სხვა... სხვა რა უნდა დავავალო! ნუ გაიხარებ თუ ჩემი სიავე შეიტყო. უჩემობა შენ ბევრს არას გარგებს... თუმცა რა დროს ეგ არის!

— ბეგლარ! მე მშიშარა ვარ!

— არა, შენ სხვა ვინმეც ხარ, მაგრამ ძმა ხარ ჩემი და, ხომ გითხარი, სხვა დროს შეგხვდებით მეტქი! ჩიჩიასთან კავშირს ჩემთან კავშირი გერჩია, მაგრამ კმარა! გზა მშვიდობისა!

ბეგლარს თვალწინ წამოუდგა ამ რამდენიმე კვირის წინად კარავზე თავდასხმის ეპიზოდი, ძიკის მონაწილეობა ამ თავდასხმის მოწყობაში, ლალატი... მაგრამ ბეგლარმა აქ დღემილი არჩია, ჭიკის ხელი ჩამოართვა და წერილ მილიც დააყვა ხეობისაკენ.

— კაცუნა! პატარა ადამიანი!— გაიტარა გულში ბეგლარმა.

— ბეგლარ!— ტირილით წამოიძახა ძიკიმ.

— დედაჩემი მეთქი!— გაუშეორა ბეგლარმა ძმას და გზა განაგრძო.

ბეგლარი შეწუხდა ძიკისთან გამოთხოვების დროს. შეწუხდა, მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის იყო, რომ დანისლული გული გააყვა ღვიძლ ძმას ძმისადმი.

ბეგლარი წუხდა მარტოობას, მაგრამ სხვა გზა რომ არ იყო. მომავლის პერსპექტივა ამას მოითხოვდა. ბრძოლის გეგმა მსხვერპლით თავდებოდა, ბრძოლა კი აუცილებელი იყო ბეგლარის აზრით. ბეგლარი ახლა იმასაც ნანობდა, რომ ერთს წელზე მეტი ტყუილ-უბრალო ხეტიალში გაატარა, კარავიდან კარავში მოგზაურობას შესწირა. ნანობდა, რომ ის დღესაც არ იყო სახეიროდ ჩამული მოძრაობის ორგანიზაციულ ფერხულში. ვრძნობდა განდევნილობას, ჩამორჩენას, შეუკავშირებლობას. მაგრამ მომავალი ხომ წინ იყო.

— ბეგლარს სწორედ დღეს შეუსრულდა 22 წელი.

მოკბრეული ფიხი.

ჩიჩიას გაუძნელდა მომტკრეული ფეხის გამრთელება-ქუთაისის საავადმყოფოში მოათავსეს ჩიჩია სამკურნალოდ. გუბერნატორის განკარგულებით. საუკეთესო ექიმები მიიწინეს, მაგრამ ვაძნელდა ფეხის ძქლის გამრთელება.

შეწუხდნენ ექიმები.

შეწუხდა ჩიჩია.

სიძნელე ბოლოს დაბრკოლებად შეიცვალა: გამოირკვა, რომ მომტკრეული მარჯვენა ფეხი რამდენიმე მილიმეტრით უნდა დამოკლებულიყო. ამან გააცოფა ჩიჩია საბოლოოდ, ასეთმა დასკვნამ გუნება შეუცვალა.

საჩივრის ბარათი ვაგზავენა გუბერნატორთან, ყველაფერი მოახსენა. „შეგწირე ფეხი ხელმწიფე იმპერატორის სამსახურს და ეს ექიმები კი... ვეკობ, რომ აქ სოციალისტების ხელი არ მუშაობდეს“.

გუბერნატორი ააშფოთა ბოქაულის ასეთმა დაეკვებამ, თუმცა მცირე ფიქრის შემდეგ თვითონვე დაასკვნა:

— შესაძლებელია... შესაძლებელია!

გუბერნატორმა ეს ამბავი მოახსენა ქუთაისში შემთხვევით სტუმრად ჩამოსულს მთავარმართებლობის მოადგილეს ვენერალ შირინკინს, რომელმაც ჩიჩიას ასეთი „სავაჭრო“ ამბების გაგონებაზე სურვილი გამოთქვა—თვითონვე ენახულება ჩიჩია საავადმყოფოში და ყველაფერი დაწვრილებით, გამოეკითხა, „თავდადებული“ ბოქაულისთვის.

მეტად შეაქო ჩიჩია შირინკინმა. გიორგის ჯვარზე წაადგინა. „წერიშალი ხარჯებისათვის“ ხუთასი მანეთი გამოუწერა.

— წარმატება პირველი შესაძლებლობისთანავე! — მიუბრუნდა გენერალი შირინკინი ქუთაისის გუბერნატორს, რომელმაც თავის მხრივ არ დააყოვნა და მის აღმატებულებას ასე მოახსენა:

— განზრახული მქონდა სპეციალურად მომეხსენებინა ^{გენერალს} ~~საბოქაო~~ ^{საბოქაო} ჩიჩიას დაწინაურების შესახებ... რაკი თქვენმა აღმატებულებამ თვითონვე იწევა განკარგულების მოხდენა, ვეცდები დაუყონებლივ შეეასრულო თქვენი კეთილი სურვილი.

ჩიჩია სიხარულით ცას დაეწია.

მას სრულიად გადააევიწყდა, რომ დაქრილი იყო, ფეხმოტეხილი... ის ახლა მზად იყო გამოწერილიყო საავადმყოფოდან და თავისი საბოქაულო სანიმუშოდ დაეყენებინა ქუთაისის გუბერნიაში.

„მივაციმბირებ... ჩავაძალღებ“ — ფიქრობდა ჩიჩია მოძრაობაში შემჩნეულ „თახელების“ შესახებ და ასე მიდიოდა დღეები ქუთაისის საავადმყოფოში. ჩიჩია თავბრუდამხვეული იყო ასეთი წარმატებით, მას სიზმრად ერევენებოდა ყოველივე თვალითნახული: გუბერნატორი, მთავარმართებლის მოადგილე გენერალი შირინკინი...

ჩიჩია აღტაცებაში მიდიოდა გაუგონარი მიღწევებით. „პირადად ზინაზულა გიორგის ჯვარზე წარმადგინა... დაწინაურება პირველ შესაძლებლობისთანავე“ — მას შედგრად, მუროთაზ ჩიჩია! შენი ბედის ვარსკვლავი ახლა ამობრწყინდა.

გამართლდა ექიმების წინასწარი კონსულტაცია. ჩიჩიას ფეხი დაუმოკლდა — დამასახიჩრეს... განგებ დამაკოკლეს! — კბილების ხრკილით ამბობდა ჩიჩია როცა მის ფეხის შესახებ ეკითხებოდნენ — დამასახიჩრეს, მაგრამ... დამაცადონ!..

ჩიჩია დაბრუნდა სამეგრელოში.

საბოქაულო ჩამოიარა. ყველა სოფელი საკუთარი თვალით დაათვალიერა. მამასახლისები გააფრთხილა და თითოეულ მათგანს გაუგონარი განკარგულება დაუტოვა.

— შეუძლებელია... წარმოუდგენელი! — გულში ფიქრობდნენ მამასახლისები, მაგრამ ხმის ამოღებას ვინ ვაბედავდა.

გუბერნატორის ნებართვით ჩიჩიამ ჩაფართა რაოდენობა ვაიდიდა საბოქაულოში; სამი კაცი პირად მცველებადაც გაიჩინა.

— ქვეყანა მემტერება. სიფრთხილეს თავი არა სტკივს! — ფიქრობდა ჩიჩია და საბოქაულო კაბინეტიდან ფეხს ისე არ გადადგამდა, თუ ჩაფართა გუნდი და გადაცმული მცველები შორიახლო არ დაყვებოდნენ.

— წინანდებურად ფეხიც აღარ მემორჩილება. — ამბობდა ჩიჩია და მართლაც მას კოკლობას ვინ არ შენიშნავდა.

ჩიჩია წუხდა დაკოკლებას. წუხდა, რომ ცერებზე სიარული აღარ შეეძლო ფეხმოტეხილ ბოქაულს, და, რაც მთავარია, მანკიანი ფეხი ცხენოსნობასაც უშლიდა, მაგრამ მწუხარების იერი იმჟამსვე გაუქრებოდა სახეზე, როცა დაკო-

ქლების გამო მიღებულ საჩუქრებსა და წარმატებას გაითვალისწინებდა, როცა ოქროს ჯვარ-მედალს ხელს შეეფლებდა, ანას ორდენს მიუღერსებდა.

— საცაა მაზრის უფროსი გავხდები. ორასი ათასი კაცის ბატონ-პატრონი და ხელისუფალი... შემდეგ... კი... ვინ იცის?!—ჩიჩიამ მართლა არ იცოდა, თუ რა წარმატება შეეძლო მიეღო მაზრის უფროსის სავარძლის შემდეგ. არ იცოდა. ვერ ერკვეოდა ტიტულებისა და ჩინების თანმიმდევრობაში. არ იცოდა, მაგრამ ეს როდი ცემდა დაბლა სახელგანთქმული ბოქაულის რეპუტაციას...

ჩიჩია ჩაიკეტა საბოქაულოში. ფეხზე დააყენა ხელქვეითი მოხელეები და ჯაშუშ-პროვოკატორთა ქსელი.

მოდიოდა ცნობები ყოველი კუთხიდან.

ჩიჩია ზეიმობდა პირად გამარჯვებას.

— უცხო ხალგაზრდა გთხოვსთ!—მოახსენა ჩიჩიას კარის კაცმა.

— გვარი არ კითხე?

— ძიგუა უნდა იყოს.

— შემოუშვი.

ჩაფარი გაიძურწა კაბინეტიდან, და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩიჩია აწეული ტონით ესაუბრებოდა აბრაგობიდან ახლახან გამოქცეულ ძიკი ძიგუს.

— სო გულეხეტიალუდი თეზმა ხანს *—დაცინვით იკითხა ბოქაულმა და ძიკი ფრჩხილებამდე ჩაათვალა.

— ყველაფერი იაზრა. დამემუქრა კიდევ. გაბედა ძიკიმ.

— ახლა სად არის?

— რუსეთში. ასე თქვა, რუსეთში უნდა გავიპაროვო.

— სტყუი!—აიტკიცა ბოქაული და ჩვეულებისამებრ ფეხი დააბაკუნა.

— ლორონთ გიფუტუა **.

— ცრუობ!

— როგორ გავბედავ!

ჩიჩია წამოდგა სავარძელიდან, ფანჯარას მიაღწა.

ძიკი სიარულზე დააკვირდა თავზედ ბოქაულს. უსწორმასწორო სიარული და კოჭლობა ძიკის თვალში მოხედა.

— მომჩერებიხარ?!—შენიშნა ჩიჩიამ და მომტვრეულ ფეხს დააკვირდა.— როგორ მოგწონს?!

— ?!

— გიხარია?

— როგორ გეკადრებათ.

— შე ვიცი, რაც გეკადრება, თქვე...

ჩიჩია დაწყნარდა.

— კარგი! შენ ის მითხარი, სად არის ამ ეზამდ ბელგარი?

— აკი მოგახსენეთ: რუსეთში აპირებდა გაქცევას მეთქი!

— მერე, შენ რალას აკეთებდი?

*) სად დატყუებოდი ამდენ ხანს?

**) ღმერთს გეფიცები.

- აკი მოგახსენე...
 - სერუობ! მიქარავე! თავზე ეფარები;
 - აბა, საიდან, როცა...—ძიკის უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ უცებ და-
მუნჯდა თითქო ყელში ლუკმა გაეხირა.
 - როგორ მოვიქცეთ?!
 - ძიკი კითხვითი ნიშანს დაემსგავსა.
 - არ გინდა ჩინი, წარმატება, ფულები და მიწამამული?;
 - ძიკის ჩინის გაგონებაზე თვალები გაუფართოვდა, ტანში გააჟრჟოლა.
 - შინდა,—გაბედა მან ბოლოს.
 - ამისათვის კი...
 - რით გეშასხურო?...—დაასწრო ძიკიმ ბოკაულს.
 - შხად ხარ სამსახურისთვის?! შეფის ერთგულობისათვის?!
 - ყოველ წამს, სულ მუდამ! აკი სათანადოთ დაგიმტკიცეთ, რომ...
 - მამ დაჯექ და მისძინე!
- ჩინია ჩამოჯდა სამოქაულოს სავარძლის ძვიდზე, გვერდით ძიკი მოისევა და ორივენი მომავალი სამოქმედო გეგმის დასახვას შეუდგენ.

„კაი ამბავი, ჩიტო, ოქროს ნისკარტი!“

სალომე ელოდა გავარდნილი შეილებიშნის შინ დაბრუნებას.

ჩიტის ყოველ დიძახებაზე მოხუცი ფრთას შეისხამდა, გამზიარულდებოდა და შეილებიშნის მოლოდინში თვითონაც აჭიკტიკედებოდა: „კაი ამბავი, ჩიტო, ოქროს ნისკარტი!“

შემდეგ მთელი დღე კიშკრისკენ იყურებოდა, შარას ბეჯითად ათვლიერებდა, გამეღულ-გამომეღულს ხელმოფარებით აკვირდებოდა, განსაკუთრებით ნაბღიანებს ათვლიერებდა. ელოდა შეილებს. შეილებიშნის მოალერსებაზე ოცნებობდა.

„აღბათ დღისით გამოჩინას ერიდებიან, საღამოს შემოიპარებიან. მოვლენ ჩემ ფაცხაში და სიხარულით ამივსებენ გულს“,—აინედებდა სალომე თავის თავს მზის ჩასვლამდე.

დაბინდდებოდა თუ არა, სალომე საღამურ ფიჭს მოიმარაგებდა, წახვეულ ლაღარს გამოჩნტეკდა, ცუცხლს მიანთებდა და თვითონ მთვარის შუქზე ფაცხის წინ ჯირკზე წამოჯდებოდა.

ელოდა სალომე გავარდნილი შეილებს, შეილებთან აღერსსა და მოფერებას „თვალს მაინც ვაღდავლებ, დაველაპარაკები. დავმუნჯდი მარტოდ ყოფნით, ლაპარაკი ვაღამავიწყდა“,—ფიქრობდა სალომე და თვალი კიშკრისკენ ეჭირა. კიშკრისკენ—თქო ვამბობ, თუმცა კარგა ხანია სალომეს ეზო-მიდამო პარტახს წააგაედა და კიშკრის ადგილას წაბლის ორი ბოძი ესო ისიც ცალ მხარეს გადახნიქილი. (ეტყობოდა, ღამით ვიღაცას ეწვავლება ამოსათხრელად, მაგრამ ვერ მოიყოდა და ისე გადადრეცილი მიეტოვებია)... ჰო და სალომეს, ჩვეულებისამებრ, მაინც ამ ბოძებისაკენ ეჭირა თვალი... ვითომ კიშკრისკენ.

„მოეტყუედი. ახლა ჩიტის დაძახებას კი არა, ადამიანის ნათქვამსაც არ დაეგერება“, — ფიქრებში შეტრიალდა სალომე, და ოხერით ივსებოდა გვერანებული ეზო-მიდამო: შავი წარსული, შავი მოგონება. ქმარის სიკვდილი. შეილები...

სალომე ოხერავდა ქმარ-შვილის და ოჯახის მოგონებაზე და რალაცას ბუტბუტებდა. ბუტბუტებდა და ცალიერ სივრცეში უგზო-უკვლოდ ახეტიალებდა ჩათუთებულ თვალებს. ძაღლის ხმაურობას აყურადებდა. ბუს დაძახებისა ეშინოდა და გულ გასივებული იწყევლებოდა. ყველაფერს თავისებურად ზომავდა, მოვლენებს შესაფერ დასკვნებს უკეთებდა, მაგრამ ვაეიდა ავერ შვიდი თვე, ჩიტმა შვიდასჯერ დაიძახა, წარბივ ბვერჯელ მოექაევა სალომეს, სიზმარივ ნახა ვითომ შვილებს ეალერსებოდა, მაგრამ... შვილები ისეე აგვიანებდენ დედასთან დაბრუნებას.

სოფელში კი ხან რას იტყოდენ ძმების შესახებ და ხან რას. სალომე ქორს ყურს არ უგდებდა, მაგრამ ზოგჯერ ძალაუნებურად ქორების ტყვეობაში ვარდებოდა.

„ძიკიმ ბეგლარს უღალატა, ჩიჩიასთან კავშირი გააბა და ურიდიას კარაზე თავდასხმის მოწყობაში მონაწილეობა მიიღო“. — ჩასწვდა სალომეს ყურში. ქეა იყო შვილების მოყვარული დედის გული, თუმცა...

„არა ძმას როგორ უღალატებდა, ძუძუს როგორ შემირცხვენდა!“ — ინუგეშებდა თავს სალომე და, ძიკის ხასიათში დაექვებულს, თავში ორკოფი ახრი უტრიალებდა: „მაეშია... იქნება ქე შემიცდინეს მაგ ძაღლთა პირებშია?!

სალომე გულ-შკერდს იმჯილაედა, უხმოდ ანჩხლობდა, შთაერობას ავინებდა. ივინებოდა და, გამწარებული, გულ-შკერდს იპოტნიდა, მაგრამ ვისლა ეს-მოდა დღეს სალომეს საიფარ-საყვედურები!..

შემოდგომის დღე იყო.

სალომე მთელი დღე შვის ყურზე იჯდა. ძველმანების დასაეკრებლად ყაქს ართავდა და ტკბილად ამთქნარებდა. მოხუცის მახლობლად ხანშესული კატა კოტრილობდა.

სალომეს დაღამებაც არ უგრძენია მზეზე დაბრუებულს, ხოლო როცა თითის ტარზე კვირისთავი წასძვრა და ასაღებად დაბრიღმა ველარ დაინახა, მიშინ იგრძნო დაღამება და ფაცხის კარი შეაღო.

ღადარი გიმოჩხრიკა სალომემ, ცეცხლი მოანთო და რამოდენიმე ტარო მომღრალი სიშინდი ცეცხლს მიუფიცხა.

სალომე ყაქსაც ართავდა და ღადარში ჩაფიცებულ სიშინიღებსაც უთვალ-თვალებდა: თითის ტარით გადააბრუნებდა, შემწვარ გვერდს მოუნაცვლებდა.

კარგა ხანი ვასულიყო.

სოფელს ეძინა.

სალომეს ფების ხმა მოესმა. ყურები სცქეიტა, ნაოქინი სახე გაუბრწყინდა დამკნარ ტუჩებზე ღიმილი გადაეკრა. ფაცხის კარს მიაშტერდა.

ფების ხმა ახლოვდებოდა.

„ვინ უნდა იყოს, თუ არა... — სალომე სმენად გადაიქცა. — ღამით კი არა, დღისით არავის ეახსოვარა“.

კარი გაიღო,
ნაცნობი სახე. ნაბადი. წულა-მესტები.

— შეილო ბეგ...—სალომეს ხმა ჩაუწყდა.

— დიაჩქიმი!—გაწალა ხლები ძიკიმ მშობელი დედის გადამსახვევად.

— ძიკი! შეილო!—სალომე დაისტეკვა მარტო ძიკის დანახვაზე, მაგრამ უცებ ისევ აენტო და ძიკის კისერზე მოეხვია, შუბლი დაუკოცა, მოეფერა, კანკალი აუვარდა. სიზარულით სასოება დაკარგა და ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა ბოლოს გონს მოვიდა, ძიკი თვალეში ჩაისვა და გაოცებული ისევ ფაცხის კარს მიაშტერდა.

ფეხის ხმას ხელახლა მიუყურადა.

არაფერი ისმოდა.

ძიკიმ ნაბადი მოიხსნა, თოფი კუთხეში მიიყუდა, პატრონტაში ლოგინზე დააგდო, ჩამოჯდა, სული ამოითქვა.

სალომე განცვიფრებული იდგა ფაცხის სიღრმეში და ძიკის ცივი შეშნაკრავი თვალთ ათვალთვლებდა.

— ბეგლარი? ბეგლარ სად არის?!—დაიგმინა უცებ მოხუცმა და ცეცხლითა და იქვით საესე თვალეში ძიკის გადაუტრიალა.—რა უყავ ბეგლარი? ხომ ცოცხალია?

— ცოცხალია. რუსეთში გაპარვის აპირებს,—იჩქარა ძიკიმ.

— რუსეთში?! ჩემდა უნახავად?!. ლორთთი!

— შენ როდი ახსოვხარ, რომ შენზე იფიქროს.—აბორძიკდა ძიკი და თავი დახარა.

— ჯოლორის სქუა! * ხმა ჩაიკმინდე!—გაფიცდა უცებ სალომე და თავში სისხლი აუვარდა.

— დიაჩქიმი!—შეკრთა ძიკი დედის ასეთ წამოძახილზე.

— სალაბანა! შხამით გაზრდილო!—მოულოდნელად შეუტია სალომემ ძიკის და დედაშვილურ შეხვედრას მდღულარე გადაესხა.

— დიაჩქიმი!

— დიაკი ხარ! უღირსი შეილი!

— რა მოხდა დიაჩქიმი?

— ბეგლარს არ ვახსოვარ? ბეგლარ ჩემზე არ ფიქრობს?—აკანკალდა სალომე მთელი სხეულით და ძიკის რამოდენიმე ნაბიჯით გაშორდა.

— ფიქრობს... მაგრამ..

— ხმა! ბეგლარი რუსეთში გაიპარა?! სტყუი! სცრუობ, როგორც ყოველთვის!

— დიაჩქიმი!—დაიბნა ძიკი და ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

— ბეგლარმა დამივიწყა? ბეგლარს აღარ ვახსოვარ? შენ სცრუობ, ძიკი! შენ ენატანიობ და საუკეთესო შეიღოს, ჩემს ამომავალ მზეს მატულებ და მის საყვარულზე გულს მიცივებ.

— შენ სადღა მოეთრეოდი?!

* ძაღლის შეილო

— შე... მე შენთან გამოგზავნა... შენდა მოსავლელად გამოგზავნა...
 თვითონ ბევრი გამოგზავნა, ლორონის გიფუქია!

— სკრუობ! შენ თითონ გამოიქცევიდი, მიატოვებდი. უფალაღუბდი.

— ლორონთი!

ეულალატებდი? — დაიბლავლა ძიკიმ და სიმწარისაგან თვალები მუშტის
 ტოლა გაუხდა.

— ულალატებდი მიატოვებდი! მე ყველაფერი გავიგე, ძიკი! მე ყველაფე-
 რი დაწვრილებით ვიცი! ძიკი, შევდღეზე დაბადებულს! ჩამქრალ ვარსკვლავზე
 გაჩენილი!

ძიკი მოლალატე!

— დიაჩქიმი!

— ნუთუ ყველაფერი მართალია რასაც ამბობენ? მიპასუხე: ნუთუ მართა-
 ლია?..

— რამ გადაგრა, ადამიანო!

— გავიგე, ყველაფერი მიამბეს. არ მჯეროდა. ვფიქრობდი: ძმა ძმას რო-
 გორ ულალატებდა მეთქი!

— დიაჩქიმი! — დავევრილ გველივით დაივრიბა ძიკი, ასეთი მოულოდნელი
 თავდასხმისაგან.

— ვფიქრობდი: ძუქუს როგორ შემირცხვენდა, ნიკო ძიგუსას სახელს რო-
 გორ შეურაცხობდა მეთქი!

სალომეს თვალთ დაუბნელდა. დასწვლულსა და დასუსტებულს გული
 ამოუჯდა და ჯორჯოზე ჩაქცილს ქვითინი წასკდა.

სალომემ სასოება დაკარგა, უგრძობლად შეიქმნა და სუნთქვა შეეკრა.

შეშინდა ძიკი, საგონებელში ჩავარდა. თვალწინ მრავალი უცნაური სუ-
 რათი წარმოუდგა და შეშინებულმა ლეკვად გაქცევა დააპირა. მან ფაცხა ჩაა-
 თვალღერა, კარისკენ გადადგა ფეხი. ამდროს სალომეც ახრიალდა, ხელები უგრ-
 ძნობლად გაასავსავა, მუგუსხალს აებოტინა და თვალი გამოახილა. გასაქცევად
 ნომზადებულ ძიკის რომ შეხედა ფიჩხის შექმე, ისევე აინთო და აელვა-
 რდა:

— გარბიხარ?! ახლა ჩემგანაც გარბიხარ? უსირცხვილო!

— ექიმისთვის უნდა დამეძახა. — მოისაზრა უცებ ძიკიმ.

„ექიმისთვის?“ — სალომე მოი უღიერდა. თვალეები კაბის კალთით ამოიწმინ-
 და და, დაწმინდებულმა, ცეცხლზე ფიჩხი წამოუმატა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სალომე ბეგლარზე ფიქრებში ჩაინთქა. ხან რას ფიქრობდა დაეკვე-
 ბული მშობელი და ხან რას.

— ხომ ცოცხალია?! — ბრძანების კილოთი იკითხა მან ბოლოს.

— ცოცხალია, დიაჩქიმი! კარგად არის, — მოლიზარი სახით სცადა ძიკიმ
 სალომესთან საუბრის აღდგენა, მაგრამ მოხუცი კვლავ ფიქრებშია გაიტაცა და
 ისევ სიჩუმე გამეფდა კარგა ხანია მყუდროებას დაჩვეულ ფაცხაში.

ძიკიმ უხერხულობა იგრძნო მშობლურ კერასთან. ფაცხის კედლები უცნა-
 ური სახის მოეჩვენა. კერა ნელთბილი, დედის გული ჩამქრალი, დაფერფლილი-

„რასა ჰგავს ეს?—ფიქრობდა ძიკი,—ნუთუ ძმებშიაც გამორჩეული ვარ? ნუთუ დედის თვალშიაც დაგვარგე ნღობა?“.

ძიკი მოიღრუბლა: თითქო თავზე მდულარე დაასხესო, წარმჩნ მსე—შეიკრა და გაგოროზდა. უფუნებობის ბეჭედი მოიხაზა მის უნაოქო, გადარეცხილს შებტლზე. ძიკი მოიხარა და მიწას დააშტერდა. „უბედური ვარ, ცუდის თვალით გამორჩეული“.—დაასკვნა უმაღ.

— სანამდე ფიქრობ დარჩენას?,—უთავბოლოდ იკითხა ძიკის აქ ყოფნით თითქო გაბეზრებულმა სალომემ.

— როგორ თუ სანამდე?—განცვიფრდა ძიკი, მაგრამ სალომეს განცვიფრებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა შეილის ასეთი მოულოდნელ პასუხზე. სალომეს ასე ეგონა, თუ ძიკი ერთი ღამით შემოიპარა შინ, მალულად, ჩუმად, და უთენია ისევე გაიპარებოდა, პოლიციის თვალს მოერიდებოდა, მაგრამ დახე...

— მაშ საშუდამოდ დაბრუნდი?—დაცინვის კილოზე გამოაზოგა სიტყვა სალომემ.

— სამუდამოდ. ოჯახს ხომ მიხედვა სჭირდება, პატრონობა.

— პოლიცია? ჩინია?—ხელმოფარებით იკითხა სალომემ.

— შეეუბრგდი.

— როგორ?—თითქო სმენას არ უჯერისო, იფეთქა სალომემ.

— შეუბრგდი, —გაიმეორა ძიკიმ.

— უიმე! უიმე!—შეიცხადა კრინით სალომემ და თმები გაიწეწა.—პოლიციას შეუბრგდი, ნიკო ძიგუას შეილი პოლიციას შეუბრგდი?!

— რა მოხდა, დიაჩქიმი, არაფერი მესმის! ყოველივე ეს ბეგლარის თანხმობით და მისივე რჩევით მოხდა.

— სტყუი, სტრუობ! სად არის მაშინ თვითონ ბეგლარი? სად არის თვითონ, სად?

— დიაჩქიმს გიფურუა, ბეგლარი თანახმა იყო.

— სტრუობ! გააღე კარი!—სალომემ ხელი ფაცხის კარს მიუშვირა, თვალები ნაღვერდალივით დაანათო და ძიკის ხმაშალლა შეუტია:—გააღე კარი! გაეთორიე!

ალარ გიხილოს ჩემმა თვალებმა! დაგვარგე კმარი, დაგვარგე საუკეთესო შეილი ბეგლარი! შენ რა შავ ჭეად გიფიციბა—მზალს, მწიშარას, მოლალატეს! გასწი!

ძიკის თავხარი დაეცა. არ მოელოდა დედის გულის ასე გაჭევაებას. მის ვერ წარმოედგინა, თუ ახალი თაობის ქარცეცხლით გაუბედურებული და ოჯახზე ხელდარეცხილი მშობლის გული გაგარდნილი შეილის შინ დაბრუნებას უსაზღვრო სიხარულით არ შეხედებოდა, ამიტომ...

— წავალ... საცოდავად დაიკნავლა ძიკიმ და ფეხზე წამოდგა.—წავალ მაგრამ არა იქ,—აიშალლა ხმა მან.

— პოლიციასთან. ჩიჩიასთან წახვალ, არა? მოუჭრა სალომემ.—გასწი!—ამოიგმინა და ქვითინი წასკდა მოულოდნელი ამბავით აღელვებულს.

(გაგრძელება იქნება).

პირს

სიჟინდის

რესპუბლიკა

მთავრე თაჟი *

ეს დაჟეჟიწყარი დღე ჩვეულებრივად დაიწყო.

გამთენიისას კატისწვეერადან ნისლი გადმოშრიალდა, გადმოუარა ლეხემურას და ზოზინით გაიშალა ქალაზე.

ცივი გზატკეცილი იღვიძებს. გლეხები საბაზროდ დაიძრენ. რიერაჟის თალხი სიბნელე ქათმების კრიახმა და გოკების ქვეერიღმა აიკლო.

დაიძრა ერემო პიტახიაცი. ქიშკარი მზრუნველობით მოიხურა, ნაბადი შეისწორა და კალოშების ნელი ფლასტუნით ბონდის აღმართს შეუდგა.

ჩვეულებრივად თენდებოდა; უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ მიკიტანმა ბონდთან გეზი შესცვალა. დუქანში არ შესულა.

ამ დილით პიტახიამ პირველად უღალატა თავის ჩვეულებას.

ათი წლის განმავლობაში დღეს პირველად გამოერია ისეთი დილა, როცა საბაზროდ მიმავალ გლეხებს ერემოს კალათები, ბარქაშები და სამართებელივით აღესილი დანა არ დახვედრიათ წინ.

მიკიტანი ბარნაბა სავანელიძის სახლისკენ ჩქარობს.

ესმის გლეხების ზურგზე სავსე გიდლების ქრიალი, საიდგომოდ გასტყებულ გოკების თავგანწირული ქვერილი-ესმის და გული ეთუთქება.

მამლები უკანასკნელად უიოდენ — თავზე მოხუცი იულო დაეცა.

— იწვე-ადექი; ადგე-არ დაჯდე, ახლავე ჩემსას გაზნდი! — უთვლიდა ბარნაბა.

თბილი საწოლი ძლივს დასთმო.

აღრე ადგომას მიჩვეული იყო, მაგრამ გაიგო რა, — ამ დილით გზატკეცილზე ვერაფერს ივაკრებდა, ადგომა ისე დაეზარა თითქო მზეს პირველად ასწრებდა.

დაიგვიანა. მის დანახვაზე ბარნაბას დაბმული ქოფაკი არ გაანჩსლებულია ისე მწარედ, როგორც თვითონ პატრონი.

ქოფაკი ორჯერ ვაიქაჩა და დაწინარდა. ბარნაბა კი დიდხანს იღრინებოდა:

— იძინე, იძინე! ძილში სჯობია სიკვდილი. ვერაფერს ვაძგივრებ და ვაღვიწყობ და რომ დღეს ქალის საქმე უნდა გადაწყდეს? საცაა მოიშადლევენ, შენ კი გუდასავით დაგდებულხარ ლოგინზე. ქათმების ყიდვა რო გინდა, მაშინ ტურავერ დაგასწრებს და ახლა რამ დაგხუთა, შე ოჯახქორო!

— ამოტომ დამიბარე? ამას სხვა დროსაც შეტყობდი, შე დალოცვილო. ეს დილა რაღად გამიცდინე!

— დახუნდარა ვაღმა გასულა წუხელ. სადმე დუქნებში იქნება ჩალეწილი. მონახე და დუქანში მოათრიე. მე იქ ვიქნები.

მიკიტანს არ მოეწონა ბარნაბას თავაშვებული მზრძანებელი კილო „ბოლო ხანს ძალიან შეიგრძვია, უფროსობას მიწყებს. ბიჭივით მაგზავნის აქეთ იქეთ—გაიფიქრა, მაგრამ წყრომა არ გამოსთქვა.—ჩენი საქმისათვის წვალობს, დღეს-დღეობით ყველაფერს მოუთმენო“.

მექის ძალიან უყვირდა. რახანია გათენდა, საბაზროდ მიმავალი ხალხი უკვე ჩამოთავდა, ერემო კი არსად სჩანდა.

იჯდა საჩეხის ქვეშ და დაცალიერებულ გზატკეცილს უმიზნოდ გაჰყურებდა.

კარგა მოთენდა როცა დუქანს ბარნაბა, მართა და კვერნაძე მოადგენ.

— ერემო არ მოსულა?

— არა.

ბარნაბამ თავი ჩაიწნია და ლამისსათვე ოთახში შევიდა. მხლებლებიც შეჰყვნენ.

— არავენ შემოუშვა,—გავლით ესროლა მექის და კარი შეგნიდან ჩაირაზა.

მექიმ ლუმელი გაახურა, ქვაბები დასდგა და კვლავ საჩეხის ქვეშ ჩამოჯდა. აქოშინებულ ერემოს დახუნდარა შემოჰყვა.

პატრონმა ბარნაბა იკითხა, ორი საში სიტყვით მექის სადილის თადარიგ მისცა და—

— ჩვენ ვართ, გააღე,—დაუძახა ბარნაბას.

მექი დუქანს ჰგვის. ჯერ დახლი გამოცოცხა, მერე საშზარეულოდან ძველი დიდი ტაფა გამოიტანა და ბუზრის გაწმენდას შეუდგა.

ერთი ტაფა ნაცარი აიღო, მეორედ შემობრუნდა, მიუჯდა ბუზარს და... ადგომი დაივიწყდა; ტაფა რახანია გაიფსო, მაგრამ თითქო ვერ ამჩნევს—ცოცხს უნებოთ უსვამს და თვალ-წახდენილივით დაჰყურებს. კარგახანს იყო ასე დაჩოქილი. მოულოდნელად კარი გაიღო.

— მაგას ხატობია ითავენს, შენ ოღონდ ხელგაშლილი დახედი—გამოუძღვა ბარნაბა ოთახში მყოფთ.

მექი შეინძრა, სწრაფად წამოვიარდა. ბარნაბას გამომცდელმა თვალებმა სახე აუწვია.

— ბიჭო,—ჩაიციანა,—ლენჩი კი ხარ, მარა ყურები შენაც გაბია,—და უცებ მრისხანედ მიეძალა:—თქვი, გაიგონე რამე! თქვი, თორემ...

ჩაქუჩივით შემართულ მუშტის ქვეშ მექიმ ძლივს მოასწროს

— არაფერი, ბატონო, ესაა, ახლა შემოვედი. ნაცარს ვიღებდი.

— ასე ჯობია, ბიძი. ესენი, — ყურებზე ანიშნა: — ესენი ზედმეტია შენთვის; წავიდეთ, შენაც წამოდი. სიზინდს დოფინაც წაიღებს. — მიუბრუნდა კარებთან გალახულივით ატუხულ მართას.

დუქანი დაცარიელდა.

გზატყეცილზე მიტინგზე მიმავალი გლეხები გამოჩნდნენ. მოდიან შუკებიდან, ორლობებიდან, გზატყეცილზე ჯგუფებიან და ყაყანით მიემართებიან მოედნისკენ.

— ბარნაბა შორს იხედება, ძალიან შორს, — ხლიჩინებს ცაცხვისუბნელი მინასია რეხვიაშვილი: — ეს არტელი ფარსავ საქმეს არ გვიპირებს? დღეს ბარნაბას მიწებისაკენ იქაჩებიან; გაუტკებთ და ხვალ არც ჩვენ დავგზოგავენ; დღემდე ქე არჩევდნენ ღარიბსა და შეძლებულს, ახლა რა ღმერთი გაუწყრათ!

— მაგენს ღმერთი სადა ჰყავს! გამგელბებული არიან, ვის რა წაფართვათო. იქამდეც კი მივიდნენ, რომ იაგორა ჩხეტანს შვილი მიღუზაენეს მოსაკლავად: მოკალი და ქონება ჩვენთან შემოიტანეთ! — ჩაერია მეორე.

— რა დღეს მოვესწარით!

— ჯერ სადა ხარ! ხვალ იმისთანა დღე მოგველის, რომ ეგ სამოთხედ მოგტყვენება. — მიაწოდა ხმა გზატყეცილზე ბარნაბას ენად გაგდებულმა კვერნაძემ.

გამოჩნდნენ ქალებიც. ისინი ისე ჩქარა და ხმაგაყმენდილი მოაბიჯებდნენ ნართას მეთაურობით, თითქო ვისმეს გავლევას უპირებდნენ.

მოშორებით მკლავგაყრილი ქალიშვილები მოკისკისებენ. მათ შორის მექიმ თალიკოს ხმაც გამოარჩია, მაგრამ ახლა ზეზეც არ წარმოვდა რომ შორიდან მაინც დაენახა.

მექიმ თავის სიყვარული დიდხანია დაიფიწყა. იგი სიზმარივით იგონებს სიყმაწვილის დღეებს და რცხენია კიდევ, რომ ერთ დროს იმდენად სულელი იყო — თვალი თალიკოსკენ ეჭირა. რაც უფრო ხანში შედიოდა, თანდათან ხედავდა მის და თალიკოს შორის არსებულ უფსკრულს. მისი პირველი ცდა-რომ დამოუკიდებელი ცხოვრება მოეწყვა — სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ამ დამარცხებამ ეს უფსკრული უფრო გააღრმავა და გამოაჩინა.

მექის ოცნება და ორი წლის სამზადისი სანთელივით ჩაქრა — ერთი სულის შებერვით. სინამდვილემ ჩააქრა.

ორი წლის განმავლობაში ორმოცი ფუთი ოფლი ჩააქცია და ერთი გასახედნი მოზვერიც ვერ იყიდა.

იმედგაცრუებული, სასოწარკვეთილი აჯანყდა იგი ასე უკუღმართად მოწყობილ ცხოვრების წინააღმდეგ.

აჯანყდა თავისებურად, როგორც შეეძლო: იყვირა, იტირა, ერემოს ცემაც დაუპირა, ორი დღე ღვინოში ჩაიხმო და... მესამე დღეს ისევ წყნარი და მორჩალი ხრიკუნია მოჯამაგირე იყო.

სხვა გამოსავალი ვერ იპოვა. გადასწყვიტა ადგილი გამოეცვალა, მაგრამ

— შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული კირი გირჩევნოდეს; დასახლებით არც სხვა დაგასახლებს! — შეაჩერა დახუნდარამ.

მანვე იკისრა მისი და ერემოს შერიგება.

— დაველრიგებები, ამ ერთს ვაპატიებ. აწი კი წინდახედულად მოიქეცო, ქვეიანად იყავი.—გააფრთხილა.

— როდემდე? ცხოვრება მინდა, ცხოვრება!—ამოიკენეს და გული ამოაყოლა.

— მერე და იცხოვრე, ვინ გიშლის? ქვეიანად იყავითქო, სხვა რა გითხარი! ციხეში ხომ არ ვიპირებენ ჩასმას.

დახუნდარამ რა იცის, რომ ახლა მექისათვის ქვეიანად უფრო სატანჯველია, ვიდრე ნამდვილი ციხის ყრუ კედლებში ჯდობა. და აჯანყების მესამე დღეს შეგი ისევ წყნარი და მორჩილი ხრიკუნია მოჯამაგირე იყო.

— მართალი ვითხრა, ამ საქმეში არ მინდა ხაეომიას ჩარევა. ენაშეუნახავია, მასხარა; ერთი ვაილეშება და ყველაფერს წამოაყრანტალებს,—არწმუნებდა გზაში ბარნაბას მზდელი მიკიტანი.

— პოლიტიკაა, ერემო, პოლიტიკა! ხაეომიაზე მითომ შევიჩრდი, რომ კომკავშირელების ჯინი სჭირს. კაცო ისე უნდა გამოიყენო, ცოტა მანაც მოიფხანოს გული. მაშინ ენასაც შეგინახავს და მადლობასაც გეტყვის.

ბარნაბა არ ცდებოდა. ჩვენ და ხაეომია დანასისხლად ვიყავით.

ხაეომია დიდი ოინაბაში ვინმე იყო. მუდამ-დღე იმის ფიქრი ჰქონდა—ვისთვის ეცუღლუტნა და ევნო.

შეძლებული გლების შეილი იყო და საამისო დრო თავსაყრელად ჰქონდა. ვარჩევა არ იცოდა. არავის ზოგავდა თუ ხელსაყრელ პირობებში მიუსწრებდა.

შარშან ერემოს ისეთი დღე დააყენა—სოფელი სიცილით გააგვიყა.

ერემოს დუქანი უხილოს პირას იდგა. შუადღით დაახლული მიკიტანი საცვლებისამარა ჩადიოდა რიყეზე.

ერთხელ, როცა იგი წყალში ნებიფრობდა, ხაეომია მიეპარა. მისი ქვედა საცვალი ბუჩქებში დაითრია და ორივე ტოტზე იმისთანა მაგარი „სუხარი“ გამოუსკენა—ნასკეები თბილის გულის ოდენა არ იყო. მერე სერიოს საყურებლად მწყენსი ბიჭები მორეკა და ყველანი ბუჩქებს ამოეფარენ.

ახმაზი ერემო წყლიდან ამოვიდა. პერანგი ჩაიცვა. მერე ცალფეხზე შედგა. მეორე ნიღხვის ტოტში ჩაპყო და—წაბარბაცდა. ფეხი ვერ გაუყარა.

დახედა. ტოტები გასკენილია. ისე ბრაზიანად მიმოიხედა—ბუჩქებში შემალულ ბიჭებს კინაღამ სული გასძვრა.

ჩაჯდა ჩვენი ერემო და ჯერ ფჩხილებით და წყნარი ვინებით ხსნიდა ნასკვს. მერე კბილებითაც მიადგა.

— დაიწყო. ჭამს, ჭამს!—დაიფრუტუნეს ბუჩქებში.

— ეს რა მიქნეს! ვინ იყო, მისი მკვდარი და ცოცხალი.—ბურდლუნებს გამწარებული მიკიტანი.

კაი ხნის შემდეგ, როცა „სუხობის“ შექმის ე. ი. გახსნას, არაფერი ეშველა, ილაჯგაწყვეტილმა ერემომ წვეტიანი ქვა მონახა და საცვალს ორივე ტოტი წააგლიჯა.

ჩაიცვა. იქაურობა დახვერა და ქურდულად გაჰყვა ქალტანს. ბუჩქებში კი ისეთი ჭახანი შეიქნა, თითქო დათვები ბულრაობდენ.

— პიონერ! პიონერ! — უკივლა ხაეომიამ.

მიკიტანმა უცებ ვერ მოისაზრა, პიონერი ვის დაუძახეს, მაგრამ როცა თავის დამოკლებულ ნიფხავს დახედა, მიხვდა და მოუბრუნდა: **ერკუნულნი ვიხლირთესა**

— ერთი მეჩვენე, მეჩვენე, რომელი ხარ!

პასუხის მაგიერ ახლა გათამამებულმა მწყემსებმაც დასცხეს: „პიონერ! პიონერ!“

„ესენი აქ მთელ სოფელს შეჰყრიან“ — იფიქრა ერემომ და მოუსვა. მოუსვა და მთელი ბუჩქნარი ყიჟინით აეღვენა.

ერემოს თავგადასავალი მთელმა სოფელმა გაიგო.

— ბარემ ხელში დუღუტიც მიგეცა, მაშინ ნამდვილი პიონერი იქნებოდა. — ეტუნებოდენ ხაეომიას და ცუდლუტობას უწონებდენ.

მე რომ მიკითხონ, ხაეომია სწორედ ამ მოწონებამ დალუპა. მისი ოინები ზოგიერთებს მოსწონდა და ხაეომიას „ყოჩალი ბიჭი“ შეარქვეს. ხანდახან კიდევ აქებდენ: აბა ერთი შენებურად რამე იმასქენიო.

ხაეომიას ესაიამოვნებოდა ყოჩალი ბიჭის სახელი და თავს არ იზოგავდა, რომ ეგ სახელი გაემართლებია.

ცუდლუტობა ჩვენზედაც გადმოიტანა. შემოძვრებოდა კომკავშირის უჯრედის ღია სხდომებზე და, თუ მომხსენებელი ქალაქიდან იყო, უტიფრად წამოუძახებდა:

— ამხანაგო, გასაგებად ილაპარაკე! პროფესორები ხომ არ ვხეივართ აქ, მალალ სართულებში რომ დადიხარ...

ბიჭებს გააცივებდა, მომხსენებელს კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. მოწონებამ და წაქებებამ ხაეომია იმდენად გაათავებდა, რომ ზოლოს ზოროტი ოინებიც გამოუროია.

ერთხელ დაბიდან რალაც რომანიული ხასიათის პიესა ჩამოიტანა. მე დავიწუნე.

— ახლა ანტირელიგიურ კამპანიას ვატარებთ, აგიტაცია დავდგათ, — უთხარი.

— აგიტაცია და სულ აგიტაცია! მოგვწყინდა ყოველდღე მისი ყურება. რევოლიუცია ერთხელ მოხდა და გათავდა. გავიგეთ. ყოველდღე რევოლიუცია ვის გაუგონია!

მე ჩემი გავიტანე.

ხაეომიამ იწყინა. ჩემს მიერ არჩეულ პიესაში არ ითამაშა. თავის გაწბილება ძვირად დაგვიყენა. შუა წარმოდგენის დროს სცენაზე შემოიპარა და ხარაჩობის ქვეშ ერთი ჯამი გოგირდი დასწვა.

კლუბი აქოთდა. ხალხი გარეთ გამოკვივდა. წარმოდგენა ჩაიშალა. მეორე დღესვე ხაეომია დრამწრიდან გამოვრიცხეთ. საღამოს კი ბიჭებმა ამბავი მოგვიტანეს: ხაეომიამ დაიფიცა, კომკავშირელებს ისე დავენაყავ, პატრონმა ველარ იცნოსო.

ბარნაბამ იცოდა, ის ჩვენზე გადამტერებული იყო და ცდილობდა ჩვენს წინააღმდეგ გამოეყენებია.

ხეომიას მოთოკვა არც ისე ადვილი იყო. ამხანაგები ბლომად ეხვია. როგორც მოწიერაღს და სუფრის მომღებენს, სოფელში ტოლი არ ჰყავდა. ამიტომ შეძლებულ ოჯახებში საჭირო კაცად იყო მიჩნეული.

როცა რომელიმე ოჯახს პატივსაცემი სტუმრები ეწვეოდნენ, დინასახლისი ქათმებს გამოენთებოდა დასაქერად, მამაკაცი კი ხეომიას ეზოში გადაეარდებოდა: არიქა, მიშველე, ერთი შენებურად მომიღებინე სტუმრებია.

თუ შემთხვევით მისი მოწვევა დაავიწყდებოდათ, ხეომია თვითონ არ გამოტოვებდა თავის თავს. არხეინად შემოიმღერებდა ეზოში და უცხო სტუმრებთან თავს ისე მოიშინაურებდა, — მთელი სუფრის გულად გადაიქცეოდა.

მადლობის მაგიერ წისვლისას მასპინძელს დაამადლიდა: უცხო ხალხი გყავდა, მიტომ გეცი პატივი თორემ აქ მოსასვლელად სადმეცალა!..

მისი ახირებული ჩვეულება არავის ეუცხოებოდა. ყველამ იცოდა, რომ ის თავის დაუპატიებელ სტუმრობას ერთი-ორად გამოისყიდდა გიჟური კრიმინაჟულებით და ნაღვლიანი ბიათებით.

მაგრამ მისი ნამდვილი სტიქია იყო. ცერებზე სამჯერ შემოხაზავდა წრეს, მერე ბოხბოს კეფაზე მოივდებდა და ისეთი ჩქარი ბუჭნით გაგორდებოდა იატაკზე — მაყურებლებს ალტაცებაში მოიყვანდა.

დაუდგარი, თავებდი. მის მიერ არჩეული ქალიშვილი სათამაშოდ სხვას რომ გაეწვია, პავლიკა მეარღნეს იმ წუთშივე კორბას წაართმევდა, დაკვრას შეაწყვეტინებდა.

ბიჭი იყო და შერცხვენილი მოცეკვავე სიტყვას შეუბრუნებდა. ხეომიას ხელებს იმგვარადვე უყვარდა სხვის ლოყებზე სეირნობა, როგორც მათს პატრონს სხვის სუფრაზე ჯდომა.

უწყესო ცხოვრებამ მის ლამაზ სახეს დაღლილობის დაღი დაასვა. ეს დაღი ოდნავ ასუფთავებდა და აკეთილშობილებდა ხეომიას უხეშ გარეგნობას.

როცა მას ესაუბრებოდა, მისი თვალები პირდაპირ ტანჯვას თქვენთვის. პირდაპირ არასდროს არ შემოგხედავს. თვალები სადღაც ქვესქნელში მიაქვს, თითქო ნანობს, რომ ისინი გამოსაჩენ ადგილზე აქვს მოთავსებული და მათი დამალვა არ შეუძლია. ამნაირ თვალებს გლეხები არაწმინდა თვალებს ეძახიან.

გონებაშებლდული, მაგრამ გრძნობა-ქარბი ხეომია ამხანაგებზე სწრაფად ავრცელებდა თავის გავლენას.

თანასწორს ვერ ითმენს. მეტოქეს ან დაიმორჩილებს, ან სამუდამოდ ჩამოშორდება. ამიტომ ირგვლივ ყოველთვის ისეთი ამხანაგები ეხვია, ვინც მასზე სუსტი და გამოუცდელი იყო და ვისაც მისი ღონიერი მხრების ჩრდილი ესაჭიროებოდა.

ისინი მისგან უმთავრესად ქალიშვილებთან აშოკობას და სიყვარულის ხელოვნებას სწავლობდნენ. ალტაცებულნი იყვნენ რომ ხეომია მთელ სოფელში ერთად-ერთი ბიჭი იყო, რომელიც გაუთხოვარ გოგოებს იწუნებდა, გამოუცდელს უწოდებდა და ქმრიან დედაკაცთან, პიტახიას მსუქან ცოლთან დამძნულს ღებდა ღამით.

წელს თალიკოს აეტორღილა, ბარნაბა გულში იცინოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა. ხეომია საჭირო კაცი იყო. თალიკოს კი აფრთხილებდა: გაყოლ-გამოყოლას არ გიშლი, მეტი კი არაფერი გააბედო.

ბარნაბამ ხელოვანი რამდენჯერმე გამოსცადა საქმეში და ყოველთვის კმაყოფილი დარჩა. ახლაც მისი იმედი ჰქონდა.

ერემოს დაქინებით ურჩევდა—დღეს მის პატრესაცემად არაფერს დაეხოვა. მოედანზე ტევა არ იყო.

მოსულის უმაღლეს ტარასიმ საცდელი თვალი მიმოავლოდა ორი რამ არ ექაშინო: კვირა დღეა. თითქმის მთელი სოფელი შეკრებილა, დიდი და პატარა აქ არის, მაგრამ... ასე ჩემად რათ არიან? რალაცა არაბუნებრივი, თითქო ძალდატანებული სიჩქემა. სადაა ის დამახასიათებელი ყაყანი, ხმების გუგუნო, რომელიც ასეთ მრავალრიცხოვან ყრილობას ყოველთვის თან სდევს?

მეორეც: ახალ მოსულის ყურადღებას პირველად კომკავშირელები იქცევენ. ტარასის აზრით, ვარდენა, გუცა და ჭოლიკა გადაჭარბებულად ფუსფუსებენ, ზედმეტად მოძრაობენ, მოუსვენრობა ეტყობათ.

საერთოდ ისინი მოედანზე ძალიან გამოირჩევიან და თითის საჩვენებლად ხლებიან.

— ისე ფეაკრობენ, თითქო მუსტიკრივის გამართვას აპირებდნენ. გამოცდელივით მოსდით, არ ვარგა. ლელავებ და სხვებსაც ააღელვებენ!—მითხრა ტარასიმ და ბიჭების მოსაველეად გამგზავნა.

კარგა დაკვირვების შემდეგ უფრო საგულისხმიერო მოვლენაც აღმოვაჩინეთ.

მოედანზე თავმოყრილი გლეხები, იმ ნიშნების მიხედვით არ იყვნენ დაყოფილი, როგორც წინად ხდებოდა ხოლმე: ღარიბები ერთად შეჯგუფდებოდნენ, შეძლებულები კი ცალკე მუსაიფობდნენ.

დაყოფის ამგვარი წესი ახლა დარღვეული იყო. მოედნის შუაგულ არტელის წევრები და კომკავშირელები იდგნენ, დანარჩენები კი ერთად ვახიზნულიყვენ და მრავალწიშენილოვანად სდუმდნენ.

— ეგ სიჩქე და სოფლის ასეთი გაერთიანება კარგ რამეს არ მოასწავებს,—ჩამილაპარაკა ტარასიმ და ჩვენებისკენ გასწია.

— რა ერთად მოგიყრიათ თავი! წადით, ხალხში გაერიეთ,—დაშალა კომკავშირელები და არტელის წევრები.

ბეჭობის ზურგზე ქალები ჩამწყკრივებულან. მათ შორის ერთი მამაკაცია—დახუნდარა. ისიც ნამეტანს ფუსფუსებს.

— ქალებო, ვიწყებთ, დაბლა ჩამოდით!—გასძაბა ტარასიმ.

— თუ რამე სასიკეთოს იტყვით, აქაც კარგად გავიგონებთ.—გამომწვევად უპასუხეს ბეჭობიდან.

ტარასი აღარ მიეძალა. რამდენიმე წამის შემდეგ კი სანანებლად დაურჩა, რომ ქალებს დაუთმო. თავმჯდომარეს ვირჩევდით. კანდიდატები დაასახელეს და ტარასი მივიდაზე შევიდა რომ ხმების რაოდენობა თვალდათვალ აღერიცხა. პირველად ჯიბუტი მარგველაძე იყო დასახლებული.

— ვინ არის მომხრე? ტარასიმ პირველი კანდიდატის გვირის თქმაც ვერ მოასწრო—ბეჭობიდან საშინელი ზრიალი წამოვიდა, გადაეგლო მიტინგს და სადღაც უბიდოს ხეობაში ჩაიმტვრა:

— არ გვინდა, არაია!..

— ქალებო, ვინ არ გინდათ, ჯიბუტი?

ტარასის ცუდად ენიშნა ქალების ასეთი აქტივობა.

— ჯიბუტი კი არა, არტელი არ გვინდა, არტელი — უკლებლად გაიჭრიალა მითინგის თავზე.

ბექობი მოშორებით იყო და მითინგის მსვლელობა ქალებმა ვერ გაიგნენ. როცა ტარასი მაგიდაზე დაინახეს, იფიქრეს—არტელის მომხრე ვინ არის—ამას გვეკითხებაო და როგორც დარიგებულნი იყვნენ, ისე მოიქცენ. აყვირდნენ.

ტარასი მყისვე დარწმუნდა, ბექობი ბოზოლების ხელში იყო. ქალები უცებურად მოსტყუდნენ. უდროოდ წამოიყვირეს და ნაადრევად გამოამკლავნენ თავიანთი განზრახვა.

ტარასი ქალებს მიუბრუნდა, შეუვალი ხმით მოსთხოვა ბექობის დაცლა,— არა და კრებას დავხურავთ,— დაემუქრა. აქა-იქ მამაკაცებიც გასწყურნ. ქალები დამორჩილდნენ.

უფრო კი ბექობი იმიტომ დატოვეს, რომ წინანდელმა შემთხვევამ ნათელი გახადა: ამ სიშორეზე დგომა თითონ მათთვის არ იყო ხელსაყრელი. შეუფერებელ დროს ახმაურდნ და მამაკაცები ვერ აიყოლეს.

... სიჩუმეა. მხოლოდ დრო გამოშვებით, როცა ვინმე ფეხს მოინაცვლებს და უნებურად ზურგში მდგომს ჩამოეფარება, სიჩუმეს გამწყრალი ხმა შეარბევს და მხრებით მისწიმოსწევენ ერთმანეთს.

ბავშვები მოუსვენრად წრიალებენ. დაძვრებიან ხალხში და მყვინთავეებივით ხან აქ ამოჰყოფენ თავს, ხან იქ.

ლაპარაკობს ტარასი.

მისი უმეპო და შეუვალი კილო მსმენელს მყისვე აგრძნობინებს, რომ მას ღრმად და გულწრფელად სჯერა თავის აზრების სიმართლე. ეგ თვისება ტარასის ლაპარაკს დიდ ძალას აძლევს და, როგორც მოსაუბრე, იგი მართლაც რომ ღონიერია.

ტარასი არ არის ორატორი. მრავალრიცხოვან კრებას ისე უმბრალო, თავისუფლად, აუზნებლად ესაუბრება, როგორც ორ კაცს. საშინლად ეჯავრება გაბერილი შესავალი, მყვირალა სიტყვა, მსოფლიო მამტაბი და სატკაცუნა სადღეგრძელოები, რომლითაც ხშირათ გულს გვიწვრილებენ ქალაქიდან ჩამოსული მომხსენებლები.

მიუხედავად ამისა ტარასიმ დღეს თავის მოხსენება სწორედ იმით დაიწყო, რასაც სხვებს უკიციებდა.

მაშინვე შევატყვე, რომ იგი გრძნობდა რა ამ ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას, უმბრალოებას ალარ ენდო. აზვავდა, შორს გაიჭრა. მიკვირდა, საიდან ჰკრეფდა ისეთ გაბერილ და უშინაარსო სიტყვებს.

— დღეს ისეთი მოხსენება უნდა გავაკეთოთ, დღემდე რომ არ გამოიკეთებია, ქვას გავხუთქაქავ— მითხრა მითინგის დაწყებისას. და სწორედ აი ამ არაჩვეულებრივ მოხსენების სურვილმა ისე გაიტაცა, რომ ვერც კი ამჩნევდა რა ყალბად და სუსტად ლაპარაკობდა.

თავიდანვე საჭირობოროტო საკითხებით დაწყება უვარგისად მიიჩნია და მოხსენებას მყვირალა, არაფრის მოქმელი შესავალი წაუშმღვარა მსოფლიო მდგომარეობის შესახებ.

აგერ ქალიდან მიწისშრომელი გამოავლეს, ბობოლეები გლეხებს არტელის წინააღმდეგ ამხედრებენ, კომკავშირის უჯრედს მამაშვილის უდაკიდებლად სწამებენ. რა დროს მსოფლიო მასტაბი იყო მაგრამ ამით აღბეჭდვით ტარასის ხაზი უნდოდა ვაესვა, თუ რა მნიშვნელოვან საკითხებთან იყო დაკავშირებული ქვენი დღევანდელი დღის წესრიგი.

სადაც თავების ზევით იყურება. თანდათან ჰვარგავს იმის გუშანს, რომ მაგიდის ირგვლივ მოხვედრულ გლეხებს სადღეისო ნაღვლებელი საკითხების გარკვევა ესაჭიროებათ და არა ის, თუ როგორ დაარბიეს ლონდონში საბჭოთა სეპარო წარმომადგენლობა.

ერთხანს გაწყობილად ფანტავდა უსარგებლო სიტყვებს, მაგრამ ორატორობაში გამოუცდელს და მრუდე ვზით წასულ ტარასის მსოფლიო მასტაბი მალე შემოებარჯა. გაუჭირდა, სიტყვების განმეორება დაიწყო.

დაკიმული ეძებს მალალ ფარდიან და ცეცხლოვან გამოთქმებს. ვერ პოულობს. მათ მაგივრათ დონდლო და უშინაირსო სიტყვებს არაკუნებს.

დაღლილობა იგრძნო. შეჩერდა. ხალხს ვადახედა.

აქამდე თქმული ქონების თვალთ განსჯერბა და მუისევი მიხვდა, მცდარი ვზით მიდიოდა. დღეს ასეთი სიტყვები არ იყო საჭირო.

თავისუფლად ამოიხურთქა და ლონდონიდან სწრაფად ჩამოფრინდა ჩვენს სოფელში. თავის თავს მიაგნო.

ახლა ის ლაბარაკობს, უკეთ—მუსაიფობს არტელის შესახებ ისეთივე მომხიბვლელი გულწრფელობით და აღტაცებით თითქო თავის სამზარეულო ფაცხაში ზის და ჩვენ გვესაუბრება.

აგერ მის ხმაში სიმკაცრემ გამოჟონა. ის უკვე ქალის საკითხს უახლოვდება. ნიადაგს ფრთხილად წინჯავს: ერთი მოუქნელი სიტყვაც კმარა, რომ გლეხების ვალიზიანებულ თვალებს ავი ნაპერწყლები გასცივიდეს.

...ვინ გვიშლის ხელს, რომ ლარბებმა კარგი ცხოვრება მოვაწყოთ? ვინ ავრცელებს ქორებს, ქალას გვართმევენო? ბობოლეები, შავსიელები...

უკანა რიგებში შეინძრენ. გამოუფნებელმა ხმებმა სიჩუმე შეატაკა.

ტარასი ხმას იმალლებს. წინ იბრება და მკაცრად განაგრძობს. გიორგი ჯიშკარიანი თვალს არ აშორებს. ეგ სიტყვები მრავალჯერ სმენია იქ, სამზარეულო ფაცხაში, მაგრამ ახლა გულში ეგზომ ძალუმაღ სწვდება, რომ შხად არის იყვიროს:—ტარასი, გაგვიძებ სიკვდილამდე ერთად ვიქნებით. ჩვენი სირცხვილი, რომ ხანდახან არტელის შიგნით ერთმანეთს ვკბენთ. გარედან მგლის თვალებით გვიყურებენ, ჩვენ კი ესაო—ჩემს მიწას სხვაზე არ ვადაყველი, ჩემს ხარ-გუთანს სხვას არ ვანდობო! ახლა ამისათვის გეცალია. ვანა ნაფეტვარიძე სხვა არის?

ამ წუთში არა მარტო გიორგი, ასე ფიქრობდა არტელის ყოველი წევრიც. უკეთურად აღტკინებული სოფელი მათ უფრო აკავშირებდა, ამიტომ დღეს რაც არ უნდა მომზადრიყო, ჩვენი არტელი დამარცხებულად მაინც არ ჩაითლებოდა.

მიტინგზე მეტი დაგვიანებით მოვიდა.

ფურ. „მნათობი“ № 3—4.

დუქანს პატრონის ცოლმა როკაშმა პასიკომ გადმოაკითხა. დიდგვარუბნებს
ოთახებში და ჭირვეულობს. მექის ხელიდან გამოსული ყველაფერი შრუტედ და
უნაიროდ ეჩვენება.

მექიმ ადრიანად მოილია საქმე. მიტინგზე წასასვლელად ^{ეჩვენება} ~~საქმე~~
დიასახლისმა შეაჩერა. სადღაც ადამ და ევას დროინდელი დანაჩანგლები
გამონახა და გასახეხად მისცა.

მექიმ ერთი ორი გაუსვა და ეანგით შექმული ჩანგალი ხელში შეატყდა.

— ნელა, შე დოყლაპია, სული ქუჩისკენ ნუ მიგიდის. სანამ ვერცხლსავეით
არ გახდი, დუქნიდან ფეხსაც ვერ გაადგამ!—გამოუტყადა პასიკომ.

ხეხვას მორჩა. ხელი დაიბანა, მაგრამ როკაშმა დედაკაცმა არც ახლა გაან-
თავისუფლა. დაიჩემა—ლოშში კვარკველიტებია, კიდევ ჩახილეთა.

გაბრაზებულმა მექიმ სუთი ისე ჩასცხო—ტყავს კინალამ ძირი ვააგდებინა.

დუქანში კვერნაძემ და დახუნდარამ შემოიბრინეს. ოროლი ტიქა არაყი
გადაპკრეს და გაშპენ.

წასვლისას დახუნდარამ მექის თვალი ჩაუკრა; ატყილებლად მოდი, დიდი
სერი იქნებაო. დუქნიდან მოედანი კარგად მოსჩანს. სამხრობა იქნებოდა როცა
მექიმ მაგიდაზე ასული ტარასი დაინახა.

— დაიწყო!—და დიასახლისს დაედრიჯა!—ხალხს გადაეხედავ, მილე დაე-
ბრუნდები.

მოშუადლებული იყო, მექი რომ მოედნისკენ დაიძრა.

ლაპარაკის დროს ტარასი ხელებს ისე აქნევს, თითქო მძიმე ხარებს რე-
კავდეს.

მექის ყურადღება პირველად ამ ხელების ქნევამ მოიტაცა. მერე თანდა-
თან შეეჩეია და გულის-ყური მოიკრიბა.

...ბოძოლებს რომ ჰკითხოთ, ღარიბებს შიტომ არაფერი გააჩნიათ, რომ ხარ-
მაცობენო. სიცრუევა, აზნანაგებო! ძაღლის თავი სხვაგან მარბია. ღარიბმა დღე-
დაღამეც რომ გააერთიანოს, ხარივით იმუშაოს—კუჭი თუ გაიძლო, ისიც დიდია.
სილატაქს მაინც ვერ გაუქცევა. რატომო, შეგვეკითხებით; რატომ და ღარიბს,
მარტოხელა მეურნეს გასაქანი არა აქვს...

— მართალია,—დაუწოწა მექიმ. ტარასის ხელებს ახლა ვერც კი ამჩნევს,
ისე დაძაბული უსმენს.

...ამიტომ ჩვენ სიღარიბის მიზეზად ხარშაცობა კი არ უნდა დაესაბოთ, ან
და სხვის ღობეში კი არ უნდა ვიჭვრიტოთ, რომ მეზობელს დრო ვუშოვოთ,
მოვატყუოთ და გავლიტოთ, არამედ თვითონ აი ამ ძალღური ცხოვრების
გარდაქმნას უხდა შევედგეთ. ახალი მეურნეობა უნდა მოვაწყუთ; ერთსა და
ორს ეგ არ შეუძლია. ერთი კაცი უძღურია სიღარიბესთან ბრძოლაში. ერთი
კაცის გაჭივრება უფრო დიდია, ვიდრე იმ ერთი კაცის ძალღონე, ამიტომ მარ-
ტოხელა მეურნე თავის თავს თითონვე ვერ უშველის...

— რა მიგნებულად ლაპარაკობს!—ადუღდა მექი.

გაძნობს: ტარასის პირით მისი საკუთარი ცხოვრება, მისი გაცრუებული
იმედები მოსთქვამს. ერთი კაცი უძღურია—ოჰ რა მძაფრად გამოსცადა მან ეს
უძღურება!

უსმენს და მის გუნებაში გამოუგნებლად იწყებს ფაჩუნს ისევ ის ძველი, საყვარელი ფიქრები თავისუფალ ცხოვრებაზე.

...ბახეინის კლანკებიდან არტელი დაიხსნის მოჯამაგირებს: „საყვარლო“ შრომა და მანქანები... გოგუნებს ტარასი. ყრუდ ეხმაურება სიშორე.

მეტი ცმუტავს. ვის გაუზიაროს თავის აწეწილი ფიქრები! აი თურმე ვისთან უნდა მისულიყო რჩევის მისაღებად. კოლექტივში მოჯამაგირებს იღებენ, იქნებ მეც მიმიღონ...

წინ, ქალებთან, დახუნდარას ბანჯკელიანი თავი შეამჩნია.

— სასიერო აქ რა არის?—მოაგონდა ღუქანში ნათქვამი. უცებ ქარმაგობით განათებული სახე ჩაუჭრა.

— აჰა, აი თურმე რა სიერის აწყობენ! დილით კი ვერ მივხვდი. —წაიბურღლუნა და ხალხი მოურიდებლად გაარღვია.

— რო, კარგ დროს მოხველი, —გაეხარდა დახუნდარა.

მეტიმ პირქუშად ჰკითხა:

— რას აპირებთ?

— მოითმინე და გაიგებ.

— გაგებული მაქვს. კრების ჩაშლა ვინდათ. ამ დილით ღუქანში ყველაფერი გავიგონე. შენ რალას ეჩრები? ტარასი ხომ ღარიბების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

— ეჰ, ნეტავ შენ ჰქუა მოგცა და მე ასი თუმანი, —ჩაიხვიხვინა დახუნდარამ: —სამი წელია ტარასი ღარიბების სასარგებლოდ ლაპარაკობს, კუქს რომ სიტყვა აძლებდეს—ნაფეტვარიძესთანა მსუქანი მეორე არ იქნებოდა ამ ქვეყნად. ტარასი ყოველდღე თითო გოდორა სიტყვას აყრის პირში, მის გასუქებას მაინც არაფერი ეშველა. როგორც იყო, ისეა—კატის შაშხივით. კიდე უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ მათი ჩურჩულით თავგაბეზრებულმა გლეხებმა შეაწყვეტინეს. ისიც კანტურით გაშორდა შეშფოთებულ ბიჭს.

შეზარხოშებულ დახუნდარას სიცხე აწუხებს. ერცახე ჩრდილი ყველაფერს ურჩევნია მოხსენება მაინც და მაინც არაფრად ეპრიანება. სანატრელიც იქვეა, მუხის მაღლიან ტატებს ქვეშ, მაგრამ ეშმაკმა დალახვროს! იძულებულია ხალხში იდგეს და მზეზე იბრუკოს. მოხსენების დამთავრება არ უნდა გამოეპაროს.

ერთხანს ითმინა, იბუზლუნა და შერე მოისაზრა: —ტარასი მოხსენებას ისე არ მორჩება, ბარე ათუჯრ ჩვენს მთავრობას და პარტიას გაუმარჯოს“ არ მიაცოლოს. ცოტახანს მიეწვები. როცა „გაუმარჯოს“ დაწყებს, მაშინაც მოვასწრებ...

მაგრამ მოსტყუვდა. ტარასიმ მაგიდა ისე დასტოვა, „გაუმარჯოს“ ერთხელაც არ დაუძახნია.

ტარასის ხმა რომ შესწყდა, დახუნდარამ თავაუღებლად გააცურა: „აღბათ შეიხენა“, გაიფიქრა და დამშვიდებული ელოდა მოხსენების გაგრძელებას. როგორ იფიქრებდა—ტარასი ასე ცივად, ხმა-აუწყვლად დაასრულებდა.

თავზე დაფეთებული ბარნაბა წამოადგა.

— გაათავა, რას აგვიანებ! იყვირე, შე მამაძაღლო!

— არ გვინდაა! —ღრიალით წამოიჭრა დახუნდარა.

— უუუ—იგრიალეს წინ და ზურგების კედელი ერთბაშად შეირყა დაგვიანება რომ გამოესყიდა, დახურდარამ ხმა ისე დაძაბა—წვირიან კისერზე თითისხელა ძარღვები დაიჯდა.

ტარასიმ მიწაზე ჩამოხტომაც ვერ მოასწრო, რომ აქამდე თავდახტვრილი გლეხები მაგიდას ხმაურით მოაწყდნენ.

რამდენიმე კაცმა ერთბაშად მოინდომა ისვლა. ყველა სიტყვას თხოულობს ნებართვას კი არავენ უცდის, ლაპარაკობენ.

მაგიდაზე პირველად მინასია რეზვიანული შეხტა. იქაქანა, იქაქანა და როცა დარწმუნდა, კაცი არ უსმენდა, თავმჯდომარეს დაუწყო ყვირილი: «სიტყვა მომეცი, სიტყვა!»

— მოქალაქენო, ვაჩუმდით! რიგრიგობით. ყველა მოესწრებით.—ვაწყნარებთ უკეთურათ აღტკინებულ ბარელებს:

ტარასიმ სკამზე არხეინად გადაწოლილი ტუჩა შეარყია.

— აღე, ჯერ შენ გამოდი.

— თუ ძმა ხარ,—ტუჩამ ხელები გაშალა,—მე დავიდარაბის თავი არა მაქვს; თქვენი მკვდარი თქვენვე გადაათრიეთ.

— მაშ ასე, არაა?—კბილებში დასწურა ტარასიმ და ჯიშკარიანს მიუბრუნდა:

— აბა, გიორგი, ივარგე.

გიორგი მაგიდაზე ავიდა. ტუჩების მოძრაობით ემჩნევა რომ ლაპარაკობს. ისე კი არაფერი გვესმის, საშინელი ხმაურია.

— განაგრძე, განაგრძე,—ამხნივებს ტარასი.

— ჩუმაღ, მოუსმინოთ,—გადაყვირა ხმაურს ნაფეტვარიძემ.

— ჩუმაღ!—შესძახეს სხვებმაც. ხმაური ოდნავ შენედა.

— ... ქალაში ჩვენ მხოლოდ მიქელაძისეულ მიწებს ვიზონავთ. თითონ არ ამუშავებენ, იჯარით სცემენ, ჩვენ კი მთლიანი ფართობის ბოწყობა გეინდა, ჩვენს მიწებზე უცვლით. მათთვის სულერთია; რაც შეეხება იმას, რომ ქალიდან სხვებსაც აგდებენო, ეს კორია! ბარნაბას ნუ აყვებით, ის ჩვენი მტერია. მარჯვენა ხელით რომ სალამს ვაძღვეს, მარცხენა ხამარის გასათხრელად მიაქვს.

გიორგიმ დაწყვეტილად დაიწყო, მაგრამ თანდათან მომძლავრა.

— ჯიშკარიანო!—იქექა ბარნაბამ.—მამაშვილი არ იქმარეთ, ახლა მეზობლები გინდათ ერთმანეთს გადაკიდოთ?

— შერთალია! ძირს! უუუ!

გიორგი უმწეოდ აიწურა.

— ჩვენ გვალაპარაკებთ, ჩვენ!

— გეყოფათ!

— სიჩუმე!

— მიაწყვით, ახლა ჩვენ..

წინ მდგომნი ძლივს აჩერებენ ზურგიდან მოწოლილ ცაცხვისუბნელებს. მთელი მიტინგი ირწყევა, აქეთ-იქეთ იზნიქება, როგორც ქარში სიმინდის ყანა. გიორგი ჩამოვიდა.

— ყველას გამოშვება არ შეიძლება, შევარჩიოთ!—მეუბნება ტარასი. მაგიდასთან მოხვედრულ გლეხებს ათვალთვრებს.



ვილაც გაშმაგებით მოიკადავს გზას, ვიცანი—დახუნდარა.

— რა გინდა?—ჰკითხა ტარასიმ.

— რავე, ჩვენ არ შეგვიძლია ქადაგობა თუ რაშია ვაქო, ^{საქმე} ^{გაიღრი-} ^{ჯა} და არაყი მოგვასუნთქა:

— მიტე, — დაუმატა უფლებამოსილი ხმით.

— მთვრალი ხარ, აქედან გაიპარე! — დაუბრიალა თვალები ტარასიმ.

ამის თქმა და დახუნდარას მაგიდაზე შეტრიალა ერთი იყო. ხელები ცისკენ შეაგდო და განწირულივით ამოიკვნესა:

— ხალხო, მიშველეთ! გესმით, საბჭოთა მთავრობის დროს ღარიბებს ღამობას უკრძალავენ, ხალხო!

— მიეცი! ალაპარაკეთ! ნიკოლოზის დროს ხომ არაა? — აღრიალდენ ცაცხვის უბნელები.

ტარასი თავს ძლივს იმაგრებს რათა ეს გაუსწორებელი ლოთი და მყვირალა კინწის კვრით არ გადმოაგდოს ძირს. თან ხედავს: დახუნდარამ იმისთანა პროვოკაცია გაუშვა, რომ ახლა სიტყვის ვერ წაართმევს. ტრიბუნა მის ხელშია.

მწარე გულით დამორჩილდა აუცილებელს.

— დახუ, რამდენი დაგაღვიწინეს? — ჩაუქირქილა ჯიშკარიანმა. წინა რიგებში გაიკინეს,

— შენ იკითხე, ვაქო, რაცა გაქვს, იმასაც არტელი დაგიღვეს, არტელი შეგიქამს, მერე ჩემსავით ცარიელ-ტარიელი დაიწყებ ლოდილს.

— სწორია! დასტე დახუ, მიდი! — და ორმა-სამმა წამაქვებელი ტაშით დააჯილდოვა მისი პასუხი.

— ამხანაგებო, სმენა და გაგონება! როგოც აქ მოგვახსენეს, კალექტივში თურმე ყინებს კალექტიურად დათესავენ. რთველსაც კალექტიურად მოიწვევენ, სადილ-ვახშამსაც კალექტიურად დაუჯდებიან. კაი და კეთილი. მხოლოდ — დახუნდარა ტარასისკენ მიბრუნდა — ერთი შეკითხვა, ამხანაგო: ბოვშებსაც კალექტიურად გააკეთებთ?!

— ოხო-ხო-ოო! — შეირყა მიტინგი.

— არ დახუ, მაგათ ბოვშებისთვის არ ეცლება, სანაწენოთ შენ მიგიწვივინ!

— მაღლიანი ენა გაქვს, მაღლიანი. — ღარღარებენ მოხუცები და სიცილით აცრემლებულ თვლებს იწმენდენ.

მხიარულების ტალღა რომ დაეარდა, დახუნდარამ გლებებს ოთხივე მხრივ თავი დაუკრა და მაგიდა ამაყად დასტოვა.

სიტყვა ჯიბუტი მარგველაძეს მივეცით.

ჩვენი მხრიდან გამოსულ ორატორს ბოზოლები და მათი დამქაშები უყვიროდენ. ბოზოლების დამცველებს ჩვენები უშლიდენ. ჯიბუტის კი ორივე მხარე დამშვიდებით შეხვდა — ალბათ იმიტომ, რომ წინასწარ არც ერთმა მხარემ არ იცოდა, ჯიბუტი ვისკენ დადგებოდა.

— ესენი საეგებოო საქმეზე მიდიან, — დაიწყო მან, — გამოვა? ძალიან კარგი. არა და ბევრს არაფერს დაკარგავენ. დეე იმუშავონ, ჩვენ კი შორიდან უყუროთ, ენახოთ.

დაწყებას არა უშავდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი წყალს გაატანა.

— მე რომ შეითხოვ, — განაგრძო ჯიბუტიმ: — არტელში შესვლას ვერ გავბედავ, სარისკო საქმეა. რისკის გაწევა კი იმას შეუძლია, ვისაც ვერაფერია შიშა. არტელი რომ გაკოტრდეს, მე შენ გეტყვი და ნაფეტვარიც შენს გვერდში დაელუპოს! თავნებე დარჩება.

ნახევარი საათი ილაპარაკა, ჩვენ კი მაინც ვერ გავიგეთ, ვისკენ იყო, ვის ემხრობოდა.

— ვნახოთ, მოვითმინოთ — დაასრულა და დინჯათ ჩამოვიდა ძირს.

— რა მოვითმინოთ! გამიშვით! — ერთბაშით გაიძლია ხალხი და ცაცხვის უბნელებმა თავშეხვეული რაგორა ჩხეტიანი გამოაგდეს წინ.

— რა მოვითმინოთ! ეს? — აპილპილებულმა მოხუცმა ჭრილობაზე მუშტები წაიშინა.

ძლივს გააკავეს.

— არტელი ჩემს შვილს მშობელკალიობას ასწავლის. ეს მოვითმინო? ხალხო, გავგვასამართლეთ, მე და არტელი გავგვასამართლეთ. შვილი გამობრიყვეს, მოსაკლავად მომიგზავნეს!

— მართალია! უუუ...

— ჭორია!

მიტინგი ჰქუხს.

გამოვიდა პოლიცია, ტულუში უშვერიძე. მეც ვილაპარაკე, მაგრამ ყურთა სმენა არ იყო.

ქალების დაწინარებას არაფერი ეშველა. დახუნდარა ცეცხლის წამკიდებელივით დარბის. როცა რომელიმე ჩვენგანი არტელის დაცვას დაიწყებს, ის ანიშნებს ქალებს და ისინიც მუისვე აზრიალდებიან.

— ახლა ქალები ალაპარაკეთ, ქალები!

ეს კვერნაძის ხმა არის.

— მოვიდეს, რომელია? — და პირდაპირ დაუჯერებელი ამბავი მოხდა.

ბარნაბას ცოლი, გოროზი ელისაბედი, მართას მარში შესდგომოდა და შავიღისკენ ისე მოწიწებით მოჰყავდა, თითქო მღვდელთმთავარს მიაცილებდა საკურთხეველზე.

ელისაბედი მიუკარებელი დედაკაცი იყო.

— აზნაურები არა ვართ ბებო, მარა იმისთანა ცხოვრება მაქვს, ათ მიქელაძეს ვიყიდი. — შშირად ყბედობდა ჯარში. ეზოში მუდამდღე ჩიხტიკობით შორათული დაფარფატებდა.

ქადის ცომა რომ ზელავდა, მაშინაც თავშორთული იყო. გლახობას თავილობდა. გლეხ-ქალებთან ცხვირს სწევდა. მხოლოდ აზნაურობის ოჯახებში ჰქონდა მისვლა-მოსვლა.

მართა და ელისაბედი მეზობლად ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამისა, მართა მის ოჯახში მხოლოდ ერთხელ იყო, ისიც მაშინ, როცა ელისაბედის მამამთილმა თქვენი ჭირი წაიღო და მიცვალებულის გასაბანად დაუძახეს. დღეს კი ეს გააზნაურებული დედაკაცი ლატაკსა და ჭუჭყიან მართას დასავით მოხევეოდა და მოკრძალებით მოაცილებდა.



ეჲ, პოლიტიკავ, რა ძლიერი რაჲა ხარ!

ვიდრე მართას ელისაბედი გვერდში ედგა, მისი თითველი მოძრაობა და გამოხედვა გამომწვევი იყო. მაგიდაზე რომ ავიდა, გამბედაობა ^{გაბედაობა} და საწყლად მოიკრუნჩხა. ელისაბედმა შენიშნა ეს და გამამხნეველი ^{სიტყვა} მიაშველა. მართა გასწორდა.

დაწყებისას ხმა ვერ მოჰომა და ისეთი იკვილა— თანაგრძობის მოპოების ნაცვლად აქა-იქ დამცინავი კიკინი გამოიწვია.

— ქალებო, როგორი ადამიანი ვარ?!

— კარგი, პატიოსანი, დასწყვილეს ქალებმა.

მართამ სული მოითქვა. ახლა მამაკაცებს მიუბრუნდა:

— როგორი ადამიანი ვარ?!

— კარგი, კარგი! სათქმელი მეტი არაფერი გაქვს?— მიამახეს მოუთმენლად.

ერთბაშით თავსადარი მოიძრო და თითები მკერდს მიარკვა.

— სიმართლის თქმა მინდა, მარა მეზიხია: არტელმა მეც არ მომიგზავნოს ვინმე მოსაკლავად.

ეს მიმართვა იმდენად ყალბი და შეუფერებელი იყო რომ მართას ქალეზიკ კი არ გამოეხმაურენ.

— მოგზავნა რას ქვია! განა ჩვენ არ ვილაპარაკეთ?— იყვირა ჯიბუტიმ.

— ხედავ, — ჩურჩულით ვუთხარი ტარასის, — შენი იმედი გამტყუნდა. წუხელ აკი თქვი, ჩვენს წინააღმდეგ ლარიბები არ გამოვლენ, ისინი ისედაც ჩვენ მოგვემხრობიანო. ახლა რას იტყვი?

რას იტყოდა! ტარასის ჩემი შეხსენება არ სჭირდებოდა.

იგი ადრევე მიხედა თავის შეცდომას. დღევანდელი დღის წესრიგი ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფებში არ დაამუშავა, სოფელი ნაჩქარევად შეჰყარა. აშკარა იყო, მიტინგი ხელიდან გვეცლებოდა.

მართას ჩხავილს არ უსმენდი. ჩემს გონებას ერთი კითხვა აფორიაქებდა.

— დღევანდელი მიტინგი ასე რად მოეწყო? განა ტარასის არ ესმის ღარიბთა და მოჯამაგირეთა დარაზმის მნიშვნელობა? რა თქმა უნდა, ესმის. უფრო მეტიც: წილს ღარიბთა ჯგუფების მუშაობა მან გამოაცოცხლა.

„მაშ დღეს რა მოუვიდა? მერე მაინც და მაინც დღეს, როცა დიდი სიფრთხილე და მომზადება იყო საჭირო. ნუ თუ არ იცოდა, სოფელი საშინელი ნიოთქმა-მოთქმით იყო გაღიზიანებული? რად არ გაითვალისწინა, რამ დაუჩაღუნვა სიფრთხილე და ასე მოუშადადებლად შეეჩხა სოფელს.“

და ჩემს თავს გულისტკივილით გამოუტყდი: ამ მიტინგის მოწვევით ტარასი თავის პირადი თავმოყვარეობის გადარჩენას ცდილობდა. მკიანველს ალბათ ახსოვს, რომ ტუჩა დაწინიანმა სამაზრო კომიტეტიდან წარმომადგენლები გამოიძახა.

ტარასი შეშინდა. იფიქრა:— მით რომ ჩამომისწრონ და არეული სოფელი ნახონ, უვარგის ხელმძღვანელად ჩამთელიან, იტყვიან: ტრაქტორის თხოვნით კური გამოგვიჭედა, ჯერ კი თურმე არტელის ფართობიც ვერ მოუწყვია, ათი კაცის გაძლოლაც არ შესძლებიანო.

ტარასიმ იცოდა რომ დაშინანმა სამაზრო კომიტეტს სწორედ ამ ანგარიშით მიმართა.

დაშინანის არა ბოლშევიკურ საქციელს ტარასიმაც არა, ბოლშევიკურად უპასუხა. ქალის საკითხის სწორად გატარების ნაცვლად (საქტორის) სისტემოცვარეობის დაცვას შეუდგა. უნდოდა სოფელი სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლების ჩამოსვლამდე დაეწყნარებია, ამიტომ ანჭარდა და ბუნებრივი შედეგიც მივიღეთ.

ბრძოლას ვაგებდით.

ტარასი ფერდაკარგული შესცქერის მართას და ტანჯვით სჭიმავს გონებას:—საჭიროა გადამწყვეტი ზომები. რა იღონოს, მართას შემდეგ ვინ გამოუშვას? თითონ გამოვიდეს? ტუჩას კიდევ სთხოვოს? იქნებ მიტინგის გადადგმა სჯობდეს?

მართა კი შემცხადებულებით წივის.

— კალექტივი ღარიბებს უნდაო; მეც ღარიბი ვარ, მარა კალექტივი არ მინდა, არა! ქალებო, გაიგონეთ! ქარხნის მუშები დაიშაო და ვისაც მეწველი ჰყავს, ქალაქად უნდა გაერეკოთო. ჩვენ სოფელს კალექტივი არ უნდა...

— ცრუობ!—გაისმა მკახედ, სროლის ხმასავით და ვილაცამ თითქოს სი-მინდში ხარი მოდისო—შეკრული ხალხი ისე მილენა, გადაზნიქა და გზა გამოიკაფა.

მაგიდაზე ზორბა ტანის ახალგაზრდა შეხტა. მართა კიდეს მიახვეტა და მობრუნდა

ეს იყო მექი.

მუხის ჩრდილში, სიდაც წელან დახუნდარა ნებივრობდა, ახლა ბარანბას მოურთხამს ფეხი და კმაყოფილი ბუხუნებს. რა აქვს საეალალო? არ ელოდა, ყველაფერი ეგზომ ჩინებულად მოეწყო. მართას შემდეგ თითონ გამოეა. არ აღაპარაკებენ? ხაჟომია მზათაა. მიტინგს მთლად დაშლიან.

ამ ტკბილ ფიქრებში იყო რომ მექის ხმამ ყურთა სმენა გაუბო,

— მხარზე ეშმაკი დააფრინდა თუ რამ აღერლა ეს ბიჭი!

რალაც უკეთურად აბრიალებს თვალებს. იქნება... თუმცა მაგას ვინ რას დაუჯერებს! აგერ სიცილიც დააყარეს.

და მართლაც მექის გამოჩენა ყველასთვის იმდენად უცაბედი და მოულოდნელი იყო, რომ თვალის დაჭყიტეს, ნამდვილად ისაა თუ გვეჩვენებიაო?

და რომ დარწმუნდნენ, მაგიდაზე მექი იდგა, ისე მხიარულად და უზაკველად გაიციუნეს, როგორც ცელქ ბავშვებს უცინიან ხოლმე, როცა ისინი უფროსებს ბაძავენ და აჯაგრებენ.

— ო, ომოპინტრე, მარტო შენ გვაკლდი, აწი რალა გვიჭირს?

— არიქა, წყალი მოუტანეთ! ბევრი ოროტარობით ყელი არ ასტკივდეს!

მექის ესმის გლეხების დამკინავი ჭიხვინი, მაგრამ ქვაც რომ დაუშინონ, მაგიდას მაინც არ დასტოვებს.

და როცა ხმაური მიწყდა

— ცრუობს, მე ყველაფერი ვიცი!—სთქვა მკაფიოდ, ყველას გასაგონად. მტკიცედ, ისე რომ ახლო მდგომებმა სული გატერინეს.

მეკის ხმაში რაღაც საიდუმლო და მუქარისნაირი გამოჰქვივის, — და ვლუხებშიც თავიანთი უტყუარი აღლოთი იგრძნეს, რომ ამ წუთში ისინი მნიშვნელოვან და სანუგეარ ამბავს გაიგონებდნენ.

— მართა მოსყიდულია, დილით ჩვენს დუქანში კრება ჰქონდა თ, ბარნაბაც იქ იყო, კვერნაძე. მართა...

ბარნაბა დახუნდარას ეცა.

— არიქა, გაგვცა! ხეომიასთან, ჩქარა!

— მართას ჩააგონეს; გამოდი, თმა გაიშალე იტირე, იჩხავლე, არტელი არ გეინდაო. ქალას გვართმევენო. ძროხებს დაგვტყუებენო, სამაგიეროდ...

მეკიმ დათავება ვერ მოასწრო რომ ბექობს გადაღმა ვიღამაც გაქივით წამოიწყო.

რეერო, მთას ურემი ავგორე

ჩამოვიდა ჭრიჭინითა

— რეერო, — შეხვიით დაიცალა ბანები და ბექობზე მთვრალი ჯგუფი გადმოდგა. ბარბაცი თუხისკენ დაივაცეს.

ყველა ვიცანი. ხარკომია, დალაქის შეგირდი ვენე, ორიც გაღმელი ბიჭი იყო. უკან პავლიკა-მეარღნე. არლანზე ტიკქორა და მწვანელი. შეგირდი ვენე ხელის გულზე შამფურს ათამაშებს, რომელზედაც მზრუნველ ხელს ბლომად აუცვამს კადი, ყველი და დედლის ნაჭრები. წვერზე კომბოსტოს მწილი ელვარებს. ქადებზე ხშირხშირად დაურჭვიათ ტყეშლის პატარა ტოტები, თეთრი ყვავილებით შეფენილი, ისე რომ შამფური საბახლწლო ჩიჩილას ჰგავს.

ჯგუფი ღრეობით გაიშალა მუხის ქვეშ.

ვანიშნით გაჩუმებულიყვენ. ისინი კი უფრო მომძლავრდნენ. აშკარა იყო, მეკის ჩაგდებას ცდილობდნენ.

მუხას მივაშურე, ნაუეტვარიძე, ვარდენა და გუცა გამოჰყვა.

— ხელს გვიშლით! გაჩუმდით ან მოედანი დასტოვეთ!

— ლეკური! — პასუხის მაგიერ დასჰყივლა ხეომიამ და ჩემს წინ თავხედურად გაუსვა ფეხი.

აღრიალდა არლანი. არლნის ხმაზე ბავშვებმა ყიფინა იტებეს და მუხისკენ მოკურცხლეს.

— ცეკვა არ გინდა? მაშ ლვინო დაგვილიე, გამომართვი, პოლიტიკაზე მერე ვილაპარაკოთ.

ხეომია იმდენად მთვრალი არ არის, რამდენსაც ბარბაცებს. იგონებს. შფოთიანათ მაწყდება და ლვინოს უტიფრად მაძალებს,

მოთმინება არ მყოფნის.

ხეომია ყილის გუნებაზეა. ჭიქას პირდაპირ ცხვირზე მადგამს.

— რა საავარო დრო და ადგილი ნახეთ! გაჩუმდით, თორემ ინანებთ. — და ჭიქას ხელის გული შევახვედრე.

— ბიჭებო, არიქა, — დაიღრიალა ხეომიამ: — უპარტიოებს გვცემენ, მომეშველეთ! — გადაიზნიქა და მოულოდნელად ისეთი სილა გამაწნა — ლოყა დამწვაბრავით ამბურცა.

გაღმელებიც წამოვარდნენ.

ვარდენა წინ გადაეღობა.

ქოლიკა და ნაფეტვარიც კი გაცოფებულ ხაეომიას ეცნენ დასაკეცებლად. ხაეომიამ ორივე დაიბერტყა და კვლავ ჩემსკენ გაიქანა.

ის იყო კიდევ მწედა რომ მექიმ მომისწრო.

ხაეომია ზურგიდან ჩაბლუჯა და თვალის დახამხამებაზე ფეხქვეშ ამოიღო. „ყოჩალი ბიჭი“ გაიბრძოლა. მექიმ უფრო მოსწურა და ბეჭები სულ ერთიანად დაუღეწა.

— გააშველო! — უყვირე ჩხუბის ხმაურზე გამოქცეულ გლეხებს.

მაგრამ ცემის ნაცვლად მექიმ ხაეომია მკლავებში მოხვეტა, ზვეით აიტაცა და მიტინგისაკენ გააქანა.

ბარელები ჯერ კიდევ ვერ გამოორკვეულიყვნენ, რომ ნაგიდაზე კვლავ მექი დაინახეს, — აღელვებული, აფორიაქებული.

მის ხელში ყოჩალი ბიჭი ფართბალებს, იგი გრძნობს თავის უძლურებას, შერცხვენას და გაბოროტებით ღმუის.

გონს ვერ მოხულა, რას უპირებს, მაგიდაზე რატომ ამოათრია?

მექის შურის ძიების ტკბილი და მწველი ცეცხლი აქანკალებს, ორი წელია მის გულში ჩაქეცილი ბოღმა გამოსავალს ეძებს და აპა, მექი სამაგიეროს უბდის ყველას; ერემოს, ხაეომიას, ცხოვრებას, ძალღებვივით რომ დასევნიან მის ჩაბნელებულ ახალგაზრდობას.

— დაიწყე! რაც იცი, ყველაფერი თქვი! ნუ გეშინია, ჩვენ შენთან ერთად — უძახის სიხარულით ცამდე ასული ტარასი.

მე უკვე მაგიწყდება ჩემი ატეზილი ლოყა და გაუანტულ გლეხებს ვაგროვებ.

— ესეც მოსყიდულია, ესეც! — მექი ხაეომიას არყევს და ზურგით აწეება, რომ წინ წამოაგდოს ხალხის დასანახავად.

ხმა უწყდება, თუმცა ახლა ყვირილი რა საჭიროა, მთელი ყრილობა სდღუმს.

— ამ დილით ესეც დაარიგეს: ბიჭები იშოვე, პურმარილი ჩვენზე იყოს; როცა განიშნოთ, მოედანზე შემოიქეციფეთ, თუ დაგიშალონ, ოქვენებურად დატრიალდითო. მართას ბათმანი სათესლე სიშინდი აჩუქეს.

მაგიდასთან შეჩოჩქოლდენ.

ეს — მილიციონერი კინწურაშვილი მოვიდა ხაეომიას წასაყვანათ. ვინე და გაღმელები მანამდე გაიპარენ.

— დამიმტკიცე, დამიმტკიცე, ცილს ნუ მწამებ! გაუბედავად იყვირა მართამ.

— მართალია, დაუმტკიცე! — დაუმოწმა კვერნაძემ.

— შენ დაგიმტკიცო? შენც იქ არ იყავი, კოკინია? კარგი, დაგიმტკიცებთ! ლოფინა სად არის, ლოფინა?

სამსახურის ვასაწვევით ყველა მზად იყო და ლოფინა მუისვე მოსძებნეს.

— აქ არის, არ მოდის

მართას ქალიშვილი ძალით მოიყვანეს.

— სთქვი, — მოიხარა მექი: — დუქნიდან ამ დილით წაიღე თუ არა სიშინდი?



დოფინის ლოყებზე სისხლმა იფეთქა.

წაიღო, როგორ არ წაიღო. სიმღერით მიარბენია შინ... მაგრამ ახლასდუმს. დედას როგორ გასცემს, როგორ უღალატებს? მერე შენ რა პირობა შევიდეს? ამ ღამით საფერხეში რა პირობა ჩაუგორდეს?

სახეს მალავს. გაქცევას ღამობას.

მე ჩავერიე. ვიცოდი საიდანაც უნდა მომეგლო.

— მართალი გვითხარი. ხვალ ზეგ კომკავშირში უნდა მიგილოთ, ჩვენს მუშაობაში უნდა ჩაგებათ. ცრუობა არ შეიძლება. ჩვენ თუ რამეს დაგვიმალავ ვილა ჯანდაბასთან იქნები გულახდილი!

— დედა? დედას რა უყო, მეცოდება!— და აცრემლებული თვალები ვედრება ნარევე მორჩილებით მომპაყრო.

— დღეს დედაშენს შეცოდება კი არა, შერცხვენა უნდა რომ აწი მიინც არ გადაიქცეს ბოზოლების ენად. ჩქარა, ხალხი გიციდის! აბტი ზევით და ყველას გაავონე.

მის თანზობას არც კი დაველოდე, წაველე ზელი და მაგიდაზე შევსევი. სირცხვილით გადაბუგული დოფინა კისერს იტეხდა, ისე ღრმად ხრიდა თავს რომ დედის მოსაყვედურე მზერას არ შეხვედროდა.

— კი, წავიდე. ამ ერთხელ აბატიეთ—ამოიღულულა და მაგიდას მოსწყდა.

სულმეგუბულ ყრილობას ჯიბირი მოგჯა. მოედანზე მრისხანედ აფუხფუხებული ხმები გაიშალა.

— მაშ მოისყიდეს? გვატყუებდენ! ზიზლი, ზიზლი!

მიტინგი გრგვინავდა.

ყველაზე მეტს მიტინგის დაწყებისას და ახლაც მინასია რეგვიაშვილი ხმაურობდა.

იჭვიანი, კოორით ადვილად მოსაშხამავი, მაგრამ ძირითადში ალალი და პატიოსანი გლეხის გულისწყრომას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მიხვდა რომ მოტყუებას უპირებდენ.

— წუხანდელი ღამე შავად გამითენდა, დავიტანჯე, მართამ მეც მითხრა, ჭალას გვართმევენო, რა ვიცოდი თუ ერემოს ჩავგონებული იყო. აბა სხვა მხრივ რა მაქვს არტელთან სადაო!

ერთი საყურადღებო ამბავი შევნიშნე, მექის შემდეგ ხუთიოდე გლეხი გამოვიდა, ყველანი ერემოს დაესმენ, ბარნაბაზე კი სიტყვაც არ დაუძრავთ. ერთმა ისიც კი სთქვა: ბარნაბას ერემო შეაცდენდა, თორემ იგი ამისთანა უნამუსობას არ იკადრებდაო.

მთავარი ცეცხლი ერემოსკენ მიმართეს. კორების სულის ჩამდგმელ ბარნაბას რატომღაც ივიწყებდენ.

ჩემი დაკვირვება ტარასის გაფუზიარე:

— ვერ მივხვდი?—გაიღიმა მან.—ერემო ვაჭარია, მეფახზე. ამიტომ ის გლეხებს პირივით ეჯავრებათ. ბოზოლა ბარნაბას კი ვერ იმეტებენ, რადგანაც ჯერჯერობით პატარა ბარნაბები მათ გულშიც სხედან. გლეხები არიან, გლეხები, ჩემო ბაჭუა! თითოეული მათგანი თავის გულში ჩუმიად ბარნაბობას ნატრუ-

ლობს მაგრამ გეშლებათ, ამხანაგებო, ბარნაბას გაელენა მაგრად უნდა შევარყოთ დღეს!—დაუშაბა მან და საბოლოო სიტყვა აიღო.

ტარასიმ თავის დაპირება მართლაც შეასრულა: ჩინებულად ემსახურა, მხოლოდ არა მაშინ, მიტინგის დაწყებისას, როცა ამისთვის საგანგებოდ ემზადებოდა, არამედ ახლა, კრების მიწურულში. დღეს პირველად მოვისმინე მისგან ასეთი მზურვალე და განმანადგურებელი სიტყვა.

მოულოდნელათ მოსულმა დახმარებამ ფრთები შეასხა. კალა, შემოსავლის გადამაღვა, ნაფეტვარიძის მოტყუება—ყველაფერი გადაშალა და ბარნაბა საგანელიძეს მუსსრი გაავლო.

ბარნაბა მიტინგიდან ადრე გაიპარა. დახუნდარაც გაჰყვა. ბეჭობი გადალახეს და გზატკეცილზე უნდა გასულიყვნენ რომ ბარნაბა შესდგა.

ვერ გაბედა გზატკეცილზე გასვლა. გლეხებთან შეხედრას თავს არიდებდა.

გადასწყვიტა ლობე-ლობე შეუმჩნეველათ ევლო და თავის ეზოში ვენახიდან შეპარულიყო, მაგრამ გულზევიად ბარნაბას ეჩოთირა ასეთი სამარცხენო გაქცევა ენაშენებაზე დახუნდარას თანდასწრებით.

— ხვალ დუქნებთან უბად ამიღებს. დიდი გზით ვერ გაბედა, ხელიკივით ჭინჭრებში შეძერა და გაპქრაო—და თავის ღირსების გადასარჩენად ბარნაბამ ხელი ხეანჯარზე მოიკიდა და ძლივს ამოღეკა:

— ეს ოხერი, რაცა კეჭი ამეშალა და... შენ წადი, ნუ მომიცდი.

დახუნდარა მიხვდა ბარნაბას გულუბრყვილო ეშმაკობას:

— საწყალი, გაპარე უნდა და ჩემი რცხენია,— გაუღედა,

ჩენი სოფლის ყველაზე ლარიბ მოქალაქეს ახლა გულწრფელად ეცოდებოდა ჩენივე სოფლის ყველაზე მდიდარი მოსახლე.

ლარიბი წავიდა. მდიდარმა კი გახსნილი ხეანჯარი საჩქაროდ შეისყვნა და ამოიოხრა:

— ვაი შენ, ჩემო თავო, ამასაც მოვესწარიო!

მიტინგი გათავდა.

გლეხები ჯგუფჯგუფად გაიშალენ, მაგრამ შინისკენ არავინ ჩქარობდა. იდგენ და მეტი სიფიცხით განაგრძობდენ კამათს.

ტარასის არტელის წევრები შემოეხვივნენ.

— ახალი წევრი, გვემატებოდეს!— და წრეში მეტი შემოავდეს.

— მაშ მიმიღებთ?—მეტი ერთბაშათ აიღეწა;—ამ ხელების გარდა არაფერი გამაჩნია, მარა უღელში გაეებმები, კამეჩს დაეჩაგრავე, კამეჩს, ისე ვიმუშავებ!

ჩენები მოედანზე დარჩენ. მე და ტარასი აღმასკომში შევედით.

სალამოვდებო. შორიდან ყრულ ისმის შუკებზე გაფანტული გლეხების ხორხოცი.

— გავიმარჯვეთ, მექიმ პირდაპირ სულზე მოგვისწრო!—დაარღვია სიჩუმე ტარასიმ.

— მართალია. ჩვენ გავიმარჯვეთ, შენ კი არა!—ძალიან მიჭირდა ამის თქმა მაგრამ დამალვა არ შემეძლო.

ტარასიმ უცებ შემომხედა. თვალებით გამომცადა. მერე დაშეცდებით ჩაიცინა.

— ხუმრობის გუნებაზე ხარ?

— სრულიად არა. მართალს გეუბნები.

— რეებს როშავ! რომელ სიმართლეზე ლაპარაკობ? რას ქვია ჩვენ და შენ?

— ტარასი, გული ნუ მოგვივა. შენ პირველი დამიძახებ ცუდ კომკავშირელს, რამე რომ დაგნიშალო და პირში არ გითხრა, რასაც ვფიქრობ. ჩვენ გავიმარჯვებთ. არტელმა გაიმარჯვა, შენ კი დამარცხდი, დამარცხდი, როგორც ხელმძღვანელი.

— არაფერი მესმის!

— მექის გამოსვლას არც შენ, არც მე, — არავინ ელოდა, იგი შემთხვევით მოგვეშველა, მექი რომ არ გამოგჩვენოდა, მაშინ გავიმარჯვებდით? ცხადია, არა ბოზოლები წავგლეკავდენ. ვინ შეცვლიდა მექის? ვინ გასწევდა მის მაგიერობას?! რა თქმა უნდა, ისეც მისთანა მოჯამაგირე და ლარიბი, მეორე მექი. და აისწორედ შენი დამარცხებაც აქ არის. შენ არავითარი მუშაობა არ ჩაგიტარებია რომ დღევანდელ კრებაზე მექის მაგიერები გეყოლოდა, მექი შემთხვევით. დღეს ჩვენმა კლასიურმა სიმართლემ შემთხვევით, სტრუქტურად გაიმარჯვა. ამიტომ შენ დამარცხებული ხარ როგორც ხელმძღვანელი, რადგან ჩვენი გამარჯვება შენთვისაც მოულოდნელი იყო. მექის გამოსვლას შენ არ ელოდი. წინასწარ არავითარი ზომები არ მიიღე რომ ლარიბები ბოზოლებს არ ჩაეგდოთ ხელში. მე ვიცო, ტოჩა დაშინიანი შენი სახელის გატეხას ცდილობს, მაგრამ შენ მაინც არ გჭონდა უფლება, შენი პირადი თავმოყვარეობის დასაცავად ასე მოუშხადებელი ყრილობა მოგეწვია, მე ამას შენი და ჩვენი არტელის სიყვარული მალაპარაკებს, დღევანდელი გამარჯვება არ იყო შენი ხელით შემხადებული. შენ დამარცხდი, რადგანაც დღეს შემთხვევაზე იყავი დამოკიდებული.

ამხანაგს თვალეში ვაჩერდები: „იქნებ სწყინს?“ — ვფიქრობ. ტარასის სახე არ ამჟღავნებს მისი გულის ხმას, ცივად მისმენს. მეწყინა, ჩემს სიტყვებს არად ადგებს მეთქი, — მაგრამ შევცდი.

კარგახანს სდუმდა, მერე ალულებით მითხრა.

— სწორია, ბაჭუა. იცი, წელან ამისთანა აზრმა მეც გამიელვა, მაგრამ წავეურე. არ მინდოდა ჩემი თავისთვის გამეზილა. სხვებს ვეჩიინები, ბოლშევიკმა პირადული საცემებით უნდა დაივიწყოს მეთქი, მე თვითონ კი ტყვეთ ჩაუვარდი, ხედავ!

(გაგრძელება იქნება).



კ მ ღ ი ლ ი

3 4 5 6 7 8 9 10 11 12 *

9.

თინა უკვე მოემზადა და კიდევ მიემგზავრებოდა ტფილისში. გზის შესა-
მოკლებლად ბიცოლა ზეხათუნის ეზოში უნდა გაეელო.

— ეხლა ქე მისვენებს საცოდავი, თვარა არ დგებოდა მაგის გული აქანე
ეგების ქე ვათხოვდეს ქალაქში და ეშველოს.

ეუბნებოდა ზეხათუნი ვალაქტიონს.

თინა ლობეზე ვადმოხტა. ხელში ბოლჩა ეჭირა. უკან ბაბუა კალათით მის-
დევდა. ვალაქტიონი დარწმუნდა, რომ თინა ნამდვილად მიემგზავრებოდა ტფი-
ლისში და მისგულს სევდა მოაწვა. მან ვაფურკვეველი ტყიელი იგრანო და სი-
ხე მოელეშა. მხიარული თინა კი ბოლჩის ქნევით და სწრაფი ნაბიჯით მიდიო-
და მინდორზე, სიცოცხლით სავსე და აღტაცებული. ბიცოლა ზეხათუნს ემშვი-
დობებოდა, ჰყოცნიდა, წერილის მოწერას ჰპირდებოდა.

— აბა შენ იცი დედუა, რაეც ჰკვიანი გოგო იქნები. ეხლა აღარა გი-
ჭირსრა, დედუა! რაკილა ქალაქში მოხვდები ქე გვიანებ შენს გზას!—ეუბნე-
ბოდა ზეხათუნი.

— შვიდობით ბატონო ვალაქტიონ! გვინახულეთ როცა ტფილისში ჩამო-
ხვალთ.—მიჰმართა თინამ ვალაქტიონს.

— ცოტას ვამოვიელი, ვაგაცილებთ სერამდის. — უთბრა ვალაქტიო-
ნმა.

ალმართს შეუდგენ, ყანჯში შეერიენ.

— ესეც თქვენი ტფილისი, ასე ძალიან რომ გენატრებოდათ! ეუბნებოდა
ვალაქტიონი.

— დასწყევლოს ღმერთმა აღამიანის გული! ეხლა თითქოს შენანებოა აქა-
ურობა, რომ მივდივარ.—სთქვა თინამ და სიმიდის ნედლი ფოთოლი მოგ-
ლიჯა.

— მართლა გენანებანი? შეეკითხა ვალაქტიონი.

— რა ვიცი! თითქოს გული სწუხდესო... თქვენ ხომ დიდხანს არ დარჩე-
ვით აქ? მალე ჩამოხვალთ ტფილისში?

* იხ. მნათობი № 1—2.



საქართველოს
წიგნითმწიფის
კავშირის
სამსახური

გალაქტიონს რატომღაც გაუხარდა თინას შვეითება.
— რასაკვირველია, თინა! ხმა აქ რა გამაჩერებს?
— თუმცა არ მოგწყინდებათ აქ. მაროსთან ივლით ხშირად?
— აღარცა მე მომწონს ეს თქვენი მარო,
— ჩემი არასდროს არ ყოფილა ის! ხომ გითხარი, ბალშევიკები ამომი-
ყრიან მის ჯაერს მეთქი! შეიცა, ჯერ კიდევ ცოტაა!
— ისეთი რა დაგიშავათ მარომ?
— რა ვიცი, რა ვიცი; რაცხა ვინაა თავის თავი, ეხლა რაია! წინად უნ-
და გენახათ! ახლოს არ გაგიკარებდა.

თინას ლაპარაკში გალაქტიონი ბოლშევიკის კილოს ამწევედა, თითქო მაროსა-
გან მიყენებული შეურაცხოფა არ ასვენებდეს მას და შურის საძიებლად მოუწო-
ლებდეს.

— მახსოვს ერთხელე—განაგრძობდა თინა—ქუთაისიდან ერთად წამოვე-
დით. ერთ სადგურზე მასთან ნაცნობი ვაჟი ამოვიდა. ვაჟი რა საქმე: „ქნიაენა
მერი!“—მერის უძახდა—„წყალს ხომ არ ინებებთ მოგიტანოთ?“ „ქნიაენა, ხილი
ხომ არ გნებავთ?“ „ქნიაენა, ხომ არ გცხელათ?“ ქნიაენა და ქნიაენა! მე ვი-
თომც არ ვვადომილვარ იქ ისე დაეავიწყდი ორივეს.—ბრაზით და გესლით
იგონებდა თინა ამბავს.

აღმართი უკვე აათავეს და სერზე შედგენ. თინას ბაბუა, სერაფიონი უკვე
დაღმართს მიჰყვებოდა. წელში მოხრილი თოკივით დასლაკილ ვიწრო ბილი-
კით მიდიოდა და მისი პატარა ტანი ქიანქველასავით მილოდავდა თეთრ ბილი-
კზე, თეთრი კალათი რომ მხარზე ჰქონდა მოდებული.

— ეხლა მშვიდობით, გალაქტიონ! მატარებელზე არ დამიგვიანდეს, ბაბუას
დავეწიო, თვარა გაწყურება!

თინა დაღმართზე დაეშვა. სირბილით დაეწია ბაბუას და მალე თვალსაც
მოეფარა.

გალაქტიონი უკან გამობრუნდა. ეხლაღა შეხედა მიყუჩებულ მიდამოს,—
ყანებს, ღობილოებს, ვენახებს და ეუცხოვა გარემო. თითქო იღუმალი მწუხარე-
ბით შესცქეროდენ მას დაწეოლი ხის ტოტები.

ცის კიდურს გახედა. შორს ცის დასაველზე შავი ღრუბელი დაიოქილ აქ-
ლემს წააგაედა, იგი თანდათან იშლებოდა და ქვეით მიდამოს ჩრდილს აყე-
ნებდა.

დაბლა ჰვრინავდენ მერცხლები, ფრთებით მიწას ეხებოდენ. თითქო შვი-
ბთა ჰაერი აღარ ისმოდა ფუტკრის ბზუილი. გვირილიამაც თავი დახარა. წყნა-
რი ნიავე მიეპარა ყანის ფოთლებს და ნელა შეარხია.

დიდ ხანს იდგა გარინდული. მერე, თითქო შეათრთოლა. სერიდან დაბ-
ლა დაეშვა, ყანა გაიარა, ღობეზე გადახტა. ეხოში შევიდა.

— დედლა მოხედი!— შემოესმა ბიკოლა ზეხათუნის ხმა.—აღარსა წახვი-
დე დედლა, მგონი წვიმას ეპირება. ეგება ერთი ცვარი გადმოვარდეს, თვარა
სულმთლად დეივსო ყანები.

შავი ღრუბლები, თითქო ტყის ფეხი აუღვამსო, დარაზმული მისდევდენ
ერთმანეთს და აბნელებდენ ვენახებს, ყანებს და ეხოს.

ბინდდებოდა ისე, თითქო მელანი გადაესხა ცის გუმბათსო. დაუჩებული ხეები, შენობები, გორაკები და სერები დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მახლობელი მთები თითქო მოიზიდნენ და მდევებივით გაწვევენ.

დეკლულებმა იწყეს ბლაგილი, გოგებმა კუვიელი.

ერყინული
ხეივანი

ბიცოლა ზეხათუნი ხან სალორესკენ გარბოდა გოგების დასამწყვედევად, ხან ბოსლოსკენ.

საგნები თითქო გადაემა ერთმანეთს.

ცა ისე დაუახლოვდა მიწას, თითქოს ეს არის ხელში აიყვანს და გულზე მიიკრავსო. იყო რაღაც შემზარავი ბუნების მოლუსულ გამოხედვაში.

გალაქტიონმა კისერზე ცივი წვეთი იგრძნო. აიენისკენ წავიდა.

უტბათ განათდა. ერთის წამით ხეების სილუეტები გამოჩნდა. ამას მოჰყვა გრვინვა, ქარმა ტოტები შეარბია. პრტყელ თეთრ ქვაზე წვეთები აინიშნა და მალე ციდან დასველებული წვრილი თოკები ჩამოეკიდა...

სწვიმიდა...

სწვიმიდა გალაქტიონის გულშიც!



მეორე დღეს ისეთი რამ მოხდა რაც გალაქტიონისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. ნაუახშმევს, როცა ბიძია ასლანს და ზეხათუნს უკვე ეძინათ, ხოლო გალაქტიონი წიგნს კითხულობდა, აივანზე ხმაურობა და ფეხების ბრახუნნი გაისმა. წიგნის კითხვას თავი მიანება და ყურები დალურსმა. აივანზე არეული სიარული და გაურკვეველი ლაპარაკი ისმოდა. მერე გარკვევით გაიგონა.

გალაქტიონ გალდავაძე შინ არის? გალაქტიონმა კარი გააღო. აივანზე შეიარაღებული ხალხი შენიშნა და ეუცნაურა.

— მე გახლავართ.

— ჩვენ რევკომიდან ვართ.

— რა გნებაეთ?— განცვიფრებით შეეკითხა გალაქტიონი.

— უნდა გავჩხრიკოთ და დავატუსალოთ.

— მე? რათა? რისთვის?— წაილულულა ფერმკრთალმა გალაქტიონმა და გაქვავდა.

— იმიტომ რომ თქვენ კონტრ-რევოლუციონერი ხართ.— მისცეს პასუხი.

— მე?

— დიად! რევოლუცია მოხდა და თქვენ მისი წინააღმდეგი ხართ.

— წინააღმდეგი რევოლუციისა? მე?

— დიად, თქვენ ჩვენთან ერთად არა ხართ.

— მერე, მე რომ...

— ეგ ჩვენ არ მიცით დადგენილება გვაქვს და სისრულეში უნდა მოვიყვანოთ.

თოფიანი ახალგაზრდები აივანზე, კიბეზე და ეზოში იყვნ გაფანტული. პირველი, ვინც გალაქტიონს ელაპარაკებოდა, ოთახში შევიდა, მას ორი თო-

ფიანი შეჰყვა. გალაქტიონის მიგინდა და ლოგინი შეუჩვეველი ხელით გაჩხრიკეს. წიგნების სათაური რამოდენჯერმე წაიკითხეს, ერთმანეთს გადასცეს, გადაფურცლეს, ისევე მაგიდაზე დადეს. გაჩხრიკის დროს ერთმანეთს ეგვიპტელებს ეერთი ძეგორეს შეებღავდა, თითქოს გკითხებოდა კიდევ რა უნდა ვნახათ? *წიგნები*

— ესლა ჩაიცივით ამხანაგო და წამოგვეყვიო!

— ვინ დაადგინა ჩემი დაქერა?— მოდუნებული ენით შეეკითხა გალაქტიონი.

— რეკვამმა! უპასუხეს რიხიანი ხმით.

ასლანი და ზეხათუნიც ამდგარიყვენ, კარებში ატუზულიყვენ და შიგნით იცქირებოდენ.

გალაქტიონი დაბნეული იდგა. პირველად მოესმა მას თავის შესახებ სიტყვა „კონტრარევიოლიუციონერი“ და ეს სიტყვა მის გონებაში შუბის წვეტივით დაერჭო. ჯერ გააბრუა, მერე ტკივილი აგრძნობინა. გაუხურდა თავი და გულმა მოტორავით უწყო ცემა.

— რავა, დედლა, ამ შუალამისას უნდა წეიყვანოთ? რატომ მერე? ნელი ხმით შეეკითხა ბიცოლა ზეხათუნი.

— ეგ ჩენი საქმეა, ბიცოლა!

— მიი ველარ ვამიგია, რა მოხდა ისეთი?

— რა მოხდა ბიცოლა და რევიოლიუცია! ვინც წინააღმდეგი იქნება ყველას ავლაგმავთ! იყო პასუხი.

— არ შეიძლება რომ ხვალ ჩამევიდეს? რაია ახლა ამ შუალამისას?— კვლავ შეეკითხა ზეხათუნი.

— არ შეიძლება, ბიცოლა, არა! ასეა გადაწყვეტილი!

გალაქტიონმა ჩაიცივა, ქუდი დაიხურა. წასასვლელად მოემზადა.

— არა, დედლა, არა! რაფერ ვაგატანთ?— იძახდა ზეხათუნი.

— რა იქნებოდა ახლა, მართლა, ამ შუალამისას... ხვალ ქე ჩამევიდოდა თვითონ.— ჩაურთო ბიძია ასლანმაც.

— ვერ გეიგე ბიძია, არ შეიძლება მეტი!— იყო პასუხი.

შეუცნობი რამ ტრიალებდა გალაქტიონის თავში. ვერ მიმხვდარიყო და ვერ გამორკვეულიყო, რა ხდებოდა მის გარშემო. სოფლის ახალგაზრდები რევოლიუციის სახელით აბატიზრებდენ მას, როგორც კონტრარევიოლიუციონერს! არეული ფიქრები თავს ევლებოდენ.

როგორც მორეეში ჩავარდნილი მცურავი ტრიალებს ერთ ალაგას ტალღების სრბოლით უკუტყეული დაკურავს და ნაპირს მაინც ვერ მიულწევი, ისე მისი ფიქრები უფლიდენ ერთ წერტილს და გასაგალს ვერ ჰპოებდენ.

მოულოდნელი მდგომარეობა მის ნებისყოფას ადუნებდა. ცდილობდა თავი ღირსეულად დაეჭირა. ხან იმუქრებოდა. ხოლო უდრეკი ახალგაზრდები თავის გადაწყვეტილებას იცავდენ.

თოფები მხარზე გაიდეს და შუაში ჩაყენებული გალაქტიონი თან წაიყვანეს.

10.

სატუსლოდან გამოსვლის შემდეგ (გალაქტიონი სოფლიდან ქალაქში გადის) ტფილისის ქუჩებზე ისე დადიოდა, როგორც უცხოელი დადიან უცნობ ქალაქში. ქუჩები აღარ იყო მისთვის მიმხიდეული. ის ყაჩაყანა, სადაც წინად მისი მეგობრები იყრიდნენ თავს და სალამოებს საუბარში ატარებდნენ, ეხლა დაეკეტათ და იგი წიგნებით, პლაკატებით, აფიშებით და გაზეთებით გაეცნოთ.

ჯერ კიდევ სატუსალოს ცხოვრების შთაბეჭდილებანი ღვიოდა მის ხსოვნაში. იქ გაუთავებელი კამათის კორიანტელი იდგა: ბოლშევიკური კედელი მალე დაინგრევა, გზა ხსნილი იქნება, ევროპა საქართველოსთვის ჯარს გამოგზავნის შავი ზღვით დრედნოუტები მოვლენ და ბოლშევიკურ ბრწყალებსგან იხსნიან. ამის იმედი ეხლაც თან სდევდა მას. ხან კი მწარე და ცივი ფიქრ, როგორც ტარბუქისაგან მოტანილი თოვლის ნამქერი, მოსვენებას არ აძლევდა.

ქუჩებზე დადიოდა მძიმე ნაბიჯით. მოაგონდა ამხანაგი, მასთან რომ იჯდა, გძელი შავი წამწამებით, რომელიც მუდამ ერთსა და იგივეს მღეროდა. შეაქუჩებდა რამდენიმე ამხანაგს და პირველ ხმას თითონ გაჰკიოდა:

... ჩამორბენდე შენ ჩემ საფლავეზე
იქვე მარტოხლად ჩამოაჯექ ქვააზე...

თვალეები შორეულ წერტილისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ყელში—დაქიმული ძარღვები, სხეული—ათრთოლებული. ისე გატაცებული იმღერდა, თითქო თვით ჩამომჯდარიყოს საფლავის ქვაზეო:

... და შემომძახე შენის ნაზის ხმით:
„რისთვის მომიკვდი, რა დაგიშავე“...

და მომღერლის დაქიმული, პირლია სახე ეხლაც თვალწინ ედგა მას.

მიდიოდა ფიქრებით დამძიმებული. უცბად ქუჩის მეორე მხარეს ფილაქანზე მიმავალ ქალს მოჰკრა თვალი. მხედველობაში თინას შავგრემანი სახე აესახა. ფიქრებიდან ამოძვრა. ხელნაკრავივით შეჩერდა. მერე ქუჩა გადასკრა, მიმავალ ქალს გვერდით გაუარა. შეხედა, მაგრამ უცნობი სახე რომ დაინახა, უკანვე გამოპრუნდა მოდუნებული. „და შემომძახე შენის ნაზის ხმით: „რისთვის მომიკვდი, რა დაგიშავე“...—განმეორდა მის ყურებში სატუსალოდან ჩარჩენილი სიმღერა.

როგორ გაიგოს, ვის ჰკითხოს თინას მისამართი? თინამ უკვე იცის, რომ გალაქტიონი განთავისუფლებულია. იცის, რადგან სადილებს რომ შეუგზავნიდა ხოლმე, უკან ცარიელი ჭურჭელი უბრუნდებოდა, ეხლა კი მის სადილს აღარ მიიღებენ. მაშ თინას ეცოდინება, რომ ის ქალაქშია. მაგრამ სად მოქებნოს, ვისთან ნახოს? „... შენის ნაზის ხმით... რა დაგიშავე“!...—კვლავ მეორედებოდა სიმღერა თინას მოგონებასთან დაკავშირებული. თინას მიერ დატოვებული შთაბეჭდილება თან შეჰყვა მას სატუსალოში და იმავე შთაბეჭდილებით გაიწვიდა იქიდან.

მაგრამ როგორ ახერხებდა თინა თითქმის ყოველ დღე სადილების შეგზავნას? მას ხომ იმდენი ჯამაგირი არ ექნებოდა, რომ თავის თავივე დეკამაყოფილებინა და მისთვისაც ეზიდა სადილები. ვის ჰკითხოს, ვისგან გაიგოს მისი მისამართი.

უამრავი ფიქრი, მრავალჯერ ნაფიქრი, კორიანტელივით ურბუნდა თავში. ის იკონებდა თინას, სოფელში რომ ცხვარს აძოვებდა. მერე — გველის და ცხვრის ამბავს, მწიანე მინდორს, ისლარს და ყველგან ჰხედავდა თვალებს, ^{წინასწარ} თვალებს...

მოსახვევში გალაქტიონის წინ ნაცნობი სახე იმართა. სახე მას შესცქეროდა, უღიმოდა. კინოს სისწრაფით მიჰქროდა ხსოვნაში ნაცნობ სახეთა მოგონება, მაგრამ ვინ იყო მის წინ მდგარი — ვერ გაერკვია. ხოლო როცა მან სიცილით ხელი გაუშვია მას და შეეკითხა:

— გალაქტიონ, ველარ მიჭანი? — იმანაც ღიმი აღინიშნა სახეზე, ხელი მაგრად ჩამოართვა და შესძახა:

— ლევან, შენა ხარ? — და ორი მეგობარი ერთმანეთს გადაეხვია.

ხელი ხელში ეჭირათ. იღიმებოდნენ, ერთმანეთს ათვალთვლებდნენ და ლაპარაკი ვერ დაეწყათ. სათქმელი კი ბევრი ჰქონდათ.

ორივეს წარსული უტრიალებდა თავში. ახალგაზღობა, გატაცება, პარტიული მუშაობა. მერე ციხე, გადასახლება, შორეული წარსულის მოგონება.

ერთმანეთს ციხეში დაშორდნენ. ერთი უფრო ადრე გაგზავნეს კატორღაში და ამის შემდეგ აღარ შეხედრიან ერთმანეთს.

— სხვა როგორა ხარ? — შეეკითხა ლევანი.

დაქერილი ხელები დააშორეს. ღიმილის ნაოკიც დაიშალა.

— ისე! ეცხოვრობ! შენ სად იყავი აქამდის? რატომ არსად შეგხვდი?

— რუსეთში ვიყავი. კატორღიდან რომ დაებრუნდი, მოსკოვში დაერჩი. მერე, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, იქ რაღა დაპარჩენდა.

პაპიროსის ამოსაღებად ერთი ხელიდან პორტფელი მეორე ხელში გადაიტანა და გახსნილი პორტსიგარი ამხანაგს გაუწოდა.

ლევანი მაღალი იყო, შეავგრემანი, გალიფეს შარვალი ყვითელ წაღების საყელოში ჰქონდა ჩატანებული და ტყავის მოკლე პალტო ეცვა.

პაპიროსის ბოლი გაუშვეს. მიმავალ ხალხს გზა მისცეს და ფილაქანის ნაპირზე გაჩერდნენ.

— რას შერები, ხომ მუშაობ ჩვენ პარტიაში?

— არა. თავი დავანებებ ყველაფერს. — ჩაწყვეტილი ხმით უპასუხა გალაქტიონმა.

ორივეს გულს თითქოს სითბო მოაკლდა. რაღაც მოწყდა და უფსკრულში დაეშვა. მის ადგილს ცივი რამ სითხე დაგუბდა. მეგობართა შორის შეუმჩნეველი კედელი იმართა, ერთმანეთს დააშორა. ეს კედელი ხელს უშლიდა მათ მეგობრული ბაასი გაეგრძელებინათ, აღარ იცოდნენ, როგორ დაპბრუნებოდნენ ლაპარაკის საგანს.

მიმავალ ხალხს შესცქეროდნენ. პაპიროსის ბოლს ჰაერში ჰფანტავდნენ.

ორივეს ისევ წარსული წარმოუდგათ თვალწინ და წარსულის მოგონებამ და მეგობრულმა კავშირმა თავიანთი გავიტანეს.

— გახსოვს ჩვენი პირველი გატაცება? ქარხანაში მუშაობა? რა ლამაზი, რა წარმტაცი იყო ის დრო! — დაარღვია დუმილი გალაქტიონმა და პაპიროსის ნაშწავი შორს ისროლა.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. იოსები რომ გვეუბნებოდა, თუ გინდათ ნამდვილი სოციალისტები იყვეთ და მუშათა მოძრაობას ხელი შეუწყოთ, თავი უნდა დაანებოთ სწავლას და ქმრხანაში უნდა შეხვიდეთო. **ქარხნული**

— და ჩვენც მივდიოდით ქარხნებში.

გონიერება

გონიერება

წარსულის მოგონებაზე გალაქტიონს გონება გაუერთწერტილდა. სხული აუთრთოდდა, თვალები გაუბრწყინდა და თვალწინ წარსულის სურათი გადაეშალა.

ტრედისფერი დილა. ჰაერს ქარხნის საყვირი აპობს. ისარივით მისრიალებს სივრცეში. ო-ო-ო-უ-უ-უ!! მოუხმობს მუშებს. უ-უ-უ!.. ვაკეის იგი და მიდამოს ახმაურებს. ქარხნისკენ მიმავალი შევხალათიანი მუშები ქიანკველასავით მისდევენ ერთმანეთს. იქ ერთდებიან, ჯგუფდებიან და რკინის ალყაფის კარებში იტყდებიან. გალაქტიონი და ლევანიც, მათთან ერთად შრომის რაზმის რიგში ჩამდგარნი, არსებულ წყობილების გარდასაქმნელად ეშურებიან. დღისით ქარხანაში მუშაობენ, სილამოზე კი ფარულ კრებებზე დადიან, როგორც პირველდროინდელი დევნილი მოციქულები დადიოდნენ სამლოცველოში. არალეგალური ცხოვრება საეცე იყო გატაცებით და იმედებით. ვაფიცვები დემონსტრაციები, ციხე, გადასახლება, შორეული ციხპირი...

მოგონებამ სიამოვნების ტრუანტული მოგვარა ორივეს და გულს ტკბილი სითბო მოეცო.

აღმართული კედელი მიიქმალა. მეგობრებმა კვლავ შეხედეს ერთმანეთს და ვაიბა სწორი, უხილავი სხივი, რომელიც ერთ დროს მეგობრებს აერთებდა.

— ისა... გიორგი არსად შეგხვედრია?— შეეკითხა ლევანი.

— გიორგი? „იგრი პაპაი?...“ გახსოვს, წრიდან რო დაბრუნდებოდა, აფთოვანებით მოჰყებოდა ხოლმე ჩატარებულ წრის ამბავს!—რა წამს არ ეტყვი, იგრე ხედებიან, იგრე ხედებიან, რო ძალაან მეტი არ შეიძლება!..—გაიმეორა გიორგის მიერ ხშირად გამეორებული სიტყვები, რასაც ამბანაგები გასაჯავრებლად იცოდნენ ხოლმე, რომ მის კახურ კილოსთვის დაეცინათ.

ორივემ ვადიხარხარა. დიდ ხანს იცინეს. მოიგონეს სხვა მისი დამახასიათებელი თვისებებიც, პატარა ოთახი, სადაც საშნი იდგენ ერთად, უსადილო დღეები, მრავალი ვაკირვება. გაიხსენეს სხვა დაღუპული და გადაცვლილი ამხანაგები. ზოგი თბილ ადგილს მიუყულო, დაცოლშვილებული და პარტიულ მუშაობას დაცილებული.

— დაცოლშვილდი, ლევან?— შეეკითხა გალაქტიონი.

— კი! კი ხანია! მაგრამ ცოლშვილის დრო სადა მაქვს, პარტიულ მუშაობაში ვარ კვლავ ჩაბმული.

გამბული ხაზი დაიკლაქნა. კვლავ აიმართა მათ შორის უჩინარი კედელი, მათ რომ აშორებდა.

— ეხლა მე კონტრრევოლუციონერი ვარ, იცი ლევან?—ღიმილით სთქვა გალაქტიონმა და განაგრძო:—ასე მიწოდეს ახალგაზდებმა. როცა ეს სიტყვა მითხრეს პირველად, შეუტნობი რამ მოხდა ჩემს არსებაში. არც გულმა მიიღო ეს სიტყვა, არც გონებამ. არც ვაგებრაზეუღვარ, არც შეურაცყოფად ჩამითვლია. მაგრამ ბურთი მომეზინა ყელში.



— მართალი უთქვამთ.

— რატომ ლევან?

— იმიტომ, რომ ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგაა.

— ჰო, სწორედ ვერე მითხრეს იმ ახალგაზრდებმა.

— მერე შენ რას ჰქვიტობ ეხლა? რატომ არ გინდა ჩვენთა მუშაობა დაიწყო?

— უმთავრესად იმიტომ, რომ...— შეჩერდა, ვერ მოახერხა იმისი თქმა რაც უნდოდა. ლევანს შეხედა. ეუცნაურა მისი სახე. შორეულად მოეჩვენა. თითქო ასეთი უშნო და გძელი ცხვირი არ უნდა ჰქონოდა მას უწინ. შეუმჩინეველმა კედელმა კვლავ დააფარა სივრცე მათ შორის.

— გეტყვი... შენ გეტყვი.— განაგრძო მან.— იმიტომ რომ... საქართველო...

— ეჰ! მერე რა მოუვიდა საქართველოს? საქართველო განა უკეთეს პირობებში არ არის? განა ეხლანდელი საქართველო მუშებსა და მშრომელ ხალხს არ ეკუთვნის? თუ სოციალისტი ხარ, ერთი რამ უნდა გწამდეს ძლიერ, ერთი რამ უნდა მიიღო მთელი არსებით, ერთ რამეში უნდა მოექცე, როგორც კერძის გული ნაჭუჭში, საიდანაც უამოდის მთლიანი, დასრულებული არსება: ღრმად უნდა გწამდეს სოციალიზმში და მხოლოდ სოციალიზმში. შენ იძახი, საქართველოო. წინად კი არც შენ ხედავდი საქართველოს და მხოლოდ ეხლად დაინახე!

— არა, ლევან!

— არა კი არა, ასეა!... წინად შენ ასე არ აზროვნებდი. განა ორივე ერთად არ ვიბრძოდით სხვა პარტიების წინააღმდეგ? მაშინ სამშობლო კი არა თავდაპიველად მუშები და მშრომელი ხალხი იყო და მათთვის ვიბრძოდით ჩვენც. მე ისიც კარგად მახსოვს, რომ ციხეში ყველაზე ძლიერ შენ გაილაშქრე ერთ კრებაზე ფედერალისტების წინააღმდეგ და კიდევ დაამარცხე ისინი. ეხლა რაღა დაგემართა?

— არა, ლევან! საქმე ის არის, რომ შენ რუსეთში სცხოვრობდი. შენ არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება.

— არა მხოლოდ, შენ განაცოინალისტებულხარ და მეტი არაფერი. შენ გგონია შენზე ნაკლებ მიყვარს საქართველო? მეც მიყვარს და სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ საქართველო ჩვენ ხელში აყვავდება, წინ წაევა, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად კომუნისტური პარტიის მეთაურობით სოციალიზმის სამეფოში შევა.

— მე ვფიქრობ...

— ჰო, შენ ჰფიქრობ!— აღარ დაამთავრებინა ლევანმა.— მე ვიცი რასაც ჰფიქრობ!.. თქვენ ამბობთ, ძალით შეზოხვედითო! რა მოგივიდათ, რა დაგემართათ, რომ არ ვიცი! თუნდაც ვერე იყოს! თუ ჩვენი შემოსვლა მუშისა და გლეხის საქმეს დაიცავს, წინ წასწევს და სოციალიზმს დაგვაახლოებს, განა ეს ცუდია? გეკითხები და მიპასუხე.

გალაქტიონს ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი. თითქო მის დებულებებს, თუ კი ამაზე დაიწყებდა ლაპარაკს, ვერავინ გააძლავებდა. მაგრამ ეხლა, ლევანთან ლაპარაკის დროს ვერაფერს ახერხებდა და თვითონაც არ იცოდა რატომ სდუმდა.

— ... არა თქვენი გზა აბნეულია! ან სოციალიზმი ან ნაციონალიზმი. ან ბურჟუაზიზმი ან მუშებისკენ. თქვენ კი ესეც გინდათ, ისიც გინდათ და ამიტომ დაიღუპებით. ჰო და, იღუპებით კიდევ!

გალაქტიონის გულს მოულოდნელი სევდა მოაწვა. სანუ მოეღუპა. გული დაეკუმშა. მიმავალ ხალხს თვალი მოავლო და უცერად მოეჩვენა, თითქო უცხო ქვეყანაში ყოფილიყო და გამუდმებული ნელის ნაბიჯით მისდგედნ ცხედარს. ყურებში ყრუდ ესმოდა ხალხის ფეხის ხმა, დინჯი და აუწყარებელი, როგორც ნაბიჯი კუბოს უკან მიმავალი ხალხისა.

დიდ ხანს სდუმდენ.

— მოსალოდნელია ინტერვენცია, რომ მოხდეს იგი—სიჩუმე დაარღვია ლევანმა—აიღებ იარაღს და ჩვენთან ერთად იბრძოლებ თუ არა სოციალიზმისათვის?

— რომელი მებრძოლი მე მნახე! მე ხომ არც ჯარში მიმსახურნია?..

— არა, აბა ეგ რა პასუხია!

კვლავ კედელი აიმართა მათ შორის და ერთმანეთს დააშორა.

— ეხლა მაინც რას შერები, რას აკეთებ? კვლავ შეეკითხა ლევანი.

— არაფერს. უსაქმოდ ვარ.

— არც მსახურობ?

— არა.

— არც გინდა იმსახურო?

— როგორ არ მინდა!

— მაშ ჩემთან მოდი. ალავს მოგცემ. შემოივლი? ნარკომპროდი, ხომ იცი სადაც არის?

— კი, ვიცი.

— მაშ შემოიარე.

— შემოვივლი.

დიდხანს უმზერდა გალაქტიონი არეულ ხალხში მიმავალ ლევანს. მისი სწორი, ენერგიული და თამამი ნაბიჯი, მკაფიოდ ირჩეოდა მოსიარულეთა შორის. აყუდებული და მხარბეკიანი, მძიმედ მიარღვევდა მოსიერნეთა ტალღებს. მისი ზურგი მოსახვევში მალალ სახლის კედელს მიეფარა და გალაქტიონის თვალებში ამ კედელს შერჩა მიშტერებული.

მღვრიე თვალებით შესცქეროდა კედლებს და, როგორც გერანზე თანდათანობით და შეუმჩნეველად იცვლება ხოლმე ერთი სახეობა მეორე უფრო ისევე შეიცვალა აყუდებული სახლის კედელი პიტალო კლდეთი კლდე იყო ასიპული, ყინული გაკრული, მალალი, გარდაუვალი. მას არსად, არც ერთი ადგილას არ ჰქონდა ფეხის დასაბჯენი და არც ხელის მოსაკეიდი.

იქით ლევანი მიდიოდა შეუღრგველი ნაბიჯით, აქეთ კი გალაქტიონი დარჩა თავის ფიქრებთან ერთად.

ნელი ნაბიჯით, წელში მოხრილი მიემართება ქუჩის ფილაქანზე.

...„წინათ არც შენ ჰხედავდი საქართველოს!“—ფიქრთა კორიანტელში მოსხლეტილი ისარივით შეიქნა ლევანის ნათქვამი სიტყვები. „ჰმ! მართალია“

ლევანი, მართლა მხოლოდ ეხლა დაეინახე! მერე? რა არის საქართველო?! დიდხანს ეძებდა პასუხს. თითქო ეს ყოფილიყო ნათელი მცნება ყველას მიერ მიღებული მშობლიური კერის სიყვარული. მიგრამ ეხლა, კონკრეტულად, რომ შოინდომა ამ კითხვის გარკვევა დაიბნა. „იქნებ ეს დაგლეჯილ ფარავანს თუ საქართველო შოთაა, მტკვარი, ურმელი და... მერე შე მხოლოდ ეხლადა დაეინახე. იგი? ეხლადა აღმძრა მისი სიყვარული. წინათ სადღა იყო ჰმ.. მერე რატომ.. მართალია ლევანი, მართალი? ან იქნება... არა, არა! მაშ რა არის საქართველო? იქნებ იგი დაგლეჯილი, დაკერებული ფარავანა ნაოქებიან ჩოხაზე წამოსხმული და მეტი არაფერი? მწარედ სთქვა, სიარულს აუჩქარა, თავი მალდა აიღო და ტფილისს გადახედა.

გამღვალ ტყვიასავით დახლანკილი მტკვარი პიტალო კლდეების ძირში ჩაქდობილიყო თითქო კლდეზე გადმოიდგარ ქვის შენობებს ამგვრებსო. მის ზევით აზიდული შეტეხი, კბილებ-ჩაცვინულ ნოხუცივით დასცქერდა მის გარშემო წიწილებივით გაფანტულ შენობებს. შორს ორთქმავლის კვამლი იფანტებოდა ჰაერში. ქარხნის საყვირის ხმა გუგუნით იბნეოდა სივრცეში,

უცხად ნაცნობ სიმღერას მოჰკრა ყური. ვიწრო ქუჩის ქვაფენილზე წითლად მოღალაპე ვარაყიანი ასოებით წარწერილი, მალა აზიდული დროშები გამოჩნდა. დროშებს უკან შესერივით ჩამწკრივებული ლურჯ ხალათიანთა რიგები შეგ ზოლად მოსდევდა, ჰაერში კი გაისმოდა გუგუნნი რევოლუციონური ხმებისა:

...მხოლოდ ჩვენ მწრომელთ მთელი ქვეყნის.
გვეთუთენის ეფლობდეთ სამეაროს,

შედგა, როგორც შედგება ხელნაკრავი და ნაბიჯი უკან გადადგა. სხეული ოთართოლდა. გულში გაღიზიანება იგრძნო. კედლისკენ მიიწია ყური წალურსმა. სიმღერის ჰანგები მჩქეფარე მდინარის ტალღებად შესრიალდა სხეულში, ნაკვეთები შეძრა, გული ააჩქროლა.

ერთ თვალში ნაპერწკალი აცივალდა.

...მხოლოდ ჩვენ, შრომის დიად რაზმს
მეჭთაბორებს კი არას დროს...

ახლოვდებოდა გუგუნნი არეული ხმებისა. გარემოს ახმაურებდა, ძლიერდებოდა, თითქო ტალღების სრბოლა შხრილით მიეხეთქა კედელს და უკანვე, გაბრუნდა ხმაურით.

შორეულ წარსულში შესცურდა ვალაქტიონის ფიქრებიც, — ყმაწვილებისას ამ სიმღერას თვალზე გავარსკვლავებული, სხეულის თრთოლით, დიდის გრძობით და გატაცებით მღეროდა ხოლმე. მაშინ არ იყო ფიქრი, სხვა აზრი, გარდა ერთი რწმენისა, ერთი გატაცებისა, ეხლა კი მხოლოდ გამომძახილი იყო იმ შორეული წარსულისა...

...ეს არის ჩვენი შედგარა
და გადამწყვეტი ბრძოლა.....

გუგუნებდენ ხმები ახალგაზრდებისა.

როგორც ყრუსა და უღრან ტყეში ხანდახან გაისმის დაქრილი ნადირის ხმა და მივარდნილი კუთხე შთის ძირისა ახმაურდება თრთოლას იწყებს, ისე აქვრდა გულის სიღრმეში რევოლუციონური ჰანგის ხმა.

შორს სადღაც მიტოვებულ ალაგას ამღერდა სიმი, იწყობდა და მივიარდნილ ხმებს აპყვა, როგორც აპყვება ხოლმე მთის ხმაურს გამოძახილი.

...ინტერნაციონალში
მაიებს შეებას ვეღაა...

ერყინული
გინჯილი

ელექტროს ძალით ტოკავდა სხეული. სიმღერასთან ერთად ქუჩის ქვაფენილზე მწყრივი ნაბიჯის ხმა გაისმა. წითელი დროშები ფრიალით და დინჯი წინსვლით მიარღვევდა ქუჩის შევიწროებულ სივრცეს. ჩამწყრივებული ლურჯ ხალათიანები ავსებდნენ ქუჩას, როგორც მდინარე თავის კალაპოტს. თვალები გაფართოებული ჰქონდათ და ერთ წერტილისკენ მიპყრობილი. მიდიოდნენ როგორც მიდიან ომში, დარწმუნებულნი, რომ გაიმარჯვებენ.

სიმღერა მეორე ქუჩას გაპყვა და თანდათანობით მისწყდა.

ერთ ადგილს იღგა აქანდაკებული თვალებზე ცრემლ-მომდგარი, როგორც მოადგება ხოლმე სასიკვდილოდ დაქრილ ნადირს, როცა მონადირე ყელში დანას გაუყრის. (მაშინ თვალები სევდით და უსახლვრო მწუხარებითაა საყვსე).

კედლის იქით გაისმოდა გუგუნნი რევოლუციონერ სიმღერისა, კედლის აქეთ კი ვალაქტიონი დარჩა მოდუნებული და წყვეული კითხვებით საყვსე.

11.

მაღალს და განიერ კიბეს კედლებზე გაკრული პლაკატები და აფიშები თან მისდევდა. საფეხურებზე ფუსფუსით, აჩქარებული ნაბიჯით და განცვიფრებული სახეებით ადი-ჩადიოდნენ. მოულოდნელი, გაურკვეველი, მათთვის უცნობი და უცნაური ცვლილება ტფილისის ვაჭრებს ანერჯიულვდა.

კიბის საფეხურებზე დერეფნებში ერთმანეთს შეხედებოდნენ, გაელაპარაკებოდნენ, შეეკითხებოდნენ, მაგრამ არ გამოამჟღავნებდნენ, თუ როგორ შეიძლება იქნება ამა თუ იმ საქონლის გამოტანა, რა ფასებში და ვისი შექმნებით, ყველას თავის საიდუმლო თან დაჰქონდა და გულში მზიარული და ამაყი იყო საქმის მოხერხების გამო.

ყოველი მათგანი ცდილობდა გამოუცდელი მოხელე, რომელსაც საქონლის გაყიდვის უფლება ჰქონდა, მოეტყუებინა. ვაჭრობდა, საქონლის ღირსებას აქვეითებდა, მის სეზონურ ხასიათს ხაზს უსვამდა და სჩიოდა, რომ ეხლა მისი დრო გასულია და მხოლოდ იმიტომ ჰყიდულობს სხვა აღარაფერია საყიდელი. ამასთანავე მას უნდა მთავრობას დაეხმაროს საქონლის გასაღებაში. მყიდველები დადიოდნენ, დაფუსფუსებდნენ, ხელში ქალაქლებით ხან ზედა სართულში აირბენდნენ და ხან ქვეით ჩაირბენდნენ.

„ამ ქალაქზე ნომერი უხდა დააწერინო და მერე საწყობში წაიღო“. „ეს ქალაქი ხელის მოსაწერად გამგესთან უნდა მიიტანო!“ „რაო? აღარ იძლევიანო?—ისმოდა შექუჩებულ ხალხში ლაპარაკი. და ვისაც ის საქონელი მიღებული ჰქონდა, რომლის შესახებაც ამზობდნენ რომ აღარ იძლევიანო—გულში ჩაიცივებდა, წრეს მოსცილდებოდა და იქვე შეადგენდა გეგმას საქონლის აწეულ ფასებში გაყიდვისას. მას პირისახე გაუღიამებდა, გამარჯვებას დღესასწაულობდა, კიბეს ჩაირბენდა, ვილაყას დაეჯახებოდა, ბოდიშს მოიხდიდა და მიეშურებოდა.

გალაქტიონმა ნელის ნაბიჯით აიარა კიბე, განიერ დერეფანს გაჰყვა და იმ კარებთან შეჩერდა სადაც ეწერა: დირექტორი.

კარების წინ მეკარე იდგა თავის ღირსების მთელი შეგნებდა და შექუჩულ ხალხისკენ იმზირებოდა, როგორც აფხორილი ინდოური. კაბინეტში სიჩქარის უწყებდა, თუმცა კარი ხშირად იღებოდა და დაწესებულების მსახურნი ქალაქდებით ილღიაში შედიოდნენ-გამოდოდნენ. გაიღებოდა თუ არა კარი, შექუჩული ხალხი შეინძროდა. თავებს წამოსწევდა და კაბინეტში შეიჭკრეტდა, მაგრამ კარი ისევ დაიკეტებოდა და შიგნით ვერ შედიოდა.

გალაქტიონი მეკარეს მიუახლოვდა.

— მოახსენე დირექტორს, რომ გალაქტიონ გალდავადეს სურს მისი ნახვა.

— არ შეიძლება.—მისცა პასუხი.

— თქვენ უთხარით და თუ არ შეიძლება ის თითონ გეტყვი.

— ნაბრძანები მაქვს არავე შეუშვა მასთან.

— კი, მაგრამ თვითონ იმან დაბიძარა, სწორედ ამ საათისათვის. ჩემი მეგობარია.

ებლა წელში გასწორდა მეკარე. რბილი ხმით ჰკითხა:

— როგორ მოგახსენო?

— გალაქტიონ გალდავადე.

მეკარე ისევ მალე დაბრუნდა, კარი ღია დატოვა და გალაქტიონს მიჰმართა.

— შიბრძანდით.

შექუჩული ხალხი უცაყოფილების ნიშნად შეირხა, ჩურჩული იწყო, „პო, რასაკვირველია! ნაცნობობა კარგია? ჩვენ კი ამდენ ხანს აქ ვდგავართ!“ მეკარე მიხურულ კართან დადგა და მდიდურად გადაჰხედა ხალხს.

გძელ საწერ მაგიდასთან ლევანი იჯდა. მის გვერდით, ქალაქდებში ჩაფლული უცნობი რაღაცას უხსნიდა-მას. გალაქტიონს შესვლისთანავე ლევანმა ხელი გაუწყოდა. უცნობს უთხრა.

— გაიცანი ჩემი ძველი მეგობარია.—მერე გალაქტიონს მიჰმართა:—ეხლავე გალაქტიონ.—და საკმაოდ უჩვენა რომ დამჯდარიყო.

მოზრდილ საწერ მაგიდაზე მრავლად იყო გაფანტული ხელ მოწერილი თუ მოუწერავი ფურცლები. შუაში აყუდებული იყო საწერი მაგიდის ორმაგი ბროლის ოთხკუთხიანი სამელნე—წითელი და შავ-მელნიანი. ერთ მხარეს იდგა ტრეფონის ყუთი. სამელნეს წინ ეყარა კალმის—ტარები, სხვადასხვა ფერის ფანქრები, კალმები და სხვა წერილმანი. მეორე მხარეს მაგიდას ამშვენებდა კალენდარი, პორტფელი, ყდიანი წიგნები, საქმეების გასახვევი ყდები და მაგიდის სხვა დასამშვენებელი საგნები. მაგიდის უკან კედელზე ჩამოკიდებული იყო ლინინის და მარქსის დიდი სურათები. ოთახის კუთხეებში ელვა რბილი საფაროლები.

უცნობი პირი იდაყვებით იყო მაგიდაზე დაყრდნობილი და განმარტებას აძლევდა ლევანს იმ წესის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, უნდა შემოეღოთ დაწესებულებაში. ლევანი ამ აზრს არ ეთანხმებოდა, დინჯი, მოუქრებული მოსახრებით ეწინააღმდეგებოდა მას და პარტული დადგენილებების თანახმად მიუღებლად სთვლიდა ასეთ წესს. ბევრი იკამათეს ამ საგნის გარშემო. ბოლოს ლევანმა განაცხადა რათა საღამოს მოეწვიათ გამგეობის კრება და ეს კითხვა ამ სდომამზე გადაწყვეტილიყო.

უცნობი გავიდა. მის გასვლისთანავე კარებში კვლავ გამოჩნდა წამოწყული თავები. ლევანმა შეამჩნია მოგროვილი ხალხი და გალაქტიონს მიმართა:

— ცოტა ხანს კიდევ უნდა მომიცადო, ერთი ამით გავიქტუშვება მე რე ვილაპარაკოთ. — მეკარეს გასძახა, რომ მოსულები შემოეშვეს. **გალაქტიონმა** გაზეთი აიღო და კითხვა დაიწყო.

მოსულები სათითაოდ გაიჭედებოდნენ კარებში, მერე ნელი ნაბიჯით გაივლიდნენ ხალიჩით დაფენილ ოთახს, მიუახლოვდებოდნენ მაგიდას და დაბალი შემპარავი ხმით უხსნიდნენ საქმის გარემოებას. ლევანი ყურადღებით ისმენდა მათ მოთხოვნას. ქალაღზე შესაფერ წარწერას გააკეთებდა და სათიარლო განყოფილებაში პგზავნიდა. «არა, ეს არ ზეიძლება!!! — ეტყოდა რომელიმე მოთხოვნელს. — გაიხე მოქალაქე, რომ საბჭოდად ხელისუფლების დროს მსგავსი რამ, დაუშვებელია... არა არ შემიძლია!.. თუ მოსული ლაპარაკს გააბამდა, ლევანი თებზე წამოდგებოდა და აგრძნობინებდა, კითხვა ამოწურულიაო. მოსულიც ბურტყუნით სტოვებდა ოთახს.

ხშირად ლაპარაკის დროს ოთახში აწკრიადლებოდა ტელეფონის ზარი. ლევანი საყურეს მიიტანდა ყურთახ და წკრიალიც შეწყდებოდა. — «როა? ვინა ხარ? გამარჯვება, გამარჯვება! ვერ წამოვალ ვერა! ჰა? იმიტომ რომ სალამოს სხდომა მიქვს!» ტელეფონის საყურეს დადებდა და კვლავ ახსნა-განმარტებას იძლეოდა.

გალაქტიონი განკვირებული იყო ლევანის დახელოვნებული და საქმისადმი სინდისიერი მოპყრობით, მის წინაშე იდგა იგი როგორც დიდი ხნის ნამუშევარი, გამოცდილი და რაც უმთავრესი იყო, საქმის გონიერად ალღოს ამლები და არა ფუქსავეტ და ზერელე ადამიანი. კითხვებს სკრიდა მოსაზრებით და ყოველთვის პრაქტიკულ მუშაობასთან შეზავებით დამაჯერებელი იყო მისი სიტყვები და მოხოვნელიც კმაყოფილი ბრუნდებოდა, ვინაიდან თავის კითხვაზე ამოწურულ პასუხს ღებულობდა. სავარძელში იჯდა და მაგიდაზე იყო იდაყვდაყრდნობილი მალალი მხარბეკით, მალალი შუბლით და კისრისკენ გადავიარტხნილ ქალარა შერეული თმით. მისი ლამაზი სახე ვიწრო ტუჩებით და თეთრი კბილებით მოხოვნელებზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

სრულიად შეიცვალა ლევანი გალაქტიონის თვალში, — გაიზარდა ამიღღდა მას არ ეგონა რომ იგი, ვინც პარტიულ მუშაობის დროს ზერელედ იცნობდა იმ მოძღვრებას, რომელსაც გატაცებით მისდევდა, ახლა ასეთი დინჯი და გონიერი გახდებოდა და ნამდვილ პასუსაგებ მუშაობაში ასეთ უნარს გამოიჩენდა მისი წარმოდგენით ლევანს წინათ არალეგალურ მუშაობის დროს პატარა წიგნაკები და პროკლამაციები დაქტონდა მუშათა უბანში, პროპაგანდას ბროშურებიდან ამოღებული ფრაზებით ეწეოდა და აღფრთოვანებით იბრძოდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

უნებლიედ ადარებდა უწინდელს და ეხლანდელ ლევანს და უკვირდა, რა აძლედა მას იმ ძალას, ასეთი გაბედვით და უნარით რომ უდგებოდა საქმეს კითხვების გადაჭრის დროს. საიდან იყო ასეთი სიყვარულით და ენერჯით საცეს, საიდან გროვდებოდა ეს ცოდნა, გამოცდილება, განჭვრეტა და ნათელი წარმოდგენა კონკრეტულ კითხვებზე. გეგონებოდა ლევანი მუშაობდა ვილატის კარნა-

ხით და ვილაციის შთაგონებით, რომელსაც ჰქონდა უფლება კითხვებზე გარდაკრისა. სიყვარულით, რწმენით და გაბედულად უდგებოდა საქმეს და რწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა.

მთხოვნელებთან ერთად ლევანი სხვადასხვა განყოფილებებშიც მიმგებდასაც ლებულობდა, საქმეს ურკვევდა, უხსნიდა, არწმუნებდა, არ იზნეოდა. შევერცხლილ თმაში თითებს ჩამალავდა, გაიხსწორებდა, მაღალ შუბლს უფრო გამოაჩენდა და წაკითხულ ქალაღზე ხელს მოაწერდა და უკანვე აბრუნებდა.

ოთახში მსულელობა შეწყდა. ერთხანად ლევანი დაკვირვებით კითხულობდა მანქანაზე დაბეჭდილ ფურცლებს. მერე გალაქტიონს მიუბრუნდა—

— მოგაწიენე კი ანდენ ცდით, მაგრამ რას იხამ!

— არა, პირიქით! მე გართული ვიყავი, შენს მუშაობას ვადევნებდი თვალყურს.

— ეჰ! შენც რომ ჩვენთან მუშაობდე, რა კარგი იქნებოდა! მთელ დაწესებულებაში ერთი კაცი არა მყავს, რომელსაც მთლიანად მივენდობოდე! შენ კი რომ ჩემთან ყოფილიყავი...

— შეც იმიტომ მოვედი, რომ შენთან ვიმსახურო.

— კი, მაგრამ ეგ სულ სხვაა, ხომ იცი!

ლევანმა კარგად იცოდა, რომ გალაქტიონის მოსვლა სამსახურში სულ სხვა იყო ვიდრე მას უნდოდა. ლევანი კარგად ჰხედავდა რომ თუმცა გალაქტიონი განცდიფრებული იყო მათი მუშაობით, მაგრამ მას არ სწამდა დაწყებული საქმის გამარჯვება, არ სწამდა მათი მოქმედება, ვერ ჰხედავდა მათში მომავლის გამარჯვებას და სძულდა კიდევ ყოველი მათი ნამოქმედარი. ეს კარგად იცოდა ლევანმა, მაგრამ ჯერ კიდევ მეგობრული დამოკიდებულება აახლოებდა მასთან და მეორე კიდევ ის, რომ გალაქტიონი ბოლოს დაინახავდა მათ ქეშმარიტ მუშაობას და იმედი ჰქონდა ისევ მათთან მივიდოდა ძველებურად, მეგობრულად...

— ის ვინ იყო, შენ რომ გამაცანი?— შეეკითხა გალაქტიონი.

— საქმეთა მმართველი.

-- რა გვარია?

— მატაფიევი — პარტიელია. ხომ არ იცნობ?

— არა, ისე ვიკითხე.

— აი სწორედ იმას უნდა დაფუძახო და ბრძანება გადავცე შენი დანიშვნის შესახებ.

როცა ლევანმა საქმეთა მმართველს ბრძანება გადასცა გალაქტიონის სამსახურში დანიშვნის შესახებ, გალაქტიონი დაკვირვებით შესცქეროდა საქმეთა მმართველს და რატომღაც არ მოსწონდა მისი დახრილი თვალები. იმანაც მოზიდულ წარბების ქვევლიდან გამოხედა მას, დიდხანს ატრიალა ხელში მალებული ბრძანება, თითქო ამის გამო სათქმელი აქვს რამეო, მაგრამ თავი შეიკავა, მიტრიალდა და გავიდა.

— მიშ ასე, გალაქტიონი! ხელიდანვე შეუდგები საქმეს.— მიჰმართა ლევანმა.

გალაქტიონი გამოემშვიდობა, კიბე ჩაიარა და გარეთ გავიდა.

თითქო გაეხარდა, რომ ადგილი იშოვნა. მჩატე ნაბიჯით მიდიოდა.

წვრილი წვიმა სტრიდა ტფილისის ქუჩებს. ნაცრის ფერი გადამჭვროდა სახლების კედლებს. გაწუწულ კრუხებივით მისრიალებდა რუსთაველის ფართე პროსპექტზე ტრამვაის ვაგონები. მამადავითის მთა მოლუშუღრნი და წისლით დაბურულიყო. მოწყენილი და მწუხარე იყო ტფილისი. გამქვლეწნიკ წელი ნაბიჯით მიდიოდენ წელში მიხრილნი.

რუსთაველის თეატრის წინ შეჩერდა. უნდოდა ტრამვაიში ჩამჯდარიყო შინ წასასვლელად, მაგრამ ვაღიფიქრა. ქუჩა გადასკრა და ლალიძის დუქანში შევიდა ოკბილი წყლის დასალევად.

წვიმისაგან თავის დასაცავად აქ მრავლად იყო თავმოყრილი ხალხი. პატარა მაგიდებს შემოსხრილენ და სიროფიან წყალს სვამდნენ. გალაქტიონმა მოთვალაიერა პატარა დარბაზი. კუთხეში ცარიელი მაგიდა შეჩინა. წყალი მოითხოვა. უცბად მეორე მხრისაკენ გაიხედა და მისკენ მოღერებული მოცინარი სახე შეამჩნია, იცნო მარო და მისკენ წაიდა.

პატარა მაგიდების ანეულ რიგებში სკამების ზურგებს ჩაუარა და მაროს წინ შეჩერდა, ხელი ჩამოართვა და იქვე სკამზე დაჯდა.

— თქვენც აქა ხართ? როდის ჩამობრძანდით?— შეეკითხა გალაქტიონი.

— განა არ იცოდით?— განცვიფრებით უთხრა მარომ.— ჰმ! საკვირველი! დაბრძანდით. ვაიცანით ჩემი მეგობარი.

გალაქტიონმა ხელი ჩამოართვა მაროს გვერდით მჯდომ ქალიშვილს.

— თქვენი აქ ყოფნა არ ვიცოდი!— მიუბრუნდა მაროს.— თინა? თინაც ხომ აქ არის?

— თინაც აქ არის! ხოლო თქვენ როგორ არ იცოდით ჩემი აქ ყოფნა?

— არავის არ უთქვამს. არ გამიგია.

— ხომ ღებულობდით ციხეში სადილებს?

— კი... მაგრამ... მერე, სადილებს თქვენ გზავნიდით?

— მაშ, სადილებთან ერთად პატარა ბარათებიც არ მოგსვლიათ?

— არა. რასაკვირველია იქ მაგის ნებას არ იძლევიან.

— შე კი ვიცოდი, რომ თქვენ უკვე გამოხვედით, ციხიდან, რადგან პარასკევს სადილი აღარ მიიღეს.

ეს ამბავი გალაქტიონის გულს ისე მოჰხვედა, თითქო ცულის ყუა დაარტყესო. ვაბრუებული დასცქეროდა ქიქებში შინდის ფრად აქაფებულ ოკბილ წყალს. უხერხულობას გრძობდა. აღარ იცოდა რა ეთქვა. მაღლობა გადაეხადა სადილებისთვის, თუ კიდევ შეკითხებოდა რამეს. სდუმდა. მერე, რატომ ვერ მიხვდა რომ სადილებს მარო გაუგზავნიდა? მაშ სხვა ვინ იქნებოდა? ეხლა ჰფიქრობდა ამბზე და რამდენადაც მეტს ჰფიქრობდა, იმდენად უფრო მეტად იბნეოდა, თავბრუე ეფეეოდა და აღარ იცოდა როგორ გამოსულიყო მდგომარეობიდან.

— არ გამხდარხართ. მხოლოდ ფერი გაქვთ მკრთალი.— დაარღვია სიჩუმე მარომ.

— მაინც როდის ჩამოხვედით სოფლიდან?— შეეკითხა გალაქტიონი.

— პო, ეს ამბავიც არ იცით? არ იცით რომ სოფელში ვველაფერი ჩამოგვართვეს?..

— როგორ არა!.. ჩემს იქ ყოფნის დროს ახალგაზრდები რომ ამოვიდნენ თქვენთან. მერე, ვეღარ დაიბრუნეთ უკან წაღებული ნივთები?

— არა, ბატონო გალაქტიონ! თქვენ სულ სხვაზე ლაპარაკობთ. წინა დროს, თქვენი დაქვრის შემდეგ კიდევ ამოვიდნენ ჩემთან იგივე მწვერულები და გამომიცხადეს:

— ეს სახლი ახლა ჩვენ დაგვირდება სკოლისთვისო, დამაცლევინეს იქაურობა და მეც იძულებული ვიყავი ტფილისში წამოვსულიყავი.

— საესებით, საესებით დაგაცლევინეს?

— ქვეით, რომ პატარა სახლი გვქონდა, იქ, დამიტოვეს ორი ოთახი, მაგრამ იქ რა გამაჩერებდა!

— რას ამბობს თქვენი ძმა?

— არაფერს. ვერაფერს ვერ ვიზამთო.

— მით უმეტეს, რომ სკოლისთვის უნდათო, არა?

— სკოლას რა უნდა, იმ სიშორეს? გვითხარით გალაქტიონ რა გვეწველება? თქვენ უკეთ გეცოდინებათ. ასე ვიქნებით? აღარ წაველენ ბოლშევიკები? როდის იქნება, როდის!

— უჰ!.. უჰ!.. როდის, როდის?!.. — ისტერიულად წამოიძახა მაროს გვერდით მჯდომმა ქალიშვილმა, რომელიც მანამდე სდუმდა, სხვადასხვა მაგიდებისკენ გაიქცირებოდა, ჩანთიდან ხშირად ამოიღებდა პატარა სარკეს, შიგ ჩაიხედავდა, ტუჩებზე წითელ ფერს წაისვამდა და კვლავ გამვლულებს შეხედავდა ხოლმე. მიშინ მიაქცია გალაქტიონმა ყურადღება მას. ის მაროზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო. ფერ-უშარბილთ შეთხუპულნი წითელ ლოყებიანი და შავ თვალწარბიანი პიეროს ნიღაბს მოგაგონებდათ. არაფერი მიშზიდევლობა, არაერთიანი მოძრაობა და გამომეტყველება მის სახეს აკანდა. სკამზე წელში გასწორებული იჯდა პატარა მწვანე შაპო მის ნახევარ შუბლსა და თვალ-წარბს თითქმის ჰუარავდა.

— თქვენც რამე ჩამოგართვეს სოფლად? — შეეკითხა გალაქტიონი.

— არა! სოფელში აღარაფერი გვაქვს, მამა-ჩემი აქ მსახურობს ტფილისში. Но это же ужасно, ужасно!..

ატიკტიკდა რუსულად.

— შემოიყვანეს რუსის ჯარი, ქართული მოსპეს, რუსული გაამეფეს... Это—же кошмар! მამა-ჩემი გადააყენეს, მის ადგილას ვიღაც ცინგლიანი ბოლშევიკი დასვეს, ნეტა რამე მაინც ესმოდეს! Это—же кошмар!


— ტყუილად ეძღურებით ბოლშევიკებს, თქვენ თვითონაც გყვარებით რუსული. — შეაჩერა გალაქტიონმა.

— Ах, да, но... მე რუსულად ამზარდეს, რა ვქნა! ეს ჩემი ბრალი არ არის. ერთი ქართული წიგნიც არა მაქვს წაკითხული.

— ძალიან ცუდათ მოქცეულა მამა-შენი, რომ რუსულად აუზღიხარ. მაგრამ რატომ შენ არ გამოასწორებ ამ ნაკლს, ნადია?

შეეკითხა მარო.

— ეჰ! ჩემთვის სულ ერთია.



— როგორ ქალო! რა არის სულ ერთი? აი სწორედ ^{გვარის ჩენი დამ-}ლუპველი.

— Да но это—же кошмар жить с большевиками!

— ქალო, რა დავემართა, ცოტა ჩუმათ ილაპარაკე ^{სწორედ} ხარბი არა ხარ?—შენიზნა მარომ.

მავრამ ახალგაზრდა ქალიშვილი დამნაშავე ბავშვივით, რომელიც დანაშაულს იგრძნობს, მავრამ არ უნდა თავმოყვარეობის გამო თავი მოიდრიკოს და უფროსის მითითებას დაემორჩილოს უფრო მეტად განაგრძობს იმავე დანაშაულის გამეორებას, ისე ისიც განაგრძობდა ხმამაღლა ბოლშევიკების ვინებას. ლელავდა, არა სცხრებოდა.

— ახლა თქვენ რას აპირებთ, ბატონო გალაქტიონ?—მიმართა მარომ, რათა ლაპარაკის საგანი შეეცვალა.

— ვიშახურებ. ადგილს უკვე ვიშოვე.

— იშახურებთ? ბოლშევიკებთან?

— მაშ რა უნდა ვქნა, აბა!

— თუმცა სულ ერთია, მაგათი დღე დათვლილია. დიდ ხანს ხომ არ გასტანს ეს მდგომარეობა! თქვენც გეცოდინებათ ალბათ, რომ საზღვარგარეთ კითხვა უკვე დასმულია.

და მარო „სარწმუნო წყაროებიდან“ ვაგებულ ამბავს მოუყვა.

— დიად, დიად? ნიშნები ბევრია!—ჩაუერთო გალაქტიონმა.

— მალე წაელენ და თქვენ ისევ თქვენ საქმეს განაგრძობთ! ამის სრული იმედი მაქვს. მეც აღარ წავეალ სოფელში.

— მოგბეზრდათ?

— ნეტავ კიდევ იმ დღეს მოვესწრობოდე და ისე კი აღარ ვიცხოვრებ როგორც წინად ვცხოვრობდი.

— ესე იგი, როგორ იცხოვრებთ?

— ეხლა კი ვიცი. მთელ დღეებს საქართველოს კეთილდღეობას შევსწირავ, ოღონდ კი მალე დასტოვონ ამათ საქართველო, მალე, მალე! და კიდევ მოუყვა ამბავს: მია ნაცნობს წერილი მიუღია საზღვარგარეთიდან, საიდანაც ჩანს, რომ ბოლშევიკები მალე წაელენ. მისი ძმაც ამ აზრისაა.

— მართლა, რატომ არ შემოიღელით ჩვენთან? მისამართი არ იცით? ჰევ-ჰევაძის ქუჩა ცხრა ნომერი. უსათუოდ შემოიარეთ. ჩემს ძმას გაგაცნობთ. ახლა წავიდეთ ნადია, წვიმამაც გადილა. შემოიარეთ ბატონო გალაქტიონ, ჩემს ძმას გაეზარდება.

— დიდი სიამოვნებით, ქალბატონო მარო სიამოვნებით.

როცა მარო და ნადია ქუჩაში გავიდნენ. მაშინლა მოაგონდა გალაქტიონს მაროსთვის თინას მისამართი ეკითხნა. ეხლა წამოიწია მაგიდიდან, რომ დასწეოდა, მავრამ მერე აზრმა გაუღელვა და ისევ დაჯდა. მერე რატომ არ ჰკითხა რატომ დაავიწყდა... ეხლა ხომ ეცოდინებოდა მისი ბინა და შეეძლო მისულიყო მასთან. რატომ არა ჰკითხა რატომ?.. და მერე რატომ დაიბნა ისე, რომ მაროს მადლობაც კი არ გადაუხადა სადილეების გზავნისთვის? რა მოუვიდა, რა დაემართა? ამაზე მეტი უზრდელობა განა შეიძლებოდა? რას იტყვის ეხლა მარო, რას იფიქრებს?

თითქო სხეულში ძმარო შეასხეს და ამის გამო ნერვიული სისტემის მოქმედება, მარმარილოს პატარა მაგიდაზე დატყუალ წყალს თითი შეურია, მიხან-
ნობა და სველ ხაზების დახლანკილ მსვლელობას დააკვირდა, ეჭოდ და
დაღონდა. დიდ ხანს იქნებოდა ჩაფიქრებული, რომ მის გვერდით მჯდომი ხალ-
ხი არ ახმაურებულყო. სკამები მისწიმოსწიეს, ერთ მაგიდასთან შეჯგუფდნენ,
ყურები წალურსმეს და ახალმოსულს შეაკვირდნენ რომელიც აღუღებული უამ-
ბობდა ახალ ამბავს:

— გაიგეთ ახალი ამბავი?...— გარს შემოხვეულნი მოხუცნი და ახალგაზდანი,
ჩინოსანები თუ ფიჯაკნი გამოწყობილნი წინ წაწეული და სუნთქვა შეკრული
ყურს უგდებდნენ ახალ მოსულს— ხომ იცით ჩემს სიტყვს ძმა ჰყავს იტალიაში,
იმისგან მოვიდა წერილი, რა გადაწყვეტილია საქართველოში იტალიის პრო-
ტექტორატი დააწესონ.

— მართალია, მართალია! აი ხომ გითხარი! ამ წუთში ვეუბნებოდი ამათ
რომ იტალიის საკონსულო გაწვეულია საქაროდ და ორ დღეში მიემგზავრება
მეთქი.— ჩაურთო ერთმა აღუღებულმა და გახარებულმა ახალგაზრდამ.

— აი კაცო, თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ დოდას.

— არა, ეს ამბავი მართალი უნდა იყოს. არის ასეთი ნიშნები.— ამბობს
ერთი.

— აბა რა ეგონათ! დიდ ხანს დარჩებოდნენ?— იმეორებს მეორე.

— ნეტა როგორ გუნებაზე არიან ბოლშევიკები?

— შე კიდევ ერთმა დიდმა ბოლშევიკმა მითხრა, ჩვენი საქმე ვერ არის
კარგათო. მაგრამ ეს ისე მითხრა, საიდუმლოდ.— ამბობს რიხით ერთი ხანში
შესული.

ყველა ცდილობს რამენაირად დაასაბუთოს, რომ ბოლშევიკები მალე დას-
ტოვებენ საქართველოს, რომ მალე დაბრუნდება „ნამდვილი მთავრობა“, საქმე-
საც მალე ეშველება.

გულს მოაუხანენ, მრავალჯერ ნათქვამ ანეკდოტებს გაიმეორებენ, ნელნე-
ლა დაწყნარდებიან და ისევ კუჩაში გაელენ რათა თავიანთ პირად საქმეებს
შეუდგნენ.

იმ ჯგუფიდან ორილა დარბა. ისინი ერთმანეთს შოლიმარი სახით. უცქე-
რიან. კაყოფილი არიან გაგონილი ამბებით და ამიტომ მიუხალოვდებიან მხი-
არულად ერთმანეთს.

— იცი რა გითხრა, დოდე იმათთან არ მინდოდა მეთქვა, ჩემს ნაც-
ნობს ერთმა მკითხავემ უთხრა, რომ დეკემბრის ოცდახუთს ნოე ჟორდანიაც აქ
იქნებაო— ეუბნება ერთი მეორეს.

— მართლა კაცო?!.. ეხლა მე რა გითხრა ერთმა ჩემმა ნათესავმა სიზმარი
ნახა და იმანაც ერგე სთქვა, რომ ოცდახუთ დეკემბერს ჩვენები აქ იქნებიანო!
— Посмотри, კაცო, какое совпадение, ჰა?..

— უსათუოდ ასე იქნება, უსათუოდ!

და სახე-გამბრწყინებულები ტბილ წყალს დაღვივნ.

გალაქტიონში დაიფიქვა თავის პირადი დარდი. ასეთ ამბებს რომ ყური
მოჰკრა, გაეხარდა, წამოდგა, წყლის ფული გადაიხადა და გარეთ გავიდა.

მოღუშული ცა, ტალახიანი ქუჩები და ნელი მოძრაობა გულს უწყალებდა მას.

რუსთაველის პროსპექტის კედლები თეთრი ლენტაჟით იყო შებურვილი.

გ. სულთაძე

12.

სამსახურში სიარული ვალაქტიონ ვალდავაძისთვის შეება იყო. თითქო ღრმა ძილის შემდეგ თვალი გაახილა, პირზე წყალი იპურა, გამოცოცხლდა და ამღვრებულმა ახალი ცხოვრება იწყო. მას ახალისებდა ეს უჩვეელი და მისთვის უცნობი მოქმედების სფერო. თავისთავად მუშაობა არ იყო ძნელი. საწყობში უნდა წასულიყო, საქონელი დაეთვალიერებინა, მისი ფასი გამოერკვია და მერე ვაჭრებისათვის მიეყიდნა. მაგრამ ძნელი ის იყო, რომ საწყობში მრავალნაირი საქონელი იყყო. აქ იყო რკინულობიდან დაწყებული—ხალიჩებით და ფარდაგებით ვათავებული, ყოველნაირი საქონელი: მანქანები, საღებავები, ქურქლეულაობა, სამეურნეო იარაღები, საგალანტერეო საქონელი, ფართლეულობა და სხვა. მათი შეფასება ძნელდებოდა.

ეს საქონელი სპეკულიანტებისა და ბოროტ გამხრახველ ვაჭრებს ჩამოართვა თავის ღრობზე ხელის უფლებამ და ახლა მისი რეალიზაცია სხვათა შორის იმ დაწესებულებას ქონდა მიწოდებული, რომელსაც ვალაქტიონის ძველი მეგობარი ლევანი განაგებდა.

ამ საქმეს სათავეში თავისი გამგეობა ჰყავდა. მოსამსახურეთა რიცხვი ოცდათამდე აღიზარდა—ორიოდე სპეცია, რომელთაც ყოველნაირი საქონელს ფასი იცოდენ, ორიოდე ძველი ყოფილი ბანკების მოხელე და სხვები.

ერთი კვირის მუშაობის შემდეგ ვალაქტიონმა უკვე იცოდა, რომელ საწყობში, სად რაინაირი საქონელი იყყო. მსახურებდა სინდისიერად. საქმის ვითარებას ეცნობოდა და გულმოდგინეთ მუშაობდა.

იშვიათად თუ შეხედებოდა ლევანს სათქმელი კი ბევრი ჰქონდა მისთან. მას უნდოდა მრავალი თავის მოსაზრება გაეზიარებინა მისთვის, საერთოდ მუშაობის შესახებ და მომუშავეთა შესახებაც. ის აკვირდებოდა მუშაობას, სპეცებს და ჰხედავდა მათ თაღლითობას. ერთი ამ სპეცთაგანი—ქორჭიაშვილი, ძველი ტფილისის ვაჭრის შვილი, თვითონაც ვაჭრად აღზრდილი, ეხლა ვითომ ხელისუფლების თანამოაზრე, აქ მუშაობდა, როგორც ამ განყოფილების გამგის მოადგილე.

პატარა ტანის კაცი იყო, თვალზე ცქრილა, მუდამ მოლიმარი, გამარჯვებულის იერით. უფროსთან თავმოკატუნებული, შემძრომი კატასავით ლაქტაციანი, თავაზიანი. კვე მოსამსახურებთან კი მრისხანე, დამტუქსავი, მყვირალა, მედიდური.

მუდამ ფაცაფუცში იყო და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა თითქო სულ საქმით ყოფილიყო დატვირთული, არ სცალოდა, მიდი-მოდიოდა, განაგებდა, მბრძანებლობდა. როცა მბრძანებლობის საგანი შემოაკლდებოდა, ტელეფონს მივარდებოდა რ რომელიმე საწყობებს დაურეკავდა. ისეთი ხმით იძლეოდა განკარგულებას, რომ უნებლიედ გაიფიჭრებდი: აი მართლა საქმის კაციო! ტელეფონში

ლაპარაკობდა უჩვევი, მაღალი და არა ბუნებრივი ხმით. განკარგულებას იტყო-
და ყველას თვალ-დასანახავად რათა ყველას შეგეტყო რამდენად იყო დატვირ-
თული საქმეებით, ნამდვილად კი მთელი მისი დღეები ფუქსანად, მუცელ-
ქსა, ყვირილსა, ჩხუბსა და თანამშრომელთა დატუქსავაში გადიოდა.

შეორე, სპეცი ბაუმანი, ჩუმი მომუშავე იყო, მაგრამ, რუსებისა არ იყოს
წყნარ ჭიკაბში ეშმაკები ბულობდნენ. ეს ანდაზა მასზე იყო გამოკრული. საქმე
კარგად ესმოდა. მატაფიევი რომელიც გამგეობას სათავეში ედგა, მასთან კარგად
იყო, ხშირად ესაუბრებოდა და უჯერებდა კიდევც.

ეს ორი სპეცი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ექიშებოდა. პირველი თითქო
პგრძობდა, რომ შეორეს წასწყედნენ წინ და ამიტომ ცდილობდა მისი ნამუშა-
ვარი უფროსის წინაშე შავად გამოეჩინა. ბაუმანი კარგად ჰხედავდა ამას, მაგ-
რამ თავი მაღლა ეჭირა, თავის-თავის იმედი ჰქონდა და ჭორჭიაშვილის ფან-
ღებს ზევიდან დასცქეროდა. ეს უფრო აბრაზებდა ჭორჭიაშვილს. ამავე დროს მას
ჰქონდა ცნობები, რომ ბაუმანი ვაჭრებთან კომბინაციებს აკეთებდა, ხოლო ამის
დამამტკიცებელი საბუთი არა ჰქონდა.

— რას დაძვრება ეს ბაუმანი მატაფიევთან? იმანაც ნახა რაღა კაცი! —
იტყოდა ხოლმე ბაუმანზე გაჯავრებული ჭორჭიაშვილი. — დამაცადოს ერთი, მა-
გას თუ ხერხი არ მოგუწყვე! მრმების სკოლა ხომ არა ჰგონია აქ! კარგად ვიცი
რა ურთიერთობა აქვს ვაჭრებთან.

— რა ურთიერთობა? — ეკითხებოდნენ მას თანამშრომლები.

— თქვენც კარგად გაგეგონებათ, რომ ხმები დადის, ქრთამებს იღებსო.

— კი, მაგრამ მაგის დამტკიცება ხომ ძნელია!..

— ჰმ! მაგას მალე დაეამტკიცებ!

— ვითომ? დაამტკიცებთ?

— ფაქტი რომ ხელში მექნება მაშინაც არ დაიჯერებენ? — იმუქრებოდა
ჭორჭიაშვილი და თანამშრომლებმაც იცოდნენ, რომ ის მუქარას შეასრულებდა
და ბაუმანს ცუდ საქმეს დაჰმართებდა.

განყოფილებაში მუდამ ფუსფუსი, მიმოსვლა, აღელვებული ლაპარაკი და
ჩოჩქოლი ისმოდა. თავმომაბეზრებული ვაჭრები ბუზანკალებივით ირეოდნენ და
არ სცილდებოდნენ კარებს. ერთმანეთის მოშურნენი და მტრები იყვნენ და
ცდილობდნენ არ გამოჰპარვოდათ რაიმე საქონელი, რომელიც ბაზრისთვის სა-
ჭიროებას წარმოადგენდა და რომელსაც მოთხოვნილება ჰქონდა.

გალაქტიონი გაბრუებული იჯდა თავის მაგიდასთან და მანებარ კითხვებზე
პასუხს იძლეოდა, ხოლო დღეს მისი გონება ნაწილობრივ სხვა ფიქრებზე იყო
მიმართული და ამიტომ ნერვიულობდა, ხშირად ამოიღებდა საათს, დაჰხედავდა
დი ისევ ჯიბეში ჩაიდებდა. ეტყობოდა, რომ დრო უგრძელდებოდა. მოუსვენრად
იჯდა სკამზე.

დღეს სამსახურის გათავების შემდეგ თინასთან უნდა წასულიყო. მისი მი-
სამართი მაროსგან გაიგო. უმთავრესი ის იყო, რომ მისთვის ალაგი უკვე ნა-
შოენი ჰქონდა ამავე დაწესებულებაში და ეს უნდა ესარებინა. მატაფიევთან შე-
თანხმებით თინა ქართულ საბეჭდავ მანქანაზე იმუშავებდა.

სამი საათის მოახლოების დროს მარტაფივეთან შევიდა ჯანბინეთში. კიდევ მოაგონა მემანქანის ადგილის შესახებ და როცა კვლავ დასტური შიილი, მზიარულად ჩაირბინა კიბე.

თინა სცხოვრობდა ერთ თავის ამხანაგთან ვერაზე პატარა ოთახში. სოფლიდან ჩამოსვლისთანავე ის ადგილზე დადგა, მაგრამ ის დაწისებულება მალე გააუქმეს და თინა კვლავ უადგილოდ დარჩა. თავი შეაფარა ერთ ძველ ნაცნობ-ამხანაგს, რომელიც მარტოხელი იყო და მსახურებდა. ამხანაგი რომ სამსახურში მიდიოდა, თინა შინ სადილს ამზადებდა და ორივე ასე უფრო იოლად გამოდიოდა.

მათი ოთახი ეზოს სიღრმეში იყო, მას ერთი ფანჯარა და ერთი კარები ჰქონდა და ორივე აივანზე გამოდიოდა. ის იყო სადილი გაათავეს და თეფშებს ალაგებდნენ რომ კარის კაკუნი შეესმათ.

— თინა, ერთი გაიხედე, ვილაც აკაკუნებს, ვინ უდა იყოს?— მიჰმართა მას ამხანაგმა და თვითონ კი მაგიდის მოსუფთავენას შეუდგა.

როცა თინამ კარი გაღო და აივანზე მდგომ კაცს შეჰხედა, — სახტად დარჩა და მოსულს შეეკითხა:

— გალაქტიონ, თქვენ?

— დიალ, მე ვარ, თინა! არ მელოდით?

— აბა, საიდან? როგორ?...— და გალაქტიონი შინ შეიპატარა.

— გაიცანით ჩემი ამხანაგი ელენე ბერიკაშვილი. სხვა, გალაქტიონ, როდის გამოხვედით ციხიდან, ან ჩემი მისამართი ვინ მოგცათ?...— შეეკითხა თინა როცა სამივენი დასხდნენ.

— განა ვგრე უნდა, თინა, რომ ერთხელაც არ მინახულეთ ციხეში?...— საყვედურით მიჰმართა გალაქტიონმა.

— აბა, რომ არ ვიცოდი, როგორ?

— არ იცოდით!. ვისაც უნდოდა, კიდევ გაიგებდა!— კვლავ უსაყვედურებდა გალაქტიონი.

აკვირდებოდა თინას და დიდ განსხვავებას ჰპოებდა სოფელში ნახულსა და ჭილაქში ჩამოსულ თინას შორის. გამზდარიყო. ცოცხალი ბუნების იერი აღარა ჰქონდა. აღარც უწინდელი მზიარული და მოძრავი სახის გამომეტყველება. ფერმკრთალი იყო და ჩაფიქრებული, ერთ წერტილს მიშტერებოდა.

— სხვა, როგორ ხართ, რას აკეთებთ?— მიჰმართა ისევ გალაქტიონმა.

— ჩემი შეგობარი მსახურებს, ძე კი უადგილოდ ვარ.

— ჰო და, მეც იმიტომ მოვედი, რომ შეგატყობინოთ, თქვენთვის ალაგი უკვე მზად არის.

— როგორ? სად?— შეეკითხა აღტაცებული და გახარებული თინა.

— იქ, სადაც მე ვმსახურობ.

გალაქტიონი მოუყვა ამბავს იმ დაწისებულებების შესახებ, რომელსაც მისი შეგობარი უფროსობდა და იმიტომ მათთვის იქ მუშაობა უფრო იოლი და მტკიცე იქნებოდა. რასაკვირველია, თინასათვის ძალიან ხელსაყრელია იქ სამსახური.

— ეგრე არ მოუვიდა ყველას?... ჩაურთო ელენემ, — მარტო მაროს ხომ არ დაემართა?

— თინა მართალია. ქართველი ქალიშვილები ძალიან ჩამოშლილები არიან. ამხელა რევოლუციები მოხდა — გერ ცხრაასხუთის, გერე რქტომბრის და არც ერთ ასეთ მომენტში ქალებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

— როგორ არა? შესძახა თინამ.

— დიალ, ძალიან მცირე ნაწილმა მიიღო. ასში 30—40 ვაგი მიინც იღებდა მოძრაობაში მონაწილეობას, ქალი კი მხოლოდ 2—3 პროცენტი ძლივს ერეოდა საქმეში. ეს ფაქტია!

— მართალია, მართალი!... — დაუდასტურა ელენემ, — მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ბატონო გალაქტიონ, რომ ასეთ კარჩაკეტილობა ჩვენი ქალებისა მამაკაცებმა გამოიწვიეს.

— როგორ! რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ თვითონ არ აძლევთ ქალებს თავისუფლებას.

— ეპ? შენც ამბობ რაღაც! — სთქვა თინამ. — ვისაც თავისუფლება ჰქონდა, როგორც მაროს იმისთანა თავადის შვილის, ქალებს ისინი ამ თავისუფლებას სულ სხვა რამეს ანდომებენ და ჩვენ კი, გლეხის და მუშის ქალებს, აბა რა უნდა გაგვეკეთება, როცა არც სწავლა გვიწყობდა ხელს და არც გარემოება!

ამაზე გალაქტიონმა აღარაფერი სთქვა. მას მოსწონდა თინას მოსწრებული, თამამი და გულბრყვილო ლაპარაკი. მისი მუდამ ამრეზილი, უკმაყოფილო და მუდამ რაღაც გაურკვეველი, მაგრამ მტკიცე აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გალაქტიონს მზიბლავდა. თინა მუდამ ისწრაფვოდა და მიიღტვოდა სადღაც, მუდამ იბრძოდა, ვილაცას ეწინააღმდეგებოდა, მუდამ ბრახით და გესლით იყო საესე და იმავე დროს მზიარული და დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. გემოენებაც ქონდა თავისი და სურვილებიც.

ოთახში უკვე სიბნელე შემოიპარა და ნივთები თითქო დაპატარავდა. თინამ ლამფას შუშა მოჰხადა ასანთი გაკრა. კედლებზე ლამურების ფრთები ათამაშდა, ლამფა გერ აციმციმდა და ოთახიც განათდა.

— კინოში წავიდეთ, თინა, ქალბატონო ელენე, თქვენც წამობრძანდით. მიჰმართა გალაქტიონმა.

— სამწუხაროდ მე სამსახურში უნდა შევიარო. საღამოს სამუშაო ჩაქვს, კიდევ დამიგვიანდა, თორემ დიდი სიამოვნებით წამოვიდოდი, თინა კი წამოვა... — სთქვა ელენემ.

თინა კინოში წასვლაზე დათანხმდა. რაკილა ელენეც სამსახურში იყო წასასვლელი, სამივე ერთად გავიდნ ოთახიდან. ელენე ტრამვაით წავიდა, ისინი კი ფეხით გაუდგნ გზას.

— გახსოვთ თინა, სოფელში რომ ვიყავით რა ძლიერ ნატრულობდით ტფილისს? აი სწორედ ეს ადგილი გიტაცებდათ. ეხლა?

— ეხლა მომწონს ტფილისი. აბა რათ მინდა ჩამოხნელებული, გორებით შეზღუდული სოფელი? აბა შეხედეთ განათებული ტრამვაი რომ მიჰქრის შუა ქუჩაზე და ზარის წყარუნით მზიარულდება ახმურებული ქუჩა. აი ჩვენ ეხლა

კინოში მივდივართ, ზოგი ოპერაში მიდის, სხვები თეატრში. ტუალაში ლამით არის კარგი, დღისით კი არ ვარგა.

— საზოგადოდ ყველა ქალაქი ლამით სჯობია.

ერკენულში

— წარმოდგენილი მაქვს ევროპული ქალაქები. ეჰ! ერთმანეთს შევადარებ კინოს წინ ელექტრონის სხივებით ვაბრდღვიალებულ ქვაფენილზე გაიარეს. აფუსფუსებულ ხალხს მზრების გაკვრით აუარეს გვერდი და დიდ მოსაცდელ დარბაზში მოიკადეს, სადაც ევროთვე შრავლად იყო ელექტროს სხივები მოსხურებული.

მალე წკარუნნი გაისმა. ყველამ კარებისაკენ მიაშურა...

კინოში მხატვრული სურათი მიდიოდა. შინაარსი იშლებოდა აღმოსავლეთის ფონზე, მაგრამ აქ იყო მხოლოდ აღმოსავლეთის პეიზაჟები, ეგვიპტური პირამიდები, ძველებური სასახლეები, ცერემონიები, მაგრამ რაიმე აზრის ან შინაარსის გამოტანა ძალიან ძნელდებოდა.

გალაქტიონმა ჰკითხა თინას:

— მოგწონთ სურათი?

— არა, რაცხა ვერ გამოვიცა, რაშია საქმე?

— მე კი ძალიან მომწონს.

— მართლა?

— მე შევნატრი იმ ევროპელს, აგერ იმ ეგვიპტელ ქალს რომ ეალერსება რა ლამაზი ბუნებაა... და სიყვარული!

— მხოლოდ ამისთვის?..

თინა ქალური გუმანით მიუხედავად გალაქტიონის სურვილებს მის გრძობათა დღევას, მაგრამ არაფერი სთქვა. მხოლოდ შემდეგ, როცა შინ დაბრუნდა და სარკის წინ ჩამოჯდა, თვალი გაუშტერდა და დიდ-ხანს იყო ასე გაუჩრებული. გაურკვეველი ფიქრები, როგორც კორიანტელის მიერ აშენებული ნაშტერი, ტრიალებდა და გუნდასავით ეხვეოდა მის თავში „მერე“ შესაძლებელია, მაგრამ არა, არა! ეს რომ... მე ხომ არ ვარ დამნაშავე? კი, მაგრამ, ეს ხომ... შეუძლებელია, შეუძლებელი!

და დიდ-ხანს, ძალიან დიდ-ხანს იყო ჩაფიქრებული.

(გაგრძელება იქნება)



არსენა მარაბული

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე
თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე *

ჩამოგდებული ნამგალა-მთვარე

ციდან უფრო ადვილია მთვარის ჩამოღება ვიდრე ახალციხის მიჯნითიდან.

ახალციხური

მარაბდაში ხარ გახრდილი, წვერი ვიხედება ხმლისაო.

სუყველას საყვარელი ხარ, ბატონისა და ყმისაო.

ხალხური.

ძველი მესხეთი და მისი შუაგული სამცხე ოდესღაც გურჯების ბუდედ ითვლებოდა. აქ გამოიგონეს მოსოკებმა და თუბალებმა რკინა და ბრინჯაო. აქედან წამოვიდა საქართველოც და განათლების პირველი უმძლავრესი ნაკადიც. აქაურმა მიწა-წყალმა გამოჰკეცა დიადი ხუროები და მხედრები, წმიდანები და პოეტები: უკვდავი შოთა და მერჩული, ხანძთელი და გოდერძი, ჩორჩანელები და ზარზმელები, თორნიკე ერისთავი და სარგის თმოგველი, ჯაყელები და თორელები. აქვე იღო ქართლის ყელზე მოზეგნილი ბიზანტიის დროშა, მახვილი, სახარება და ხელი მსახერელი.

თითქმის ხუთასი წლის წინათ უკვე მომაცდამა ბიზანტიელებმა თავიანთი დამსხვრეული მახვილები აიღეს, დროშებიც დაჰკეცეს და წავიდნენ. ქართველებმაც დაჰკეცეს და წამოვიდნენ. მათ ალაგას კი ოსმალების ნამგალა მთვარე გაიბადრა. ჯაყელები ჯერ ათაბეგებად გადაიქცნენ, მერმე კი ფაშობა მიიღეს და საკუთრივ იზილეს ოსმანთა ახალი ვილაეტის დაარსება, სადაც ეს ქედმაღალი მფლობელნი ოდესღაც ჩასაფრებულ ჯიქებივით ისხდნენ და ყველას მწვავედ ჰკბენდნენ — დედა-ქართლსაც და ბერძნებსაც, შახინშაჰსაც და ზონთქარსაც. შემდეგ ისინიც გავიდნენ ქვაბლიანის ხევში და მათ მაგიერ სხვის მახ-

* იხ. „მნათობი“ № 1—2.

ვილის წვერზე არტანელი და აქარელი ხიმშიაშვილები მოვიდნენ—ორი სულით, ორი გულით, ორი სულით და იმ პირობით, რომ ისინი ოსმალებზე უფრო მკაცრ ოსმალობას გამოიჩენდენ და კრაზანას ბუდისას ნავლსაც კეჭუ დასტოვებდენ.

ოსმალებმა მახვილს ცეცხლი და ოქრო მიაშველეს. რაჯულ შეცვალეს კაცულაფერი: ბაჯალლო, უფლება, წყალობა, მიწა და განდიდება, კრაზანა-გურჯებს კი—ხარკი, საქაჯავი, ტყვეობა, ხუნდი და ძაღლის ბედი—მათ ესეც ეყოფათ! მათთვის ესეც ბევრია!

რამდენიმე საუკუნემ, შვეუების კანონმა და „სიცოცხლე ტკბილია“-ს ჩურჩულმა შესხეთ-ტაო-კლარჯელებს ძველი სული გამოაცალეს და ჩაქურალა დაუტოვეს. „ოღონდ მაჰმადის სული ჩაებროთ და სამოსელი ისევ თავიანთი ეცვათო“—ამბობდნენ ფაშა-ბოჯები და ძველ ღვინოში ახალ შხამს შერეოდნენ.

როცა „აშვებული ლომი“ ერეკლე-მეფე დაბერდა და გოგსა და მაგუგს მოეკიდა, სულთანმა მას უკვე მოწამლული მესხეთი შეაძლია. უწინ ერეკლეს უფრო ხმალი უჭირდა ვიდრე ჭკუა, სიბერეში კი ხმალი დაწლუნგდა და ჭკუა გაუმახვილდა. როცა იმერლებმა მას იმერეთი შეაძლიეს, ომში უშიშარ შედგნენ მუხლებში ყრკოლამ ჩაურბინა და სთქვა: ჩვენ ქართლ-კახეთისთვისაც ვერ მოგვივლია და იმერეთი როგორღა შევიანხოთო, და როცა მესხეთიც შესთავაზეს, მოწამლულ ღვინოსი შეეშინდა და ისევ მაგუგს გაუღო დარიალანი. გაუსხნა და ფუჭი პირობა ჩამოართვა: თუ მაგუგმა მესხეთი და ტაო-კლარჯეთი დაიპყროს, ბაგრატიონებს მიერთვასო.

კარგა ხანია მაგუგმა თოვლიან ქედს გადმოალაჯა, ერთი ფეხი შავ ზღვას დააბიჯა, მეორე—ბაქოს დაადგა, ეხლა კი არეზსა და ნოეს კილობანს ეჭიდება და ჯავახეთის ზეგანზედაც მიბობლავს რათა თავის ვალი შეასრულოს: მთელი მესხეთი წამოიღოს და ოქროს ხონჩით მიართვას ბაგრატიონებს, რომელნიც მოსკოვსა და პეტერბურგში გადაასახლა, რადგან მათ ქართული ჰავე თან სწყინდათ და თანაც მოსწყინდათ. და ეხლა პასკევიჩიც გულმოდგინედ იმეორებს თავის წინამორბედ მთავარმართებელთა ბავშურ პროკლამაციებს: ჩვენ იმიტომ მოვედით, ჩვენ იმისთვის ვიბრძვით და თქვენ იმისთვის უნდა დაგვემართო, ქართველებო და სომხებო, რომ ურჯულოთა მიერ გაგლეჯილი საქართველო და სომხეთი აღვადგინოთო.

დაიხმარეს მართლა ათასობით შოფლობდენ: ზოგს შიშხილი მიერეკებოდა ომში, ზოგს წარმატების წყურვილი და ზოგსაც ბალღური რწმენა, რომ ერმოლოვ-პასკევიჩები მართლა შეუსრულებდნენ დაპირებას.

გოგის და მაგუგის დევურმა ბაჯბაჯმა გზაზე უამრავი ბუდე გაჰქვლია. ყუბანის, თერგის, რიონისა და მტკვრის ველებიდან წამოშლილი ჩურქებები და ყაბარდოელები, ქისტები და ჩაჩნები, ლეკები და შირვანელები, ვანჯელები და ქართველები, აფხაზებიც და ქურთებიც ათასობით შეეხიზნენ ახალციხეს, იქ კრაზანას ვეება ბუდე დაარსეს და ისედაც ურჩი მესხეთი შფოთისა და თავისუფლების ციხედ გადააქციეს.

დიდი ხანია რაც იქაურმა ქართველებმა მაჰმადის დროშას შეაფარეს გოროზი თავი, მაგრამ იგი მაინც არ მოიდრიკეს საბოლოოდ. ხიმშიაშვილებსაც ათაბეგების ფიცხი სისხლი უდღულდათ და უკვე დაპარგულ ხელისუფლებას ისი-

ნიც კბილებით და კანგებით ეკიდებოდნენ. როცა ახალციხეში ოსთლო ფაშა იჯდა, ათაბეგი ან ხიმშიაშვილი ციხის გალავანში მხოლოდ ათასი ჭედრის თანხლებით და საკუთარი დროშის ფრიალით შემოდის. უწყვეტად უფრო მტრის შემოჭრას ჰგავდა, ვიდრე ხელკვეითის ხლებას. ოსმალები ზარბაზნებს სტენავდნენ, ციხის კარებს ჰკეტავდნენ და სანგრებს ამზადებდნენ, ოსმალო ფაშა ამ დროს შიდა-ციხეში იჯდა ჩაქეტილი და მოითხოვდა რათა ათაბეგი ან ხიმშიაშვილი მარტო ხლებოდა მას, მაგრამ როცა სტუმარ-ბეგს კარს შეუღებდნენ, მას ოციოდე მხლებელი მაინც შეჰყვებოდა ძალით და ფაშას სასაუბრო კილოს შეაცვლევინებდნენ ხოლმე. ოსმალოს ჯარი აზღარბებული იდგა და მეზარბაზნენიც ნიშანსლა ელოდებოდნენ რათა ქედმაღალი გურჯი ბეგები სამუდამოდ მოედრიკათ, მაგრამ თვითონაც შიში ჰქონდათ და ვერ უბედავდნენ.

ერთხელ მაინც შეუბედეს: 1814 და 1815 წლებში ორი ფაშა—არტაანელი შერიფ ხიმშიაშვილი და აჭარელი სელიმ ხიმშიაშვილი—ერთმანეთს მიუსიეს და ურთ-ერთი შეაკმეინეს. ჯერ სელიმ ფაშამ გააგდო შერიფი და ახალციხეში დაჯდა. აზრუმის სარასკირი ფეხლევანი გაწყრა და სელიმ ფაშას შემოუტია, მაგრამ მესხებიც გაჯავრდნენ და ისე შეუუმსრეს ოცდახუთი ათასი მეომარი, რომ ამბავის წამლებიც კა არ დაუტოვეს. ფეხლევანი ხელშეორედ წამოვიდა, სელიმი ხიხას ციხეში შეამწყვდია, მისი კარი ოქროთი გააღებინა და ურჩი გურჯის თავი ხონთქარს გაუგზავნა. გახარებული შერიფ ფაშა მესხეთის დასაბრუნებლად ეახლა ფეხლევანს, მაგრამ მან მისი თავიც სელიმის თავს დაადევნა. ასე დაისაჯა ორივე ფაშა, რადგან მათ ჩურჩული გაუბეს ურუსებს.

სელიმს სამი ვაჟი დარჩა, რომელნიც თავიანთ ნათესავს მთავარს მამია გურიელს შეეხიზნენ, მაგრამ სულთანმა მათი თავი უკანვე მოითხოვა და რუსის ხელშეწყობა მიუგდო. სამივენი სტამბოლში წაიყვანეს, სამხედრო განათლება მისცეს და ათი წლის შემდეგ უფროს ძმას ახმედს სამუსლიმანო საქართველოს ფაშობა უბოძეს. შვილი მამის ალაგას იჯდა და მუდამ მამის უკანასკნელი სიტყვა ახსოვდა, რომელიც მან თავის-მოჭრის წინ მოახსენა ფეხლევანს: „ფაშავ, გადაეცი სულთანს, რომ ჩვენ მუსლიმანები ვართ, მაგრამ გურჯებიცა ვართ და ოდესმე ჩვენს ძმებს ქრისტიანებს შევეფერებებით. საცაა ეს დროც მოვა და თქვენი აღსასრულის დღეც მაშინ დადგება“.

მისი შვილი ახმედ ფაშა ხშირად იმეორებდა ქართულ ანდაზას: „არ გათერთლებს ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა“, და არც თვითონ თერთლებოდა. მამის მოჭრილი თავი მას ნიადაგ თვალწინ ედგა, მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვებიც წმინდა ანდერძად მიაჩნდა და მუდამ ბეწვის ხიდზე დადიოდა. დაჯდა თუ არა ახმედი მამის ალაგას, იმანაც მაშინვე გაუბა ძაფი ერმოლოვს და შეუთვალა: ჩვენი სურვილია რუსული კანონი, ქართული ენა და მუსლიმანური რჯული. ერმოლოვმა შუამავლად ბებუთოვი აირჩია, რომელსაც რუსული საბეჭურები, ქართული თავადობა და სომხური სისხლი ჰქონდა, ხოლო ზურგის უკან კათალიკოსი ნერსისი და ეპისკოპოსი კარაპეტი ედგა. დრო მოვიდა და მათ თავიანთი ნაჩუქარი ზრახვები რუსის სალდათისა და მესხების სისხლით შეისრულეს.

როცა 1826 წელს სულთანმა ახმედ მესამემ ორმოც-ათასზე მეტი ენგლიზი შეიშრა, ქართველ ენგლიზთა ნაწილმა ახალციხეს მოაშურა და საცენებლად დაარჩა. ახმედ ფაშას მათი თავები მოსთხოვეს და შეჰქურქეს. ყოველი შეტორტმანდა, რადგან მან ფადიშახის ბრძანებას გზა მოჰქურდა. ამ ქრთი ენგლიზი არ დაანება.

საქართველოში რუსს ჯერ ფეხიკ არ შემოედგა, რომ ოსმალებმა ახალციხე კრაზანებით, ველებით, მორიგელებით და ყოველი ქვემარომით გაავსეს და ეს ლაშქარი წელმოტყბილ გურჯისტანს მიუსიეს. ველური მზნეობით სავსე მთიულები მშვიერ მგლებივით დაძრწოდნენ დალისტინით-ახალციხეზე და მოტაცებულ ქრისტიანებს ცხერის ფარასავით მიერუებოდნენ. მათ ხელთ ივდეს ჯვარედინი გზები, მიუვალი ციხეები, ყველა დიდი ძარღვები და დედა-ქალაქს ტფილისს რკინის სალტა შემოარტყეს და ბაგრატიონები მოხარკედაც კი გაიხადეს. ერთხელ ქალაქშიც კი შემოიჭრნენ, ერთი საწყობიდან ლილა მოიტაცეს და მთებში გაიქცნენ, თანაც ეკონათ უფასო განძეული მოგვაქესო.

იქვე ქალაქთან ზედაზნის ქედზე ასი ლეკი იჯდა. გიორგი მეფემ უკანასკნელმა ძლივს შეუბედა, მაგრამ ვერ დასძრა და სასიკვდილო სარეცელზე ესლა ჩიკუნესა: „აი რა დარჩა თამარის სამეფოსგან! ამას იქითაც მეტყვიან რუსებს ნუ მოიყვანო!“.

და მოიყვანა: მაგუგს კარი გაულო, თვითონაც წაბდა, ისლამიც წაახდინა და მათი ნამგალა მთვარეც და ირანის ლომიც აზოვ-დარუბანდიდან არუზ-ბათომამდე გადაადგებინა. ეს მაგუგი ეხლაც ყარსის და მესხეთის საზღვრებში ჩასაფრებულა. მან უკვე დააძრო ირანის ლომს კბილები და საცაა ფადიშახის ყელსაც წასწვდება. მისი ფეხი, დროშა და მახვილი ჯერ შორს იყო, მაგრამ მისი ხელი, მისი ოქრო და მისი შხამი დიდი ხანია მუშაობდა მესხეთში: იქ ერმოლოვებს და პასკევიჩებს ათასობით ჰყავდათ მომხრე და დროგამოშვებით ვინმე ბელადი „მუტლის ტყვილით“ კვებოდა ხოლმე. ამგვარადვე მოკდა სოლომონ ქველი მსაჯული—ერეკლე მეფისა და შემდეგ დაუდევარ ალექსანდრეს საიდუმლო ელჩი, რომელიც მან მესხეთთან წარგზავნა.

ფადიშახის მახმედ მეორის სამეფოებლოს სასლვარი არა აქვს. დუნაის ნაპირიდან ახალციხემდე დაუღვეელი მანძილია, ამიტომ იქაური მარცხის ამბავი ან არასივდეს არ მოდის მესხეთამდე, ან ამ გზას ხუთიოდე თვეს უნდება, გამარჯვება კი ხუთ დღეშიც ამოფრინდება ხოლმე, ალბათ ამ მანძილის ბრალია, რომ შარშან 1827 წელს მ ოქტომბერს ნავარინში ჩამოვარდნილი მეხი ახალციხელებმა მეორე წლის გაზაფხულზედაც ძლივს გაიგეს. იმავე მანძილის წყალობით ის დამაყრუებელი ქუბილი აქ ჩქამადაც ძლივს მოისმა. სამაგვიროდ სწორედ ორი თვის შემდეგ მ დეკემბერს სულთანის მიერ დაქუხებული „გათი შეფი“ ომის გამოცხადების შესახებ ელვასავით მოედო ყველა მართლმორწმუნეს და მესხეთიც „სიხარულით შეტრეოლდა“:

— ინშ ალაჰ!—მადლობა უფალსა! ეხლა კი სამეფდამოდ შემეუსრავცნ ურუსსაც, ფირანგსაც და ენგლიზსაც (თუ, რა თქმა უნდა, ალაჰის ნება) იქნება) და „ვახის“ სახელს სამეფდამოდ მიიკერებენ მახმედ მეორეს, რომელიც

აღმათ იმიტომ ეპოტინებოდა სიტყვა „უძლეველს“, რომ მის ჯერჯერობით ვერაინ ვერ დაედო.

შარშან შიებ ულ ისლამი და ხოჯები მოტყუებდნენ: ცის ეტლი ვერ, წიკითხეს, ალაჰის განაჩენი ვერ გააჩიეს და ავი ნიშნებიც არ იხდნენ. ყურადსაქონელი ნიადაგ შფოთავდა, გზები მგლებმა დაიჩემეს, ყვავ-ყორანმა ცა დააბნელა, ხევხუფში იღბისი და აღქაჯი გამრავლდა, დარვიშები და სეიდები დახდნენ, ტყეთა ვაჭრობამ „ალიშ-ველიშმა“ დაიკლო და სამაგიეროდ ჰირმა და შფოთმა მოიმატა. წლელუს კი—ინშ ალაჰ!—ირგვლივ გამარჯვების ნიშნებიც მოსჩანს და ვანგების ეტიკიც უკვე ჰკივის გოგზე და მგუგზედა.

—ჯანუმი, გულოვიჩი და ტორმასოვი ხომ დავიფრინეთ?—დღეში ოცჯერ იმეორებენ ახალციხის გამგებელნი და ხოჯები.

—დავიფრინეთ.

—მაშ ბასკუვიჩსაც დავიფრინეთ.

და რუსისადმი უკედავ მძულვარების დასათესად ყოველმხრივ გაიძახიან:

—რუსის ქალები შიშვლები დადიან!

—რუსები მუსლიმან ქალებსაც აშიშვლებენ და საჯაროდ როზგით სცემენ!

—მუსლიმანებს ძალით აკმევენ ღორის ხორცს!

—ყველა ჯამიეს ანგრევენ და ყურანს სწვავენ!

—ძალით მოგენათლავენ!

და ბოლოს მდამიო ხალხის თვალში რუსი რალაც კუდიანს და ცალთვალა ურჩხულს დაემსგავსა, რომელსაც პირის მაგიერ ვეშაპის ლაშები ჰქონდა, ცხვირის ალაგას—არწივის ნისკარტი, ხელების ნაცვლად—ორბის ქანაგები და ფეხების მაგიერ—ცხენის ჩლიქები. ეს საარაკო ურჩხული ბრმა კამეჩივით მოალაგებდა და სადაც კი გაივლიდა, იქ წყალიც შრებოდა და ალარც ბალახი ამოდიოდა.

„ბასკუვიჩი ისკანდერზე უფრო ძლიერი სარდალია“—გულმოდგინედ ჰმერავენ ოსმალები ისედაც მოზრდილს ტომით უკრაინელ ბასკას-პასკევიჩს, რათა თავიანთი მომავალი გამარჯვება ცამდე ასწიონ და უკაბედი დამარცხების საბაბიც შეიმზადონ, და ღრმად სჯერათ, რომ ახალციხის მიგზითიდან ოქროს ნამგალას ჩამოგდება გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ ციდან მთვარის ჩამოღება. მაგრამ ციხე შიგნიდან ტყდებოა:

—ბასკუვიჩი ციდანაც კი ჩამოიღებს მთვარეს, თორემ თქვენს ნამგალას ერთი შებერეთაც ჩამოაგდებს. სისინებენ ურჯულო ურიები, სომხები და ქრისტიანი ქართველები.

—ქიასრაბ, —ამოგვლიტოთ! გავრეკოთ! დავარბიოთ!—ხმაზალა გაპკივიან მართლმორწმუნენი და აშკარად მოიწვევენ ქრისტიანების უბანზე, რომელიც თანდათან იბუზება და ცალიერდება. ლამელამობით ქალაქიდან გრძელ ქარავანს უშვებენ: ქრისტიანები და ებრაელები ციხის დაცვას მუსლიმანებს ანებებენ და თვითონ კი ზეკარის ჭედით ქუთაისსა და ბაღდადისკენ მიიპარებიან.

—თქვენ რაღას აპირებთ, არსენ?—ჰკითხეს ერთხელ თამარაშვილებმა ოძელაშვილს.

უკვე კარგა ხანია რაც არსენას ბანაკში ითათბირა და კადეტთა გადას-
ქრა: ჩვენ ვერსად ვერ წავალთ, რადგან ყველა გზები მოჭრილი გვაქვსო. მარამ-
დელს მსურდა დროებით მარტო დარჩენილიყო ახალციხეში, ~~დაელოდებინა~~ ორი
მადნაფიცოც დაეტოვებინა, სხვები კი ისევ საქრისტიანოში: ~~დაეპარტუნიან~~, მაგ-
რამ ზრახვა ვერ გაუვიდა: ეს ახრი რომ გაუგეს, ისე მტკიცედ მიესივნენ მის
თითქო პირი შეეკრა:

— საცა შენ იქნები, ჩვენც იქა ვართ! არ წავალთ, არ მოგშორდებით!

— კაცო, სად უნდა ცავიდეთ? — ცხარობდა სხვებზე მეტად კარპია. — მაი-
ორი იქ ყველას ჩამოგვახიობს, აქ კი გვამუშაებენ, მაგრამ ლუკმა პურს მაინც
გვაძლევს. ამაზე კარგ კვებანას სადღა ვიშოვიტ! აქ არც ბატონკომბაა, არც
შპიცრუტენია და არც მაიორი.

— იაეაშ ყარდაშ! — წამოხტა თათარი. — მეც სულ მიგას ვამბობდი, ურუსს
ისევ ოსმალის სჯობია მეთქ.

და ახალციხეში დარჩენის გადაწყვეტილება მან თავისებურად გადაიკეთა:
ყოველ მოედანზე და ქუჩაში ის ბეჯითად აჯერებდა ყველას, არსენა „ჩვენს“
მხარეზე იომებს და ათას გურჯს მაინც გამოიყვანსო.

1828 წელს 14 აპრილს პასკევიჩმა თავის ჯარი გუმრიდან გაიყვანა,
არფანაი გადალახა, ყარსს მიადგა და ეს მიუვალე ციხე, მცირე აზიის ნამდვი-
ლი კარ, სწორედ ათ კვირაში შეანგრია.

ახმედ ფაშა ხიმშიაშვილმა თავიდანვე ივარაუდა: პასკევიჩი უარსიდან არ-
ტაანზე ან ჯავახეთზე წამოვაო, და ეს ამოცანა ისე გადააჭრინა თავის მოპირ-
დაპირეს, როგორც თვითონ გადასჭრიდა, მის ალაგას რომ ყოფილიყო: პასკე-
ვიჩს ჯარის საკვები გზა ისედაც გაუგრძელდა და არტაანზე რომ წასულიყო,
იგი მეტისმეტად გაეჭიმებოდა. გარდა ამისა ეს გზა უარსიდან ახალციხემდე
მტრის მიწა-წყალზე გადიოდა. ამიტომ მას დიდი ზიფათი მოელოდა აზრუმის
სარასკირის ქოსა ფაშასაგან, რომელსაც ახალციხელთა საშველად ოსმალეთი-
დან ოცი ათასი ასკერი მოჰყავდა, ხოლო მუსტაფა ფაშას — შეიდი ათასი. მათ
ადვილად შეეძლოთ ეს გზა მოეკრათ და მისი ლაშქარი სულ გაენადგურებინათ.
ეს ზიფათი ერთი-ორად მოიმატებდა, თუ ოსმალები გამბედავდნენ და რუსებს
ქართლის გზას აწყურის მხრივაც მოუჭრიდნენ. ჯავახეთის გზა ყოველად უვარ-
გისი, მაგრამ უფრო მოკლე და სიმიდლო იყო, ამიტომ პასკევიჩიც ისე მოიქცა
როგორც ახალციხის ფაშა მოიქცეოდა და უარსიდან ჩაღდირ-ჯავახეთის მხრივ
წამოვიდა. ახმედფაშამაც სწორი გეზიანი აიღო და ისიც ისე მოიქცა როგორც
პასკევიჩი მოიქცეოდა: მან ზამთარშივე დაიჭირა თადარიგი და ზერთვისი და
ახალქალაქი გაამაგრა და ეს ორი ციხე თავის ძმას ფერხად ზეგს ჩააბარა.

ახმედ ფაშა ყველაფრისთვის ვერ იცლიდა და ციხეების გამაგრება თავის
ხელქვეით ინჟენერ ფაშას მიანდო, რომელიც ოქროს უფრო ხშირად ითვლიდა
ვიღერ თოფსა და სარბაზანს და თანაც ხშირ-ხშირად ჰპურტყუნებდა:

— ჯანუშ, ტორმასოვი ხომ დავიფრინეთ?

დაიფრინეს, ამიტომ პასკევიჩიც ისე მოპკურცხლავს, რომ ღრუბელსაც კი
გაუწყნებს.

მას შემდეგ რაც გენერალი ერისთავი თავრიზის შემდეგ მიანეშიც შევიდა-
და თეირანის გზას დაადგა, შაჰინშას ტახტი შეტორტმანდა და ბაბა ხანმა ზავი
წოითხოვა. პასკევიჩმა იგი გრიბოედოვის ხელით მისცა თურქმანჩაინში, მისივე

ხელით გამოართვა დიდძალი ხარკი და ეს მახვილიც ოსმალეთს მიიწვინა. შემოდგომა და ზამთარი მან სამზადისს მოაწადინა, ხოლო ყარსის ალემის შემდეგ ეს ციხე გენერალ ბერგმანს დაუტოვა და თვითონ კი მთავარ ლაშქარს ახალქალაქისკენ გამოუძღვა. გზაზე რამდენიმე ათასი ყარათაფაზი დაუჩინდა, მათ დიუბით სცადეს ზევისს შეჩერება და ინანეს. იგი ჯავახეთის ზეგანზე ამოგორდა და ახალქალაქს მიადგა.

„დამნებდით!“—შეუთვალა პასკევიჩმა ციხისათვის ფერხად ბეგს.

„მე სელიმ ფაშას შვილი ვარ და მაგვარი სიტყვა არ უნდა გეკადრებინა ჩემთვის. გარდა ამისა ჩვენ ერევენლები და ყარსელები ნუ გგონივართ.—შეუბრუნა ქედმაღალმა აქარელმა.—ჩვენს ძარღვებში მაჰმადის მიერ ნაქურთბი გურჯის სისხლი სდულს და თითო მესხი ათ ერევენელს მაინც უღრის. არც ცოლ-შვილი გვყავს და არც ქონება მოგვეპოება. ჩვენ ერთი ათასიც ძლივს ვიქნებით, თქვენ კი ორმოც ათასზე მეტი ხარო და მოძრძანდით“.

პასკევიჩმა აღარ დააყოვნა და მიბრძანდა.

მისხეთს არასოდეს არ გაეგო იმგვარი გრავინება. არც ახალქალაქის გალავანს ეგრანო ისეთი ნები და ზარბაზანი. ეს ციხე ნადირ შაჰის ან ერეკლე მეფის დასახელებად იყო აშენებული, ბასკევიჩმა კი მეცხრამეტე საუკუნე ნოიტანა და ისეთი ქვემები და ზარბაზანი დააყუფა, რომ მათი ქუხილი ახალციხეშიც კი ისმოდა. გალავანში ჩაყოლებული კოშკები სათამაშოსავით ჩამოინგრა, თვითონ გალავანი კი აქა-იქ ქალღღივით შეიფხრჩო და ნახევარ საათში ციხე აშლილ ღობე-ყორეს დაემგვანა.

„თქვენმა რაინდობამ გამაოცა,—ერთხელ კიდევ შეუთვალა პასკევიჩმა,—მაგრამ ამაოდ იხოცებით და გირჩევთ დამნებდით“.

ჩვენ ერევენლები ნუ გგონივართ. ჩვენ გურჯები ვართ. მე კი სელიმის შვილი გახლავარ. მოდი და გაგათავე.—მიუგო ფერხად ბეგმა და შიდა ციხეში გადავიდა.

პასკევიჩმა აღარ დააყოვნა და ერთხელ კიდევ მივიდა.

ახალქალაქის მტკვარი ჯავახეთის ზეგანს უღრმეს კრილობასავით სჭრის. ამ დარიალას ხევით ფერხად ბეგის მოსაშველებლად ათას-ხუთასი რჩეული ჭანი მიისწრაფის, რომელნიც სულთანის ჯარში საუკეთესო ქვეითა მებრძოლებად ითვლებიან. რუსები კი ისე დასკვერიან მათ კლდის წვერებიდან როგორც ქორი ქათმებს. ზარბაზნის ქუხილი ლაზებმაც ესმოდათ და ისე ჩქარობდნენ თითქო მაყრიონი მიდენილიყო, და ის კი არ იცოდნენ, რომ გაუვალ ხერულში მოექცნენ და უბრძოლველად უნდა დახოცილიყვნენ. ხელის უშმაარა ბიშტზე და ზარბაზანზე უარესი გამოდგა. მაყრიონის ამაო ვაგაკობამ მტკვარი გააწითლა და ათასამდე მუნჯი მთხრობელი ახალციხის მახლობლად ჩაატეტივა და პასკევიჩის გამარჯვება ქართლს, ქალაქსა და აზერბეიჯანსაც აუწყა. ამ მთხრობელთა შორის არც ერთი რუსი, ქართველი ან სომეხი არ აღმოჩნდა.

„დამნებდით!—უკანასკნელად შეუთვალა ფერხადს რუსის სარდალმა,—თორემ ღმერთიც ველარ გიშველისთ“.

„ვიცი,—მიუგო ფერხადმა,—მაგრამ ჩვენ გურჯები ვართ და მე სელიმის შვილი გახლავარ. მოდი და გაათავე“.

პასკევიჩი მივიდა და გაათავა. ათას კაცისგან ეჭვსასი დამარხეს. ფერხად ბეგი ბიშტებით იყო დაცხრილული. არტაანის გზით მომავალმა ქოსა ფა-

შამ შემოლთვალა მას, ან მოკვდი ან მანამდე შეაჩერე ურუსი, ხანამ მას ახალ-ციხეში შესვლას დედასწრებდყო. ციხისთავმა ბრძანების ორივე ნახევარი შეუსრულა და პასკევიჩი მხოლოდ ერთი დღით შეაგვიანა. ახალციხის მხარეში მისი ამაზე მეტი არც უნდოდა: ოსმალთა მაშველი ლაშქარი უფრო მთავარი იყო ვიდრე რუსების. სამაგივროდ მათ გატყუნილი გზა ჰქონდათ. პასკევიჩი, კი ბაკურიან-ციხისჯვრის ხევსუხუცე და უღრან ტყეზე წამოვიდა. ბარგსა და ზარბაზნებს ხელით მოათრევდნენ. ჯარი გზას წერაქვებით, ცულებით და ბირდაბირებით იკაფავდა.

ხერთვისის ციხეს ორბი თუ მისწვდებოდა, თორემ რუსის ფეხი იქ როგორ ავიდოდა. ჯარს იქ ასვლა უფრო უჭირდა ვიდრე მისი აღება. ახალქალაქის მინგრევემ მართლა დააჯერა ხერთვისელები, რომ პასკევიჩთან ისკანდერი სახსენებელიც არ იყო და ოსმალები ლამის ქურდებივით გაიბარნენ. დარჩა მხოლოდ ციხისთავი, თხუთმეტი ოსმალი, ორასი მესხი და თოთხმეტი ზარბაზანი, რომელნიც ერთხელაც არ დააყუფეს.

ამავე ხანებში ახალციხე ახალ ახალი მეგრძალით ივსებოდა. მესხეთის ბატონს ყოველ დღე მოსდიოდა მესხების შეიარაღებული რაზმები და ყველა ლტოლვილიც მასვე ემორჩილებოდა: ყარაფაფახი, თარაქამა, ლეკი, ჩაჩანი, ჩერქეზი აფხაზიც და ქურთიც. ბევრმა აბაშიძემ მას ორი ათასამდე აქარელი მოუყვანა. ამ რაზმს წინ ენგიჩართა უკანასკნელი ასეული მოუბლოდა და მათ შორის არც ერთი ოსმალი აღარ ერია, ხოლო შუაში ასამდე შეიპრალბული და პირმოპურული ცხენოსანი ქალი მოდიოდა.

ამ ლაშქარს მთელი ქალაქი ვაეგება, მეციხოვნე ჯარი გაწლილი დროშებით დაუხედა. ზარბაზანი ჰქუხდა. მუქიანი საღვთო სურებს მღერობდა. ახალციხელი ქალები შურით და საბრძოლველი ეჩინით აღივსნენ. მათ სტუმარი ქალები დაიტაცეს, თვითონაც იარაღი აიხსეს და ვაგაკომაში თავიანთ მებებსა და ქმრებს ეჯიბრებოდნენ.

ახალციხელების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა როცა ქრისტიანი ქართველების რაზმებიც გამოჩნდა. აქარლებს გურულების, იმერლებისა და ოდიშელთა რაზმები მოსდევდნენ. მესხეთსა და ქანეთში კიდევ მრავლად დარჩენილიყვნენ იმერეთის ლტოლვილი მეფის სოლომონის მშლებლები. მათ ცალკე რაზმი შეედგინათ. გურიის მთავრის მეუღლეს სოფიო გურიელს ახმედ ფაშასთან ჩუმი მითქმა-მოთქმა ჰქონდა და, ომი რომ დაიწყო, აქარაში გადავიდა და თან დიდი ამაღა გადაიყვანა. ისინიც ცალკე გუნდად შეკრულიყვნენ და იმერლებთან ერთად მოდიოდნენ. ქართველების ორ რაზმში ხუთასი კაციც არ იქნებოდა, მაგრამ ახალციხელებისთვის ზნეობრივად ხუთი ათასაც უდრიდნენ და ამიტომ ამ რაზმებს მზურვალე აფროთოვანებით დაუხვდნენ და იმას კი აღარ ანგარიშობდნენ, რომ დედა-გურჯისტანს კრაზანას ბუღის დასანგრევად შეიღი ათასი მეომარი გამოეგზავნა.

ქოსა-ფაშა იმისთვის მობრძოდა, რომ ახალციხეში შესვლა მოესწრო, იქაურები მოეშველებინა და რუსები მათთან ერთად შეემუსრა. რუსებიც იმისთვის მობრძოდნენ, რომ ოსმალები არ შეეშვათ და ცალცალკე დაემარცხებინათ. ამ დოღში პასკევიჩმა ოღნავ დაიგვიანა. ქოსა ფაშა მათს თვალწინ წიადგა ახალციხეს. მეციხოვნე ჯარი კი ეჩინით გამოეგება სარასკირს, ხოლო ციხის 150 ზარ-



— დაეფრინეთ.

— მაშ ბასკუვიჩისაც იგივე ბედი მოეღოს. არბეინად დაიძინეთ.

ვერ დაიძინეს. ვიღაც თუ რაღაც უფრთხობდა ძილს და ჩულებდა, რომ ისტორია მუდამ არ შეორდება და ეს შაითანის მანქანებიც უფრო ისკანდერ მაკედონელს ჰგავს ვიდრე უნიათო ტორმასოეს ან გულდოვიჩსო.



მადნაფიციები ეზოში იდგნენ და დალი ჰასანს ახალ „ზაბარს“ უსმენდნენ. უცებ რაღაც ზუზუნმა გაფხრიწა ჰაერი და იმავე წამს იქვე ეზოში სახარლად დაიქექა. აღმა ელვასავით მოლოკა იქაურობა და მაშინვე ჩაჰჭრა, კვამლი რომ გაიფანტა, შეფიცულებიც გამოჩნდნენ. ყველანი მიწაზე ეყარნენ და ნაპირზე გამოყრილ ლოქობივით ფართხალობდნენ. ყველაზე ადრე არსენა წამოხტა და თავის ლურჯასავით დაიბუჩვინა:

— ოხო-ხო! მასკევიჩის საღამია და მეტი არაფერი. აბა, ბიჭებო, წამო-დექით. ხომ არაფერი დაგიშავდათ?

არა, არაფერიც არ დაშავებიათ. მხოლოდ თავრეტი დაესხათ და მოულო-დნელობით გაბრუდნენ.

— მოგენათლეს!—წამოიძახა კარპიჩამ და ისიც წამოდგა.

— ე ტიელი რა ყოფილა!.. ამ ოხერს რა ძალა ჰქონია!—დინჯად მბურ-ტყუნებდნენ როსტომი და სულხანი და ერთმანეთს ადგომაში შევლოდნენ.

ოსტაპმა ერეკლე და ზურა ბაღმეზივით აიტაცა. მხოლოდ დალი ჰასანი იჯდა ფეხმოკეცილი და გაშტერებით შესცქეროდა ყველას. ქალები და თამარა-შვილებიც გამოკვივდნენ და მადნაფიციებს ათვლიერებდნენ, ჯანმრთელობას გყითებოდნენ და გადარჩენას ულოცავდნენ. ეს პირველი ყუმბარა იყო რუსე-ბის მიერ ქალაქში შემოსროლილი, პირველი და უგნებელი. მას მეორე და მესამე უნდა მოჰყოლოდა. თამარაშვილების სახლი მკვრივად იყო ნაშენები, მაგრამ მაინც არ ენდვენ და ათიოდე წუთში ყველანი ღრმა სარდაფში ჩასახლ-დნენ.

რუსებს ციხის აღებამდე ჯერ ქრისტიანების და ებრაელების უბნები უნდა აეღოთ, რომელიც ზღუდის გარეთ მდებარეობდა. პასკევიჩმა თავდაპირ-ველად ქრისტიანების ჩრდილოეთ უბანს დაუმიზნა, რადგან იგი უმაღლეს ბორ-ცვზე იყო გაშენებული და ამ უბანში ყველაზე მაღალ წენობად კათოლიკეთა ეკლესია მოსჩანდა.

ალყა დაიწყო. ქრისტიანების და ურიების უბანში ახალციხელთა ჯარი შემოვიდა და თან ზარბაზნები, ნამაზი, საბრძოლველი ფახი და ასნაირი საო-მარი მასალა შემოიტანა. თამარაშვილების ეზოც ზარბაზნებით გაავსეს, ზოლო სკოლა და ეკლესია თავიანთ სადგომად გადააქციეს. სარდაფებშიც შემოიხედეს და მისი დაკლა მოითხოვეს, მაგრამ ანტონმა ხელი ააღებინა. უთხრა, თქვენს დაქრილებს აქ ჭრილობას შეუზვევ და აქ-მყოფნიც მომებმარებიაო. ოსმალებს ეს აზრი მოეწონათ და თავი მიანებეს.

ეს უბანი იმ დღიდან ჯოჯოხეთად გადაიქცა და სარდაფი მის შუაგულში მოექცა. ამ კუთხეს პასკევიჩმა ორმოცდაექვსი ზარბაზანი მიუჩინა, რომელნიც მას დღე-ღამეში რამდენიმე ათას ყუმბარას უგზავნიდნენ. ხანმოკლე მხრივაც იმდენივე მიდიოდა. კუხილი დილიდანვე იწყებოდა და საშორს-საშორს ზეცა იფხრიწებოდა, ის უბანი ზანზარებდა და სარდაფიც დანგრევას ღამობდა.

იქ-მყოფ შეფიცულებს მრავალჯერ მოეჩვენათ თითქო თალები დამსკდარიყო და მძიმე ჭერი თავზე უნდა დასწოლოდათ. მოეჩვენათ და გაქცევა დააპირეს, მაგრამ პატიმრებივით იყვნენ და თავს ვეღარსად შეათვარებდნენ: არც ციხის კარს გაუღებდნენ, არც მუსულმანურ უბანში შეუშვებდნენ და არც სააღყო მიჯნას გადაატარებდნენ.

დაჭრილები დილიდანვე შემოპყავდათ. მძიმედ დაჭრილს თამარაშვილი ჰპატრონობდა, რომელსაც ძმადნაფიცები შევლოდნენ, უფრო იდელებს კი მაგდანას, ფიქრიას და მარინეს უთმობდა.

მტრებს თითქო პირობა დაედოთ: დილაადრიან დაწყებულ სროლას ორთავ მხრივ სწორედ ოთხ საათზე ათავებდნენ. დაღლილი სალდათები და მოსანგრე მუშები ამ დროს უკანვე მიჰყავდათ და მათი ნაცვალი მოპყავდათ. საღამომდე ყველანი ისვენებდნენ.

ისვენებდნენ შეფიცულებიც.

თითის-ოდენა დათუნა თვალ დაქვეტილი იწვა კუთხეში და განუწყვეტელი გრგვინით იყო გაშტერებული, ზოგჯერ კი ისე სჩხაოდა, რომ მისი ხმა ზემო სართულშიც ისმოდა.

— დეე იტიროს. ჩემი ჯიშისა ყოფილა. მეც მზავანა ვიყავი. — ამბობდა მამა. — ფილტვები გაებერება და ჩემი მკერდი დასჩემდება.

მაგრამ არსენას არავინ არ უჯერებდა და ჩხავილის გაგონებაზე იმ აკვანს ზოგჯერ ექვსი ვაჟაკი მიესეოდა, და პატარა ოძელაშვილს დედასაც კი აღარ ანებებდნენ, უმაღვე აკნიდან ამოპლუჯავდნენ, სარდაფში დაარბენინებდნენ, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ, ფუნჩულა ტუჩებსა და ყელში ჭონიან თითებს სჩრიდნენ და ორი წლის ბალებივით ტიტინებდნენ:

— ლიტი-ლიტი დათუნასა! ნანა-ნანა ბიჭიკოსა!

როცა რკინის სეტყვა გადაიღებდა და სარდაფიდან დაჭრილებსაც გაიტანდნენ ხოლმე, შეფიცებულები განიერ კარს გააღებდნენ, სუფთა ჰაერს დალევდნენ, ძლივს დანაყრდებოდნენ, კარის წინ მიეყრებოდნენ და ყელგამოჭრილი მოზრებივით ახერინდებოდნენ. კარგა რომ დაღამდებოდა, ისევ კეჭა-კუხილი ატყდებოდა და მძინარე სარდაფიც იღვიძებდა.

ეზოში ასეღა აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ზოგჯერ ღია კარიდან იხედებოდნენ და ბრძოლის მცირე კუთხეს ათვალთვლებდნენ. განიერ ეზოში ექვსი-დიდი ზარბაზანი იდგა. ოსმალებს ეს საომარი ძარღვი მხოლოდ თვითონ ეჭირათ და საარტილერიო საქმეს უერთგულეს მესხებსაც კი არ ასწავლიდნენ, ამიტომ იმ ეზოში უმთავრესად წითელი ფესები მოსჩანდა.

ოფელში გაწურული გულგაღელილი ასკერები ყუმბარებს მოარბენინებდნენ, ზარბაზნებს სტენავდნენ და რიგრიგად აქუხებდნენ. სასაფლაოდან, მეზობელ ეზოებიდან და ქუჩებიდანაც მოისმოდა გრილი. დროგამოშვებით იმ ეზოს

ბასკევიჩის ნობათებიც აყრუებდა და ხუთიოდე წუთის შემდეგ სანიტარებს სარდაფში ახალი დაქრილები ჩამოაქონდათ. მაგრამ ზოგჯერ სანიტარები იგვიანებდნენ. მაშინ სარდაფში ჩაუში ან ასკერი ჩამოვიდოდნენ და დაქრილების საზიდავად შეფიცულები მიჰყავდა.

ერთხელ არსენაც გავიდა და იქაურობას თვალი მოივლო. ეკლესიაც, სკოლაც და თამარიშვილის სახლიც მრავალგან იყო შენგრეული. ჩაუშია საკაცეებით მიმავალი შეფიცულები ეკლესიის მეორე მხარეზე გაიყვანა. სანამ დაქრილებს საკაცეებზე დაასვენებდნენ, მირაბდელმა რუსების მხარეს გაიხედა. შორს დღვეებში თეთრი კარვები წყალზე მიმავალი ბატებივით ჩამწყრივებულყვნენ. უფრო ახლო რამდენიმე ალაგას ზედიზედ კვამლის ქულებმა იფეთქა და პაერი ალის ენებმა მოლოკა. რამოდენიმე წამის შემდეგ ყრუ გუგუნი მოისმა და ამავე დროს ეკლესიის უკან რამოდენიმე მეხი ჩამოვარდა.

არსენამ ბეჭობის ჩაყოლებზე ჩაიხედა და უამრავი სანგარი დაინახა თხრილები ალბათ მუშებით იყო სავსე, რადგან უთვალავ ალაგას თხუნელებით ისროდნენ მიწას. შემდეგ იმ თხრილებიდან ტყვიის ზუზუნიც მოისმა. აქედანაც თოფის სროლით უპასუხეს. ალბათ სამას-ოთხასი კაცი ისროდა. არსენა ჯერ ვერა ჰხედავდა მსროლელებს, მაგრამ კვამლის ქულებმა მიახვედრეს. აქეთა მხარეც თხრილებით იყო დასერილი. შიგ მესხები ისხდნენ და გამალებით ისროდნენ.

ოქელაშვილი ოშში ნავალი არ იყო, მაგრამ ნანახი უმაღვე შეტყვანძა და გაიფიქრა: „რაკი მტრები ერთმანეთს პირისპირ მისდგომიან, სჩანს საქმეს დღეს ან ხვალ ხიშტი და ხანჯალი გადასჭრის“. მერმე საკაცეს დასწვდა და დაქრილი მესხი წამოილო. ეზო ცალიერი დაუბედა. აქა-იქ ოციოდე მკვდარი და დაქრილი ეყარა. ორი ზარბაზანი ყირაზე ამდგარიყო. მესამეს ტუტი მიწაში ჩაეყო. გაუანტული მეზარბაზნენი ნელნელა იკრიბებოდნენ. ათიოდე მათგანი სარდაფიდან ამოძვრა და მცირე ხნის შემდეგ ის პატარა კუთხე ქუხილით, ცეცხლით, კვამლით და სისხლით გამოოკობლდა. მერმე სამი ახალი ზარბაზანი მოათრიეს კამერებით, გონჯები იქვე მიჰყარეს და ცეცხლი ერთიორად გააღვივეს.

— ბიჭებო, ხვალ ან ზევ ამ ეზოში სისხლის წვიმა წამოვა და თავს უნდა უშველოთ. — სთქვა იმ საღამოს არსენამ და დააყოლა: — რუსები ამ უბანში შემოიჭრებიან, აქაც ჩამოიხედავენ და ..

დანარჩენი ისედაც ცხადი იყო, მაგრამ სად წასულიყვნენ? ვისთვის შეეფარებინათ თავი? ბაღში ჩასვლა უგუნურება იქნებოდა. ორივე მხრიდან დაუშენდნენ. დალი ჰასანიც გაჰქრა, ანტონ ექიმმა კი შუბლი მოიფხანა და უთხრა:

— მეტი გზა არა გაქვთ. როცა რუსები შემოუტყვენ, აღიაქოთის დროს გაძვერ-გამოძვერით და თავს უშველეთ, თორემ ყველას მოღალატეებად ჩაგთვლიან და ხის ტოტებზე ჩამოგკიდებენ. ქალები და ბავშვები კი აქვე დარჩნენ. მეც აქ ვიქნები და იმედია გადავარჩენ.

დაუჯერეს და ბედის მოლოდინს შეუდგნენ.

რუსებს ღამით ორი იერიში შინც მოჰქონდათ. ქანები და აჭარლები თხრილებში უხედებოდნენ. იერიშს ისეთი სროლა უძლოდა წინ, რომ სარდაფში ჩაკეტილებს მიწის ძვრა და ხშირი სეტყვა ეგონათ. შეძლებ რამოდენიმე წუთით ყველაფერი მიეყრდებოდა.

და უცებ შორიდან შიშნაქამი ბლავილი წამოვიდოდა:

— ურაააა!

მას ეკლესიის მახლობლად ამგვარივე კივილი დაუხედებოდა:

— ალააა!

და სიბნელეში ყრუდ გაისმოდა დამბაჩების ფეთქვა, ფოლადის ელარუნი, დაჭრილთა გმინვა და მებრძოლთა ანჩხლი შეძახილი.

ახალციხელებიც ღამობდნენ თაოსნობა შეენარჩუნებინათ. ბნელ ღამეში ათასობით აწევდნენ რუსულ რკალს და ცდილობდნენ იგი ხანჯლით და სისხლით დაედნოთ, მაგრამ სალტა არა დნებოდა, მხოლოდ იღუნებოდა და მიღწეულ ზვირთებს უკანვე ერეებოდა. ღამეს დღე მისდევდა, მაგუგის რკალიც იკუმშებოდა, ციხეს ყელში უჭერდა და სუნთქვას უჭირვებდა. ყველანი გაინაზნენ და დღეს ან ხვალ უკანასკნელ ნახტომსლა ელოდებოდნენ.

კოშკი კაიდაგი, რომელიც სიმალით მიგზითს და კათოლიკეთა ეკლესიას უღრიდა, ყუზბარებით იყო დაცხრილული და უკვე დადუმებულიყო. ქრისტიანები რალაც ზერელებით იპარებოდნენ რუსებთან და ამბები მიჰქონდათ, ამიტომ ერთ ღამეს ყველა ქრისტიანს იარაღი აჭარეს და სხვების დასაშინებლად რამდენიმე მათგანიც ჩამოაბჩვეს.

იმ დღილას ფაშამ ანტონ თაპარაშვილი დაიბარა. ქრისტიანების უბანს უწინდელზე ხშირად სცვივოდა რუსული სეტყვა, ოსმალები კი ყუზბარებს იზოგავდნენ და პასუხს აღარ აძლევდნენ.

— როცა მოჭიდავეს მუხლებში ქარს ჩაუყენებენ, ღონის გამოზოგება რალა ბედნაა!— სთქვა არსენამ და დაუმატა:— ხვალ ან ზეგ ის ნამგალა ჩამოვარდება. — და თითი შიდა ციხისკენ გაიშვირა.

ანტონი გვიან დაბრუნდა, თავი გააქნია და სთქვა:

— მორიგება არ მოხერხდა. კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრება.

ქოსა ფაშამ ახალციხელი მუფთი, პატრი მიხეილი, ანტონი და რამდენიმე პატივემული კათოლიკე მათი მღვდელმთავრის შახყულიანის მეთაურობით პასკეიჩის მიუგზავნა და ორი კვირით დაზავება სთხოვა.

— არასგზით!— მიუგო პასკეიჩმა და თავის პირობა მოუჭრა:— სიმ დღეში დამიცალონ ციხე. მეციხოვნე ჯარს ნებას ვაძლევ შეიარაღებული წავიდეს. — და პასუხის მოსატანად დელეგატებს თავის პოლკოვნიკი გამოაყოლა.

— არასგზით!— გამზარული სიმტკიცით უპასუხეს დაქრილმა ქოსაფაშამ და ახმედმა, რომელმაც დაუმატა:

— ამიერიდან ჩვენს შორის მოციქულად მარტო ხმალი იქნება და დეე მხოლოდ მან ილაპარაკოს. შშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო პოლკოვნიკო.

— შშვიდობით იყავით, ბატონებო.

ქოსა ფაშამ წინდაწინვე იცოდა ამ მოციქულობის დასასრული, მაგრამ მან სხვანაირი პასუხი ვერ გაუხედა, რადგან თვიჯონაც და მის მიერ მოყვანილი

ჯარიც ორმაგ ტყვეობაში იმყოფებოდნენ: ჯერ ერთი—პასკევიჩისა, და მეორეც—ახალციხის ნამდვილი ბატონის ხიმშიაშვილისა. ახმედ ფაშა, მისი სანჯაყ-ბეგები, აჭარელი აბაშიძენი, მესხები, მთიელები, იმერლები, გურჯალები, შანები და ენგიჩარები არაეის კრინტსაც არ აძვრებდნენ მორიგებაზე, მათ კარგად იცოდნენ თუ რა პირობით მორიგდებოდნენ რუსები და ოსმალები და კბილთა ღრქენით ეუბნებოდნენ ოსმალებს:

— თქვენ აქ სტუმრები ხეყნით, კი მასპინძლები გახლავართ. თქვენ ხელცალიერი მოსულხართ და ისევ ხელცალიერი გაბრუნდებით, ჩვენ კი ვიაურებს უნდა დავუტოვოთ ჩვენი სახლკარიც, ბაღებიც, შამულიც, საფლავებიც და თქვენ უნდა წამოგყვეთ. ოსმალეთი ჩვენივეს უცხო ქვეყანაა და არავინ გვიპატრონებს. ცოლშვილიც მშვიერი დაგვეხოცება და ჩვენც ჩვენი წინაპრებივით სადმე ურავს, მაღობს ან მისრითში გვიკრავენ თავს, ამიტომ ჩვენს ბედს მართო ეს ხმალი ვადასტურის.

და ოსმალებსაც იმავე ხმლით ემუქრებოდნენ, ახმედმა კი მოურიდებლად განუცხადა სამივე ოსმალო ფაშას:

— თუ დანებებას აპირებთ, სამივეს შეგბოქავთ, ყველა სულმოკლეს ჩამოვახრებთ და მანამდე ვიბრძოლებთ, სანამ ერთი მესხი მაინც დარჩება ცოცხალი.

და ისიც გააგებინა ირიბულად, რომ პასკევიჩი საიდუმლო მოციქულებს უგზავნიდა მას, და თუ გარემოება მოითხოვდა, ხიმშიაშვილი პასკევიჩთან შეტკრავდა კავშირს, ოსმალებს მიუბრუნდებოდა და ტრაპიზონ-ბითლისის იქით გადაპრეკავდა. ეხლა კი მიხვდნენ ფაშები, რომ ხიმშიაშვილი მათი ხელქვეითი კი არა, უდავო ბატონი იყო და მის გადაკიდებას ისევ შაითანის გადაკიდება ერჩივნათ. მათ გაახსენდათ ბედი ფებლევან ფაშასი, რომელსაც ამ ახმედის მამამ სელიმმა ოცდახუთი ათასი მხედარი შეუპოსრა, ისიც გაახსენდათ, რომ ორი წლის წინათ ფაღიშახმა ყველა ენგიჩარი გაქლიტა, მაგრამ აქ-მყოფ ენგიჩარებს ვერაფერიც ვერ შეუბედა. გარდა ამისა ამ გულჩახვეულ ფაშას ალბათ თავისი მამის მოჭრილი თავი აწუხებს და თუ პასკევიჩსაც შეუთანხმდნენ, მაშინ რუსები სულ ადვილად წაიღებენ ენსაც, აზრუმსაც და ტრაპიზონსაც, ხოლო ფაშების თავებს ხურჯინში ჩაალაგებენ და სელიმ ფაშას თავს დაადევნებენ.

ფაშებმა ამ სურათით ერთმანეთი დააფეთეს, ხიმშიაშვილი ერთგულების ფიცით დაამშვიდეს და იმ დღიდან ისე ეპყრობოდნენ მას, როგორც ნამდვილ შთავარსარდალს შექმენოდა. კათოლიკენიც მის თანხმობით გაჰგზავნეს მოციქულად და პასკევიჩის პოლკოვნიკიც მის თანადასწრებით გაისტუმრეს ხელცალიერი.

„ამიერიდან ჩვენს შორის მართო ხმალი იქნება მოციქულიო“. — მოიტანა პასუხი პოლკოვნიკმა.

— აგრე იყოს. — გამოუცხადა პასკევიჩმა თავის სარდლებს და შემდეგ ქართველ აფიცრებს მიუბრუნდა: — უწინ ეს მიწა-წყალი თქვენი ყოფილა და ალბათ გეცოდინებათ, რამდენი წელიწადია რაც ამ ციხეზე სულთანის დროშა ფრიალებს?

პასკევიჩს ეგონა, მოლაპარაკება გაგრძელდება და ქოხა ფაშა გამოჩენილ დელეგატებს მომიჯნავენისო, ამიტომ მათ ბრწყინვალე ამაღა შეუმზადა, მათს შორის მრავლად იყვნენ ორბელიანები და ერისთავები, ანდრონიკაშვილები და ჩოლოყაანი, ამილახვრები და ქავეკავაძენი, ბაგრატიონები და შარაიაშანი. პასკევიჩის კითხვაზე მარშალმა კოსტანტინე ბაგრატიონ მუხრან ბატონმა უპასუხა:

— ორას-ორმოცდაათი წელიწადი იქნება.

— სულ ბევრი, სამი დღის ვადას კიდევ ვაძლევ, — გამოაცხადა პასკევიჩმა და დაუმატა: — მგონი ავერ იმ ნამგალაზე ამბობენ ახალციხელები: ჯერ კიდევ უნდა ჩამოიღო მთვარე და მერმე ჩვენი მივხითიდანო.

— ავრე ამბობენ. — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან. — მაგრამ...

— მაგრამ ჩვენ ამ ნამგალას ჩამოვიღებთ, ცის მთვარეს კი ქოხა კიოს ფაშას მივანდობთ, ნეს პა? — ავრეა თუ არა?

— ავრეა, ავრე! — სიცილით შესძახეს ყოველ მხრივ.

— ქართველები არც აქამდე ჩამორჩენილხართ რუსებს. — განაგრძო პასკევიჩმა, — ეხლა კი ნამეტანი მხნეობა და ვაჟკაცობა გმართებთ, n'est pas? თქვენ ძველადაც შეჩვეულები ხართ და ეხლაც წესად დაიდეთ, რომ ციხის გალავანზე ზსვლის პირველობა არავის არ უნდა დაუთმოთ. — თვითონაც გაიღიმა, სხვებიც გაიღიმა და დაასრულა: Est bien, monseigneur les no Bces, — მაშ ასე, კეთილშობილხო, თქვენც და მეც ღრმად გვრწამს, რომ პირველობას არც ეხლა დავითმობთ. თუმცა ეხლაც ვაფრთხილებთ, რომ — რუსებს გადაშენდა — რომ ჩვენც შევეჩვიეთ პირველობას და ნებაყოფლობით არც დღეს ჩამოვრჩებით. ბატონებო, სამხედრო ისტორიაში წამიკითხავს, რომ ნადირ შაჰმ დიდი საჩუქარი დაუნიშნა იმ სამხედრო ნაწილს, ვინც პირველი ავარდებოდა გერათის და ყანდაარის გალავანზე. და როცა ათი თვის ალყის შემდეგ ციხეს მიესივნენ, პირველობისთვის ყველანი გააფთრებით იბრძოდნენ: ქართველები, თათრები, სპარსელები, ლურები, ბახტიარები, კაშკაველები და კიდევ სხვანი მრავალნი. მაგრამ ჩოლოყაშვილის სახელოვანმა ათასეულმა გერათშიც და ყანდაარშიც აასწრო ყველას და პირველობა დაიჩემა. მე მრწამს, ქართველებო, რომ დღეს თქვენს წინაპრებს არ ჩამოვრჩებით და პირველად თქვენ შეცვივდებით თქვენს ახალციხეში.

პასკევიჩი ქართველებს უწყალოდ უქონავდა თავს და ისინიც მზად იყვნენ თუნდაც ზარბაზანში შემძვრალიყვნენ გასასროლად ოღონ კი ერთი ჯვარი კიდევ მიეღოთ და მათი ჯვარი პასკევიჩს თავის „რელიციაში“ ჩაეწერა, რომელსაც „ჩვენს სათაყვანებელ მეფეს“ უგზავნიდა ხოლმე.

შემდეგ პასკევიჩმა მათ მეფე და სამშობლო გაახსენა, უკვე გაცემული საიერიშო გეგმა გაუმეორა და ზედ დარიგება დაუმატა. მერმე ყველანი გაისტუმრა და მოსასვენებლად მიწვა რადგან მისი დიდების ან შერცხვენის ქაში მოდიოდა. კარგიდან რომ გამოვიდნენ, სარდალმა მეღქმისდეკ ანდრონიკაშვილმა გრიგოლ ორბელიან მივხითისკენ გაუშვირა თითი და უთხრა:

— ის ნამგალა შენი კერძი უნდა იყოს. სცადე.

ორბელიანმა პასუხი არ გასცა და ნამგალას ჩაიციებით დააშტერდა.

აქ რალაც ამბავია, რადგან რუსებს ასეთი რიხით ჯერ არასოდეს არ უმღერიათ.

გრიგოლ ორბელიანი დიდხანს უმიზნებს ზარბაზანს მთხვარე მხსენებლის გუმბათს. მას არავისთვის არ უთქვამს, თუ რა ამოიღო მიზანში. ერიდებოდა აცდუნას, ღიმილს და დაცინვას. ნამგალას ჩამოსაგდებად ოციოდე ყუმბარა იყო საჭირო, ბატარეის უფროსმა კი მხოლოდ სამი მისცა. აფიცრებმა მაინც გაიგეს მისი განზრახვა და მრავლად მოგროვდნენ. ეს ნამგალა გრიგოლზე უფრო უპრიანია ვიდრე სხვა ვინმეზე, რადგან, ჯერ ერთი, ორბელიანი ორბელიანია და მეორეც— ახალგაზრდა არტილერისტია, სახელოვანი პოეტია, მეფის ჩამონაგალია და რაც ოციოდე ქართველმა მეფემ ვერ მოახერხა, იქნება ამან მაინც დასძლიოს და ის მაგლაჯუნა ნამგალა ჩამოიღოს.

ზარბაზანს დიდხანს აწვალებდა. გარშემო ასიოდე ქართველი თავადი ეხვია და ყრუ სიჩუმე იწვა. რუსები შორიახლოს გამდგარიყვნენ და ღიმილით ელოდებოდნენ. ბოლოს ორბელიანი გაწევიდა და ზედა და ზედა ხმით გადმოაცხა: „ცეცხლი“.

ზარბაზანმა დაიქუხა, ცეცხლი და კვამლი გამოაფურთხა და ისე დაიწია უკან თითქო ჰსურდა თავის ნასროლის შედეგი თვითონაც დაენახაო. რამდენიმე ასეული თვალი ამაყად ასვეტილ მიგზნით მიეგზინა. უცებ მის გუმბათზე ოქროს ნამგალა ისე გააქრა თითქო ვილაც ჯადოქარმა მოიტაცაო.

— ბრავო! ვაშა!— შესძახეს ყოველ მხრივ და მოღიმიარე ორბელიანს ასიოდე ხელი მისწვდა მისალოცავად. როცა პასკევიჩმა გაიღვიძა, იმანაც მიულოცა და ბრძანა საერთო იერიში დაეწყოთ.

ნამგალას გაქრობამ ციხეს თავზარი დასცა. მაგრამ რუსების იერიში მაინც არავინ არ დაიჯერა, რადგან... რადგან უკვე დაკანონდა, რომ ამ დროს რუსებსაც უნდა დაეძინათ და ახალციხელებიც მოესვენებინათ.

„შაითან ბასკუევიჩ!“

უცებ რუსების თხრილებიდან თეთრი ხალაუები ამოცვივდა—ათი, სამოცი, ორასი, ათასი!

ოსმალო ებგურმა განგაში ასტება. რუსები მობრძიან. ისმის სამხედრო მუსიკის მარში და მშლავრი გრვეინვა!

— ურააა!

ოსმალო ორმოცმა ზარბაზანმა ერთად დაიქუხა და მთელი ახალციხე შეაზანზარა. ეს იყო მათი უკანასკნელი ყეფა.

რუსების მოწინავე რიგები ცელით მომკილი ლერწამივით დაწვნენ. სხვები შეეკუმანდნენ და აირიყვნენ. მაგრამ უცებ ხელახლა დაიძრნენ და „ურას“ ბლავილით წამოვიდნენ. ყველაზე წინ მედოლე, ორი რუსი და ორი ვაჩნაძე მობრძიდა. ვაჩნაძე „ნომერი მეორე“ წიქცა, სხვები კი დაფეთებულა შეეკვედნენ მტრის წინა-სანგარში და ხელის ყუმბარები დააქუხეს.

— დაიწყო!— დაიძახა არსენამ და სარდაფიდან განიერ კიბეზე ამოვარდა. სხვებიც მოჰყვნენ და იმ კიბეზე შექუჩდნენ. ვეება ეზო, ეკლესიის მიდამოები და სასაფლაოც მესხებით და ოსმალებით გაივსო. მწყობრი და რიგი აღარავის არ ახსოვდა. ოსმალო ასკერები მაინც (ვალკე იყვნენ შეგკუფებული და ახალციხელებ-

ბის რაზმებიც ცალკე იდგნენ. ბეგები და აფიცრები რალაცას უვიროდნენ, მაგრამ მათი ბრძანება არავის აღარ ესმოდა. მებრძოლთა ორი ტალღა ერთმანეთს ჯერ ეკლესიის უკან შეეჯახა, შემდეგ კი ეზოში და სასაფლაოზე შემოიჭრა.

— Ураа! За мной! Вперед! С нами бои!

შენსაღმოსავსა

— ეუურ! დაჰკა! შიდი! ალა-ა-ააა!

მადანაფიცებს ეხლა კი ხელის გულვიით გადაეწალათ ბრძოლის სურათი. რუსების თეთრი ზვირთი ვაშმაგებით მოიწვედა. ეზოში შექტულმა მსახურებმა ხმლები და ხანჯლები იშიშვლეს და იმ ზვირთს თითონაც ზვირთივით შეასკდნენ, ოსმალთა ხიშტმოღერებული რაზმები კი სასაფლაოზე ამოსულ გრენადერებს დაუხვდნენ. ირგვლივ მზის შუქზე ელვასავით კრიალებდა მოქნეული ხმალი, ხანჯალი, ხიშტი და ერთმანეთში ირეოდა ჩახუნი და კენესა, ელარუნი და გმინვა, ბლავილი და ხრიალი. ალაგ-ალაგ მებრძოლნი ერთმანეთს ასობით შეეხლართნენ, ჩაექსოვნენ და ამ კვანძებს დანებით და ხანჯლებით ჰკაფავდნენ. მახვილით და სისხლით შეთხელებულ ჯგუფებს ახალი მებრძოლი ემატებოდა და ცოცხალი ხლართებიც ხელახლა სივდებოდა და ისევ სისხლისგან იცლებოდა. ხალხი დარხეულ პანტასავით ცვიოდა. მებრძოლნი წაქეულებს სთელავდნენ, რომელნიც, ფართხალებდნენ, იგინებოდნენ, ემუდარებოდნენ და იწყევლებოდნენ. ირგვლივ ისე იღვრებოდა სისხლი, თითქო წითელი ღვინით სავსე რუმბები გამოთაშვესო.

არსენა უძრავად იდგა ზემო საფეხურზე. მისიანებიც კიბეზე გახევებულიყვნენ. მარაბდელი ფერწასული იყო. ერთი წარბი მძლავრად უხტოდა და თვითონაც ოდნავ ცახცახებდა. მისი ხელი უნებურად აწვალებდა ხანჯალს და ეღაც უჩინარი ეზოსკენ ეწეოდა. რამდენჯერმე ფეხიც შეინაცვლა, მაგრამ თავი შეილაგმა და ალაგიდან არ დაიძრა. „ვის შივემხრო? რად? რისთვის?— ჰფიქრობდა თავისთვის— აქეთ ოსმალები და მუსლიმანი ქართველები არიან, იქით კი— რუსები და ქრისტიანი ქართველები. ჩვენ რაღა შუაში ვართ? ესენი ერბოზე გვხრაკავენ, ისინი კი ზეთზე და ამიტომ ორთავ შავ ?-ის წაუღია. ეს ქართველები კი— ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც— ან ღმერთ : ტუტუცა, ან რუსები და თათრები ძალით აელექტინებენ ერთმანეთს“.

მაშ აი რა ყლფილა ომი! რამდენი ოჯახი კანკრა! რამდენი დაქვრივდება და დაობლდება! რამდენი ვაჟაკი იღუპება! რამდენი პოულობს სხვის სისხლით საბელსა და დიდებას! არსენას კი ჯერ ერთი წვეთიც არ დაუღვრია და უსისხლო სახელი კი დაიმკვიდრა. ნუ თუ ისევ უსისხლოდ გადარჩება? „არა მგონია. თუ მე თვითონ არ დავღვარე, სხვები დაღვრიან ჩვენს სისხლს“.

— ჩამოდიოთ!... შინ შემოდიოთ!— დროგამოშვებით ისმოდა უკნიდან მაგდანას, ფიქრიას და მარინეს ხმა. მაგრამ მამაკაცები ისევ უძრავად იდგნენ და იღრინებოდნენ:

— თავი დაგვანებეთ! რას ჩავვაცივდით! შინ შემბრუნდით და კარი მოხურეთ!

ოსმალ-მესხების ტალღა უკან-უკან წამოვიდა. რუსები გამხნეიდნენ, მოაწვნენ და გამორეკეს, მაგრამ უცებ თვითონაც დაფთხნენ და შეყოყმანდნენ. ეკლესიაში ექვსასი მესხი ჩასაფრებულიყო. როცა დრო იბელთეს, გარეთ გამოცვივდნენ და წინწამოსულ რუსებს ზურგში მისცეს მახვილი. ათიოდე წუთში ეზო

ისე მოიფინა თეთრხალათიანი გვამებით, როგორც მოლი გვირილი. მაგრამ ბრძოლის სასწორი მალე უკანვე გადაიხარა. მესხები ისევ ეკლესიაში შეცვივდნენ. შიშმა შერევა თუ ფანდმა, ვერავენ ვერ გაიგო, რადგან ვინმე ვინმეის მოქმელიც აღარ გამოსულა.

— ქართველები მოდიან!-დაიძახა კიბეზე ვიღამაც ცოტა ხნის შემდეგ და ეკლესიის ეზოზე და სასაფლაოზე შეაჩოხა მილიციელების ტალღა ამობობლდა.

— ენგიჩარებიც მოდიან!-ისევ დაიძახეს კიბეზე და მეორე მხრიდან ენგიჩარ ქართველთა უკანასკნელი რაზმი წამოვიდა.

წინ ახოვანი ბელადი მოუძლოდათ. ორმოცდაბუთი წლისა იქნებოდა. ძალიან მაღალი არ იყო, მაგრამ ისეთი მხარბუქი და მეკრდი ჰქონდა, რომ არსენასაც კი შეჰშურდა. ლაცბიძე რომ აქ ყოფილიყო, ამ ენგიჩარის წვერულვას ისიც კი ინატრებდა. ერთ ხელში დროშა ეჭირა, მეორეში კი უგრძესი მრუდე იათავანი. თვითონაც ისე გაიარა ის ეზო და რაზმიც ისე მიაბჯინა სიკვდილს, თითქო სულთანის სელამლიკზე ყოფილიყოს.

— ქალებიც მოდიან!-მოისმა იმავე კიბეზე და ყველანი ზევით ამოცვივდნენ. ენგიჩარებს ასიოდე პირმოპურული ქალი მოსდევდა, ხოლო მათ აქარლები მოჰყვებოდნენ. ყოველ ქალს გვერდით ძმა, ქმარი ან მამა ედგა. მათ შორის მრავალად მოსჩანდნენ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყრუმები. ენგიჩარები, ბეგები და რაზმისთავეები ხმალ-ამოწოდნით მოეშურებოდნენ, ქალებს და დანარჩენებს კი ხელში შიშველი ხანჯლები უპრიალებდათ. ქალების რაზმს ხმელ-ხმელი მოხუცი ბეგი მოუძლოდა. გვერდით ჭაბუკი ედგა. შუაში მაღალი ქალი ჩაეყურებინათ, რომელიც მაღლა მოაფრიალებდა აქარულ ბეგების ამაყ დროშას.

მოხუცი მოტრიალდა და თავის რაზმს მიაძახა:

— მოიხსენით!

ქალებმა პირსაბურავები მოიგლიჯეს და გადააყარეს. მათ ჰსურდათ პირსუფთად და ღიმილით შეხვედროდნენ სიკვდილს, რომელიც უკვე ბრმა ურჩხულივით მოაბიჯებდა მათკენ.

არსენამ ქალ-ვაჟთა გუნდს გადაავლო თვალი და გაოცდა. მესხები აქამდისაც ათასობით ენახა, მაგრამ ეხლად ეცა თვალში, რომ მათ ქრისტიან ქართველებზე უფრო უკეთ ჰქონდათ შენახული ქართული საბეც მიმოხვრაც და საერთო იერიც, გასაოცარი კი ის იყო, რომ ყველას ღიმილი უკრთოდა სახეზე.

— ნახეთ, ძმებო. რომ ერთიც არ გადარჩება.— მიუგლო არსენამ თავისიანებს და თითის წვერებზე შესდგა რათა მეწინავეთა შეჯახება დაენახა.

ქართველები მოსისხლე მოზერებივით შეეჯახნენ ერთმანეთს და ეზო სასაკლაოდ გადააქციეს. ისევ ცოცხალთა და მომაკვდავთა კვანძები, ისევ შლეგთა კივინი და ხრიალი, ისევ ფოლადის ჩახუნი და სისხლი, ყველგან სისხლი, მხოლოდ სისხლი და სიკვდილი.

უკებ ოქელაშვილმა უცხვიროსა და პირმოქმულ კუჭანტელს მოჰკრა თვალი, რომელსაც ძაღლის ნაკბენში სისხლის ჯვარი მიეღო ჯილდოდ. გიორგი გაშმაგებით იქნედა ხმალს და თავის ხელქვეით მილიციელებს რაღაცას უყვიროდა. უკან გამხათ ლეკი ედგა და ჭურდივით აცეცებდა თვალებს. ენგიჩართა დიდწვერა ბელადმა კუჭანტელი აიჩრია და მიიწია. გიორგიმ დროზე შენიშნა,

ხმალი მარცხენა ხელში გადაიგდო, დამბაჩა იძრო და სამ ნაბიჯზე დაიხალა. ენგიჩარი შეტორტმანდა, ისევ გასწორდა, წინ გადახტა და მსროლვის ხმლის წვერილა მიაწვდინა შუბლში. ორივენი ერთმანეთის გვერდით წაიქცნენ.

— აგრე!—მიიძახა ენგიჩარს მარაბდელმა.—მარჯვენაში შეგნაქცნა მარცხენაში!

და მარაბდელს თრიალეთის ტყე გაახსენდა, სადაც მას კუჭატნელის მოკვლა შეეძლო და არ მოჰკლა: „ვთი რა სულელი ვიყავი! მაშინ რომ მომეკლა, ამდენ სისხლს ველარ დაღვრიდა. მაშ ამ მოხუცის მოკვლაც ჩემი ბრალი ყოფილა. დოჟლაბაივ! ბედოვლათო!“

აგრე გახელუბული ცალყურა ჯორაშვილიც. აი ელიზბარ მალალაშვილაც, ჩაჩიკაშვილიც, ამირეჯიბიც, ვაჩინაძეივც, გაბაშვილებიც, ჯორჯაძეივც და კიდევ ათასი ნაცნობ-უცნობი თავადი და აზნაური.

„ღმერთო ჩემო, ყველა ჩენი თავადანაური აქ ამოსულა და აქაურობას შესჴამენ“!

ენგიჩარების დროშას თითქო გრიგალი დაეტაკაო: ირხეოდა, ფორხილობდა და ხან წაქცევას ლამობდა და ხან ისევ ზევით მიჴქროდა. სამაგრე კიდევაც დაეარდა, მაგრამ ისევ აიტაცეს. მეოთხეჯერაც წაიქცა და კარგახანს ველარ წამოდგა. ბოლოს ისევ წაიქცა და ველარ წამოიწია, რადგან მას ათიოდე გვაში დააწვა.

ენგიჩარები სამკვდრო ფიცით იყვნენ შეკრული, რომ უკან არ დაიხვედნენ, და მართლაც არც ერთი ნაბიჯით არ იხვედნენ, სამაგვიროდ თოვლივით დნებოდნენ და ათიოდე წუთში უკვე ორი მესამედი გამჴრალიყო. წელან მათი რაზმი კედელივით იფარავდა ქალებს, ეხლა კი ეს კედელი მილიციელებმა გამოარღვიეს და მანდილოსნების გუნდს შემოურბინეს. ქალები რომ დაინახეს, შტერებივით შეჩერდნენ, ქალებს გაუღიმეს და ერთმანეთს გადასძახეს:

— ბიკოს! ეს რა ამბავია! ქალებს უნდა ვეომოთ?!

— რას გაჩერებულხართ, მხდალებო!—მიიძახა მათ ქალების რაზმის მეთაურმა ნოხუცმა და თავისიანებს მიუბრუნდა:—მიდი! დაჴკა! ალაააჴ!

მერმე ჴაბუკივით ისკუბა და მილიციელთა ასისთავს გაშტერებულ აბაშიძეს ზედმეტ ნუჭრივით მოაშორა თავი.

ორიოდე წუთის შემდეგ ქალთა რაზმის ბელადი ჯორაშვილმა ასჩეხა. მხოლოდ მერეღა გამოირკვა, რომ თვითონ მოხუციც აქარელი აბაშიძე ყოფილიყო—ძმადნაფიცი „მიწის მგლის“ ჯორაშვილისა. მისი უყურო შემკვიდრე მაინც ვერ ასცდა განგების ეტოკს და უნებურად აიშენა უცნობი მოყვრის სისხლით თავის მომავალი.

მაშაკატა ომანიან შეძახილს ქალების წვრილი ხმა ჩაეხლართა:

— ალაააჴ!

ძვირად დაუჯდათ მოწინავე მილიციელებს ღიმილი და გაოცება. ქალებმა პირველი ასეული გასხიპეს და მეორეც მიასქდნენ. მაგრამ აგრე ვილაც ახმანმა ერთი ქალი წამოაგო ხიშტზე. მეორეც შუბლ-გაჩეხილი დაეცა. აგრე მესამეს ძეძუ გაუხერტეს. წაიქცა მეოთხეც, მეათეც. გავეშებული მილიციელები თავიანთ დებს, დედებსა და საბედოებს უღვთოვ სჩეხავენ, ჴკაფავენ, ჴხერტენ.

არსენას სისხლი აუფარდა თავში.

— ვეიშე დედავ!— ამოიბრიალა მან და ორივე ხელი თვალებზე აიტყარა.

— ლმერთო დიდებულო!— დაიკვნესეს ძმადნაფიცებმა ცარქენ წას... მზავია!

ამას რას ვხედავთ! ქალებს ზოცავენ, ქალებსა!

არსენას სული ეხუთებოდა. რამდენიმე ნაბიჯი წასდგა და ხმაზე დაიღო ხელი. ჰსურდა იგი ეშინველა და ქალების დასახსნელად ჩარეულიყო, მაგრამ როსტომი და ოსტაპი მკლავებზე ჩამოაკიდნენ და დააბრუნეს. მარაბდელი ველარ ცხრებოდა და იძახოდა:

— ეს რა მხეცური საქმე ხდება! ლმერთო, ეს რა მანენე!

მარაბდელი მიტრიალდა. მას აღარ ძალუძდა ქალების და ყრმების სასაკლავოსთვის ეშორება. მიტრიალდა და ლოყებზე რამდენიმე კურცხალი ჩამოუტყურდა. ძმადნაფიცებისა სცხვენოდა, თორემ ხმამიღლა ატირდებოდა. შერმე საჩქაროდ მოიწმინდა ცრემლი და გაიფიქრა:

„აი რა ყოფილ ომი! ისიც რა ომი, ჯვრისა და ნამგალასი, რჯულისა და ხატისათვის! შე თავგებსაც ვერ გავიმეტებდი როგორც ესენი ყრმებსა და ქალებს იმეტებენ“.

შერმე ერთხელ კიდევ გაიხედა ეშოში და ერთი ცოცხალი ქალიც ველარ დაინახა. ჯერი აქარლებზე, გურულებზე და იმერლებზე მიმდგარიყო, რომელნიც თავიანთივე მკედრებს სთელავდნენ და ველარც წინ მიდიოდნენ, რადგან ერთზე ხუთი მაინც მოდიოდა, და არც უკან იხევდნენ, რადგან დები დაუზოცეს და შერი უნდა ეძიათ. და როცა იძიეს და თვითონაც განახევრდნენ, ბრძანება მიიღეს და უკან დაიხიეს. ბრძანება კი იმიტომ მისცეს, რომ სასაფლაოზე ამოსული რუსები აქარალებს უკნიდან ზღვიდნენ.

სასაფლაოც, ეშოც და მახლობელი ქუჩებიც ხუთ წუთში დაიკალა. დარჩა მხოლოდ განრთხმული ორი ათასი თეთრი ხალათი, შავი ჩოხა, ყავის-ყვრი ჩაქურა და ოსმალური მუნღირი. გადარჩენილმა ახალციხელებმა ციხის გალავანს შეაფარეს თავი და ზარბაზნების კლიტეებიც წაიღეს. რუსებმა თავიანთი ზარბაზანი ამოათრიეს და იმ გალავანს ნაჯახებით, თოფის წამლით და ხელის ყუმბარებით დაეტაკნენ.

კარგა ხანია რაც მათი მეორე რაზმი ეკლესიას დასტრიალებდა, საცა ექვსასი მესხი იყო ჩაკეტილი. მათ შიგნიდან მიეყულებინათ კიბეები და რუსებს სარკმელებიდან ესროდნენ. რუსებმა კარიბჭის შენგრევა სცადეს, მაგრამ ამით გამოდგა, მაშინ მათ თვითონაც მოიტანეს კიბე, ეკლესიის ბანზე ავიდნენ, თალი ჩათხარეს და ჩასძახეს:

— დაგვენბდით, თორემ ყუმბარებით ამოგზოცავთ!

— ერევენლები ნუ გკონივართ!— ამოსძახეს შიგნიდან. — დაგვზოცეთ! რუსებმა სამი ყუმბარა ჩაავდეს. ეკლესია შეწანხარდა.

— დაგვენბდით მეთქი!— ჩასძახეს ხელახლა.

— კიდევ ჩამოჰყარეთ!— ამოსძახეს ხელმეორედ.

სამჯერ კიდევ შეამჩრიეს ტაძარი და უკანასკნელად ურჩიეს:

— კარი გააღეთ! დაგვენბდით!

— დროს ნუ ჰქარგავთ! კიდევ ჩამოჰყარეთ!

მესხების უჯიათობამ რუსები გაამწარა. თალი ეტეს ალაგას იყო ჩათხრილი და თითო ზერელში ათ-ათი მუხი ჩააგდეს. ეკლესია ჭუჭუნებდა, იფხორიწებოდა და ჩამონგრევას ლამობდა. მერმე სარკმელში სალდათი ჩაუშვეს, მძინე უკრებქე გაალო, გიქივით გამოვარდა და შესძახა:

მეზღორეთისა

— არც ერთი არ გადარჩენილა, არც ერთი!

ეკლესიაში იგი თეთრად ჩაცმული ჩავიდა და იქიდან წითლად შეღებილი გამოვიდა. კარიბჭიდან სისხლის ღვარმა გადმოჰხეთქა.

რუსის გუნდს ეკლესიის ბანზე სამთო ზარბაზანი აჰქონდა. დახოცილთა გვაშებით მოფენილ ეზოში თითქმის არაფერ აღარ იყო: ყველანი ციხის გაღიანს ეცნენ და იქ იბრძოდნენ.

როსტომმა დრო იხელთა და შუა ეზოში გავარდა. დაქრილ-დახოცილებზე მიაბიჯებდა და ვილაცას ეძებდა. ბოლოს დაიხარა და ქალთა რაზმის მეთაური გაშინჯა. „მკედარია“. მის გვერდით ქაბუკი ეგდო. „ესეც მკედარია“. მამაშვილის ქვეშ მდროაზე ქალი ჰგდია. „ცოცხალია“ და ჯორჯიაშვილმა ის ქალი ბალღივით აიტაცა, გამოიქცა, საეკიმო შავიდაზე დაასვენა და თამარაშვილს მიუბრუნდა:

— ძმაო ანტონ, ეს ერთი ქალი გადამირჩინე და... ცოდოა.

ფიქრიაშ და მარინემ თექვსმეტი წლის მეომარი ქალიშვილი წელამდე გააშიშველეს, მაგდანამ კი მამაკაცებს შეუტია:

— რას მოსჩერებხართ! დაიკარგეთ ბჭედან!

ყველანი მოტრიალდნენ. მარტო როსტომილა დარჩა გაშტერებული იდგა და უგონო ქალს მოხიბლულივით დასცქეროდა. მას ჯერ არ ენახა ქალის შიშველი და მკერივი მკერდი, ეხლა კი დაინახა და თავრეტი დაესხა. მერმე ძლივს მოვიდა გონს და ბარბაცით გამობრუნდა.

არსენამ კიბესთან მოიკრიბა ძმადნაფიციები და, სანამ თამარაშვილი და ქალები დაჭრილ ქალს უგლიდნენ, ასეთი საუბარი გააბა:

— აბა, ძმებო, ჩვენ აქ აღარ დაგვედგომების და უნდა თავს უშველოთ. ორ ჯგუფად დავიყვნეთ და ერმანეთს თვალი ვადვენოთ. თუ ერთ-ერთი ფათერაკს წაეკიდა, მას მეორე მიეხმაროს. გარდა ამისა დალი ჰასანი ჩვევი ძმადნაფიცია და უნდა მოვძებნოთ. იგრეა თუ არა?

— აგრე იყოს. მაგრამ ქალებს აქედან არ გაეცვლების, ამიტომ ქალები და რამდენიმე კაცი დარჩეს, ჩვენ კი სხვაგან წაეიდეთ.— სთქვა სიმონამ.

— შე დედაჩემს აღარ მოვშორდები.— სთქვა ზურამ.

— არც მე მოვშორდები ფიქრიაშს.— განაცხადა ერეკლემაც.

სულხანმა და როსტომმაც მოისურვეს დარჩენა. მაშ ქალაქში ოთხნი წაელენ — აგრე იყოს, დარჩით.— სთქვა არსენამ და წასასვლელად გაბრუნდა.

ამ დროს კარებში ჩრდილი რამ ჩამოწვა. ყველამ ზევით აიხედა. კიბეზე სისხლით მოსვრილი ენგჩარების ბელადი იდგა. იგი ტორტმანებდა და კედელს ეკიდებოდა.

— ძმებო, ქართველები ხართ და მიშველეთ.— სუფთა ქართულით ამოიხყილა ენგჩარმა.

ზურა და ოსტაპი უმაღლეს შერუსდნენ მზრებში და ქვეით ჩამოიქცნენ. მაგდასთან რომ მიიყვანეს, ქვრივმა დაჭრილ ენგიჩარს შეხედა, გაფითრდა, ხელიდან არტაშანი გაუშვა, წატორტმანდა და მოსხეპილივიტის დაიჭრა და იმავე წაშს ენგიჩარსაც მუხლები მოეჭრა.

— ნუ შეშინდებით.—სიტქვა ექიმმა.—მაგდანა მეტის ჯაფით და უძილობით დაიღალა და ეხლავე მოსულეირდება. მარინე, შენ მაგდანას უშველე, ეს კაცი კი სისხლით იცლება და ამიტომ მისდის გული.

გულწასული ენგიჩარი მიწაზე მიასვენეს. ფიქრიამ ზურას გადაჰხედა. კაბუსაც სანთლის ფერი ედო. ის გახეივებული იღვა და გულალმა მწოლარე ენგიჩარს ეჭვის თვალით დასცქეროდა.

არსენას დაკვირვებისთვის აღარ ეცალა, თორემ რალაცას მიჰხედებოდა. მან რამდენიმე სიტყვა მიუგდო მარინეს, თათი დაუკონა პაწია დათუნას და კიბეზე ავირდა. სიმონა, ოსტაპი და კარპიჩა ფეხდაფეხ მიჰყვნენ მას. მეშვიდე საათი დაიწყო.

ოთხი გამოქცეული ვაის გაეყარა და ვუის შეეყარა. მათ უკან-დასახევი გზა აღარა ჰქონდათ, წინ კი რუსების და ქართველების დიდ ტალღას შეეფეთნენ, რომელიც ზარბაზნებათ. კიბეებით, თოკებით, ცეცლით და ხელის ყუმბარებით ანგრევედა ვეება ძელებით შეკრულს ციხის გალავანს. არსენამ სწრაფად მოათვალიერა იქაურობა და დაიძახა:

— აქეთ!—და ოთხივენი ცალიერ მიწურში შეცვიდნენ.

ერთი საათის შემდეგ რუსებმა ვეება ტიშკარივით შეანგრიეს გალავანი და მათი ტალღა მორღვეულ გუბესავით შეიჭრა შიგნით.

— ეხლა აქაც აღარ დაგვედგომება.—სიტქვა მარაბდელმა.—შიგ შუაგულ მორგეში ვართ და ნაპირზე უნდა გავიდეთ, თორემ საცაა რუსები აქაც მოვლენ.—და ოთხივენი იმ ტალღას შეჰკვნენ. შეჰკვნენ და მარცხნივ ჩაირბინეს. ზემო ქუჩებში გააფთრებით იბრძოდნენ. რუსებს უკვე ზარბაზნები გაეტანათ იქ და პირისპირ ესროდნენ ახალციხელებს, რომელნიც მათზე ბრმა მოხერხებით მიიწვიდნენ. ქუჩებში ასობით ეყარა მოკლული და დაჭრილი. მესხები მალე დაიფანტნენ და ახლომახლო სახლები ჩახერგილ ხერელებად, კომყებად და სიღნაღებად გადააქციეს.

ოთხი მძანდაფიცი კარგახანს დაძრწოდა მიყრუებულ ქუჩებში, სადაც ყოველი სახლი მცირე ციხედ იყო გადაკეთებული. აქა-იქ სადმე ხერელიდან შემკრთალი თავი გამოიხედავდა და უმაღლეს მიიმაღლებოდა ხოლმე. არენას ადვილად შეეძლო სადმე სორიში, ბალში ან ლელეში დამალულიყო, მაგრამ მას ჰსურდა ჯერ ჰასანა მოეძებნა და ერთხელ კიდევ ეცადნა დაეჯერებინა ეს მძანდაფიცი, რომ ის სხვის საქმეში არ ჩარეულიყო და თავი არ გაეწიროს.

— იაეაჷ ყარდაშ!—მოისმა უცებ კივილი და ერთ სარკულში ჯუჯა თათრის ჯუჯა თავი გამოძვრა.—ზჷაო არსენ, აქეთ მოდი, აქეთა!

ოთხივენი იქით გაიქცნენ, სამსართულიან მჩატე სახლში შეცვიდნენ და გოცებულნი შესდგნენ. მთელი სახლი ქართველი შემორებით იყო სავსე. წელან გადარჩენილ გურულებს, ქართველებს კახელებსა და იმერლებს ამ უბანში მოეკიდათ ფეხი, ხის სახლები ჯიხურებით ჩაებერგათ და შიგ ჯიქებივით ჩასაფრებულიყვნენ.

წელან გადაჩინილ ქართველებს ამ უბანში მოეყარათ დაიქონიონ მოხრდილი სახლი გაემავრებინათ და თავიანთ ჯერს უცდიდნენ რათა სისხლი დაეღვირნათ იმათთვის, ვინც ისინი შეიხიზნა და ვინც ამკამყდრე მსახლით იცავდა საკუთარ კერასაც და ხიზნასაც.

არსენას დალი ჰასანი ჩამოეგება.

— ცამო, ზამო, ცამო.—უთხრა მან არსენას.—ჩონი ხარ და ყინვათმა ისევ ჩონთან მოგიყვანა.—და ძმანათიციები ერთ ოთახში შეიყვანა, სადაც მას შეიარაღებული ნაცნობი ლტოლვილი გლეხები მიეგებნენ და მიაყარეს:

— არსენას გაუმარჯოს.. შენც ვერ გაუძელი განზე დგომას, განა!.. ხომ მოგძებნენ!.. აბა, შენც გადმოიღე ეგ სიათა და გვერდით ამოგვიდექი. ისე ვიბრძოლებთ როგორც ქაჯები.

მერმე მეორე ოთახში შეიყვანეს და რაზმის მეთაურებს წარუდგინეს:

— აი ჩენი არსენა. ოთხნი მოვიდნენ, მაგრამ ოთხმოცსაც აჯობებენ.

მეთაურებში მხოლოდ თავადები და აზნაურები მოსჩინდნენ. უმრავლესობას ყაბალაბი ჰქონდა წაკრული. არსენა მიხვდა, რომ ესენი გურულები და იმერლები იყვნენ. მეთაურებმა ოძელაშვილი შეათავალიერეს და ერთმა მათგანმა, სულ გათეთრებულმა მოხუცმა, მოკლედ ჰკითხა:

— რას შობი, შვილა, შენც ომობ?

ეს ხუთი სიტყვა მარაბდელს ცხელი წვეთებივით დაეცა. თამარაშვილის და არსენას ცივი ანგარიში უცებ გაიბნა ბურუსივით და მის ნაცვლად ადამიანური ალღო გაშიშვლდა—არსენასავით პირდაპირი, გულმარტივი და უმანკო. აბალციხელებიც სხვა ხალხივით სცხოვრობდნენ: შრომობდნენ, იტანჯებოდნენ, თავიანთ ოჯახს იცავდნენ და ზოგჯერ მეზობლებსაც სძარცვავდნენ. ახლა მათ უცხო ტომი მოუყარდა და ამ ოჯახს ანგრევს, სწვავს და უწყალოდ ჰხოცავს ყველას—ქალებსაც, ბავშვებსაც. გარდა ამისა მესხეთი „იმ საქართველოზე“ უფრო თავისუფალია. აქაურებმა უთვალავი დევნილი შეიკედლეს და საცხოვრებელიც გაუჩინეს, არსენას მძაღნაფიცებიც მათ შორის არიან. ისინი უმადურობის გზას დაადგნენ, რადგან თამარაშვილებს დაუჯერეს, რომელნიც ერთმანეთისგან მხოლოდ ორ ფერს არჩევენ—თეთრსა და შავს, და მთელი კაცობრიობაც ორ ბანაკად ჰყავდათ დაყოფილი—მუსილმანებად და ქრისტიანებად. მარაბდელმა იცოდა თუ რისთვის ომობდნენ ეს თავადაზნაურები და უმალვე მიუხვდა იქ თავმოყრილ გლეხებსაც: ისინი იბრძოდნენ თავიანთი თავისუფლებისთვის და ახალი სამშობლოსთვის. იგი მუსულმანური იყო, სამაგივროდ ისინი იქ უფრო ლალად სცხოვრობდნენ და მათ ეს ახალი სამშობლოც რომ დაჰკარგოდათ, მაშინ უკლებლივ ყველაფერი დაეკარგებოდათ და მათთან ერთად არსენაც ყველაფერს დაჰკარგავდა: მძაღნაფიცებსაც, ცოლშვილსაც, თავისუფლებასაც და იმ დიდ საქმესაც, რომელმაც მარაბდიდან მოიტაცა ის და მზეცივით თუ კირიანით შეაგდო ტყეში. აქაც შემოაღაჯებენ მათობები და ზაალები, გიგოლები და კუქატნელები. შემოაიჭრებიან და თან შემოათრევენ იქაურ უღელს და მათრახს, ბატონყმობას და მონობას. ოძელაშვილს ამ აზრებმა ელვასავით ჩაურბინა. მას არც კი უფიქრია: გლეხური გუმანიით მარწუხივით ჩაჰკიდა ხელი ამ სიმართლეს და მის სულში უცებ ყველაფერი

შეტრიალდა. თამარაშვილი აქ აღარ არის. ირგვლივ მრავლად დგანან წაცნობნი გლეხები, რომელნიც გულის ფანცქალით შესცქერიან არსენას და მის გადაჭრილ პასუხს ელოდებიან.

— რას ჰფიქრობ, შვილო?—ჰკითხა ოძელაშვილს იმავე მუხურსავე გლეხებმაც მიაყარეს:

— გავგაგებინე... გვითხარი რამე... რას გაჩუმებულხარ? ვიომოთ თუ...

„თუ რა სათქმელია!“—თავისთვის გაიფიქრა მარამდელმა, ხმამალა კი მიუტო:

— უნდა ვიომოთ, მაშა!

— სხვები სადღა არიან, ხმაო არსენ?—ჰკითხა ჰასანმა.

არსენას არ უნდოდა ამ ხალხის საბრძოლველი ცეცხლი გაენელებინა და უცოდველი ტყუილი ვადმოაგდო:

— სხვები იქ იბრძვიან.—და ჩრდილოეთისკენ გაიშვირა ხელი, თანაც გაიფიქრა: „აღბათ იბრძვიან, უეჭველად იბრძვიან ვაი დედასა, რად დაეშორდით ერთმანეთსა!“

— აბა, შვილებო, დალაგდით. მტერი უკვე ჩვენს ქუჩაში შემოიჭრა.—სიტყვა მოხუცმა და ყველანი თავთავიანთ ალაგებს ეცნენ.

არსენას, კარპიჩას, სიმონას და ოსტაპს ერთი ფანჯარა შიუნიდეს, ის ოთახი ქართველი გლეხებით იყო სავსე, რომელნიც მას მოსტერებოდნენ და იგი უსიტყვოდ აერჩიათ ბელადად.

ბრძოლის ქუჩილი იმ ვიწროებში მთის ნიღვარივით შემოიჭრა. რუსებმა იმ უბანშიც შემოათრიეს ზარბაზანი და იქაურობის დამცველებიც მორღვეული ზრეშევით დაჰუნტეს. მომბდურების მხრივ ყველაზე წინ საპიორები და ნიეგვოროდელები მოიპარებოდნენ. საპიორები ჩახერგილ ალაგებს ანგრევდნენ და სარკმელებსა და ბუხრებში ხელის ყუმბარებს ჰყრიდნენ, დრაგუნებს კი თივა და ფიჩხი დაჰქონდათ და კრაზანას ბუდეებს ცეცხლით და ბოლით იმორჩილებდნენ.

ის ქუჩა, სადაც არსენა იყო ჩასაფრებული, სიგრძით ორასი ნაბიჯიც ძლივს იქნებოდა. გამოჰყოფდნენ თუ არა რუსები ქუჩის ბოლოში თავს, ყოველ მხრივ იმ ალაგს ტყვიის სეტყვა ასკდებოდა.

— ტყვია გამოიზოგეთ, შვილებო.—ამბობდა მოხუცი თავადი და ყველა ოთახებში დადიოდა.—ერთ კაცზე ას ტყვიას ნუ ხარჯავთ, თვარა არ გვეყოფა და მარცხი მოგვივა.

ასეთ კანტიკენტ სროლაში რამოდენიმე საათი გავიდა. რუსების ტალღამ სხვა უბანში გადაუხვია. მათ უკვე ხელთ ჰქონდათ ქუჩები და ამიტომ, სადაც კი საჭირო იყო, ყველგან დიდ ჯარს აყრიდნენ, დამბდურები კი დაიჭაქსნენ და ყველგან მცირე გუნდებად იბრძოდნენ. არსენამ უმაღლე იგრძნო ეს ხიფათი და გაიფიქრა: „დაეშარცხებით“, მაგრამ გვიანდა იყო ბელადთან კიდილი და იმასღა ჰფიქრობდა, რომ თავის სახელი არ შეერცხვინა და სიცოცხლეც ძვირად გაეცა. ქართველები ფაშასგან რალაც ბრძანებას ელოდნენ, მაგრამ არ მოდიოდა.

შუალამე გადავიდა. ბრძოლის ხმაური ხელახლა მოახლოვდა და ბუნელი ქუჩაც დღესავით განათდა. მარბაველმა გარეთ გაიხედა და მაშინვე გამოეხიზა. ქუჩის ბოლოში რამოდენიმე სახლი იწვოდა. უცებ ალი მეორე ბოლომდე გამოვარდა და იმავე დროს ყოველ მხრივ თოფის სროლა და ყუმბარების ქუხილი ატყდა. მომხდურნი ამ ქუჩასაც თოქებით, კიბეებით, ზარბაზნებით და ხმელი ფიჩხით მოესივნენ. მტერი ლანდევით მოიპარებოდა, ბინებზე მოსცოცავდა, კედლებში ხერხლებს ანგრევდა, სოროებს ბოლით ავსებდა და დროგამოშვებით გამარჯვებული ზავით და ლოთური კიყინით ჰქუხდა.

არსენა და მისი ორი მეგობარი ჩუმად სკლიდნენ თოფებს, რომელსაც უთოფონი უტენავდნენ. ცეცხლიც და რუსიც ორივე მხრივ ახლოს მოვიდა და შუაში რამდენიმე სახლია დაარჩა უფენბელი. ქალები, ბავშვები, ხნიერი და მებრძოლი მამაკაცებიც ისე გამოცვივდნენ ბოლიდან და ალიდან, როგორც ვირთაგვები ცეცხლმოდებული გემიდან. გამოცვივდნენ და გადარჩენილ შენობების სოროებში მიიმალნენ. მიიმალნენ და სხვების ბედი გაიზიარეს. საარქმელებში მეთოფურნი გამოჩნდნენ და კარგა ხანს ისროდნენ. შემდეგ ამ შენობებსაც მიეპარა ალი. კვამლში დროგამოშვებით მებრძოლის თაფი და თოფის ლულა მოსჩანდა. შემდეგ ყველანი ბინებზე აცვივდნენ და მომაკვდავი ნადირივით შეფართალდნენ, რომელიც არსაით აღარავითარ ხსნას აღარ მოელის. ასზე მეტი იქნებოდა. მამაკაცები ბანების ნაპირებში ჩაწყნენ და ისევ ისროდნენ. თოფის გრიალს ბავშვების წივილი და ქალების კივილი ახმოვდა და მათი საერთო ბლაგილი მწუხრის ღამეს კაეშანით აესებდა.

ეს საზარელი ვალალი და გოდება არსენას გულს მოშხამული ხანჯალივით ერქობოდა. თოფს ზედიზედ სკლიდა და ნანობდა, რომ ორის მაგიერ ასი თოფი არ ექირა.

— ჩქარა! მოიტა! ვასტენე! — ყვიროდა მარბაველი და არც ერთ ტყვიას არ აცდენდა. რა ეკითხებოდა მას, თუ რამდენი დახოცა მან ან ვინ იყვნენ მისი ხელით დახოცილები! აქამდე ოძელაშვილს სისხლის ერთი წვეთიც კი არ ჰქონდა დაღერილი, ეხლა კი ნიაღვარი მოუშვა და ყოველი სალდათის წაქცევაზე სინანულის ნაცვლად სიხარულით იხიზობოდა. წინათ კი ევონა, სისხლი დამტანჯავს და ცვილსავით დამადნობსო.

— მოიტა! ვასტენე! აჩქარდი!

— ვალაჰ, ელიზბარია! — ჩაიბურტყუნა პასანამ და თოფი მოიშარჯვა.

არსენამ ცალი თვალით გაიხედა ქუჩაში და ალის უჭეზე ელიზბარია იცნო, რომელიც მილიციელთა მცირე გუნდის თანხლებით ქურდულად მოიპარებოდა.

— შენი კერძია, პასან, და არ დააცდინო. — ჩაულაპარაკა მან ჯუჯა თათარს, რომელიც ჩაცუცქებულიყო და მოკიეული თვალით უმიზნებდა.

— ალაჰ, მიშველე!

უშველა. თოფმა სწორედ იმ დროს იგრიალა, როცა ელიზბარია კუთხეს მოსწყდა და გამოიქცა. სადახლოელი ბატონი დაბორილდა და პირქვე დაეშო, მილიციელები კი უკანვე გაიქცნენ.

— შეგერგოს! ჰალალია შენზედა! — წამოიძახა არსენამ.

— უწინ დამავალე, ელიზბარი მოჰკალიო, და მარტო დღესლა შეგასრულე. —
თითქო მოიბოდღისა ჰასანამ.

მომხდურნი შეუბოვრად მოიწვედნენ, გაეშებული არსენაჲსი მათივე ისრო-
და და სხვებსაც აჩქარებდა:

— მოიტა! გასტენე! აჩქარდით! ყურშივე, გაჩუმდი!

ყურში ერთი წუთით ჩუმდებოდა, მაგრამ ისევ ავად ჰყვებდა, ტორებით
იატაკს აფხაქუნებდა და დრო გამოშვებით სევდიანად ჰყმულოდა.

ბოლიდან ქუჩაში ათიოდე მებრძოლი გამოვარდა და მოშორებით ჩასაფრე-
ბულ რუსებს შეუტია. ათივე ერთ წუთში გაქლიტეს. მათ ხუთი ქალი გამო-
ჰყვა. სამს მათგანს ჩეილი ბავშვი ეჭირა. საფრებიდან სალდათები გამოცვიდნენ
და დედაკაცებს მიეტანნენ. სამი ქალი ცეცხლში გადავარდა და ბავშვებიც თან
ჩაიყოლეს, უშვილოებმა კი ხანჯლები იწიშლეს და ხიშტებზე აეგნენ.

სალდათებმა კიბეები მოიტანეს და ლამობდნენ ბანებზე ასულიყვნენ. ბანე-
ბიც უკვე იწვოდა და საცაა უნდა ჩანგრეულიყო. სალდათები გამწარებით უყვი-
როდნენ მესხებს:

— დაგვენბდით, თორემ დაიწვებით!

მაგრამ მესხები გამძეინებით იბრძოდნენ, კიბეებს სსხვადნენ და თითქმის
ზევით ამოსულ სალდათებს ყირამალა ჰყრიდნენ. უკებ ბანის ნახევარი ჩაინგრა,
ოციოდე ლანდი ჩაიყოლა და ცაში ცეცხლის ვეება ენები და ნაპერწყლების
ღრუბლები ამოჰყარა.

— დაგვენბდით, თორემ დაიწვებით!

გადარჩენილები ბანის მეორე ნახევარს მიაწყდნენ და გახევდნენ. ზოგი
მათგანი ქუჩაში გადმოვარდა. ბანზე რამდენიმე სალდათის თავი ამოცოცდა.

უკებ ერთმა მოხუცებულმა მამაკაცმა ხელი წაჰყრა თავის ცოლს, ცეცხლში
ჩაავდო და დაიკივლა:

— მომყეთ! ალააჰ! — და თვითონაც გადაჰყვა.

მას სხვებიც მიჰყვნენ — ხუთი, ათი, ოცი. ერთმანეთს მუჯღუგუნს ჰყრაე-
დნენ, დედაკაცებს ხელიდან სტაცებდნენ ბავშვებს, კუნძებივით ყრიდნენ ცეცხ-
ლში, თითონაც ცვიოდნენ და გულსაკლავად ბბლოდნენ:

— ალააჰ, შეგვიწყალე!

დედები ისე ხელგაშლით მისდევდნენ ცეცხლში თავიანთ შვილებს, თითქო
ჰსურდათ ის ბალები მოეტაცნათ და სამშვიდობოს გაეფრინებინათ.

ცეცხლის ორმოიდან მოზრაკული ხორცის სუნი, მოზრდილთა ურუ გმინეა
და ბავშვების ჩახლეჩილი წივილი ამოვარდა, რომელმაც ირგვლივ ყველანი გა-
ჰყინა და შეატრგოლა. ერთი წამით სროლა შესწყდა და ბანზე ამოწულ სალ-
დათების თავებიც მიიმაღლნენ.

როცა მამაკაცებმა დედაკაცები და ბალები მოიშორეს, თვითონ კატები-
ვით ჩამოცოცდნენ ქუჩაში და რამდენიმე წუთში ყველანი ძირს გაიშოტნენ.

იმ სახლში, სადაც არსენა იბრძოდა, უკვე მრავალი დაეხოცნათ და დაეკოდნათ.
დაკოდნილებს კრილობებს უხვევდნენ და ბაღში გაჰყავდათ.

— სახლი იწვის! თავს უშველეთ! — დაუძახეს უკებ არსენას და ყველანი
ქვემო სართულში ჩაცვიდნენ.

— აბა, შეილებო, — მიმართა მოხუცმა რაზმელებს, — ალცა უნდა გავარღვიოთ, თვარა ვირთხებივით ამოგვწვავენ. მოწყევით! ციხისკენ! — და პირველი თვითონ გავარდა. არსენა და ოსტაპი ბოლოს გაცვივდნენ.

იმ რიგში დრაგუნებს ხუთიოდე შენობისთვის მიეცათ ცეცხლი, სადაც ქართველები ჩასაფრებულიყვნენ, და ხუთივე სახლიდან, ეზოებიდან, კარებიდან და სარკმელებიდან ყველანი ერთ დროს გამოცვივდნენ. რუსები ამოდენა ხალხს არ მოელოდნენ, შეკრთნენ და ქართველების ხმლებსა და ხანჯლებს ხიშტებით იგერიებდნენ. შემდეგ გზა დაუთმეს და გაიფანტნენ, ქართველები კი ორ ნაკადად გაიყვნენ და შიდა ციხეს მიაშურეს.

— ჰასან! სიმონ! კარპი! ოსტაპ! აქეთ მოდიოთ, აქეთა! — ჰქიოდა არსენა და მადნაფიცებს ეძებდა. მას არ უნდადა ციხეში შეეტარებინა თავი, რომელიც აუცილებლივ ზაფანგად უნდა გადაქცეულიყო. მარაბდელი უკვე გამოფხიზლდა. მას გაახსენდა თამარაანთ სარდაფში დარჩენილი ძმადნაფიცები და ცოლშვილი. მათ უდიდესი ზიფათი მოელოდა და მარაბდელმა იგრძნო, რომ ის მოვალე იყო თვედაპირველად ისინი გადაეურჩინა.

— ჰასან! სიმონ! სადა ხართ, ბიჭებო!

მარტო ოსტაპი მოვარდა.

— სხვები სად არიან, ოსტაპ? ჰასან! სიმონ! კარპი!

არავინ არ უპასუხა. სამიენი ქართველების ნიაღვარმა გაიტაცა.

— აბა, ოსტაპ, შენ ზევით გაიქეცი, მე კი აქეთ გაუხვევ. შემრმე ერთშანეთს ქვეით ბროწეულის ბალთან შევხვდეთ. — სხაუწით მიახალა მარაბდელმა და მარტხნივ გაიქცა, თანაც მალალი ხმით იძახოდა:

— ჰასანი კარპი! სიმონ!

ბასუბი მაინც არ ისმოდა და მისი ხმა თოფის გრიალში იკარგებოდა, რომელიც ეხლა ყოველ მხრივ წამოვიდა.

არსენამ დიდხანს ირბინა, უკანვე გამობრუნდა, ქვეით ბალისკენ ჩაუბვია, სადაც ოსტაპი უნდა მოსულიყო და სხვებიც უნდა მოეყვანა. სინათლეზე რომ გავიდა, ვილაც ლანდებს მოჰკრა თვალი, რომელიც გამალებით გაიქცნენ და კუთხეს მოეფარნენ. „გიგოლას ჰგავს. გაიფიქრა არსენა და თვითონვე გაეციონა. — რამ გამატუტუტუა! სად გიგოლა და სად ახალციხე, ისიც ამ ლამეში, და ამ ჯურღმულში.

ქუჩის მეორე მხარეს მალალი ალა მოსჩანდა, რომელიც იქაურობას დღესავით ანათებდა, მაგრამ იქიდან თოვის ხმა არ ისმოდა და ამიტომ „იქ არც სალდათები იქნებიან... არსენას მოეჩვენა, თითქო კუთხიდან ვილამაც თავი გამოჰყო და ისევ მიიმალა.

„მერმე რაო? ვინ იცის რამდენი ვიგინდარა არ დაეთრევა ეხლა! მთელი ქალაქი ქუჩაშია გამოსული“. — გადასჭრა მარაბდელმა და კუთხეში გავიდა, მაგრამ უცებ ხიშტების რკალში ჩაეარდა და უშალვე გახვედა.

— არსენას გაუმარჯოს! — ღმერთით მიიძახა მას განზე მდგომმა გიგოლამ და დამბახა დაუმიზნა. — ზომ გაგაბი ხათანჯში? აბა, წამოდი! მაიორი დიდი ხნის უნახავი შეილსავით გელის. აბა, აჩქარდი!

— ყური მივდე, გიგოლი...

— წამო მეთქი! რა დროს ლაპარაკია! რაღას უცდით, წამოათრიეთ!

ზურგში კონდახი წაპკრეს და წაიყენეს. არსენა ნელა შრდილობდა თანაც აქეთ-იქით იხედებოდა, მაგრამ სალდათებს ჩახმაზები აყენებულნი ჰქონდათ და ათი-ოდე ხიშტიც თითქმის ზედ მიეზღინათ მისთვის. გიგოლა უკან მისდევდა და დუენარვე ბლუჟუნით ეუბნებოდა:

— ესეც შენი დიდება, რძელაშვილო! გახსოვს ალგეაზე რომ წერილი დამიწერიხე? რა უყავი? მაიორს გაუგზენე, განა! მერე რაო? სიმართლემ მაინც გზაკვალი გაიგნო, მე ერთ თვეს დამამწყვდიეს და ისევ პატიოსნად გამომიშვეს. შენ კი... მოაჩი, გათავდი! საცაა მაიორი ვასწავლის როგორ უნდა აუტებო ბუ-ნტი შეფესა და ბატონს.

— ბიჭო გიგოლ, შენ ლაპარაკობ სიმართლენე? შე უბედურო შენა, ბრმა უფრო უკეთ ხედავს ყველაფერს, ვინმე შენ სიმართლეს. გაჩუმდი და იარე.

გიგოლამ პასუხის მიცემა ვერ მოასწრო. ბალის პირდაპირ, აღმოდებულ სახლის წინ, სალდათების აფორიაქებული ყაყანი და ყვირილი გაისმა:

— დეზერტირია! ცეცხლში ჩააგდეთ, ცეცხლში!

მათს შორის ვიღაც მაღალმა კაცმა ხელფეხი შეიბერტყა და ზედ ჩამოკიდებული სალდათები გაჭვანტა, მაგრამ ლანდები ისევ ჩამოეკიდნენ და უარესად აბლავლდნენ:

— ცეცხლში ჩააგდეთ, ცეცხლში!

და ძალით რომ ვერ დასძრეს, ხიშტები მიიბჯინეს და ზედ ალზე მიავდეს. უცნობი შეიტრუსა და ისევ წინ გამოვარდა, მაგრამ წვეტიანმა ხიშტებმა ერთ-ხელ კიდევ შეავდეს ცეცხლში.

— Напирай братья, напирай!

უცებ ცხოველურმა ბლავილმა გაჰკეცა ჭაერი:

— ო მათი მოია! ვაიმე, დედა!

არსენა წაბარბაცდა, თითქო თავში რაღაც დაჰკრესო, და ალავიდან მოს-ხლტა.

— ოსტაპ! ოსტაპ!

მაგრამ შერდში წვეტიანი ფოლადი იგრძნო, შესდგა და თვალები დამ-ბუჟა, და როცა გაახილი, ოსტაპი იქ აღარ იყო. სალდათები ცეცხლს მოშორე-ბულიყვნენ.

იქვე ახლო სამი-ოთხი კაცი იდგა. გიგოლამ იქით მიაშურა და თან შო-რიდანვე იძახოდა:

— ვაშე როდიე, არსენა დავიპირე! Я поймался Арсена! Арсена поймался!

— არსენაიკე მოი! შენი ჩირიმე, არსენჯან! — სიხარულით შეცმუტუნდა არლოვი და მის დასახედრად გამოიქცა. — ძლივს არ დაგინახე! როგორა ხარ, დრუჟოჩეკე მოი?

მარაბდელი არლოვს შესცქეროდა, მაგრამ თვალწინ მხოლოდ მადნაფიცი ოსტაპი და მისი საზარელი დასასრული ედგა. მას ესმოდა მაიორის საალერსო შემოძახილი, ის ჰხედავდა მის გამძვინებულ პრანჭიობას და იმას ელოდებოდა რაც უმალვე მოხდა.

მაიორმა უცებ შეიცვალა იერი, ქვის ძეგლს დაემგვანა, სალდათებს დამბაჩა აუქნია და დაუყვია:

— სტარანის! — განი!

მარაბდელი პირისპირ შერჩა თავის მოსისხლეს, რომელიც ხელნელა უხეზდა ზევით აღმართულ ლულას და მკერდში უმიზნებდა ოძელაშვილს.

— На, дявол, получи! ესეც შენა! — გადმოაგდო მან ბრაზით და მის ხელიდან ეღვა და ჭობილი გამოვარდა.

არსენა მარაბდელი მდკრილი ძელივით გაიშოტა.

გავეშებულმა ბრძოლამ მთულ ლამეს გასტანა. ოსმალები ჭანებს ეჯიბრებოდნენ, მესხები ლტოლვილ ქართველებს სჯობნიდნენ, დედაკაცები გაგიჟებულ ქაჯებს ჰგავდნენ, ხოლო მთიელები ავაზივით ანჩხლობდნენ, მაგრამ ყველაფერმა უქმად ჩაიარა: პასკევიჩმა გუდოვიჩის და ტორმასოვის ჯაჯრი იყარა და ქედმალალი მესხეთი ხერხემაღში გადასტება.

15 აგვისტოს ახალციხეში ოსმანთა ხონთქარის მზე ჩესეენა და 18-ს დილით შავუგთა იმპერატორის მზე ამოვიდა. ოქროს ნამგალა მტვერში ეგდო, ხოლო მის ნაცვლად ჯვარი მოჰქონდათ და ამ ჯვარზე ქრისტეს მაგიერ ყაბალახიანი მესხი იყო გაკრული.

შიდა ციხეში სულთანის დროშა ჩამოუშვეს, რომელიც ამაყად ჰურიალეზდა ორნაზევარ საუკუნეს და მის ნაცვლად წმინდა გიორგის დროშა აღშვეს, რომელიც მასზე უწინ თორმეტ საუკუნეს ეკიდა. ისტორია ხელახლა იწყებოდა. ყოველივე თავის რიგზე მიდიოდა, მხოლოდ ერთი რამ იყო გაუგებარი: ოსმალებზე უფრო მწარედ გათავისუფლებული მუსულმანი ქართველები სტიროდნენ და რუსებზე უფრო მეტად ქრისტიან ქართველებს უზაროდათ. ან რატომ არ უნდა გააზარებოდათ? მათ დაკარგული ძმა იპოვეს, მესხეთი „გაათავისუფლეს“ და ერთობილი საქართველო თითქმის სულ აღადგინეს.

იარალ-აყრილ შიდა ციხეში რუსებზე ადრე ქართული პოლკი შეუშვეს. ორბელიან-ბაგრატიონებმა ჯერ არ იცოდნენ, ან საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ პასკევიჩები გაქცეულ ოსმალებს ასიათას მესხს გააყოლებდნენ, მათ ნაცვლად იქიდან ამდენივე სომეხს დაიბარებდნენ და გარეკილთა მიწა-წყალზე დაასახლებდნენ. მიზეზიც საბატიო ჰქონდათ: მესხები მუსლიმანები იყვნენ და თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, სომხები კი — ქრისტიანი და მორჩილი ხალხი იყო.

ბრწყინვალე ამალით გარემოცული პასკევიჩი შიდაციხის კარიბჭესთან იდგა და იქიდან გამომავალ მეციხოვნე ჯარს ათვალიერებდა. ეს რაზმები ყელამდე შეიარაღებული შემოვიდნენ ახალციხეში და ეხლა კი ერთი ხანჯალი ან ერთი დამბაჩაც ვერ მიჰქონდათ.

ყველაზე წინ დაკრილი სარასკირი მიჰყავდათ. მას გუშან ოთხასი არტილერისტი ჰყავდა, ეხლა კი მხოლოდ ორმოცდაათი მისდევდა. დანარჩენი დაუხოცეს. შემდეგ ჭანები მიდიოდნენ. ორი ათასი შემოვიდა და ხუთასიც ძლიეს გავიდა.

მერმე სანჯაყ-ბეგებით გარშემორტყმული ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი მოდიოდა. ისინი თავიანთ ცოლშვილს და მიწაწყალს ეხლავე უტოვებდნენ პასკევიჩს და ყუმბარებით გატენილი ხურჯინივით აეკიდნენ ქოსა მახმუდ ფაშას, რომე-

ლიც ერთი წლის შემდეგ ამ ყუმიარებს ისევ რუსებს დაუშინდა, მხოლოდ გარჯად იციან, რომ ხვალ თუ ზევ ისევ დასჭირდებიან სულთანს და ამიტომ ისეთი რიბით მიდიან, თითქო მათ გამარჯვება მიჰქონდეთ და დამარცხდნენ რუსებს შტოვებდნენ.

ბოლოს ყველანაგვ გავიდნენ: აქარლებიც, ყარაფთაზებიც, ლეკებიც, მთიელებიც და ქართველებიც. მათ შორის არც ერთი ინგეჩიარი და არც ერთი ქალი არ მოსიანდა, რადგან ყველანი ახალციხის ვიწრო ქუჩებსა და ნალვერდალში ეყარნენ-გარდა ერთი ქალისა და ერთი მამაკაცისა, რომელნიც თამარაანთ სარდაფში იწვნენ და ჯერაც ვერ მოსულიერებულაიყვნენ.

ქრისტიან ქართველთაგან მხოლოდ გურულები გაუშვეს ახალციხიდან, რადგან იმათაც ჩაქურა ეცაა და მესხებისგან ვერ გაარჩიეს. მრტყუებით გავიდა აგრეთვე ასიოდ იმერული და ქართლელი, დანარჩენი კი პასკევიჩმა დასასჯელად დაატოვა, რადგან ისინი ქრისტიანები იყვნენ და ამიტომ მოალატებდად ჩასთავალეს, ხოლო მთიელი კავკასიელები თავისუფლად გაატარეს, რადგან ისინი მუსლიმანები იყვნენ და მეორე ბანაკში იდგნენ.

როცა ახალციხიდან უკანასკნელი ასკერიც გაიწაღდა, პასკევიჩი ახმედ ფაშას ტახტზე ჩამოაგდო, ორთავიანი არწივი ააფრინა და ახალი კანონების დამყნობას შეუდგა. თავდაპირველად ციხის ოთხივე კარი ჩაჭკეტეს და ყველა გადარჩენილი სამტკიცე საცერში გაატარეს. მაიორ არლოვის მეტებრები მარდად დაძვრებოდნენ და სოროებიდან მოალატე რუსები და ქართველები ამოჰყავდათ. დეზერტირ რუსებს იქვე ცეცხლში ჰყრიდნენ, ქართველებს კი მეტის პატივით მხოცავდნენ: მათთვის სამადლიან საბელს იმეტებდნენ და ხის ტოტებზე ჰკიდებდნენ.

რამდენიმე ფორზე ღარიბებს შავ ფულს, ძონძებსა და „სუხარს“ ურიგებდნენ. იქ-ღარჩენილი ქრისტიანები ამ წყალობას კალისავით ესეოდნენ და რამოდენიმეჯერ მიჰქონდათ, მესხები კი ახლოსაც არ ეყარებოდნენ, რადგან რუსის ქარისა არც მოტანილი ჰსურდათ და არც გატანილი. არც ეცალათ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დაძვრდნენ ქალაქში და თავიანთ მეკდრებს ეძებდნენ. ქუჩებში ათასობით ეყარა მეკდარი და დაკოდილი. ცეცხლი მრავალგან მჭეინვარებდა და ჰაერი აუტანელი სიციხით, მწვავე ბოლით და ადამიანის დახრაკული ხორცის სუნით იყო გაელენთილი.

რუსებმა ჯერ თავიანთი მეკდრები და დაჭრილები აკრიბეს, მერმე ახალციხელები გამოარეკეს და მათთან ერთად ცეცხლის ჩაქრობას და ჩახერგილი ქუჩების გაწმენდას შეუდგნენ. მესხები უკვე უცხოეთში იყვნენ და ამიტომ უკან დგებოდნენ. რუსები კი უკვე შინ იყვნენ და ამიტომ ურჩ ახალციხელებს კონდახებით ერეკებოდნენ და მეკდრების გამოთიერებასაც კი აღარ აკლიდნენ. მაგრამ დარდი და სიხარული ქვესკნელშიც კი გამოიფანავს: ქერივ-ობოლ მესხებსაც ქუჩაში გამოჰქონდათ ცრემლი და თავიანთი დაკარგული ქმრების, ძმებისა და შვილების მაგიერ შეზობელთა მეკდრებს აკურებდნენ.

ქალაქის განაპირას ორ ალაგას უზარმაზარი საფლავი გათხარეს: რუსებმა და ქართველებმა ორი-ათასისთვის, მესხებმა კი — ექვსი-ათასისთვის. გათხარეს და იმავე საღამოს გვაიმებით ამოავსეს.

ლამეც მალე ჩამოწვა. ცაში იგი გუშინდელს ჰგავდა, მიწაზე კი სულ ახალ-ნაირი მოსჩანდა. ყურანს გვერდით სახარება ამოუდგა, და როცა მინარეთის თავზე „ლა ალაჰ ილ ალაჰ“ ტიროდა, იქვე შიდა-ციხეში სატყაპყნის წასაფიცრები ერთად ჰგუგუნებდნენ სიხარულით: „Спаси господи ~~наши~~ ^{наши} твои ~~и~~ ^и ~~благослови~~ ^{благослови} ~~достоиние~~ ^{достоиние} ~~твое~~“. და ამ გუგუნს დიაკნისა და არლოვის ბლავილი ჰქარავდა.

მერმე ქალაქს ლამის გუშაგების გუნდები მოედნენ, გარეთ ერთი სულიერიც აღარ დასტოვეს და ახალციხელებს მათი ცრემლი და ზრვა სოროებში შეათრევიანეს. შემდეგ მთვარე ამოვიდა—ისიც სისხლის-ფერი, მრგვალი და გარუსებული. ირგვლივ გაფანტულ ბანაკებში რუსული „ჩიკა-ჩიკა“ და ქართული დავლური ისმოდა და საღღაც გულმოდგინედ ჰქარავდნენ სიმღერას:

Ой между гор Ахалцых стоит.

შემდეგ ყველაფერი მისწყდა. მთვარეც ჩავიდა და ირგვლივ გაქცეული ქალაქის დუმილი ჩამოწვა, რომელსაც მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების ყმილი არღვევდა—ყმილი გაბმული, სასომიხილი და შემადრწუნებელი.

არსენამ თვალეტი გაახილა და პირმოშვებული რუმბივით ამოიფშვინა, ირგვლივ ბნელა. კრაქი ოდნავ ბეუტავს, წყვდიადში რამოდენიმე კაცი ჰხერინავს. არსენას გვერდით განიერ ტახტზე სამი ვიღაცა ჰდღია და მათი სუნთქვაც კი არ ისმის.

ოძელაშვილმა ორივე ფეხი დააკირა თავის ხსოვნას და ლამობდა გაეგო, სად იყო და რა დაემართა. „მარაბდაში?—არა ჰგავს.—თრიალეთზე?—ტყე არ მოსჩანს—ახალციხეში? ჰო, მართლა, ნამდვილად ახალციხეში ვარ.“

და ჟეკებ ყველაფერი გაახსენდა: სისხლი, ცეცხლი, ქალების ელექტა, ბავშვების დაწვა, ბრძოლის ელარუნი, ოსტაპის ბლავილი და—

და მარაბდელსაც მოაწვა ბლავილი, მაგრამ ყელში გაეხირა და იქვე ჩაიხჩო. მერმე მაიორის აღმევილი პირისახეც დაინახა და მის ხელიდან გამოვარდნილი მებიც გაახსენდა. შემდეგ მარაბდელს ხსოვნის კოლოფი ჩაეკეტა. მაგრამ შიგმაიორის ტყვიანზე უარესი რალაც დარჩა და ოძელაშვილი ლამობდა ის კოლოფი გაეხჩნა და შიგ ჩაეხედა. ბოლოს ძლივს გახსნა, ჩაიხედა და შეზანხარდა.

წელანაც გონს მოვიდა ოძელაშვილი (ის კი აღარ იცის მან, როდის იყო ეს „წელან“—დილას, საღამოს, გუშინ თუ გუშინწინ). მოვიდა და გულზე სახარელი მაჯლაჯუნა იგრძნო. მთელ სხეულზე უმძიმესი რალაც აწვა. ჰსურდა ხელფეხი გაენძრია, მაგრამ ვერ დასძრა; მოინდომა თვალი გაეხილა, მაგრამ ვერ მოახერხა; მოისურვა პირი დაეღო, მაგრამ იგი ცხრაკლიტურით ჰქონდა დაკეტილი; უნდოდა ხმა ამოეღო, პერი შეესუნთქა, მაგრამ სულშეგუბებული ეგდო და იკუდებოდა. მერმე ჟეკებ მიხვდა, რომ საფლაფში იწვა და ზედ მიწა ეყარა და ყველაფერი მიწით ჰქონდა გატენილი: ყურებიც და ნესტოებიც, პირიც და თვალეტიც, მკერდიც და ლაჯებიც. მიხვდა და თავით-ფეხამდე ყინვან ჩაურბინა.

ჰაი დედასა, რა ბინძურად კვდება მარაბდელი! ნეტა იმ ტიელ მაიორს გულში მაინც მოურტყა ის ტყვია! ებლა ვინ იცის რამდენ ხანს უნდა ეწვალოს მანამ სულს ამოუშვებდეს. მერმე ძალღონე მოიკრიბა და სცადა წამოეწია, მაგ-

რამ ერთი კენთი ცველარ დასძრა. მაშ მორჩა და გათავდა! ჰაი დედნა, მარა-
ბდელო!

უცბად ზემოდან ბრაზიანი ბლუილი და ფხაკუნით მოესმა, მისივე და გაი-
ნაბა. თან ლამობდა გაეგო, ვინ და რა უნდა ყოფილიყო. ბლუილი გამწვანდა ყმუ-
ილი მოპყვა—შორეული და შემზარავი:

„ან შეგლი იქნება ან აფთარი!“—გაიფიქრა არსენამ და თავის-თავი თეი-
თონვე შეებრალა, რადგან ამაზე უფრო შერდალი და შემზარავი სიკვდილი
ვერც კი წარმოედგინა. მიწის ამოხაპვა დაუტყრომლივ გრძელდებოდა და ხმა-
ურობაც თანდათან უფრო ახლო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა. ბოლოს არსე-
ნას ნადირის ტორი მოხვდა შუბლზე. მას გაახსენდა, რომ აფთარი თავის მსხვე-
რპლს თავდაპირველად თავების მოაქამსო.

მარაბდელმა უკანასკნელი ძაღლიონე მოიკრიბა, ცალი ხელი მიწას ამოკვლი-
ჯა და ნადირს პირში სტაცა, მაგრამ ნადირმა იმის მაგიერ, რომ ის ხელი მო-
ექაშა, ლოკვა დაუწყო და მხიარულ წმუტუნსა და ყუფას მოპყვა:

„ჰაე-ჰაე! ჰაე. ჰაე!“

„ყურმა, ჩემო ყურმა!“—მსურდა დაეძახა ოძელაშვილს, მაგრამ მიწიდან
ყრუ ბლუილიდა აღმოხდა:

„უააუ.“

ვინ დედასა, როგორ დაავიწყდა ერთგული ყურმა! მარაბდელმა მეორე
ხელიც ძლივს ამოათრია მიწიდან, ძალი კი სიხარულით გაგიჟდა და წინა ტო-
ტები გაშვავებით ააიშვავა, თანაც პატრონს პირსახეს ჰაწარავდა, მაგრამ მა-
რაბდელი თითქო არც კი ჰგრძობდა ტკივილს. მან ჰაერი იშოვა და ჯერჯე-
რობით ამაზე შეტივ არა უნდა-რა. ოძელაშვილმა პირსახე მოიწმინდა, თვალები
გაახილა და ვარსკვლავებით მოქედილი ცა დაინახა. დაინახა და სიხარულით
ატრდა. მერმე ისევ გულს შემოეყარა და ეხლაც ვერ გაეგო, როდის და საი-
დან გაჩნდა ამ ტახტზე.

ბრძოლის ტალღა თავზე გადაეგლო თამარიშვილის საბლს და ციხეში შე-
ვარდა. არსენა რომ წამოვიდა, მადნაფიცები მაშინლა დიფრთხნენ და საგონე-
ბელში ჩაცვივდნენ, მაგრამ მოლოდინის მეტი აღარა დარჩენოდათრა და უძი-
ლო ლამე გაატარეს. დილით ადრე ყურმა მოვარდა და ფორიაქი ასტეხა. ყვე-
ლას თვალეში შესცქეროდა, მოუსვენრად წმუტუნებდა და ნიადაგ ციხის კა-
რისკენ მიიწევდა, მაგრამ ვერ მიუხვდნენ და არ გაჰყვნენ. ბოლოს რაღაც მოი-
საზრეს, ეხოში გავიდნენ, რამდენიმე მოკლულ მილიციელს საბეჭურები ააგლი-
ჯეს და თვითონ დაიკერეს. ამის შემდეგ ორ ჯგუფად დაიყვნენ და არსენას
საძებნელად წავიდნენ.

ერეკლემ და როსტომმა მარჯვნივ აუხვიეს, ზურა და სულხანი კი ყურმას
გაჰყვნენ და მარცხნივ დაეშვნენ. ოთხივეს დიდი ხიფათი მოელოდა, ნამეტნავ
კი სულხანს, რადგან მას ათასი მილიციელი იცნობდა. ძაღლმა კარგა ხანს ატა-
რა და იმ ალაგას მიიყვანა, სადაც წუხელის არსენა გაიშოტა, მაგრამ გოცე-
ბული შესდგა, რადგან იქ აღარავინ არ დაუხვდა.

ზურა და სულხანი ისევ გზას გაუდგნენ, ყურმა კი არსენას ძებნას შეუდგა.
დიდხანს ირბინა ხეებზეებსა და ბალებში, კვლავ ქუჩებს დაბუბრუნდა და სალა-
მო ჯამს ისევ გარეუბნებს ეცა.

ამ დროს სარდაფში კაეშანი იწვა. საძებნელად წასული მადანაფიეცები ხელკალიერით დაბრუნდნენ, შემდეგ ხელახლა გავიდნენ და ბინდისას სეცდა და ჩუმი ცრემლი მოიტანეს. მათს თვალწინ უთვალავი მოკლული ^{გასსწარენ} და შესაძლებელი იყო არსენაც ერია, ან სადმე ცეცხლში მოჰყვა და დაიწვია, ან მაიორებს ჩაუვარდა ხელში და სადმე ხეზე ჩამოჰკიდეს. ტყუილად კი არ მოჰკრეს თვალი არლოვის ერთ-ერთ ხელსა და თვალს—ნაბიჭვარ გიგოლას. ალბათ ოსტაპს, დალი პასანს, სამონას და კარპიჩსაც უბედურება შეემთხვათ, თორემ აქამდე გამოჩნდებოდნენ და რაიმე ამბავს მოიტანდნენ.

მაგდანასაც რალაც დაემართა: დაკოდილ ენგიჩარს ერთი წუთითაც აღარ შორდებოდა და ნიადაც დახუჭულ თვალებში ამტერდებოდა. მარინე დაკრილივით ჰბორგავდა და მხოლოდ ფიჭრია მხნეობდა. მან მანდილი მოიბურა და მთელი ქალაქი მოირბინა. შემდეგ ისიც მოტყდა და ატირდა. სარდაფში ბნელი დუმილი იდგა. ორი დღე-ღამის უძინარი მადანაფიეცები თავჩაქინდრული ისხდნენ და თითქო სთვლემდნენ, ნამდვილად კი მწვევე ვარამს იხარშავდნენ და შავ სევდას ებრძოდნენ.

სწორედ ამ დროს შემოვარდა ყურში და იქაურობა მხიარული ყვეით გამოაფხიზლა. მადანაფიეცებმა ერთმანეთს გადაჰხედეს, წამოიშალნენ და კარცბისკენ წამოვიდნენ, იმიტომ წამოვიდნენ, რომ ყურშას ყვეფლა იყო მათი უკანასკნელი იმედი. ძალი ისარივით ამოვარდა კიბეზე და გამოიქცა. მაშინ ისინიც გამოიქცნენ და ორი საათის შემდეგ გახარებული დაბრუნდნენ და ჭულწასული დაკოდილი ბელადი მოიტანეს. თამარაშვილმა არსენა გაშინჯა, მერმე მისიანებს გადაჰხედა და მათი სიხარულისა უფრო მეტად შეეშინდა ვიდრე მარაბდელის კრილობისა, ვინაიდან დიდი ბედნიერების მონელება უფრო ძნელია ვიდრე დარდისა.

ორი საათის შემდეგ იმ სარდაფში ზირბითის კლდესავეთ შიშვე და მარაბდელი პურივით უმანკო ძილი ჩასახლდა. ტყის ძმები მომაკვდავი ზაქებივით ხვრინავდნენ. კრაქი ოდნავ ციმციმებდა, ხოლო მოუსულიერებელი მარაბდელი გულდასმით ათვალთვრებდა იქაურობას და უკვე მიხვედრილიყო, რომ ის ყურში და ძმებმა გადაარჩინეს და ამ ქვეყანას დაუბრუნეს.

დააბრუნეს, მაგრამ ეხლავე უნდა უშველონ, თორემ უწყლობით დაიწვება. წყურვილი ღველფივით ეყარა მის ყელსა და შიგნეულობაში. არსენა პირს ალებდა, მაგრამ ხმა ველარ ებოვნა და გულშილა ჰკიოდა:

„მშებო, წყალი, თორემ დავიწვი!“

უცებ ტახტზე ვილაც შეინძრა, წამოიწია და მეორე მწოლარეს დაეყუდა. ოძელაშვილმა მაგდანა იცნო. მერმე მეორეს გრძელი წვერიც დაინახა და გუშინდელი ენგიჩარი გაახსენდა, რომელიც პირალმა იწვა თვალგახელილი და კრაქს მისჩერებოდა

„ალბათ ძალო მორიგე იქნება და ამ თათარს უვლის. ნეტა მეც მომხედავდეს“—ინატრა არსენამ და ორივეს დააშტერდა.

მაგდანაც თვალებში ჩააშტერდა ენგიჩარს და გაინახა შემდეგ ხელი ხელზე გადაუსვა და მთრთოლვარე ხმით ჩასწურა:

— ხოსიტავ, ვერ მიცანი?

ხოსიტას ხსენებაზე არსენა შეკრთა.

— გიცანი, მაგდა, გუშინვე გიცანი. — ამოიხრიალა ენგიჩარმა და თავის ხაცოლარის პირისახე თავის შავ წვერებში ჩაიმალა. ორივენი ტრიაკანკა-ლით, უხმოდ და უსიტყოდ ტიროდნენ.

არსენას წყალი დააფიწყდა. პირს აცმაცუნებდა და მსურდა დაეყვირა: „გამარჯვება, ხოსიტა! მომილოცნია ძალო მაგდან!“ მაგრამ ხმა დაკარგული ჰქონდა და მის მაგიერ ცრემლილა იპოვა, რომელიც წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა ლოყებზე.

ნაქვრივალი ნაპოვნ ქმარს ჩუმად უკოცნიდა ვეება ხელებს, განიერ მკერდს, შავ წვერულვაშს, ღრმა თვალებს და თანაც ცახცახით ეუბნებოდა:

— ნაშ შენა ხარ? მართლა ხოსიტა ხარ? არ დაგავიწყდი? თვრამეტი წედიწადი გავიდა, ხოსიტა, თვრამეტი!

— ჩვენი შეილი სად არის, მაგდო? უცებ ჰკითხა ოდესღაც დაკარგულმა მამამ.

— შეილი? მართლა, შეილი, ჩვენი ზურა! შენი ზურა! — და აფორიაქებულმა დედამ იქვე იატაკზე მწოლარე შეილი გააღვიძა:

— ზურა, შეილო ზურა!

ჭაბუკი დაფეთებულოვით წამოვიარდა. მაგდანამ ნამძინარევი შეილი სინათლეზე გამოათრია, თითი მწოლიარე ენგიჩარისაკენ გაიშვირა და ხრინწით უთხრა:

— შეილო, აი მამა-შენი. მიდი. ნუ გეშინიან... ეგ არის, ნამდვილად ეგ არის. ღმერთმა დაგვიბრუნა, შეილო.

ზურამ გაოცებით გადაჰხედა არტაშანებით შეკრულ მამაკაცს და მერმე დედას დააშტერდა, თანაც ჰფიქრობდა, ხომ არ გააგიჟდომო. შავი ქვრივი კი დაეინებით იმეორებდა:

— მიდი მეთქი! უცხო ნუ გგონია. მამა-შენია, გუშინვე ვიცანი, მაგრამ არ გითხარი, რადგან მეგონა, მოკვდება მეთქი, და შენი შეშინება არ მინდოდა. ენგიჩარმა წამოწევა სცადა, მაგრამ ისევ ბალიშზე მიწვა და ესლა ამოიკენესა:

— მოდი, შეილო... მამა შენი ვარ.

ზურა ტახტზე ავირდა.

ამ დროს არსენამაც იპოვა დაკარგული ხმა და მძლავრად წამოიძახა:

— წყალი! წყალი, თორემ დავიწვი! ძმებო, წამოდექით! ძალო მაგდანამ ქმარი იპოვა, ოსტაბი კი ცეცხლში ჩააგდეს. ძმებო, უშველეთ, და მეც მიშველეთ, თორემ მეც იმასავით ვიწვი!

ყველანი დაფეთებით წამოცვიდნენ, არსენას კი ხელახლა წაუვიდა გული და ისეთი ბოღვა ამოუშვა, თითქო მართლა ცეცხლი გვიდებოდა. მარაბდელი ჰბორგავდა მღეროდა, იბრძოდა, ბრძანებულობდა და დაეობდა:

— მამა-ჩემო, დამიჯერე, სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!.. ისწიე ღონესა ჰქვიან, დასწიე უღონობასა.

დიდხანს ეკამათა ლეთისაეარს და მერმე სალაშქრო შემოსძახა:

— კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისააანი!

შემდეგ ბრძოლის ამბები გაახსენდა და ომახიანად შეუტია:

— სევასტი, დაჰკა! როსტომ, მიდი! ოლოლო! ოლოლო, დროშა გაშალეთ, დროშა! ძალო მაგდან, გაფრთხილდი! ერეკლე, ზურას უშველეს! *სტანკა* ტიქ-რიას მოუარე!

საღმე დოღი თუ გაიმართა, არსენაც ჩაერთა და დასძახა:

— ჰერი, ლურჯავ, ჰერი!

მერმე ურმული ჩალილინა და აღზევანისკენ გასწია:

— აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო...

გუშინწინდელიც მოაგონდა და შეშფოთდა :

— ვაიმე, დედა, ამას რას მოეცწარი! ქალებს ჰხოცავენ, ქალებსა!... დედები ბავშვებს ციკხლში ჰყრიან და თვითონაც ცვივიახ! თოფი გამიტყნეთ! ესროლეთ! კარბიჩ, ჩქარა, პუგაჩოვს დაუძახე! ოსტაპ, ნუ მირბიხარ, თორე ცეცხლში ჩაგა-გდებენ! ვაი მე დედაე! იწვის! დაიწვა! უშველეთ!

აი მარაბდელი გოგოლას და შაიორს შეეფეთა:

— ვაი დედასა, რა უბრალოდ ვილუბები!

ოძელაშვილი სამარეში ჰგდია, ზედ მიწა აყრია. ჰაერი არა ჰყოფნის და ლაპარაკის მაგიერ იხზობა, იგულდება, ხრიალებს და ლმუიხ. მერმე წელანდელი გაახსენდა და ენგიჩარს მიესალმა:

— გამარჯვება, ხოსიტაე! ვენაცვალე მაგდანას, ზურსაც, რა ცოლი და შვი-ლი გყოლია! შენი ჭირი მე, მარინეე! შეილო დათუნი! — და მეთევერ დაიძახა:

— წუალი, ძმებო, თორემ დაეიწვი და ცოდო ვარ! მიშველეთ!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

სამფენიმი ღვე ბრძოლის ველზე

ნ ბ ბ ვ ვ ე ვ ი

რობ ფრონტ

ყოველ წელს საერთო შეკრება სრულდება დივიზიის მანევრებით, სადაც ფრუნზელებმა უნდა გვაჩვენონ თავისი ტაქტიკური და პოლიტიკური მომზადება. ეს არის ჩვენი დივიზიის-წლიური სწავლებისა და საბრძოლო უნარიანობის გენერალური შემოწმება. ამ მანევრების სულ ათიოდე დღის წინადა ასეთივე მანევრები იშვიათი წარმატებით დაასრულა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ძირედ შემადგენლობამ.

ეს სასახელო მანევრები კარგათ ახსოვდათ ფრუნზელებს და ყოველი მათგანი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა სტალინელებს „ბრძოლის ველზე“. მათ იცოდნენ რომ ეს „ბრძოლის ველი“ არის გამოცდა, სადაც მან უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი რევოლიუციონური შეგნება, თავგანწირვა და მოქნილობა. ის უნდა იყოს მობილური, ამტანი და ამ მანევრების წარმატებით ჩატარებით მან უნდა დაუმტკიცოს გამძაფრებულ კლასიურ ბრძოლაში ჩაბმულ უცხოეთის მოძმე პროლეტარიატს თავისი საბრძოლო უნარიანობა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ თავისი ლაშქრობის 1-ლ დღეს მან გერმანიის პროლეტარიატის ლაშქრობის სახელი უწოდა.

ცვალებადელი

ამ მანევრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ცვალებადელ წითელ არმიელთათვის, რომელნიც ამ საერთო შეკრებაზე, რევოლიუციონური შეგნებითა და დისკიპლინით გამობრძნედილნი, ისევე დაუბრუნდებიან თავის ყოველდღიურ საბჭოთა საქმიანობასა და შრომას, ზოგი ქარხანაში, ზოგი კოლმეურნეობაში, ზოგი საბჭოთა აპარატში, ზოგი პარტორგანიზაციაში და ზოგი სადა და ზოგი სადა. წითელი არმიის სურვილია წარმატებით ჩაატაროს ეს მანევრები და მით დაამტკიცოს რომ, თუ მან მშვიდობიან პირობებში იცის დამკვრელობა და სოცილურეგობრება შრომაში სოციალისტურ მშენებლობის წარმატებისათვის, მას შეუძლია აგრეთვე საჭიროების დროს დასტოვოს დაზვა, ტრაქტორი, ხელი მოჭიდოს რარალს და დაიკვას ის მშენებლობა რომელსაც ის აქამდე ეწეოდა და, საერთოდ, ოქტობრის მონაპოვარი.



„ლოკაფი“

ყოველივე ეს გაითვალისწინა „ლოკაფი“ ღ რამოდენიმე მწკრივით მოგვამხარა დივიზიის სხვადასხვა ნაწილებში სამუშაოდ რადგან ყოველ ლეგონს, გარდა დივიზიის ძირედ ორგანოსი: „წითელ-არმიელისა“ და ახლა-ხან მანევრების გასამუქებლად გამოშვებულ „ფრუნხელისა“, აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანოები და ამას გარდა „ილინიოვები“, ამიტომ ჩვენს ჯარში ყოფნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა.

პოლიტგანყოფილება

პოლიტგანყოფილებას წინდაწინვე ჰქონდა გათვალისწინებული ამ მანევრების დიდი მნიშვნელობა, ამიტომ ის წინდაწინვე ეწყოდა აგიტაციას ხელმძღვანელობდა წინასწარ მოსამზადებელ პოლიტიკურ მუშაობას, რათა წითელარმიელებს ამთავითვე სკოდნოდათ თუ რას წარმოადგენს ის რაიონი პოლიტიკურად და ეკონომიურად სადაც მას მანევრების ჩატარება მოუხდება, გამოსცა პატარა ბროშურა სახელწოდებით: „შვეისწავლოთ ფრუნხეს დივიზიის 1931 წლის მანევრების რაიონის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა ეს წიგნაკი აძლევდა ყოველ წითელარმიელს მანევრების რაიონის მოკლე ეკონომიურ და პოლიტიკურ დახასიათებას და მართლაც ძლიერ გამოადგათ ჩვენს წითელარმიელებს, რაც შემდეგ საქმეზე გამოჩნდა.

სად ჩატარდა მანევრები

მანევრები ჩატარდა ალბულალ-მანგლისის რაიონებში. აქაური მცხოვრებლები შესდგება მრავალ ეროვნებათაგან და ეს ჭრელი მოსახლეობრივი (ქართველები, სომხები, გერმანელები, თურქები, ციგნები და სხვა.) და მეტად რთული სოციალური მდგომარეობა (მრავალია კულაკები და ჩარჩები) საუკეთესო პირობას წარმოადგენს წითელარმიელთა არამც თუ სამხედრო, არამედ პოლიტიკურ მომზადების შემოწნებისათვის.

ბანაკი

სექტემბრის 17-ს მწერლები გამოვცხადდით ბანაკში. ბანაკი ისე დიდია მოკულობითა და „მოსახლეობით“, რომ ორი დღეშეთის მოსახლეობას უდრის, ის ყველა ჩვენი მეორე რიგის ქალაქებზე მეტია თავისი სიდიდით და აი ეს „თეთრი ქალაქი“, რამოდენიმე დღის შემდეგ არ იქნება აქ. მე უნებურად გამახსენდა ვ. შკლოვსკის შენივნა იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა მომთაბარე მოსახლეობის ქალაქში ერთი ფინინსპექტორი სამუშაოდ, რადგან გვიან იყო, მუშაობა შემდეგი დღისათვის გადასდო და, მეორე დილას რომ გამოიღვიძა და გარეთ გამოვიდა, ხედავს, რომ მარტოა. მომთაბარენი იმ ღამეს აყრილან ახალი ბინა გაუჭენიათ და საწყალ ფინინსპექტორს, ალბათ, მრავალი ათეული კილომეტრების გავლა და ძებნა დასჭირდა, სანამ ამ მოძრავ დაბას მიაგნებდა

სამზადისი

ავჯალის ბანაკში საგამოცდო სროლაა; არტილერიის ცეცხლი გუგუნებს ყველგან, სადაც მთებს გადაღმა სასროლეთში ჰაერში სკნებმა ყუბარები და შტაბის წინ შეკრებილი მეთაურები ბინოკლით უთვალთვალბენ, თუ როგორ აღწევნენ ეს ყუბარები გამოპიზნებულ ადგილს. ჩვენც, მწერლები, ვსხედვართ იქვე და უცქერით ამ ცეცხლს და ყოველი ჩვენგანი გრძნობს, რომ ეს ჰაერი ეს სანახაობა უცხოა ჩვენთვის რომ ჩვენ აქ პლანეტებიდან ჩამოცვენილები ვართ და ამ სამხედრო ატმოსფეროში ეს სამხედრო დრამის აქტიორები ჩარლსტონის შარვლებით, ხუჭუჭა თმებით და განსაკუთრებით ეს აქტრისები არ ეხამებიან ამ იერს და რაღაც უსიამოვნო დისონანსივით იჭრებიან შიგ.

თმატრი

ეს მხოლოდ გარეგანი შეხედვით არის ასე, სინამდვილეში მათ მეტად საპასუხმგებლო მუშაობა აქვთ დაკისრებული. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან და, აღბათ, არც ერთ თეატრს არ უნახავს ასე უშუალო, ასე გატაცებული და ამდენი მაყურებელი, როგორც ამ თეატრს, ამ მხრივ ისინი ყველა თეატრებზე უფრო ბედნიერი არიან, მაგრამ ეს მდგომარეობა წარმოადგენს აგრეთვე საფრთხეს ხალტურამდე დაშვებისა, რისგანაც ისინი, უფრო კი წითელარმიელნი, უზრუნველყოფილი არიან, რადგან მათ ყოველ დადგმას ფხიზლად უთვალთვალბენ პოლიტგანყოფილება.

ბანაკში დიდი მოძრაობაა. მუშაობა. მწვერივად გაშლილი თეთრი კარვები გვირილებივით არიან დაფენილნი. იქ ტყვიამქვევები კაკანობს, აქ ავტოჯავშანო გუგუნებს, იქ კიდეც გარმონი ჭრიალებს, საიდანღაც ზურნის ხმაც ისმის. ცხენების თქარუნი, ქიხინი, ქვემეხების გრიალი და მოტოციკლების დაგა-დუგია... დაღამდა...

მთელი ბანაკი გადაბდღლიალებულია ელექტრო სინათლით და ამ სინათლებზე ჩამოფარებული კარვები უზარმაზარ აბაჟურებივით დგანან მიწაზე დაშობილნი. ყველგან სისუფთავეა და წესრიგი.

სამხედრო კოორეაციის სალაშქრო „რესტორანები“ საესეა ხალხით. ყოველ ლეგიონს საკუთარ ნაბეჭდ გაზეთს გაარდა, საკუთარი ესტრადა აქვს, ესტრადა ისეთი, როგორიც ბევრ ჩვენ დაბა-ქალაქებს შეეხარბემოდათ ყველგან მიღის საესტრადო ნომრები, კონცერტები, დივიზიის მთავარ თეატრში კი ვიწნეესკის ცნობილი პიესა „1-ლი ცხენოსანი“ შ. მანაგაძის დადგმით.

11 საათისათვის მთელმა ბანაკმა დაიძინა.

ხვალ დილით მანევრები იწყება.

სამტეხმარის 18

დილის 10 საათზე „წითლები“ დაიძრნ ბანაკიდან. 1-ლ დღეს სალაშქრო გადასვლის ამოცანა უნდა გადაიჭრას. ამ მარშს ანუ დაშქრობას ეწოდა გერმანიის პროლეტარიატის სახელი. ეს მაშინ წარმოადგენდა საბჭოთა ქვე-

უნისა და გერმანიის პროლეტარიატის იტერნაციონალურ მთლიანობას /დენ-
მო სტრაციას.

როცა წითელარმიელებმა შეიტყვეს, რომ მტკიცე უნების ჩვეულებრივი ლაშქრობა, არამედ ეს მარშია სტრუქტურის დროშის ქვეშ, საერთო ლოზუნგად „როტ ფრონტ“ გადაიქცა.

ბანაკიდან გასვლისთანავე ვადასწევიტეს, მიუხედავად ცუდი გზებისა და უღელტეხილების სიძნელეებისა, არც ერთი გამოსვლა წყობილებიდან, არც ერთი ჩამორჩენა, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი.

„წითლებმა“ იშვიათი დისკაპლინა, ამტანობა, ადგილმდებარეობასთან შეხამება, ყურადღება, დაკვირვება და დამშვიდებული მოქმედების უნარი გამოიჩინეს.

ვინაიდან ჯარი უწყლო რაიორებზე მიდიოდა „წყალის სასტიკი რევიმი“, ფუნზელების ლაშქრობის დამახასიათებელ ნიშნად ვადიქცა. ლაშქრობა ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. მზე სასტიკად აქურდა და ყველა ოფელში იყო გაღვრილი. წითელარმიელთა მწვანე ხალათები ოფლისაგან ქვიშის ფერი გახდენ, რახმეულები მტკერში იყვნენ გახეულები, მაგრამ ისინი მაინც მხნედ მიდიოდნენ. მთელი მათი ყურადღება, შორს, მტკერის ვადალმა ლურჯად რომ მთები მოსჩანდა, იქით იყო მიპყრობილი, რომელიც მათ უნდა აეღოთ კიდევ უფრო ძნელ პირობებში და ამიტომ კიდევ უფრო მეტის ენერგიით მიდიოდნენ წინ.

პირველი შობაკობა

როდესაც ავანგარდის ჯარი მიდიოდა უეცრად მთა ტახტებს იქით მარცხენა ფრთაზე გამოჩნდა მოწინააღმდეგის ცხენოსანი ნაწილი და წითლები-საკენ იერიშით გამოემართა, რომ გაენადგურებინა მძიებელი ნაწილი, მათი სურვილი იყო შეტეფერებინათ ლაშქრობა და მით შთავარი ნაწილები არა ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩაეგდოთ. ლურჯების ცხენოსანთა სურვილი იყო „გაენადგურებინა“ მძიებელთა ასეული. მდგომარეობა კრიტიკული იყო, მაგრამ ინიციატივამ გაიმარჯვა. ოცეულის მეთაური ანზ. რუხაძე არ დაიბნა. მან თავისი მებრძოლებით ფრთაზე მოუარა მოწინააღმდეგეს და მოულოდნელათ გვერდიდან დაპკრა. მოწინააღმდეგე დაიბნა, რიგები აერდაერია და უაჟსეულ იქნა.

შემდეგ, როდესაც რკინის გზის ლიანდაგის პირად საგაჯო ჩიხთან დამდგარ ავანგარდის საველე შტაბში ტყვე ცხენოსანი მოიყვანეს, ცხენოსანი აღელვებული იყო თავისი სირცხვილით და თავს უხერხულად გრძნობდა.

— ეეს, ფეხით ვიყავი ზვერვაზე თორემ რას ჩავივარდებოდი თხელში! — აღმოოხებით აღმოხდა მას.

ჯარი განაზრდობს ლაშქრობას.

ამ თავდასხმით ლურჯებმა ერთ მიზანს მაინც მიიღწიეს, მთავარი ძალე-ბის, მსგელლობა შეაფერბეს.

ფრუნზელებს მიჰყვებოდა ტეხნიკური ნაწილები, ჯავშნოსნები და არტილერია, რომლნიც მწვანე ტოტებით იყვნენ აღვილმდე ბარეჯანასთან შეხამებულნი. მთელი ეს ლაშქრობა ავიაციის თავდასხმის შედეგად მიემართებოდა დანიშნულ ადგილისაკენ.

კლასდარში

წინ მდინარესაკენ, სოფ. ს.-ს მახლობლად გავზავნილ იქნა ავტო-მექა-ნიზაციის მნილი რაზმი. ის თავისი სისწრაფით მოულოდნელად დაატყდა „მტრის“ ჯგუფებს მდინარის გამოღმა ნაპირას. ჯავშან მანქანების ცნობაზე მტრის არსებობის შესახებ, მანქანებზე მოთავსებული ქვეითი ჯარი ხევში შენიღბულ ადგილას ჩამოქვეითდა და შეუტია მოწინააღმდეგეს. ჯავშანმანქანებმა მოხერხებულ მანევრით და ფრთაში დარტყმით-აიძულეს მოწინააღმდეგე მდინარის მარცხენა ნაპირი დაეტოვებინა.

ტყვიამფრქვევთა ოცეულის სამაგალითო მეთაური

განსაკუთრებით კარგა მოქმედებდა ტყვიამფრქვევთა ოცმეთაური ამხ. ჯანელიძე. მას მოხერხებულად გადაჰქონდა ერთი წერტილიდან მეორეზე ტყვიამფრქვევები, მარჯველ გაჩენილ ცეცხლით მედგრად იცავდა თავის ქვეითებს და ასეთი ზუსტი მოქმედებით მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევები ჩააჩუმა.

ეს ოცეული მანძილის განსახლერითა და ტყვიამფრქვევთა ზუსტი დაყენებით უღმობელად ანადგურებდა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან წერტილებს.

მოხერხებული ზღუდეს ამოფარებული, დიდ დახმარებას უწყედა მოიერიშე ოცეულებს და ასეთი მოქმედებით მოწინააღმდეგე, მთლად განადგურა. ამ სარაზმო საბრძოლო სროლამ იშვიათი შედეგი მოგვკა და შემომომწმებელმა ეს მოქმედება საუკეთესოდ სცნო. ამ სროლით მათ დაკისრებული ამოცანა სწორედ გადასწყვეტეს და დამტკიცეს რომ ცვალებადელნი თავისი საბრძოლო ღირსებით არაფრით ჩამოუფარდებიან კადრის წითელარმიელებს

მესანგრენი

მესანგრეებმა ბანაკიდან გამოსვლის-თანავე გადმოისროლეს ლოზუნგი:

ფრუნზელი მესანგრენი არ ჩამორჩენ სტალინელ მესანგრეებს!

ამ ლოზუნგით ხელმძღვანელობდენ ისინი თავის მოქმედებაში და ეს ლოზუნგი იყო მათი სოცხეჯიბრების მთავარი მამოძრავებელი ბიძგი.

ღ ა მ ი

მი აღწიეს თუ არა მტკვრის მარცხენა ნაპირას, მაშინვე შეუსვენებლივ შეუდგენ შემობას. იქვე ხელდახელ გადმოტვირთეს მომარაგებული და გამზადებული ხეტყის მასალა, გაშალეს ნავტიკ „A—2“-ს ბრეზენტი და შეუდგენ მათ ბერკას.

ბნელა.

წითლები საბჭოთა მამულ № 1-ში დგანან.

მდინარის პირად ბალია, ბოსტნები და ხეხილი. ამ ხეებს ამინდარსული მესანგრენი მუშაობენ მწყობრად, გამოზომილად, მათემატიკური სისწორით, არც ერთი მოძრაობა ზედმეტი, არცერთი სიტყვა, არცერთი გაზმაურება, რადგან შეიძლება ამით მოწინააღმდეგის ყურადღება მიიქციონ და მით ერთი მთავარი ამოცანათაგანი, ჯარის მარჯვენა ნაპირზე გადასროლა, ჩაშალონ. როდესაც მესანგრეთა მეთაურმა შტაბიდან ბრძანება მიიღო, ის შინელწამოფარებული ჩაჯდა მოხერხებულ ადგილას და ასე, ასანთის სინათლეზე, კითხულობდა ბრძანებას.

მალე ნაეტიკებიც უზარმაზარ ფაშეებივით გაიბერენ და ეს ძეხვებივით დახვეული ნავეები ჩაუშვეს მდინარეში. მესანგრენიც თავის დაუზოგავად ჩადგაფუნდენ კისრამდე წყალში და მაშინვე, წუთის გაუცდინელად, შეუდგენ დამკვრელი ქვეითი ათასეულის გადაყვანას. ერთ საათში დესანტი უკვე მარჯვენა ნაპირზე იყო გადასროლილი. მესანგრეთა მიერ შენიღბვა იწვეითი სიზუსტით იქნა შესრულებული. მენავეები მიდი-მოდიან გაღმა-გამოღმა, იქ, მდინარის მარჯვენა ნაპირიდან, ისმის, სროლა აწაწკანდენ ტყვიამურქვევები, ეს ჩენი ვაღმა გადასროლილი წითლების ნაწილები უტყვენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ამოცანა ჯერ კიდევ წინაა. მესანგრეთა ორი ნაწილი ნაეებზე მუშაობს, ერთი იქვე საბჭოთა მამულის სადგომის მახლობლად, მეორე ქვემოდ, მამულის ბოლოში, კილომეტრ ნახევრის მანძილზე, მთავარი ამოცანა მესანგრეთა მესამე ნაწილმა უნდა გადასწყვიტოს, რომელნიც ტფილის-ერევნის რკინისგზის „აფეთქებულ“ ხიდის მახლობლად მუშაობენ. მათ ახალი ხიდი უნდა ააგონ, ხიდი ისეთი რომ დივიზიის ეს ავტოჯავშნოსნები, მძიმე არტილერია და მამარგულნი იქნას ზედ გადაყვანილი.

ხ ი დ ი

ლამის 1-ლ საათზე დაიწეს მათ ხიდის აგება, რომელზედაც არტილერია უნდა გადავიდეს და აგრეთვე ავტო-ჯავშნოსნების დიდ სიმძიმესაც გაუძლოს.

ეს მძიმე ამოცანა მესანგრეებმა სულ მცირე ხანში შეასრულეს. დილის ოთხ საათზე ხიდი მზად იყო. ნაეტიკის-14 ბურჯი ზუსტი თანრიგით მისდევდა ერთი მორეს. ხიდი ლარივით სწორათ იყო გადასალტული მდინარეზე. საათის ოთხიდანვე დაიწყო ზედ ნაწილების გადასვლა. დილის 5 საათზე ხიდი განთავისუფლდა. ჩვენ, რამდენიმე მეთაურმა შტაბიდან და ამ სტრიქონების დამწერმა ვისარგებლეთ შემთხვევით და ზედ გადაველით ცხენებით. უცქერ ამ ხიდს და გაოცებაში მოდიხარ როგორი სისწორე, გაწაფვა და კოლექტიური ერთსულოვნება, როგორი გამოცდილება და დაკისრებული საქმის სიყვარული იყო საჭირო, რომ ასეთი შესანიშნავი ხიდი აგებულყო, ისეთ პირობებში, როცა „მტერი, გკემს, არც ხმამაღლა ლაპარაკი; არც ხმაური და, მით უფრო განათება, არ შეიძლება და მუშაობ ამ სიბნელეში დამუნჯებული და ბრმა. მის აშენებაზე 120 კაციის მაგიერ 70 კაცი მუშაობდა და ხიდი მაინც შეუფერხებელივ გაი-

მართა დანიშნულ დროისათვის. ასეთი ხიდი ჯერ კავკასიაში არც ერთ სამხედრო ნაწილს არ აუშენებია. უწინაც უცდია ამ დივიზიას ასეთი ხიდის აგება, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიულწევია. ეხლა ეს ამოცანა გადაჭრულად დაამწივრებინა. ფრუნზეს სახელობის მე—2-ე ქართული დივიზიის მესანჯრებში კიდევ კადგალი დაიჭირეს კავკასიის არმიისაში.

პარტიულები აქაც პირველ რიგში იმყოფებიან. თავდავიწყებული მუშაობით ისინი ნავალითს აძლევენ ამხანაგებს. ყველაზე შესანიშნავ სანახაობას ხიდი მაშინ წარმოადგენდა, როდესაც ზედ ავტოჯავნოსნები შედგენ და ბურჯებზე გაწოლილი ლარტყვი ტიპყელასავით იზნიჭებოდა, მაგრამ მაინც არ დარკებოდა და უძლებდა ამ უზარმაზარ ვეშაპების სიმძიმეს.

კვამლის ფარდა

ჯარის გადასვლაც მტრის უხილავად უნდა ჩატარებულიყო, რადგან მოწინააღმდეგეს შეეძლო ხიდი შეეშინა და აეფეოქებინა. მის დასათარავად აშენებული იქა კვამლის ფარდა და მთელი მდინარე სამი კილომეტრის მანძილზე დაფარული იქნა ამ ფარდით. აქაც გამოიჩინა ტენზიკამ თავისი ძალა და ქიმიურ ნაწილებმა გვიჩვენეს თავისი სათანადო გაწვრთნა ამ მეტად საბასუხისმგებლო საქმეში. ამ გვარად ამ ახალმა საშუალებამ სრულიად გააუქმა ის ძველი კვამლის სათლემბი, რომელითაც უწინ სარგებლობდნენ ასეთ შემთხვევაში. 1—ნახევარ საათში წითლები უკვე მტკვრის მარჯვენა ნაპირას იყვნენ.

კვალ-და-კვალ

წითელები კვალ და კვალ მიჰყვებოდნენ ლურჯებს, მაგრამ ლურჯები პირდაპირ ბრძოლას თავს მუდამ არიდებდნენ.

—სანამ უნდა ვდიოთ ასე?— ჰკვირობდნენ ბრძოლის ეინზე მოსული წითელები

—აღბათ, მალე სტამბოლშიც ჩავალთ და „მტერს“ კი ვერ ვნახავთ!— ხუმრობდნენ წითელარმიელები.

მთელი ამ დღის ლაშქრობის განმავლობაში წითლებს მოწინააღმდეგის მხოლოდ მხვერავ ნაწილებთან უხდებოდა შეტაკება და აქ ერთმა ნაკლმა იჩინა თავი: იმის მაგიერ რომ აღმოჩენილ მოწინააღმდეგეს წითლების მძიებელი რაზმები და ავანგარდი აღმოჩენისთანავე ბოლომდე დასდევნებოდა, მათი ცეცხლი გამოეწვია და მით ლურჯების გამაგრებული პუნქტები და ძალა გამოემეღანებინა, ისინი მოწინააღმდეგის მხვერავ ნაწილების მხოლოდ უკუქცევით კმაყოფილდებოდნენ და დატოვებულ ადგილს იკავებდნენ. ამის გამო წითლებმა ბრძოლის უკანასკნელ მომენტამდეც კი არ იცოდნენ თუ სად იყო ან როგორ იყო განაწილებული მოწინააღმდეგე, რომ უფრო ზუსტად დაერტყათ მისთვის, ამას გარდა ავანგარდი თავის მთავარ ძალას მეტად იყო მოწყვეტილი. ის 3 კილომეტრით იყო დაწორებული მთავარ ძალას და ამის

გამო მათ შორის არ იყო მტკიცე კავშირი და ამიტომ სწორი ხელმძღვანელობაც შეუძლებელი შეიქმნა. ამის ბრალი იყო რომ ამ დღეს, სექტემბრის 19-ს, შუადღისას, როდესაც ავანგარდი მირზოევის თელეთს გასცდა, მათი თელეთის ერთერთ მზევრავ ჯგუფს ისევ თავისიანებმა გაუჩინეს ცეცხლი, რაც მალე ბქნა გამორკვეული და მდგომარეობა გამოსწორებული. კავშირი ყველა ნაწილებ შორის უფრო მჭიდრო უნდა იყოს და მათი მართვა პეტაურის მიერ მუდმივი და სწორი. ასეთივე შეცდომა იქნა დაშვებული მეორე დღესაც. ავტოდივიზიონი მეტად გაიტაცა ბრძოლის ენმა, „მტერს“ დიდ სიღრმეში შეეჭრა და ამის გამო ისინი დიდი ხნით დასცილდნენ დივიზიას და მათი სწორი მართვაც მოუხერხებელი შეიქმნა.

„ტაქეები“

ამ დღით ტექნიკის ავტაციის ლოზუნგით გალაშქრებულმა ავტოჯავნოსანთა დივიზიონის მე-2-ე ოცეულმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვა, ხელთ იგდო მოწინააღმდეგის 3 ქვემეხი, 2 მძიმე ტყვიამფრქვევი და 2 ქვეითი ათეული. ამავდეს ლაშქრობის დროს № ლეგიონის მე-9-ე ასეულმა მოწინააღმდეგის მთელი ასეული გამოიქვანა წყობილებიდან ნაწილ-ნაწილად.

**ინგლისის მიხედვითა ბრძოლა
ინვალიაღიზის წინააღმდეგ განამტკიცოთ
შებამთი ბრძოლის საუკეთესო შეხარულებით!**

მთელი დღის გამავლობაში, აუტანელ სიძებში, სრული საკუთრებით დატვირთულმა ჯარმა მხნედ გაიარა 20 კილომეტრი სალაშქრო პირობებში, მიღწია სოფ. კოდს და „მტერს“ მაშინვე ცეცხლი გაუჩინა შეუსვენებლივ. მიუხედავად დაღლილობისა, ისინი მხნედ იბრძოდნენ. ეს დღე იყო დღე ლოზუნგისა: ინგლისის მებრძოლეთა ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ განამტკიცოთ შეტევითი ბრძოლის საუკეთესო შესრულებით.

გაზეთები.

მანევრების განმავლობაში წითელარმიელები სისტემატიურად იღებდნენ ტფილისის გაზეთებს და აქვე გამოდიოდა მანევრებისათვის სპეციალურად გამოცემულ დივიზიის გაზეთი „ფრუნელი“, ამას გარდა ყოველი ცალკეული ლეგიონი სცემდა „ამერიკანაზე“ დაბეჭდილ მრავალტირაჟიან გაზეთებს. გამოდის ხელნაწერი „ილიჩოვეში“ და ყოველ მოხერხებულ ადგილას გამოფენილია ფანერებზე გაკრული და წითელარმიელები თუ მიწიხეა გაშლილი, წამოწოლილი და, თუ ფურგონზეა, ფეხად, კითხულობენ ამ საკუთარ პრესას, სადაც მათი ყოფა გაშუქებული. სოფელ კოდში ერთ ქობში სდგას სალაშქრო სტამბა, ასოთამაშობები და რედკოლეგია გახურებული მუშაობენ.



ქართული
წიგნიერების
კავშირები

ამხანაგებს ათათბირებდა:

რათ გვინდა დამკვრელობა და სოცშეჯიბრი

აქ ერთი წითელარმიელი აღმოჩნდა, რომელიც

—რის დამკვრელობა, რა სოცშეჯიბრი!... რათ გვინდა ის, როცა არც ერთსა და არც მეორეს ქარბანაში, სადაც მე ვმუშაობ, ხეირი არ მოუტია?

მაგრამ შეგნებული წითელარმიელები წამოეხვივნენ მას ასეთი პროვოკაციული გამოსვლისათვის და შეუტყეს:

—ეე, ეე, აქ ნუ აბნელებ ერთი და!...

—ბრმა უნდა იყოს კაცი,—ცხარობდა მეორე.—რომ ამ ლოზუნგების მნიშვნელობა ამდენ ხანს ვერ შეგვნოს!...

—საწყალი ის ქარბანა, სადაც შენ მუშაობ!—წამოაწია სიტყვა მეორეს მესამემ.

—ეცით, ამხანაგო, კარგად ვიცით, თუ რომელ ქარბანას არ დააყარა ხეირი ამ ლოზუნგებმა და აბა, ერთი, თუ ძმა ხარ, ეგ შენი ქარბანა მალე მიტეცე!—შემოუტია ისევ პირველმა.

წითელი არმია სოფლად

სოფელ კოდში, სადაც სამხედრო ნაწილები იდგა, ჯანსახკონის მიერ საექიმო პუნქტია დანიშნული, მაგრამ ექიმი არ არის. ამიტომ დივიზიის მდებარეობის, შთელი დღის ლაშქრობის გამო დაღლილობის მიუხედავად, მაინც უწყვედა მოსახლეობას საექიმო დახმარებას. ბეთლებიც შეეფინენ სოფელს და ვის ხარი ჰკავდა ავად, ვის ცუხენი, ყველას ზმარებოდენ უსასყიდლოთ. წითელარმიელები კი ადგილობრივ მოსახლეობაში ეწყვიან აგიტაციას, გლეხები თავდახრილი უგდებენ ყურს და ნიშნად კმაყოფილებისა თავს ნელა იქნევენ.

მტარს არ სძინავს

სოფ. კოდი

წითელარმიელები ადგილობრივ გლეხს ესუაბრებიან. მათ პოლიტიკანუფილების ბროშურით იციან, რომ აქ კოლექტივი არსებობს და მისი ბედი ეინტერესებათ.

—როგორ მუშაობს აქ კოლმეურნეობა?—ეკითხება ერთი მათგანი გლეხს.

გლეხმა ჯერ უბერხულად იგრძნო თავი, წითელარმიელს ერთი დაეცვებით შეხედა, მზრები უშნოდ აიჩეჩა, ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა, თავი მოიძულოს და დაიწყო:

—რაღა-როგორ მუშაობს! ამას განა კითხვა უნდა? ეს მუშაობა აბა მუშაობაა? სულ თორმეტიოდე კაცი დარჩა შიგა და ისინიც არაფერს აკეთებენ. მთელი დღე აყალმყალს უნდებიან. რა კოლექტივი, რის კოექტივი. თორმეტი კაცის კოლექტივი რის კოლექტივი?—დაასრულა თანდათან წათამამებულმა

გლებმა თავისი თარსული სიტყვა, როცა შეატყო, რომ ყურადღებამ უსმენდენ და იფიქრა: ეს არის ჩემი მარაქა ვიშოვეო.

ის წითელარმიელი მაინც არ უსვენებს და შეკითხვას შეკვეთავს—აქლევს.

— ე, რა ყოფილა, თქვენი კირიმე!—ჭუქრობს, ალბათ გუნჯაქაძე კლუბი და მხად არის ყველა კითხვებს ისე უპასუხოს, როგორც მისთვის არის საჭირო.

— არა ამხანაგო,—მოუკრა ბოლოს სიტყვა ისევ წითელარმიელმა,—შენ რაღაც შეეცდომი ხარ შესული! აი ამ წიგნში სწერია, რომ აქ 190 კომლისაგან 84 კომლი კოლმეურნეა და 10 შავსიელი. მაშ რომელ თორმეტ კაცზე ლაპარაკობ?—არ ცხრება „ე ვასატიანებელი ბიჭი“.

გლები გაოცებული თვალებით იცქირება წიგნში და ფიქრობს:

— რა ხალხია ეს კომუნისტები! როგორ მისხლით მისხლამდე იციან ყველაფერი!—მაგრამ უღური მაინც არ გაიტება.

— ჰო—და, საქმეც შავაშია რომ ტყელია ტყელია მაშა!..—განაგრძობს იგი აგიტაციას, მაგრამ დიდიხანს არ დასცალდა. თურმე იქვე მახლობლად აქაური გლები კოლმეურნე იდგა და ყურს უგდებდა, უსმინა, უსმინა და, როცა ამ გლებმა თავისი საზე საბოლოოდ გამოამგლავნა, ვერ მოითმინა და შეუტია:

— ეე, ეე, რას მიუდ-მოედები! შენ კიდევ არ მოიშალე ეგ შენი ოინები! არაფერი მაგას არ დაუჯეროთ, ამხანაგო წითელარმიელებო, წიგნი კი არა, თვითონ ეგ სტყუის!.. მიუბრუნდა იგი წითელარმიელებს.—გლები არ გვეგონოსთ, ეგ შავსიელია და კოლექტივის მტერი და აბა ყოფილი მამასახლისი და კულაკი რას იტყვის კოლექტივზე კარგს?

კულაკი აიძურწა და უკმაყოფილო ბურდღუნით მოშორდა წითელარმიელებს.

კულაკი არ სცხრება

სოფელი ბარბალო.

წითელარმიელებს ადგილობრივ გლებთან ბაასი აქვთ.

გლები ჯაგველაა, მკვრივი და მოხვერივით დაბალ და ოთკუთხიან შუბლ-ქვეშოდან შავ თვალებს მაცდურად აელვებს.

— როგორ მიდის სოფელში საქმეები?—ეკითხებიან ფრუნხელები მაგრამ ეს გლები იმ კოდელ გლებით კვიანი არ აღმოჩნდა და პირდაპირ დაადგა აგიტაციის გზას:

— რაღა როგორ ვცხოვრობთ, შენი კირიმე, შეგვკამეს შეგვკამეს და ეს არის ამ მუქთა-ხორებმა! ეხლა სოფელი განა სოფელია? ვალატაკტა, დაღარი ბდა. ი კოლექტივებია, თურაღაც ეშმაკი, იმან დაღუპა გლების საქმე! არავის ე კოლექტივი არ უნდა. აბა რა გულით უნდა ვიმუშაო იმ მიწაზე, როცა ვიცი, რომ ჩემი არ არის. სადაც არ ვიყავ, გლებები ყველგან სჩვიან.—არ სცხრება იგი. აუშვა და აუშვა დალოცვილი ენა ბრიყულად.

— არა, ამხანაგო, შენ სცდები!—ეუბნება წითელარმიელი.—აი მე თვითონ გლები ვარ, კოლმეურნე და ვიცი რომ ჩვენ სოფელში, გარდა კულაკისა, ყველა კმაყოფილია.

— რამდენი ხანია, რაც სოფლიდან წამოხველ და ჯარში ხარ? — კითხვება გლეხი, რაზედაც წითელარმიელი ერთი პირობა შეეცადა, არ ესმის / თუ რათ შეაბრუნა ასე უცებ გლეხმა ბაასის გეზი, მაგრამ მაინც უნდა შეეცადოს.

— ორი წელიწადია.

— ჰოდა, ამ საქმეც მავაშია, რომ ორი წელიწადია! აბა ეხლა ჩადი იმ შენ სოფელში და ნახე რა ამბავია. ორი წლის წინად მეც შენსავით ვლაპარაკობდი, მაგრამ მას შერზე ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა და ბევრი აბავი მოხდა. ის შენი ნათესავები და მეზობლები, მაშინ რომ შენსავით ლაპარაკობდენ, აბა ერთი ეხლა ჰკითხე რა გუნებაზე არიან? მგონი, კოლექტივის ხსენებაზე სულ ელეთ-მელეთი მოსდით.

წითელარმიელი მაინც არ ეშვება და უნდა ღდინამდე ჩასდიოს ამ ეპეტატონს.

— არა, ამხანაგო, ამ რამოდენიმე ხნის წინად შეგებულებაში ვიყავ და ჩემი თვალთ ვნახე, რომ ყველა-კმაყოფილია ისიც ვნახე, რომ შენა და შენისთანები მტრის ბანაკში სხედან და წყალს ამღვრევენ. შენ, იცი, როგორც ლაპარაკიდან გეტყობა, ან და ამას რა დიდი შეტყობა უნდა, კულაკი უნდა იყო?

მართლაც ეს გლეხი კულაკი აღმოჩნდა.

ასე მუშაობდენ წითელარმიელები გლეხებში. და აქ მათ სინებდრო განოცდასთან ერთად პოლიტიკური გამოცდაც ბრწყინვალედ დაიჭირეს.

სამხატვრო

აი მივდივართ მე და ერთი მეთაური მოწინავე პოზიციაზე.

შუადღის 11 საათია.

მზე აუტანელად აქტერს და ამ მელოტ ადგილებში არსად ჩრდილი არ არის რომ ეაცმა თავი შეაფაროს და, რომ იყოს კიდევაც, ვის სცალია ახლა ჩრდილში განცხრომისათვის? ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს. ერთ საათში წითლებმა ან უნდა გაიმარჯონ ან და დამარცხდენ. წითლებს გადამწყვეტი იერში მიაქვთ შუაგორაზე. ამ შთის აღების შემდეგ ლურჯების ბედიც გადაწყდება. ისინი სოფელ ასურეთში არიან გამაგრებულნი. აქედან მოსჩანს შთაზე შეფენილი სოფელი, კალთებს შთა შუაგორა ეფარება. ისმის ხარბანების გუფუნო, ტყვიამტრქევეები რატრატით ჰკრეივენ სიერცეს „ამაშინი ემენ“ ჰაერს, როგორც ახლანდელი მკერავი იტყობა. 3 ხაზიანი შაშხანები ტაკუნობენ ისე, თითქოს მის ლეღის პირზე მიკრული ჰაერი სკდება.

ყველა მიწაზეა გაკრული, მომენტი შეტად სერიოზულია და ყველას ყურადღება იქეთკენ არის მიქცეული, რომ რაც შეიძლება ზუსტად იქნას შესრულებელი დღევანდელი ამოცანა და მით ეს მანევრები სასახელოდ დასრულდეს. და აი ასეთ დროს ვხედავთ, ვილატა წითელარმიელი „დაკატავებულ“ შაშხარაზე გულით არხეინად დაწოლილა, თან არავითარი იარაღი არა აქვს, წინ დივიზიის პოლიტგანყოფილების სამანევრო ბროშურა გადუშლია და ხან კითხულობს, ხან იწერს რალატას. ირგვლივ კი წითლები მუცლით მიხობავენ და „მტერს“ უტყვენ.

გაგვიკვირდა ამ კაცის საქციელი, რომელიც სამხედრო დანახაულს უღრიდა.

მართლაც თავს ისე წაეადექით, რომ არაფერი გაუგია. *მარკინული*

— რას შვები აქ, ამხანაგო?— ეკითხება ჩემი თანამგზავრი *მარკინული*

წითელარმიელი ისე იყო გართული, რომ უცერად ამ მოულოდნელ შეკითხვებზე შეკრთა, ზემოდ ამოგვხედა და, იცნო თუ არა, ფიცხლავ წამოდგომა გააპირა, მაგრამ მეთაურმა ნება არ მისცა:

— იწევი... იწევი... რა არის ეგ, რომ სწერ?

— „ილიჩოვკის“ დღევადელ ნომერს ვამზადებ.— უპასუხა მან და თან თავს უხერხულად გრძნობდა რომ ასე წამოწოლილი გველაპარაკებოდა.

ამ პასუხზე მეთაურმა შუბლი შეიკრა.

— სად არის შენი შაშხნა?— ეკითხება იგი უკვე გაგულ ისებული.

— ბანაკში დავტოვე.— მიუგო დაბნეულმა წითელარმიელმა.

— როგორ თუ ბანაკში დასტოვე? აქ გადამწყეტრი ბრძოლაა და რა დროს „ილიჩოვკა“, განა ეხლა წერის დროა?

— არა, ამხანაგო მეთაურო, — უპასუხა წითელარმიელმა. — ღლეს ავით გაეხდი და ეტიმმა მწყობრიდან გამანათავისუფლა, თოფი ჩამომართვეს, მაგრამ გულმა არ მომიტოვინა და ამხანაგებს მაინც გამოგყევე. თან ბრძოლას უცქერი და, დრო ტყუილა რომ არ დავკარგო, თან „ილიჩოვკის“ ვწერ.

ნათგული წითელარმიელი

იყო ასეთი შემთხვევა, და განა ერთი და ორი?

მოკავშირე წათელარმიელ სტელეფონის კაბელი გაჰყავს თვალმადევნ პუნქტთან, ჩქარობს, აღმართზე ისე მირბის, რომ სულს ძლიეს ითქვამს.

— ნელა, ამხანაგო, ნელა! დინჯათ იმუშავე და ენერგია შემოიზოვე. — ურჩევს მას შტაბის შემადგენლობის მეთაური. წითელარმიელმა, სიჩქარეში, ერთი საყვედურით ახედა ამ ახირებულ კაცს, რა დროს მოსვენებაო, სიჩქარეში მეთაური ვერ იცნო და შეუტია:

— ერთი მოგცლია შენც! თუ მოცლილი ხარ, რამე სხვა საქმე მონახე. ჩემი გულისათვის რომ საქმე დაბრკოლეს, სად გამოვეყო მერე სირცხვილით თავი? — და სიტყვის დათავებაც ვერ მოასწრო რომ შეხამებულ ადგილას გადიბრინა და ახაკუნდა გულზე დაკიდებული კოჭა და ტელეფონის კაბელი გაწეა მიწაზე შავ ზოლად.

26 კომუნარტა სახელოვის გადაწყვეტი იერიში

სექტემბრის 20.

„მტერი“ სოფ. ასურეთის წინ ჩამოფარებულ შუაგორაზეა გამაგრებული ლურჯები შედგრა და გონივრულად იცავენ თავის პოზიციებს. მათი მოწინავე ჯარები სოფ. მუხათში და ბარბალოში იყვნენ გამაგრებულნი, საიდანაც ისნი უკუტყუელნი იქმნენ წითლების მიერ და ასურეთის წინ გაშლილ მთებზე გამაგრდნენ, სწორედ რომ გაშლილ მთებზე, რადგან შუაგორა და სხვა სიმაღლეები საკმაოდ მაღალ ვაკეებს წარმოადგენენ.

პეწინაპეწი

ვინაიდან მოწინააღმდეგის დაზვერა არ იყო სწორად დასრულებული ვერაფრით ვერ გამოსწორდა, ამიტომ წითლებმა ბრძოლის წინ დასსწორებთაც არ იკოდენ „მტრის“ საზებდრო ძალების განაწილება. ეტყობა, მოწინააღმდეგეს ვათვალწინებული ჰქონდა, რომ სტრატეგიული კანონით, წითლებს ლურჯების მარცხენა ფრთაზე უნდა დაერტყათ, რადგან მარჯვენა ფრთა უფრო გაშლილი იყო და წითლების მოსაზრებით სწორედ ეს ფრთა იქნებოდა ძლიერად გამაგრებული და მარჯვენა ფრთა, რომელიც ბუნებრივად იყო დაკული, ისე არ იქნებოდა გამაგრებული. მაგრამ წითლები მოსტყუდენ. ისინი სწორედ ისე მოიტყენ, როგორც ეს ლურჯებს ჰქნდათ ვათვალწინებული და ეს თავისი მარცხენა ფრთა კიდევ უფრო გამაგრეს.

წითლები პირველ იერიშისთანავე მიხედნ თავის შეცდომას და მაშინვე დილის 6 საათზე დაიწეს ძალთა გადაჯგუფება თავისი მარჯვენა ფრთიდან მარცხენა ფრთაზე. ეს მეტად რთული ამოცანა, ისიც იერიშის დროს იშვიათი დისციპლინითა და წესდებებით იქნა შესრულებული. მარჯვენა ფრთა ლურჯებს მათეულხლოართებითა და ფუტკასებით ჰქონდათ გამაგრებული და სანგრებიც შეხამებული კარგათ ჰქონდათ ისე, რომ „მტრის“ ამ ისედაც ბუნებრივად გამაგრებულ პოზიციებიდან ამოგდებდა ყოველად შეუძლებელი იყო, თუ მას მარცხენა ფრთიდან არ მოუარდი. დედამიწა სკდებოდა ფუტკასებისა და ხალმების გუგუნში და ბელტებსა და კვამლს აფურთხებდა ამ მოწინდელ ცას.

და იი წითლების მიერ ჯარების გადაჯგუფებამ ვადაწყვიტა ბრძოლის ბედი და შეადლის 12 საათისათვის ბრძოლა წითლების გამარჯვებით დასრულდა.

ლურჯები

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, დიდი თადაცვის უნარი გამოიჩინეს ლურჯებმა ამ ბრძოლაში. ისინი თავგადმოვებით იკდატდენ თავის პოზიციებს, თუმცა მათ უფრო კარგად შეეძლოთ გამაგრებოლიყენენ. ამისთვის მათ საკმაო დროც ჰქონდათ და შესაძლებლობაც.

შუაგორა

ბრძოლის დასრულების შემდეგ მეთაურთა შემადგენლობისათვის მოეწყო ბრძოლის ადგილზედვე მანევრების გარჩევა. 1-ლი სიტყვა მანევრების პოლიტიკური გარჩევისათვის ამხ. უგულავამ წარმოსთქვა, სადაც მან აღნიშნა წითელარმიეთა მიერ პოლიტიკური გამოცდის ბრწყინვალედ დაქერა და განაცხადა რომ მანევრების განმავლობაში არცერთ, არც დისციპლინალურ და არც სამხედრო დანაშაულს, ადგილი არ ჰქონია. მე-2-ე სიტყვა მანევრების ხელმძღვანელმა ამხ. ბუაჩიძემ წარმოსთქვა სადაც მან აღნიშნა მანევრების ყველა ღირსებები და ნაყოლოვანებანი, რის შემდეგ მეთაურები დაბრუნდენ თავის უკვე დაბნაკებულ ნაწილებში.

ისეც ბანაკისაკმე.

იმევე საღამოს 9 საათზე მთელი დღეიზია დაიძრა ბანაკისაკენ. ღამე სოლანლულში ვათია და შეადლის ორ საათზე ტფილისზე ჩამოიარა, სადაც მას მთავრობა და მოსახლეობა ზეიმით შეეგება.

შემდეგ ისინი პირდაპირ ბანაკისაკენ გაემართენ.



ა რ ა უ მ ნ ღ ა ს
 ღ ა ს ა ს რ უ ლ ი

6 6 6 3 3 1 3 0

სოცედილმ თქვა: „ზღვა-ზღვა წამოყვებ, ზღვა
 ჩქვით წამოვიარე,
 შევემაზე ლურჯი აქლემი, ხმელეთი წამოვიარე,
 ზღვსურული

1.

თენდება.

პლენაროვის პროსპექტზე ვდგევარ და ვუცდი ტრამეის. ვჭკარობ. არ მინდა რომ მატარებელზე დამიგვიანდეს. ტრამეია კი, თითქოს ჩემი ჯიბრი ჰქონდეს, იგვიანებს. ქუჩაში არაფერ არა ჩანს. ხან-და-ხან თუ გაივლის ვინმე აჩქარებული ნაბიჯით ან ღამე ნათევით, ან სამუშაოზე მიშავალი.

მეც სამუშაოდ მივემგზავრები. არ მინდოდა წასვლა, რადგან გაგებული მქონდა, რომ მთაში დიდი თოვლი იყო მოსული, მაგრამ ინტენერმა ბეგანიშვილმა კატეგორიულად გამოცხადა: „აუცილებლად წახვალ, მორჩა და გათავდა“-ო.

ადელი სათქმელია: წახვალ. საქმე ისაა სად უნდა წახვიდე.

კუდაროშა უნდა გადავიდე, სამბრეთ ოსეთში. იქ კი ორი ვზით შეიძლება მისვლა. ან ცხინვალში უნდა ჩავიდე და იქიდან სამოცი კილომეტრი ცხნით ვიარო, ან ქუთაისით ონში და იქიდან ოცდაათი კილომეტრი ფეხით. ავტორიტეტულმა პირებმა მიჩიეს ცხინვალით წასვლა და მეც მივდივარ.

სწრაფად შევახტი ტრამეის. სადგურზე ხელბარგის შესანახ კამერიდან წინასწარ მოტანილი ბარგი-ბარხანი გამოვიტანე და...

... ორიოდ საათის შემდეგ მატარებელში ვისმენ „სკრიპაჰ“ კოლას სიმღერებს და დიფირამბებს.

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ ჩემის უხეირო სიმღერებითა, მაგრამ ჩემი ამოწრეტილი თვალები მაიძულებს..

ხალხი, ვინც კოლას პირველთა ხედავს, ოხრავს და მატარებელში/დგება ხურდა ფულის კრიზისი. მე კოლას კარგად ვიცნობ და მისი სიმღერები ნაკლებად მაღლავს. შევცქერი ცას და ვნატრობ ამინდს. ცივი ჰაერით ვაივებ მოთოვს, მოწვიმს, ამინდი იქნება თუ სხვა რამ ჯანდაბა.

აი გორიც. მატარებელმა გაიღრჭინა და გაჩერდა. გორში ჯერ არ ვყოფილვარ, თუმცა მთელი საქართველო შემომივლია. ერთხელ სადგურზე მომიხდა ცდა რამოდენიმე საათი და ქალაქში კი ვერ გავეღო რომ დამეთვალე რეგინა. წვიმიდა და იმიტომ. მივდივარ ქალაქში და გზაში ვივებ სამწუხარო ამბავს: ცხინვალამდე ავტომანქანები ვერ დადიან და მეეტლეების მსხვერპლი უნდა გაეხდეს. სრულიად დამეკარგა ახლად ხილული ქალაქის განკდის ინტერესი. ეს მეეტლეები ილიას მიერ აღწერილ იამში იყვნენ კი არ გვანან. ესენი ეშმაკს მოსტეხენ ფეხს. ამას კიდევ ზედ ერთვის უფრო არა სასიამოვნო ამბავი: ეტლით მართო კარალეთამდე მივალთ, იქიდან მარხილზე უნდა გადავხდეთ და... თუ ცხინვალამდე ასეა საქმე, ცხინვალს იქით როგორღა იქნება?..

გავეურიგდი მეეტლეს. ჩემს გარდა კიდევ სამი სული მოჰყავს, რომელთაც იმოუდნა ბარგი მოაქვთ, რომ ერთი ქართული ურები ვერ დასძრავს. აავსეს მთელი ეტლი თავისი ბარგით, საუკეთესო ადგილები თითონ დაიჭირეს და მე ოთხად მოკეცილს მომიხდა ჩაჯდომა ეტლში. რას იზამ, შევურიგდი ბედს და ჩავეტედე კალათებში, რომელნიც ჩემს ტანსაცმელს ყოველ წამს დახევას ემუქრებოდა.

წავედით.

გავედით ციხეს. ერიპა! ქალაქი მეტი აღარ ყოფილა. რაც მატარებლიდან ჩანს ისაა და ის. საპაგიეოდ რა მშვენიერი დაცემული მინდვრებია გორიდან ცხინვალამდე. როგორი ხეხილის ბალებია!

გზას იქით უზარმაზარი სასილოსე კოშკი აღვჩაი. ასეთი კოშკები ჯერ მართო სურათზე მქონდა ნახული. ამერიკულ ჟურნალში იყო დახატული. ეხლა ავერ აღმართავთ. თუნუქის სახურავი რომ არ ქონდეს, ძველებური ციხე გეგონებოდა.

ქრის ცივი ქარი და მაინც და მაინც ქარის მხარეზე მე მოვხვდი.

— მალე ტყეში შევალთ და ქარიც აღარ იქნება საგრძნობი—მანუგეშებს მეეტლე.

„ტყეში“ მართლა მალე შევედით თუ კი შეიძლება ამას ტყე ეწოდოს.

ხეხილის ბალებია. სპარტაკიადანზე მასიურ ვარჯიშობათ გაწლილ ახალგაზდებთან ჩარახმულან ვაწლის ხეები. ხის ტანები კირით შეუთეთრებიათ.

გავდივართ კილომეტრებს და ბალებს მაინც ვერ გავცდით. ხეების მწკრივები მოძრაობენ და წამდაუწუმ დიაგონალურათ იცვლიან მიმართულებას. ქარი ისევ ქრის და მეეტლეს ნუგეში არ გამართლდა.

კარალეთში დაელიეთ რახი, გადავსხედით მარხილზე და ევენების ელარუნით გავედით ისევ დაცემულ ვაკეზე. ბალები აღარ არის. თოვლით გადაფარული მინდვრებია და როდესაც ვუცქერ ამ ტყავის ქურქში გახვეულ თანამგზავრებს, ამ მარხილს, ეცნვიან ცხენებს თავს ძველ რუსულ გრაფიურაზე დახატუ-

ლად ვგრძნობ, თუმცა რუსულ პეიზაჟს უნებურათ არღვევს გარეშე არაფერი ატყორ-
ცნილი მთები.

შელმართს შევუდექით. გზამ მოუხვია და გამოჩნდა ცხინვალის ქუჩები და პირ-
ზემთი, ქალაქის თავში, დიდი, უცნაური შენობა ჩანს.

— ეს ახლად აგებული თეატრის შენობაა—მეუბნება ჩემი თანამგზავრი
ავრონომი—აი ეს კოლონიებიანი შენობა სახბანკის განყოფილებაა აი ის...

უცხად აწინვე ახალსა და ძველ ცხინვალს. ქვემოთაა ლიხვის გასწვრივ
ძველი ცხინვალი. ორიოდე გვლესით, უსწორ-მასწორო ქუჩებით, არეულ-და-
დარეული შენობებით. აქეთ ებრაელების უბანია, ძველი დაღრეცილი ხის სახ-
ლებით. შემოთ კი ახალი ქალაქია გვეგვიანათ დაწყებული, ის ქალაქი, რომელიც
ამ ათიოდე წლის წინათ დაიბადა და რომელსაც ეხლა სტალინური ჰქვია.

მარბილი ფერდობზე გასურდა და შემდეგ დაღმართზე დაგვეშვით გლარუნ-
ღარუნით. ცხენებმა იგრძნეს გზის დამთავრება, გაქანდნ და...

... ერთი წუთის შემდეგ სასტუმროს წინ შეჩერდით.

ლამდება.

2.

სტალინური ახალი სასტუმროს შენობაა, საერთო საწოლებით. აქ ელე-
ქტრო სადგურიც ჰქონიათ, მაგრამ ისე საბრალოდ ბეუტავს და ისე წამდაუ-
წუმ ქრება, რომ ყველა იძულებულია ლამპები იქონიოს. სასტუმროს ქვეშ სარ-
თულში სასაიდლოა სადაც კუთხეში მოწყობილია ესტრადრის მაგვარი რაღაც,
ზედ დგას პიანინო და ვედელზე მიკრული დიდი წარწერას მიხედვით: „Играет
собственно репертуар“, საერთოდ ასეთ პატარა ქალაქებში ხშირად შეხვდებით
ასეთ კაზუსებს.

საპარიკმახეროში, სადაც ორად-ორი კაცი მუშაობს, შაშვის გალიის მა-
გვარი სალარო მოუწყვიათ და შიგ მოლარე ქალი დაუსკუბებიან. წადი და
ჰკითხე, რა ფუნქციონალური გამართლება აქვს ამ სალაროს.

მოენახე ცხენების გამჭირებელი კაცი. მოვურიგდი. გამყოლადაც თითონ-
ვე წამოვი. მანუგეშა: ერწოზე მშენივრად გადავალთო. დილას მოვა როგ-
გორც კი ინათლებს და გზას გაუდგუბით, მით უმეტეს, რომ გამოიღარა. მშვე-
ნიერი ლამეა, მთვარიანი. ცოტათი უინავს...

... მაგრამ დაღას დარდით არ ვიცოდი რა შექნა.

თოვს. თოვს.

როგორა თოვს! ბარდნის და გამყოლი, რასაკვირველია, არ მოვიდა და
არც ცხენები მოიყვანა.

მეც აბუზული ქათამივით, ვზივარ ჩემს ლოგინზე, ვიგინები და ჩემი მეზო-
ბელი, ინგლისელივით პირწმინდათ გაპარსული ოსი, გულიანად იცინის. ის რო-
კიდანაა ჩამოსული.

დანჯარიდან სჩანს, თუ როგორ ერეკებიან გლეხები შეწია დაჭირებულ მარხილებს. ბელურები ჯგუფად დასევიან ცხენის ნაჯელს, ქერის მარცხელეს ემბენ და ჭივიან.

ათი საათია.

ერეკენული
მეცხეობისა

ქვევით უკვე „Играет собственно репертуар“ და მეც მივდივარ სასაუბროთ.

შემდეგ ქალაქში გავედი დავებეტები ხან აქეთ ხან იქით. ვათვლიერებ ვიტრინებს და წიგნის მაღაზიას.

გავედი ებრაელების თბანში. როგორი დაცველებული სახლებია. ისე გადმოხრილიან და გადმოხურვიან ქუჩას, რომ მთლად ჩაუბნელებიათ იტაურობა. ერთი სახლის ქვეშ შემძვრალან ებრაელის ბავშვები და თამაშობენ. ერთი მათგანი კოორდლიანი საბით და ცქრაალა თვალებით, მომეარდა და მეკითხება:

— დეეებ ვინმეს? დეეებ? ვინ გინდა ვინ?

მე არავინაც არ მინდა და ვბრუნდები უკან. მინდა სულ დავიარო ქალაქი, რასაც ალბად დიდი დრო არ დასჭირდება, მაგრამ ყველგან დიდი თოვლი დევს, განუწყვეტლათ კიდევ ამიტებს ზემოდან და ჩემი ფეხსაცმლის ქუსლებზე დაკრული რეზინის ნალები ისე სრიალებენ მოტყვნილ თოვლზე, რომ სად გადავალ ყირას, არ ვიცი.

ისევ სასტუმროში ვბრუნდები. ჩემი მეზობელი, ინგლისელივით გაპარსული ოსი, ბარგს ალაგებს. ის გორში მიდის და იქიდან კავკასს. უცბად მეც გადავწყვიტე უკან დაბრუნება. მართლაც, რა უნდა ვაკეთო აქ, თუ ასე ითოვანა სულ ერთია, მაინც ვერ წავალ. სასწრაფოთ მეც შევკარი ბარგი, გამოვარდი გარეთ, რომ ჩემი გუშინდელი მეეტლე მენახა და ადგილი დამეკავებინა მის მარხილში მაგრამ...

...საიდანღაც მზემ გამოიკვიტა.

თოვა შეწყდა.

ცახე აცურდნენ უზარმაზარი ღრუბლის ნაგლეჯები.


უარყვავი უკან დაბრუნება და ისევ ჩემ გამყოლს დავუწყე ძებნა. თან ამინდს ათას გვარათ ვამკობ, რომ ასე ჩემ ჯიბრზე მოქმედობს.

— რას გვიშვება ეს ამინდი კაცო ჰა?!—მონახალა დანახვისთანავე ეს სიტყვები ჩემმა გამყოლმა.

— იცოდე, ხვალ ზუთჯერ უფრო მეტად რომ თოვდეს, მაინც წავალთ, თორემ ნაშუადღევს ალბად ისევ გამოიდარებს და ტყუილად გულზე გავსკდებით.

— კარგი, კარგი, წავიდეთ. ასე რომ გვცოდნოდა, დღეს ხომ წავიდოდით. ეხლა უკვე გვიანაა.

ტფილისში მარწუნებდენ, რომ დილას თუ გავიდოდი ადრე ცხინვალიდან, სალამოს კუდაროში ვიჭნებოდი. ჩემი მეგობარი ინგენერი საელე ჩიხელიძე ულვაშებში იცინოდა და მეუბნებოდა:—„ეს ულვაში ააპარსე სავლეს, თუ მე-

სამე დღეს ჩახვიდო“. მეც საშინლად მინდა სავლეს უღვაშის და გამყოლს დილისთვის ვიბარებ...


... მიგრამ დილას ისევ თოვს და გამყოლი კიდეც არ მტყუანს ვერაზე-ბული საჩქაროდ ვიცივამ და მასთან გაერბივარ.

— როგორ? აპირებ წასვლას?—მომიქინია კული და ვითომ გულუბრყვილოდ მეკითხება, თითქო გუშინ არ მეთქვას მისთვის, რომ აუცილებლად წავალთ და ცხენები მოიყვანე მეთქი.

— მაშ რა გითხარი გუშინ კაცო? გავანილა ასე აბუჩად აგდება? რომ გითხარი ცხენები მოიყვანე მეთქი კიდევაც უნდა მოგეყვანა. თუ აგრე იყო სხვას მაინც გავუბრუნებოდი.

— ეხლავე, გენაცვა, ეხლავე. რატომ ცხარობ. აი ამ წუთში! შენ სასტუმროში წაბრძანდი მეც ცხენებს ეხლავე მოგართმევ. ბიჭო, გიგა, წადი უნაგრები ჩამიიტა.

მეც წავედი და სასტუმროში ვიციდი. ბარგი შეეკარი. უკვე ათი საათია და ცხენები არა ჩანს. ბრაზით გულზე ვესკდები და თან საოცრად მიკვირს, თუ რათ აჭიანჭრებს ის არამზადა და არ მოყავს ცხენები. ბოლოს როგორც იყო, გაიღო კარები და შემოჰყო თითონაც თავი რომელზედაც ქუდათ შეკერილი ცხვრის ტყავი ეხურა. მე ბარგს ხელი დავავლე და გასასვლელად მოვემზადე. გამყოლი ადგილზე დგას და არ იძვრის.

— ისა! რა უნდა მეთქვა? ჰო, ველარ წამოვალ, რადგან გზა კარგად არ ვიცი, იქითკენ არ მივლია და ჩემს მაგივრად აი ეს წამოვა.

მიმითითა ვილაც ფიროსმანის მსგავს მამაკაცზე, რომელიც მას შემოჰყვია. შემდეგ გაიგებე, რომ ის მართლა მღებავი ყოფილა.

— შენ იცი გზა?

— რასა ბრძანებ, გზა როგორ არ ვიცი, ათი წელიწადი კუდაროში ვცხოვრობდი.

— აბა მაშ კარგი, წავედეთ—და ისევ კარებისკენ გავიწიე.

— მაშ მე ცხენებს მოვიყვან...
 — როგორ. ცხენები კიდეც არ მოგიყვანია?

— ქერი ჩაეუყარე. შორი გზაა და ხომ იცი...
 სწრაფად გაიჭურწა, რადგან შემატყო, როე კარგს არას ვეტყოდი. ჩემმა ახალმა გამყოლმა ჩაიციინა და მითხრა.

— სჯობს ჩვენ ისევ მასთან წავედეთ და ბარგიც წავიღოთ, თორემ აქ ეს სალამომდე არ მოიყვანს ცხენებს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეშინია სალამომდე არ მოვასწროთ ვადასვლა კუდაროში და მარტო ერთი დღის ქირა არ დარჩეს ასაღები.

აი თურმე სად მარხია ძაღლის თავი.

ავედეთ ბარგი-ბარხანა და მივედით მასთან, მანაც დავგინახა თუ არა, აფუსფუსდა, ცხენები გამოიყვანა თაველიდან და იქვე სვეტზე მიიბა. შემდეგ ზევით ავარდა, მეგრე ქვემოთ სარდაფში ჩაიბრძინა, ბელელში შევარდა, ისევ თავლაში დაბრუნდა. ხან მოსართავი ეძება, ხან ბავშვების მიერ გადამალულული

თოკი. მერე აღვირი დაიკარგა და მაშინაც თავის ოჯახის შემადგენლობას სრულიად გადმოუბრუნა რჯულის სამართალი. მერე ცხენებს უდებდა გულსკენა, წყალი დააღვინა, ამდენი ფუსფუსით სრულიად განმთავრებდა და სრულიად ვერ ვიგრძენი, რომ დრო მიდიოდა. როდესაც, როგორც იქნა, ცხენებზე შეესხედით და მთავარ ქუჩაზე გამოკვდით, აუთიქის თავზე დიდ საათს შევხედე; პირველი საათი იყო.

გავუღეკით გზას.

დილიდანვე განუწყვეტლად თოვს და გარშემო არაფერი არა სჩანს. არც მთები, არც ხეობა. მარტო გატკეპინილი გზა მოსჩანს ცოტაოდენ მანძილზე და მეტი არაფერი. საშინლად მოსაწყენია, ასეთი მგზავრობა სულ ერთფეროვნებაა და მერე საშინლად იღვლება თვალი მარტო თეთრი ფერის ხილვით. თავს იმით ვირთობ, რომ ვითვლი ტელეგრაფის ბოძებს და ვანგარიშობ გავლილ მანძილს:

სოფელ ქეხვის შემდეგ შევედით უფრო ვიწრო ხეობაში ლიახვი შუილით მორბის და გზა ხან შეღმა მიიმართება და ხან დაბლა, თუმცა არც ისე საგრძნობლად: სააეტომობილო შოსსეა.

გუფთასთან დავინახე ცნობილი ფაცის ზიდი; ახლათ აგებულა. მეტად ლამაზია და გრანდიოზული. თაღები ორმოცდა ათი მეტრის სიმაღლის იქნება. ფაცის ზიდიდან ვუხვევთ მარცხნივ. იწყება იშვიათი სილამაზის ხეობა მთლად ნაძენარით დაფარული. თოვლი თანდათან მატულობს: მაღლა მივიწევთ და განუწყვეტლად თოვს.

— ვიჩქაროთ იქნება დაღამებამდე ყმალთაში მაინც მივიდეთ.— მიჩქარის ჩემი გამჟღავნებული ივანე.

მეც ვერგები ცხენებს.

— გარეთ კი არ დავრჩებით. აქ ყოველ სოფელში მყავს ნაცნობი, მაგრამ ყმალთაში გვიჯობს მისვლა, — იქ ნათლია მყავს, იმასთან მივიდეთ და ოსური არაყი გადავკრათ. არ დაგიღვია აქაური არაყი?

— არა.

მივდივართ ამ გაუთავებელ ნაქენარში. ხან მაღლა შევუყვებით დაკიდულ აღმართზე ხან ქვევით უფსკრულში ვეშვებით და წამდაუწუმ ერთი ერთმანეთს სცვლიან თვალწარმტაცი პეიზაჟები. ვანო მეუბნება, რომ აქ კურორტს აწყობენო. მშვენიერი აზრია.

დაბინდებისას მივედით ყმალთაში.

ყმალთა სოფელი არ არის. აქ მხოლოდ კოოპერატივია, აღმასკომის შენობა, სასაბილო და დაუმთავრებელი სააგადმყოფოს შენობა. სოფლები გარშემოა მოთავსებული, უახლოეს სოფელ სობტაში, სადაც ვანოს ნათლია მყავს, მივდივართ ღამის გასათევათ. ის საკმაოდ მაღლაა გაშენებული და ამ დაკიდულ აღმართში მივდივართ ქაქანი თავეზე დაგვცქერის ძველი ციხის და ეკლესიის ნანგრევები. თოვა შეწყდა, დგას სქელი ნასლი და ციხე-დარბაზი თავისი მაღალი კოშკით და კბილებიანი ვალაენით მაგონებს ზღაპრულ თქმულებას.

სოფელში თოვლისაგან ყველაფერი გადასწორებულია და დაფარული. აღარა სჩანს მალალი ლობები (ვანო ამბობს მალალიაო) თივის ზეინები, მოს-
ლემები, სალორები, ყველაფერი დაფარულია სქელი თეთრი სპინჯინის მსგავსად
სახლებს აუწყევიათ ეს საბუნები და იპყიტებიან ჩაბნელებული თხელით.

— ნათლიმამ გაშარჯობა, გაშარჯობა, როგორა ხარ...—მისალმა ერთ
მალალ წარმოსადგე მოხუცს ვანო.

— ვანო საიდან? როგორ? ჭრებედან მოდიხარ? (ოსები ცხინვალს ჭრებას
უწოდებენ) გამარჯობათ—შინარულათ მოგვესალმა მოხუცი.—სად მიდიხარ.

— კუდაროში მივდივარ, სიბო, კუდაროში, აი ამ ამხანაგს ვაცილებ. რა
ზამთარი დაგვიდგა, სიბო, რა ზამთარი.

მოხუცმა ცხენები ჩამოგვართვა და ჩვენ დავიწყეთ თოვლის ჩამობერტყვა,
რომელიც უხვით გვაყრია, მარბზე, გულზე ქუღზე.

— ასეთი ზამთარი ამდენ ხნის კაცი ვარ და არ მახსოვს...

ვანო ნათლიდგდას მისალმა და ოსურათ საუბარი დაუწყო. მოხუცმა
ცხენები თავლისკენ გარეკა. მე ციხე დარბაზს შევცქერი, რომელიც აქედან
სულ ასითდე მეტრის მანძილით თუ იქნება დაშორებული.

— იმ ეკლესიაში ერთი ქვაა—მეუბნება ვანო—ზედ ისეთი წარწერაა, რომ
ვერცერთმა პრაფესორმა ვერ ამოიკითხა.

ძალიანა ვწუხვარ, რომ შეუძლებელია ეხლა ჩემთვის ციხემდე მისვლა. ერ-
თი ვნახავდი თუ რა წარწერა უნდა იყოს ისეთი, რომელიც „პრაფესორებმა“ ვერ
ამოიკითხეს.

— აი იქითა მხრიდან ხერელი აქვს რომელიც ქვემო მდინარემდე ჩადის—
განაგრძობს ვანო. მდინარის პირამდე ოთხასი მეტრის სიმაღლე ვერტიკალ-
ური კედელი იქნება.

— და ამბობენ ამ ციხეში დიდი განძია დამარხულიო.

ბიჭოს! ეს ციხე შინაარსითაც ზღაპრული ყოფილა.

— მოზრძანდით, შინ მოზრძანდით—გვეპატიება სახლში მოხუცი სიბო.

შევიღვართ სახლზე მიდგმულ ფარულში, იქედან გავდივართ აივანზე
საიდანაც მოჩანს ციხე და ხეობა, იქიდან ფართე და დაბალ ქერიან დარბაზში
შევიდით. შუაში დიდი თუნუქის ფეჩი დგას, კედლების გასწვრივ საკამლოგი-
ნები, ბოლო ერთ კუთხეში დიდი კასრები, კოდები, სკავრები და ალბათ კოოპე-
რატივიდან გამოტანილი დიქტის ცარიელი ყუთები. სინათლე ერთი პატარა
ქუქუტანიდან შემოდის, რომელზედაც შუშის ნაქერია მიდგმული.

დარბაზში მეორე ახალგაზრდა ქალი დაგვიხედა, ბუშმენის სახე აქონდა.

— ეს მეორე რძალია, სიბოსი—მეურნება ვანო—ეხლა ხან შეიერთო ორი
წელიწადია.

— ორი ვაჟი გყავს სიბო?—ვეკითხები მე.

— არა ერთი—მიპასუხა მოხუცმა და ფეჩს შემა შეუკეთა.

— მეორე აღარა გყავს?

— არცა მყოლია—ეშმაკური ღიმილით მიპასუხებს მოხუცი, თან ფეჩს-
სამბერველივით უბერავს და ოთახს ბოლით ავსებს.

მე გაკვირებული ვუცქერი სიბოს, მერე ვანოს. არაფერი არ მესმის.

— მაშ ეს ქალი?

— ორი ცოლი ჰყავს ამის ვაჟს. გაიგე?—მეუბნება ვანო.

— ჰა? როგორ თუ ორი?

— ჰო, მართლა შენ არ გეცოდინება. ოსებმა ორი ცოლი მისცეს ახსნი-რათ იციან. ზოგს სამიცა ჰყავს თუმცა იშვიათად. საოცრათ გამიკვირდა.

— ეს ეხლა შემოვიდა ადათათ თუ ძველათაც ასე იცოდნენ?

— ძველთაგან მოდევს მაშ!—მეუბნება სიბო.

ქრისტიანული სარწმუნოებრივი მორალის მიხედვით პოლიგამია დაუშვებელია და აქ კი ძველთაგან მოდევსო! საკვირველია.

შემდეგში, როდესაც რაჭაში გადავედი, გავიგე, რომ იქაც ხშირი ყოფილა ორცოლიანობა, თუმცა ეხლა იშვიათად შეხვდებით ასეთ ოჯახს.

ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონიათ კიდევ ოსებს. რძალი არასოდეს არ ეტყვის არც ერთ სიტყვას მამამთილს. უცნაური და უხერხული ჩვეულებაა. სახლი რომ იწოდეს და მამამთილი ყანაში იყოს, რძალი კიდევაც რომ გაიტყვეს ყანაში ამბის საცნობებლათ, მამამთილს ვერ ეტყვის სახლი იწვისო.

სიბო უხვად გვიმასპინძლებდა და ჩვენ დიდხანს ვსაუბრობთ შატრიშონიანურ საკითხებზე. ეტნოგრაფიისათვის ბერს საინტერესო რამეს ვგებულობ რძლები შვიდად საუბრობენ ფერთან და ვანო მანეთიანებს ურიგებს ბავშებს. ბავშები ათამდე იქნება.

ლამპა აანთეს. მე რუქა გავშალე და ვათვალიერებ ხვალინდელ მარშრუტს. აქედან სოფელ ერწოში უნდა ავიდეთ. იქამდე მხოლოდ ექვსი კილომეტრია. იქაა ერწოს ტბა, რომელიც წარმოადგენს მდინარე ყვირილის სათავეს. სოფელი ტბასთანაა გაშენებული. სამი კილომეტრის შემდეგ გზა გადადის ჯოჯორას ხევში, გაივლის სოფელ ზამთორეთს, არაშენდას...

უნებურათ შევჩერდი. გამიკვირდა რატომ დაერქვა სოფელს არაშენდა. ეს რუქა საშოკი წლის უკანაა გადაღებული და ზედ შეიდი მოსახლეა აღნიშნული. ებლა...

— ვანო რამდენი მოსახლე იქნება არაშენდაში?

— ოცი უნდა იყოს. არა სიბო?—მიუბრუნდა სიბოს ვანო.

— ოცდა სამი მოსახლეა.

არაშენდას შემდეგ სოფელ შუა ჭალას გაიქლით, იქიდან სოფელ ნადარბაზევს ჩაუვლით და ლესორაში ჩავალთ. ლესორადან ჩასავალამდე ორი კილომეტრია და იქიდან კვისისამდე კიდევ ორი.

ნავახშვეს ვანომ გარეთ გაიხედა და სიტყვა:

— ისე გულმოდგინეთა სთოვს, რომ თუ ასე ითოვია, ხვალ აქედან ვერსადაც ვერ წავალთ.

მაზარობელი უკეთესი არ შეიძლება.

ვიხდი ტანსაცმელს. ქალები არ გვერიდებიან და არც ჩვენ ვერიდებით. სიბო დამატებით თავის ტყავის ქურქს მაფარებს და ლამპას აქრობს. ჩემ თავ-

თან იხდის ტანთ ერთერთი რძალი და თავშექცევით წეება. ყურთან მკაბის, მისი სუნთქვა და ჭირვეული ბავშვის ჭუჭყუნია.

ასე თუ ითოვა შეიძლება ვერც ხვალ გადავიდეთ...
ვერ ავაბარსე უღლვაში სავლეს.

ერყინული
ზიზლირთიქა

3

გუშინდელი გაკვალული გზა დღეს სულ აღარა ჩანს. ახლათ დათოვლილი სწორედ ერთი მეტრის სისქისაა. თითქოს არ კმარათ კიდევ თოვს და ისე გულმოდგინეთ, რომ გამოდარების იმედი სრულიად შეკარგება და შგონია სულ მუდამ ითოვს და მისდღეში არ გამოიდარებს.

ვანო წინ მიდის ფეხით და თოვლს ანგრევს. თავისი ცხენი სადავით მიჰყავს. შემდეგ საბაღიანი ცხენი მისდევს და შემდეგ მე ჩემი ცხენით.

სოფლის წყაროსთან ზეავი ჩამოსულიყო და ვანომ დიდის გაჭირვებით გაგლიჯა თოვლი. ძლივს გადავიყვანეთ ცხენები, რომელნიც ევლობოდნენ თოვლში და საშინლათ უჭირთ ამოსვლა. ჩაველით ყველთაში კოოპერატივში ერთი ბოთლი ნარცისის მსგავსი ლვინო დავლეით და გზას გაფუღეჭით. კოოპერატივის ნოჭარი აივნიდან გვეცქერის და გვიძახის:

— სად მიხვალთ კაცო. ვერ წახვალთ. ზეავი გავიტანთ სადმე.

ავიარეთ აღმართი, მოგუხვეით მარცხნივ და შევედით ხეში. სოფელი აღარა ჩანს. გზა ფერდობს მისდევს! ხშირი ტყეა, ამიტომ ვიმედოვნებთ რომ ზეავი არ წამოვა და არ გაგვიტანს, თუკა მე რატომღაც სრულიადაც არა ვგრძნობ შიშს, როდესაც ამ დაკიდულ თოვლის მასას შეეცქერი. აღბათ ვერ არ განმიცდია ზეავის საშიშროება და იმითომ.

წაეიწყადით ნახვავებს. ვანომ გადმოშედა და დამიძახა.

— დადექ მამო. დაკეტულია გზა. უკან უნდა დაბრუნდეთ.

ფერდობიდან თოვლი დაძრულა, წამოუხვეტია ხეები, გაუტანია გზა და ყველაფერი ჩაუსწორებია.

— იქნება როგორმე გადავჯვგოთ თოვლი ვანო. ჰა! რას იტყვი?

საშინლათ გეზარება უკან დაბრუნება. სულ თბუთმეტი კილომეტრი თუ გვაქვს გასავლელი და ესლა უკან დაბრუნება და ორმოცდა ხუთი კილომეტრის ისევ გავლა ამ თოვაში...

— შენი ხათრისთვის ვცდი, მაგრამ შენ თითონ ნახავ...
და ვანო შეუღლა ზეავის გადაკვალვას. გადაადგამს ერთ ნაბიჯს და ვარდება თოვლში, სადღაც სიღრმეში. შემდეგ იწყებს ხმ ადგილას ტრიალს და თოვლს ტყეპნის. ხელებით ფეხებით მიელი ტანით. ეს მანიპულიაცია გრძელდება დაახლოებით ხუთ წუთს. შემდეგ მეორე ნაბიჯს გადაადგამს და

... და მეხუთე ნაბიჯზე არაქათ გამოლეული ვანო ჩაჯდა თოვლში. ის ერთიანათ სველია და მთელ ტანზე ორთქლი ბოლქვა ბოლქვა ადის. სულს ძლივს იღებს. ხეავი ორმოცდა ათი ნაბიჯი იქნება დაახლოებით.

— დაიცა მოგეშველო — გაქაძე მე და ცხენებს გვერდი შეეჯარე, თოვლში მთლად ამოვიგანგლე და ვანოსთან მისვლამდე დავიღალე. შემდეგ ვითომ მეც შევუღდექი ვაჯავას მაგრამ მესამე ნაბიჯის შემდეგ სულს ძლივს ვითქვამდი

და ოფლში გავიწურე. შეუძლებელი ყოფილა თოვლთან ბრძოლა და მხოლოდ ეხლა პირველად განვიცადე, თუ რამდენათ უძლურია ადამიანი ბუნებასთან. ამ თოვლიან მთების კალთებზე ჩვენ ეხლა ვგვევართ ბუზის საჭერს, ვაფრქვავთ დაკრულ ორ ბუზს და ხან ერთ ფეხს ამოვითრევთ თოვლიდან და მან შეტრახს.

გადავწყვეტეთ უკან დაბრუნება.

ცოტა შევისვენეთ. ცხენები დიდის გაქირავებით მოვაბრუნეთ და წამოვიდით. ასი ნაბიჯი არ გვქონდა გავლილი უკან, რომ ვანო შეჩერდა და მეც სასოწარკვეთილებით მუხლები მომეკეცა.

ზევამა გზა გადავვიკეტა.

უკან დასაბრუნებელი გზა. სანამ იქ ჩვენ ვიბრძოდით აქ ამის უკვე მოუსწრია და...

...ჩავიკეტეთ.

ვხივართ თოვლში და ერთმანეთს შეეცქერით. სოფელი შორსაა და რაც უნდა იყვირო ხმას მაინც ვერ ჩაუწვდენ. იქნებ ისევ როგორღე გადავვევოთ, თორემ მგზავრებს თუ ვუცადეთ, ვინ წამოვა ეხლა, იქნება სულ არაფერ აპირებს აქეთ წამოსვლას, რომ ჩვენი ანბავი შემთხვევით გაიგოს. შევუდევით გადაჯგვას. ნიაზბი მაინც გვქონდეს უცბაო გავთოვლაედით.

არაქათი გამოგველია. ოფლში ვიწურებით. საფეთქლები ჩაქუჩბივით სცემენ და ხელფეხში ისეთ მოსხლეტას ვგრძნობ, რომ თითის განძრევაც კი აღარ შემიძლიან. ვისაც არ განუცდია, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ღლის ადამიანს თოვლის ასე გადაჯგვა.

მოსხლეტით ვწვებით თოვლზე და ვისვენებთ. სახეზე გვათოვს და ფიფქები ნელა დნებიან.

ცხენები თავჩაქინდრული იცდიან და გვიცქერიან ქვეიანი თვალებით.

გახურებული სხეული ნელა გრილდება და დასველებული საცვლები უკვე ცივით გვეკრობა ტანზე.

ისევ შეუდევით გადაჯგვას.

ისევ ვისვენებთ. ზოგრალებივით ვბარბაცებთ.

თოვს განუწყვეტლათ.

— ეს თოვა მაინც შეწყდეს ამის...— ივინება ვანო.

მე პასუხის თავი აღარა მაქვს და ისევ ვწვები თოვლზე გულაღმა და ვისვენებ, მაგრამ როგორც კი გახურებული საცვლები ცივდება, იმ წამსვე ხელ ახლა ვიწყებ მუშაობას.

მერე და რალაც უცნაური მშრალი თოვლია. არ იტყვინება. პუდრათ ქცეულ მშრალ მტვერსა გავას, ზოგ შარაზე რომ დადგება ხოლმე მუხლამდე და ფეხი რომ დაკრა ცამდე აგარდება ბოლათ.

ვგრძნობ, რომ ღონე აღარ შეყოფა და ბოლომდე საქმეს ვერ მიყიყვანთ. რადგან ვანოც ისე ლასლასებს, რომ სადაცაა წაიჭყვევა და კიდევ ადგება თუ არა არც თითონ იცის, მაგრამ...

...მაგრამ გვეყო როგორც იქნა ძალ ღონე და გადავვევით ნახვავები. ცხენები ფრთხილად გადავიყვანეთ. ეფლობიან, მაგრამ თავს მაინც ინთავისუფლებენ. ნახტომებს აკეთებენ და გადავდივართ ამდენი ვაი ვაგლაბით გაჯგვილ ბილიკზე.



ეროვნული

კული ამბავი დაგვიხდა ყემულთაში.

გუფთის ბიდიდან ყემულთამდე მთლიანათ შერქულა გზაზე შექმნილ ზღაპრით ჩვენი უკან დაბრუნება. იქ ვილაკები უკვე გაუტანია ზღაპს. ეხლა ამოვიდა ქვემოდან ხუთი კაცი. ერთი ზამთორეთელია, ბარი და ცხენი მოყავს. ერთი, სოფელ წონას კოოპერატორია, საპალნიანი ცხენით მიდის შინ. დანარჩენები ეროვნულად მიდის.

არც იმათ იციან როგორ მოიქცენ, არც ჩვენ ვიცით რა ვქნათ.

— წამო კაცო, ისევ ჩემ ნათლიმამასთან წავიდეთ. რა გვიშავს. გვასმევს, გვაჭმევს, ცეცხლს არ მოგვაკლებს—შეშა ბეგოი აქვს და სხვა რა გვინდა, სულ ერთია მაინც ვერსად წაველთ. სადმე თოვლი დაგვმარხავს და მგლებმა თუ არ შეგვკვამა, ზაფხულამდე ვეღარც გენახვენ.

მე ვანოს ყურს არ ვუგდებ და ისევ გამოსავალს ვეძებ, სრულებით არა მაქვს აქ ზამთრობის სურვილი, რადაც არ უხდა დამიჯდეს, უნდა გავიღეთ აქედან, მაგრამ როგორ?...

ორი ახალგაზრდა ოსი რაღაცას ჩურჩულებენ და მე მიცქერიან. მერე ერთი მათგანი მომიახლოვდა და მეუბნება:

— რას მოგვცემ, რომ ჩვენ წინ წავიდეთ და გზა გავთოვლოთ.

— სადამდა?

— ლესორაში ჩავიყვანთ

— თქვენ თითონ თქვით რა მოგვცეთ.

ისევ თათბირობენ.

ვანო მომიახლოვდა და მეჩურჩულებდა.

— კაცო, წამო ნათლიმამასთან ავიდეთ. ერთი ორი საათი შევიცადოთ. ეგენი სულ ერთია მაინც წაველენ, გზა იქითა აქვთ და ვერ დარჩებიან. გზასაც ძალუნიებურათ გაკვალავენ, აბა რას იზაქენ. ტყუილათ ფული რაზე უნდა ვაძლიოთ...

და მერე ხმა მიღლა დაუმატა

—... არსადაც აღარ მიედივართ. წამო ჩემ ნათლი მამასთან. შევეცხენებ...

მე უარზე ვარ, რადგან იმათი წასვლის შემდეგ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ ახალი ზღაპი კიდევ არ გადაგვიყვავებს გზას

— სამი თუმანი მოგვეცი—მეუბნება ახალგაზრდა ოსი.

— კარგი წავიდეთ.

— ბე მოგვეცი.

მივეცი ერთი თუმანი. საიდარლაც ნიჩბები გამოაძვირინეს და დაიძრა ჩვენი ჯარავენი. წინ ნიჩბებიანი ბიჭები მიდიან, დიმიტრი ბაგაური და იკო ხუგავეცი. იმათ ხარი მისდევს და დრედნოუტივით შიარლევს თოვლს. მერე და რა ხარია. უზარმაზარი რამაა და ისეთი საყანწე რქები აქვს, რომ თითოში სამი კვარტი მაინც ჩავა, შემდეგ უბელო ცხენი მიდის, მერე ვანო თავის ცხენით, საპალნიანი

ჩენი ცხენი, კოოპერატორი თავის საპალნიანი ცხენით, მე ჩემი ცხენით და ბოლოს ერთი ახალგაზრდა გლეხი, რომელიც მოერეგება ერთ ცხენს და ერთ გოქს.

— წისქვილამდე თუ გავედით, მერე არაფერი გვიშავს. იმის იქით ზვაგები აღარ იქნება—მეუბნება კოოპერატორი.

— რამდენი ვერსიაა წისქვილამდე.

— ორი.

პირველ ზვაგთან ორი საათი ვიცდით. დიმიტრი და იკო შენაცვლებით მუშაობენ.

ხანდახან ვანო ეხმარება.

მეორე ზვაგთან დიმიტრიმ და იკომ მომატება ითხოვეს. განსაკუთრებით იკო კირვეულობს და უფრო ნაკლებს მუშაობს. აუღწიე ფასი ზეთ თუნამდე.

მესამე ზვაგთან ათი თუხანი ითხოვეს და ის ზვაგი მე, ვანომ და კოოპერატორმა გავფოვლეთ.

მეოთხე ზვაგი ყველამ ერთად...

მოსალამოვდა როდესაც წისქვილთან მივედით და შევეუდექით ერწოს აღმართს. გზა იღბლად გაჯეგვილი დაგვიხვდა. იკომ ველარ იარა და წისქვილებში დარჩა

— ქარი არ იქნებოდეს ნეტავ ერწოზე, ქარი—სულ ნატრობს ჩენი თანამგზავრი კოოპერატორი.

— ძლიერი ქარი იცის?

— ოჰ! თუ ქარი არ იქნა...

როგორი ქარი ქროდა ერწოზე. როგორი ქარი! დედამიწიდან ხვეტდა თოვლს და სულ სახეში გვაყრიდა. ცივი წვეტიანი სადგისებოვით გვესობოდა სახეზე თოვლის ჭიფტები.

სამუშია, ნამდვილი სამუში, ივანოვის გეოგრაფიაში რომ ამომიკითხავს ისეთი.

ბელებზე ტყავის დიდი თათმანები შაცვია. მთლათ სველებია და ვატყობ, როგორ იყინება. თითქო ცხელი იყოს, ისე მწვავს თითებს.

შეუძლებელია თვალეში გამახედვა, შეუძლებელია წინსვლა. ამოვეფარეთ ცხენებს და იფიფარეთ შკლავები სახეზე. ვდგევართ. უკვე ვგრძნობ, თუ როგორ იყინება ჩემი. მთლათ თავიდან ბოლომდე სველი ტანსაცმელი და როგორ მეხასუნება ზურგზე თუნუქის ფურცელივით ჩემი პერანგი.

ქარმა უკვე წელამდე ჩაკვმარხა თოვლში.

— წავიდეთ, კაცო, რასა ვდგევართ.—ყვირის კოოპერატორი—გინდათ თოვლმა დაგვმარხოს?

ისევ დავიძარით და ვაკირვებით მივდივართ. სველი თათმანები უკვე ისე მწვავენ ხელებს, რომ იძულებული ვარ წავიძრო. ისინი იმ წამსვე ქვასავით გაიყინენ და ვერაფრით ჯიბეში ვერ ჩავიდვ.

გულშემზარავათ ზუზუნებს ცივი ქარი და განუწყვეტელ პორთიონტალურ ზოლებათ მოაქვს თოვლი. მეტი არაფერი არა ჩანს. ჩვენი ქარავეანი ლანდიეთაა გადაწოლილი თოვლებზე და სადღაც სიღრმეშია ჩანთქმული წინწკლა მივიწვეთ. ცხენები წამდაუწუმ გვეფლობა ნამქერში. გზა სრულიად არა ჩანს და ჩვენ მთლიანათ დამყარებული ვართ დიმიტრი ბაგაურის ინსტინქტზე, რომელიც წინ მიდის ალაღას ბედზე და მიაჩნდევს თოვლს.

ჩემი ტანსაცმელი უკვე მთლად შემომეყინა და თითქო ფიცრებისგან ან თუნუქისაგან იყოს გაკეთებული, ისე ხრავუნობს და მხრავს ტანს.

ოჰ! ერთი ქობი დაგვანახვა სადმე. ქობი კი არა თუნდაც თავგის სოროს და ერთი წუთით დაგვასვენა, რომ ეს საშინელი ქარი არ ვიგრძნოთ.

წიავწყდით ქობს, ჩვენ სიხარულს საზღვარი არა აქვს. ქობი კი არაა, მიწურია. შიდ ქერივი ქალი ცხოვრობს ოთხი პატარა ბავშვით. ვთხოვეთ თუ გავათევიანებს ღამეს. ქალი თავშალს ისწორებს და სახლში გვეპატიებდა.

მიწური შუახვა გაყოფილი. ნახევარში საქონელია დაბმული, მეორე ნახევარში თითონა ცხოვრობს. ოთხი ერთი ერთმანეთის მომდევნო პატარები შემოსხდომიან თუნუქის ფეხს, რომელიც ოთახის მთელ ავლადიდებას შეადგენს. სინათლე ჰერთან დატანებულ პაწაწინა საარკმელიდან შემოდის.

ქალაქში დღეში ოცდათვეჯრ შევდივარ ჩემ სახლში და არასოდეს არ განვიციდი იმას, რომ სახლში ვარ, ჰერქვეშ და არაფერი არ მაწუხებს.

ეხლა პირველათ ჩემ სიცოცხლეში განვიცადე, თუ რას ნიშნავს ჰერი.

ჩვენმა დიასახლისმა ფეხს შეუტეათა და შემოყინულმა ტანსაცმელმა დაიწყო შემოდნობა.



სოფელი ერწო ორი ათასი მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან.

უნებურად მაგონდებიან ჩვენი ალპინისტები და გუნებაში ათასგვარათ ვამკობ მათ. წამოვლენ ზაფხულში სასეირნოთ. დასეირნობენ ამ მწვეანით აბიბინებულ ფერდობებზე, ახოხდებიან მყინვარებზე და შემოდგომაზე ტფილისში ტრაპაზით ყურებს გვიჩქედავენ.

დიასახლისმა, სუფრას მომძვრალი ფეხი შეურქო და წინ დაგვიდვა. ზედ ცულის ყუით დანაყილი ქვა-შარილი დაყარა და ფეხის ქურაში გამოცხობილი სამი ჰერის პური დააწყო. ბოდში იხადა, მეტი არაფერი მაქვს, რომ პატივი გცეთო. ჩვენ ვცადეთ, რაიმეს ყიდვა სოფელში, მაგრამ ვერაფერი ვერ ვიშოვეთ და ისევ ამ სამ ჰერის პურს დავეჯერდით. ვაწებთ მარბილზე და გჭამთ. თან თუნუქის ფათქით წყალს ვაყოლებთ. ისეთ მადაზე ვართ, რომ ქვას გავკენეტავთ.

შუალამემდე ვაწრეთ ფეხთან ჩვენი სველი ტანსაცმელი. შემდეგ დიასახლისმა სხვერიდან ჩამოიტანა თივა და დაგვიგო ლოგინათ. საშინელ დაღალვას ვგრძნობ და ვწევები. დიმიტრი და ვანო ისევ ფეხთან სხედან და წინდებს აწრობენ. ბავშვებს უკვე სძინაეთ და ღამის ბეჭტავ შეუქზე ვაწინევე მათ პატარა მომუზრულ თავებს. სძინავს ჰერივის ქათამსაც. მხოლოდ არ სძინავს ხუთ ბატს რომლებიც ჩემთან დგანან გაცივრებით მიტყერენ და ხანგამომშვებით ყიყინებენ.

ალბათ ჩემ შესახებ თუ გადაულაპარაკებენ ხოლმე ერთმანეთს.

4.

წინ დიმიტრი ბაგაური მიდის და ნიჩბით გზას შინჯავს. ჩვეულებრივად თოვლში ნიჩაბს და თუ ნიჩაბი მეტრ ნახვერის სიღრმეზე შეჭრის შემთხვევაში დელი ნაკვალევი გზაა და იმას უნდა გავვყეთ, მხოლოდ თუ ნაკვალევი არაა, ნიჩაბი გარბის სადღაც ქვემოთ.

ქარი სისინებს და წვრილად თოვს.

ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი მაგონდება როდესაც ვხედავ თოვლიდან სულ რაღაც ერთ მტკაველზე ამოყოფილ ტელეფონის ბოძის თავებს. თანამგზავრები მარწმუნებენ, რომ ეს ტოტები თოვლიდან რომ ამოშვერილან, ხის კენწეროებიანო. არ ვიცი.

ნელა მივიწვევთ წინ, რადგან დიმიტრის ყოველი ნაბიჯის მოშინჯვა უხდება ნიჩბით.

მოულოდნელად ჩვენ საპალნეან ცხენს მობეზრდა ამ ჩვენ ნაკვალევ გზაზე სიარული, ალბად იფიქრა, ეს სულელები რას მიიზღაზნებოიან ასე ნელაო, მობრუნდა და გადაეშვა თოვლში.

უცბათ სადღაც ჩაიძირა და ზემოდან თოვლმა თვალის დახამამებაში შეკრა პირი.

— არიქა დაიხრჩო ცხენი.

გადაცვივდით თოვლში და კინალამ ჩვენც დავიხრჩეთ. ატყდა ერთი ალიაქოთი და ყვირილი.

— თავი, თავი მოუნახეთ თორემ დაიხრჩობა...

— აქეთ აქეთ...

— ნელა, თქვენც არ დაიხრჩოთ...

როგორც იქნა მოუნახეთ თავი, და ნესტოები ამოვაყოფინეთ თოვლიდან. ცხენმა მოითქვა სული.

შემდეგ დავიწყეთ ნიჩბით შემოთოვლა და ტკეპნა. ავხსენით საპალნე და მთელი ძაღლონე ამ ცხენის ამოთრევას შევალეთ. ამ დავიღარაბაში ერთი ცხენი მობრუნდა უკან და გაიქცა. გაიქცა და წადი ეხლა და თუ ბიჭი ხარ დაიჭირე. გვერდს ვერ შეუვლი, რომ წინ გადაუსწრო და სადავეში ხელი სტაკო. ეხლა ეს გაკვალული ბილიკი გავს ზღვაზე გადებულ ბეწვის ხიდს იმ განსხვავებათ, რომ ზღვაში თუ გადავარდები ცურვა შეგიძლია და აქ რა უნდა შეიძლო. ჰო და დაიჭირე ეს სულელი ცხენი.

გამოუდგა ისევ დიმიტრი ბაგაური და ერწომდე სდია.

ძალიან მინდოდა ერწოს ტბის დანახვა, მაგრამ თოვის გამო ას მეტრს იქით ვერაფერი ვერ დავინახე და ჩვენ უკვე დაეადექით სამთორეთის დაკიდულ დაღმართს. გული დამწყდა.

სოფელი არაშენდა ზამთორეთიდან ზუთასი მეტრითაა ქვემოთ. იქ ერთი ცხენი გავვქცა და დიმიტრი გამოუდგა ჩამოსაყვანათ. ჩვენ გზის პირზე ვიციდით და მოხუცს ვესაუბრებოთ, რომელიც თავის სახლთან დგას და ყალიონს ეწვეა.

— დიდი ზამთარია დიდი—ამბობს მოხუცი და უბლაკუნებს ქალიონს—
ასეთი ზამთარი მე ჯერ არ მახსოვს.

— რათ დაურქმევიათ თქვენი სოფლისთვის არაშენიანი სახლი? —
რატომ?...—ვევითხები შე.

— რა ვიცი. ძველები ასე ამბობდენ, რომ აქ ერთი კაცი მოსულა...

მოხუცი მიაბობს ძველ თქმულებას იმის შესახებ, თუ რატომ დაერქვა
სოფლებს სახელებათ: ირი, ზამთორეთი, არაშენა, წონა, ნადარბაჭევი და სხვა.
საბრალო მოხუცი. განა იცოდა მან, რომ ხეალ ოთხ საათზე...

დიმიტრიმ ცხენი მოიყვანა და გზას გაუდგია.

სოფელში არც ღობე ჩანს და არც ყორე.

ჯოჯორას ხეებში სისინებს ცივი ქარი: ვანომ ველარ შესძლო და ლესორა-
ში დარჩა. ჩემთან ისევე დიმიტრი ბაგაური მოდის. ქარი სახეში მცემს და ღაბა-
ლუბით მომდის ცრემლები. ორი კილომეტრი დამრჩა გასავლელი და ისიც სულ
აღმართი. მარცხნივ მივუხვიეთ და ყრუ ხეებს მივყვებით. ქარი სულ აღარ ქრის
და თოვლის ფიფქები სწორ გამუდმებულ ხაზებათ ჩამოდიან ზემოდან. ბნელ-
დება და გარშემო ცისფერი ბინდი დგას.

ერიამულით და ხმაურით დამხედენ ბიჭები: კალისტოვი, მარგივევი, როგა-
ნოვი, კულიკოვი, თუნუქის ფეჩის გარშემო ისხდევ და სვამდენ უშაქრო ჩაის.

შეიქნა ერთი ალიაქოთი. ბარგი ჩამოშორდეს, მიმასპინძლებიან. საიდან-
ღაც გამოაკოცეს მშრალი საცვლები და ტანსაცმელი, ფეხსაცმელები. მოიტანეს
ჩაი. სადღაც გამოახეს გადამალული შაქარი, ყველი, პური. საარაკოთ გაახუ-
რეს ფეჩი და ნახევარი საათის შემდეგ მე მდივანზეგვივით ვიჯექი სამზავრო სა-
წოლზე და ვუამბობდი ბიჭებს ჩემ თავგადასაუღლს, ახალ ამბებს საერთაშორისო
მდგომარეობაზე, იაპონია ჩინეთის კონფლიქტზე, პარტკონფერენციაზე და ათას
სხვა რამეებზე.

სრულიათ ვადამავიწყდა მგზავრობის დროს გადატანილი გაჭირვება რაკი
ვიგრძენი ჭერი და მეგობრული შეხვედრა.

ლოგინი გამიწყვეს და ადრე ვწვიბი დალილობის გამო. უკვე მერევა ძი-
ლი და კიდევ მესმის თუ როგორ იძლევა განკარგულებას კალისტოვი, რომ ჩემ
მიერ მოყვანილი ცხენები თავლაში დააბან, როგორ ახდენს განრიგებას ვალენ-
ტინ როგანოვი (მესამე ცვლა ვადის სამუშაოთ). კულიკოვი რალაცას უკაკუნებს
ჩაქუჩს...

უეცრათ გამომავლითა ყვირილმა.

— ზევი, ზევი.

დაფეთებული წამოხტო. ბიჭები უკვე ფეხზე დგანან და სწრაფათ იცვამენ.
კარები გაიღო და გულგახეთქილი ათისთავი შემოვარდა.

— რა მოხდა, ქუჯა, რა ამბავია?— თითქმის ერთად კითხეს ყველამ.

— ზევეი წამოვიდა კვანისა-ხოხიდან და გვირაბის პირებზე დაკეტა, მუშები ყველანი შიგ მოყვენ.

ქვემოდან მრისმა სტვენა და ყვირილი

— აუუ...

ერთი ერთმანეთზე სუსველანი გარეთ გაცვივდნ და დაეშვენ ქვემოთ. მეც სასწრაფოთ დავიწყე ჩაცმა. დილის ხუთი საათია და გარეთ კიდევ ბნელა. ტვლებში საშინლათ მამტვრევს უძილობისაგან და დაღლისაგან. ჩაცმა არ დამემთავრებინა, რომ შემოვარდა ბორის კულიკოვი და ფარნების გაწყობა დაიწყო.

— რა მოხდა ბორის?

— ზევეი წამოსულა. რამოდენა თოვლია. მთელი ხეობა ამოუვსია. გვირაბები მთლათ დაუფარავს...

გარედან ზუზუნი შემოგვესმა. ქარი ამოვარდა.

— დალახეროს ეშმაკმა, ეს ქარი რალა უბედურებაა— იგინება კულაკოვი ჰო! ქვემოთ თავლა გაიტანა და ცხენები ყველა დაიღუპა. ალბათ დაიღუპა რადგან თავლა იქ აღარაა და არაფერი არა ჩანს.

— ჩემი მოყვანილი ცხენებიც?

— ჰო! თქვენი სამი ცხენი, ჩვენი ცხრა და ორი ხარი.

— მუშები?

— მუშების არა ვიცით რა. გვირაბები დაკეტილია იქ კი არა უშავთ რა მაგრამ ვაი თუ რომელიმე გარეთ მოყვა და სადმე მიამარხა ზევემა.

ავანთეთ „მფრინავი ლამურა“ ფარნები, რომელნიც მათი რეკლამის მიხედვით არ ბოლავენ და არ ქრებიან უძლიერესი ქარის დროს და გავედით გარეთ.

ქრის მართლა ძლიერი ქარი და ჩვენი ფარნები ბოლავენ და ქრებიან. ქარი უცნაურათ ატრიალებს თოვლს, გვაყრის თვალებში, და მთელ სხეულში გვიძებრება. შეუძლებელია რაიმეს გაკეთება. ვერაფერს ვერ ვხედავთ და საფრთხილოცაა ენლა გარეთ დგომა. ზევეი ყოველი მხრიდან შეიძლება წამოვიდეს.

— გათენებამდე უნდა ვიცადოთ, — ამბობს კალისტოვი და ჩვენც ვბრუნდებით ბინაში.

ვიცდით. დადუმებული ვართ და ვერაფერს ვერ ბედავს ხმის ამოღებას. ყველას ერთნაირი ფიქრი გვიტრიალებს თავში. იქნება ვინმე გაიტანა და შეველა ქირდება. ჩვენ კი აბსოლიუტურათ უძლურნი ვართ.

გარეთ ისევ ზუზუნებს ქარი და ფანჯრის მიხნებს ეკრობა სქელი ყინვა.

ვიღაცამ ხელი კრა კარებს და ქართან და სიცივესთან ერთად ოთახში შემოცვივდნ გვირაბის მუშები.

— ბიჭოს ცოცხლები, ხართ? ბეტა, ვანო... — ყველანი? ხომ არაფერს დაღუპულა— მივარდნ ბიჭები მუშებს.

— ცოცხლები ვართ ცოცხლები. ბეტა იყო გარეთ მაგრამ მოასწრო გვირაბში შემოხტომა...

— როგორ ამოდით?

— თავგებივით ხერელი გავაკეთეთ თოვლში და ამოვძვერით. ძალიან ში-
ში კი ვკამეთ. რო დაიძახა ერთი და წამოვიდა გრილით, გვიგონა ქვეყანა
იქცევაო.

გულზე მოგვეშვა და თავისუფლათ ამოვისუნთქეთ. ფეხში ცხელი გავაჩა-
ლეთ და მუშებმა მოხსნეს გუდას თავი. აღარ უჩანს ბოლო მათ ნაამბობს.

— ეებს! ცხენებიც, რომ გადარჩენილიყვნენ—ამბობს მარგივეი.

— მუშები რაკი გადარჩენ ცხენებს ვინლა ჩივ-ს.

— დაიცა ეხლა ჩვენი რიგია, დილამდე აღბათ ჩვენც გავგიტანს ზევეი და
მოგვბეჭტავს აქედან—ვითომ ხუმრობს, მაგრამ უფრო სერიოზულათ ამბობს
მარგივეი და ყველას გვიფუტებს განწყობილებას.

გათინდა და მახლობელ გორაკებზე კიანჭველის ზოლებათ გადმოიჭიმენ
ჩვენსკენ მომავალი სოფლები. ხმა ჩასულიყო კვასა ზევემა გაიტანაო და
დაიძრენ გლებები ნიჩბებით.

ოთახი წამდა უწუმ იქედებოდა ახლათ მოსულებით და გვილოცავდენ
გადარჩენას. მე შემდეგ გავიგე, რომ ისეთ აღგილას მდგარა ჩვენი სახლი—
მართლა მოსალოცი ვყოფილვართ, ელხა კი, მართალი გითხრათ მიკვირდა. გვი-
ლოცავდენ და შემდეგ მადიოდენ ბიჭების მისაწველებლად, რომელნიც ცხენებს
და თავლას ეძებდენ.

საკვირელება. ცხრა ცხენი და ერთი ხარი ცოცხალი აღმოჩნდა.

5

თოთხმეტ თებერვალს ნაშუადღევს ოთხ საათზე ზევემ გაიტანა სოფელი
არაწინდა.....

6.

მეორე დღეს ამოვიდა ჩასავალიდან ერთი მოხუცი და გვაცნობა ეს
ამბავი.

ყველა წასულა მათ საშველად, ვისაც კი სიარული შეეძლო, დიდი და
პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი ჩვენთან იმიტომ ამოვიდა, რომ ჩვენც უნდა
წავიდეთ ჩვენი დურგლებიც საჭირონი არიან, რადგან კუბოები იქნება საკეთე-
ბელი და იარაღის წამოღება საჭირო.

კალისტოვმა მოხსნა მუშები და ყველანი გაგზავნა დასახმარებლად.

შემდეგ ჩვენც გამოვეწყვეთ სამგზავროდ. ავიღეთ ლაფათქები და გავწიეთ.
ტიმოფეევმა ფოტოაპარატიც წამოიღო.

ხეობა და მთები მხოლოდ ეხლა დავინახე.

ათასი კაცი კიანჭველებივით მოფენილა თეთრ უმანკო თოვლზე და ფუს-
ფუსებს. ისმის ქალების გულშემწარავი მოთქმა და ტირილი.

რალაც უცნაური გრძობა მიპყრობს, როდესაც შორიდან გვეგებება ეს უცნაური ხრიალი და კვილი. ასეთი გრძობა ერთნაირათ განწყობილი დიდი ზემისა და დიდი უბედურების დროს.

აგერ ერთი დედაბერი დგას, თეთრი თმები ჩამოუშლია და თითო ხელის ჩამოსმით ბლუჯა ბლუჯა ჩამოაქვს თმა. დასტირის ვილაციებს... მიუფახლოვდი.

ოხ ხივე ერთათ დაუსვენებიათ. დედა გაჩქვლილი თავით და სამი ბავში ერთი ერთმანეთზე პატარა. უფროსი ქალიშვილი შუაზეა გახლენილი და ჩერებით შეუკრავთ. მეორეს გულმკერდი აქვს გაბრტყელებული და შესამე ყველაზე პატარა ბიჭუნა მიცქერის გაცივებული ცალი თვალით, რომელიც ღია დარჩენია. დედაბერი ჩაჯდა და დამცქნარი სახის ჩაშოკაწრვა დაიწყო.

იქით გამჭარალი ხმით ხავის ვილაცა ქალი და თავს, თოვლიდან ამოთრეულ მორზე აჩაჩქუნებს. მორთან ასვენია ვილაცა ახალგაზრდა ქალი, სახეზე მიზხმარი აქვს ბავიდან გადმოდენილი სისხლი. ეს ქალი ამ ერთი კვირის წინათ გამოუთხოვებიათ სოფელ წონადან. ეხლა დედა მისი ჩამოსულა და აი მორზე აჩაჩქუნებს თავს. ტირის და მოთქევამს, ჩემთვის გაუგებარ ენაზე. აგერ ქმარიც მონახეს თოვლში და ცოლის გვერდით დაასვენეს, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ წონელემა მარხილი გააწყეს ზედ ახლათ გამოთხოვებული თავისი ქალი დაასვენეს, შიგ თითონ შეებენ და წაიღეს. დარჩა ქმარი თოვლზე უკირისუფლო და თვალზე გადმოკარკლული. შემდეგ კირისუფლებიც მოუნახეს მარტოდ დარჩენილ ვაყკაცს და გვერდით დაუსვენეს მოხუცი დედამა და...

იქით რალაც გაძლიერდა ყვირილი და ხმაური. გავერბივარ და ვხედავ, რომ ცოცხლები ამოიყანეს სამი სული. ერთ მათგანს, მამაკაცს ფეხი აქვს მთლათ დაჩენილი და უგრძობლათაია. ქალს ხელი აქვს მოტეხილი, მაგრამ ლაპარაკის თავი მიინცა აქვს. შესამე ბავშია და მთლათ უვენებლათაია. გამოლენჩებულია მხოლოდ და როდესაც ველაპარაკებო, არაფერი ესმის.

თანდათან ვაჩვევ თვალს და იმდენად აღარ ვლელავ.

აგერ მორი ასწიეს, თოვლი გადაწმინდეს რამოდენიმე ფიცარი გადააბრუნეს და კერიის გარშემო ცხრა სული ნახეს გართხმული, თითქო სარეჯგველაში მოჰყოლოდნენ. ერთ მათგანს პურის ნატეხი შესცივებია ხელში და გათეთქვილ ბაგედან მოუჩანს კბილები, ცხენივით დიდი კბილები. ერთს ნაცარში ჰქონდა თავი წარგული და როდესაც გადმოაბრუნეს თვალის მაგივრად მიცქერდა ნახშირი.

საშინელი ცუდი სუნი მოდის ნანგრევებიდან. ვეღარ ავიტანე და განზე გადაველ. აქ კიდევ თხრიან თოვლს და ეძებენ...

უნებურათ მაკონდება ის მოხუცი, სოფელ არაშენდას სახელწოდების წარმუშობას რომ მიამბობდა. სად არის ეხლა ის მოხუცი? ვინ იცის?

მხოლოდ ეხლა მიმოვიხედე მოხუცის მოგონებასთან ერთად და...

სად არის სოფელი? აღარ არის არაფერი.

სოფელი არაშენდა ფერდობზე იყო გაშენებული. ფერდობის ზემოთ მიდევს ხევი და ერთი კილომეტრ ნახევრის შემდეგ ამფითეატრივით ამართულია

მალალი მთა. ამ ამფითეატრიდან მოწყდა თოვლი, გაიზბინა ას კილომეტრანხე-
ვრიანი ვაკე ხეობა, გადმოეშვა ფერდობზე და სოფელი არაშენდა. გილმა ფე-
რდობზე გატყორცნა.

ქართული
ენის ლექსები

*

ეხლა არაფერი ჩანს. უმანკო თოვლი სწორათ გაფენილა ხევში და მხო-
ლოთ ორმოცდა ხუთმეტრი მკვდარი ჩამწკრივებულია ფერდობზე. კიანჭველებივით
დასევიან სოფლებები ამ მორებს, ფიცრებს, თოვლს, მკედრებს...

*

როდესაც მთაში ზვაგი ვისმეს გაიტანს და დამარხავს, მას კიანურის და-
კვრით ეძებენ თურმე. დადიან თოვლზე და უკრავენ კიანურს. როგორც კი
მკვდარს თავზე დაადგებიან, კიანური იმწამსვე ღუმდება და იქ იწყებენ თოვ-
ლის გათხრას. მკვდარი აუცილებლად იქ იქნება.

ასეთ კიანურის შესახებ ბევრს მიაზობენ, მაგრამ მე ასეთი რამ არ მი-
ნახავს.

*

ერწოს დაღმართზე დაეშვა ორი მამაკაცი. ისინი არაშენდებები ყოფილან.
ძმები. თხილამურები ქამარზე კიდიათ, ცხინვალში ყოფილან და ყველთაში გაუ-
გიათ თავია სოფლის დაქვეა. ძუნძულით მორბიან და როდესაც შორიდან დაი-
ნახეს, რომ სოფელი აღარ იყო, როდესაც დაინახეს, რომ ყველაფერი ზვავს წაუ-
ლია და ორმოცდა ხუთმეტრ მკვდარში შეიდი სული თავისიანები მოითვალეს, წაი-
შინეს თავში ხელი და ორი ვაგაკი ბავშვივით აქვითინდა. ყველა აზრიად
ატირდა და მეც ბურთი მომწევა ველში. ველარ მოვითმინე და გადავედი ვანზე,
სადაც ათიოდე მამაკაცი რალაც თავგამოდებით თხრიდენ თოვლს და თან ოსუ-
რათ ლაპარაკობდენ

ეხედავ ჩემი გამყოლი დიმიტრი ბაგაურიც აქ მუშაობს.

— რა მოხდა დიმიტრი?

— ხმა ამოდის კაცო თოვლიდან. იქნება ცოცხალია კიდევ ვინმე...

მივყურე, მაგრამ ვერაფერი ვერ ვაეიგე, ვარდა ნიჩბების ხმაურისა. მეც
ავამუშავე ჩემი მოკლე ტარიანი ნიჩაბი. ერთი საათის შემდეგ გამოჩნდა კედლის
ნაწილი და მორების თავები.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ცოცხალი გადარჩენ მხოლოდ ისინი, ვინც ქვე-
და სართულში იმყოფებოდა ზვავის დროს, ხოლო ქვედა სართული იქ ყველგან მი-
წაში არის შეჭრილი, ასე რომ ზვავმა ზემო ნაწილი წახვეტა და ქვემო ნაწილი
ფერდობის გასწვრივ სამკუთხედად ალაგ-ალაგ უზნებელი დარჩა.

თოვლი გადაწმინდეს, ხეები ასწიეს და სახლიდან შემოგვეცსმა რალაც სიმ-
ღერის მაგვარი ზმული. როდესაც ხეები ვანზე გადაყარეს და ჩახერგილი ფიც-
რები გადმოათრიეს, გამოჩნდა ბაგა, ბავასთან ცოცხალი ძროხა და ბავის ქვეშ
ქალი და ორი ბავში.

ქალი ზმუოდა, თუ მღეროდა ვერ გაარჩევდი. ბავშვები ჩუმად ისწავნი.
 დიმიტრიმ ხელი მოჰკიდა და ისინი გაგულდულები აღმოჩნდნენ. ჰაერზე გა-
 მოიტანეს და ახლათ მოსულმა ეჭიშმა ქალმა დაუწყო მობრუნება და დასრულდა შემ-
 ლილიყო. უაზროთ იცქირებოდა სივრცეში და ზმუოდა პირუტყვივით.
 შემდეგ კედელთან ნახეს მორით თავგაჩეხილი ქმარი.

*

მიცვალბულთა მწკრივი სამოცდა ხუთმეტამდე გაიზარდა.

მწკრივთან ზამთორეთლები შეგგუფულან და ითვლიან. ცხრა სული ცოც-
 ხალია. ხუთი მკვდარი ახლობელ სოფელში წაიღეს. ოთხმოცი კიდევ აკლიათ.
 ჯერ ჯერობით მარტო ათი სახლის ნანგრევებამდე დაუწიეს. ისევ მუშაობენ გა-
 ნუწყვეტლად. ღამისთვის ეინელილები და ჭრაქები გააწყეს. შორეული სოფლიდან
 განუწყვეტლად მოდიან გლეხები და დაღლილებს ენაცვლებიან. ქალები შორი-
 დანვე იშლიან თმას და მოთქმით მოდიან. კითხულობენ თავიანთ ნათესავებს.
 კივილით ჩაუვლიან მწკრივს და მერე რომელიმე კვდარს დაეცემიან, ხევეენ ხელს
 და გაციებულ სახეზე კრემლებს აწვეთებენ...

მამაკაცები კი მუშაობენ, თხრიან და აბრუნებენ თეთრ, მავრათ დატკეპ-
 ნილ თოვლს, რომელიც გადმოდის ბელტებად.

*

უკვე ბნელდება და ჩვენ უკან ვბრუნდებით. დაღლილები ვართ. ნასოფ-
 ლარის ბოლოში შეეჩრდით, რადგან სოფლელებს სახლის ნანგრევებამდე დაუ-
 წევიათ და სათითაოდ იღებენ ფიცრების ნამტვრევებს, კასრებს, რკინის საშფეხს
 და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს. აღმაიანი ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი
 ვერ იპოვეს, მხოლოდ ერთ ადგილას ჩერებ შემოკრული ფიცარი ნახეს, რომე-
 ლიც ფეხებ მომტვრეული აკვანი გამოდგა. ჩერები შეხსნეს გადასწიეს და...

*

დადუმებული, მოსხლექილი, დაქანცული და ამდენი უბედურების ხილვით
 ნერვებ აშლილი ვბრუნდებით უკან კვაისაში.

*

მთელი ათი დღე თხრიდენ თოვლს და ეძებდენ დაღუპულებს.

ცხინვლიდან გადმოვიდა ეჭიმების რაზმი და თავდაცვა ავიაქიმის წყარე-
 ბი ასოცი კაცის შემადგენლობით.

ოცდა ხუთი კაცი ვერ ნახეს და ვერც ნახავენ სანამ თოვლი არ და-
 დნება.

ღაპრით კლდიაშვილი

შ თ გ თ ნ ე შ ა ნ ი

I.

1930 წლის ივნისის 29-ს ტფილისში დავითის იუბილე იმართებოდა. ამის შესახებ გაზეთებში აღრევე იბეჭდებოდა ცნობები, ჟურნალებში თავსდებოდა წერილები. თუმცა სოფელში გაზეთები მისდიოდათ და იქიდანაც შეეძლოთ ყველაფერი გაეგოთ, მე მაინც ხშირად ვწერდი და უგზავნიდი ღელას და მამას წერილებს მომავალ იუბილეს შესახებ. უმთავრესად მაინტერესებდა პასუხი—რა შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ამბავი დავითზე, რას განიკდიდა. მაგრამ სოფლიდან სანუგეშო არაფერი მომდიოდა. ღედის ყოველი წერილი თითქმის ერთიად იგივე იყო: დავითი ერთობ სუსტადაა, სრულიად ვეღარ დგება, ტფილისში გამგზავრებას ვერც უხსენებ, დილით რომ ელაპარაკები იუბილეს შესახებ, საღამოთი ისევ უნდა გაუმეორო—აღარ ახსოვს. ამის შემდეგ გადავწყვიტე სოფელში წასვლა იმ მიზნით, რომ, ასე ვთქვათ, მამა ხასიათზე მომეყვანა, შეემზადებია მოვავალი დღესასწაულისთვის მე ვიცი დავითის დროებით მაინც გამკურნავი წამალი!

მთელი ღამე ტფილისიდან სვირამდე ფხიზლად გავატარე ვაგონში. უძილობით მოთენთილი სხეული რამდენიმედ გამხნედა, როცა განთიადზე გზას გაუდგევი ყვირილის ხეობით უნაგირა მთისკენ, რომლის კალთებზეა ჩემი სოფელი სიმონეთი.

სადგურზე ნაქირავეები პატარა ცხენი წელი ნაბიჯით მიდის. როცა მას უნაგირს აღგამდენ, არ შემოხედავს განზრახ. ვიცი, მას აუცილებლად ზურგი სტკივა. ამას ცხადად ვგრძნობ გზაში, როცა ხანდახან ზურგზე კუნთები შეუთამაშებს. რომ დალილი არ ვიყო და ჩემოდანი არ მიმქონდეს, ფეხით წავიდოდი.

პირველად მე იმერეთი დავითის მოთხრობებით გავიცანი. ყველაფერი ცოცხალი ამ მოთხრობებში! იდამიანი, პირუტყვი, სოფელი.. თითქო ყველაფერი დავითის რეკრუპტით მიმდინარეობდეს.

ჩემოდანში ცოტაოდენი საჩუქრები მიმაქვს მამასთვის: ტკბილეული, შაქარი, წიგნები.

ჯერ აღრე იყო როცა შინ მივედი.

საოცარი რამ ხდება ყოველთვის ჩემში როცა ქალაქიდან ჩამოსვლისას პირველად ეზოში შევდივარ. სიხარულის მაგიერ სევდა მიბურობს უეცრად. მუ-

დამ მერვენება თითქო ჩვენი სახლი საოცრად მოძველებულიყოს, თითქო არავეინ ცხოვრობდეს შიგ და ოთახებში დიდი მწუწარება იდგეს, მაგრამ აი ჩემს დაძახებაზე აივანზე გამოჩნდება დედის თეთრი თავი, აჩქარებულნი ნახევრით ჩამოირბენს კიბეს, გადაეხვევით ერთმანეთს და ამის შემდეგ სახლი წათლდება.

მამა დიდი სიხარულით შემხვდა. მას უკვე ეზოდან გაეგონა ჩემი ხმა.

იენისის დასაწყისია. გარედ მზეა, დავითის ოთახის ბუხარში კი ცეცხლი ანთია. დავითს სცივა.

მამა ლოგინში წევს. სკამზე თავთ ჩაის დაკლილი კიჭა დევს. ჩაი—ყველაფერია დავითისთვის. მხოლოდ ამაზე არ შეუძლია უარი სთქვას. ამასთანავე ჩაი უნდა იქნეს ძალიან ცხელი. თუ ახლად ადუღებულ ჩაიდან დანადან არ იქნა წყალი გადმოსხმული, ისე არ დალევს. ბუხართან მუდამ სდგას ჩაიდან. ყოველ წუთში მოსალოდნელია დავითმა ჩაი მოითხოვოს.

რა საოცრად შეცვლილა მამა რამდენიმე თვეში!

რატომღაც მეჩვენა, რომ მის სახეს სიკვდილის ბეჭედი ესვა, ვცდილობდი მომეშორებია ეს აზრი, მაგრამ ამაოდ. სახე შეცვლილი ჰქონდა. თითქო დამბლა დასცემოდა.

ვცდილობდი მხიარული ვყოფილიყავი. თუმცა გულს არ უხაროდა.

— მაშ მე და შენ შალე წავალთ ტფილისში!—ვეუბნები ხელოვნური ხალისით.

დავითის ამღვრეული თვალი ხანგრძლივად ჩერდება ჩემზე.

— ტფილისში? რატომ? ახლა ზაფხულია. აქ ყოფნას რა სჯობია.. თუ მაინცადამაინც უნდა წამოვიდე, მაშინ შემოდგომაზე...

— მაშ იუბილეზე წამოსვლას არ აპირებ?

— რა იუბილე?

— აღარ ახსოვს, თუმცა წუხელ კიდევ გავახსენე!—ჩამჩურჩულებს დედა.

ისევ უნდა უამბო ყველაფერი. დავითი ნისმენს დამშვიდებით და როცა სიტყვას ვათავებ, უცრად მესმის მისი ხმა—

— არაფერი საჭიროა!

ხმის კილოზე ვამჩნევ, რომ რატომღაც გაბრაზდა.

— არაფერი საჭიროა!—უფრო ხმამაღლა იმეორებს—ვის რად აინტერესებს ჩემი იუბილე! რად უნდა გავიზაღო საქმე სამასხაროდ? მე ახლა მძორი ვარ, ლეში. მეტი არაფერი. რატომ არ გაქვს, სერგო, ჩემი პატივისცემა? რატომ გინდა ხალხმა სასაცილოდ ავიგდოს? ვის უნდა ჩემი დანახვა სცენიდან? არაფერი საჭიროა. არაფერი მითხრა იუბილეს შესახებ. იცოდე, არ მინდა და არ წავალ!

ჩემოდნიდან ამომაქვს საჩუქრები. ყველაზე უფრო ტკბილს ვეხარის.

— აი ეს კარგი გიქნია!—გახარებულია დავითი და ბავშვით წუწნის ტკბილს.—ეს გალტიც მშვენიერია.. იფ, რა მშვენიერია! მაშო, გენაცვალე, აბა ერთი ჩაი, ჩაი... სერგოსაც დაუსხი. კიდევ დავლევთ! ვიცი, სერგოსაც უყვარს ჩაი. უარს არ იტყვის.. ერთად დავლევთ!

ჩაიდანის გახურებულ კრანიდან წყალი შიშინით გადმოდის. მამა მხიარულადაა.

— სოფელში მე ორი მეგობარი მყავს—იციან და ვიცი—
ეს ჩაინიკი!

მე ისევე იუბილეზე ვიწყებ ლაპარაკს. ამოვიღე გაზეთები, *ქართული*

— წამიკითხე, წამიკითხე!—გახალისდა დავითი.

წავიკითხე ქრონიკები. მერე ჟურნალები გადავფურცლე. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ დავითის შესახებ გრიგოლ რომაქიძის წერილი იყო მოთავსებული.

გრიგოლის წერილი უმთავრესად „სამანიშვილის დედინაცვალს“ შეეხება. წერილში მოყვანილია ადგილები მოთხრობიდან. წავიკითხე ერთი გვერდი, ორი, სამი.

გვითხულობ:

„— ...ეძებნოთ, პლატონ, ეძებნოთ! ხა, ხა, ხა! ჩემს დღეში ამგვარ უცხო საქმეზე არ მივლია და აქედან ვიცი, რომ ბევრი გასართობი მოგველის! რამდენ დედაბერს, სანატორელად გაუხდით უშვილოდ ყოფნას...“

აქამდე დავითი ჩემად მისმენდა. როცა ხანდახან შეეხებოდა, დავინახავდი, რომ თვალები დახუჭული აქვს. უეცრად დავითის სიცილი მესმის:

— ეგ საინტერესოა რაღაც!

გაკვირვებით ვუცქერი,

კითხვას განვაგრძობ:

„— ასე დაგეწყო, შე დალოცვილო თავიდანვე... ტყვილა გამალანძლიე ნათესაეი კაცი“..“

ისევე დავითის სიცილი მესმის—

— რა არის ეგ, რას კითხულობ?—რაღაც საინტერესოა. რა მოთხრობის შესახებ კითხულობ?

— ეს ხომ „სამანიშვილის დედინაცვალია“?

— ჰა?

— შენი მოთხრობა... სამანიშვილის დედინაცვლის ადგილებია.

— არ ვიცი!—ჩემად ამბობს დავითი—რა ჩემი მოთხრობა, რა სამანიშვილი.!

— აღარ ახსოვს!—ჩემად, და საოცარი მწუხარებით მეუბნება დედა.

მაშინ მე მისი წიგნი მოვებნე, ვიპოვე მოთხრობა.

— გინდა თვით ის მოთხრობა წავიკითხო?

— ძალიან კარგს იხამ.. ეგ რაღაც საინტერესო უნდა იყოს!—გახალისებულა მამა.

დავიწყე მოთხრობის კითხვა.

დავითი იცინის.

დედის თვალებზე ცრემლებს ვხედავ.

კითხვას განვაგრძობ. დავითი ყურადღებით მისმენს. მხოლოდ ხანდახან თუ

იტყვის:

— მდა.. ეგ რაღაც უცნოური ამბავია.!

თითქმის მოთხრობის მეოთხედი მაქვს წაკითხული.

უცრად დავითის წყრომა მესმის.

— ეგ ხომ ჩემი მოთხრობაა! რად მიკითხავ? მასულღებ, თუ?

ვეცადე წიგნს.

მოაგონდა. მაშეჯერ საიმედოა. შეიძლება კიდევ შევძლო დანახვას კარგობით მობრუნება.. შე ვიცი ამის ერთადერთი წამალი: ეს არის დავითთან ლაპარაკი, მისი გართობა, გრძელი საუბრები..

— დალლილი ხარ, შვილო, დაიძინე!—ზრუნავს ჩემზე დედა.

— ჰო, ჰო, მოასვენეთ! გეძინება, ხომ?—მეკითხება მამა.

აბლა ისიც ზრუნავს ჩემზე, თუმცა ვიცი—ძალიან ენანება, რომ უნდა დავტოვო დროებით, სანამ გამოვიძინებდე.

— ავღებები და ისევ შენთან ვიქნები მთელი დღეები!—ვამხნევებ მამას.

ის იცინის. უხარია ჩემი შეპირება.

ნალევლი ჩამოწვა გულზე. ზეწარს თავზე ვიფარებ. ამ ნალევლით ვიძინებ. ძილის წინ მხოლოდ ეს მახსოვს: მამა ეკითხება დედას.

— დაიძინა? რა კარგი ნამცხვარი მომიტანა.. აბა, ჩემო მამო, ერთი ჩაი..

რა გემრიელი ნამცხვარია!

ამ დღიდან ჩემ საქმეს შეუღდეკი.

ეს საქმე არის: მამა ხასიათზე მოვიყვანო. თუ ამას მივალწვი, ვიცი მოჯობინდება და მაშინ არც ტფილისში წასვლაზე იტყვის უარს. ტფილისში გავართობთ. იქნებ კიდევ მოჯობინდეს.

ოჯახში დიდხინიდან ვიცოდით: დავითის ავადმყოფობა ნერვიული ხასიათის იყო. თუ გავახალისებდით, ავადმყოფობა გაათავდებოდა. როცა ნერვიულობა ისევ მოერეოდა, რომ ჩვენ, ოჯახის წევრები, ვერაფერს გავაწყობდით, დავითისთვის საყვარელ ადამიანებს მოვიპატიებდით, დავითთან შევიყვანდით, დავალაპარაკებდით და ნახევარი საათის შემდეგ მუსაიფში გართული მამა არა თუ მოჯობინდებოდა, უცრად ადგომასაც მოისურვებდა, გაიყვანდა სტუმარს სასადილო ოთახში და ცხელ ჩაიზე მზიარულ ბაას მართავდა. ჩვენ ვიძინებდით, დავითი კი კიდევ დიდხანს მუსაიფობდა. მეორე დღიდან უკვე კარგ გუნებაზე იყო.

აბლაც ძველ ნაცად ხერხს მიემართე. ვიცოდი, რამოდენიმე დღეს, სანამ საამბობი მარაგი არ გამომეღოდა, მარტო მეც ვეყოფოდი. ვიჯექი მთელი დღეები ლოგინის გვერდით და ველაპარაკებოდი.

ხშირად ვგრძობდი დაღალვას ერთ ადგილზე ხანგრძლივი ჯდომით. ოთახის სიციხეც მაწუხებდა. გარეთ მზიანი, მშვენიერი ამინდი იყო და ეზოში გასასვლელად მიმართევდა. ხანდახან ძლიერ ვიმაგრებდი თავს. თუ სურვილი დაუძლეველი ხდებოდა, მაშინ მოვიგონებდი რომელიმე ეპიზოდს მისი შორეული წარსულიდან. როცა წარსულიდან მისთვის სასიამოვნო ეპიზოდს გავახსენებდი, ვიცოდი, რომ შემძლო ათიოდე წუთით მარტოც დამეტოვებია. ამ ხანში მას შეგობრად ჰყოფნიდა ამ ტკბილი მოსაგონარის გახსენება და მასთან მარტო ყოფნა შეეძლო. წარსული და დავითი თითქოს უძახდნენ ერთმანეთს და უაღერსებდნენ.

ამას მე ეშმაკურად ვშვებოდი. გადავისროდი თუ არა მამას წარსულში (მე ცხადად ვხედავდი მის სახეზე რა აბლო იყო ის მისული წარსულთან. თით-

ქო ფიზიკურად ეხებოდა მას), ვისარგებლებდი შემთხვევით და გზორედ გავიდოდი.

მაგრამ დავითი მალე ეშმაკობას მიმიხვდა და როგორც დეფინიცივდეს, რომ აღგომას ვაპირებდი, იმავ წუთში დამიწყებდა ლაპარაკს ისეთმატყმანზე, რამეჯლიც უკვე მე მაინტერესებდა. ამის შემდეგ მე ველარ მივდიოდი და ისევ ვეჯდებოდი. ასე „ვებროდიოთ“ ერთმანეთს.

სამი დღის შემდეგ დავინახე, რომ დავითი რამდენიმედ უკეთ შეიქნა. იმედი მომეცა.

მე მგონია, რომ დავითი ახლაც ცოცხალი იქნებოდა, რომ მას არ სცოდნოდა საოცარი მოწყენა. დავითი მარტოობას ვერ იტანდა. დავითს მაღალი ძლიერი ხმა ჰქონდა. ხმა პირდაპირ გულიდან ამოდიოდა. როცა მარტოობის გრძობა მოერეოდა, ისეთი ხმით იწყებდა ყვირილს, რომ ხმა ძალიან შორს ისმოდა. ყვიროდა გაბმით, გუგუნით. როცა ერთხელ ვკითხე, რატომ ყვირი მეთქი ასე უცნაურად, ხომ არ ვტყივა რამე, ან რა მიზეზია, დავითმა გულაყუჩებით მითხრა:

— მარტო ვარ, მოწყენდა!

ამ დღეებში მხოლოდ ერთხელ გავიგონე დავითის ამგვარი უცნაური ყვირილი, ეს იმიტომ მოხდა, რომ დამინებული დავტოვე, გარეთ გამოვედი, მაგრამ უცბად გაღვიძებოდა და მარტოობის შეშინებოდა. შემდეგ ყვირილის საბაბი აღარ მიმიცია. ვინმე მეზობლები ვინც კი უყვარდა დავითს და შევაჩვიე ისინი მასთან ოთახში დიდხანს ჯდომას.

დავითს მეზობლებში თავისი ტოლი გლეხები უფრო უყვარდა, თუმცა ახალგაზრდებშიც ჰყავდა მეგობრები. ერთი ამათგანი ნოე სირბილაძე იყო. ნოე ამჟამად 25 წლის ვაჟაკია. მაღალი. მხრებში საოცრად განიერი. ყველაფერში სჩანს, რომ დიდი ღონე აქვს. დავითის სიყვარულს ნოესადმი ღრმა მიზეზები აქვს. ნოეს მამა სპირიდონა დავითის ხნისაა, მაგრამ ფიზიკურად რა შედარებაა! სპირიდონა ახლაც 40 წლის ვაჟაკს ჰგავს. ნოეს ბებია კი დავითის ბავშობის ყველაზე უძვირფასესი მოგნებაა. ნოეს ბებიას დავითი თავის მემუარებში იგონებს. ნოეს ბებიამ უამბო საიქიოდან დაბრუნების ის ამბავი, რომელიც „მსხვერპლში“ მოჰყავს. დავითს არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ბავშობაში საოცარი ცელქი იყო, რომ ერთხელ შევიდა სპირიდონას დედასთან სახლში, კრუხი დაინახა საბუდარსა მჯდომი, კრუხი გადმოიყვანა და თავი მოსჭრა. მეორედ ცეცხლი წაუკიდა ისლით დახურულ მათ სახლს და რომ დროზე არ მოესწროთ, სახლი დაიწვეებოდა.

დავითის მეგობრობა ნოესთან ძალიან სათუთია.

ერთხელ ზაფხულში, მგონი 1926 წ., დღლით დავითი უცრად სოფლიდან ტფილისში ჩამოვიდა. თან ნოე ჩამოიყვანა. ნოე სახადის შემდეგ ხანგრძლივად ავადმყოფობდა, ნერვიული სისტემა აეშალა და გაგიჟდა.

დავითმა ნოე ტფილისში ჩამოიყვანა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოსათავსებლად. თოკით შეკრული ნოე ტფილისში სოფლიდან ჩამოიყვანეს მისმა მამამ და ორმა ახალგაზრდა მეზობელმა. მატარებელში მრავალი გასაქირი გადახდათ გაგიჟებულის ჩამოიყვანათ, მაგრამ არა ნაკლები განსაცდელი დაგვადგა

ჩვენ ტფილისში. ნოვ დავითმა თავის ოთახში შემოიყვანა, თითონ კი ესიკვიატრულ საავადმყოფოში გაიქცა. სანამ მამა დაბრუნდებოდა, იმ დრომდე ნოემ თითქმის ყველაფერი ნამსხვრევებად აქცია დავითის ოთახშიც, ჩვენ ვმჯღვე დღეს საავადმყოფოში მოათავსეს, იქ ერთ თვემდე მკურნალობდა, შემდეგ კი ზარღლიად ჯანსაღი შეიქნა და ისევ სოფელს დაუბრუნდა. მის შემდეგ ნოეს დავითი განსაკუთრებით შეუყვარდა და იშვიათი დღე იყო, რომ დავითის სანახავად არ მოსულიყო. ვიცოდი, მამასაც უყვარდა ნოე და ამიტომ ვცდილობდი ჩვეულებრივზე მეტ ხანს დამეტოვებია ოთახში.

თავს ვუყრიდი დავითის ოთახში ყველას ვისი ნახეაც კი უხაროდა. მთელი დღის განმავლობაში დავითის პატარა ოთახში ხალხი იყო. თის საყვარელი მეზობლებია.

აქ დავითის ერთი თვისება უნდა გავისენო. რამოდენიმე კაცს ვერ იტანდა. ნერვიული სისტემა მამას უკვე იმდენად მოშლილი ჰქონდა, რომ თავის სიხარულს ან ანტიპათიას ამა თუ იმ პირისადმი ვეღარ მალავდა. თუ დანახვა უხაროდა—მთელი გულით უხაროდა. თუ კაცი ეზარებოდა, ბორცავდა, ვეღარ ისვენებდა. შეხუდავდა თუ არა ისეთ პიროვნებას ვინც არ უყვარდა, იმავე წუთში დაედრიჯებოდა სახე, უცბად გაქრებოდა წინა წუთის ხალხი. თუ უსიამოვნო ადამიანი მეტხანს გაჩერდებოდა ოთახში, დავითი უცბად მორთავდა კენესას, ტირილს, მერე ყვირილსაც და მანამდე არ დამშვიდდებოდა, სანამ ყველა არ გავიდოდა ოთახიდან. და როცა დაინახავდა დაცარიელებულ ოთახს, ნაღვლიან თვალებს მომაჩერებდა და მწუხარებით მეტყვოდა:

— რა უნდოდა იმ ოხერს, რომ მოეთრია? იმ ვირის მოსვლამ ყველა დაადრთხო. პა, წავიდა ყველა... რა უნდოდა რომ მოეთრია! ხომ ხედავ რაგა სძულს ყველას—როგორც კი დაინახეს, გავიდნენ...

რომ ასეთი შემთხვევებისგან, ზედმეტი მღელვარებისგან, უზრუნველმყოფი დავითი, ავირჩიე ოთახში ისეთი „სტრატეგიული“ ადგილი საიდანაც მესამე ოთახშივე შემოსულს ვხედავდი. და თუ ახალმოსული ჩემი ცნობით დავითს არ ესიამოვნებოდა, ნიშანს ვაძლევდი გაჩერებულყოფი და ოთახში ფეხი არ შემოედგა.

ამრიგად ავაცდინე დავითი ზედმეტ მღელვარებას და მის გარშემო შემოვკრიბე მხოლოდ ისინი, ვისი დანახეაც ახარებდა. ამათ შორის იყვნენ მისი სიყრმის მეგობრები გიორგი გიორგაძე, სოლომონა ფანჯულიძე და სხვები. სოლომონა, გულზე დაფენილი გრძელი თეთრი წვერით, მუდამ დინჯი, ლაპარაკშიც აუჩქარებელი და დაკვირვებული ყოველთვის სასტუმროდ იყო ჩაცმული და როცა მოვიდოდა დიდხანს იცოდა ჯდომა და ბაასი. გიორგი სხვა ბუნებისაა: ცოცხალი, მოძრავი, წალდი მუდამ ქამარში აქვს გარკობილი. მოუსვენარი, ლაპარაკობს თითქოს სიზინდს ფქვავედეს. შემოვა ხმაურით, შეძახილით, ქაქანიით. მთელ სახლს ხმაურით აავსებს. ერთ წუთში მრავალ რამეს უამბობს მამას, უცბადვე გატრიალდება და წავა. წასვლის წინ ყოველთვის „გაუწყრება“ მამას:

— ადგე, დათა, წოლას მიეჩვიე, მეტი არაფერია. შენზე თუთხმეტი-ოცი წლით უფროსი ვარ. დღეს მთაში ორი ურემი ხარდანი მოვჭერი და ხომ ხე-

დავ, არ დაველღვივარ ადექი. ადექი, შენ ბავში ხარ კილო, რა დროს შენი ავად-
მყოფობაა!

დავითი უცინის. გიორგი მალე მიდის. დიდხანს ვერ იცხრისაჲ მკაჭანათ გა-
დაიარა ეხო. ეხოშიაც ვილაკას შეუწყრა. კიშკართან ლობენს მესწრაჲსაჲს კურეუ-
ქვა შეიგდო ჩქარი ნაბიჯით გაუღდა გზას თავის სახლისკენ.

— რა საოცარია ჩემი გიორგი! — იღიშება დავითი. მისი თვალები ამ
წუთში დახუჭულია. შესაძლოა იგონებს იმ დროს, როცა გიორგიმ პატარა და-
ვითი მხრებზე შეისვა და ისე ჩაიყვანა სოფლიდან ქუთაისში სისწავლებელში
მისაბარებლად.

სოფელში ადრე იძინებენ, ყველაზე გვიან კი — ჩვენი სახლი. დამის 1—2
საათამდე ჩვენს ოთახებში კიდევ სინათლეა. დაღამების შემდეგ მოველით მხო-
ლოდ აბესალომს. აბესალომ ლვინეფაძე ჩემი მამიდაშვილია. ბავშობაში აბესა-
ლომი მამამ წაიყვანა ბათომში და გიმნაზიაში მისცა. აბესალომს ჩემმა მეგო-
ბარმა ჰოეტებმა „ფალსტაფი“ დაარქვეს. ძალიან უბღება აბესალომს ეს ახალი
სახელი.

რამდენიმე წელიწადია აბესალომი სოფელში აფთიაქს განაგებს.

— ძალიან მიყვარხარ, ჩემო აბესალომ — ეუბნება ხანდახან მამა, — ოღონდ
ის არ მომწონს, რომ წამლების დამალება იცი!

დავითს წამლებისა არაფერი სჯეროდა. სწამდა მხოლოდ მორფინი, რად-
გან ის ტკივილებს უყუჩებდა.

აბესალომი ისეთი განიერია მხრებში, რომ ერთი კაცის ხელი ვერ შემო-
ეხვევა, როგორც ყველა ფიზიკურად ძლიერი და ჯანსაღი, აბესალომი საოცარ
გულკეთილია და ამასთანავე მზიარულიც. მისი მზიარულება ხშირად სენი-
ვით ვადამდებია. შესაძლოა უფრო იმიტომ უყვარდა კიდევ მამას აბესალომი,
რომ მისი ჯანსაღობის შეხედვა ახარებდა.

მთელი დღის განმავლობაში აფთიაქში მუშაობით დაღლილი აბესალომი
მამასთან საღამოობით ამოდიოდა.

როგორც კი დაღამდებოდა, მამაც იტყოდა:

— აჰა, საცაა აბესალომიც შემობრახუნდება!

უცდიდა და უხაროდა.

შემოვიდოდა აბესალომი მართლაც ბრახუნით, ხშიანი სიცილით, და პირ-
დაპირ მამას ოთახს მიაშურებდა.

— აბა მაშო, ჩაი, ჩაი! შე ჩემი ჩაი, აბესალომს კი მისი ჩაი! — გახალისე-
ბული იყო მამა.

აბესალომს დავითის ჩაი არ უყვარდა. აბესალომს თავისი ჩაი ჰქონდა.
აბესალომის ჩაი ღვინო იყო.

და აი იწყებოდა დროებით მიყუჩებულ ოთახში ისევ ხმაური, ხმამაღალი
ლაპარაკი.

სალაპარაკო დავითსა დ აბესალომს ბევრი ჰქონდათ. აბესალომი ბათო-
მის ამბებს იგონებდა. ჩემგანაც გაფრთხილებული იყო და თვითონაც იცოდა,
რომ დავითს ყველაზე უფრო ახალისებდა წარსულის მოგონება, ხოლო წარ-
სულიდან ის ცხოვრება, რომელიც ბათომში გაატარა.

— დავით სამსონიჩ, გახსოვს ერთხელ თავში რომ წამიბაღლა? — გვითხება აბესალომი.

— განა ერთხელ? — იცინის დავითი.

— არა, იმ ერთხელ შინც ძალიან იყო! — ხარხარებს აბესალომი.

„იმ ერთხელ“ ასე მოხდა: საღამოს დავითი გინწაზიელ აბესალომს გეოგრაფიის გაკვეთილს ამაცადინებდა. მათ წინ გეოგრაფიული ატლასია. — „ამ მდინარეს ჰქვია მისისიპი“! — უხსნის დავითი. — გაიმეორე. აბესალომი იმეორებს: — „მდინარეს ჰქვია მისისიპი“! — „მისისიპი“! — უსწორებს დავითი. — „მისისიპი“! — ჯიუტობს აბესალომი. რამდენი არ გაუსწორა დავითმა, ვერა ვააწყვო რა. დაიჯინა აბესალომმა „მისისიპი“ და გასწორება არ იქნა. მაშინ მოთმინებიდან გამოსულმა დავითმა „წაუბილიკა“ — ესეც შენი მისისიპი! მუტრუკო, მისისიპი! — „მისისიპი“! — ტირილით ამბობს აბესალომი.

გეოგრაფიის გაკვეთილი იმ ღამეს იმით შეწყდა, რომ აბესალომმა მდინარის სახელი სისწორით ვერ თქვა. ახლა ის მზარულ მოგონებად იქცა და დავითს წარსულს აგონებს.

მისისიპის მოგონება მხოლოდ საბაბია იმისათვის, რომ შემდეგ მას ბათუმის ამბები მოჰყვეს. აბესალომი ამას ისე მოხერხებით შერება, რომ დავითი ვერ ხედება, ანკესზე სიამოვნებით ეგება და იწყება წარსულის გრძელი მოგონებანი. აბესალომი უკვე დიდხანია დაიღალა. დავითს თვალთ აკლია და ვერ ხედავს, თორემ დაინახავდა, რომ აბესალომს სკამზე დამჯდარს სძინავს. დავითი თითონ გატაცებულია მოგონებებით, რაპარაკობს და ჰგონია, რომ აბესალომი უსმენს. აბესალომი მხოლოდ ხანდახან რაღაცას წამოიძახებს ძილში. აბესალომს შეუძლია ერთხანს გუნებეირად იძინოს. დავითი დარწმუნებულია, რომ მას უსმენენ. მამაგახალისებულაია, მაშასადამე მიზანი მიღწეულია.

ერთი კვირის შემდეგ მამა იმდენად გამოვაბრუნეთ, რომ ცვლილება ყველამ შენიშნა.

სოფელში ჩასვლისას დედა მეტუნებოდა: — თავითი იმდენად დაავადებულია, რომ გაზეთიც აღარ აინტერესებს!

უნდა იცოდეს კაცმა თუ რა იყო დავითისთვის გაზეთი, რომ ამ სიტყვების მწუხარება გაიგოს. დავითი უაღრესად ცხოვრების კაცი იყო. იშვიათად მინახავს ცხოვრების უფელდღიურობაზე ასე დაწაფებული კაცი.

ბავშობიდანვე მახსოვს: დავითი შინ სადილის დროს მოვიდოდა, ხელში სხვადასხვა გაზეთების დასტა უჭირავს. სადილად დამჯდარი მამა გვერდით იწყობს, გაზეთებს, სკამს და თან კითხულობს. როცა რომელიმე წერილი ან ცნობა აღელვებს, სკამზე ნახევრად შეტრიალდება და ჭამას ივიწყებს. თუ რომელიმე წერილი მის წყრომას იწვევს, დავითის უკმაყოფილება იწყება ჯერ ჩუმი რეპლიკით:

— მდა... მდა...

უკმაყოფილება თანდათან იზრდება

— ისეც დაგასხი თავზე ლაფი!

და ბოლოს ფორტისიშო, თავისი დიდი ხმით:

— ჩორტ ზნაეტ ჩტო ტაკოე!

დედის აღერსიანი მიმართვა:

— დათიკო, გაციედა სადილი!

ისევ აბრუნებს მამას მაგიდისკენ. ისე სწრაფად შესწამს სადილს როგორც სადგურზე მატარებლით მიმავალი მგზავრი, დახვეწს გაზეთებს, წყლის და საწოლისკენ მიდის. დაწევა და კითხვას განაგრძობს. გადაწინჯავს ყველას, შერეოცა დალლილობა მოერევა, იმ ვაზეთს, რომელიც უკანასკნელად შერჩება ხელში, თავზე გადაიფარებს და ერთი საათით იძინებს.

სიყმაწვილიდან შერჩა ეს ჩვეულება იმ დრომდე, სანამ უკანასკნელად სკლეროზმა ხალისი და ძალა არ წაართვა.

დავითს ვაზეთის ხალისი დაუბრუნეთ. ჩემზე უფრო ეს დედას უხარია. მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ დავითი საგრძნობლად გამოკეთდა.

— შენ სასწაული მოახდინე.—მეუბნება დედა.

რამდენიმე დღის შემდეგ ტფილისიდან სტუმრებს მოველით. მოველით შწერლებს, რომელნიც მის სანახავად ჩამოდიან. ეს მოლოდინი იმდნად ახარებს დავითს, რომ უკვე ერევა მათი დახვედრის საქმეში.

ასეთი ჩარევა სრულიად ნორმალური იქნებოდა სხვა მდგომარეობაში მყოფ დავითისთვის. სრულიად ზედმეტ რჩევას გვაძლევს მამა, მაგრამ ახლა ეს ჩვენ მიიწვევა აქვს. ის ხომ ჯერ კიდევ რამოდენიმე დღის წინად სრულიად გულგრილი იყო ყველაფრისადმი, მას ხომ არაფერი ახალისებდა! ახლა კი ძილიც უკეთესი აქვს. ყოველშემთხვევისთვის მე და დედა გვერდით უზივართ. მის ძილს ვუდარაჯებთ. მთელი საათობით ვზივართ ჩუმით. მუნჯურად ვსაუბრობთ, ნიშნებით ველაპარაკებით ერთმანეთს. მხოლოდ ხანდახან, როცა დავითის მშვიდი სუნთქვა გვესმის, დედა გადმომხედავს, მოიწევს ჩემსკენ და ჩუმად, ძალიან ჩუმად ჩამჩურჩულებს:

— რა კარგად სძინავს!

ორივეს გვიხარია.

გვაბრაზებს მხოლოდ კრიკინა. ოჰ, ეს კრიკინა! ორი თუ სამი წელიწადია მისგან მოსვენება არა აქვს დავითს!

სადაც კედელი ბუხარს უერთდება, იქ გარღვეული ადგილია. სადაც იქ არის შემძვრალი კრიკინა. როგორც კი დადგება საღამო და აინთება ღამა, კრიკინა იწყებს თავის დაუსრულებელ კონცერტს. როცა კრიკინა ვერ გაუჩერებიათ, დავითი ხანდახან ისტერიკამდე მისულა. მე დაუნდობელი ბრძოლა დაუწყე კრიკინას. ჯერ ჯობით უკირკიტებდი. გაჩუმდებოდა ერთი წუთით, მაგრამ მერე ისევ იწყებდა. საოცარი თვისება აქვს კრიკინას. ვერაფრით ვაიგებ რა ადგილას არის შემძვრალი და საიდან კრიკინობს. მივიდებ ყურს, მგონია აქ არის,—თურმე იქ არ არის. სადაც კი მიადებ ყურს, გგონია რომ იმ ადგილას არის. ვითათბირეთ კრიკინას საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ, გადავწყვიტეთ მღუღარე შეგვესხა. შევასხამდით ცხელ წყალს იმ ადგილს, სადაც კრიკინა გვეგულდებოდა. წუთით შეჩერდებოდა, მაგრამ შემდეგ ისევ უდარდელად იწყებდა თავის სიმღერას. ჯერ ნელა იწყებდა, თანდათან ხმას უმატებდა და როცა ემშვიდებოდა, მართლაც აუტანელი ხდებოდა. რაღა დავითის ოთახი აირჩია იმ ოხერმა! ღამით არა ერთხელ გაულევიძია დავითს კრიკინას მიზეზით და აყვირებულა:

— გააჩერეთ ის ოხერი! რას შემომიჩნდა!

ამუშავდება ისევ ჩვენი ჯოხები, ცხელი წყალი, ქაღალდის ზეპირდება. რამდენიმე წუთით გაჩუმდებოდა. გვეძლევა იმედი: მოვკალთო, დავედლორეთ, გავაგდეთ—უცბად სიჩუმეში ისევ იწყება: ჭი ჭი ჭი...

სამი დღის შემდეგ ტფილისიდან მწერლები უნდა ჩამოვიდნენ.

— საწოლში დახედები სტუმრებს? სცადე, იქნებ შესძლო აღგომა!— ვებედავ, რომ მამა საგრძობლად გამოკეთებულია და იმედი შეძლევა იქნებ აღგეს.

გარეთ იენისის მზიანი ცხელი დღეა. ჩვენს ეზოში ორი ბუმბერაზი ხეა — ძელჭეა და მუხა. სხვა კიდე მრავალი მომცრო ხე. გარშემო ტყე, ვენახები, სიმინდის მწვანე ყანები.

დავითი იღიმება, რალაც ყოყმანშია და ბოლოს გაუბედავად ამბობს:

— ა, ვითომ შევძლებ?

სიხარულია მთელ სახლში. დედა, მე, დავითის მეგობრები უწმინდო ფეხსაცმელს, დიდი ხნიდან უჯრაში ჩადებული წინდები გამოიღო დედამ, ერთს ხალათი უჭირავს. მეორეს ქუდი, მესამეს პალტო. მოხუც სოლომონა თანჩულიძეს დავითის ჯოხი უჭირავს. სოლომონას თვალზე ცრემლებს ვებედავ—

— მაღლობა ღმერთს, კარგად ხარ, დათა!

დატრიალდა, ახმაურდა სახლი. დაეყრდნო დავითი ჯოხს, შეუღებო შე მხარში. გავდივართ ოთახიდან. უკან გახარებული ამაღა მოგვდევს.

გაუბედავად აღვამს მამა ნაბიჯს. ფეხები მოძრაობას გადაივევია. დავითის სახეზე საოცარი სიხარულია. იცინის. სიცილი რატომღაც ქეთისინს მიუგავს: აივანზე უხვი მუხა. რბილ სკამში ჩამჯდარი დავითი მზეზე იფიცება. გარშემო უკვე თამამი, ხმაშალალი და ხალისიანი საუბარი იმართება.

მეორე დღეს მამა უფრო გაბედულად ავაყენეთ. ჯერ აივანზე, შემდეგ ეზოში ჩასვლა გავაბედვიე.

ჩვენს ეზოდან სჩანს ყვირილის ხეობა, ზეკარის გადასავალი, აქარის მთები, მთა საირმე.

უეცრად დავითის თვალი ერთ წერტილზე მიჩერებული ჩერდება. ეს სულ ერთი წუთი გრძელდება. დაჟინებით იყურება პირდაპირ. მერე ისევ უცბად მოდუნდა და შემომხედა.

— საყვირელი რამ მოხდა, სერგო; ჩემი ბრმა თვალებით ძალიან გარკვევით დავინახე ხეობა, მთები. რამდენი ხანია აღარ დამინახავს. მენატრებოდა და ვერ ვებედადი. დავინახე, საყვირველად დავინახე, ერთხელ ბავში ვიყავი და სწორედ ამ ადგილიდან დავინახე ის მთები. აი იმ ბავშვის თვალით დავინახე ახლა. იმ დღეს რალაც ბალახის სუნი ვიგრძენი და ახლაც სწორედ ის სუნი ვიყნოსე. პირდაპირ უცნაურობა მოხდა! მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალწინ გაირბინა. რამდენი წლისა ვარ ახლა მე? სამოკდაშვიდის? საყვირველია, როდის გავიდა ეს დრო, როგორ გავიარე ეს ცხოვრება! როდის მოეხუცდი.

მეტე აღარ დაუნახავს დავითს მთები. ამის შემდეგ მისი თვალი, ასე უეცრად რალაც საყვირველებით განათებული, ისევ უძლური გახდა. ეს მხოლოდ წუთის საქმე იყო. ეს წუთი აღარასოდეს განმეორებულა.

ამ დღეს, იქნება იმიტომ, რომ მე თითონ უწინდელზე უფრო მეტად მეტყინა გული, ჩვეულებრივზე უფრო მეტად ვცდილობდი გამეერთო დავითი.

დავითის სამოცდაშვიდი წელიწადი მრავალმხრივ იყო მოქმედებაში ამის შესახებ მან ნაწილობრივ გვიამბო თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების კვანძები“. მე მინდა მხოლოდ მოვიგონო ზოგიერთი მომენტები მისი ცხოვრებიდან. მე მინდა მხოლოდ მოვიგონო მამა-ჩემი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2.

დავითს ერთი იშვიათი თვისება ახასიათებდა: მას ჰქონდა ნიჭი აემალელებია კაცი თავისი თავის სიმაღლემდე, ადაშიანი გაელვრებია მასში, ესწრაფო თითქო კაცური სიმაღლე უკვე ჩამქრალი იყო. მე ვგრძნობ, რომ ვერ ვამბობ იმას, რაც მინდა ვთქვა, იმიტომ იქნება ჩემი სათქმელი ამ ამბავმა ახსნას:

ჩვენ გვყავდა ერთი მოჯამაგირე. ერქვა იესე. გვარი არ ვიცოდით. ხნერი იყო. სადღაც, ოდესღაც სახლი და მამული ჰქონია. შემდეგ გაპარტახებულა ამის შესახებ თვითონ ლაპარაკი არ უყვარდა. მეზობლები გვიჩვენებენ: ნუ დაიყენებთ, მაწანწალა კაცია, ეგ საქმის გამკეთებელი არაა, ზედმეტი ტვირთია, მეტი არაფერი. დედა მინც დაიყენა. იესეს საქმეზე უფრო ლაპარაკი უყვარდა. დედას იესე მალე მობეზრდა. სამაგიეროდ მამას შეუყვარდა. სოფელში მოწყენილმა დავითმა საუბრის დიდი მოყვარული კაცი იშოვა. დავითს ეს ერთი ყანისა და ვენახის მოვლას.

ერთხელ მეზობლიდან დაბრუნებული, ასეთ სურათს შევესწარი: მამა და იესე ბუხართან სხედან. მამა ელაპარაკება იესეს ამერიკელი რომანისტის ტეოდორ დრაიზერის წიგნის „ნიუ-იორკის სახეები“-ს შესახებ. ეს წიგნი ძალიან მოსწონდა მამას და რამდენიმეჯერ ჰქონდა წაკითხული. მამა იესეს როგორც თანასწორს ელაპარაკებოდა. მე გავვირდი, როცა იესეს სახე დავინახე ის დაკვირვებით უსმენდა. მისი თვალები, აქამდე უგონო, ახლა აზრიანი მეჩვენა. შევხუდე და დავრწმუნდი, რომ დავითის ნათქვამი კარგათ ესმოდა;

და უცრად იესე ასეთ შენიშვნას იძლევა:

— ბოროტი ქვეყანა ყოფილა, ბატონო. ხე იმას არ ჰქონია და მიწა. კაცი ქვაზე ვერ გეიხარებს...

ამ დღიდან მე ვირწმუნე, რომ ყველასთვის ყველაფერი გასაგებია, თუ კი სიყვარულით მიხედავ მასთან.

1929 წ. გაზაფხულზე მამა ტფილისში რესპუბლიკის მთავარ საავთანყოფოს ნერვიულ სნეულებათა განყოფილებაში იწვა. კმაყოფილი იყო, რომ კარგად უვლიდნენ. ყოველდღე დავდიოდი მის სანახავად. ხშირად მიქმონდა საკითხავი წიგნები.

სადაც და რა მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო დავითი, სულ მცირე ხანში გაიჩენდა მეგობრებს. საავადმყოფოშიც იგივე მოხდა. პალატებში ავადმყოფები ბლომათ იყვნენ. დიდ უმეტესობას არც მწერლობა აინტერესებდა, არც ის გაუგონია, რომ დავითი მწერალი იყო. ავადმყოფებში მრავალი კუტი ერია. ზოგი დამბლადაცემული, ან ნერვიული სისტემის აშლი-

ლობით დაავადებული. რამდენიმე დღეში მამამ ამით შორისაც გაიჩინა მეგობრები. ერთს დღეს, როცა მის ოთახში შევედი, ასეთი სურათი დავინახე: დავითი-ლოგინზე წამომჯდარა, გარშემო კი ავადმყოფები დამსხდარან. ისევე სკამით მოუგორებდათ, ზოგი თითონ მოუფორთებულა. სხედან დავითის ნაწილის გარშემო და უსმენენ. დავითი მათ მწერლობაზე ელაპარაკება.

ერთხელ ახლად გამოცემული ბენეამენის წიგნი „ბალზაქის ცხოვრება“ მივუტანე. დავითს ფრანგი რომანისტები განსაკუთრებით უყვარდა და ვიციდი ბენეამენის წიგნს სიამოვნებით წაიკითხავდა. წიგნი გამომართვა, გადახედა, დაიტოვა თუმცა დიდი ხალისი მისდამი არ გამოუჩენია.

როცა მეორე დღეს საავადმყოფოში მივედი, დავინახე: თავშეხვეული დავითი ლოგინზე წამომჯდარა. გარშემო ისევ ავადმყოფები შემომსხდარან. დავითი მათ ბალზაქის შესახებ ესაუბრება.

დალლილ სახეზე შევატყე, რომ ღამე ცუდად უძინია.

— არა, ავად არა ვარ—ხელს მიქნეც მამა—რა მშვენიერი წიგნი მომიტანე გუშინ... რა საოცარია ბალზაქი!

თვალეზზე ერემლებს ვხედავ. ტირილისაგან ნიკაპი უძაგძაგებს ეს მოხუცების თვისებაა სიხარულს და სიყვარულს ასე გამხოატავენ.

ოთხს გვერდინი წიგნი უკვე წაეკითხა.

— ბალზაქი მე ყოველთვის მაკვირვებდა, მაგრამ ვერ წარმომედგინა თუ ცხოვრებაშიც საკვირველი იქნებოდა. ზომ გახსოვს ბალზაქი? როცა კითხულობ, გიკვირს, როგორ შეუმჩნევია ამდენი წვრილმანი, ახლა კი უფრო ის მაოცებს,—
 «...ისე რომ ასეთს შეოთიან კაცს როგორ შეეძლო შეენიშნა ის წვრილმანები, რომლითაც სავსეა მისი ნაწერებთ უცნოურია, უცნოური! ხვალევე აუცილებლად მომიტანე მისი რომანები. ამ დღიდან ბალზაქი ჩემთვის ახლად დიბადა. ახლა მას სხვანიირად წაეკითხავ... ხვალევე, შენი კირიწე, ხვალევე!»

მაშასადამე დროებით უარი იმ წიგნებს, რომელიც აქანდემ მომიტანია? თანჯარაზე და სკამზე კი წიგნების ხვავია. ფრანსის კარკო, გასტონ ბუასიეს „ციცერონი და მისი მეგობრები“, კაუციის წიგნი და წიგნი კაუციის წინააღმდეგ, ცვაიგის და ტურგენევის ტომები, რუსოს „აღსარება“ და სხვა, და სხვა.

— ესენი წავილო?

— არა, არა!—ხელეებს აფარებს დავითი, თითქო იცავდეს მათ.—აქ იყოს. ამასაც ვიკითხავ. ხან ერთის ხასიათი მომივა, ხან მეორესი.

საავადმყოფოს მეზობელ პალატაში ახალგაზრდა მწერალი ლევან ასათიანი იწვა. მამა და ლევანი ერთმანეთს აქ გაეცნენ. ისინი ხშირად სთავაზობდენ ერთმეორეს საკითხავ წიგნებს. ლევანი ცდილობდა მამასთან საუბრის დროს ლიტერატურის შესახებაც ელაპარაკნა. ამ საუბარში ჯერ გაპყვებოდა დავითი, მაგრამ უცბად განზე უხვევდა და იწყებდა საუბარს პოლიტიკაზე და უფრო თავის სოფელზე, რომლის შესახებ დაუსრულებლად შეეძლო ელაპარაკნა.

— ეს კი მკვდარია ყველაფერი! მათ წინ გადაშლილია ახლად გამოსული სალიტერატურო გაზეთი „ნ მისი“ და დავითი რომელიღაც ნაწარმოებს აპირს თავის ვრძელ თითს.—ესენი ყველა ახალგაზრდებია? მამ მათ ჯერ გარშემო არ

მოუხედავთ, ჯერ არაფერი დაუნახავთ. მხატვრულ ნაწარმოებში მთავარია სოციალოგიური მომენტი. უამისოდ შემოქმედება მკედარია. აქ მხოლოდ გამოშრალი გულია. სისხლი არ გადის შიგ. ფეთქავს ისე, საათიფარქვეშაღი თეთრი და სქელი წარბებით დაჩრდილული თვალებში უცნაურ სიმბოლით ეხსენება—

— რა მშვენიერი ამიღები იქნება ახლა სიმონეთში!

დავითის ოთახში იწვა კრეტინი. პატარა, თმაწითელი კაცი. კრეტინს ზღაპრული დევის ზღაპრული მადა აქვს. ვერაფრით აძლიბენ. სულ შია და ჩხუბობს. დაუჯდება ხანდახან დავითს საწოლზე და ცხარედ სიივის რალაცაზე. სიტყვის თქმა არ შეუძლია. ხელების ქნევით და დამუილით ლაპარაკობს. დავითი უღიმიის, თავის საჭმელს უნაწილებს და ამშვიდებს.

იმ დღეს, როცა მამა საავადმყოფოდან გამოეწერა, დედამ მისვლა დამასწრო. შივედი იმ დროს, როცა მამა პალატიდან გამოდიოდა. დერეფანში, ოთახის წინ, გრძელ ხალათებში გამოხევეული ავადმყოფები მოგროვილიყვენ. ჯოხზე და დედას მკლავზე დანდობილი დავითი მძიმე ნაბიჯით წაეიდა კარისკენ, წინ თმაწითელი კრეტინი მიძუნაულებდა. რატომღაც ღელავდა, რალაცას სწუხდა. უკან ავადმყოფების ამაღა მოაბიჯებდა.

— ყველას მადლობა, ყველას! — ჭორწილში ნასიამოვნებ სტუმარივით ეთხოვებოდა დავითი ავადმყოფებს— ოლონდ სული იყოს მხნედ. ჯანს ის მოიტანს!

— მე მართალი უნდა გითხრა, სერგო, ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფოთარებია. ჩემთვის მთავარია— რას და ქროგორ სწერს. თუ მწერალი გააქნაბოლია, ის ჩემთვის არ არსებობს. ყალბსაც უცბად შევნიშნავ. აი შენ რომ ერთ-დროს პშიბიშვესკის კითხულობდი, მე ის არ მომწონს. სტყუის ის. კუდაბიკა აზნაურიკა იქაჩება. რალაცას იბერება, რალაც ბრძნული უნდა ვითომ სთქვას და სტყუის. კაი იმას არ უყვარს. ადამიანის უკეთესობისათვის არ ფიქრობს, სიძულვილით შორს არ წახვალ. გადაეა დრო, სკოლა გაჭრება. ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება. რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე. გადახედე, თუ ასე არაა!

უცხოელი აეტორის ახლად გამოსული რომანი მივეცი საკითხავად. ნახევარი საათის შემდეგ უკან დამიბრუნა.

— წაიკითხე, თუ— ვეკითხები გაკვირვებული.

— არ მინდა! — უკმაყოფილოდ აქნევს ხელს.

დავითს ასეთი ჩვეულება აქვს: უცნობ წიგნს გადაფურცლავს. ჯერ ბოლოში რამდენიმე გვერდს წაიკითხავს, შემდეგ რამდენიმეს თავში. თუ არ მოეწონა, დახურავს უცბად. თვით წიგნიც იმავე წუთში უნდა მოაშორო. მისი შეხედვაც აწუხებს.

მრავალი წიგნი დამიბრუნა ასე.

დავითი ყოველთვის ასეთი თანსოვს: იღვიძებს უცრად, ადგება სწრაფად, სულ ჩქარობს. თითქმის ენაღა წუთიც არ დაეკარგოს. არასოდეს მინახავს კაცი

ცხოვრებას ასე ძლიერ დახარბებული. დავითი ბავშვივით შეხაროდა ქვეყანას, გრძნობდა მას როგორც უდიდეს სიხარულს. სიკვდილამდი არ დაუკარგავს მას რაღაც ბავშური. ბავშური ბევრი ჰქონდა. ხანდახან ასე ქვეყნისაკენ ბავშვივით ბედნიერი იყო დავითი და ამ ბედნიერებაში სწერდა. ეს რაღაც: სხვა ბედნიერება იყო. არა ცხოვრების კმაყოფილებით გამოწვეული, არამედ მისგან დამოუკიდებლად რომ არის კიდევ. გაუღია თავისი დიდი თვალები, შეკუპურებს მით ქვეყანას, უხარია რომ თვალმა მრავალი რამ საკვირველი დაინახა და გვიამბობს მას თითქო გაკვირვებით, თითქო გულუბრყვილოდ. ხანდახან დავითს უნდა მორალისტის როლში გამოვიდეს, მაგრამ უჩინარ ხელს ყოველთვის გამოჰყავს ის შესაძლებელ ხიფათისგან. საღ იმერეთი და საღ შორაღლი იმერეთი ჭინკობას ჩემულობს. იმერელს თავისი თავი ჭინკად მიაჩნია. არც ერთ იმერულ ზღაპარში დევი არაა. ასეთ ჰაზოპოტამებს უყვართ კახეთის ქონი—იმერეთის ტყეშია და კვაწარაბი მხოლოდ ჭინკას საწუწყარია.

დავითი გრძნობდა, რომ მისი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო. დიდი ტანჯვა იყო მისთვის იმის წარმოდგენა, რომ მალე ეოცხალი აღარ იქნებოდა.

ერთხელ ღმერთზე დაუწვევ ლაპარაკი. ვიცოდი წინად ურწმუნო იყო. იქნება ახლა ირწმუნა? თუ სწამდა, იმ შემთხვევაში მისთვის რაღაც იმედი კიდევ დარჩენილა. მაწუხებდა, რომ სიცოცხლის დასასრულს მისტიროდა.

ჩემს კითხვაზე, არსებობს თუ არა ღმერთი, დავითმა სთქვა:

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ როგორ აზროვნებს.

ეს კიდევ სრული პასუხი არ იყო. ლაპარაკი განეგაგრძე. ბოლოს ვითქო მიმიხვდა რად ვეკითხებოდი, ხშირი წარბებით დაჩრდილული თვალები მომაჩერა.

— რატომ შეკითხები მაგას? რას ჩამაცივდი მაგ ღმერთით? მაგითი გინდა მანუგეშო?

მის სახეზე ღიმილი დავინახე, რომელშიაც საშინელი ტკივილი იყო.

3.

უცბად რომ შეგეხებათ დავითის მამისათვის, დავითისგან ვერ გააჩივებთ. სახით ერთმანეთს საოცრად ჰგავდნენ. დავითისთვის რომ ჩოხა ჩაგეცათ, თამამად გაასაღებდით მის მამა სამსონად.

ბაბუა სამსონი მე მხოლოდ ღრმა მოხუცი მახსოვს. თუმცა ყოველთვის მზნე, მოძრავი, მოუსვენარი. თუ სამსონის სიტყვებს დაუფუჯებთ, სიკვდილამდის (გარდაიცვალა 1923 წ.) ერთი წლის წინად ის იყო 104 წლის. ყოველ შემთხვევაში 80-ზე მეტის იყო. სიკვდილის წინ სამსონმა მხოლოდ ერთი დღე იავადმყოფა.

სიმართლის თქმა სჯობს: ბაბუა სამსონი არ მიყვარდა. იქნება იმიტომ, რომ არც მას ვუყვარდით. არც შვილიშვილები, არც დედა, არც მამაჩემი. დავითის მეტი ვაყი არ ჰყოლია.

საერთოდ ბაბუა სამსონს არაფერს უყვარდა, და მგონი არასდროს თავის-თავის მეტი. მამას თუ მრავალი კარგი თვისება ჰქონდა, ეს, ცხადია, დედასი, ბებია კესარიასი. მამისა არაფერი გამოჰყოლია გარეგნული უმჯობესებები. რაღაც უფულო კაცი იყო სამსონი. ათი წლისაც არ ყოფილა დასჯილი. ოჯახს მოგლიჯა და შორეულ რუსეთში ზღვით გაისტუმრა. გემამდისაც არ მიჰყოლია. ბაგში უცნობ კაცს გაატანა კიევში ჩასაყვანად. დედა დავითის მოთქმით სტიროდა, სამსონი ბრაზობდა:

— ან კაცი გამოვიდეს, თუ არა და ჯანდ ბას მისი თავი!

ბაბუა სამსონი შუა ტანისა იყო, მხრებში განიერი. უყვარდა სმა და ფლირტი. მისი რომანები ქუთაისში და სოფლიდაც ცნობილი იყო.

ახალგაზრდობაში ქუთაისში მსახურობდა ჯერ აქციზის სამმართველოში, შემდეგ კი „ბაზარნიკათ“. ორივეგან ბლომად ისარგებლა.

მგონი ამ გადამეტებული „სარგებლობის“ გამო დაითხოვეს სააქციზო სამმართველოდან. სთხოვა უფროს უკანვე მიეღო. უარი უთხრა: მაშინ უფროსზე, ჯერის ამოყრა განიზრახა. ქალაქის ბაღში იჯდა და დაინახა, რომ უფროსი მოსი-ბრნობდა. მიიხედა აქეთ-იქით. ახლო არავინაა. მივიდა უფროსთან, დაანარცხა მიწაზე და ცემა დაუწყო. როცა უფროსის ყვირილზე ხალხი საშველად გამოიქცა, სამსონმა ასეთ ხერხს მიმართა: გადაკოტრიალდა, უფროსს ქვეშ მოექცა და თითონ დაიწყო ყვირილი: „მიშველეთ, ეს კაცი მომაშორეთ!“ შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სამმართველოს უფროსმა მოახდინა მასზე თავდასხმა. ვერაფრით დაამტკიცა უფროსმა თავისი სიმართლე. მოწმეები მის წინააღმდეგ იძლეოდნენ ჩვენებას. უფროსი ქუთაისიდან გადაიყვანეს. სამსონმა გაიმარჯვა, მაგრამ ძველ ადგილზე არ დაბრუნებულა. „ბაზარნიკათ“ დადგა. შემოსავლიანი ადგილი იყო. ყველა ვაჭრები მის ხელში იყვნენ. ძველ მდღეებში სამსონი დღესაც ახსოვთ. საკვირველია, ყველა მისი მადლიერია! ყველა კარგად იგონებს:

— ჩვენც პატივს ვცემდით, ისიც საქმეს გვიკეთებდა!

როცა ერთხელ ვაჭრების ერთი ჯგუფი მოიძღვრა და ისინი კიდევ დაემუქრენ, სამსონმა ქუთაისის მთელი დიდი ჩინოენიკობა და თვით გუბერნატორი მთელი მასი კანცელარით ფერმაში მიიწვია საჭეფოთ. დიდი ღზანი გადაიხადა. როცა შუა ქეიფში იყვნენ, კაცები გაგზავნა მომდღვრავ ვაჭრებთან: გუბერნატორი საჩქაროდ გიბარებთო. ვაჭრები მოვიდნენ და ხედავენ: ლეონთანსვამი გუბერნატორი სამსონს ეხვევა. ამის შემდეგ ვაჭრებმა ისევ შერიგება არჩიეს.

როცა ხანში შევიდა, სოფელს დაუბრუნდა. ჯერ ავტურის ქარხანა ააშენა. წაავო ამ საქმეში. ისევ მამულს მოჰკიდა ხელი.

1905-ში სოფელში წითელი რაზმელები ამოვიდნენ. ხალხი ეკლესიაზე აიყვანეს და რევოლიუციისადმი ერთგულებაში ხატზე დააფიცეს. სამსონმა თითონ გააწყო წითელი ბაირალი, ჯერ თვითონ შეფიცა ხატს, მერე ხალხს მოუწოდა. როცა რეაქცია დადგა, მთავრობამ იგივე ხალხი იმავე ხატზე დააფიცა მეფისადმი ერთგულებაზე. სამსონი აქაც პირველი გაუძღვა ხალხს, პირველმა შეფიცა და სხვებსაც მოუწოდა მთავრობისადმი ერთგულებაზე.

— რომელი დეიჯეროს ხატმა?—ხუმრობით ჰკითხა სამსონს ერთმა მეზობელმა.

— რომელიც ერჩიოს, თუ ჰკუა აქვს თითონ მიხედვს!

1908 წ. დავითის დედა კესარია გარდაიცვალა. სამსონს ცოლი დიდხანს არ უვლოვია. რამდენიმე წლის შემდეგ თითქმის 70 წლის სამსონმა უმცირე ქალი ითხოვა. მამა ძალიან წინააღმდეგი იყო. სთხოვა არ ექნა უნაშტოკი გასწერა. სამსონმა თავისი არ დაიშალა. შვირთო კულაშელი მიქელაძის ქალი და მოიყვანა. ამის შემდეგ დავითმა თავის მამასთან ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა და რამდენიმე წლის განმავლობაში სოფელში არც ბავშვები გაავიწვია. დავითს ხუმრობით ეუბნებოდნენ, რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ თავის თავს უწინასწარმეტყველა.

დიდხანს არ უცოცხლია სამსონის მეორე ცოლს. მგონი სულ ორი კვირა გასტანა.

1918 წლიდან დედა და მამა სოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად. არ იკარებდა მათ ბაბუა სამსონი. ძალიან წინააღმდეგი იყო.

— მე ჩემს ნებაზე მინდა ცხოვრება!—ამბობდა სამსონი—ეს ქალაქელები კი ახალ წესებს შემომიღებენ აქ!

პატარა ოთახი ჰქონდა ბაბუას საკუთრად. დედისა და მამის სოფელში ჩასვლის შემდეგ თავის ოთახიდან სხვა ოთახში აღარ გამოდიოდა. იშვიათად თუ გაივლიდა. სადილი და ჩაი მასთან ოთახში შეჰქონდათ. ასე მოითხოვა.

ერთ დღეს უცნაურად დაიწყო დილა: აივანზე ვზივართ. უცხრად ეზოში ურემი შემოჭრილდა. ურემზე კუბო დევს. ჩვენ სახლში მკვდარი არავინ ყოფილა. გაგვიკვირდა. ჯერ შეცდომით შემოსული გვევონა. მალე ავლაფერი გამოირკვა: ბაბუას შეეკვთა კუბო, თურმე თავისივეა ბნზადებდა. ეს კუბო ხუთი წელიწადი იდგა ჩვენი სახლის პალატაში (იშვრეთში ასე ეძახიან ქვედა სართულს). მერე გავიგეთ, რომ სამსონს ლეღლისათვის, დიაკენისათვის და საფლავის გამჭრელისთვის ადრევე მიეცა ფული. ერთი სიტყვით სიკვდილისთვის მზად იყო, მაგრამ არ კვოსოდა. ჯერ გვეშინოდა კუბოსი. იმ დღიდან კი, როცა დავინახეთ, რომ ჩვენს შიგ კერცხის დება დაეწყო, შევეჩვიეთ. ეს კერცხები ბაბუას მიჰქანდა. როცა მოაგროვა და დედალიც მოკრუნდა, თითონ გაუგვთა კუბოში კრუსს საბუღარი და კერცხებზე დასვა.

ეს ამბები მხოლოდ მცირედი ნაწილია სამსონის უცნაურობის. მეშინია ზედმეტი შეურაცყოფა არ მივაყენო მის სახელს. რაც უნდა იყოს მამა იყო დავითის. და ათს მაინც უყვარდა ის და მკვდარს მშუბარებით დასტიროდა. როცა სამსონი მოკვდა, მის ქალაღლებში ვიპოვეთ დავითზე დაწერილი „დანოსი“ მიმართვით: უმაღლეს მთავრობას. „დანოსი“ ასე იწყებოდა:

— „ქვილმან ჩემმან ოტსტაენოი პოლკოენიკმან დავით კლდიაშვილმან“...

სამსონი სჩიოდა, რომ ადგილები გაუხომეს და ზედმეტი მიწა ჩამოართვეს შვილის მიზეზით. რა შუაში იყო აქ დავითი?

მამამ წაიკითხა. ჯერ გაიცინა. მერე ისევ წაიკითხა.

— რა მშვენივრად დაუწერია—მოსწონდა დავითს—საცოდავი მამა, ნიჭიერი კაცი იყო!

(შემდეგი ეჭება).

პ ე მ ე

7. ამისიტური ჯგუფები

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. ალიხანოვ-აგარსკის და სხვა დამამშვიდებლების დამსჯელმა ექსპედიციებმა სისხლის ღვარი დააყენეს მთელ საქართველოში. რაიმე მასიურ მუშაობაზე ოცნებობაც კი შეუძლებელი იყო. რევოლუციონერებს აღარ შეეძლოთ იმ ადგილებში დარჩენა, სადაც მათი მუშაობა ყველას თვალწინ იშლებოდა. მათ მოელოდათ მძიმე სასჯელი, ბევრ შემთხვევაში დაღუპვაც კი. და ამ რევოლუციონერები ტოვებენ პროვინციებს და გადადიან ქალაქებში, უმთავრესად ტფილისში, სადაც შედარებით უფრო ადვილი იყო დამალვა.

ტფილისი მაშინ წარმოადგენდა ნამდვილ ალყაშემორტყმულ ქალაქს. იქ გამოცხადებული იყო სამხედრო წესები. ხელისუფლების წარმომადგენელნი გამძვინვარებით ნადირობდნენ რევოლუციონერებზე. პარტიას ფარულად, იატაკქვეშ უნდა შეენახა ძალიან ბევრი ამხანაგი, რომელთაც მოელოდა სიკვდილი ან უვადო კატორღა.

ამისათვის საჭირო იყო საშუალება, თანხა. ზოგ ამხანაგებს ესაჭიროებოდათ არალეგალური ბინება, ზოგნიც უფრო საიმედო, მიუწევდომელ ადგილებში უნდა გაგზავნილიყვნენ. იატაკქვეშეთის და რევოლუციონერული მუშაობის, ორგანიზაციის ხარჯები თანდათან იზრდებოდა, ხოლო საღსარი არავითარი არ იყო. მიუხედავად სიღრმისეული განადგურებისა შეურიგებელ რევოლუციონერთა პარტიზანული ბრძოლა გრძელდებოდა. ამ ამ ბრძოლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა სახაზინო თანხების ექსპროპრიაცია.

სტოკჰოლმის გამაერთიანებელი ყრილობის შემდეგ, რომლის მომზადებაშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ანზ. კამოც, საქართველოში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთ ორგანიზაციაში მუშაობდნენ. მაგრამ გარდა უთანხმოებისა ძირითად საკითხებში, მათ შორის განსხვავება არსებობდა ექსპრო-

პრიაციის საკითხშიაც მენშევიკები ექსპროპრიაციას დაუშვებლად თვლიდნენ. მათი ფიქრით, იგი გამათახსირებელ გავლენას ახდენდა ამხანაგებზე. მენშევიკები ბანდიტიზმად ნათლავდნენ იმ თავდადებულ რევოლუციონერებს, რომლებსაც სიცოცხლეს არ ზოგავდნენ პარტიისათვის საქმის მატერიალური საღარბის საზოგადოებად. ბოლშევიკები კი ამტკიცებდნენ, რომ ექსი, ე. ი. სახაზინო თანხების ექსპროპრიაცია, პარტიზანული ბრძოლის ყველა სხვა ფორმის მსგავსად, შლიდა სამთავრობო მექანიზმს. საჭიროა მხოლოდ, რომ ექსი ხელბოდნეს პარტიული ორგანიზაციების მტკიცე ხელმძღვანელობით.

მართლაც ბოლშევიკთა ექსისტური ჯგუფები, რომელთაც პარტია ხელმძღვანელობდა, ბოლომდე ერდგულად შერჩნენ რევოლუციის და დიდი სამსახურიც გაუწიეს მას და პარტიას. ასეთი ჯგუფები მათი მონაწილის კ. ცინცაძის სიტყვით. — წარმოადგენდნენ ფრაქციის მებრძოლ ორგანიზაციას, მის შეიარაღებულ რაზმს, რომელიც სახაზინო ქონების ექსპროპრიაციასთან ერთად იძენდა იარაღსაც. ახდენდა ტერორისტულ აქტებს მუშაობდა უჯრედებში, ერთი სიტყვით, მთელი პარტიული მუშაობის კურსში იყო“. პარტიულ ხელმძღვანელობას მოკლებული მენშევიკური ჯგუფები კი ნამდვილ ბანდიტებად გადაიქცნენ და მრავალი თავდადებული რევოლუციონერები მუშა-მენშევიკებიდან უსახელოდ დაილუბენ მათი მოქმედების შეუთანხმებლობის და ებიზოდიურობის მეოხებით.

ტფილისის მებრძოლი რაზმის შემადგენლობაში შედიოდნენ შემდეგი ამხანაგები: ელისო ლომინაძე, ვანო კალანდაძე, ბაქუა კუპრაშვილი, დათიკო ქიპრიშვილი, ილიკო ქაქიაშვილი, აკაკი დალაქიშვილი. არცადი ელბაქიძე (რომელმაც შემდეგ 1920 წ. ტფილისში ჩვენი ორგანიზაციის დავალებით დასტურა დენიკინის წარმომადგენელი გენერალი ბარათოვი და რომელიც მოკლულ იქნა ამ მცდელობის დროს მენშევიკების მოსყიდული კაცის მიერ). კოტე ცინცაძე, თეოფილე კაკიაშვილი, კამო და სხვანი. კ. ცინცაძის დაქვრის შემდეგ ხელმძღვანელობა გადაეცა კამოს, რომელიც სწორედ იმ დროს მოვიდა საზღვარგარეთიდან, სადაც ის გაგზავნილი იყო იარაღის შესაძენად.

პირველი ექსპროპრიაცია, ანეტა სულაქველიძის სიტყვით, მოხდა ტფილისის ახლოს, კოჯორის გზაზე. ამ ექსპროპრიაციის მომზადების და შესრულების დროს სავსებით გამოაშკარავდა ამხ. კამოს ორგანიზატორული ნიჭი. ერთი კვირის განმავლობაში მან დაწვრილებით გაიგო ყველაფერი რაც კი საჭირო იყო ექსისათვის: როდის წამოვიდოდა ფოსტა, რომელი გზით, ვინ ეყოლებოდა მცველი და სხვ. მან შეისწავლა ადგილ-მდებარეობა, აირჩია ჩასასაფრებელი ალაგი და სხ. წაღებულ იქნა შეიდი ოთ რვა ათასი მანეთი. ამხანაგებმა ადვილად გაუანტეს ფოსტის მსლებელი ჩაფრები და თავდასხმის დროს არაფერ არ დაწვებულა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ეგრეთწოდებული სალდათის ბაზარში შეპყრობილ იქნა ექსის ერთი მონაწილეთაგანი — კაკიაშვილი, რომელიც იცნო ფოსტის მსლებელმა მცველმა. კაკიაშვილი შემდეგ ჩამოაღრჩევს.

1906 წ. თებერვალში ამხ. კამოს ხელმძღვანელობით მოხდა მეორე ექსი — ქუთაისში. ქუთაისის ექსპროპრიაციის ისტორია ჩვენ ვიცით მისი ერთ-ერთი პირდაპირი მონაწილის ამხ. ანეტა სულაქველიძის ვადმოცემით.

ამხ. კამო ჩამოვიდა ქუთაისში რომ გამოერკვია ექსპოზიციისთვის ყოველგვარი საჭირო ცნობები და უმთავრესად გავგო, როდის აგზავნიდა ფულს ქუთაისის ხაზინიდან ტფილისში. ამხ. კამომ გაიგო დაწვრილებული მათხელი და ტფილისიდან გამოიწვია ამხ. ბაქუა კუპრაშვილი, ელისო ალექსანდრევიკო ქაქიაშვილი, ვანო კალანდაძე, ექსისტებს შორის იყო ორი ქალი—ანეტა სულაქველიძე და საშა დარახველიძე. კონსპირაციულ სხდომაზე შემუშავდა თავდასხმის დაწვრილებითი გეგმა. ექსპოზიციის მოხდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ახლო, სადაც იყრება ოთხი ქუჩა. ერთი ამ ქუჩათაგანი მღ. რიონის ნაპირებზე ჩადის აქ. ქუჩაბანდში, თვით მდინარის ნაპირთან თავდასხმის სიგნალის მოლოდინში შეიყარენ ყველ ზემოთ დასახელებული ამხანაგები, კამოს გარდა. ამხ. კამო ქუჩაზე დასერილობდა გიმნაზიისა და ხიდის შუა, რათა ფოსტის გამოერენისათანავე გამოეწვია ჩასაფრებული ამხანაგები. ცოტა იქით, ბალახანის ქუჩის დასაწყისში იდგა დამზადებული ეტლი, ხოლო ახლოს ორი მანდილოსანი ვითომ და გატაცებით ათვალერებდენ მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილ ნივთებს. გამოჩნდა ლინეიკა, რომლითაც მოქონდათ ფული. მოლარის გარდა მას მოყვებოდენ ცხენოსანი მკველები. როგორც კი გაუსწორდა ლინეიკა ქუჩაბანდს, კამომ ანიშნა ამხანაგებს. ბ. კუპრაშვილმა ისროლა ყუმბარა, რომელიც პირდაპირ ლინეიკაზე დაეარდა, მოკცდა შეეტლე და ცხენი, მოლარე კი მსუბუქად დაიჭრა. თავზარდაცემული მკველები მყისვე გაიფანტენ.

ამხ. ვანო კალანდაძემ, რევოლვერ ამოღებულმა, დასტაცა ხელი ფულიან ყუთს და გადაისროლა იგი ეტლში, რომელიც ამასობაში წინასწარ შეთანხმებული პროგრამის მიხედვით, მკველების გაქცევისათანავე მოქმედების აღვილს მოუახლოვდა ქალები, რომელნიც ბალახანის ქუჩის თავში იდგენ—ა. სულაქველიძე და ს. დარახველიძე—ვ. კალანდაძესთან ერთად სანჭაროდ ჩასდგენ ეტლში და გასწიეს. შეუხვიეს ბალახანის ქუჩაზე. აქ ვ. კალანდაძე ეტლიდან გადახტა და მიიშალა. ბალახანის ქუჩის ბოლოში ექსპოზიციისთან დაკავშირებით, წინდაწინვე იყო აღებული ოთახი. ამ სახლიდან ცოტა მოშორებით გაუშვეს ეტლი. ხოლო ფულიანი ყუთი ქალებმა ხელით წაიღეს.

ფულები სასწრაფოდ ამოიღეს ყუთიდან, რომელიც მაშინვე დასწვეს როგორც ბოროტმოქმედების ყველაზე უფრო სერიოზული გეში. მყისვე მთელი რაიონი კახაკებით აივსო. დაიწყო საყოველთაო ჩხრეკა. აშკარა იყო, რომ კახაკები უმპველად შემოერტყმოდენ იმ სახლსაც, სადაც კონსპირაციული ოთახი იმყოფებოდა.

უმთავრესად იმაზე უნდა ეფექრათ, თუ სად გადაემაღათ ფულები. მათი სახლში დატოვება შეუძლებელი იყო, რადგან მეზობლებს შეეძლოთ დაენახათ რომ ვიღაც უცნობმა, გარეშე პირებმა ყუთი შემოიტანეს სახლში. მაგრამ კიდევ უფრო სახიფათო იყო ქუჩაზე გამოსვლა. ბოლოს დიდი და მძიმე რყევის შემდეგ გადაწყდა, რომ ხსნის ყველაზე მეტი შანსი იქნებოდა, თუ ბინიდან გავიდოდენ, და აი ამხანაგებმა—ანეტამ და საშამ—შიგნით მთელ სხეულზე გარშემო შემოიღვეს ასიგნაციები (სულ წაღებული იყო თხუთმეტი ათასი მანეთი) და სრულიად უდარდელი და მხიარული სახით გამოვიდენ სახლიდან. ქუჩაზე პატრულები თითქმის ყველა გამვლელ-გამომვლელს ჩხრეკდენ. მიუახლოვდენ რა სა-

ყარაულოს ქალები მოხუშარი კილოთი გამოვლანაპარაკენ კაზაკებს, რა თქმა უნდა, ლაპარაკი ძალიან მოკლე იყო, მაგრამ მაინც უფროსები, საყოველთაო ჩხრეკას რომ განაგებდნენ, მოტყუებდნენ. ჩვენმა ამხანაგებმა ვაჟიდან, აკიცილეს ჩხრეკა და უფნებლად მივიდნენ ამხ. ბ. ბიბინეიშვილიან არქივებს, მათსავე, სადაც მათ ელოდა ამხ. კამო. როდესაც უკანასკნელმა გაიგო, რომ ფული გადაჩენილია, მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ეხვევოდა ამხანაგებს და ამბობდა რომ უკვე ფულზეზე აღარ ფიქრობდა არამედ აწუხებდა მხოლოდ რომ მსხვერპლი არ ყოფილიყო.

ერთი თვის შემდეგ ფულები გაეგზავნა ბოლშევიკების ც კ-ს. ფული მაშინ მეტად საჭირო იყო პარტიის მეხუთე ყრილობის მოსამზადებლად, რომელიც მალე ლონდონში შესდგა. ეს სწორედ ისე მოხდა, როგორც ძველებური ქრისტიანული ანდაზა ამბობს: „წითელი კვერცი—აღდგომისთვისაო“ და კვერციც როგორც ზღაპარში—უბრალო კი არა, ოქროსი იყო.

მეფის მთავრობასთან პარტიზანული ბრძოლა და ექსები მოითხოვდა არა მარტო გაწრთენილ, დისციპლინის მქონე და შეუბოვარ რევოლიუციონერებს. მათ ესაჭიროებოდათ აგრეთვე იარაღი და ყუმბარები. თუ კავკასიელ ამხანაგებს იარაღი საკმაოდ ქონდათ მომარაგებული, ყუმბარების დამზადების ტექნიკა ჯერ კიდევ პირველყოფილ დაბალ საფეხურზე იდგა. პეტერბურგიდან კამოს მიერ ჩამოტანილი ყუმბარების მარაგი უკვე ილეოდა. საჭირო იყო მასალებისთვის წასვლა ფინეთში; უკანასკნელი იმ დროს რევოლიუციური ტექნიკის დიდ ლაბორატორიას წარმოადგენდა იმ განსაკუთრებული ლიბერალური კონსტრუქციის მეოხებით, რომელიც მინიჭებული ქონდა ამ ქვეყანას მეფის მთავრობის მიერ და რომელიც რევოლიუციონერებს ერთგვარ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთსა და თუ საზღვარგარეთ განზრახული აქტების მომზადების დროს.

მაგრამ მთავრობის გამძვინვარებული დევნის დროს ყუმბარების ჩამოტანა ადვილი საქმე არ იყო. და აი ამხანაგები კამოსთვის შოულობენ თ.-ახნაურთა წინამძღოლის თავადი კოკი დადიანის პასპორტს. ჩვენ კამოს ეხედავთ ახალ როლში. ის არისტოკრატია. იცვამს შესანიშნავ ჩოხა-ახალუხს, მიდის პეტერბურგში და ასრულებს პარტიულ დავალებებს. ამხანაგები ემზადებიან ახალი საქმისათვის—წინანდელზე უფრო დიდ ექსპროპრიაციისათვის.

უნდა მოგვეწყო ყუმბარების დასამზადებლად ლაბორატორია,—მოგვითხრობს ამხ. სულაქველიძე,—აგრეთვე იარაღის საწყობი. ამხ. კამომ ლაბორატორია მოაწყო სოფ. ავქალაში, ტფილისის მახლობლად. ამ დროს მან სოლოლაკში იქირავა არისტოკრატიული ბინა და ჩაასახლა შიგ საშა დარაბველიძე და ანეტა სულაქველიძე. სასტიკად აუკრძალა ჯგუფის წევრ-ამხანაგებს მათ ბინაზე ყარნათ. მათთან მიდიოდა მხოლოდ კამო. თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ტანისამოსში გამოწყობილი,—სან კაზაკთა ოფიცრის ფორმა ეცვა, ხან სამოქალაქო კოსტუმი. მეზობელ ქალებს თვალი რჩებოდათ მათ. ჩვენ ვეხუმრებოდით კამოს, რომ ქალები მას სასურველ სიძედ თვლიდნენ. ის იცინოდა ჩვენთან ერთად, მაგრამ ქალებში თავის გამარჯვების საკითხს ცოტა უნდობლად უყურებდა. არისტოკრატიულ ბინაზე კამოს ყოველ მოსვლასთან ერთად იზრდებოდა

იარალის მარაგის რაოდენობა. მის მოქონდა ხან რევოლუციები, ხან ყუმბარები, ხან დინამიტი.

ყუმბარებს ლაბორატორიაში ამზადებდა თვითონ კამო. მუქი, ცხელი, ჭკობიანი ვანო კალანდაძე და ილიკო ჭაჭიაშვილი. რატომღაც კამომ ერთხანს მისი მსგავსი თაეისი დარბაზობა არისტოკრატიულ ბინაში. მახლობელ ამხანაგებს არ ჰქონდათ არაერთარი კავშირი ბინასთან, რადგან მისი მისამართი მხოლოდ კამომ იცოდა. ჩვენ ძალიან ვწუხდით, — გვიამბობს ანხ. ა. სულაქველიძე, — და ვფიქრობდით, რომ კამო ჩაუვარდა ხელში ეანდარმებს, რომელნიც გაშმაგებით ეძებდნენ მას. ბოლოს გადაწყვეტიტთ მიესულიყავით ანხ. კამოს მამიდასთან, და აქ ყველაფერი გამოირკვა. თურმე ლაბორატორიაში შემთხვევით აფეთქებულიყო ყუმბარა და დაშავებოდა მაჯა და თვალი. გარეთ გამოსვლა შეუძლებელი იყო და ის იწვა კერძო ბინაზე. ერთი თვის განმავლობაში ექიმობდა, მაგრამ თვალის შველა აღარ შეიძლებოდა — ქრილობა სამუდამოთ დააჩხიდა მას თეთრ ლაქად. პირველ ხანებში კამოს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა: ეს ხომ ნიშანი იყო, რომელიც გაუადვილებდა ეანდარმებს მისი კვალის მოძებნას და გააძნელებდა არალეგალურ მუშაობას. მაგრამ შემდეგში კამო თითონვე ინუგეშებდა თავს და ჩვენც გვანუგეშებდა, რომ ის ამ სახითაც მოატყუებდა დამცველი განყოფილების აგენტებს“.

8. იარაღის ტრანსპორტი სხვაგვარად

1906 წლის იანვრის დამდეგს, ქუთაისში მოხდა ბოლშევიკების და მენშევიკების გაერთიანებული საგუბერნიო კონფერენცია. კონფერენციის წინაშე დაისვა კარდინალური საკითხი: გავამაგროთ ლიხის (სურამის) უღელტეხილი და წინააღმდეგეთ გენერალი ალიხანოვის წამოსვლას, — თუ ვიცნოთ რევოლუციის დამარცხების ფაქტი, დავანებოთ თავი შეიარაღებულ ბრძოლას.

კონფერენციამდე ქუთაისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში დისკუსია იმართებოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენ დიდხანს მოსკოვის დეკემბრის აჯანყების დამარცხების შესახებ დანამდილებით არაფერი არ ვიცოდით. ამის შესახებ მხოლოდ ხმები დადიოდა. ზოგიერთი ამხანაგი — ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ რაკი რევოლუცია, დამარცხდა რუსეთის ცენტრში ის განაპირა მხარეებშიაც ჰკარგავს აზრს და გამოიწვევს მხოლოდ უსარგებლო მსხვერპლს; უნდა ვაღიაროთ ეს დამარცხება და დაუყონებლივ დაეშალოთ ყველა ჩვენი პარტიული რაზმები. სხვები უთითებდნენ სარწმუნო ცნობების უქონლობაზე და დაუჯერებლად თვლიდნენ რუსეთში რევოლუციის სრულ დამარცხებას. „ჩვენი შეიარაღებული ძალების დაშლა, — ამბობდნენ უკანასკნელნი, — მასებზე დეზორგანიზაციულ, გამათახსირებელ შთაბეჭდილებას მოახდენს. გამძვინვარებული რეაქცია სულერთია ქვას ქვაზე არ დატოვებს. აუცილებლად უნდა განვაგრძოთ ბრძოლა, სანამ სულ მცირე შესაძლებლობა მაინც არის მარტო იმისათვისაც კი, რომ მასებმა არ იფიქრონ: პარტიამ აღგვძრა, აგვალელვა, გამოგვიყვანა თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად, ხოლო გადამწყვეტ წუთში ხელმძღვანელებმა მიგვატოვეს პირისპირ მტრის აღმატებული ძალების წინაშე“ — ი.

ბოლშევიკურ ორგანიზაციაში ორივე თვალსაზრისს თითქმის მომხრეთა თანასწორი რიცხვი უჭერდა მხარს. ამიტომ კონფერენციაზე არჩეულ იქნა ორი დელეგატი: ანხ. ს. ქავთარაძე პირველი თვალსაზრისის მომხრეებიდან და მე. — ბ. ბიზინიევილი, — მეორე თვალსაზრისის მომხრეთაგან.

გაერთიანებულ საგუბერნიო კონფერენციაზე ვაიმარჯვა პირველმა შეხედულებამ. გადაწყდა დაუყოვნებლივ დაშლილიყვენ პარტიის ყველა შეიარაღებული ძალები. მხოლოდ ანხ. აფრასიონ მერკვილაძემ არ დაყარა იარაღი. ის ხელმძღვანელობდა ერთ მუჟა თავზე ხელაღებულ მამაც ამხანაგებს და ორი წლის განმავლობაში პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა მეფის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს ანხ. მერკვილაძე დაიღუპა: იგი ლალატის მსხვერპლი გახდა.

კონფერენციაზე განხილულ იქნა კიდევ მეორე საკითხი: რას უნდა მოხმარებოდა ზესტაფონის ხაზინიდან წალებული ორასი ათაი მანეთი? მენშევიკები მოითხოვდნენ ეს ფული დაბრუნებოდა მეფის მთავრობას. მაგრამ მათი მხხვილგონებიათი წინადადება არ გავიდა. ხმის უმეტესობით გადაწყდა წალებული ფულით შეძენილი ყოფილიყო საზღვარგარეთ იარაღი. ამ ამოცანის პრაქტიკული შესრულება დაეკისრა სპეციალურ კომისიას, რომელშიაც შევიდნენ ს. ქავთარაძე, კ. სულაქველიძე, ნ. ქარცივანიძე და სხ. ცოტა ხნის შემდეგ კომისიაში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნენ ანხ. ბუღუ მდივანი და ანხ. კამო, რომელიც იმ დროს, უმთავრესად, ტფილისში მუშაობდა.

საალყო წესების დროს ამოდენა თანხის შენახვა მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

პარტიის თვითიული წევრი ყოველ წუთში დაჭერას მოელოდა. ფული პირველად ინახებოდა ქუთაისში, ჩვენს არალეგალურ სტამბაში, ძველი ბანაქის ქუჩაზე, ხოლო შემდეგ, — განძეულობის შენახვის ძველი წესისამებრ, — მიწაში. ის დამარხული იყო ნ. ქარცივანიძის სახლის ახლო ქუთაისის მიდამოებში. საქართველოდან იარაღის შემძენი კომისიის წევრთა წასვლის წინ. ანხ. ს. ქავთარაძემ ფული ამოთხარა მიწიდან და გადაიტანა ტფილისში. შემდეგ ს. ქავთარაძემ და ბ. მდივანმა ფული გადაგზავნეს პეტერბურგში, სადაც იგი ჩააბარეს პარტიის ც. კ.-ის წარმომადგენელს ლ. ბ. კრასინს (ნიკიტინს). პარტიულ სალაროში ფულის ჩაბარების საბუთს ხელი მოაწერი ც. კ.-ის წევრმა მენშევიკმა კროხმალმა.

საზღვარგარეთ იარაღის ყიდვის ოპერაციები მიენდო ამხანაგ ს. ქავთარაძეს და ბ. მდივანს ანხ. ლიტვინოვის ხელმძღვანელობით, რომელიც მაშინ პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს წევრი იყო.

იარაღი უნდა შეძენილიყო ვითომ მაკედონიისათვის. ევროპის მაშინდელი გარემოება საესებით ამართლებდა ამგვარ ხაზს.

დიდძალი იარაღის შეძენა და გადმოტანა კონსპირატიულ პირობებში ადვილი საქმე არ იყო. ამხანაგებმა ამ საქმეს თითქმის ერთი წელიწადი მოანდომეს. როდესაც იარაღი ფაქტიურად შეძენილი იყო, შეუდგენ ტრანსპორტის ორგანიზაციას. მგონია, ფაქტში იყიდეს გემი „ზარია“, რომელსაც ტვირთი უნდა მიეღო ვარნაში (ბულგარეთში). ეს მისამართი იყო არჩეული მოსალოდ-

ნელი ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად. ვარნას უნდა დაერწმუნებინათ შესაძლებელი დამხვერავეები იმაში, რომ იარაღი მართლაც მკვედრონისტების იყო დანიშნული.

ამხ. ნ. ქარცივაძე გაიგზავნა ოდესასში შეძენილ გემბნათვის შესვლაურთა გუნდის შესადგენად. განსაკუთრებით საპასუხისმგებელი იყო კაპიტანის არჩევა. ბუღუ მდივანი დაბრუნდა შავი ზღვის სანაპიროებზე ტრაპიზონის მიდამოებში ტვირთის მიღების ორგანიზაციის მოსაწყობად. მის დასახმარებლად საქართველოდან ბათუმით წავიდნენ კ. ჩხენკელი და ნ. ჩხივაძე. მამედ ბუგ აბაშიძემ ბათუმში მოაწყო მათი საზღვარზე გადასვლა, ხოლო მისი ძმა ასლანი თანგაყვამათ.

დიდი ხნის ტანჯვა-წვალების შემდეგ შვერავებმა აირჩიეს ბაზისათვის შესაფერისი ადგილი და დაბრუნდნენ საქართველოში. ტვირთის მისაღებად ტრაპიზონში დარჩა ლევან დადეშკელიანი. ბათუმშივე მოხდა შეთანხმება კონტრაბანდისტებსა და მენავეებთან, რომელთაც იარაღი ტრაპიზონის ბაზიდან უნდა გადმოესროლათ რევოლუციური მოძრაობის აღში გახვეულ გურიაში.

1906 წლის 25 სექტემბერს ბ. მდივანი, კამო, კ. სულაქველიძე და კ. ჩხენკელი გაემგზავრნენ პეტერბურგით, ფინეთით, სტოკჰოლმით, შტეტინით, რათა საზღვარგარეთელ ამხანაგებთან ერთად იარაღი გადმოეტანათ ვარნადან თურქეთში.

მათ რამოდენიმე ხანს ბერლინში მოუხდათ დარჩენა. ისინი ელოდნენ ცნობას, რომ ბელგიასა, აესტრიასა და გერმანიაში შეძენილი იარაღი უკვე მივიდა ბულგარეთში—ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა [დებეშა.წამხ. ლიტვინოვი, რომელიც იმ დროს კონსპირატიულ სახელწოდებას—„პაპაშას“ ატარებდა, მათ იწვევდა სოფიაში. სოფიიდან წავიდნენ ვარნაში, ვარნაში, უკვე იდგა პატარა გემი „ზარია“, რომლის ტვირთშიდაობა ძლივს აღწევდა ათას ფუთს. იგი დატვირთეს თოფებით, რევოლვერებით ყუმბარებით, დინამიტით, ამართეს ზედ ბულგარეთის ბაირალი და დაიძრნენ. როგორც საჭიროა ისეთ შემთხვევაში „ზარიას“ ქიშიში, ბულგარეთის ბაირალის გარდა, მომარაგებული იყო აგრეთვე სხვა სახელმწიფოების ბაირალებიც. მხოლოდ გემის გამძღოლი გუნდი ვერ იყო სახარბიელო.

ადგილი არ იყო საიმედო ადამიანების გამოჩანხვა რევოლუციური საქმის განსახორციელებლად. „ზარიას“ ეკიპაჟს შეადგენდა სულ ოთხი ნამდვილი მეხლეაური. „ზარიას“ უფროსობდა ყოფილი პოტიომკინელი კავტუნენკო.

გემის გუნდის ვასაძლიერებლად და ტრაპიზონში სამუშაოდ მივლინებულ იქნენ ამხ. ამხ. კამო, კ. ჩხენკელი, კ. სულაქველიძე და სხ. ცურვის დროს სავახტო გულმაგობას ეწეოდა ორ-ორი ამხანაგი განუწყვეტლივ: ორი-დღისით და ორი ღამით.

ამხ. კამოს ზღვის ავადმყოფობა დაემართა, მაგრამ მალე სძლია მას და თავისთავზე მიიღო გემის მზარეულის—კოკის მოვალეობა. ის, როგორც კოკი, ყველაზე უფრო დაუთალოვდა ეკიპაჟს. განსაცდელის ეაშს კოკი გახდებოდა საიმედო მებრძოლი და, თუ საჭირო იქნებოდა, ექსპედიციის ხელმძღვანელიც.

კამოს წინადადებით „ზარის“ სამანქანო განყოფილებაში დადგინდა იქნა ჯოჯოხეთის მანქანა თუენიკობაა სპეციალური შეიქნებოდა ტვირთის გადატანა თვითმპრობელობის და მეტაყვების აგენტებისაგან. ჯოჯოხეთის მანქანის მფლობელი კამოს სადგომში შედიოდა. მას შეეძლო გემი დაეძირა აუცილებლად იქნა დროს.

„ზარის“ გამგზავრება შეტად უზედური გამოდგა. ვარნადან განმოსვლის-თანავე ზღვაზე ამოვიარდა უმძაფრესი შტორმი. გემს ნაფორტით ისროდა იქნა აქეთ. ის მთლად ერთიანად ირყეოდა. ბოლოს ველარ გაუძლო ტალღათა ცუქას. დიდი მოწოლა, საშინელი ხმაური, გრილი და წყალი შევიარდა სამანქანო განყოფილებაში.

კამოს მთავარი ფიქრი იყო გემის აფეთქება, მაგრამ ჯოჯოხეთის მანქანას ჯოჯოხეთური აღარა ქონდა რა, ვინაიდან მთელი სამანქანო განყოფილება ძირიდან თავამდე წყალით იყო ავსილი.

კავტუნენკო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მას უნდოდა თავი მოეკლა, იგი მხოლოდ შემთხვევით გადაარჩინეს „ზარია“ იძლეოდა საგანგაშო შემადრწუნებელ სიგნალებს, მაგრამ არსაიდან არავითარი გამოხმაურება არ იყო. უილრესად შეწუხებულია, სრულიად დასველებული ამხანაგები სიცივისაგან ძაგძაგებდნენ.

შტორმის დიწუებიდან მხოლოდ ოცი საათის შემდეგ მოეშველენ მეთევხეთა ნაგები, რომელნიც ვადმოიყვანეს ქიმიდან დაღუპვის პირამდე მისული ამხანაგები. სულ მალე გემი „ზარია“ გადაიხარა და წავიდა ძირს. ტვირთი დაილუბა. ეკიპაჟმა თავი შეაფარა სულმიელ მეთევხეების ქობში.

კამო როგორც კი გათბა და გამოერყვა, მაშინვე შეუდგა გემების შედგენას იზის შესახებ, თუ როგორ ხომალდს შეიძნდა ის მომავალში პოლიტიკური კონტრაბანდისთვის, რათა პარტიას თავიდან აცილებოდა ამგვარი მარცხი.

იარალით დატვირთული გემის დაღუპვის ამბავი ჩქარა მოედვა ბალკანეთის და შუა ევროპის ქვეყნების პრესას. „რუსი სტუდენტების ავანტურა“, საერთაშორისო სენსაციად გადაიქცა. „ზარია“-ზე დაღუპული იარალის რაოდენობა, პრესის ცნობებით, ზღაპრულად იზრდებოდა. უნდა ეზრუნათ იმაზე, რომ რამენაირად შეენელებიათ საგაზეთო განგაში და დაძრობოდნენ ხელიდან რუსეთის და საერთაშორისო პოლიციას.

კამო და ამხანაგები გადავიდნენ კონსტანტინოპოლში. აშშ. ლიტვინოვმა აამუშავა მთელი თავისი გავლენა და კავშირი ბულგარულ რევოლუციონერებს შორის, მის მოლაპარაკებას მოყვა ოფიციალური დადასტურება, რომ გემ „ზარას“ იარალი მოქონდა მაკედონიის გამათავისუფლებელ კომიტეტისათვის.

შემდეგ როდესაც კამო იგონებდა ამ საბედისწერო ტრანსპორტს, ის უბრუნდებოდა მუდამ ერთსადაიმავე თეზას — აშშ. ლიტვინოვის ორგანიზაციულ ნიქს მის თავდარიგანიობას და გონება მახვილობას. მას გაუბრწყინდებოდა სახე და მოყავდა მრავალი პატარა და დიდი საბუთი „პაპაშას“, როგორც იატაკქვეშელი მოღვაწის და რევოლუციური ორგანიზატორის, ნიჭიერების დასამტკიცებლად.

ამხანაგები კიდევ იმის ფიქრში იყვნენ, რომ ეგებ რამენაირად გადაერჩინათ ტვირთი, რამდენიმე ყუთი თოფი ტალღებმა გამოავლო ნაპირზე. მაგრამ ტვირ-

თის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ დაიღუპა. ამ დავიდარების დროს კამო და-
 აპატიმრა რუმინეთის პოლიციამ და მხოლოდ დიდის ვაივაგლახის შემდეგ იქნა
 განთავისუფლებული.

ერყენული

სულ სკვადასხვა გზებით და თითოთითოდ დაბრუნდნენ რუსეთში მისაბრუნებისა
 და ლაშქრობის მონაწილენი. მიუხედავად ამისა, რაღაც ცნობებში მაინც მიაღ-
 წია „ოხრანის“ და პოლიციის დეპარტამენტის ყურამდე. დაიწყო გამოძიება.
 პოტიომკინელი კავტუნენკო, იგივე შტურმანი შორეული ნაოსნობისა — ათანასე
 კაიუტ-კაიუტენკო იმავე წლის მაისში დაიჭირეს ოდესაში ყალბი პასპორტით
 ნიკიტა გორაშკინის სახელზე. კაიუტენკო განდარმებმა პეტრე-პავლეს ციხეში
 ჩასვეს. მან გადაჭრით უარი განაცხადა რაიმე ჩვენების მიცემაზე ლაშქრობის
 მონაწილეთა შესახებ. მაგრამ პოლიციის დეპარტამენტმა „სააგენტურო გზით“
 შეიტყო ტრანსპორტის ორგანიზაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ. „1905 წ.
 ზესტაფონის ხაზინიდან გატაცებული ფულით, — აღნიშნულია პოლიციის დეპარ-
 ტამენტის მსაღებში, — კამომ ემიგრანტ (კიევის ციხიდან გაქცეულ მერ ვო-
 ლობთან ერთად იყიდეს უცხოეთში იარაღი, რომელიც სპეციალურად დაქი-
 რავებული გემით „ზარიათი“ უნდა გადმოეტანათ ვარნადან რუსეთში“.

ცხადია, „ზარიაზე“ მომხდარი უბედურების მიზეზები სულ სტიქიონის
 გამძვინვარებასა და პატარა გემის წისუსტეს არ უნდა მივაწეროთ. ამხ. მ. მ
 ლიტვინოვი იხსენიებს, რომ თვითონ ის არაერთხელ მოითხოვდა — იარაღი რაც
 შეიძლება ადრე, გაზაფხულის დამლევაზე გაგზავნილიყო კავკასიაში: „ზარიამ“,
 ვიდრე მას მებრძოლი ორგანიზაცია შეიქმნა, — გვწერს ამხ. ლიტვინოვი აქ
 მოყვინილი მასალების შესახებ, — „ატლანტის ოკეანე მოიარა; იგი გაწინაგეს
 სპეციალისტებმა და იცნენ საესებით გამოსადგელ თავის დანიშნულებებისათვის
 მაგრამ ამასთანავე მხედველობაში იყო მიღებული, რომ იარაღი გადაიტანება
 შემოდგომამდე, იმ თვეების დადგომამდე, როდესაც შევზღვაზე ჩვეულებრივ
 ძლიერი შტორმი ატყდება ხოლმე. როგორც იარაღი, ისე გემი სავსებით მზად
 იყო უკვე ზაფხულის დასაწყისში. მაგრამ პარტიის მაშინდელი ც. კ-ის მენშევიკურ
 ნაწილი ამ საქმეს საბოტაჟს უცხადებდა და საჭირო ფულს თავის დროზე
 არ გზავნიდა, მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა იარაღის გაგზავნის შემოდგო-
 მამდე გადადების საშიშროების შესახებ. ამნაირად, კატასტროფა უნდა მიეწე-
 როს არა გემის დეფექტებს და იმდენად არა კაპიტანის გამოუცდელიობას
 რამდენადაც ფულის დაგვიანებით გამოგზავნას, რაც ცაკში მჯდომ მენშევიკების,
 საბოტაჟის შედეგი იყო“.

9. ექსპროპრიაცია ერაყის მოედანზე

ბოლშევიკური ჯგუფის ყველაზე ბრწყინვალე აქტი როგორც შესრულები-
 თი, ისე შედეგებით, იყო 250.000 მან. ექსპროპრიაცია ერაყის მოედანზე
 1907 წ. 23 ივნისს.

ამ საქმის სულის ჩამდგმელი იყო ამხ. კამო, რომელმაც დიდებულად მო-
 აწყო და ჩაატარა იგი. მან საქმეში ჩაითრია ფოსტის მოხელე გიგო კასრადე
 და მისი დახმარებით გაიგო, როდის და რამდენი ფული მოდიოდა პეტროგრა-
 დიდან სახელმწიფო ბანკის ტვილისის განყოფილების სახელზე.

საყურადღებო ისაა, რომ ექსპროპრიაციის შესახებ ხმები წინდამხედვე იყო გავრცელებული ქალაქში. სრულიად დანამდვილებით ასახელებდნენ დროსაც, როდესაც უნდა მომხდარიყო ექსპროპრიაცია. ამის შესახებ ტერმინის სწორი სასამართლოს პროკურორმა დაწვრილებით აცნობა იუსტიციის მინისტრს. ამ რამპორტში არეულია ერთმანეთში მთავრობის უძღურების აღიარება და საპოლიციო ხელისუფლებისათვის მოუფიქრებლობის და ფექსავატობის დაბრალება პოლიციისთვის არ სჯეროდა ხმები, რადგან ამის შესახებ არ ჰქონდა „ფართო სააგენტურო ცნობები“.

სახელმწიფო ბანკის მოღარემ და მოანგარიშემ ხუთი კაზაკის და ორი დარაჯის თანხლებით ფოსტიდან მიიღეს ორასორმოცდაათი ათასი მანეთი და ორი ეტლით ბრუნდებოდნენ ბანკში. როდესაც ერთმა მეეტლეთაგანმა გაიარა კომერციული ბანკი და როტინოვის და გავრილოვის შალაზია, მარცხენა მხრიდან მოულოდნელად გადაისროლეს ყუმბარები პირველი მეეტლის წინ, რასაც მოყვა საშინელი აფეთქება. მთელი მოედანი კომლში გაეხვია ერთი წუთის შემდეგ როტინოვის შალაზიასთან ორჯერ იფეთქა ყუმბარამ, შემდეგ კიდევ ორჯერ შეიქნა აუწერელი ამბავი. ყველას შინის ზარი დაეცა. საბედისწეროდ, ხალხი მოედანზე ცოტა იყო. როგორც გამოძიების დროს გამოირკვა, ჯერ კიდევ დილიდან ვიდაცოფიეკრის ტანისამოსში გამოწყობილი აფრთხილებდა ყველას მოედანზე არ შეეგუფებოდა. სულ მალე მოედანს მოაწყდნენ ჯარები, მაგრამ ველარც ექსპროპრიატორები ნახეს და ველარც ფული. ასე ჰქონდათ წარმოდგენილი ამ დილის ამბების მსვლელობა გარეშე წაყურებლებს.

ექსპროპრიაციის ერთ ერთი მონაწილე ამხ. ძველი დაწვრილებით მოგვითხრობს გეგმების წინასწარი შემუშავების ამბავს.

ფოსტას უნდა გამოეცლო ლორის მელიქოვის (ახლანდელი კეცხოველის ქუჩა, ერევნის მოედანი და მისულიყო ფრეილინის ქუჩაზე. ერევნის მოედანს ჩვენ ვთვლიდით თავდასხმისათვის ყველაზე მოხერხებულ პუნქტად მიუხედავად იმისა, რომ იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო დაცული. მოედანზე გამუდმებით იდგა რამდენიმე ბოქალური მათი თანამშემწეებით და დაბალი პოლიციელებით. ქალაქის გამგეობის შენობის წინ იდგა შეიდი კაზაკი. ყოველი ქუჩის თავში იდგა ფითო პოლიციელი და ორორი კაზაკი. მოედანზე და მახლოებულ ქუჩებში დადიოდნენ კაზაკთა პატრულები. ტფილისში იმ დროს სამხედრო წესები იყო გამოცხადებული და არა თუ კაზაკები, უბრალო პოლიციელებიც კი ვინტოვებით იყვნენ შეიარაღებული.

ფული მიქონდათ შემდეგი წესით: წინ მიდიოდა სამი ცხენოსანი, კაზაკი მათ მიხედვდა ეტლი, რომელშიაც ხუთი ჯარისკაცი იჯდა, შემდეგ ეტლი ფულით სავსე ტომრებით, სადაც იყვნენ ერთი ფოსტის მოხელე და ერთი ყარაულთ; პოლს მიდოდა მესამე ეტლი ისევე ხუთი ჯარისკაცით. მსვლელობა თავდებოდა სამი ცხენოსანი კაზაკით. თვითეული ეტლის გვერდით იქით-აქით მონივარდობდნენ აგრეთვე კაზაკები. ჩვენ ისე გვქონდა გამოანგარიშებული, რომ როდესაც წინ მომავალი კაზაკები შეუხვედნენ სოლოლაკის ქუჩაზე, ფულიანი ეტლი დაახლოვებით კავკასიის ოლქის შტაბის შესავალთან უნდა ყოფილიყო. პუშკინის ბაღის ახლოს უნდა მდგარიყო ამხ. ფაცია გალდავა. მას უნდა

ენიშნებია კახაყების მოახლოება ბაღში მყოფ აშხ. სტეპკო ინწყირველი-სთვის, რომელსაც წინად მიღებული ჭრილობის გამო არ შეეძლო უშუალოდ შეიარაღებული მონაწილეობა მიიღო საქმეში.

აშხ. ინწყირველს თავის მხრით უნდა ეცნობებია ^{ერკინეული} სტეპკოს წინ მოსიარულე აშხ. ანეტა სულაქველიძისთვის. უკანასკნელი შეატყობინებდა ამხანაგებს „რომელნიც მახლობელ რესტორან—„ტილიპუქურში“ იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ აშხ. ბაქუა კუპრა შვილს გაშლილი ვახეთით ხელში უნდა შემოეგლო მოედანი იმის ნიშნად, რომ ამხანაგებს დანიშნული პოსტები დაეკავებიათ.

დათიკო ჭიაბრიშვილი, არკადი ელბაქიძე, ვანო შიშმანოვი, ვანო კალანდაძე, ილიკო ჭაქიაშვილი, და ილიკო ებრაღიძე უნდა დაცემოდნენ კახაყებს და ფოსტას.

კახაყების თვითუღლ ჯგუფისა და ეტლისათვის თითო კაცი იყო დანიშნული. ერთს ფული უნდა წაეღო.

აკაკი დალაქიშვილი და თეოფილე კაკრიაშვილი უნდა დასხმოდნენ თავს ჭალაქის გამგეობის შენობის წინ მდგომ რაზმს.

ელისო ლომინაძე და სერაფიონ ლომიძე იდგნენ ველიამინოვის ქუჩის ახლოს, კახაყთა სადარაჯოს პირდაპირ. თავდასხმელები ამ მიმართულებით უნდა გაქეუულიყვნენ.

აშხ. კამოს ქონდა ნაკისრი ყველაზე საპასუხისმგებელი ამოცანა—ფულის წაღება. ის ოფიცრის ფორმაში იყო გამოწყობილი. აფეთქების დროს ის ეტლით უნდა მივარდნილიყო განოვის ქუჩის მხრიდან.

ასე იყო როლები განაწილებული. ასე იყო შემუშავებული მოქმედების წესრიგი.

ამხანაგებმა დაიკავეს წინასწარ მიჩენილი პუნქტები. გამოჩნდნენ კახაყები. ყუმბარები უნდა ვადაესროლა იმ ანგარიშით, რომ ისინი სხვადასხვა ადგილას ერთდამიპეე დროს უნდა აფეთქებულიყვნენ.

წინა კახაყებმა შეუხვიეს სოლოლაკისკენ.

დათიკო ჭიაბრიშვილმა წინ წასდგა ნაბიჯი იგივე ჭენეს ყველა დანარჩენებმაც. და მთელი არემარე საშინელი გრიალით შეინძრა ილიკო ჭაქიაშვილმა, ილიკო ებრაღიძემ, და ვანო კალანდაძემ შეუტიეს, მოედანზე მდგარ პოლიციელებს და მათურების გაძლიერებული ცეცხლით გააქციეს ისინი.

ყველაფერი კარგად მიდიოდა მაგრამ აქ მოხდა გეგმის პირველი შეშლა: ფულიანი ეტლი უვნებელი დარჩა,

დამფრთხალი ცხენები გაქანდნენ მოედანზე სომხის ბაზრისკენ.

აშხ. ბაქუა კუპრა შვილი არ დაიბნა და დაეწია ეტლს მოედნის ბოლოში. მან ესროლა ყუმბარა ცხენებს ისეთ ახლო მანძილზე, რომ აფეთქებამ თვით აშხ. ბაქუა შერყინა აადლო ის დავარდა მიწაზე ნახევრად-გონება დაკარგული.

აშხ. ჭიაბრიშვილმა, რომელიც აგრეთვე მისდევდა ეტლს, მიასწრო იმ წუთს, როდესაც ეტლი სქელ კვამლში იყო გახეული. მან წაივლო ხელი

ფულიან ტომარას და გავარდა ველიამინოვის ქუჩაზე. აქ კამომ ჩანოტრატა მას ტომარა და თვალის დახამხამებისთანავე მიიშალა.

როდესაც ყუმბარები აფეთქდა, კამო გვერდის თანახმად „განთქმის“ ქუჩაზე ოდიოდა. მოედნაძედ რომ მოვიდა მან ამხანაგები ველარ დაინახა. „კამო“ მიხვდა რაღაც ცუდათ იყო საქმე. ის ეტლით შემოვარდა მოედანზე. საფეხურზე იდგა, ყვიროდა, იგინებოდა, ისროდა რევოლვერს, ცდილობდა ამხანაგების ყურადღება მიეპყრო, აი აქ მოუსწრო ქიაბრიშვილმა და გადასცა მას ფულები.

საქმე გაკეთდა. ამხანაგები შეიკრიბენ მიხა ბოჭორიძის ბინაზე, აქლდათ მხოლოდ ბაჭუა კუპრაშვილი.

ამხ. ქიაბრიშვილმა დაინახა აფეთქების შემდეგ როგორ დაეცა ბაჭუა, მისი აზრით ბაჭუა მკვარი უნდა ყოფილიყო.

კამო საშინლად ლელავდა.

— რა ეშმაკად გინდოდა ფული, — უკეთესი იყო ამხანაგისთვის გეშველა. როგორ დატოვე ის ასე დაუხმარებლად? — უსაყვედურებდა კამო ქიაბრიშვილს. მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა კარებში მრავალნაირად დაკოდოლი ბაჭუა. კამომ აღარ იცოდა რა ეჭნა მეტისმეტი სიხარულისაგან.

— ხომ ხედავ, ბიჭო, ჩვენ სიკვდილიც ვერაფერს გვაკლებს. როგორც აქტები, ყოველი სიმაღლიდან ვვარდებით და არ ვილუბებით. — ამბობდა ის გახარებული.

ასე დასრულდა ერეენის მოედნის ექსპროპრიაციის პირველი აქტი.

არა ნაკლებ საშიშარი იყო ექსისტური ჯგუფის შემდგომი ნაბიჯები, თუმცა მათ ყუმბარების აფეთქება და რევოლვერების სროლა აღარ ახლდა თან. მაგრამ ვიდრე მათ შეეცებოდეთ, გავეცნოთ ორ ოფიციალურ საბუთს, რომელიც იმავე ამბავს გვისურათებს.

პირველია პოლიციის ზედამხედველის სვეტლაკოვის ოქმი. ცხელ კვალზე შედგენილი. მაგრამ მეტად დაფანტული და ბუნდოვანი.

მეორეა — ორი „დაზარალებული“ ადამიანის, სახელმწიფო ბანკის დარაჯის ელიაევის და მოლარის კურდიუმოვის ჩვენებანი.

ეს ორი დოკუმენტი, ექსპროპრიაციის გამარჯვების დამოუკიდებლად, საქმის დიდებულად მოწუბობის უცილებელ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს.

თავდასხმა ისე უეცარი იყო, მისი შექანიკა, მონაწილეთა დისციპლინის და სოლიდარობის მეოხებით, ისე შეუფერხებლად მუშაობდა, რომ უშუალოდ დაზარალებულთა ბანაკის მოწმენიც კი საგამომძიებლო ორგანოების კითხვაზე შეეძლოთ ეპასუხნათ მხოლოდ: „არ ვიცი“, „არ დამინახავს“, „არ შემიმჩნეიაო“.

ოქმი I

1907 წ. 13 ივნისი. ქალ. ტფილისი. მე-4 უბნის პოლიციის ზედამხედველმა სვეტლაკოვმა შევადგინე შემდეგი აქტი: ამა რიცხვის დღის 11 საათზე ერეენის მოედანზე მიდიოდენ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მოლარე საგუმბერნიო სეკრეტარი ვასილ მიხეილის ძე კურდიუმოვი და ბანკის მოლარე ბანკშივე მცხოვრები, გრიგოლ მარკოზის ძე გოლოვნია რომელთაც თან ახლდა კაზაკებისა და ჯარისკაცებისაგან შემ-

დგარი გუნდი. სანამ სოლოლაკის ქუჩამდე მივიდოდენ თითქმის ამ ქუჩის მოსახვევთან უცნობმა ბოროტგამზრახველებმა საიდგანაკლა ესროლეს. საი ყუმბარა თანმხლებელ კანვოს რათა წაერთმიათ ფულები, რომელებმაც მათ რემ მიიღო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან, და შეეშინებინათ ქაზაკებს დოება. შეეტლემ, რომელსაც მოლარე მიკავდა, ყუმბარების აფეთქების შემდეგ, მოაბრუნა ეტლი პუშკინის ქუჩის მიმართულებით; ამ დროს ბოროტგამზრახველებმა, ისარგებლეს რა საშინელი არევიდარევით, ხელახლა ისროლეს ორი ყუმბარა, ამავე დროს კიდევ გადასროლილ იქნა სამი ყუმბარა; ერთი ტფილისის ქალაქის გამგეობის შენობიდან, მეორე „კონკის“ სადგურიდან*) და მესამე ველიამინოვის ქუჩის და ერევნის მოედნის კუთხიდან. სულ ისროლეს რვა ყუმბარა. პირველმა ნასროლმა ყუმბარამ დაამსხვრია ეტლის ძარი და მოლარე კურდიუმოვი გადატყორცნა ქეაფენილზე. აფეთქებისაგან მძიმედ დაშავდენ მხლებელი კაზაკები და ჯარისკაცები, აგრეთვე დაშავდა კაზაკების ორი ცხენი; ხოლო ბოროტგამზრახველებმა, ისარგებლეს რა ხალხის საერთო პანიკით და კანვოს მხრით წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობით, აფეთქებით გამოწვეულ კვამლსა და მხროლავ ვახუბში დაავლეს ხელი ფულიან ტომარას, სადაც, მოლარე კურდიუმოვის განცხადებით, 250.000 მანეთი იყო, ასტეხეს მოედნის სხვადასხვა ადგილას რევოლვერების სროლა და ფულებთან ერთად უკვალოდ მიიშალნენ. ყუმბარების აფეთქებით დამტყრეულია სახლებსა და მალაზიებში ყველა მინები მთელს ერევნის მოედანზე“.

ამას მოსდევს ამ ამბის დროს დაჭრილთა და მოკლულთა სია. ოქმი ასე თავდება:

„შემდგომი გამოძიებიდან და დაჭრილთა, მალაზიების მკატრონეთა, ნოქართა და შემთხვევით გამვლელთა დაკითხვიდან ბოროტგამზრახველთა ვინაობის და მათი გაქცევის მიმართულების გამორკვევა, ჩვენების სრული უქონლობის გამო, შეუძლებელი გახდა. მოედანზე ნახულ ეტლის ფიცარს. გამსჭდარი ყუმბარების რკინის გარსებს ამასთან ერთად გაახლებთ...“
დარაჯმა აჩვენა:

„... როდესაც პირველმა ეტლმა გაიარა საურთიერთო ნდობის საზოგადოება და გაემართა სოლოლაკის ქუჩისაკენ, უეცრად მარცხენა მხრიდან ჩემი ეტლის ქვეშ გაისმა საშინელი აფეთქება. ამავე დროს აფეთქება მოხდა წინა კაზაკების წინაც. ორს პირველ აფეთქებას მოყვა კიდევ ორი აფეთქება: ჩემი ეტლის ქვეშ მარცხნით და წინა კაზაკების ახლოს.

პირველმა ყუმბარამ დამაყრუა და დამარე ზიანა როდესაც გონს მოვედი, ჩემს ეტლში ჯარისკაცები აღარ იყვნენ, ეტლი იყო მოედანზე და ბრუნდებოდა მარცხნით, შეეტლეს კი სისხლი სდიოდა. მე ვუთხარი შეეტლეს წასულყო და ისიც დაიძრა. ამავე დროს ჩვენს წინ ცოტა მარჯვენით მოედანზე მიდიოდა სულ ცარიელი პირველი ეტლი, შეეტლეს კურდიუმოვი და გოლოვინა იქ აღარ იყვნენ... შევიწხე თუ არა პირველი ეტ-

*) როგორც ვნახეთ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება. ბ. ბ.

ლი, რომლითაც ფული მიგვექონდა, ამავე დროს დავინახე: ამ ეტლიდან მივარდა შეტანისამოსიანი ახალგაზრდა კაცი, ამასთან არ შემოძლია ვთქვა, პიდჯაკი ეცვა თუ ხალათი, აგრეთვე არ შემინიშნავს, თუ რა მუხურს თაყზე და როგორი ნიშნები ქონდა მას—შემოძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ეს კაცი იყო ადგილობრივი მკვიდრი, მაგრამ რა ერის იყო: სომეხი თუ ქართველი არ ვიცი. მე მოვისახრე, მივხედი, რომ ამ კაცს უნდოდა ფულიანი ტომარის წაღება ეტლიდან. მე გადავწყვიტე წინააღმდეგობრივად ამას. მარჯვენა მართელი ფეხი დავადგი ეტლის ძროს, ხოლო მარცხენა დაჭრილი ფეხი უნდა დამედო საჯდომზე, რომ ეტლიდან გადავშტარიყავი და ეცემოდი ბოროტგამზრახველს. მაგრამ ამ ახალგაზრდა კაცმა ვადმოიტანა უკვე ეტლიდან ტომარა. მე დავაპირე გადახტომა ეტლიდან, მაგრამ ამ დროს თვით ჩემ ეტლით გასკდა ყუმბარა, მე დავრეტიანიდი, დავკარგე ცნობა და მეტი აღარაფერი მახსოვს.

ყუმბარა მესროლეს ქარვასლის მზრიდან, მაგრამ ვინ იყო მსროლელი არ დამინახავს. ეტლი კი, რომლიდანაც ბოროტგამზრახველებმა ფულიანი ტომარა გაიტაცეს, შუა მოედანზე იყო ქალაქის გამგეობის იქით, სომხის ბაზართან ახლოს. ვინ იყო ის ახალგაზრდა კაცი, რომლითაც ეტლიდან მოიტაცა ფულით სავსე ტომარა, არ ვიცი და მისი ცნობაც არ შემოძლია...

მდგ II

1907 წ. 13 ივნისი. კურდიუმოვი ვასილ მიხეილისძე, 34 წლის მართლ-თლშადიდებელი, წერაკითხვის მკოდნე. პასუხის გებაში არ ეყოფილვარ.

მე—სახელმწიფო ბანკის მოლარის თანაშემწე ვარ დღეს გამგის ბრძანებით დილის ათ საათზე მოანგარიშე გრიგოლ გოლოვნიასა და დარაჯ ელიაიევთან ერთად წავედი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ფასეულობათა მისაღებად. გვახლდა ორი ჯარისკაცი და ექვსი კაზაკი. აქედან ჩვეულებრივ ფეხით წავედი. იქ მივიღე ორი მოხელისაგან, — ერთი ივანოვი იყო, მეორის გვარი არ მახსოვს, — ცალკე ფული 465 მანეთის რაოდენობით და კიდევ ფასეული დახურულ პაკეტებით ორასორმოცდაათი ათას მანეთზე მეტი და წამოვიღე სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. ამისათვის დავიქირავე ორი ეტლი, რომელნიც ფოსტის შენობასთან იდგნ. ერთში, რომლის ნომერი არ შემინიშნავს, მოვთავსდით მე და მოანგარიშე... მე შევნიშნე, რომ ამ ეტლში რუსები ცხენები ება, საჯდომს ეფარა ლურჯი მუდი უშალითოდ, ძირს წითელი ნიხი ევო, მეეტლის სახე არ მახსოვს და არც იმისთვის მიმიტყევიდა ყურადღება, თუ რა ეროვნების იყო. მეორე ეტლში ჩასხდნე ელიაიევი და ორი ჯარისკაცი. კაზაკები ასე მიდიოდნენ: ორი წინ, ერთი ჩენი ეტლის გვერდით და ორი მეორე ეტლის უკან. ჩვენ წავედით ლორისმელიქოვის ქუჩით, გამოვუარეთ პუშკინის ბაღს და ამოვედით ერევნის მოედანზე, რომ უნდა მოგვეხვია სოლოლაკის ქუჩაზე, იმ დროს წინა კაზაკს ესროლეს ყუმბარა, რომელიც შუა ქუჩაზე გასკდა, ამასთან დაიჭრა კაზაკის ცხენი; ვინ ისროლა ყუმბარა და საიდან ისროლა, ვერ შევნიშნე. მე აფეთქების ძალამ ეტლიდან ქვაფენილზე გა-

დამავდომ ამ დროს უკვე ჩვენი ეტლის უკან ერთი შუორეზე კრდევ ორჯერ იფეთქა ყუმბარამ, რამაც სრულიად დამარცხიანა. როდესაც გონზე მოვედი, დავინახე ჩემს ახლოს დაჭრილი ცხენი, მოკლული კაზაკი საგანეთო კაიოსკთან და ერთი დაჭრილი ქალაქის გამგებობის წინ. ეტლი ჩემს ახლოს აღარ იყო, მოედანი სრულიად დაცარიელებული იყო და რევოლვერების ისმოდა სროლა. მე წამოვხტი ზეზე და გავიქევი პუშკინის ქუჩისაკენ, ვფიქრობდი ეტლის ნახვას, რომ გამოვდგომოდი ჩვენს ფულიან ეტლს, მაგრამ ვერაფერ ვერ ვნახე. სხვა არაფერი მაქვს სათქმელი. წავიკითხე. აქ უნდა დავსძინო, რომ მე დამარჩა ხელუხლებელი 465 მანეთი, რომელიც მე მქონდა პიჯაკის ჯიბეში. 250 ათასი მანეთი შეკერილი იყო ორ შეკვრად: ერთი 80 ათასი და მეორე—170 ათასი. რა საკრედიტო ბილეთებით იყო ეს ფული მე არ ვიცი. ფულს ვღებულობ ხოლმე ფოსტიდან. აგრეთვე ვაბარებ ხოლმე კიდევ, ჩვეულებრივ მახლავს ხოლმე კანკი 250 ათასი მანეთი—ეს ფასეულობათა ჩვეულებრივი საშუალო მიღებაა ბანკის მიერ. წავიბუხულია.

ვახილ კურდიუმოვი.

ბანიკა მოედანზე ისე დიდი იყო, რომ არავინ არ ფიქრობდა თავდამსხველების დადევნებაზე. ამას, ადასტურებს აგრეთვე ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი თავის მოხსენებაში იუსტიციის მინისტრისადმი. „მაყურებელთაგან,—ამბობს ის,—არავის არ შეეძლო დანამდვილებით ეთქვა თავდამსხმელთა რაოდენობა, ადგილი, საიდან იყო გადმოსროლილი ყუმბარები და ან საით მიიშალენ ბოროტგამზრახველები. მაგრამ მოწმეთა ჩვენებების უღიდესი ნაწილის მიხედვით, ყუმბარები უსათუოდ გადმოსროლილი იყო ახლო მდებარე კერძო სახლების ფანჯრებიდან ან სახურავებიდან... მოედანზე მდგარ სამხედრო და საპოლიციო მოხელეებიდან მხოლოდ ერთმა ჯარისკაცმა გაისროლა თოფი, მაშინ როდესაც დანარჩენებმა ვერც კი მოასწრეს ბოროტგამზრახველების კაკარგად დანახვაც კი. ფულების მოტაცების მომენტის შემომჩვეული დარჩა.“

ერევნის მოედნის ექსპროპრიაციის შესახებ საინტერესო დეტალებს გვატყობინებს ანხ. ა. ბუბურშივილი.

ამ ექსის მოხდენიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ,—გვიამბობს ის,—კამო პეტრბურგში ჩამოვიდა. უნდა ითქვას, რომ ამ დროს მენშევიკებისათვის არ არსებობდა კამოზე უფრო საძულველი ბოლშევიკური სახელი. რა სიცრუეს არ ავრცელებდნ ისინი კამოს შესახებ! მას უწოდებდნ მძარცველს და არა რევოლუციონერს, მართალია კამოც არ აკლებდა მათ ხელს. ამ ექსის გამო მენშევიკებმა კამოს დააბრალებს ფულების აშკარა მითვისება. ხედვეთია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს იყო ყოვლად საძაგელი სიყალბე, ფული უკლებლივ ჩავიდა პეტრბურგში და გატანილ იქნა ფინეთში. მე ამის ცოცხალი მოწმე ვარ. მთავრობისთვის წართმეული ფულები კამომ ჩამოიტანა მეორე კლასის ვაგონით ქალების ქუდების უბრალო ბოყვში. გზაში იყო ნივთების გაშინჯვა, მაგრამ განდა რმებიდან არავის არ მოსვლია აზრად ბოყვში ჩახედვა. აქაც გამოაშკარავდა კამოს ჩვეულებრივი თვისებები—გამბედულება და გამჭირაობა მან მაშინ წინადადება

მომცა საზღვარგარეთ წაესულიყავი ჩემი პაწია ქალიშვილით. მისი გეგმა ასეთი იყო: ბავშვი პატარაა, აკვანში წევს, არავინ არ იფიქრებს მის გაზრდას. ის კი ამ აკვნით გაიტანს და გამოიტხნს ყველაფერს, რაც მისთვის საჭირო იქნება განზრახული იყო, რომ პარიზში ჩვენ ჩამოხეტებოდით საუკეთესო სასტუმროში. პირველ ხანებში ძალაუნებურად მოგვიხდებოდა ბევრი (რა საკვირველია, არა ექსპროპრიარებული) ფულის ხარჯვა, რათა მდიდარი მოქიფე მულანგველების შთაბეჭდილება მოგვეხდინა. ხოლო შემდეგ შეუდგებოდით ექსპროპრიარებული თანხების გადაცვლას. ის შესანიშნავი გეგმა არ განხორციელდა, რადგან მეორე დღეს კამომ სხვა გეგმა წამოაყენა, რომელიც იქნა მოყვანილი სისრულეში. ერთ ჩამოსვლისას კამო მოგვევლინა მილიციის პრაპორტიის ფორმასი ერთ-ერთი მაზრის თ.—აზნაურთა წინამძღოლის პასპორტით. ამ პასპორტით დასაყრდენობდა კამო მთელ პეტერბურგში. ძლიერძლივობით დაეარწმუნეთ ის დაწყონებლივ წასულიყო პეტერბურგიდან, რადგან, როგორც თ.—აზნაურთა წინამძღოლი ის ყოყვდ წურთში შეეძლო მიეწვიათ სასახლეში. ის დიდხანს ჯიუტობდა, ესეც უნდოდა გამოეცადა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს დაგვავჯრა დაწაფიდა.

საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, რომელიც ბერლინში დასრულდა დაქერით, მან რამდენიმე დღე დაჰყო ჩემთან საზღვარგარეთული პასპორტის მიღების მოლოდინში. ის გაწერილი იყო პეტერბურგის საუკეთესო სასტუმროში მირსკის პასპორტით. თვითონ ის პასპორტზე არ ზრუნავდა, ეს საქმე მან მიანდო სასტუმროს შეეცარს, რომელსაც ამისთვის უხვად აჯილდოვებდა. შეეცარი კამოს ძალიან დიდ ვინმეთ სთვლიდა. კამო სიცილით გვიამბობდა ხოლმე ამ ამბავს. ჩვენ მას დიდი ხნით გამოვეთხოვეთ მიღე გახეთებიდან გავიგე, რომ ბერლინში დაპატიმრებულ იქნა მირსკი, რომელსაც უნახეს ორმაგძირიანი, ასაფეთქებულ ნივთიერებებით გატენილი ჩემოდანი.

პოლიციური ინტერვიუ

ერევნის მოედანზე აშ. კამოს შიერ მოწყობილი ექსპროპრიაცია, ან როგორც საგამომძიებლო და საქანდარმო ორგანოები უწოდებენ, — „საქმე 1907 წ. 13 ივნისს ქ. ტფილისში ერევნის მოედანზე სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ფულის ტრანსპორტზე ყაჩაღური თავდაცემის და 250.000 მანეთის გატაცების“ შესახებ, მეტის მეტად აშფოთებდა მეფის მთავრობას. მისი შეშფოთება მრავალნაირად იყო სამარულიანი. ეს იყო მთავრობის თავმოყვარეობის შემლახველი, უაღრესად შეურაცყოფელი, აშკარად კანდიერი და შეუპოვარი თავდასხმა, რაც რევოლიუციის ძალთა გაზრდის მომასწავებელი იყო. აქტი შესრულებული იყო კონსპირაციის თელასაზრისით უწყუნებლად შესანიშნავად. დამნაშავენი დაიმაღენ; ქალაქის და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი თანაგრძობით იზილავდა თავდასხმის დეტალებს. ხელისუფლება კიდევ უფრო იწვილებდა თავს, კიდევ უფრო იტებდა სახელს როცა განუკითხავად, მარჯვნივ და მარცხნივ იტერდა ისეთ ადამიანებს, ვისაც არაფერი საერთო არა ჰქონდათ კამოს ჯგუფთან.... ეს მარტო პოლიტიკური სილა კი არ იყო, არამედ

რუსეთის სახელმწიფოს ორი მთავარი ბურჟის,—ქანდარმერიის და ბრევიციის უღირსად სამარცხვინო, სასკანდალო ჩაეარდნა. მეორე მხრით, რაც უნდა ელანდლათ რევოლიუციონერები და ცილი დაეწამებიათ უკანასკნელთაოქვის „უბრანკის“ აგენტებმა ჩინებულად იცოდენ, რომ მთავრობის წართმეულად, ყველაზე, სასესებით მოხმარდებოდა რევოლიუციური მოძრაობის გაძლიერებას. რევოლიუციური ჯგუფების მიმოსვლა რუსეთსა და ევროპაში, იარაღის შეძენა, ყუზმარების დასამზადებლად სახელოსნოების გამართვა, პროკლამაციების ბეჭდვა და საერთოდ იმდროინდელი ყოველგვარი რევოლიუციური არალეგალური საქმიანობა საფუძვლიან მატერიალურ ბაზას პოულობდა, ფართოვდებოდა და ვითარდებოდა. თავის მხრით მთავრობაც სულ განაბული ღებულობდა სათანადო ზრმებს.

მოტაცებულ ფულებში საგრძნობელი ნაწილი იყო ხუთას მანეთიანი საკრედიტო ბილეთები და შათი ნომრები სახელმწიფო ბანკმა იცოდა (ნომრები 62901 დან 63000—დღე და 63701—დან 63800—დღე სულ დაახლოებით ასი ათასი მანეთის რაოდენობით). ამ ნომრების ცნობა საშუალებას იძლევა საგამომძიებლო ხელისუფლებას ფართოდ გაეგა და გაეშალა ქსელი რუსეთის იმპერიის დიდსა და პატარა ქალაქებსა და დასავლეთ—ევროპულ ცენტრებში. საგამომძიებლო ხელისუფლება დაადგა ამ ყაჩაღურ თავდასხმის“ მონაწილე პირთა შექანიკური აღმოჩენის გზას. 1907 წ. 14 ივნისს სახელიწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მმართველი განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამომძიებელს „საიდუმლო“ მიწერილობანი ატყობინებს შემდეგს:

საიდუმლოდ

**სახელმწიფო ბანკის
ტფილისის განყოფი-
ლების
მ მ ა რ თ ვ ი ლ ი
1907 წ. 14 ივნისი
№ 16
ქ. ტფილისი.**

ა/წ. 13 ივნისს ბოროტგანზრახვლების მიერ 250000 მანეთის მოტაცების საქმის თათბაზე პატივი შაქს მოგახსენოთ შემდეგი: ა/წ. 5 ივნისს სახელმწიფო ბანკის მიერ ჩემდამი რწმუნებულ განყოფილებას გამოეგზავნა 250.000 მან. სახურდაო ვაიტალი საკრედიტო ბილეთებით შემდეგი ღირებულებისა: 5 მანეთიანი—50 000 მან. 10 მანეთიანი—50.000 მან. 25 მანეთიანი—50000 მ. და 500 მანეთიანი— 100.000 მან. ამასთან 500—მანეთიანი საკრედიტო ბილეთები იყო სერია A. M. № № 62901 — 63000 და 63701 — 6380

მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ბ ე ზ ო ბ რ ა ზ ო ვ ი

15 ივნისს გამომძიებელს უკვე გამოატეს სათანადო „დადგენილება“: 1907 წ. 15 ივნისი, ქ. ტფილისი, ტფილისის საოლქო სასამართლო განაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამომძიებელი, შალირცკი —ღებულობს რა მხედველობაში, რომ.—როგორც სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მმართველს ამ წლის 14 ივნისის № 16 ცნობიდან ჩანს,—13 ამ თვის ქ. ტფილისში გრცენის მოედანზე სახელმწიფო ბანკის ტფილისის გმყოფილების შოლარის თანამეწიის კრედიტოეისათვის ყაჩაღურად წართმეულ 250.000 მანეთში ნაწილი — 100.000 მან. რაოჯენობით—იყო საკრედიტო ბილეთები 500 მანეთიანი ღირებულების. სერია A. M. ნომრები 62901—დან 63000—დღე და 63701—დან 63800—დღე და რომ ეს ბილეთები სადმე რუსეთის იმპერიის ფარგლებში შეიძლება იქნეს გამოწვებული ბახარზე,—აუცილებელ საჭიროებად თვლის დაუყოვნებლო იქნეს მიღებული ზომები ამ ბილეთების ბახარზე გამოჩენის სამეთვალყუროდ, რასაც შეეძლია ძიფი მოგვეცეს ხელში შათ მოიტაცებელთა ზღმოსაჩენად.

სწ

აღნიშნულ გატაცებულ 500 მანეთიანი ღირებულების საკრედიტო ბილეთების საძებნელად ეწეობის მათი ნომრები და სეროები რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრს, ოლქის უფროსებს, ობერ-პოლიციეზისტრებს, ხოლო კავკასიის მხარის ნომრები აგრეთვე პოლიციეზისტრებს, მხარის უფროსებს და ოლქის უფროსებს, რათა მათ დაეხმონ აღნიშნულ რაიონებში თვალყური ადევნონ აღნიშნულ საკრედიტო ბილეთებს და აღმოაჩინონ მათგან დაუკონტროლო დააკავონ როგორც აღმოჩენილი საკრედიტო ბილეთები, აგრეთვე ის პირებიც, ვისაც ისინი აღმოაჩინებენ, გამოარკვიონ როგორ შეიძინეს ეს ბილეთები აღნიშნულმა პირებმა და ყოველივე დაუკონტროლო აცნობონ სასამართლო გამომძიებელს სათანადო განკარგულების მოსახდენად“.

იმავე 15 ივნისს ეს დადგენილება იგზავნება სტამბაში დასაბეჭდად და სულ მალე გამოშვებულის მიერ გადასროლილი ბადე თითქო იმედინად იშლება იმპერიის და დასავლეთის სხვადასხვა წერტილებში. ცნობები გატაცებულ საკრედიტო ბილეთების შესახებ ყოველი მხრიდან მოდის. გამოძიება თანდათან იზრდება. ტფილისი, შინსკი, სუვალი, ბორისოვი, შეჭუთებულა „ავაზაკური თედასხმის“ გამოხმაურებით. ბოქალულები დარბიან საბოქალულებში, პოლიციეზისტრები ახდენენ გაჩხრეკას. გაიძვერები სარგებლობენ შემთხვევით და ანგარიშს უსწორებენ მათთვის უსამოვნო პირებს ხუთასმანეთიანების ამოტივტივების ნიადაგზე, ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს ამ თანდარშული სისულელის ზრდასა და სპეზმას, რაც რუსეთის შორეულ კუთხეებსაც კი მოედო, ხოლო ამჟამად შეჭერდებით „ობრანკის“ სახლდარგარეთულ ნაინადირეზე.

რასაკვირველია, დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოთა პოლიცია ძალიან თანაგრძობით გამოეხმაურა თავის აღმოსავლელ თანამოძმის მოწოდებას. და აი 1908 წლის იანვარში მიუნხენის პოლიციამ შეიპყრო სარა რაიკის, რომელიც ახურდავერდა ხუთას მანეთიან საკრედიტო ბილეთს სერია A. M. ნომერი 63791. აი რას ატყობინებს იქაური პოლიცია ამის შესახებ ტფილისის გამოძიებულს.

კრიმინალური დაცვის უფროსს ტფილისში¹⁾

ტფილისი—მიუნხენი 3997, 110/108, 5, 50, კ.

110/108 5, 50, 5, K.

დღეს დილით მიუნხენში (ბავარია) შეხვრობილ იქნა სტუდენტი ქალი.

უიტბსკადან, რომელიც უწოდებს თავის თავს სარა რაიკის, ებრაელია; დაბადებული 1879 წ. აგვისტოში; ცდილობდა დაეხურდავებია 500-მანეთიანი ბილეთი სერია A. M. № 063791, რომელიც ევთენის ტფილისში 1907 წლის ივნისში რუსეთის სახელმწიფო ბანკის საზარდოდ გამარცხელ ტრანსპორტის 250000 მან. თანხას, სარა რაიკის აქვს პასპორტი, გაცემული ეილაც ბატონი ბერნჰეინინის სახელზე, ის აეხადებს, რომ მოვიდა ვენევიდან და დღეს მიუნხენში ექვთიასაგან მიიღო აღნიშნული ბილეთი სხვა ყოველგვარ ახსნა-განმარტების მოცემებზე უარს ამბობს, გლობოტ მაცნობით, დაპატრებელი უნდა დარჩეს რაიკი თუ არა.

პოლიციის დირექცია დ ი ლ მ ა ნ ი.

¹⁾ თარგმნილია ფრანგულიდან კავკასიის წამესტრეკის კანცელარიის საგანგებო განყოფილების თარგმანის მიერ, ამ თარგმანით თარგმანის სინდისზე უტოვებთ დღემის მოდანილი ტექსტის უფაურობას, რას ნიშნავს: სარა რაიკის პასპორტი კომუნა ბატონი ვეინინის სახელზე? რას ნიშნავს ფრაზა: „დაპატრებული უნდა დარჩეს რაიკი თუ არა“. ეს ფრაზა ისე იმის როგორც შეგონება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვეს, რუსეთის ხელსუფლებას ახრათ, სარა რაიკის მიუნხენის ხელსუფლება—გერმანული კანონების მოთხოვნის დაბოლოდებულად.

ერთი კვირა არც კი იყო გასული, რომ ბ-მა დილმანმა კიდევ გაახარა გამომძიებელი მალინოვსკი ახალი სენსაციით, ბ-ნი პოლიციედიოქტორს დეპეშის კილო თავდაჭერილი, გამნდობი და სალოდინოა. ის კვებუფდუდუბუ ფაქტების გადმოცემით და თითქოს ამბობს: „რაც მე შემიძლოა ვეღვაწურუ ქმენი. შემძლია მეტიც ვწნა; მაგრამ, ბატონებო, თქვენ ზომ ბავშები არა ხართ. თქვენ იცით, რომ ჩვენში საზოგადოებრივი აზრი არსებობს და თქვენ თვითონ უნდა დამეზმაროთ, რომ სასურველი სამსახური გავიწიოთ“.

ტფილისი. შოუნენი 6049, 15, 8, 11, 20 წ.

ტფილისში მომხდარი გასარცვის საქმის გამო რაეიქს გარდა დაჭერილი არიან კიდეე მიუნენში (ბავარია) პარიზიდან ჩამოსული ტერან ბავდასარიანი, სტუდენტი ქალაქ თაერზიდან (სპარსეთი) და მიგრამ ზოლოშირიანი სტუდენტი ზემო-კელისიდან, რომელთაც აღზიანდათ ჩვიდმეტი ზეთას მანეთიანი A. M. 063771-063790 და 063784-063790 და კიდეე ბერუ სხუა ფული.

პოლიციის დირექტია დ ი ლ მ ა ნ ი.

1908 წ. 6 იანვარი.

აგტორი შაშინდელი მესამე ოფიციალური დოკუმენტისა, რომელიც „გქს-პროპრიაციის თანამონაწილეების“ შესახებ ლაპარაკობს, პოლიციის დეპარტემენტის დირექტორი ცნობილი ტრუსევიჩი, მის მიერ ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ფაქტების გადმოცემათ არ კმაყდეილდება. პარიზში დამატიმრებულ მეერ ვოლოხს ის პირდაპირ აცხადებს „გადარცვის ერთერთ ორგანიზატორად“ და ცდილობს ხელი გადააწვდინოს უცხოეთში — აღნაწენილ დამნაშავეთა შედარებით ხელსაყრელ გერმანულ-ფრანგული სატუსალო რეჟიმიდან გამოსაყენად.

ტფილისი, სამოსამართლო პალატის პროკურორს.

სამხედრო.

პირადათ, 4 იანვარი.

პარიზში ადვილობრწევა პოლიციამ დააპატიმრა რუსეთის ქვეყნუდოში მემანიანი მეერ ვოლოხი, მას ჩამართვეს თარქეტი ზეთასმანეთიანი საკრედიტო ბილეთი, რომელიც მოტაცებულია ტ. ტფილისში 1907 წლის ცამეტ ივნისს სახაზიო ტრანსპორტის გატარცვის დროს ვოლოხი მტენბული გატარცვის ერთი ორგანიზატორთაგანია. მეტად სასურველია პასუხისკებაში იქნეს მიცემული საერთო სისხლის სამართლის ბრალდების გამო და დაუყონებლივ გაიმართოს ნოლაპარაკება მათი გადმოცემის შესახებ, გთხოვთ შეგეტყობინოთ დეპეშით წინასწარ განკარგულების გასაცემად თუ რამდენად შესასრულებელია აღნიშნული ზომები № 30.

დირექტორი ტ რ უ ს ე ვ ი ჩ ი.

ძალიან თანზომობით მოქმედებენ გერმანიის და საფრანგეთის პოლიცია და რუსეთის პროკურატურა. მხოლოდ ზემოთმოყვინილ სამს დეპეშაში ჩვენ ვერ კიდეე ვერ ვნახულობთ ვერავითარ სიიღუმლოებას. მაგრამ იმ ეს დეპეშები ეგზავნება ეანდარშთა შეფს და მაშინ ირკვევა, რომ „სიიღუმლოება“ თურმე არ არსებოს, იგი ძალიან მოხერხებულად ყოფილა მიჩქმალული სტრიქონებს შუა, თუმცა სავსებით გასაგებია ყველა დანეტრერესებულ მხარეებისთვის. „ორივე დეპეშა მიღებულია უწიფროდ, — განუმარტავს თავის შეფს ეანდარშთა პოლკოვნიკი ბაბუშკინი. — საქმეს, რომ პოლიტიკური ელფერი არ მიეცეს და გადმოცემი-

სას ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან იქნეს აცილებული, ორთუც დებში გაე-
გზავნა განკარგულების მოსახდენად და უშუალო პასუხის გასაცემად საოლქო
სასამართლოს პროკურორს“.

გარკინეული

რა წინდახედული კაცი ყოფილა მიუნჰენის პოლიციის უფროსმა რა
კარგად მიუხედა მას პოლიციეიკი ბაბუშკინი. და როგორ გადაქცეულა ჯამბა-
ზად პროკურორი ეანდარშების ხელში.

დილმანის და ტრუსევიჩის დებულების საპასუხოდ გამოძიებელმა მალი-
ნოესკომ 7 იანვარს გამოიტანა „დადგენილება“, რომლის მიზანია იურიდიული
ბაზა გამოუნახოს განზრახულ მოთხოვნას ბოროტმოქმედთა გადმოცემის შესა-
ხებ. პირუანდელი სახით ამ დადგენილებას კიდევ საკმაოდ თავდაბლური სახე
აქვს. იმეორებს რა ავანაკური თავდასხმის გარემოებებს და ზემოთ მოყვანილი
დებულების ტექსტს. იგი მიდის შემდეგ დასკვნამდე:

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1908 წ. 7 იანვარი, ქ. ტფილისი

ტფილისის საოლქო სასამართლო განაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამოძიებელმა მა-
ლინოესკომ განთხილა რა ეს საქმე დაადგინა შემდეგი:

1907 წლის 18 ივნისს, დილის თერთმეტ საათზე, ქ. ტფილისში, ერენის მოედანზე,
როდესაც სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მოღარეს კურდიუმოვს, ზეთი
ცხენოსანი კახაკის და მესამე კაცკასიის მსროლელი ბათალიონის ორი ჯარისკაცის კან-
ფით მოანგარიშე გრიგოლ გოლოვნიას და დარაჯი პავლე ერლიაევის თანხლებით ცტ-
ლით მოქონდა ორ ტომარაში გამოკრული 250.000 მან. ფოსტიდან სახელმწიფო ბანკის
განყოფილებაში, მას თავს დაესხა რამდენიმე ცეცხლმსოლი იარაღით და ჯუშბარებით
შეიარაღებული ბოროტგანზრახველი, რომელთაც აუტყვეს სროლა და ესროლეს მას რვა
ჯუშბარა. უკანასკნელთა აფეთქებისას წამსხურეებით მოკლულ იქნა პოლიციელები ვოიტი-
კოვსკი ივანოვი და ტფილისის მებოკრები იუზბაშვი და დაიჭრა მრავალი, რის შემ-
დეგ ბოროტგანზრახველთ მოიტაცეს ფულის ტომარები და მიიშალნენ. გატაცებულ თან-
ხაში 100.000 მან. შესდგებოდა 500-მანეთიანი ღირებულების საკრედიტო ბილეთებისა-
გან, რომელთაც ქვრნდათ სერია A. M. და ნომრები 62901-დან 69000-დე და 63701-დან
63800-დე.

ეს დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის დებულების 18, 1630,
1632 და 1634 მუხლით.

ახლა მიუნჰენის პოლიციის დირექტორის დებუებიდან „ტფილისის კრიმინალური
დაცივის ფფროსის“ სახელზე და პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ტრუსევიჩის
დებუებიდან ტფილისის საპოსამართლო პალატის პროკურორის სახელზე, რომელიც წარ-
მოგზავნილია ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის წინადადებითურთ 6 და
7 იანვარს №№ 41 და 42.—ირყვევა, 1) რომ (ბავარია) მიუნჰენში დაკავებულა ენბაე-
ლი ვალი სტუდენტი ვიტებსკიდან სარა რაეიკი, რომელიც ედილობდა დატყურდავებია
100-მანეთიანი ღირებულების საკრედიტო ბილეთი A. M. სერია № 68791,—ამასთან მას
აღმოაჩნდა პასპორტი ბერნშტეინის სახელზე, მან უარი სთქვა ახსნა-განმარტების მიცე-
მაზე, განაცხადა მხოლოდ, რომ იგი მოვიდა ტუნგვიდან და ხსენებული ბილეთი მიიღო
დაკავების დღეს მიუნჰენში უცნობი პირისაგან; 2) რომ იმავე ბავარიის მიუნჰენში რაეიკს
გარდა დაკავებულა კიდევ პარიზიდან მოსული ორი სტუდენტი ტიგრან ბაგდასარიანი
(ქ. თაერზიდან, სპარსეთი) და მიგრამ ხუჯამირიანიცი (ზემო აკურსიდან), რომელთაც
აღმოაჩნდათ ზეუდმეტი 500-მანეთიანი ღირებულების ბილეთი A. M. სერია №№ 63771,

63780) და 63789—63790) და 3) რომ პარიზში ადგილობრივ პოლიციის შიგრ დეპარტამენტის რეგისტრაციის კეპიტულაციის მეშვეობით შეგროვებული იქნა რუსეთის კეპიტულაციის მეშვეობით შეგროვებული დოკუმენტები, რომლებიც 500-მანეთიანი ღირებულების საკრედიტო ბილეთი, გატაცებული ქ. ტფილისში 1907 წლის 13 ივნისს სახანო ტრანსპორტის გაძარცვის დროს, — ამასთან, ტფილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ტრუსკვიჩის ხსენებულ დეპეშიდან ჩანს, ამ გაძარცვის ერთი ორგანიზატორთაგანია.

დებულობს რა შედეგობაშია 1) რომ სარა რაეისს, ტიგრან ბაგდასარიანს, მიგრან ხოჯამირიანს და მეერ ვოლობან აღმოჩენილი 500-მანეთიანი ღირებულების საკრედიტო ბილეთები ერეგის მოედანზე მოტაცებულ 250.000 მანეთიდანაა, და აშკარაა, მათ ეს ბილეთები ჩაღვარდათ ზღაპრად არა შემთხვევით, არამედ მოაპოვეს დანაშაულობრივი გზით, სახელდობრ—სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მოღვაწე თანამშრომელ კურკუზაშვიტს თვითმხედველად მოაწოდებდა, რასაც ამტკიცებს ის, რომ ა) ხოჯამირიანს და ბაგდასარიანს უნაბეს 17 ასეთი ბილეთი თანაყოფილებული ნომრებით, ხოლო ვოლობან—ორი ბილეთი და ბ) რომ დაკავებულ სარა რაეისს აღმოაჩინდა საკრედიტო ბილეთი № 637911, რომელიც ნუმერაციით თან მიდევს ხოჯამირიანს და ბაგდასარიანთან აღმოჩენილ ერთერთ ბილეთს—სახელდობრ № 63790, —ამასთან რაეისი მოვიდა მიუჩქენში ვენეციადან, ხოჯამირიანი და ბაგდასარიანი მოვიდნენ პარიზიდან, ხოლო ვოლობანი დააკავეს პარიზში, რა გარემოებაც სწორედ უთითებს ყველა ამ პირთა შორის არსებულ კავშირზე, 2) რომ, ანაირად, ხელმოწოდებული ცნობები სარა რაეისს, ტიგრან ბაგდასარიანს, მიგრან ხოჯამირიანს და მეერ ვოლობან საკრედიტო ბილეთების იმპორტირების დროს 1907 წლის 13 ივნისს ქ. ტფილისში, ერეგის მოედანზე ურთიერთ შორის და სხვა პირებთან წინასწარი შეთანხმებით და მათთან ერთად ცეცხლსროლი იარაღით და უწყობარებთან შეთანხმებულადაა აშკარად მოტაცეს მას სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ეტეხილი 250.000 მან. და 3) რომ ხსენებული პირნი ამჟამად იმყოფებიან სახელმწიფო, სახელდობრ რაეისი, ხოჯამირიანი და ბაგდასარიანი—მიუჩქენში, ხოლო ვოლობანი პარიზში.—სასამართლო გამოძიებულმა, სისხლის სამართლის წარმოების წესდ. 386 მუხ. და სსს. დავ. წ. 190 მუხ. ძალით, და ადგინა: აღნიშნული სარა რაეისი, ტიგრან ბაგდასარიანი, მიგრან ხოჯამირიანი და მეერ ვოლობანი მიხედვით იქნენ ამ საქმეში ბრალდებულად; გამოთიბისა და სასამართლოსაგან თავის დაღწევის საშუალებათა აღკვეთის ღონისძიებულ მათ წინააღმდეგ არჩეულ იქნეს ატყვევებულ დაპატიმრება, აღიარეს შეამდგაოლობა სახელმწიფოებთან ამ პირთა გადმოსაცემად და მათ გამოსაგზავნად ქ. ტფილისში სასამართლო გამოძიებულის განკარგულებაში, რისთვისაც ამ დადგენილების ასლი წარუდგინოს ბატონ იუსტიციის მინისტრს ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის საშუალებით“.

მაგრამ რამდენადაც სახელმწიფოებთან დაჭერილობა რიცხვი იზრდება, იმდენად გრძელდება ეს დადგენილებაც. ყველა დაპატიმრებულნი ცხადდებიან „ავანაჟური თავდასხმის“ მონაწილეებად.

ამ დადგენილებასთან ერთად გამოძიებულმა დეპეშით შეატყობინა პოლიციადირექტორს დილმანს თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული მოთხოვნები:

მიუჩქენი პოლიციადირექტორის დილმანს

რაეისის, ხოჯამირიანის ბაგდასარიანის შესახებ გაცნობებთ, რომ დაჭერილები სამივენი სასამართლოში არიან მიტყვევნილი თრასორმოცდაათი ათას მანეთის გაძარცვისათვის. დასაბუღებულ პირთა გამოკვების შესახებ მოლაპარაკება დაწყებულია. განაკეთებულ მათ სიგანებში საქმეთა გამოძიებულ მ ა ლ ი ს კ ი.

„ნამდვილი“ ქალაქი გადმოცემის შესახებ პროკურატურამ იუსტიციის სამინისტროში გავაგინა. პოლიციური ბატონი და ენდარმთა შეგვისებურად სახელმწიფოებთან დაპატიმრებულებს წაუყენეს სრულიად არაპოლიტიკური ბრალდება ჩვეულებრივ „გაძარცვაში“. აღ ი ა ქ „დადგენილებათა“ და „მიმარ-

თებათა“ მინქანის ტრიალში გამოძიებელი (ჩადის უბეში იურიდიულ მეცოდომას, რომელმაც თუ გადაწყვეტი გარდატეხა არ მოახდინა მიუნჰენის ხელისუფლების მიერ შეპყრობილ პოლიტიკურ დამნაშავეთა ბედში, ყოველწიქსებევაში გამოიწვია საქმის გაკვიანურება, რაც მათთვის დიდად ხელსაყრელი იქნება)

გამომძიებელი დიდ ფაციფუცშია, მოუთმენლობას იჩენს. მას რაც შეიძლება მალე უნდა ჩაეხლოს ხელი ბოროტმოქმედების აღმოჩენილ ძაფებს. ამიტომ, აქტარეპული გვერდს უვლის უცხოეთის მზაერობასთან მიწერმოწერის კანონიერ პრაქტიკურას (იუსტიციის სამინისტრო, გარეშე საქმეთა სამინისტრო, საელჩო) და იანვარს უშუალო წერილია მიმართავს რუსეთის გენერალურ კონსულს ბავარიისში:

„პატრი ნაქს ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ არ ცნობთ შესაძლებლად 1) გამოიგზავნოთ დაპატიმრებულ რაიჩის, ბაგდასარიანისა და ზოჯანიროიანისთვის ჩამორთმეული ზემოხსენებული საკრედიტო ბილეთები ნიეთიერ საბუთად ჰქმნ მიერ წარმოებულ გამოძიების დასართავად, 2) გამოიგზავნოთ იმავე გამოძიების დასართავად მთელი მიწერმოწერა დასაბეღებელი რაიჩის, ბაგდასარიანის და ზოჯანიროიანის დაქერის გარემოებათა შესახებ, აგრეთვე დაკავებულ პირთა პასპორტები და ყოველივე ის, რაც გამოდგება საქმისათვის ნიეთიერ საბუთად და რასაც შეუძლია ნათელი მოაზრონის საქმეს და გამოაწვარაოს ზემო ხსენებული ყაჩაღობის სხვა მონაწილენიც და 3) განკარგულება მოახდინოთ ზომების მასალებად ზემო დასაბეღებულ ყაჩაღობის დროს გატაცებულ სხვა 500 მანეთიანი ღირებულების საკრედიტო ბილეთების საძებნელად და აღმოშოსაწენად, აგრეთვე როგორც ამ ბილეთების, ისე იმ პირთა დასაკავებლად, ვისაც ისინი აღმოაჩნდება და გამოიგზავნოთ ეს ბილეთები და მიწერ-მოწერა მათი დაკავების გარემოებათა შესახებ ჰქმნ განკარგულებაში“.

იმავე ცხრა იანვრს გამოძიებელი სწერს რუსეთის კონსულს პარიზში მეგრ ეოლოხის შესახებ.

იმავე დროს მიღებულ იქნა ცნობები მეგრ ეოლოხის „თანამონაწილეთა“ შესახებ. ეტყობოდა პარიზის პოლიცია, მიუნჰენის პოლიციასავით, განუხჯელად და წინდაუხედავად იქერდა არა თუ სადანაშაულო ხუთასმანეთიანების მესაკუთრებს. არამედ მათ ნათესავებს და ნაცნობებსაც კი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საიდუმლოდ

პოლიციის დეპარტამენტი

საგანგებო დაჯიღებათა მოხელეს ს. ე. სავიცის

საბაგებო განყოფილება № 121210

პოლიციის დეპარტამენტი ატყობინებს თქვენს მაღალეოთილშობილობას, რომ ამჟ იანვრის 4-ს პარიზში ადელობორიემა პოლიციამ დააკვა ლონდონში წასვლის

დროს, რუსეთის ტვეშერდომი მოქალაქე მეგრ ეოლოხი და ფანი იამპოლსკაია; ამასთან ეოლოხს განზრგვისას აღმოაჩნდა 12 ხუთასმანეთიანი საკრედიტო ბილეთი, რომელიც გატაცებული იყო ტფილისში ვასული წლის 13 ივნისს ყაჩაღური თავდასხმის დროს სახანონო ტრანსპორტზე, რომელიც ფოსტის კანტორიდან მიდიოდა საბელმწიფო ბაჩკის განყოფილებაში.

ვიცე დირექტორის მაგიერ ვასილვესკი.

ვიცე-დირექტორის მაგიერ ვასილევნი.

ხოლო ორი დღის შემდეგ უკვე იუსტიციის სამინისტრო განსაკუთრებულ მხრუნველობას იჩენს საქმის დასაჩქარებლად. ვიცე დირექტორმა ჩხარტიანი-ლიევსკი დეპეშით სწერს პროკურორს:

„შევატობინეთ დეპეშით, იქნება თუ არა წაყენებული გადმოცემის მოთხოვნა საფრანგეთში დაპატიმრებულ შვედ ვოლოზის და იანბალსკაიას შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ ტფილისში მომხდარ გაძარცვაში. დადებით შემთხვევაში, დაეყოფილები გოგავაძეთ საპირო საბუთები“.

11 იანვარს ტფილისში მიღებულ იქნა აგრეთვე ცნობები კიდევ ერთი კონსტიტუციური და დემოკრატიული ქვეყნის—შვეიცის პოლიციის მეგობრული აქტის შესახებ.

დირექტორი ტრუსევიჩი დეპეშით იტყობინებოდა:

„სამხედრო ტფილისი პალატის პროკურორს. დამატება დეპეშის № 30¹⁾ სტოკჰოლმში დააკეთეს ლიფლიანდიელი იან მასტერა, რომელიც ცდილობდა ტფილისში მოტაცებულ ხუთი ბეთსანანეთიანის დახურდავებას № 84“.

12 იანვარს გამომძიებელი თხზავს მორიგ დადგენილებას იან მასტერის ყაჩაღური თავდასხმის საქმეში ბრალდებულად ჩაბმის და მისი გადმოცემის შესახებ, როგორც წინა შემთხვევებში და სტოკჰოლმში რუსეთის კონსულს უგზავნის წერილს მიწერმოწერის, ნივთიერი საბუთების და სხ. გადმოგზავნის და შემდგომ დაპყრების განგრძობის შესახებ.

მიწერ მოწერას კონსულებსა და პოლიციეიდირექტორებთან და ალბათ პოლიციის დეპარტამენტის საშუალებით—საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ჯერ-ჯერობით მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ადგილობრივ კი გამომძიებელი ცდილობდა პრაქტიკულად, პოლიციური ცნობების საშუალებით გამოერკვია, უცხოვრიათ თუ არა ამიერკავსიის საზღვრებში, უნთავრესად ტფილისსა და ქუთაისში—შიფნანსა, პარიზსა და სტოკჰოლმში დაპატიმრებულ პირებს.

ქუთაისში აღმოჩნდა ვილაც ოქრომშენელი—შვედ ვოლოზის მოგვარე და აი ქუთაისის პოლიციას ებრძანა გამოერკვია მისი ნათესაური დამოკიდებულება დამნაშავესთან, გაეჩხრიკა საოჯახო სია, გამოეძია მათი კავშირი და ურთიერთობა და სხ.

ვიტებსკში სწარმოებს გამოძიება მეწაინ ბერნ შვეინინზე, რომლის პასპორტი აღმოაჩნდა ამხ. ს. რავიჩს, და თვით ს. რავიჩზე. ნახიჩევანში ეძებენ და მიაქვთ სტუდენტ ხოჯამირიანცის მიწერ-მოწერა. საზოგადოთ რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა შორის წერილების გაგზავნა-გამოგზავნა გამომძიებლის ვაძლიერებულ ყურადღებას იპყრობს. „ავაზაკურ თავდასხმის“ საქმეში აქა-იქ გამოკრთის ვილაც საფოსტო საქმეთა ექსპერტის აქტები, იმ ექსპერტის, რომელიც, ჩანდა, დიდი ვულმოდგინებით აღევნებდა თვალყურს საერთო კორესპონდენციას და იწერდა ყოველივეს რაც მის გამახვილებული ყურადღებას იპყრობდა.

¹⁾ შვედ ვოლოზის დაპატიმრების შესახებ.

სანამ ტფილისში ზოგი მოყვანილი, ზოგი კი ჩამოთვლილი (სამსუბაროდ არა სრულად მათი დიდი რაოდენობის გამო) ქალაქები იწერებოდა და მიუნჰენელ და პარიზელ პატიმართა ნათესაეების და თანაზოგვარეების „გამოკრძევა“ ხდებოდა, მიუნჰენის და ენევის პოლიციას შორის უკვე შეთანხმება იქნა დადებული რუსეთის რევოლუციონერთა წინააღმდეგ გაბედული მოქმედების შესახებ.

ს. რაეიზის კვალი ენევაში მიდიოდა. ეს საქმარისი იყო ევროპის „ყველაზე უფრო დემოკრატიული“ რესპუბლიკის „ობრანკისათვის“. 16 იანვრით არის დათარიღებული ტრუსევიჩის დეპეშა, რომელიც იტყობინება პოლიციური მოქმედების შედეგების შესახებ. რა როლი შეასრულა ამის ინსტრუქტაჟში შეფის ხელისუფლებამ, ამის გამორკვევა ახლა ძნელია პოლიციის დეპარტამენტის და გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივების სათანადო გაჩრეკა-გათხრის მოზადენლად. მიუნჰენის პოლიციამ დამოუკიდებლად თუ სხვისი გავლენით ამოძრავა შეეცარიის პოლიცია,—და ორთავემ, დაარღვეეს რა საკუთარი ქვეყნების კონსტიტუცია, ჩაიდინეს ყოველივე რაც კი შესაძლებელი იყო, რათა რუსეთის დესპოტისათვის სამსახური გაეწიათ მის არსებობისათვის ბრძოლაში.

ტფილისი. სასამართლო პალატის პროკუროს. სამხედრო. დამატება დეპეშები 16 190.

მიუნჰენის დატყობნათ დაკავშირებით ენევაში დაპატიმრებული ვიჩესლავ კარპინსკი, რომელიც ცხოვრობოდა რაეიზთან, ეძებენ სტრელოჩნიკოს, რომლისთვისაც რაეიზს მიუნდია თავისი კორესპონდენციის მიღება. შეეცარიის ხელისუფლება მზადაა შეარუსლოს ყოველივე მოთხოვნა კვლევა-ძიების ნობდენის და გადმოცემის შესახებ. № 121.

დირექტორი ტრუსევიჩი.

ამ დეპეშას თუ დაუუკერებთ, ტფილისელ გამოძიებელს ყველაფერი არ სკოდნია რაც ხდებოდა პეტერბურგსა და ენევის შორის. ვილაც შეკითხვბია შეეცარიის, ისე როგორც მიუნჰენის, ხელისუფლებას დამნაშავეთა გადმოცემის შესახებ და შეკითხველს მიუღია დადებითი, დამაკმაყოფილებელი პასუხი. საქმე ახლა მიმდგარი იყო მხოლოდ მოტივირებასა და ფორმალობაზე. თალგამის ზღაპარი შეუწერებლივ ვითარდება. გამოძიებელი სწერს შემდგომ მორიგ „დადგენილებებს“, სადაც სრულიად უსაფუძვლოდ,—ს. რაეიზთან პირადი დამოკიდებულებისათვის! — „ავაზაკური თავდაცემის“ მონაწილეებად აცხადებს კარპინსკის და სტრელოჩნიკოს.

16 იანვარს საგამომძიებლო ხელისუფლების ყურადღებას ისევ იან მასტერი იტაცებს. საბრალეულო ხუთას მინეთიანები, გარდა სტოკჰოლმისა, აღმოჩნდა კოპენჰაგენშიაც. იან მასტერის იჯიეობა დაამტკიცა დანიის პოლიციამ. ტრუსევიჩი დეპეშით ატყობინებს გამოძიებელს:

1908 წ. 16 იანვარი. ტფილისი. სასამართლო პალატის პროკუროს. სამხედრო. დამატება დეპეშის № 84. იან იაკობისაც მასტერმა კოპენჰაგენში დააბურდა ბილეთი ნომერი სამოცდა სამი ათას შვიდას ორმოცდა თერთმეტი: შემდეგ სტოკჰოლმში სამი ბილეთი—სავაპრო ბანკში ნომრები: სამოცდასამი ათას შვიდას სამოცდა ათი, შვიდას ოთხმოცდა თექვსმეტი და შვიდას ოთხმოცდა ჩვიდმეტი და ორი ბილეთი საკრტე (საცვლელ) კანტორებში ნომერი: სამოცდასამი ათას შვიდას ოთხმოცდა თერთმეტი და ოთხმოცდა ცხრამეტი. ყველა A. m. სერაისა. № 127.

დირექტორი ტრუსევიჩი.

იანვრის ნახევარში უნევეაში შვეიცარიის პოლიციის დახმარებით აღმოჩენილ იქნა კიდევ ერთი „მონაწილე“ ტფილისში მომხდარი გაძარცვისა. ესაა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სემაშკო, რომლის საგამომძიებლო პირდაპირად გამოჩენა ისევე ზემო აღნიშნულ იურიდიულ ხრიკებს იწვევს.

პირველად ამხ. სემაშკო ნახსენებია პოლიციის დეპარტამენტის 22 იანვრის საიდუმლო „მიწერილობაში“.

საიდუმლოდ.

დამატებით წინანდელი მიმოწერისა ტფილისში 1907 წ. 18 ივნისს საბახინო ტრანსპორტზე ავაზაყური დაცემის დროს გატაცებულ რუსეთის საკრედიტო ბილეთების დახურვაების ცდასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ შეპრობილი პირების შესახებ,— პოლიციის დეპარტამენტი ატყობინებს თქვენს მაღალ კეთილშობილებას, რომ ახლად მიღებული ცნობების მიხედვით ენევაში 8/21 იანვრას დატყობილია ვინმე ნიკოლოზ სემაშკო, ალექსანდრე სემაშკოს და მარიამ პლუბანოვის შვილი, რომელსაც, როგორც ეტყობა, კავშირი აქვს მიუჩნენში დაპატიმრებულ სარა რაჟინთან. ვიცე-დირექტორის მაგისტრ ვასილივი.

დებულის ტექსტს ამხ. სემაშკოს დაპატიმრების შესახებ განსაკუთრებული პოლიციური იერი ახასიათებს.

ტფილისის სასამართლოს პროკურორს.

პეტერბურგი 85. 8511. 60, 19, 8, 42-

გვიდებუთ იქნება თუ არა წაყენებული გადმოცემის მოთხოვნა ენევაში 8 იანვრას დატყობილი ტფილისის გაძარცვის მონაწილის ნიკოლოზ სემაშკოს, ალექსანდრე სემაშკოს და მარიამ პლუბანოვის შვილის შესახებ, რომელიც დაბადებულია 1878 წლის 8 სექტემბერს ზატონსკში და რომელსაც ეტყობა, კავშირი ჰქონდა სარა რაჟინთან. უკანასკნელი შეეცადა გაეფრთხილებია წყრილით სემაშკო თავის დატყობის შესახებ მიუჩნენში მიტყობულ ჩვენების მიხედვით. დადებითს შემთხვევაში გამოვკვავნეთ დაუყოვნებლივ დადგინდების ასლი სემაშკოს დაპატიმრების შესახებ.

ვიცე-დირექტორის მაგისტრ ბრაბრო—ვასილივი.

ამაზე პროკურორი აუცილებლივ უპასუხებს:

ცნობები სემაშკოს შესახებ, რომელთაც პირველად გატყობინებს თქვენი აღმატებულება, საფუძვლად დაედვა მის პასუხისმგებაში მიცემას. გადმოცემის მოთხოვნა წარედგინება დღეს სამინისტროს*.

მასტერის, რაჟინის, სემაშკოს და სხვ. საქმემ დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმ დროინდელ პოლიტიკურ ემიგრანტულ წრეებში და უაღრესად შეუწყო ხელი მენშევიკ ბოლშევიკების ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას. ვ. ი. ლენინის წერილში გ. ა. ალექსინსკისადმი 1908 წ. 3 თებერვალს ჩვენ ენახულობთ ნ. კ. კრუსაკაის შემდეგ, მინაწერს ვლადიმერ ილიჩის მიერ ნაკარნახევს („ლენინის კრებული“ XIII, გვ. 166).

*მენშევიკებმა აქ უკვე ასტყებს სახიზლარი კინკლაობა და აფრზაფრი. აქ ისეთ სისაბგლეებს სჩადიან, რომ მწელად თუ ვინმე დაიჯერებს. სტკჟალში ჩავარდა 500 ბილეთით ახალგაზრდა ლატიში ციფრობის ჯგუფის წევრი, რუსეთის მთავრობა მოითხოვს მის გადაცემას. მის გადაცემა რუსეთის მთავრობისადმი ნიშნავს მის გამდაცემას საქამებლად. საქმეში ერგვიან შედეგლი ს.—დ.—ები. ისინი მოითხოვენ მხოლოდ, რომ ადგილობრივმა სა.—დ.—ებმა დაამოწონ, რომ ეს ახალგაზრდა ს.—დ.—ია და მონაწილეობა არ მიუღია ტფილისის საქმეში. ეს მგონი, არა მარტო ს.—დ.—ის, არამედ ყოველი მოქალაქის ვალდებულება უნდა იყოს. მაგრამ აი, გამოდის მარტინოვი და იწყებს აგიტაციას


რომ არაერთი სავაჭრო არ უნდა გვექონდეს მატყუარებთან-ო და უკუღმოდ (კონტრას ნაწილად შეწვევებისაგან შემდგარი) არ ადასტურებს ყველასაგან ცნობილ ფაქტს, რათა ჩინმალოს ლატვიის რუსეთის მთავრობის ხელში გადაცემის საქმე. არაშედეგის ადგილობრივი შეწვევებიც ვწევინ ავრთმევ ავტორიტას, რათა უკუღმოდ არ დაადასტურებს ის რომ რაიჩი, ბოგდასარიანი და სემაშკო ს.—დ.—ებია და დიდხანით უკვე შეხვედნით ცხოვრობენ. ვეჭოი ამ დამოწმებას გადაწყვეტ მნიშვნელობას აძლევს. მერე კიდევ მართოი ბერნის ადგილობრივი სა.—დ.—გახეთში სწერს, რომ სემაშკო შტუტგარტში ეწვევის უკუღმოდ დელეგატი არ ყოფილა... ამ წერილის აზრი ისაა, რომ სემაშკო თითქოს ს.—დ.—ი არაა და არც ეწვევის უკუღმოდ წვერი ყოფილა თუმცა ეს პირდაპირ არაა ნათქვამი, მაგრამ ასე შეიძლება მართოის წერილის გაგება, — და ამ განზრახვითა სწორედ იგი დაწერილია.

ზემოთ მოყვანილ საბუთებში შევიცარიის, გერმანიის და შვეციის პოლიციის აქტიურობა დანაშაუვითა მეფის ხელისუფლებისათვის გადასაცემად ცოტად თუ ბევრად მიჩქმალულია. ჩვენ შეგვიძლია მივხედეთ, რომ მისი წარმომადგენელი მოხარული არიან ეს სამსახური გაუწიონ რუსეთის მთავრობას, რადგან შეგნებული აქვთ მისი და საკუთარი თავდამცველი ამოცანების ერთიანობა. ჩვენ ვხედავთ გადაკვრით შეხებას, ნიშნებას რაღაც მოლაპარაკებაზე დასავლეთ ევროპაში პოლიტიკურ თაოსნობაზე, მისი პოლიციის მზადყოფნაზე საკუთარი ქვეყნების კონსტიტუციების დასარღვევად და მათი საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად. მაგრამ ყოველივე ეს აქ არაა პირდაპირ ჩამოყალიბებული და დაფორმულირებული რა თქმა უნდა, სრულიად არ არის გასაკვირალი. სამაგიეროდ იუსტიციის სამინისტროს 12 იანვრის „მოწერილობა“ № 416 საესებით ააშკარავებს სავაჭრო-სავაჭრო პოლიტიკური არაშედეგების კულისშიღმოდ, ფარულ მუშაობას. როტემდამის პოლიციამ სხვების შემდგომ, ქალაქის საკრძე კანტორებში აღმოაჩინა სადანიშაულო საკრედიტო ბილეთები, და იგი არა თუ აუწყებს ყოველივე ამას მეფის მთავრობას, არამედ პირდაპირ „შეამდგომლობს“ კიდევ, რათა რუსეთმა თავის მხრით სათანადო მოთხოვნა წამოაყენოს, მოგვყავს ცოტაოდენი შემოკლებით ეს მეტად საგულისხმიერო დაკუმენტი:

ასლი იუსტიციის სამინისტროს (1 დეპარტამენტი, 3 სისხლის სამართლის განყოფილება, 2 საქმის წარმოება), ამა იანვრის თორმეტის № 416 ცნობის ტფილისის საოლტო სასამართლოს პროკურორის სახელზე.

იუსტიციის სამინისტროში მიღებულ ცნობებიდან ჩანს, რომ ქ. როტემდამში, თანხმად ჭაგის საიმპერატორო მისიის სადგემო მოწერილობისა, გაჩენილად რუსეთის მეტად სასკეო ქვეწვრდომნი, რომელნიც ახორდაეებდენ 500-მანეთიან საკრედიტო ბილეთებს, რაიც იმ თანხებს ეკუთვნის, რომელიც გაიტაცეს ქ. ტფილისში 1907 წ. 18 ივნისს სასახილო ტრანსპორტზე ავაზაყურ თავდაცემის დროს. ამასთან დღეს ორ სხვადასხვა ბანკირის ხელშია რუსეთის 500-მანეთიანი ბილეთი №№ 63713 და 63764. როტემდამის პოლიციის შეამდგომლობის გამო, გარემო საქმეთა სამინისტრომ უკვე დეკემბრით დაავალა ჭაგის საიმპერატორო მისიის ოფიციალური წარდგნილებით მიმართოა მიდერლანდიის მთავრობას სხვებული ბილეთების განყოფილთა დასატყუად და დასაბატიმრებლად მათი პიროვნების გამოკვევამდე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

იოჰან ვოლფგანგ გოეტე

მოკლე ბიოგრაფია

გარდაცვალებიდან ასი წლის თავის გამო.

გოეტე დაიბ. 1749 წ. ძველ საეპიკრო ქალაქ მიინის ფრანკფურტში, შეძლებულ ბიურგერის ოჯახში. მიიღო წინებული საოჯახო განათლება. უმაღლესი სწავლა დაამთავრა სტრასბურგში (1770 წ.), სადაც დაიცვა დისერტაცია უფლებათა დოქტორის სახელწოდებაზე. მაგრამ იურისპრუდენცია ნაკლებად იზიდავდა გოეტეს, მას უფრო ზედიცინა და ლიტერატურა აინტერესებდა. გოეტემ წერა ადრე დაიწყო. მაგრამ მის ადრინდელ ნაწერებს მიმბაძველობის დალი აჩნდა. იგი ბაძავედა როკოკოს ლიტერატურულ ეპოქის პოეტებს. პირველი გარდატეხა გოეტეს შემოქმედებას შეეტყო სტრასბურგში: აქ იგი შეხვდა ჰერდერს, რომელმაც ახალგაზრდა გოეტეს გააცნო თავისი შეხედულებები პოეზიასა და კულტურაზე. სტრასბურგში გოეტემ პირველად შეიცნო თავისი თავი პოეტად. იგი აქ დაუკავშირდა ახალგაზრდა მწერლებს, — შემდეგში „ქარიშხლისა და შეტევის“ თვალსაჩინო მოღვაწეებს (ლენცი, ვაგნერი).

გოეტეს პირველ თვალსაჩინო ნაწარმოებს ამ პერიოდში წარმოადგენს „გეც ფონ ბერლიხინგენი“ (1773 წ.), დრამა, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. ამ ნაწარმოებში გოეტე წამოსწია გერმანული ლიტერატურის პირველ რიგებში, იგი შეიქნა „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდის მწერალთა ბელადი. „გეც“ გარდატეხას მოასწავებდა გერმანულ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. იგი გამოხატავდა მე-18-ს. გერმანული ბურჟუაზიის სულსკვეთებას, რომელიც მიუზღედავად თავისი ეკონომიური სისუსტისა ცდილობდა გარდაექმნა სოციალისტური სინამდვილე, მაგრამ მე-17 წლებში თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით მან განსაკუთრებული სიცხადით იგრძნო თავისი მისწრაფებების განწირულება, უნიადაგობა და უფილაჯობა.

1774 წ. გოეტე სწერს წიგნს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“. ეს არის რომანი წერილებში, საუკეთესო ნაწარმოები გოეთესი „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდიდან. თუ „გეც ფონ ბერლიხინგენმა“ გოეტეს დიდი სახელი მოუპოვა გერმანიაში, „ვერტერმა“ მის ავტორს სახელი გაუთქვა მთელ მსოფლიოში.

რომანში ასახულია კონფლიქტი ადამიანისა და ქვეყნის შორის, გამოხატული სამიჯნურო ისტორიის ფორმებში. ვერტერი სუსტი ადამიანია, რომელსაც არ

ძალუმი დაიცვას თავისი „მე“ მტრულად განწყობილი ვარემუნიონის შემოტევისაგან. იგი პასიური ბუნების მატარებელია, უფრო განცდების მქონე, ვიდრე მომქმედი ადამიანი.

კონფლიქტი „მე“-სა და „არა-მე“-ს შორის არ შეიძლება განუწყვეტილი იქნეს დილემის მეორე წევრის პირველისათვის დაქვემდებარებით. თავის ზღვარდებულებას, თავის განწყობულებას იგი დასძლევს, თუ შეერევა, გაითქვიფება მის წარმომშობელ „ყოვლადობაში“. მაგრამ ეს შეერთების აქტი იმავე დროს წარმოადგენს „მე“-ს შემოქმედებით ძალთა მთელი თავისებურების უაღრესი გამოხატვის მომენტს: კოსმოსთან შეერთებით პიროვნება იმავე დროს აფართოებს თავის თავს კოსმოსის საზღვრებამდეც. კონფლიქტი „მე“-სა და „არა-მე“-ს შორის მოხსნილია. გეცი თავისუფლებას პოულობს სიკვდილში. ვერტერი ნებაყოფლობით ანადგურებს თავის სხეულს. ალტაეცმა პიროვნებისა, რომელიც სიხარულით ეძლევა და უერთდება კოსმოსს, შეადგენს თემას გოეტეს იმ დროინდელი ლექსებისა.

მაგრამ ბუნებასთან და მისადაამე კოსმოსთანაც შეერთების გზას ადამიანი მიჰყავდა მისი, როგორც საზოგადოების წევრის, როგორც სოციალური ერთეულის, მოსპობისაგან, მხოლოდ ამ ფასით შეეძლოთ ვერტერს და გეტს ეყიდათ თავისუფლება. ასეთი კონცეპცია მოასწავებდა მისი წარმომშობილი კლასის სრულ უილაჯობას. სიკვდილში გამოსავლის ძიება უდრიდა ნაკლოვანებით აღსავსე სინამდვილის გარდაქმნაზე ხელის აღებას. ეს კარგათ შეიგნეს განმანათლებლებმა, ბურჟუაზიის უფრო აქტიური ფენების წარმომადგენლებმა, რომლებიც მოითხოვდნ უფრო ოპტიმისტური დასასრული ქონოდა „ვერტერს“.

მათ უკმაყოფილებას საფუძველიც ჰქონდა—ბიურგერულმა აუდიტორიამ „ვერტერს“ გაიგო როგორც თვითმკვლელობის აპოთეოზი, ასე, რომ გოეტე იძულებული შეიქნა თავისი რომანის მეორე გამოცემისათვის წარმძღვარებინა მკითხველისადმი მიმართვა—ლექსი, რომელიც თავდებოდა სიტყვებით: „იყავ ვაკეცი და ნუ მიბაძავ ჩემს მაგალითს“.

1774 წ. გოეტე სწერს დრამებს „კლავიგო“ და „სტელა, პიესა მიჯნურთათვის“. უკანასკნელმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში, — დრამაში მწვავედ იყო დასმული ქორწინების საკითხი. თანამედროვეებს პიესა პოლიგამიის აპოლოგიათ მიაჩნდათ.

მე-18-ს ვერმანულ ბურჟუაზიის სისუსტეს მოასწავებდა ის ფაქტიც, რომ გოეტე შეიქნა ირაციონალიზმის უკიდურეს ფორმებამდე. გოეტეს აზრით გონება, რომელზედაც ასეთ დიდ იმედს ამყარებდნ განმანათლებლები, უძლურია შეიქნოს ბუნება და გარემყარი. ბუნებისაკენ გზას წარმოადგენს არა გონება, არამედ გრძნობა.

გოეტე ფართოდ სარგებლობდა „თავისუფალი რიტმით“ და თვითრი ლექსებით, წინააღმდეგ კლასიკური პოეტიკის კანონებისა, რაც უფრო მეტ საშუალებას აძლევდა ავტორს გამოეხატა ბიურგერთა ცხოვრება და სულისკვეთება. 70-იან წლებს ეკუთვნის გოეტეს მთელი რიგი სატირიული ნაწარმოებებისა.

1775 წლიდან გოეტეს ცხოვრებაში იწყება ახალი ეპოქა. „ვერტერის“ ავტორი მოწვეული იქნა ვაიმარის პრინცის, შემდეგში პერცოგის, კარლოს—ავგუს-

ტოსის მიერ. გოეტე ვადისახლდა ვაიმარში, სადაც მან გაატარა მთელი თავისი დანარჩენი ცხოვრება. გოეტე შეიქნა უახლობლესი ადამიანი პერკოვისთვის. 1782 წელს იგი ინიშნება საამართლოს თავმჯდომარედ, 1791 წ. — ვაიმარის თეატრის დირექტორად. 1802 წ. — ვიქილი შეიქნა უძლიერეს წარჩინებულ მოხელედ. ფიცხი ქაბუჯი, რომელიც ოდესღაც ფრანკფურტში ყოფნისას, პოეტების წრეში, წყველა-კრულვას უთვლიდა ტირანებს, ეხლა შეიქნა პირველი მინისტერი განუსაზღვრელი უფლებით მორკმული თვითმყრობელის კარზე.

ვაიმარში გოეტე უახლოვდება ფონ - შტაინის ქალს, რომელმაც საგრძნობი გავლენა იქონია მის სულიერ ცხოვრებაზე. გოეტეში თანდათანობით გარწყვლდება ადრინდელი, შტურმერული, „ქარიშხალისა და შეტევის“ პერიოდის განწყობილებები.

ამავე ხანებს, ეკუთვნის მისი გატაცება საბუნებისმეტყველო მეცნიერებით. ამ დარკში მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს მთელი წება თხუზულებისა: „მცენარეთა მეტამორფოზა“ (1790), „მეცნიერება ყვავილთა შესახებ“ (1810), ზოოლოგიური წერილები (1832) და სხვ. 1884 წელს მან აღმოაჩინა ყბათაშუა ძვალი და დაასაბუთა ცხოველთა ტიპის ერთიანობის თეორია, რამაც იგი გახადა ევოლიუციონისტების წინამორბედათ. 1776—86 წ.წ. პერიოდს ეკუთვნის პირველი ნაკვთები შემდეგში განხორციელებული თეალსაჩინო ნაწარმოებებისა „ვილჰელმ მაისტერის“, „ტასოს“ „იფიგენიას“ და სხვ.

1786 წელს გოეტე მიემგზავრება იტალიას, სადაც ორ წელიწადს რჩება. აქ იგი საესებით თავისუფლდება წინანდელი შტურმერული განწყობილებიდან და ხდება გერმანული კლასიციზმის ბელადათ. იგი საბოლოო რედაქციას უკეთებს თავის „იფიგენიას“, — პირველ დიდ დიდ ნაწარმოებს გოეტეს კლასიკური პერიოდიდან. ამ თხუზულებამ ისე როგორც ოდესღაც „გეც“—მა ახალი ეტაპი დაიწყო გერმანულ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. „ქარიშხალისა და შეტევის“ პერიოდის გავლენისაგან განთავისუფლებული გოეტე ეძებს ახალს, „მშვიდსა“ და ზომიერ ფორმებს გამოხატვისას. ფორმებს იგი პოულობს ანტიურ, კლასიურ ხელოვნებაში. „იფიგენია“ იშლება ერთ დროს გოეტეს მიერ უარყოფილ არისტოტელეს ერთიანობის კანონებით. თუ წინად გოეტეს ახასიათებდა ენარების არევა, ახლა იგი ცდილობს იქონიოს ერთი გარკვეული გეზი, მისდობს შტკიცე პოეტურ ფორმებს (სონეტი, ელეგია და სხვ.). ამავე ხანებში პოეტში იზრდება უდიდესი ინტერესი სალიტერატურო ენარების თეორიისადმი. ანტიურ კულტურას ამ დროს გოეტე სთვლის ერთადერთ სრულყოფილ კულტურად, რომელთანაც მიახლოებება მისი აზრით უნდა შეადგენდეს თვითნებელი მატერის მიზანს. გოეტე აპირებს კიდევ დასწეროს, ეპოპეა ჰომეროსის „ილიადას“ მსგავსი. სწერს ლექსების ციკლს დამახასიათებელი სათაურით: „მიახლოებება ანტიურ ფორმებთან“. (80^ე—90^ე წლები) იყენებს ჰექსამეტრის წყობას სარგებლობს ანტიური სუფერტებით და გმირებით.

1790 წელს გოეტე ამთავრებს დრამას „ტორკვატო ტასო“. ამ დრამაში მოსჩანს სხვათა შორის იმ დროინდელი ფსიქოლოგიური სამყაროც ავტორისა,

ადამიანის რომელმაც უარი სთქვა შტურმერულ განწყობილებებზე და შეურიგდა ვაიმარის კარის კანონებს.

1789 წელს დაწყებულმა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ხანგრძლივად მიიპყრო გოეტეს ყურადღება. როგორც ვაიმარის პერსონაჟთან დაახლოვებულმა პირმა გოეტემ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთისაკენ გალაშქრებაში (1792), რომელიც დამთავრდა სიარტილერაო ბრძოლით ვალმისთან და გერმანელ ჯარების უკან დახევით. 1793 წ. გოეტე მონაწილეობს მაინციის გარემოცვაში. რევოლუციონერ ამბებს, რომელმაც შესძრა ევროპა, გოეტე გამოხემაურა მთელი რიგი ნაწერებით. გოეტემ არ მიიღო რევოლუცია, თუმცა გერმანიაში იგი იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც მიხვდა მომხდარ ამბების მთელ მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას (ცნობილია მისი სიტყვები, წარმოთქმული მის მიერ ვალმისთან გერმანელების მარცხით დამთავრებულ ბრძოლის შემდეგ: „დღეიდან იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა და თქვენ შეგიძლიათ სთქვათ რომ მოწამენი გახდით მისი ჩასახვისა“). გოეტეს, რომელიც შეურიგდა ფეოდალიზმს, რევოლუცია ჟფრო ხშირად ეჩვენებოდა საზარელ, გამანადგურებელ კატაკლიზმად. ამ პერიოდის მთელ რიგ, შესანიშნავი ოსტატობით შესრულებულ ნაწარმოებებში, გოეტე უპირდაპირებს ერთმანეთს გერმანულ, საუფუნეთა ტრადიციებით განმტკიცებულ, წყნარ ცხოვრებას და დასავლეთის რევოლუციონერ ქარიზმალისგან დატრიალებულ „უბედურებას“ („გერმან და დროთ“ და სხვ). ამავე ხანებს ეკუთვნის გოეტეს ცნობილი „რეინიკე კულა-მელა“, სადაც იგი სარგებლობს ცხოველთა ნიღაბებით, რომ სასაცილოდ აიგდოს რევოლუციონერ მოძრაობის მოღვაწენი და გვიჩვენოს, რომ „სრულიწარმეტყველი და გაიძვერები ურცხვილოდ ატყუებენ ხალხს“. პოემის მორალია: თვითეული ადამიანი უნდა ზრუნავდეს თავის თავის თავზე, თავის ოჯახზე, თავის მეურნეობაზე, უნდა იყოს ზომიერი და მომთბენი, არ უნდა ესწრაფოდეს ქვეყნის გარდაქმნის და იმ წყობის ნაძალადევით გატარებას, რომელიც მას გონიერად ეჩვენება.

18 ს. ბოლისა და მე-19 ს.—დასაწყისში გოეტე ქმნის საუცხოვო-შხატვრულ ნაწარმოებთა მთელ რიგს. (რომანი „ვილჰემ მაისტერის სწავლების წლები“; ლექსები; დრამ. ნაწარ. „ჰანდორა“; რომანი „საარჩევნო ნათესაობა“; ლექსები კრებული „დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანი“; რომანი „ვილჰემ მაისტერის მოგზაურობის წლები“; „მარიენბადის ელეგია“ და სხვ.) ამ ნაწარმოებთა უმეტესობის მთავარ გმირს წარმოადგენს ადამიანი, რომელმაც ხელი აიღო არსებულ წყობილებასთან ბრძოლაზე. კონფლიქტი „მე“-სა და „არა-მე“-ს, ბიურგერსა და ფეოდალიზმს შორის სწედება პირველის დაქვემდებარებით მეორესთვის. მოწიფებისა და ხანდახმულობის პერიოდში გოეტე უბრუნდება ჰერდერის წინა დროის პოეტიკას, დრამაში დემონსტრატულად ანახლებს არისტოტელს ერთიანობას, პოეზიაში მისდევს მტკიცე მეტრიულ სქემებს. იგი ითვისებს მენტორის კილოს, სწერს აშკარა ფეორისტული სტილით. ამიერიდგან გოეტე არა მარტო გამოხახავს, არამედ ასწავლის. როგორც ბრძენი და მოძღვარი იგი სწერს მოკლე დამარიგებელ ლექსებს, რომელთაც ხანგრძლივად გილი უპირავს მის ნაწარმოებში. გოეტეს კალამს ეკუთვნის აგრეთვე უამრავი ეპიგრა-

მები (ნაწილი მათგანი შედგენალია შილლერთან ერთად) თანამედროვე ლიტერატურულ მოვლენებზე და მწერლებზე.

გოეტე სცემდა სახვით ხელოვნების ჟურნალებს „პრობლემა“ (1778—1800), „ხელოვნება და სიძველე“. (1815—1828); სწერდა მონოგრაფიებს სახვით ხელოვნებაზე და უამრავ წერილებს მსოფლიო ლიტერატურის თემებზე.

1811 წლიდან დაიწყო გამოსვლა გოეტეს სახელგანთქმულმა ავტობიოგრაფიამ „პოეზიამ და სინამდვილემ“, სადაც მწერალმა მოასწრო მოთხრობა თავისი ბავშობისა და ყრობის ამბების (1775 წლამდე). „მოგზაურობა იტალიაში 1786—88 წ. წ“. „მოგზაურობა შვეიცარიაში“, „საფრანგეთის კამპანია“, „მაინცის აღყა“, და „ანალები“, „პოეზია და სინამდვილესთან“ ერთად წარმოადგენენ ვეებერთელა ავტობიოგრაფიულ ციკლს, რომელსაც უნდა მიეთვისოს აგრეთვე მისი გრანდიოზული მიმოწერა (50 ტომი ვაიმაროს გამოცემისა), უაღრესად მდიდარი აზრებით, რომელიც დაწვრილებით გაგვაცნობს მწერლის სულიერ ისტორიას. მოხუც გოეტეს აზრებს გვაცნობს აგრეთვე „გოეტეს საუბრები ეკერმანთან“ და „გოეტეს საუბრები კანცლერ ფონშულერთან“.

მაგრამ ყველაზე გრანდიოზულ ქმნილებას უეჭველად წარმოადგენს გოეტეს ტრაგედია „ფაუსტი“, რომელზედაც ავტორმა იმუშავა თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე (60 წელს ხანაშობებით). ეს ტრაგედია, დაწყებული „ქარიშხლისა და შეტვის“ პერიოდში, გათავებული იქნა იმ დროს, როდესაც გერმანულ ლიტერატურაში რომანტიული შკალა იყო ვაბატონებული. „ფაუსტი“ ბუნებრივად გამოხატავს ყველა ეტაპს, რომელიც გაიარა პოეტის შემოქმედებამ „ახალგაზრდობიდან მოკიდებული ცხოვრების უკანასკნელ ხანებამდე“.

გოეტე გარდაიცვალა 1832 წელს.

„პროლეტარული კულტურა უნდა წარმოადგინდეს კანონ-
ზომიერ განვითარებას ცოდნის იმ მარაგისა, რომელიც პროლეტარ-
ობამ გამოიმუშავა კაპიტალიზტური საზოგადოების, ეფემერ-
ული საზოგადოების, მოხელეთა საზოგადოების, უფრო ადრე...

...გარკვევით უნდა შევიგნოთ, რომ მხოლოდ პროლეტარობის
მთელი განვითარების მანძილზე შექმნილი კულტურის ჯადმი-
წვევითი შესწავლითა და მისი გადაგზავნებით შევსდებათ პრო-
ლეტარული კულტურის აუზნება — თუ ეს არ იქნა შეგნებული,
ჩვენ ამ აზროვნებს ვერ გადავსვართ“ (ლენინი)

ალი არსენიშვილი.

განთავისუფლებული თანხმობანება

ა. ვ. გოგუც გატაცვალუშიდან ასა ქლას თავის გამო.

მათემატიკის აქსიომები რომ აღამიანთა ინტერესებს ეხებოდეს, ისინიც
სადაო გახდებოდნენ ამბობს ერთი ფრანგული აფორიზმი, რომელიც მოჰყავს
ლენინს.

ანტაგონისტური ინტერესებით გათიშულ საზოგადოებაში არაფერი არ
რჩება პარტიულ-კლასიური ბრძოლის გარეშე, როგორც ახლა, ისე თავის სი-
ცოცხლეში და მთელი 19 საუკუნის განმავლობაში თვით „ლეთაებრივი ოლიმ-
პიელი“ გოეტეს სდგას ამ სხვადასხვაგვარ პარტიულ სამჯავროთა წინაშე.

ბურჟუაზიას უნდა „განტიერთოს“ გოეტეს იდეოლოგია კლასობრივ „მო-
მენტებისაგან“, დროსა და სივრცის გარეშე დააყენოს იგი, და „აღამიანური“
თვალსაზრისით გააშუქოს და ამრიგად დააკანონოს ყოველივე რაც მას ჰქონდა
რეაქციონური და რაც „სამოქალაქო ზაფისაქენ“ მოუწოდებდა.

ძველ გერმანელ რომანტიკოსებს მოსწონდათ, რომ ბოლოს გოეტემ ხელი
აიღო ფეოდალურ სინამდვილესთან ბრძოლაზე და ოცნებობდა ისეთ საზოგადოე-
ბაზე, „სადაც მდებრიო თავისუფალი იქნება ისევე, როგორც თავადი და აზნაური,
თუ მას თავი უჭირავს მისთვის ღვთის მიერ მინიჭებულ იმ მდგომარეობის
ფარგლებში, რომელშიაც იგი დაბადებულა,“ ე. ი. რუსთაველის სიტყვებით რომ
ესთქვათ: „ვისაც ღმერთმა რა არგუნოს, დაჯერდეს და მას უბნობდეს“.

გერმანელი რეაქციონერი შწერალი კარლ გრიუნი, რომელიც დავიწყების
მტერიდან გადაარჩინა ენგელსის 1847 წ. შეუდარებელმა პამფლეტმა, სწერდა:
„გოეტეს პოეტურ ნაწარმოებს, რომელნიც ცხოვრებიდან აღმოცენდა, სინამდვი-
ლესთან არაფერი საერთო არ ჰქონია და არც იქვს. იგი იყო აღამიანო-
ბის პოეტი და მას უნდოდა აღამიანი შიგნიდან გაეთავისუფ-“

ლებინა. გრიუნის მიხედვით, ცხოვრების მოვლენები გოეტესთვის მხოლოდ გარეშე ობიექტს შეადგენდა და როდესაც ისინი რაიმე გავლენას ახდენდნენ მის ბუნებაში მშვიდობაზე, მაშინაც კი ისინი ესთეტიკურს წარმოადგენდნენ და არასოდეს პოლიტიკურ ინტერესს არ იწვევდნენ მასშიო (საზოგადოებრივი ცვლელ-განგებლისათა, მარქს-ენგელსი, ტ. V, 1929 წ. გერმანული სოციალიზმი ლექსებსა და პროზაში)*.

„ადამიანური თვალსაზრისის“ ქვეშ დაფარული, 40-იანი წლების ფრანგული სოციალიზმის წარმატებით დამუხრალი გრიუნის შეხედულების რეაქციონერ-მეწინააღმდეგე რაობა ბოლომდე გამოაჟიარაებული აქვს ენგელსს, რომელიც, „ფაქტის კონსტატაციის“ წესით, გაკვრით იძლევა იმ ძირითადს გოეტეს შეფასებაში, რაზედაც უნდა დაეკრდნოს პროლეტარიატი მისი მემკვიდრეობის მიღების დროს. ენგელსი არკვევს იმ მიზეზებს, რომელნიც შეუძლებელია „შოგნიდან“ იქნეს ძლეული და რომელნიც იწვევდნენ გოეტეს ორმაგ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი: გეოტე ებრძვის თავისი დროის საზოგადოებას გეტის, პრომეთეს, ფაუსტის ამბოხებით და იწარედ დასცინის მას მეფისტოფელის სახით, მაგრამ ფარანკურტელ პატრიცის შვილს და ვეიშარის მინისტრს თანდათან სძლევეს და იმონებს გერმანული უბადრუკობა და მიიყვანს არსებულ ფეოდალურ წესწყობილებას უცვლელობის აღიარებამდე, რომლის წიაღში სხვა (არა თავადაზნაურული წოდების) პირებს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების მიხედვით შეუძლიათ ამაღლდნენ კეთილშობილთა სიმაღლემდე.

ჩვენი დროის გრიუნები—ვინდენბურგი, ბრიუნინგი და სხვა—რომელნიც უკვე დამუხრთხალი არიან არა სოციალიზმის პირველი სხივების შუქით, არამედ კაპიტალიზმის მარაზმით და სოციალიზმის გამარჯვებით, წინააღმდეგობათა მხავე „შოგნიდან“ დაძლევის თითქმის ასწლოვან საშუალებას სთავაზობენ თანამედროვე გერმანიას და „შინაური ზაის“ მოძღვრად აცხადებენ გოეტეს, რომელმაც „თავისი არსების გაორების დაძლევის გზით განმანთავისუფლებელ თანხმონენებას მიღწია“-ო. გერმანიის ისტორიული ჩამორჩენით განსაზღვრული გოეტეს უსუსტესი მხარე—მისი სინამდვილესთან შერკება—„ადამიანური“ თვალსაზრით, როგორც ასი წლის წინათ, 1932 წელსაც „გოეტეს ანდერძად“ საღღება.

„ინგლისში და საფრანგეთში ბურჟუაზიამ ყველა ქვეყნებზე უფრო ადრე დაიპყრო პოლიტიკური ძალაუფლება. გერმანია კი, მთელ რიგ ისტორიულ პირობათა გამო, რომელნიც ხელს უშლიდნენ წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებას და, მაშასადამე, თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებას“ (ე. მარქსი), თითქმის მე-19 საუკუნის შუამდე დარჩა ევროპულ კაპიტალიზმის პროვინციად და გოეტეს ცხოვრების მთელ მანძილზე (1749—1832 წ. წ.) წარმოადგენდა ასეულ დაქვემდებარებულ პატარა სამეფოებს, სადაც ფეოდალიზმის საერთო ფონზე დიდის დაბრკოლებებით იკვლევდა გზას ამკრული ხელოსნობის და ვაჭრობის საშუალო საუკუნეების წესებით შეზღუდული მანუფაქტურული წარმოება და კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესები.

გოეტეს მშვენივრად ესმოდა სამრეწველო კაპიტალიზმის დამკვიდრების ისტორიული აუცილებლობა, როდესაც გერმანიის გაერთიანებისათვის რკინის გზების გაყვანაზე ოცნებობდა ან და როდესაც, როგორც საქსენ-ვეიმარის საჰერცოგოს მინისტრი, გაუქმებულ მალარობებს ადგენდა ილ-შენაუშის/სნ-ქან საფეიქრო სკოლას ხსნიდა პაწაწინა სამეფოს ჯარის კაცთა შვილებისათვის.

აღსანიშნავია ის პარალელიზმი, რომელსაც ამ შემთხვევაში ადგილი აქვს თითქმის იმავე ხანის რუსეთის სინამდვილეში, როცა რუსეთი განვითარების მდგომარეობაში იმყოფებოდა: ცნობილია, რომ ლატაკი „რაზნოჩინცი“ ბელინსკი მოუთმენლად ელოდა მოსკოვსა და პეტერბურგს შორის რკინის გზის აშენების დამთავრებას და სწერდა ანენკოვს, რომ „რუსეთის სამოქალაქო განვითარების შინაგანი პროცესი დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის თავადაზნაურობა ბურჟუაზიად გადაიქცევაო“.

თავის დროის რეაქციონური წრეები ბელინსკის ლიტერატურულ რობესპიერს უწოდებდნენ. ბურჟუაზიული ტრადიციის მიხედვით გერმანიას უწოდებდნენ „პოეტების და მოაზროვნეების ქვეყანას“ და ამით ხაზს უსვამენ მას, რომ იგი თითქო „გამოთიშული ყოფილიყო“ სოციალურ და პოლიტიკურ საერთო ევროპულ გამაფრებულ დინამიკისაგან. მარქსი ამბობს, რომ მე-18 საუკ. დასასრულის და მე-19 საუკ. პირველ მესამედის გერმანულ აზროვნებას აკლია ისტორიული საფუძველი, რომელიც მას ცხოველ ძალას მისცემდა, რადგან გერმანული ლიტერატურის ხელოვნური და ედუოლოგიურ-აბსტრაქტული ხასიათი გამოწვეულია მით, რომ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ერთ-და-იმავე დროს იგივეობაში მყოფი და ანტაგონისტური ინტერესები ჯერ არ იყვნენ საკმარისად ჩამოყალიბებულიო. საფრანგეთიდან და ინგლისიდან განზადებული საქონლის საშემოტანილ ეკონომიურ-პოლიტიკურ-ლიტერატურულ იდეებს გერმანიაში არ წიოთჰქონდათ სარბიელი, მათი გადმოღებით ამ ქვეყნების ცხოვრების პირობები გერმანიისში არ გადმოდიოდა, და უცხო სინამდვილის გამოხატულება აქ წვრილ ბურჟუაზიული თვალსაზრისის მიხედვით ყალბად შექმდებოდაო.

ამის გამო ის ინტელექტუალური ენერგია, რომელმაც შესაფერ მომენტში წარმოშვა ფრანგი იაკობინელები, გერმანიაში სავსებით დაიბანდა მწერლობაში და, ჰეინეს თქმით, გოეტეს შილერის, ჰეგელის და სებათა სახით გერმანიას ლიტერატურის ნილაბის ქვეშ ამოფარებული რებესპიერები და დანტონები ჰყავსო.

ჭარბი გონებრივი ენერგ იის გამოყენების შეუძლებლობის და მისი „შინით“ მიმართებით აიხსნება გერმანული იდეალიზმის აყვავება იმ ხანებში. კერძოა მეტად დამახასიათებელია ჰეგელის თვალსაზრისის ნაპოლეონის შემოჭრაზე გერმანიაში, ჰეგელის, რომელსაც „კლასობრივი ბრძოლის გაყვების სფეროში“ მხოლოდ ცალკეული გადაკარგული მითითებები თუ მოეპოვება სიმდიდრისა და სიღარიბეზე, წოდებრივ განსხვავებაზე და მმარკველოა და მმართველობის ქვეშ მყოფთა შესახებ“ (რალცივიჩი). ნაპოლეონის მიერ მოხდენილ გერმანიის ფეოდალიზმის „ავჯიუსის ხეინიბობების“ წმენდის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლა-ჰეგელი „სულიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უცხო და უსულო ტირანიასთან დიად ბრძოლას“ უწოდეს და დიდ უწყაყოფილებას გამოსთქვამს ი ის გამო, რომ ამ მძიმე დრომ აიძულა გერმანია „მეტად დიდი მნიშ-

ვნელობა მიეკუთვნება ყოველ დღიური ცხოვრების წერტილში ინტერესებისათვის... რის გამო სინამდვილით და გარეშე მოვლენებით გართულ მსოფლიო სულს არ შეეძლო მტკიცარყო შიგნით, თავისი თავისაგან და დამტკბარიყო თავის ჭეშმარიტად შობიურ სარბიელზე. მიგრამ ახლა, როდესაც სინამდვილის ამ ნაქადს. დაედო ზღვარი და გერმანელმა ხალხმა გადაარჩინა თავისი ეროვნება (ეს საყრდენი ყოველგვარი სიცოცხლისა) დადგა დრო, როდესაც ნამდვილ მშვიდობიანობასთან ერთად, შესაძლებელი გახდა, რომ სახელმწიფოში თავისუფალი აზროვნებაც აყვავდეს (ჭეგელი, ტ. 1, 1929 წ. რუს. გამოც. გვ. 12—13. ხაზი ჩენია.—ა. ა.).

„სინამდვილის ნაკდისათვის ზღვარის დაღება და გერმანიის ხალხის მიერ თავისი ეროვნების გადარჩენა“ ნიშნავდა გერმანიის შეტრებას ფეოდალურ აშკრულ და მანუფაქტურულ განვითარების საფეხურზე, ე. ი. ლენინის მიერ მოხაზულ იუნკერულ პრუსიულ განვითარების ჯოჯოხეთური საშინელების გახანგრძლივებას.

გოეტეს პირველი პროზაული ნაწარმოები „ახალგაზრდა ვერტერის ტანჯვა“ ძირითადად არის გამოძახილი მისი თავგადასავალისა პროვინციაში ყოფნის დროს მაგრამ მისთვის ჩვეულო შინაგანი განკდის ობიექტივაციის და ყოველგვარი თავისი გრანობის პოეტური ფორმით გადმოცემის გზით, ვერტერში“ ისეთი ძალითაა განზოგადებული ბიურგერთა ყოფის დაუძლიეველი მემჩანობა, რევოლუციის ობიექტიური შეუძლებლობის ფონზე ინტელიგენტის გადაჭარბებული შევნების და ძალის გამოუსადეგრობა და ცხოვრების სიღრმეში დაწყებული ვერტერის გარდატეხა, რომ ვერტერის გასროლამ თვითმკვლელობათა ტალღა გამოიწვია გერმანიაში. გერმანელ გამანათლებელთა თვალში საკითხის ასე გადაწყვეტა ნიშნავდა ბრძოლაზე ხელის აღებას: ისინი ლესინგის სახით მოიაზრებდნენ უფრო ოპტიმისტურ დასასრულს და ურჩევდნენ აეტარს „უფრო კარგი, საღი და ცინიკური დაბოლოება მიეცა რომანისათვის“, და გოეტემაც „ვერტერის მეორე გამოცემას მკითხველისადნ მიმართული მიძღვნა დაურთო, სადაც აფრთხილებდა მას: „ყური დაუგდეთ რას გვეუბნება იგი სამარიდან — შემოცადეთ, მაგრამ ნუ მომხაძავთ, იყავით მტკიცეო“. ამ რიგად ვერტერში იხატება ის შიში ისტორიული გარდატეხის წინაშე, რომელიც გოეტემ განიცადა ვერტერის კიდევ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინ, როდესაც „ხელოსან — მუშების, წერილ ბიურგერთა და გლეხთა გერმანიას ღრმა ძლით ეწინათ“.

მაგრამ გოეტეს კარგად ესმოდა საფრანგეთის რევოლუციის ძალა და ის გაუბედაობა, რომლითაც მის წინააღმდეგ ინტერვენციის ცდა მოახდინეს ფეოდალურ — ყაზარმული პრუსიის ჯარებმა, როდესაც ვალმისთან მომხდარ შეტაკების შემდეგ, რომელიც ისტორიკოსების სიტყვით, რევოლუციისა და რეაქციის შორის ზარბაზნების საშუალებით გამართულ დიპლომატიურ მოლაპარაკებას უფრო ჰგავდა ვიდრე ომს, მან წარმოსთქვა თავისი ცნობილი სიტყვები იმის შესახებ, რომ იმ დღეს დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა და ყველა იქ დამსწრეს შეეძლო ეთქვა, რომ ამის მოწამე გახდა ის.

მაგრამ გოეტე არ იყო განმარტოებული საფრანგეთის რევოლუციისადმი ორმაგ, მერყევ და ბოლოს, სავსებით უარყოფით დამოკიდებულებაში. ასეთივე იყო მის თანამედროვეთა შილერის კლოპშტოვის და სხვ. მხარეც.

ერთნაირ გარემო პირობები მსგავს ანარქულს იწვევდა და აქტიური ინტელიგენციის წრეებში. შილერმა წარსულისადმი აღზნებული სიძულელით დაიწყო, ჰენეს თქვით, „ყაჩაღებში“ იგი მოგვეგონებს პატარა ტიტანს, რომელიც გაიპარა სკოლიდან და, არყით შეზარხოშებულმა, მოინდომა იუპიტერის სასახლის (ფეოდალური გერმანიის—ა. ა.) შეშები ჩაეღწეა. საფრანგეთის რესპუბლიკამ იგი თავის მოქალაქედ აირჩია „ყაჩაღებისათვის, მაგრამ როდესაც კონვენტი თავდაცვის პოლიტიკისაგან შეტევასზე გადავიდა და ფეოდალიზმის რესტავრაციის წინააღმდეგ რევოლუციონურ ტერორს მიმართა, შილერმა უკან დაიხია და განაცხადა, რომ ფრანგების ცდა უდროვოა, იგი უკუაგდებს მათ ბარბაროსობის და მონობისაკენ და იენის უნივერსიტეტის გახსნის ზეიშზე ილია ჭავჭავაძის ჩვენთვის ცნობილია „ხმლის და გულის“ ფილოსოფია წამოაყენა (კიდევ ერთი ისტორიული ანალოგია) ის მოუწოდებდა ახალგაზრდობას დაკმაყოფილებულიყო არსებული მდგომარეობით, რადგან გერმანიაში „მიწის მუშის ხელი ავსებს ბელელს და შეომრის იარაღი კი იცავს მის კრასა“. „ყაჩაღების“ ავტორი მოდრეკილა და ქებას უძღვნის სინამდვილეს, სადაც ამომავალი ბურჟუაზიის „თავისუფალი“ პიროვნება პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ერთად სავსებით მოკლებული იყო ეკონომიურ ინიციატივას.

ეპოქის მეორე კორიფე კლოპშტოკიც პირველად ენტუზიაზმით ანთებულ პროტესტს უგზავნის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ ინტერვენციის მეთაურს ბრაუნშვეიგის ჰერცოგს: „თქვენ გინდათ ცუცხლით და მახვილით შემუსროთ და საშინელი სიმაღლიდან გადმოაგდოთ ის გაბედული და ძლევა მოსილი ხალხი, რომელმაც მიაღწია თავისუფლების მწვერვალს, მაგრამ არც თქვენ აცდებთ განაჩენი, რადგან თქვენს საკუთარ ქვეყანაშიც ღვივდება ნაპერწკალი და ინთება ცეცხლი“. მაგრამ შემდეგ, იაკობინელთა სიმკაცრით შეშინებული იგი საფრანგეთის მოქალაქედ არჩევისათვის სავადლობლო წერილში მოუწოდებს რევოლუციას უფრო ზომიერ პოლიტიკისაკენ და პოემაში „ჩემი შეცდომა“ საპანაშვიდო სიმღერას უმღერის 1793 წლის საფრანგეთს.

გოეტეს დამოკიდებულება ცეცხლოვანი გერმანიისადმი თანდათან უფრო შემარიგებელი ხდებოდა და ვალმის ბრძოლის დროს მის მიერ აღიარებულ ბურჟუაზიულ განვითარების აუცილებლობიდან იგი გადადის იმ „ოლიმპიურ“ ინდიფერენტობაზე, რომელზედაც მარქსი ამბობს, რომ ეს იყო მუნდირი, რომლის საშუალებით გოეტე თავს იცავდა ბურჟუაზიის გარიყრაგზე.

გოეტეს, როგორც „თავისუფალი“ ბურჟუაზიის წინამორბედის იდეოლოგიის, შეგნება იმდენად გადაზრდილი იყო საქსენ—ვეიმარის სინამდვილეს, რომ თუ იგი მოიხსრებდა თავისი დამჯდარი შეუშფოთველობიდან გამოსვლას და გაიმართებოდა მთელი თვისი ტანით, მას შეეძლო დაენგრია ვეიმარის სამეფოს ქერი, ან რაც უფრო მოსალოდნელია, გაეტება თავისი თავიო, ამბობს ჰენინე, რომელიც „ახალგაზრდა გერმანიის“ სახელით უსაყვედურებს გოეტეს, რომ მისი პოეზია არ ბადებს აქტივობას, რადგან გოეტე კაცობრიობის უდიდეს ინტერე-

სემის მაგიერ ხელოვნების სათამაშოებში, ბოტანიკისა, ანატომიისა და ფერთა შესწავლაში და ღრუბლების დაკვირვებაში გაერთო.

„გერმანიის უდიდეს ინტერესს“ კი წარმოადგენდა მანქანათმშენებლობის რევოლუცია, ხოლო გოეტე „ვილჰელმ მაისტერშიმანს“ და „დოროთეა“-ში ოცნებობდა პატრიარქალურ ხელისშეწყობას და წვრილ მესაყურეთა იდილიურ თანამშრომლობაზე აგებულ საზოგადოებაზე.

გოეტეს, რომელმაც გაიარა ძველი გერმანულ უნივერსიტეტების ტრადიციული სკოლასტიკის ჯოჯობითური წრე, იმდენად ძლიერი სიძულვილი დარჩა ბრმა ფიდეიზმისადმი, რომ მას, როგორც ოდესღაც აბელიარს, არ სწამდა „რასაც წინასწარ არ გათხრიდა გონებით“.

ცნობილია, რომ გერმანულ იდეალისტურ დიალექტიკის მამამთავარს ჰეგელს არავითარი გავლენა არ მოუხდენია გოეტეზე და პირიქით გოეტეს ნაწერების დიალექტიურობის გამო, ჰეგელმა მისი ციტატებით ააქო თავისი „ესთეთიკა“ და აყენებდა მას ყველა ლირიკულ და საერთოდ ყველა პოეტებზე უფრო მაღლა. იშვიათად თუ ვისიმე სული დანტერესებულა ყველაფრით და უსახლგრო მოღვაწეობისა, იგი იმყოფებოდა სავსებით თავის თავის შინაგან არსებაში—ამბობს გოეტეზე ორტოდაქსალური იდეალისტი ჰეგელი (ხაზი ჩენია.—ა. ა.)

მაგრამ გოეტეს დიალექტიურობის შესახებ უნდა ითქვას, რომ მას ასეთი ფორმულაც აქვს მოცემული: „ერთგვარ მთლიანობიდან აღმოცენებული უკიდურესობათა წინააღმდეგობა თავის თავად ჰქმნის სინტეზის შესაძლებლობას“—ეს უკვე ჰეგელის დიალექტიკის ის ბირთვია, რომლის რაციონალური მარცვლისათვის მისტიური გარსის ჩამოცილებით და მისი ფეხზე დაყენებით, მარტსმა, ენგელსმა და ლენინმა შექმნეს მატერიალისტური დიალექტიკა.

თავის უდიდეს ნაწარმოებში „ფაუსტში“ გოეტემ გარკვეულ ისტორიულ და სოციალურ საზღვრებ-დან (როგორც ეს იყო „ვერტერში, ვილჰელმ მაისტერში, და სხვ) გადაიტანა კონფლიქტი ადამიანის და სამყაროს, შემეცნების და ობიექტის ურთიერთობის წმინდა სფეროში, მაგრამ აქაც ვერ ასცდა მე-18 საუკუნის რაციონალისტების შეცდომის, რომელთაც, უარჰყვეს რა თეოლოგიის უსახლგრო რწმენა, მის მაგიერ დააყენეს „აბსოლუტური ცოდნის“ პრეტენზიებით აღჭურვილი გონება. აქედან გამომდინარე ფაუსტის მიერ ცოდნის მიმართ წაყენებული მოუთმენელი „მაქსიმალიზმი არა შეცნობილი მოთხოვნაა.

თუ „ფაუსტის“ პირველ ნაწილში მოცემულია „მცირე სამყარო“—პიროვნების იდეის განმტკიცება, დღევანდლობისადმი და სინამდვილის სისავსისადმი გაუმადლარი სიყვარული და აბსოლუტურ წყურვილთან ერთად მასთან შეერთების და მასში გათქვეფის სურვილი, ერთის მხრივ—ყოფა, მეორეს მხრივ—დადგინება და შეთანხმება კი—უმშვენიერეს წუთზე და სრულყოფილ ფორმაზე ოცნება, რომელიც ხანის ამ წინააღმდეგობას, მეორე ნაწილში ნაჩვენებია სახელმწიფოს, კულტურის, ისტორიის და ბუნების „დიდი სამყარო“, სადაც პატრონობის და მოქმედობის გზით ადამიანს შეუძლია მიაღწიოს თავის განვითარების და

დანიშნულების უმაღლეს საფეხურებს (გაბრიეცესკი), ფაუსტის მიერ მოკლებულ „მიწიერ სიბრძნის საბოლოო დასკვნაში“, რომელსაც იგი ხედავს „ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის გამუდმებულ და ყოველდღიურ ბრძოლაში“ — „საქარაზღება გოეტეს იმ მისწრაფების დამარცხება, რათა ვარკვეულ ისტორიულ სოციალურ სინამდვილეს მოსწყვიტოს აზროვნების და ყოფის ურთიერთობის საკითხი.

გოეტე სწორედ თავისი დროის ყაღაბე და ზომავე, სინამდვილესთან შორიგების გზით. სწყვეტს ფაუსტს „უსაზღვრო ოცნების“ და „ამბოხების“ საკითხს, როდესაც მეორე ნაწილში წმინდა კაპიტალისტურ საქმიანობას აკისრებს ფაუსტს, რომელიც თავის მეცნიერ იმპერატორის ვაჭირებულ მდგომარეობიდან გამოსაყვანად ქალაქის ობლივაციების გამოშვების გზით საფინანსო რეფორმასაც კი ახდენს, რომელიც „წესისამებრ“ უზრუნველყოფილია მიწიწიალში მყოფ სიმდიდრით. ფაუსტი კაპიტალისტ კოლონიზატორის გულმოდგინეობით აზრობს მიწის უზარმაზარ ნაკვეთს და აშენებს სახემწიფოს, რომლის განადგურების და სისხლისმღერელ ომების პრაქტიკის ქვეშ ადვილად გამოსაყვანობია ევროპული კაპიტალიზმის სისხლიანი გზა.

გოეტე შეცნეირების და ტენიკის აპოლოგეტი იყო და თანამედროვე კაპიტალიზმის ისეთი დამცველები კი, როგორც შპენგლერია, თავის საშუალო-საჯუნებისაკენ დაბრუნების და ტენიკის უარყოფის ფილოსოფიას ასაბუთებებს არა კაპიტალიზმის სტრუქტურის კრიზისით და სასიყვდილო გაბზარვით, არამედ მანქანის მიერ მეწარმის და მუშის ერთნაირი ფეტიშისტური დამონებით. შპენგლერი „ფაუსტური“ თეატალისის მეშვედრედ სთელის თანს თავს და „მანქანის ხელოვნურ და ურთულეს სამყაროს ცენტრად“ სთელის „მეწარმის სუვერულ და გადამწყვეტ შრომას“ მისი არისტოკრატიულ—რეაქციონურ თეორიის მიხედვით, მანქანათა სამყარო ეყრდნობა მეწარმის და გამოგონებლის აზრს და არა მუშის შრომას. მაგრამ ეს „თეორია“ ნამდვილი ანარქულია კაპიტალიზმის დაშლის ხანის, იგი სოციალიზმისადმი უდიდესი მტრობითაა ნაკარნახევი და საესებით მოკლებულია ისტორიის იმ გულიხმიერ ვაგეზას, რომელიც ვალმისთან ბრძოლის დროს გამოიჩინა გოეტემ მომავალი კაპიტალიზმის მიმართ.

„მანქანის დანართი და მონა“ ზდება ისტორიის გამგებლად და ანტაგონისტური საზოგადოების წილიდან მიღებულ გოეტეს უდიდეს მეშვედრეობის მიღების დროს სავსებით ითვალისწინებს იმ კომპრომისს და კლასობრივი იდეოლოგიის ისტორიულ ნაღვეს, რომელიც აბნელებდა გოეტეს შეგნებას და ყოფას და თავისი ხელით ჰქმნის იმ „გამათავისუფლებულ თანხმოვანებას“, რომელზედაც ოცნებობდა გოეტე.

გ თ ე ბ მ ს ლ ი მ ს ე ბ ი



თ ა რ გ შ ა ნ ი ვ ა ლ . გ ა დ რ ი ნ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ბ ა

1. რ კ ა ლ ი დ ა ნ ე : „ ხ ი მ ლ ე რ ე ბ ი “ .

ა ხ ა ლ ი ს ი უ ვ ა რ უ ლ ი , ა ხ ა ლ ი ს ი ს ო ც ხ ლ ე

1 7 7 5 .

გულო რამ დაგალონა?
შე შენ ველარ გოქანი.
გახდი ისეე ბალანა,
იყავი კი მისანი!

ირგვლივ რაღაც ტრიალებს.
სევედა წარსულს ბარდება.
გულო რისთვის ფრთხილებე,
გულო რა გემართება?

სატრფომ ცეცხლის თვალბეაშ
დასწვა შენი ოცნება.
თავი თუ გებრალება
სძლიე ეს ჯადოსნება.

ვშიშობ და თვალს ვარიდებ...
განეიცადე იმდენი!
სად არ უნდა წავიდე —
გზა იმისკენ მიმდენის.

მსურს დაეწყვიტო ტრფობისა
აბრეშუმის ხუნდები.
მაგრამ ტყვე ვარ გრძნობისა,
კვლავ იმას უბრუნდები.

ცეცხლით შემოვირკალე,
მდაგავს გზნება ფარული.
ისეე მარხვეს გრიგალი.
გამიშვი, სიყვარულო!

წიგნიდან „რომაული ელფიები“

1789.



მესამე ელფია

სატრფო, ნუ ნანობ, რომ დამნებდი შენ ასე ჩტარა
 იცოდე ზიზლით არ ვიფიქრებ შენზე არასდროს.
 სხვადასხვა არის ეროტისა ისრები: ზოგნი
 ხედებიან გულსა და საწამლავს გულში სტოვებენ.
 არიან კიდევ სხვა ისრები—მახვილი შხამით
 ეკვეთებიან ტვინს და იმას სწვავენ, სწუწნიან.
 ქვეყნიერების გმირულ დროში, ღმერთების დროში,
 ცტერა იწვევდა ვენებიან ცეცხლს და აღტაცებას.
 ნუ თუ შენ ფიქრობ, რომ ჭალღმერთი სიყვარულისა
 დიდხანს ფიქრობდა, როცა ჰპოვა ანქიზი ტყეში?
 როგორც კი მოვარე აკოცებდა ვაჟსა მძინარეს,
 იმას აერორა იმ წუთშივე ჩაიხუტებდა.
 შუა დღით შეხედა გერო ლეანდრს—შუალამით ის
 ზღვაზე მიჰქროდა—გელესმონტი მის ქვეშ გრგვინავდა.
 სიღვია რვა—მებატონე ტიბრის—ნაპირთან
 წყლის დასალევად გამოვიდა; მარსმა ის სძლია.
 ასე ეყოლა მას შვილები! და გამოჰკვება
 ტყუპნი ძუ მგელმა. რომი დაჯდა ქვეყნის მფლობელად.

მეოთხე ელფია

როცა შენ ამბობ, რომ ყრმობისას ხალხს არ მოსწონდი,
 რომ სძულდი ღედას—საცოდავი, ობოლი ბავში,
 რომ უპატრონოდ ისრდებოდი, ცელქობდი მართო—
 მჯერა და ვხარობ, რომ არა ხარ მსგავსი სხვებისა.
 არა აქვს ფერი და არც სახე ვაზის ჩუმ ყვავილს,
 მაგრამ მის ნაყოფს ყველა შესვამს ქება-დიდებათ.

მეათე ელფია

თვით აღექსანდრე, კეისარი, და ფრიდრიხ დიდი
 თავის დიდების დამითმობდენ ნახევარ ნაწილს,
 რომ ერთი ღამით მათ დაუთმო ეს სარეცელი;
 მაგრამ არიან მიჯაჭვეული შავ სამარეზე.
 ვინც ცოცხალი ხართ—სიყვარულის თასს დაეწითეთ,
 სანამ ავ ლეტამ თქვენ ფეხები არ დაგიხველათ!

აკალიძან—„ანტიური ფოკით“:

რჩეული კლდე

1782.



ფიქრობდა ვაჭი აქ დუმილით თავის სატრფოზე.
 მითხრა: „იყავი შენ მოწამე, ამაყო კლდეო!
 თავს ნუ გაგვივა: სხვაე ბევრი მყავს შესაიდუმლე.
 მინდვრის ყოველ ქვას, როცა მხიბლავს სატრფოზე ფიქრი,
 და ხეს თვითეულს, როცა ტყეში დავეხეტები,
 მე ვეუბნები:—იყავ ხსოვნა ნეტარებისა!
 მაგრამ მხოლოდ შენ ხმას განიკებ. ასე აირჩევს
 მუხა ერთადერთს მრავალთ შორის და ტუჩში ჰკოცნის“.

„...პროლეტარული ზოგად-საქართველო კულტურა კი არ
უარყოფს, არამედ გულმისხმობს და ასაზრდოვებს ნაციონა-
ლურ კულტურას, ისევე, როგორც ნაციონალური კულტურა კი
არ აუარყოფს, არამედ ავსებს და ახდინებს ზოგად-საქარ-
ველო პროლეტარულ კულტურას.“
(სტალინი)

აპ. ბაყრაძე.

გთმბე ქართულ ლიტერატურაში

1.

1832 წელს გარდაიცვალა გოეტე. მას შემდეგ ასმა წელმა განვლო. მთელმა
კულტურულმა კაცობრიობამ პატივისცემით აღნიშნა ეს თარიღი.

ჯერ კიდევ დიდია ის განცვიფრება, რომელსაც ამ მანძილზე იწვევდა გენია-
ლური მწერლის შემოქმედება. იშვიათია მეორე მწერალი, რომელიც წონასწო-
რობის ასეთი დაცვით აერთებდეს თავის ქმნილებებში ენციკლოპედიურ განა-
თლებასა და კაზმული სიტყვის რაფინურ კულტურას.

გოეტეს დაფასებისა და კვლევის მიზნით, ფილოლოგებისა და ისტორიკო-
სების ნიერ გაწეულ ჯაფის შედეგად, მარტო გერმანეთში დაგროვდა გამოკვლევა-
თა აურაცხელი მარაგი: „გოეტე და ბიბლია“, „გოეტე და დანტე“, „გოეტე და
შექსპირი“, „გოეტე და ბაირონი“ — ჩვეულებრივი სათარუებია გოეტეს შესახებ
გერმანულად გამოსულ შრომებისა, — და ეს მხოლოდ მისი პოეტური მემკვიდრე-
ობისა და მხატვრული სიტყვის კოდექსის კვლევის ფარგლებში. მწერლის პი-
როვნების შესაცნობად, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის დაფასებისას კი სა-
ხელი „Goethe“ ერთგვარი საცთურია: რა შეიძლება შემატოს ყველაფერ იმას,
რაც გოეტეს შესახებ თქმულა და დაწერილა?

გოეტეს სახელი დაკავშირებულია მსოფლიო ლიტერატურასთან, ხელოვნე-
ბისა და აზროვნების ისტორიასთან, ვაიმარელი ბრტენი პოეტის ხელი ჩანს სა-
მეცნიერო დარგებშიაც: ბოტანიკაში, ოპტიკაში, მინერალოგიაში. ის ყველაფერს
იტყვის: ანტიურ კლასიციზმს, გოტიკას, აღმოსავლეთის ეგზოტიკას, მეთვრამეტე
საუკუნის იდეოლოგიურ სათავეებს.

თვითნული ეპოქა თავისებურად აფასებს გოგუცს შემკვიდრობას, ვერმანული ლიტერატურის გოლიათისადმი მიდგომის ხასიათი იცვლებოდა არა მარტო ეპოქების, არამედ ათეული წლების მიხედვითაც.

„გოგუცე ქართულ ლიტერატურაში“ კი ცხადყოფს თაობათა წარმოქმნას და განცდილს მსოფლიო ლიტერატურის ამ გიგანტზე, რომელსაც სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებათა ჩარჩოებში ჰქონდა ადგილი.

2.

როგორც მოსალოდნელი იყო, გოგუცისადმი ინტერესი ქართულ ლიტერატურაში შეცხრამეტე საუკუნიდან იბადება. ასეთი ინტერესი არ ატარებდა ლიტერატურული მოძრაობის სახეს (როგორც თან დაჰყვა მაგ. ბაირონით გატაცებას მსოფლიო მასშტაბით). პოლიტიკური კატასტროფებისა და კლასთა შრდოლის ეპოქებში გოგუცს შემოქმედების თავისებური ხასიათი არ იძლეოდა ნაყოფიერ მასალას რევოლუციური რადიკალიზმისათვის.

მიუხედავად ამისა გოგუცს შემოქმედებით დაინტერესების სპორადიული ხაზები ამხელდენ სოციალ-პოლიტიკური ცვლილებების ანარეკლს ლიტერატურაში. ეს ნათელი ხდება განსაკუთრებით მსოფლიო ლიტერატურის ფონზე, გამონაკლისის შემთხვევა ამ მხრით არც ქართულ მწერლობას დაუშვია.

გრ. ორბელიანი „ლერმონტოვიდან“ სწერს ლექსს, რომელიც საყვებით უღგება გოგუცს მიერ უკანასკნელად წართმეულ ტაეების შინაარსს და რომლის ცნობილი თარგმანი ლერმონტოვს ეკუთვნის. (ნ. „Горные вершины...“) მოგვყავს ტექსტი:

მთანი მალაღნი

მთანი მალაღნი,
 მიწვეიუებულნი,
 დამისა ზნელნი მიეცნენ ძილსა;
 მუდგრონი ველნი,
 ტკბილ სამოსელნი,
 გულს უგრილებდენ შრომით ძლეულსა!
 ხმა არსით ისმის...
 არა რა იძვრის...
 არც გზაზე მტფრი, არც ხის ფოთოლი!
 ჰფუშინევენ სიშვიდით
 ცა ვარსკვლავებით,
 ქველანა ტკბილად მოსვენებულნი...
 რა გაქვს ძმაც მგზავრო
 გულს სამწუხარო,
 ამ დროს შეწფითით რომ მიატენებ?
 შედეგ წაშს თდენ,
 მიძობებდენ...
 და გულს სიშვიდით ზენც განისვენებ.

გოგუცს ეს ლექსი სიცოცხლის მწუხარზე შეტყველებს. თარგმანში ის გაყრცობილია, შეცვლილიც, თუმცა გოგუცს პიროვნული დიქცია არც აქ იკარგება.

ქართული ფეოდალური არისტოკრატის ბრწყინვალე წარმომადგენლის სუბიექტური მზილებისათვის ეს ლექსი ძვირფას მასალას იძლეოდა. ვერ ორბელიანის თაობა დალილი იყო. ქართულ პატრიოტიზმს იგი უკარგვეს ქრდილ ქვეშ ნებეირობით აშართლებდა, ხოლო ბედს შერიგებული ცდილობდა ბუნების მოძრაობაშიც დაენახა სიმშვიდე. ეს შემთხვევითი ფაქტი დამახასიათებელია და ბუნებრივი.

სხვაგვარ კონტექსტში ხედებიან ურთერთს სამოციანი წლების შეგნება და გოეტე. ქართულ ლიტერატურაში ცნობილია კლასიკური შედარება რომლის ავტორია ილ. ჭავჭავაძე: „მგზავრის წერილებში“ მყინვარის ზეიადობა გაპიროვნებულია გოეტეს სახით.

3.

ამ შედარებაში ყურადღებას იქცევს მსგავსი ეპიტეტების განმეორება და საბოლოო მოტივაცია. ადგილები მოგვეყვას ფრაგმენტების სახით:

...დიდებული რამ არის ეგ მყინვარი...

...ცისა ლაქარდხედ მოზანდა იგი თეთრად და აღმღერვლად. ერთის მუქის ოდენი დრუბელიც არ ფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ვინეით შევერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა, ერთს აღაგს გაჩერებული, თითქოს მყინვარის დიდებულს სახეს განთუეფებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მუდრო და მშვიდობიანი, მაგრაჰ ცივია და თეთრი...

აქ გვაქვს აღწერითი მომენტი. მის მიზნება ობიექტის შეფასება:

... მყინვარი მთელი თავისი დიდებულებით საკვირველია და არა შესაყარელი. ამა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი მის მაღალ შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუნაც დედამიწაზე უღგა, თავი კი ცას მიუბჯენია განზე გამდგარა, მიფარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა განზე გადგომა, არც მაგისთანა მიუყარებლობა...

და ბოლოს (შესადარებელ ობიექტის ლიტერატურული გაპიროვნება ინტონაციური კადანსის ჩარჩოვებში):

... არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხაჲს და სითეთრე აბერებს. მაღალიაჲს რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმაჲ ვერ აეწედეგი და ის მე ვერ ჩამომწედემა. არა არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდეს გეტეს მაგონებს.

ეს არის ძირითადი „მგზავრის წერილებში“ გოეტესა და მყინვარის შედარების მხრით. მყინვარის სიმბოლიკა ი. ჭავჭავაძეს ყველგან ასეთ ხაზებში აქვს გადმოცემული, ყველგან ხაზგასმულია სიმშვიდე და „დიდებულება“. ის ხელოვნურად არ ახვევს ობიექტს თავის „განცდას“. (ქართ. პოეზიაში „ლირიკული მიმართულებების“ სიჭარბეს ილ. ჭავჭავაძე ჰხსნიდა „ტალანტების სისუსტით“. მრავალ ნაკლთა შორის ერთსაც აღნიშნავდა: „ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით: ის როგორც ობიექტი, არ არსებობს მათთვის“. ტ. IV გვ. 383).

მყინვარის ასეთ სიმბოლიკას ილ. ჭავჭავაძის პოეზიაში დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგრამ ერთი ასპექტით: მყინვარი ყველგან მიუყარებლობის ნიშნით არის წარმოდგენილი.



მაგ.

... აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი
 ცისა და ჰევენის შუა დაკადულ
 იგივე დაიძვი, იგივე მყინვარი
 იგივე დიდებულ და დადუმებულ... (ანტილი)

... სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
 თრბნი, არწივნი ვერ შეპებიათ,
 სად წვიმა თოვლნი, ყინულად ქმნილნი
 მზისგან არასდროს არა ჰდნებიათ
 სად უდაბურსა მას მყუდროებას
 კაცთ ერთიამული ვერ შესწუდებია... (განდგვილი)

ჩვენ ვხედავთ, რომ „მგზავრის წერილების“ თემატიკური დეტალი იქაც ნაცნობ ვარიაციებშია გაშლილი. (დაკუთვლია სიტყვა „დიდებული“-ს სტილიზაცია).

ილიას ატყვევებდა მყინვარის ცხადება. ამიტომაც გოგუძეს მყინვართან შედარება, ორივესადმი უარის თქმის ნიშან ქვეშ, შეიცავს გამკვირვალე სიმბოლიკას²⁾.

4

როგორ დაიბადა ასეთი პარალელი?

„ვაიმარელი ოლიმპიელის“ მყინვართან შედარება გამოჩენილ მწერალს ითვალისწინებს ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში.

საკმაოდ ბევრი თქმულა იმ მეფურ ვაჩუკის შესახებ, რომელშიაც გოგუძე ატარებდა ცხოვრების უკანასკნელ დღეებს. ის ატლივებლად უცქეროდა თავისი დროის ურთულეს სოციალურ კათაკლიზმებს, უარყოფითად შეხედა საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ჩათვლიდა იყო სამეფო კარის „წერილმან ინტერესებში“ (მარქსი). მეორე პერიოდის გოგუძე ღიმილით იგონებდა Sturm und Drang-ის ხანას, აღარ მიმართავდა მულღვარე რიტმებს გამოთქმის სფეროში და კლასიციზმზე (ანტიურობის შემცველი შინაარსით) შეყვარებული სიმშვიდის ფარგლებში იყო მოქცეული. ვაიმარელი ბრძენი ისე დადის თავის მგაობრებით გარშემორტყმული, როგორც „ქანდაკება საკუთარ თავზე“.

ამ პერიოდის გოგუძე აღარ არის „ვერტერი“-სა და „გეც ფონ ბერლიზინგენ“-ის ავტორი—მეამბოხე სული ბიუროკრატიული გერმანიეთისა. ის დამშვიდებულია, „განზე გამდგარი“ და „დიდებული“, როგორც მყინვარი, რომელსაც „კაცთერი-

²⁾ რომ ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული სიყინებით ეკადებოდა გოგუძეს შემოკლებებს ამას სხვა ფაქტებით ადასტურებს. მის თარგმნილ ლექსთა შორის, ქონთლოგიურად, პირველი ადგილი უჭირავს გოგუძეს ლექსს: „ბედა მქადაგებელი“. ის თარგმნილია 1857 წ. ვ. ი. იმ ხანებში, როდესაც იწერება „ქვარლის მთებში“. ამ უკანასკნელში მოხანს მყინვარის სიმბოლიკის ნიუანსები. ავტორი მიმართავს მთებს: „მე თრთოლვით ვქვარტადი ლაქვარტადი თქვენსა ხიმაღლეს—და შევინატროდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მარგს;—სადაც ღრუბლები ვერ ჰხედავენ შიშით სრბოლასა“... „ვინატრობდი, ზოლნე, რომ ვეხვიო მთებზე ქარსა,—ან თავისუფალს არწივისა ძლიერსა ფრთასა,—რომ აღმოვფრინდე და შევეხრო თქვენს ამაყ თავსა“. შეხვედრილი წერტილები ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში გოგუძეს ტრანსფორმა და მთების თვალშეფარებაში სიმაღლე პოეტურ წირმოვანებათა ობიექტებს შეიცავდნენ მწერლისათვის.

ამული ვერ შესწვდენია“. ი. ჭავჭავაძის მიერ გადმოცემულ გოეტეს ლიტერატურული ნიღაბი მხოლოდ ერთი პლანია გენიალური მწერლის ბირთვების.

მაგრამ სიმშვიდისა და მიუკარებლობისათვის „არ უყვარს ქართული ფეოდალური იდეოლოგიის წარმომადგენელს მყინვარი და, მაშასადამე, კიბრიდულად, უარია თქმული გოეტესადმიც. გოტეს ასეთი კანონიზაცია გასაგები ხდება იმ სოციალ-პოლიტიკურ გარემოცვათა ფონზე, როდესაც „თერგდალეულთა“ მოუხდათ სამოქმედო სარბიელზე გამოსვლა. ქართულ ლიტერატურაში ეს პერიოდი აღნიშნულია „მამათა და შვილთა“ ბრძოლით. შიდალი წოდების ახალი თაობა მოითხოვდა სიმშვიდის მდგომარეობიდან დაძვრას და ამ ისტორიულ სიტუაციაში მატარული გაგებაც შესაფერ გამოთქმას ჰპოვობდა: თერგის „გამალებული ბრძოლა“ უპირისპირდებოდა მყინვარის უშფოთველობას. იქვე იყო პარალელი: ბაირონი და გოეტე—განსხვავებული პოლიტესები მოაფლიო ლიტერატურის. (თვითონ გოეტე ბაირონს დაუცხრომელ და მებრძოლ დემონად რაცხდა, ხოლო ბაირონმა, გოეტეს დასახასიათებლად, ასეთი მიძღვნა გაუკეთა თავის „სარდანაპალს“: „უდიდეს გოეტეს...“)

ეს მოჩვენებითი რადიკალიზმი არ იყო რევოლუციური იერის მატარებელი. ი. ჭავჭავაძე რადიკალური აღმოჩნდა თავისი კლასის ბიუროკრატიული კმაყოფილების მიმართ მხოლოდ. მყინვარისადმი უარის თქმას (ესე იგი სტაბილიზაციის უარყოფას) არ მოჰყოლია შემდგომი დასაბუთება. „აჩრდილში“ მყინვარი ცისარტყელით წოქდება, ის ამოძრავებით ემუქრება გარემოს. მყინვარი და, მაშასადამე, ვაიმარული გოეტეც, რჩება ი. ჭავჭავაძის ხედვის გარდუვალ ობიექტად.

5

გოეტეს შემყიდროებისადმი ინტერესი ქართულ ლიტერატურაში ამით არ შემოფარგლულა. გ. წერეთელი სთარგმნის „ეგემონტს“, სმაილსის ერთ-ერთი დიდაქტიური თხზულების თარგმანით აცნობს მკითხველთ გოეტეს საუბრებს ეკერმანთან, ქართულ პერიოდულ გამოცემებში არა ერთი გზით გვხვდება მითითებანი მსოფლიო ლიტერატურის ამ გიგანტზე)

მაგრამ საყურადღებოა უფრო სხვა: გოეტეს მთავარი თხზულების, „ფაუსტი“-ს ირგვლივ ქართულ ლიტერატურაში ჩვენ გვხვდება ზოგიერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა.

1) მოგვეხსნა სია ქართულად ნათარგმნ გოეტეს ნაწარებისა, რომელიც ჩვენის თხოვნით შეადგინა ი. გრიშაშვილმა:

„ეგემონტი“ (ტრ. ნ. მოქმ. თარგ. გ. წერეთლის. იბ. „კრებელი“ 1873 წ. № 5-6) რენი იქვე კჟუდა-შელა“ (თარგ. გ. იოსელიანის 1895 წ.).

„ფაუსტი“ (შესავლა. თარგ. გ. ჯანიაშვილის „მოამბე“, 1900 წ. VII-XII), „ფაუსტი“ (მთლიანად. პ. შირიანაშვილმა 1908 წ.) „ფაუსტი“ (მაწილი „ჯალი“) 1901 წ. № 7, 8, 10) „ბუნება“ (თარგ. გრ. რობაქიძის. იბ. „ცნობის ფურცელი“ 1902 წ. № 17) „ფაუსტი“ (ნაწყვეტი ს. შანიასვილმა იბ. „კლდე“ 1914 წ. № 34-40) უკანასკნელი წლების თარგმანები მკითხველთათვის თავისთავად წაცნობია.

6

„ბუნებაში მოიხურვა ენახა საკუთარი თავი და შექმნა გოცტე“ — ამბობს პ. ჰაინე თავის „მგზავრობის სურათებში“. განსვენებული სოციოლოგის წინამძღვარი შეეცადა მოეცა ანალიზი იმისა, თუ როგორ იშლება პიროვნული შექმნის შემოქმედებაში, — ბუნებისა და სულიერი კულტურის ობიექტივაციას ფონზე. იშვიათია მწერალი, რომელსაც ასეთ ზედმიწევნით შტრიხებში გადმოეცეს, ჰაინეს თქმით, „ბუნების სიმშვიდე და მისი ღრმა გაგება“¹⁾ გოცტეს შემოქმედებაში მთავარია სწორედ ეს გოლიათური ძალა რეალური სამყაროს ხელოვნების ერთ ცხადყოფის. ის ყველგან განვითარებას ხედავს, არსად არ აჩნევს ზედმეტ ენუქტს და, მისი შეხედულებით, თუ ხელოვნება ცვლის საგნების წესრიგს — ისიც განსაზღვრულ ფარგლებში, რუბენსის ერთერთ სურათში დაშვებულ ორმაგი სინათლის შესახებ გოცტე ეკრძამათან საუბრის დროს აცხადებს: „ორმაგი სინათლე, რასაკვირველია, ძალდატანებაა და თქვენ ვაქვთ უფლება სთქვათ რომ ეს ბუნების წინააღმდეგ არის მიმართული, მე მაინც ვიტყვი, რომ იგი ბუნებაზე ამაღლებულია. მე მაინც ვიტყვი, რომ ეს გაბედული ხერხია მხატვრის, რომ ხელოვნება საესებით არ ემარბილება ბუნებრივი აუცილებლობის კანონს, რომ ხელოვნებას აქვს, თავისი კანონი. მხატვარმა, რასაკვირველია, წერილობანებში სწორად და კეთილსინდისიერად უნდა მიჰბადოს ბუნებას, მან თავის სურვილისამებრ არ უნდა შესცვალოს მკენარის ან რომელიმე ცხოველის შემადგენელ ნაწილების და კავშირთა აღნაგობა, რადგან ამით დაირღვევა მისთვის ჩვეული ხასიათი. ეს ემგვანებოდა ბუნების მოსპობას. მაგრამ მხატვრული პრაქტიკის უმაღლეს სფეროებში, როდესაც საქმე ეხება იმას, რომ სურათი იქცეს ნაზვილ სურათად, მხატვარს ეძლევა გასაქანი და აქ მას შეუძლია მიმართოს ფიქციას, როგორაც მოიქცა რუბენსი“²⁾ სწორედ ასეთი უმაღლესი მხატვრული პრაქტიკის შედეგია „ფაუსტი“ და მკითხველი აშკარად ხედავს, თუ როგორ ხმარდება ეპიური დიქცია გოცტეს ურთულეს იდეების გამგლავნებას ლიტერატურაში.

ადრევე, სიკაბუქისას, გოცტე კლექტენბერგის ალქიმიური ცდებით და მაგიით იყო გატაცებული. შემდეგ მისთვის უცხო შეიქნა ყოველგვარი პესიმიზმი და კანტის მიერ წამოყენებული იდეა სამყაროს არსის საბოლოოდ მიუწოდებლობისა. „ფაუსტი“ კი დიალექტიკურად ბრუნდება გოცტეს რწმენის ადრინდელი კრიზისი

¹⁾ გოცტეს დაკვირვების განუმეორებელ სიღრმეს მოწმობენ ყველა მისი თხზულებაში (ავი თვითონ გოცტე თავის მეცნიერულ შრომათა შორის განსაკუთრებით ობტიკურ ძიებებს (Farbenlehre) აფასებდა, უფრო მეტად, ვიდრე იმ ბიოტანიკურ აღბუნებებს, რომელშიაც იგი უცილობლად ნოვატორი იყო). ეს მომენტი აქვთ მხედველობაში როდესაც მიეთითებენ გოცტეს „ობიექტივისმზე, რაც ეადმარბობაა. ჩვენში შენიშნავენ: „გრძობისა, აზროვნების ერთიგად და თანაბრად მომთავსებელ პოეტებად უნდა ჩავთვალოთ შექსპირი, ვეტე“. „შექსპირი, ვეტე რამდენადაც ობიექტიური, იმდენად სუბიექტური პოეტებიც არიან. შოლოდ მათში არ დაუტკობა, როგორც საზოგადოდ არის, შესაძლებელი ალავი სუბიექტურ თვისებებს“ („ივერია“, 1900 № 34. ფელ. „მწერლობა საზოგადოდ“)

²⁾ გოცტეს საუბრები, შეკრებილი ეკვერმანის მიერ. (რუს. თარგ 1891. II 338-349)

და ფაუტის სახით იგი ჰემარიტების მიძიებულ დოქტორად გვევლინება. დუალიზმი და ტრანსცედენტურის ძიება დამახასიათებელია მუხომედიანური კულტურის.

„ფაუსტი“-ს უკანასკნელი რედაქცია მუშავდება იმ პერიოდში, როდესაც გოეტე კანტის კრიტიკისტული ფილოსოფიის შესწავლას უფრო გულმოდგინეთ შეუდგა. (ცნობილია კანტისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება შილლერთან მეგობრობის ხანში) „ლესინგი, ვილჰელმი და კანტი იყვნენ ჩემზე უფროსნი და ორ პირველთა ქონდათ გავლენა ახალგაზრდობისას, უკანასკნელს კი როდესაც ვივხდი მოხუცა“—უცხადებს გოეტე ეკერმანს (I, 206) „კანტმა, იქვსა გარეშეა მოგვიტანა განსაკუთრებული სარგებლობა მით, რომ მიუთითა იმ სიამანებს, თუ სანამდე შეუძლია მიწვდეს ადამიანის გონებას და რომ მან გადაუწყვეტელ ამოცანებს თავი გააძეოს“ (II, 204)

გოეტეს ამ იდეური მიჯნის გამოხატულების დაფასებისთვის ერთმა საუკუნემ მოიკალა. ანალიზი წარმოებულ იყო სხვადასხვა მხრით.

ქართულ ლიტერატურაში ვაჟა ფშაველა ასეთი სიტყვებით აღნიშნავდა „ფაუსტი“-ს უდიდეს ფასეულობას: „უაველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გოეტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული სწორედ ისე, როგორც ზევით მოგახსენეთ, როგორც ამას ჩვეულან რჩეულნი ამა ქვეყნისანი, დიდი ნიჭის პატრონი მწერლები. ავტორები „ფაუსტს“, გოეტეს გარდა, ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გოეტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერაფერ შეძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შეძლო გადადღეობა ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა.“

ილია ჭავჭავაძე მკაფიოდ მიუთითებდა „ფაუსტის“ შინაგანი იდეის ერთერთ მომენტზე—ტრანსცედენტურის ძიებაზე. ნიკ. ბარათაშვილის „მერანის“ ანალოგიისათვის მან, სხვათაშორის, ფაუსტის ტრაგედიაც დაასახელა: „სახლვარ დადებული სივრძე-სივრძე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტყვის. მის სწყურს ეს სახლვარი ბედის გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ქვეყნის მოიაროს ბაირონის კანმა ამისათვის ლიუციფერი იჩინა, გეტეს ფაუსტმა—მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა—თავისი სულის ქროლა“ (ტ. IV. 237)

ფსიქოლოგისტური განმარტების ასეთი ტონი დამახასიათებელია მეცხრამეტე საუკუნისათვის, რაც შეეხება მონოგრაფიების ნაკლებობას გოეტეს ან სხვა მწერალთა შესახებ იმდროს —ნაკარნახევი იყო წინასწარი შეგნებით: საკუთარი მწერლობის ისტორიის დამუშავებისა და კვლევითი ცდების ნაცვლად ევროპულ ლიტერატურაზე ბაასი და წერა პროვინციალიზმად მიიჩნდათ. ი. ჭავჭავაძე დაკინებთ შენიშნავდა იმ გაოქმობას, რომ ჩვენში ჰეგელის ესთეტიკაზე, ლესინგის ან ტენის „ფილოსოფიაზე“, გოეტესა და ბაირონზე „უზარმაზარ“ წიგნებს დასწერენ, მაგრამ ერთს პატარა ლექსს რომელიმე ჩვენი პოეტისას კი „ვერ გაუძღვებიან“. ო; და იქვე იძლეოდა ამ მოვლენის ახსნას: „შექსპირი, გეტე, ბაირონი სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალ გეარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრს შედგენა მეტისმეტად ადვილია და აზრის საბუთიც, მზად არის, თქვენ

ოლონდ იმოდენა ღონე იჭონიეთ რომ მოკრიბოთ, ერთი მეორეს შეუწონოთ, შეუწონოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს/მანდ შეკრათ და ისე მიართვათ მკითხველსა. რა თქმა უნდა, რომ ამანსაც კი უნდა და მცირეოდენი ხელოვნობაც, მაგრამ აქ თვითმოქმედებს სურსს ხელისა, თუ ასე ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალონისა, რომელიც თვითონ ჰქმნის“... (ტ. IV. გვ. 165)

7

დასასრულ:

ნაყოფიერი გამოდგა გოეტეს აზროვნებისა და მხატვრული პრაქტიკის ქვეყანა თანამედროვე ლიტერატურული სკოლებისათვის. ისტორიის გარკვეულ საფეხურზე მყოფი პროგრესული ბურჟუაზიის პირში შეიღის მემკვიდრეობით თავის გამართლებას ცდილობს თანამედროვე ბურჟუაზია, რომლის კულტურას დეკადანსის ჩრდილი ადგას და რომელსაც უახლოესი რევოლუცია კატასტროფას უქადის.

ჯერ კიდევ სიმბოლისტებმა, თავისებური დოქტრინით, მიიღეს გოეტეს გაგება სიმბოლოებისა. ეს თვალსაჩინო ვახდა განსაკუთრებით რუსეთში. ვ. ივანოვი თავის ცნობილ წერილში „გოეტე ორი საუკუნის მიჯნაზე“ აცხადებდა, რომ სიმბოლისტებმა გამართლებულაა გოეტეს მსოფლშეგნებით და რომ „მის პროექტის... საერთო აქვს უკანასკნელი წლების ჩვენს პროექტისთან“-ო. გოეტეს ცნობილი ფრაზა:

Alles Vergängliche.
Ist nur ein Gleichnis.

(„ყოველი წარმავალი არის მხოლოდ შეგავსება —“)

გამოცხადებული იყო სიმბოლისტების და ბოლოს, თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურფილოსოფიის წარმომადგენლის, ო. შპენგლერის მიერ კულტურათა მონადოლოგიური ცვლის მორფოლოგიურ პრინციპად. იდეალისტური ესთეტიკა ყოველთვის ცდილობდა გოეტედან თავის სასარგებლოს აღებას. გოეტეს მეტაფიზიკურად განმარტავენ იდეალისტურ საამქროს თანამედროვე წარმომადგენლები: გუნდოლფი, ვალცელი, ლუდვიგ კლაგეს და სხვები.

ქართულ ლიტერატურაში გოეტეს ასეთ თანადროულ გაგებას თავისი ყრუ გამოძახილი ჰქონდა. ასე მაგ. გრ. რომაქიტეს არა ერთგვით უცდია გოეტეს იდეების მეტაფიზიკური ინტერპრეტაცია.

.....

ფაუსტის სახით გოეტე ამზობს, რომ ძველ შეგნებებს, ადათებს და იდეალისტური ქვეყნის უნაყოფო ძიებათ უარი უთხრათ. დრამატულ პოემის მეორე ნაწილში მეფისტოფელი ხდის ფაუსტს ძველ ქურქს, რომლიდანაც მწერები ცვივან და ხერელებისავენ გარბიან. ფაუსტი მშენებელი და შრომის ენტუზიასტი ხდება.

ასე უნდა გახადოს რევოლუციურმა იდეოლოგიამ გენიალურ მწერალს ის ქურქი, რომელიც მას თანამედროვე გეროპულმა შეგნებამ ჩააცვა.

გადამწყვეტი წელი

ქართულ ლიტერატურაში.*

გადამწყვეტი წლის სამეურნეო პოლიტიკურ თავისებურებათა ნიადაგზე გაშლილმა იდეოლოგიური ბრძოლის ახალმა, ურთულესმა ეტაპმა, განვითარების მძლავრი იმპულსი მისცა რევოლუციონერ თანამედროვეობისაკენ გადამღწევის გზით დაძრულ მწერლობას. მწერლობის გარკვეული ფენა გასცდა თანამგზავრულ მერყეობის სტადიას და პროლეტარიატის იდეურ შემოქმედებითი მოკავშირეობის სიმალემდე ავიდა. მოკავშირეობა ქართულ ლიტერატურაში გასული წლის მხატვრულ პრაქტიკის, სპეციფიური მოვლენაა. იგი შედეგია ლიტერატურულ ფრონტზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და გართულების იგი გამოხატულებაა ამ ბრძოლაში პროლეტარიატის და მისი კლასობრივი მწერლობის მორიგი გამარჯვებისა.

პროლეტარიატის შემოქმედებითი მოკავშირე ისეთ მწერალს გულსიმზომს, რომელიც საბოლოოდ უკან დაუხეულად საბოლოოდ გაემიჯნა ძველ, ანტი-პროლეტარულ იდეოლოგიას და მთელი თავისი შეგნებით და შემოქმედებით გაჰყვა პროლეტარულ რევოლუციის მდინარეებს, გაჰყვა მას, არა „რომელიმე სადგურამდე“ - არამედ საბოლოოდ, გაიგო და მიიღო-ეს რევოლუცია მთლიანად, მთელა თავისი მრალმხრეობით და მრავალფეროვანებით და არა მარტო აღფრთოვანდა რევოლუციონერი ეპოსის ერთი რომელიმე ეპიზოდით. მაგრამ მოკავშირე ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა პროლეტარიატის იდეურ პოზიციებზე. ჯერ კიდევ მისი შემოქმედება მთლიანად არაა დამყარებული მუშათა კლასის მსოფლმხედლობაზე, მას ჯერ კიდევ მთელის სიღრმით ვერ მოუწარმებია მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდოლოგია, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მწერალმა შეძლოს სინამდვილის პროლეტარული თვალით ხილვა და გამოხატვა: ამ რიგად ლიტერატურული მოკავშირეობა არის მორიგი უმალღესი ეტაპი მუშათა კლასის მსოფლმხედველობასთან, მის მებრძოლ და შემოქმედ პრაქტიკასთან მწერლის ორგანიზულად დაკავშირების პროცესში. ამ ეტაპიდან განვითარების ლოდიკას მწერალი მიყავს სოციალიზმის შეგნებულ მშენებელთა რიგებისაკენ, სოციალისტური კულტურისათვის მებრძოლი ავანგარდისაკენ.

ამ სპეციფიური პროცესის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს გალაქტიონ ტაბიძის მხატვრული პრაქტიკა: ქართულ მოდერნისტულ-დეკა-

*) იხ. „მნათობი“ № 1-2

დენტურ პოეზიის ეს საუკეთესო და უძლიერესი წარმომადგენელი — რევოლუციამდე ინტელიგენციის ფენებში საკმაოდ გავრცელებული უიმედობის და დაცემულობის განწყობილებით იყო შეპყრობილი და მისი პოეზია *„მეცხრამეტეში“* ედისა და სეკსისის რკალში ვითარდებოდა. ბუნებრივია, რასმ — მესმევეტქური „დემკრატის“ სოციალურმა ატმოსფერამ ვერ შემოაბრუნა პოეტის პონტიცია. პირიქით, ამ პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა მის შემოქმედებაში უსაგნო ესთეტიზმი, მისტიციზმი და ფანტასმაგორია.

საქართველოს ოქტომბრის პირველსავე წლებში გალაქტიონ ტაბიძემ გულწრფელი გამოხმაურებით უპასუხა სოციალური ქარტეხილების გარემოცვას და მის შემდეგ ლოლიკური თანამიმდევრობით ვითარდება პროლეტარული რევოლუციის თანამგზავრობისა და მოკავშირეობის ხაზით.

ცხადია „გარეგანი“ სოციალური იმპულსებით განპირობებულ ამ გარდატეხას სათანადო წინაღმდეგობები მოეპოვებოდა თვით პოეტის პიროვნებასა და შემოქმედებაშიც. წვრილბურჟუაზიული ბოჰემის პოეტურ მსოფლმხედველობაში იმ თავივთვე იყო ელემენტები, რომლებიც ასეთი ვადაშუშავების შესაძლებლობას იძლეოდნენ. გალაქტიონ ტაბიძემ დაიწყო რევოლუციის, როგორც ნგრევითი სტრუქციის, ესთეტიზაციიდან, ზოგად რევოლუციონური პათოსის პოეზიიდან და თანდათანობით უახლოვდება რევოლუციონური შემოქმედების, მებრძოლ პრაქტიკის კონკრეტულ თემატიკას. ამ განვითარების თვალსაზრისით თავისებურ ეტაპს წარმოადგენს გ. ტაბიძის შემოქმედებაში მის მიერ გასულ წელს გამოქვეყნებული პოემა „რევოლუციონური საქართველო“.

ეს ფართო პოეტური ტილოა, რომელიც მოხაზავს საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს მომენტებს, აქ მოუტი უკვე საფუძვლით რევოლუტურ და კონკრეტულ მოვლენათა ნიადაგზეა დამდგარი. ჩვენი ინდუსტრიის ახალი გიგანტები ზაჰესი, რიონჰესი, სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესები, ახალი ადამიანი და მისი ფორმაციის გზა — ასეთია თემატიური მასალა ამ პოემისათვის, რომელიც არის ცდა ერთ მთლიან პოეტურ კონსტრუქციაში მოგვეცეს გამოხატულება იმ ბრძოლებისა და შემოქმედების, რომლითაც მდიდარია საბჭოთა საქართველოს არსებობის ათი წელი.

აქ არა მარტო სახეიშო განწყობილების დემონსტრაციაა, არა მარტო რევოლუციონური აღფრთოვანება და რიტორიკაა, არამედ კლასობრივი ბრძოლის ახალ, თავივებურ ფორმების გაგება და მათი კონკრეტულ გამოვლინებაში მოცემა.

მაგრამ რამდენათაც ამ მხრივ ეს პოემა წარმოადგენს გ. ტაბიძის რევოლუციისავე განვითარების უმაღლეს ეტაპს, იმდენათვე მასალის კონკრეტულობისა და აქტუალობის ფონზე მოედის სიცხადით იჩენს თავს ერთი გარემოება. გალ. ტაბიძის პოეტური კონცეპტია, ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნილა ისე ღრმად, რომ ორგანიზულად წესდლოს ამ ახალი პროცესების გამოხატვა, რომ ამ სპეციფიურ მოძრაობაში მოცემულ მასალას მხატვრული მეტყველების შესაფარდი საშუალებები მოუჩახოს.

პოემაში არის მეტად ძლიერი, ტაბიძისათვის ჩვეული ექსპრესიით, გულწრფელობით და ნამდვილი ოსტატობით შესრულებული ადვილები, მაგრამ მთელ

რიგ მომენტებში იგრძნობა პოეტის ზედაპირული მიდგომა მასალისადმი/ მისი არა ორგანიული გაგება და მხატვრული დამუშავების შედარებით დაბალი დონე.

პოემა ფრაგმენტულია არა მარტო მასალობრივ სხვადასხვაობის თვალსაზრისით, არა მარტო ამ სხვადასხვაობიდან გამომდინარე რიტმიული და საერთოდ პოეტური აღნაგობის აუცილებელ ცვალებადობის თვალსაზრისით, არამედ მხატვრულ პოტენციის ინტენსივობის წხრივაც პოემაში დაცული ვერაა ერთი და იგივე დონე და ხარისხი. ანალიზს იმ დასკვნამდე მივყვებით, რომ სადაც პოემა ემყარება რევიოლუციონურ ამსტრაქციას, საერთოდ ბრძოლას, პათოსს, აქ პოეტი გაცილებით ღრმაა და ძლიერი, სადაც ლექსი შენდება ყოფითი მასალაზე, იქ დაბლა ეშვება მხატვრული, მეტყველების ვერტიკალი, საილიუსტრაციით მოვიყვანათ ორი ადგილი:

„არა თუ წლები გადიტა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი ბჭკარი
არის გაჭრილი კლასიურ თმად,
არის ეპოქის დროის ქვეშ მდგარი.
ემოქა არის ნამგლის, ტურების,
ემოქა, რამაც ძველა შეთოქა,
ემოქა ძველის გააადგურების,
იდუსტრიალურ დროის ეპოქა.
ამ გარდატეხის ათეული წლის
ჩვენთა მიღწევათ მონაგარიზე
წყრტილი რაა, სტრიქონი, ისიც-
ისიც არ უნდა დარბეს გარეშე.
ყველამ შეტყვა და შეჯახება
ერთ მგეტქსედის ხმალთან დაღესოს
როცა ემოქა დაეჯახება
კარებს მსოფლიო კაპიტალისას“.

აქ მეტროლი ფრაზა სავსებით ორგანიულია ლექსის პათეტიურ აღნაგობასთან, მაგრამ შევადაროთ ებლა მეორე ადგილი პოემიდან:

„აბრეშუმი გესურს და
არა ძინძები
მშრომელები
და არა ზორბოენები,
არაუვისთვის
საიდუმლო არაა
მუშას რად არ სჯრს
აბრეშუმის მარათ.
მაგრამ ამბობს:
გეოლოგო, კმარათ,
დაიჯერებ
ან მეტი რა ჩარაა:
მუშასაც სჯრს
აბრეშუმი ამროვად
როგორც გინდათ
ეს ამბავი გაიგეთ.



ებლა კი მობრძანდით
 მობრძანდით...
 აქ არ არის აღრიცხვა
 დავათვალიეროთ
 ჩვენი ჟურნალი“.

აქ უკვე აღარ იგრძნობა ტაბიძის დამახასიათებელი პოეტური სიღრმე და ძალა. აქ ლექსი კარგავს სიმკვრივეს, ორგანიზაციულობას, ზემოქმედების ინტენსივობას. ასეთი დაპირისპირებიდან ცხადი ხდება, რომ პოეტი ისეთი ორგანიზაციულობით ვერ მიუახლოვდა კონკრეტულ თემატიკის არეს, როგორც ორგანიზაციული იყო იგი როცა „ესტეტიურ“ მასალებზე მუშაობდა. აქ პოეტის წინაშე ისახება შეტად რთული და მწელი ამოცანა. ახალი აქტუალური სოციალიზმის მშენებელი პრაქტიკიდან აღებული მასალა მოითხოვს მხატვრულ დამუშავების ნეტს ინტენსივობას და უფრო მაღალ ხარისხს; აქ გაუბრალოება და ზედაპირობა განსაკუთრებით საშიფათოა და ნიუღებელი. მაგრამ ამ ახალ მასალისათვის ცხადია არ გამოდგება რომანტიულ-დეკანდენტურ თემებზე გაწრთვნილი და გამოუმუშავებული მხატვრული აპარატურა. აქ საჭირო ხდება აგრეთვე ძირეული არდატება და ვარდაქმნა.

გ. ტაბიძის, როგორც სოციალიზმის მშენებელი დღევანდლობის პოეტის უმთავრესი ამოცანა ებლა სწორედ ამაში მდგომარეობს, მის მიერ განვლილი გზა-პროლეტარული რევოლუციის მოკავშირეობისაყენ არის გარანტია იმის, რომ გ. ტაბიძისათვის ვარდაქმნისა და ვადამუშავების პროცესში დაუძლეველი სიძნელეები არ არსებობს.

გასული წელი სი მონ ჩიქოვანისათვის მხატვრულ პროდუქციის რიცხვობრივი—ხარისხობრივი ზრდით აღინიშნა. პოეტი ავიდა თავისი შემოქმედებით განვითარების ახალ ეტაპზე. სოციალისტური რეკონსტრუქციის პათოსმა, ახალ სოციალურ ვითარებას მასალობრივმა გარემოცვამ იდეური ბრძოლის უმაღლესმა საფეხურმა მძლავრი იმპულსი მისცა ჩიქოვანს მუშაობაში ახალი იდეური და მხატვრული ხარისხის დამკვიდრებისათვის.

ასეთი განვითარება ჩიქოვანისათვის ლოლიკურია და საესებით გამომდინანარე მისი შემოქმედების-კანონზომიერებიდან. ჩიქოვანი როგორც პოეტი საქართველოს ოქტომბრის შემდეგი მოვლენაა. საბჭოთა საქართველოს მეზრძოლ და მშენებელ გარემოცვაში ჩამოყალიბდა მისი მხატვრული კონცეპცია. მისი მხატვრული პრაქტიკა თავიდანვე მეზრძოლი აქტივობით ხასიათდებოდა, ეს ბრძოლა პირველ ეტაპზე მიმართული იყო ქართულ ლიტერატურის კონსერვატიული თაობას წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ ამ ბრძოლას, არ ქონდა გარკვეული კლასობრივი ბაზა და იდეური სიმტკიცე, ეს იყო უფრო წვრილ-ბურჟუაზიული ლიტერატურული ბუნტი—ფუტურისტული ნოვატობობა, რომელსაც თუმცა ეპოქის რევოლუციონური პათოსი და დინამიკა ასაზრდოვებდა, მაგრამ ეპოქის მეთაური კლასის—პროლეტარიატის მსოფლმხედველობიდან მაინც შორს იდგა. ჩიქოვანი ქართულ ლიტერატურაში მეზრძოლ რევოლუციონური ინტელიგენციის სანიმუშო წარმომადგენელია. და სანიმუშოა იმ მხრივაც, რომ იგი უკანდაუხველად, გაბედულად და ლოლიკური თანმიმდევრობით იბრძვის საკუთა-

რი შემოქმედებითი ბუნების სოციალისტური გარდაქმნისათვის, მუშათა კლასის მსოფლმხედველობის ორგანიულად დაუფლებიანათვის, ფუტურისმისა და ფორმალისმის, ყველა ნაშაების აღმოფხვრისათვის თავისუფლად კონცეპციიდან.

გასული წლის პროდუქციიდან, გარდა დეკლარატული ხასიათის ლექსებისა, როგორცაა „პოეტის სიტყვა“, „გმირი და წინ“, — აღსანიშნავია ჩიქოვანის ლექსებში „შემოღამება ხახმატში“ და „ალაზნის ველი და ალაზნის ბამბა“ ეს ორი უკანასკნელი ნამუშევარი არის განვითარებანი ხახისა, რომელიც დაიწყო „უშგულის კომკავშირი“თ.

აქ სპეციფიურ მომენტებს წარმოადგენს ლექსის სუბეტური კონსტრუქცია, სადაც რეველუციონურ პოეზიის მოწოდებითი — პათეტიური განრი შეცვლილია პოეტური მომთხრობლობის პრინციპებზე დამუშავებული აღნაგობით. ასეთი სტრუქტურა, ცხადია, უფრო შესაფერია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკიდან აღებულ კონკრეტულ მასალის განსხეულებისათვის. ამ მხრივს ლექსები არის ცდა საერთოდ ჩვენი ახალი პოეზიის ყოველდღიურობით თემატიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოწვეულ ახალ სტრუქტურულ საშუალებების გამოჩახვისათვის.

აქედან ცხადია, რომ ჩიქოვანის ეხლანდელი მუშაობა უკვე აღარ განისაზღვრება ესთეტიური ნოვატორობით, რომ აქ უკვე ლიტერატურულ ექსპერიმენტს გარკვეული ფუნქციონალობა ეძლევა: ახალ იდეურ შინაარსობრივი კატეგორიებისათვის გამომეტყველების ახალ საშუალებათა ორგანიზაცია.

„შემოღამება ხახმატში“ ხევისურეთის ლოკალზეა აგებული. მაგრამ აქ დაძლეულია ბუნებისა და პრიმიტივის მიმართ ეგზოტიური მიდგომის და პასიური აღფრთოვანების ლიტერატურული ტრადიცია. პოეტის ხედვის ცენტრში აქ ადამიანია დაყენებული და ამ ადამიანში მონახულია განვითარების ელემენტის კაცის ტოლვა ახალ ცხოვრებისაკენ:

„გინდის კოლექტივ, კიდევ მსგავსი რაიმე
გაშთხდა ერბოს, წმინდათ, ანაღვერ
კაც იყოს თორემ... მოასაც გაეწირავთ
შევქმნით ცხოვრებას...
დაესწეროთ ჭაღალდებს“.

ჩიქოვანი ამ ლექსში იჩენს პეიზაჟის ძლიერ ოსტატობას, მაგრამ აქ ბუნების სტიქია ათვისებულია სოციალურ გარემოცვისა და ადამიანთა განწყობილებებთან კავშირში.

„უკვე არ სჩანდა სიერცე ბანიდან
ბნელმა კლდეები ჩანთბა, გასრისა;
კლდიდან მფიწარე ღრიალს ჭხავნიდა
თითქოს განზრახვას მიხედა კაცისას“.

„ალაზნის ველი და ალაზნის ბამბა“ თავისი დინამიური და ორგანიზაციული სტრუქტურით წარმოადგენს იმ გმირულ ბრძოლის პოეტურ გამოხატულებას, რომლითაც მშრომელი მასების ენერჯია არღვევს ბუნების წინააღმდეგობას, გარდაქმნის მას თავისი კლასობრივი მიზნებისა და ინტერესე-

ბის შესაფერად და ამ პროცესში გარდაქმნის საკუთარ ხასიათსაღ ლექსი გი-
თარდება სუვეტური პრავმატიულობით, აქაც პოეტმა შესძლო მოეცა წინააღმდე-
გობათა რთული კომპლექსი. ბუნების ჯიუტი სტიქია, მასების მკაცრი წინე-
ბისა და ადამიანის, კოლექტივის და მოწინავე ინდივიდის მიმართული სტიქი-
კრილია პროლეტარულ მსოფლმხედველობის სწორი გაგებით. მოვლენები განხი-
ლულია მდინარებაში და შბატერულად განსხვავებულია მათი დიალექტიკა.

„შალაფი სკამდა ამ მდორე ველს და
სთო არ არბევს დაწოლილ ბუჩაქებს
ასტო მყარ პაერს ვერ ნახავთ ვერსად
სდუმს დაბლობი და

ცის სიერცეს უცქერს“...

„ღმერთა ძაღლიც

მგელის სუნია

იყო დუმილი ვრცელ ველსა ზედა
მთერე მთას გაღმა გაუასულია
და მეჯოფენი გომურში სხედან
გარეთ თუ დარჩა ცხვარი უბედო.
ბღაეის და ჯოკიც დაფრებს ყურიით.
შემდეგ ძალღებაც გრძნობით ღმერთდენ
გომურა

გომურა

გომურა.

ზორს ძაღლის კენესა ტყეშიც ისძინა
და დაიცალა ველი სისხლიდან.

ასეთი მკვეთრი ფერადებით, ინტენსიური ხაზებით მოცემულია ალაზნის
ველის წარსული; აქ აღწერილობის სისრულე მიღწეულია მაქსიმალური ეკონო-
მიით. ამას უპირისპირდება ამ გაუვალი უდაბურობისა და ველური სტიქიის
დაძვრის ეპოსი:

„ველში ძარღვებად გაშალეს არხი
ძარღვების ნესტიც ფაშირი დაღმა
მოვიდა ცეცხლში გაწერთილი მალხი
და შოიტანა ჩხრიალა ბამბა“.

„მოასული მალხი, კაციც კლასისა
ველს მოუფრობდა საბუთით აშხაცს;
გავიდა მასა, კოლო გასრისა
და დაიძაბა.

ბამბა

ბამბა

ბამბა

ბამბავენ ველს. საიდან სად?
და დევს მდინარე

მდუმარე ღურჯაად.

ტრაქტორს ეღვიძა ოცდაათ საათს
და წუთით ცეცხლიც არ მოუხუტავს.

როგორც სჩანს ჩიქოვანი აქ ფუნქციონალურად იყენებს მის მიერ წინაღ
ახალ პოეტურ მეტაფორების ხაზით წარმოებულ ექსპერიმენტებს. ორკესტრული
ლექსების ზერხი აქ გამოყენებულია სრული სემანტიური დატვირთულობით...

ფერ. „მნათობი“ № 3—4.

ამ ლექსებით ჩიქოვანის შემოქმედებითი გზა უახლოვდება მუშათა კლასის მსოფლმხედველობას. მათში უძველესად არის მატერიალისტური დროლექტიკის ნიადაგზე დამყარებული შემოქმედებითი მეთოდის ელემენტები, მწკრივად შეგნებული ძიება და ცდა.

მაგრამ ჩიქოვანი უკანასკნელად გაერბის ინდუსტრიალურ თემატიკას. ეს მატებს მის პოეზიას მასალობრივ ერთფეროვნების საფრთხეს. სოციალისტური შემოქმედების პრაქტიკა პოეტმა უნდა დანიხოს მის მრავალმხრივ და მრავალფეროვან ყოველდღიურობაში, სოციალისტური რეკონსტრუქციის ბაზის ჩვენი ინდუსტრიის გიგანტური ზრდა წარმოადგინოს მასში გაშლილი შრომის ახალი, ზოლმედიური ფორმებით და მეთოდებით, მისი მამოძრავებელი ახალი ადამიანებით, დამკვრელობით, ინდუსტრიის გმირებით. ამ მასალაზე მუშაობა განსაკუთრებით მოეთხოვება ჩიქოვანს, როგორც ურბანისტულ პოეზიის ტრადიციის მჭონე პოეტს. ჩიქოვანის პოეზიაში უნდა გაღრმავდეს ყოველდღიურობის და აქტუალობის მომენტი. მან მეტი პოლიტიკური სიმახვილე უნდა მისცეს თავის ლექსებს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ჩიქოვანის ეხლანდელ მხატვრულ პრაქტიკაში ლაბორატორიული ექსპერიმენტიზმი ზოგჯერ ლექსს უკარგავს მასიურ ხასიათს. სინტაქსის სიმძიმე და სირთულე, სახეების ასევე რთული კონსტრუქცია და სხვ. ამ ლექსებს ხდის კვალიფიკიურ აუდიტორიის მოხმარების საგნად. ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ ლექსი მიდიოდეს უფართოეს მასებთან და აზღვრდეს მისი შეგნების ორგანიზაციას, მისი მებრძოლი ენტუზიაზმის ზრდას. ეს ამოცანა სდგას ჩიქოვანის წინაშე ეხლანდელ ეტაპზე, რომელიც მან უნდა განახორციელოს, რა თქმა უნდა მხატვრული ოსტატობის ხარისხის შემდეგი გაღრმავების და გაუმჯობესებების პირობებში.

თუ ჩიქოვანმა შესძლო ასეთი მანძილით მიახლოვება პრიორიტარიატის იდეურ პოზიციებთან, ამას ვერ ვიტყვიტ ამავე ლიტერატურულ თაობიდან, ყოფილ მემარცხენეობის ბანაკიდან გამოსულ მეორე მნიშვნელოვანი მწერლის დემანა შენგელაიას შესახებ.

როგორც ცნობილია დემანა შენგელაია ქართული ახალი ბელესტრიტიკის ერთ ერთ საუკეთესო და მოწინავე ოსტატად ითვლება. ისიც როგორც მწერალი საბჭოთა საქართველოს კულტურულ ტენდენციების ნიადაგზე აღიზარდა მიუხედავად იმისა, რომ გასაბჭოებამდე იბეტლებოდა, დ. შენგელაიას პირველმა მნიშვნელოვანმა ნაწარმოებმა „სანავარდომ“ გარკვეული როლი შეასრულა ქართულ მხატვრული პროზის განვითარებაში, ეს იყო პირველი გარღვევა რომანისა და საერთოდ პროზის კრიზისის ჩვენს ახალ ლიტერატურაში, როგორც თავისი სოციალური და იდეურობით, ისე ფორმალური სიძლიერით ეს ნაწარმოები იმ დროინდელ გარემოცვაში უდაოდ ახალ და პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა, ამის შემდეგ შენგელაიამ მთელ რიგ მოთხრობებში გვიჩვენა ახალ თემატიკაზე მუშაობის უნარიანობა და განსაკუთრებით ახალი მეტყველებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა. მაგრამ უნდა ითქვას რომ მან ვერ შესძლო ლოდიკური თანმიმდევრობით ზრდა. მისი „ტუილისი“ იყო უკან დახევა სიმბოლიზმის და მისტიციზმის-პოზიციებისაკენ. მას ქონდა ძლიერი ფორმალისტური მოვლენებიც. მან ვერ მოახერხა ყველა ამ მოვლენების დაძლევის

ნიადაგზე გადასულიყო ახალ აქტუალურ მასალაზე და მოეცა ჩვენი ეპოქისათვის შესაფერი მხატვრული ტილო; ეს უნდა ითქვას ხაზგასმეფე უფემაროში-სოთ, რადგან შენგელაიას ნოეპოემა ყველა შესაძლებლობები ამ სწავნილებებიდან თავის დახწვევისათვის. საჭიროა მხოლოდ გახედულად გადასინჯვა საკუთარი ლიტერატურული გზის და ენერგიული შებრძოლება ინერციასთან. შენგელაიას, როგორც აგრეთვე მემარცხენე ლიტერატურულ ინტელიგენციის წარმომადგენელს ცხადია არა აქვს რაიმე კავშირი პროლეტარიატის მოწინააღმდეგე კლასების იდეოლოგიასთან. მას არც ისე ნიმიე ტრადიციების ტვირთი აწევს, რომ მისი გადალახვა შეუძლებელი იყოს. პირიქით მას აქვს ლიტერატურული ნოვატორობისა და პროგრესისათვის ბრძოლის ტრადიცია.

შენგელაიას სრულიად არ უმუშავნია სოციალისტურ რეკონსტრუქციის მასალაზე. მისი მხატვრული პროდუქცია უკანასკნელი პერიოდის პრობლემატიკის მხრივაც დაშორებულია დღევანდელიაობის იდეურ დონეს.

გასულ წელს მან დაამთავრა და გამოაქვეყნა რომანი „ბათა ქექია“ რომელიც მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. ამ რომანში საესეებით დაძლეულია ფორმალისმის და მისტიციზმის ყველა ტრადიციები. აქ ავტორი იჩენს მომთხრობლობის იშვიათ უნარს, პირადი, თითქოს ავტობიოგრაფიული თხრობის ხერხით გაშლილია შეტად მდიდარი და მრავალფეროვანი სოციალურ ფაქტორების შემცველი ეპოსი. თავის ენარის მხრივ ეს რომანი სრულიად ახალი და ორგინალური მოვლენაა ჩვენს საბჭოთა ბელეტრისტიკაში. ნაწარმოები მთლიან სტილისტიურ ერთეულადაა შეკრული. კონსტრუქცია ორგანიულია და განვითარება საესეებით ლოლიკური. სიტყვიერი მასალის ორგანიზაციის მხრივ, სტილის ორიგინალობის თვალსაზრისით, ოსტატობის ხარისხით, ხედვის და გამოთქმის სიმახვილით ეს უთუოდ კვალიფიციური და მაღალი ხარისხის ნაწარმოებია, მაგრამ ასეთი ნამუშევარი თითქმის სრულიად შეუმჩნეველად და უყურადღებოდ დარჩა. მან ვერ შექმნა ეერავითარი რეზონანსი და ვერ დაიმსახურა შკითხველი მასის ყურადღება. მიზეზი მდგომარეობს ნაწარმოების პრობლემატიურ არა აქტუალობაში და მისი იდეური შინაარსის არა პროლეტარულობაში.

სოციალური ეპოპეიის გასწვრივ ავტორმა ვერ გაიმახვილა კლასობრივი ბრძოლის მომენტები. ისტორიული მასალა ვერ გაანათა დღევანდლობისთვის აქტუალური პრობლემების ასპექტით. მოვლენები აქ განხილულია წვრილი შესაკუთრის ფსიქოლოგიის მატარებელ ბათა ქექიას თვალსაზრისით და არა მუშათა კლასის მსოფლმხედველობითი სიმძალეებიდან. აქ გმირი აზროვნებს, ის ხედავს სამყაროს და იძლევა მის ანალიზს. ავტორი კი, პასიურად ამოეფარება გმირის ხანს. არ სჩანს ავტორის იდეური მიმართება, ამ უკანასკნელის წამყვანი პრიორიტეტი ნაწარმოების ორგანიზაციის პროცესში, ამიტომაც ნაწარმოები მოკლებულია იდეურ ფუნქციანობას „მისი აღნაგობის მეთოდი ვერ უახლოვდება პროლეტარიატის კლასობრივ იდეოლოგიას, ამიტომ ამ რომანს ეკარგება სადღეისო ღირებულება და აქტუალობა მიუხედავად მისი ყველა ლიტერატურული ღირსებებისა, რომლის შესახებაც ზემოთ ვწერდით.

ამ რომანის „ბედმა“ უნდა მისცეს გაკვეთილი ავტორს. იგი გადაჭრით უნდა შემობრუნდეს სოციალისტურ რეკონსტრუქციის მასალებზე და დღევან-

დღეობის აქტუალურ პრობლემებზე მუშაობის მხრივ. მან უნდა შექმნოს თავის მხატვრულ საქმიანობაში მუშათა კლასის მსოფლმხედველობის დამკვიდრება. როგორც ვთქვივთ დ. შენგელიას მოეპოება ყველა შესაძლებლობა, კესთი ძვრისათვის და ეს მან უნდა შესძლოს. რადგან მხოლოდ ამ გზით მოახერხებს შეინარჩუნოს ადგილი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში და სამსახური გაუწიოს სოციალიზმის მშენებელ დღევანდელობას.

საქართველოს პროლეტარულმა ლიტერატურამ ხუთწლეულის გადამწყვეტი წლის სამეურნეო პოლიტიკურ გარემოცვაში კიდევ მეტად გაამახვილა თავისი იდეური კლასობრივი შინაარსიანობა და მოგვცა მხატვრული პროდუქციის ბოლშევიკური ხარისხის მთელი რიგი ნიმუშები. მიუხედავად სოციალისტურ რეკონსტრუქციის ტემპებისაგან მთლიანად ლიტერატურისა და კერძოდ პროლეტარულ მწერლობის საგრძნობი ჩამორჩენილობისა, რამაც განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩინა თავი გადამწყვეტი წლის გაზრდილ მოთხოვნათა სინათლეზე, მაინც უდაოთ უნდა იქნას აღიარებული ის ფაქტი, რომ პრ. მწერალთა პროდუქცია საანგარიშო პერიოდში უკვე ქმნის უდავო წინამძღვრებს პროლეტარული იდეოლოგიის გეგმონიისათვის მხატვრულ შემოქმედების დარგში, ლიტერატურულ პრაქტიკაში მუშათა კლასის მსოფლმხედველობაზე დამყარებული მხატვრული მეთოდის დამკვიდრებისათვის.

მიუხედავად პროლეტარული პარტიული სექტორის მომუშავეთა მიერ დაშვებული მთელი რიგი შეცდომებისა, რასაც ცხადია უშუალო უარყოფითი გავლენა ქონდა პროლეტარული მხატვრული პრაქტიკის ჯანსაღ განვითარებაზე, მიუხედავად პრ. მწერალთა ასოციაციის ამ ლიტერატურულ ფრონტის ძირითად და წამყვან ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ მთელი რიგი შეცდომებისა (ადმინისტრატიული საკითხების ზედმეტი გატაცება, თვითკრიტიკისა და შემოქმედებითი დისკუსიის არა საკმარისად გაშლა და სხვა.) რასაც აგრეთვე არ შეეძლო ასე თუ ისე არ შეეფერხებია მხატვრული შემოქმედების ნორმალური ზრდა-ყველა ამგვარ სიძნელეთა მიუხედავად პროლეტარულმა მწერლობამ თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით მოიპოვა მწერლობის ფრონტზე გადამძლევი ხედრითი წონა და საბოლოოდ უზრუნველყო სოციალისტური შინაარსის მატარებელი პროლეტარული ლიტერატურის გამარჯვება. გარდა უკვე ძველი კადრების აქტიური მუშაობისა, განსაკუთრებით ალსანიშნავია ახალ შემოქმედებითი კადრების წამოწევა და განმტკიცება, რომელთა მხატვრულმა უნარმა და პოტენციამ, მათი სამწერლო მუშაობის პირველსავე ეტაპზე მოგვცა თვალსაჩინო ეტაპი და ახალი ხარისხით გაამდიდრა ქართული პროლეტარული პროზა და პოეზია.

როცა მთლიანად პროლეტარულ მწერლობის ზრდასა და მიღწევების შესახებ ვლაპარაკობთ, ცხადია ეს ნიშნავს იმას, რომ პროლეტარულთა ასოციაციაში გაერთიანებული მრავალრიცხოვანი შემოქმედებითი აქტივი ერთფეროვან მასას წარმოადგენს და ყოველი მათგანის შემოქმედებითი მონაწილეობა სოციალიზმის მშენებლობაში ერთგვარი ხარისხით განისაზღვრებოდა.

გადაქრით უნდა ითქვას, რომ საქართველოს პროლეტარულ მუშაობის პირველ ორგანიზატორთა და დამწყებთა თაობიდან შეთელი რიგი მწერლები მხატვრულ პროდუქციით საგრძნობლად ჩამორჩენ გადამწყვეტმწყობსამწყებებს და ვერ გამოიჩინეს ლიტერატურული ბრძოლის ლენინური ტრადიციის დამა-ხასიათებელი აქტუალობა, სიმამხვილე და ახალ ვითარებაში ახალი მეთოდით მუშაობის საკმაო უნარი.

მაგალითად ისეთი დიდი დამსახურების მქონე პროლეტპოეტები, ჩვენი პროლეტარული პოეზიის პირველი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, როგორცაა ანხ. სანდრო ეული და ნოე ზომლეთელი გასულ წელს განისაზღვრენ მხოლოდ საიუბილეო და დეკლარატიული ლექსებით, რომლებიც მათ შემოქმედებაში არაერთად შემთხვევაში არ წარმოადგენენ რაიმე ახალ სატყვას, რომლებიც ხასიათდებიან იმავე ზოგად რევოლუციონური ფრაზით, კოსმიზმით, სტემატიზმით. სანდრო ეულის „ჩვენი ლექსი“ და „საოქტომბრო“ ნოე ზომლეთელის „რევოლუციონური სიტყვა“ და „საბჭოთა საქართველო“ არის კადეც ერთხელ განმეორებული ვარაიაცია მათ მიერვე მრავალჯერ თქმულის და დაწერილის. რათქმა უნდა ეს ლექსები თავისი იდეურ პოლიტიკურ შინაარსით სავსებით პროლეტარულია და რევოლუციონური, მაგრამ სადღესო სოციალური ფუნქციის შედარებით ნაკლებათ მნიშვნელოვანია. ასეთ პოეზიას ქონდა თავისი გამართლება, აქტუალობა და ღრმა რევოლუციონური ფუნქცია საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში და უფრო ადრეც. მაგრამ ნუთუ ცხადი არ არის, რომ ეხლა საბჭოთა საქართველოს შესახებ ჩვენ ქვეყანაში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის შესახებ აღარ შეიძლება მხოლოდ ამ გვარად წერა:

„მით მოიჭილა დღეს ცის სვედი
და გადმოცურებს ფიჩხის კარად
რადგან ზეიმობს მიწა-ტყეადი,
იღვრება ღვინო ღალად და ქარუად.

ქორწილი არის, ეინა ხის სიძედ.
მას დედფაღიცი ვინ უხის ქალად.
სსკეფს მოძრაობა ათი წლის სიგრედდ
მილიონიან შემომქმედ ძალად“.

(ნ. ზომლეთელი „საბჭოთა საქართველო“)

პროლეტარული პოეზიის ფანტაზია არ უნდა დავიდეს იქამდე რომ საბჭოთა საქართველოს ძლევამოსილი, გარდამქმნელი შემოქმედებითი არსებობის ათი წელი ქორწილად წარმოიდგინოს, სიძე-დედოფლის ღვინოსა და ღალქარვის ინვენტარით განსაზღვროს გამწყვეტებული კლასობრივი ბრძოლების შედეგად გაშლილი გამარჯვების თარიღის ამსახველი ლექსი.

დასახელებული პროლეტარული პოეტები ვალდებულნი არიან ღრმად გადასინჯონ ლიტერატურულ მუშაობის მეთოდი და იგი თავისი კლასის მებრძოლ პრაქტიკის ეხლანდელ ეტაპზე დაძრულ ამოცანების შესაფერათ გარდაქმნან სოციალიზმის მშენებელი დღევანდლობა მის კონკრეტულ გამოვლინებებში ამ კონკრეტულ მასალებში კლასის იდეურ მისწრაფების გამოხატვით — აი გზა რომელზედაც უნდა დადგეს ბოლშევიკურ პოეზიისათვის მებრძოლი პროლეტპოეტი

გასულ წელს დაიბეჭდა იაკინთე ლისაშვილის ლექსების წიგნი „გაშლილი ფრონტი“. წიგნში მოთავსებული ლექსების თემატიკა სოფლადა და ქალაქად წარმოებულ სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესში განისაზღვრება. სოციალისტური ინდუსტრიის, კოლექტიური მოძრაობის და საერთოდ კომუნისმისათვის ბრძოლის პრაქტიკა არის ამ ლექსების იდეურ-მასალაობრივი საფუძველი. ამ მხრივ ლისაშვილი შედარებით მრავალმხრივია, შედარებით რამოდენიმე კონკრეტულიც, ის არ გაურბის აქტუალურ მასალებს და სადღეისო პრობლემატიკას. მაგრამ მის პოეზიაშიაც სტემატიკაში ბატონობს, მოვლენათა მოძრაობაში და განვითარებაში განხილვას, მის დიალექტიურ გამოხატულებას ლისაშვილი სათანადო სიღრმით ვერ ახერხებს ამავე დრო მთელ რიგ მომენტებში ავტორის განწყობილებითი ენტუზიაზმს და მასალობრივ აქტუალობას ვერ შეეფარდება მხატვრული ხარისხი და პოტენცია. საერთოდ ლისაშვილი ნაკლებად მუშაობს პოეტური მეტყველების ტექნიკაზე. მთელ რიგ მომენტებში მის ლექსებს აკლია სტრუქტურული სიმტკიცე. ზოგჯერ აქ ლექსში გარითმულ პროზამდე დასული:

„ბოლშევიკურად
ვიტყვი სიშარბელს
ჩვენი შეტევით-
ციებლი მალდება
წითელ ლაშქართა
სახეს ანათებს
ბრძოლა, რომელიც სწრაფად ჩაღდება“.

ლექსის ბოლშევიკურ ხარისხისათვის ბრძოლის პერიოდში პროლეტპოეტს არ ეპატიება ასეთი დაუდევრობით და უყურადღებობით მოეპყრას ლექსის აღნაგობით მხარეს. შედარებები ხშირად პრიმიტიული აქვს:

„ზურგიდან შტეფის
გვიწევა ბური
და აკვანივით
მანქანა გვარწევს
ჩვენ კი ეხარხარებთ
როგორც ნაპრალში
ჩამოშვებულნი
ჩქარი მდინარე“.
ჩვენი თშებია
თითქოს ფაფარი
„მზე გადა მოგორდა
მწიფე ვაშლივით
მაიას დილა ბანაობს ნისლში
ველები თითქოს
ძლივაა გაშლილი“

ძირითადში ლისაშვილის პოეზია განწყობილების მხრივ განსაღია, მაგრამ არის არა პროლეტარულ განწყობილებათა მომენტებიც:

როგორც დილახე
მინდვრად ბალახი
ამოიხუნთქებს

თითქოს პირველად,
მეც ასე მომეჩინა
როცა კალაქით
რამდენიმე დღით
გავედივარ ველად“



პროლეტარული პოეზია ძირითადად ინდუსტრიალური პოეზიაა, რადგან თვით პროლეტარიატი ინდუსტრიალური კლასია. ამიტომაც საკვირველია, რატომ ეხუთება სული პროლეტპოეტს სოციალისტური მშენებლობის ცენტრში ქალაქში.

საერთოდ ლისავეილის ეს წიგნი მოწმობს ავტორის სიფხიზლეს დღევანდლობის თემატიკისა და ამოცანებისადმი. ამ მხრივ ლისავეილის არ ემჩნევა ჩამორჩენილობა, მაგრამ მან მეტი ინტენსივობით უნდა იმუშავოს მხატვრულ მეტყველების, ლექსის ტექნიკის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

აღსანიშნავია რომ პროლეტპოეტთა ამავე თაობის წარმომადგენელს პეტრე სამსონისძეს ლექსისა და პროზის დარგში გასულ წელს არაფერი მოუცია. ასეთ უმოქმედობის ერთგვარ გამართლებას წარმოადგენს მისი მუშაობა დრამატურგიის სფეროში. მისი პირველი პიესა „სალტე“ რომელიც გაშლილია სოფლის სოციალისტურ გარდაქმნისა და ამით გამოწვეულ გამძაფრებულ კლასობრივი ბრძოლის მასალებზე, — უდავოთ ჩვენი პროლეტარული დრამატურგიის აქტივს მიეკუთვნება. ამ წერილის ფარგლები არ შეუდგებით მის დაწვრილებით გარჩევას, რადგან დრამატურგია, როგორც საესეზო სპეციფიური სფერო ცალკე განიხილვას მოითხოვს და ამას გარდა დაუბეჭდავი პიესის ლიტერატურულ ღირებულებაზე მსჯელობა — სპექტაკლის მიხედვით დაზღვეული ვერ იქნება შეცდომებისაგან.

ვიორგი ქუჩიშვილის მიერ გასულ წელს გამოქვეყნებული ლექსების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათაც პროლეტპოეტის პირველი ეტაპის დამახასიათებელი სქემატიზმი, რევოლუციონური დეკლარატიულობა და პათეტიური კონსიზიში ახასიითებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იონა ვაკელის „ორი პოემა“ რომელიც გასულ წელს გამოსცა „ქართულმა წიგნმა“ „ხელმოხანი“ და „არსენა ჯორჯიაშვილი“. პოეტს დაუმუშავებია ისტორიულ — რევოლუციონური თემატიკა. პრინციპიალურად ამის წინააღმდეგ, ცხადია, არაფრის თქმა შეიძლება. პირიქით, დროა აღმოვეხვრათ ტენდენციას, რომელიც ცდილობდა პროლეტარულ ლიტერატურის თემატიკა მკაცრად განესაზღვრა მხოლოდ დღევანდლობის მასალებით და დაეკანონებია ერთგვარი დროული ლოკალი და ფარგლები. პროლეტარული პოეზია, რომლის ძირითად ამოცანას სოციალიზმის მშენებელი დღევანდლობის დიალექტიური გამოხატებულება წარმოადგენს, ამავე დროს ვალდებულია მოგვეცეს ისტორიულ წარსულის, მით უფრო ამ წარსულის რევოლუციონური ეპიზოდების გაზისახულება კლასობრივი, მატერიალისტური თეალსაზრისით. შერჩეული მასალის მხატვრულ დამუშავებაში იონა ვაკელმა ვერ გამოიჩინა პროლეტპოეტისათვის სავალდებულო მსოფლმხედველობითი სიმახვილე და კლასიურობა. ამ პოემების ავტორი ღრმადაა მომწყვდეული კლას-

სიკუთრი ლიტერატურის ეპიგონიზმში, მისი პოეტური ხედვა და მტკიცელება ამ შხრივ საესებით შეხლუდლუია და დაბინდული, ამიტომაც მან ვერ მოგვცა ისტორიულ-სოციალური მოვლენათა პროლეტარულ გახსნარებასა და განმარტებას.

„ზელიშანში“ ვაკელი წერს:

„ასეთ ღამეში თვით ეშმაკი ბრახისგან წივის
სოროს დაეძებს ღამის მგევი და თვით ვარჯუში
აღარ იძახის გამარჯვებულ კომანდირივით
რომ კულავ მოაწყოს ზეიმი და დიდი აღლუმი“.

როგორც ლექსის რიტმიული ორგანიზაცია, მისი კოლორიტი, ლექსიკონი ცხადყოფს რომ პოეტი მისტიციზმის გავლენაშია და მას არ ახასიათებს მოვლენათა პირდაპირი და რეალისტური ხედვა, რაც პროლეტპოეტისათვის საველდებულოა. აი კიდევ ამის ხიმუში:

„მაგრამ აგერხან ზომ მტერია ზელიშანისა
ვით დღე და ღამე, ეა და მიწა, ცეცხლი და წყალი
როგორც ვეშანი და ნინავრი პირვანისა
არ შეუძლიანთ გაუჩერონ ერთმანეთს თვალი“.

ამ პოემაში მოცემული იშვიათი ნიმუშები კლასიკური მწერლობისამდრ ეპიგონურ მიმბაძველობისაა.

„ჰაი შენ ბედო უღირსო ხვედრო, ომ ზევის ძაღლო,
აჭვე გაბთქეთ დედაშიწის ეანი და სისქე,
რადგან ნაშუსიე ამ აბრავმა სულ აშაკალა
შელტერებლივ დამაქანა ღრმა ჟუსკრულისაკენ“.

ძნელი გასარჩევია, პროლეტ მწერლის პოემის კითხულობთ, ისტორიულ რევოლუციონურ მასალაზე აგებულს, თუ შექსპირის ტრალედიას, მაჩაბელის თარგმანში. უფრო რელიეფურად ამ ეპიგონიზმის საილიუსტრაციო სტრიქონები:

„ცეზას თვით მერი არ დაურტყამს ქვეჯრისთვის ისე,
როს მიწისადმი ვერ ფარავდა იგი სიბრახეს,
როგორც ომარმა ორღესელი ბასრი მახელი
დაჭრა ზელიშანა აფრასავით აღმართელ თავზე“.

აქ პირდაპირ, ხელუხლებლადაა აღებული შექსპირის „მამლეტიდან“ პირველი აქტიორის მონოლოგის კონსტრუქცია, ლექსიური მასალა, სახეები და სინტაქსისიე კი, მხოლოდ მცირედი ვარიაცია და სხვა სახელებია ჩასმული. შედარებისათვის მოვიყვანოთ ხსენებული მონოლოგიდან სათანადო აღვლი:

„ციკლოპს ჩაქუნი არ დაეკავს ისე გულგრილად,
როდესაც იგი მარსს უხედდა მტკიცე საქურჯელს
ვით პრიამს ხმალი სისხლიანი დასცა პიროსმა.
ჰოი, შენ ბედო უნაშუსო, ომ ზევის ძაღლო
ერთად შეკრბნით და წაართვით მას ძლიერება“....

ასეთი მუშაობის მეთოდი რა თქმა უნდა იწვევს მასალის სრულ დამახინჯებას, კლასიკური მემკვიდრეობისადმი ლენინური მიდგომის ასეთი ვულგარიზაცია მეტად საზიფათო და დამლუპველი გზაა თანვედროვე პოეტისათვის. ამასვე მთელი სიმკაცრით უნდა მიუთითოთ იონა ვაკელს.

ასეთივე ეპიგონიზმით ხასიათდება მეორე პოემაც „არსენა ჯორჯიაშვილი“ მხოლოდ აქ მიბაძვის ობიექტად აღებულია არა შექსპირი, არამედ უკვე ილია ჭავჭავაძე და მისი „კაკო ყაჩალი“.

აი ფაქტები: ჯორჯიაშვილისა და მწყემსის შეხვედრის სცენა შესრულებულია შემდეგნაირად:

- „მწყემსს გაუმარჯოს, — იცოცხლე ძმად
 თუ გულს კეთილი განზრახვა გიდეგს,
 — დუშეთელი ვარ ჯორჯიაშვილი
 დიდი გზა დარბა მცხეთამდე კიდევ?
 — ათიოდ ვერსი, მაგრამ ამაღე
 სჯობს რომ აქ დარჩე...“

ვარკუნული
 შიშლიჩიშვილი

მწყემსის დიალოგი ჯორჯიაშვილთან ამ რიგად მთლიანად აღებულია ილიას ზაქროს და მეურმის, ზაქროსა და ბლაჭიაშვილის დიალოგის ვარიაციის გზით. მწყემსი აცნობს ჯორჯიაშვილს თავის ყოფა-ცხოვრებას ტყეში:

- აი, ეს არის, რასაც აქ ხედავ
 რაც რომ ამ ტყეშია მუ ნაბადია—
 და ვეგებები ტანთგაუბდეელი
 აქ უკვლელამეს შენაბადიანს“
 ბევრი რან არის აქ სახალისო
 მაგრამ მოწყენაც საყმაოდ არის
 მაგრამ მერწმუნე ძმათ მთელ სოფელს
 სჯობს ტყეში ვდება მშვიდი და წყნარი“

ბუნებრივად გაგონდებთ ბლაჭიაშვილის საუბარი ზაქროსთან იმის მიერ ტყეში ცხოვრების დაბასიათება.

ჯორჯიაშვილი უამბობს მწყემსს ბოქაულთან ინცინდენტის შესახებ:

- „შეხეთ ამ ლეკსა, როგორ ყვეს აქა.
 იფორა მტკმა და მისი გული
 ისე გასოუდა იმ ბრახისაგან
 ვით მოშაბული გველისგან წყლული.
 მაშ როგორც უხედავ, შენ არც კი ფიქრობ
 საწყალ ხალხზე რომ იბრუნო გული
 რა დაფაშავეთ, წევნ ბომ არა ვართ
 ტყეში გაჭრილი ვაშალი, თული.
 ჩვენც ზომ კაცი ვართ, გვინდა ცხოვრება...
 შეხე ამ რეგვენს რაბესა რომავს
 სულაც არ ესმის ამ ხეპრეს ჩემი“

შეადარეთ ამას ზაქროს ნაამბობი ბლაჭიაშვილისთვის, მისი მამისა და ბატონის დიალოგის შესახებ და ნათელი გახდება მიმბაძველობის უფაქტი.

ამ პოემებს აქვს სხვა ნაკლოვანებაც. ნაძალადევის შედარება ელადასთან, სადაც თითქოს „სისხლი მაქრად მდღლარე მოდის და მოქტუსს უზრნველად“ რათქმა უნდა ესთეტიზაციის და მასალის ყალბად წარმოდგენის მარყენებელია. არის წარსულ ბრძოლათა მიმართ რომანტიულ განწყობილებების ელემენტებიც: —

- „უხედავ ბრძოლებიც თითქოს წაიდინენ
 უწინ რომ ქუხდენ ტალღებათ თურგის“

შეცდომაა აგრეთვე მუშათა კლასის რევოლუციონური ვაბრძოლების შემდეგნაირად შატრულ სახეებში წარმოდგენა:

და როგორც შეეცი და ტყვევებულნი
მტრისკენ რომ იწევს შეხებით მალი
უნდა გავარდეს გარედ რომ შედგეს
თითონაც წახდეს სხვა ცუხანდ
ისე მოსხანე ნაძალადევი..."



აქ პოეტი პროლეტარიატის ბრძოლას გვისახავს შეუგნებელი, ველური სტიქიის ანალოგიით, რაც რათქმა უნდა დიდი შეცდომაა...

ჩვენ განგებ შეეჩერდით ასე დაწვრილებით იონა ვაკელის ამ ორ პოემის გარჩევაზე, რომ ნათლად გვეჩვენებია ავტორისათვის მისი მუშაობის მეთოდის მთელი უხერხულობა, მიუღებლობა და უვარგისობა. «ცხადია ამ ნაწარმოებში არის დადებითი ელემენტებიც. მართო სხენებული პოემის დასასრული რომ ავიღოთ, ჯორჯიაშვილის სიმღერის ხალხური ტექსტის ვარაცია, მისი შესრულების ხარისხი ნათლად მოწმობს პოეტის ნიჭს, გემოვნებას, შესაძლებლობას. მაგრამ ვაკელმა უნდა შესძლოს თავი დააღწიოს კლასიკოსებთან ეპიგონური ტყვეობისა გან. ამის ნაწარმოებში შესაფერი ორგანიზაციით გაიშალა დღევანდელი თემატიკა პრობლემატიკა; ამის გარეშე შეუძლებელია ვაკელმა მოგვეცეს სოციალისტური შინაარსის შემდეგი პოეზია.

გადამწყვეტი წლის მანძილზე პოეტური პროდუქცია არ მოუციათ ჩვენი პროლეტარული პოეზიის ისეთ მოწინავე და პირველხარისხოვან ოსტატებს, როგორიც არიან ალ. შაშაშვილი და კარლო კალაძე, მაშინ, როდესაც წინა პერიოდებში მათ ჩვენი ახალი პოეტური კულტურის მოწინავე პოზიციაზე დგომა და პროდუქციის რაოდენობრივი ნაყოფიარებაც ახასიათებდათ. ამ გარემოების აღუნიშვნელად დატოვება უთუოდ დაარღვევდა გასული წლის ლიტერატურულ პროცესების აღნუსხვისა და ანალიზის მთლიანობას. ამ ორი პოეტის ერთგვარი შემოქმედებითი «შესვენება» იდეოლოგიური ბრძოლის ამ განსაკუთრებულ გამწვავების და გართულების პერიოდში მოითხოვს ახსნას დასათანადო დასკვნებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ფაქტის გამართლება მოინახებოდეს ამპოეტების მუშაობაში დრამატურგიულ თანხზე, მაგრამ პროლეტპოეტის დრამაზე მუშაობა სრულიად არ გულისხმობს ხელის აღებას ლიტერატურულ საქმიანობის იმ სახეობაზე რომელშიც მათ უკვე ძირითადი და წამყვანი მუშაობის მდგომარეობა ქონდათ მოპოებული.

ალიო მაშაშვილი მიუხედავად მთელი რიგი მარქსისტული კრიტიკის მიერ უკვე საქმოდ გაკრიტიკებული შეცდომებისა, — ყოველთვის პოლიტიკურ სიმახვილის, თემატიკური აქტუალობის და შემოქმედებითა პოეტნიკის ინტენსივობით ხასიათდებოდა. კარლო კალაძემ უკანასკნელ წლებში ნაციონალისტურ და სხვა რიგის გადახრების ნიდაჯზე თავის პოეზია აიყვანა ოსტატობის მაღალ დონეზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა ლექსის ახალ სტრუქტურულ ელემენტების დამუშავების ხაზით. უდავოა, რომ ჩვენ მოწინავე პროლეტარულ პოეზიაში კალაძე გამოირჩევა ოსტატობის ორიგინალობით და ფუნქციონალური ექსპერიმენტალობით.

ასეთი შესაძლებლობის პოეტებს მოეთხოვდით თავისი კლასის ბრძოლისა და შემოქმედების ისეთ მაღალ ეტაპზე, როგორიც იყო ხუთწლედის გადამწყვე-

ტი წელი, კიდევ მეტად განვეითარებიათ და გაემიხვილებით პოეტური მშენებ-
 ლების იარაღი და იგი კლასის მებრძოლი ყოველდღიურობის ამოცანების სა-
 მსახურში დაეყენებით.

იგივე უნდა ითქვას ელიზბარ პოლუმორ დვინოვის შესახებ, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად პროლეტარულ ბელეტრისტიკის საუკეთესო და თითქმის ერთადერთ წარმომადგენლად ითვლებოდა. მან ვერ მოგვცა სოციალისტური რეკონსტრუქციის ახალი ეტაპის ამსახველი მხატვრული ტილო, მან ვერ გვიჩვენა ახალი ვითარებისათვის შესაფერი ძვრა და განვითარება.

უკანასკნელად მან დასწერა ნარკვევები ხარკოვის სატრაქტორო სადგურების მშენებლობის მასალებზე „გვიანტის მშენებლები“ ეს ცხადია დადებითი საქმეა და უთუოდ ავტორის შემოქმედებითი აქტიუმი ჩაითვლება. მაგრამ პოლუმორდვინოვის შემოქმედებითი პრაქტიკის ნარკვევებით განსაზღვრა გაუმართლებელია. პოლუმორდვინოვმაც აუცილებლად უნდა მიიღწიოს შემოქმედებითი მუშაობის მეთოდის ძირეულ გარდატეხას. სხვაგვარად იგი უთუოდ დაკარგავს იმ ადგილს, რომელიც მან წინა წლების მუშაობით მოიპოვა ქართული პროლეტარული ლიტერატურის განვითარებაში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გასული წლის შემოქმედებითი პრაქტიკა როგორც პროზის, ისე პოეზიის დარგში მთლიანად განსაზღვრა ქალაქად და სოფლად გაშლილ სოციალისტური რეკონსტრუქციის თემატიკით. ასეთმა მასალაობრივმა და იდეურმა აქტუალობამ იმპულსი მისცა მწერლის უდაუო ზრდას მის ახალ შემოქმედებითი ეტაპზე ასვლას. ლორთქიფანიძის „მუშა გამომგონებელი“ გასული წლის მხატვრულ პროდუქციის და კერძოთ პროლეტარულ პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს იგი ნამდვილი შემოქმედებითი პასუხია პარტიისა და მუშათა კლასის მიერ მწერლობის წინაშე დაყენებულ ამოცანაზე. — ხუთწლედის გმირის ლიტერატურაში ჩვენების შესახებ. აქ პოეტმა მოგვცა არა მარტო თავისი მიმართება, და განწყობილება რევოლუციონური დღევანდლობისადმი, არამედ ამ დღევანდლობის ნამდვილი შინაარსობრივი ელემენტები მათს კონკრეტულ გამოვლინებაში. ნაწარმოების ცენტრალური პრობლემა ახალი, ბოლშევიკური ადამიანია, რადგან პოეტს ესმის, რომ უმთავრესი ფაქტორი და ძალა ზრდაში მყოფი სოციალიზმისა-სწორედ ამ ახალ ადამიანებში მდგომარეობს:

„არა ტენიკით, უსელო ნივით
 რომლის ყეფებას შეწყვეტასწავლი,—
 არა ბრუელინის საოცარ ხივით—
 ჩვენ უმთავრესით გადავასწარით,
 ადამიანით, რომელმაც შრომა
 გადააქცია შემოქმედებათ,
 მისი გვარია, ის რაც გვემაზე
 მეტი სრულდება, მეტი ყთდება“.

მაგრამ ადამიანის უმთავრესობა არ ნიშნავს ჩვენთვის ტენიკის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობას, რადგან „სოციალიზმი არ აშენდება შიშველ-

ხელეებით“ აქედან ამ ლექსის მეორე პრობლემა ბრძოლა ტენიკის დაუფლებიანათვის:

„განაგრძელა ტენიკის ცილე,
ინტეგრალების სქელი კედლებით
მისი აღება უფრო ძველია
ვიდრე გაფლვტა კოლიაკლების
მაგრამ სად არის ცილე ისეთი,
ბოლშევიკების ხელს არ დანებდეს...“

ერყენული
მეზღინითაჲს

ამ ციხის აღებისათვის ბრძოლის ენუტხუიანში იძლევა პოეტი გმირის სახეს აქ დაძლეულია გმირის ჩვენების ვაუბრალეობული ბიოგრაფიისში. გმირი მოცემულია წარმოებითი პრაქტიკაში, შემოქმედებითი ბრძოლის გარემოცვაში. კონკრეტული მასალაა აქ აღებული, მაგრამ იგი განხილულია თავის მრავალმხრივობაში—და ამაში მდგომარეობს ცდა მასალის დიალექტიკური გახსნისა. გმირი აღებული მოქმედებისა და განვითარების პროცესში, იგი განხილულია, როგორც მშენებელი მასის ორგანიული ელემენტი. ამ კონკრეტული მასალის ასპექტში პოეტი თავს უყრის მთელ რიგ მოვლენებს და პრობლემებს, შრომის შინაარსი სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში და კაპიტალის სამყაროში ადამიანის ცნება კაპიტალისტურ ქარხანაში და სოციალისტურ ინდუსტრიაში: ცოდნა და მუშათა კლასი; გამოშვარებლის პრობლემა და სხვ. პოეტმა მიახებრება ამ პრობლემათა ორგანიული კონცენტრაცია კონკრეტულ მასალაში და ამაშია მისი უმთავრესი ღირსება. ოსტატობის მხრივ ლექსი უსათუოდ კვალიფიციურადაა შესრულებული, თუმცა მასში არის ოდის ელემენტები, რაც არ შეეფერება ახალ მასალას, მასში ცოტაა ექსპერიმენტულობა და ემხნევა ერთგვარი კომპოზიციური მონოტონობაც, მაგრამ სამაგიეროთ ლექსი აშენებულია ძლიერი ექსპრესიით, ვულწრფელობით, მეტყველების მაღალ ინტენსივობით.

პროზის დარგში კ. ლორთქიფანიძემ გასულ წელს დაიწყო ბეჭდვა თავისი ახალი ნაწარმოების; „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, იგი იშლება დასავლეთ საქართველოს, კერძოთ იმერეთის ფონზე სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის მასალაზე. ნაწარმოები უმთავრესად ფაქტიურ მასალაზეა გაშლილი. მაგრამ იგი მაინც არ შეიძლება ნარკვევით ჩაითვალოს, რადგან მოვლენები და პერსონაჟები ბელეტრისტული ხერხით არის განზოგადოებული და მხატვრულ ხარისხში აყვანილი, რითაც დაძლეულია ფაქტის ფიქსაციის სტემატიურობა.

ეს ნამუშევარი ლორთქიფანიძისათვის როგორც პრობლემარული პროზის ოსტატისათვის აგრეთვე ზრდისა და დაწინაურების საფეხურით, აქ საგრძნობათაა დაძლეული ფსიქოლოგიური რეალიზმის და „ცოცხალი ადამიანის“ ის მევენ ტრადიციები, რომლითაც ასე მძლავრად იყო შეპყრობილი „ხავისის“ ფოტოგრაფის“ და „პირველი დედა“-ს ავტორი. აქ განვითარებულია და ვალრმავებული ის განსალი ხავი, რომლის დასაწყისსაც ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“ იძლეოდა.

ავტორი ხასიათდება მასალის მახვილი ხედვით; მასალების კლასობრივი ორიენტაციის უნარით, დეტალებში ღრმა სოციალური ტენდენციის აღმოჩენის შესაძლებლობით.

ეს ნაწარმოებები ჯერ შთლიანად არ არის დასრულებული და უნდა ითქვას რომ რაც უფრო შორს მიდის ავტორი, მით უფრო მახვილდება მისი გამარჯვებულობითი პოტენცია და ძლიერდება ოსტატობის ხარისხი. *პარკენსული*

ამ ნაწარმოების სისუსტე მის ფრაგმენტულ აღნაგობაშია. მისი პოტენციალი, ავტორმა ვერ შესძლო ეს მახვილი კუთხით დანახული და ორგინალური ხერხებით შესრულებული მასალა შეეცრა მკვერივი სოფეტური კონსტრუქციით, მოექცია ერთ ორგანიულ მხატვრულ შთლიანობაში, ნაწარმოებს აქლია ორგანიზაციულობა და ერთგვარი დაშლილობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ქართულ პროლეტარულ ლიტერატურის ზრდის და მის ახალ ეტაპზე ამალღების ერთ-ერთ საუკეთესო გამოხატულებას პანტელიმონ ჩხიკვაძის შემოქმედება წარმოადგენს: მისი მხატვრული პროზა ძლიერი ფაქტორია პროლეტარული ბელეტრისტიკის განმტკიცებისა და მასში ნამდვილი ბოლშევიკური იდეურ ხარისხობრივი სიმაღლების დამკვიდრებისა. პანტელიმონ ჩხიკვაძე განსაკუთრებული შემოქმედებითი ინტენსივობით და ნაყოფიერებით ხასიათდება მაგრამ არასოდეს ეს რიცხვობრივი მაჩვენებელი არ იმყოფება წინააღმდეგობაში ხარისხობრივ დონესთან. მის ნამუშევარს ყოველთვის ემშენვეა სერიოზული, დაფიქრებული დამუშავება, ავტორი შეტყერებული აღმავალი ხაზით ვითარდება, საკმარისია შეადაროთ მისი უკვე პოპულიარული „სართლები“ მისივე უკანასკნელი რომანის „ნაბიჯები“ს უკვე გამოქვეყნებულ ნაწილებს, რომ აღმოაჩინოთ მხატვრული კვალიფიკაციის და ოსტატობის ზრდის ჯანსაღი ტემპი. ჩიკვაძის შემოქმედების ღირსებად უნდა ჩაითვალოს მასალობრივი მრავალმხრივობა. იგი სწერს მიმდინარე მშენებლობითი თემებზე და ამავე დროს ამუშავებს რევოლუციონური წარსულის მასალებსაც. იგი ემყარება სოციალისტური ინდუსტრიის კონკრეტულ თემატიკას და ამავე დროს მხედველობის არედან არ სტოვებს სოფლად გაშლილ სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესებსაც, მაგრამ ავტორი ახერხებს ერთნაირი სიმახვილით და იდეური პრინციპიალობით შევიდეს ამ მრავალფეროვან მასალათა სფეროში და მოგვეცეს მათი მხატვრული დამუშავების ნამდვილი კლასობრივ პარტიული ხარისხი.

ამ ზოგად სამიმობილეო წერილის ფარგლებში შეუძლებელია პ. ჩხიკვაძის საკმაოდ მდიდარი მხატვრული პრაქტიკის შემადგენელ-ცალკეულ ნაწარმოებთა გარჩევა. ეს ამ შემთხვევაში არც წარმოადგენს ჩვენ ამოცანას. დაეკმაყოფილდებით იმ ძირითადი, ტენდენციების აღნიშვნით, რომლითაც ხასიათდება ამ ავტორის იდეურ შემოქმედებითი ზრდა.

მიუხედავად მასალობრივი მრავალმხრივობისა და ვრცელ თემატიურ დიაპაზონისა ჩხიკვაძეს ყოველთვის ახასიათებს მასალის საკმაო კოდნა, ამიტომაც მის მიერ ასახული მოვლენები და აღამიანები ყოველთვის რეალისტური დამაჯერებლობით მოძრაობენ—ისინი არ წარმოადგენენ „ბელეტრისტულ გამოგონების“ პროდუქტს, ცხოვრების მრავალმხრივი კოდნა პროლეტარულ მწერლის აქცილებელი სპეციფიკა—ჩხიკვაძეს უდავოდ ახასიათებს.

ჩხიკვაძის ყოველი პროზა შლის სოციალოგოიურ ტილოს, მისი პერსონაჟი უმთავრესად აღებულია მის საწარმოო საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრი-

სით, ადამიანი-მოქმედებაში-ასეთია ჩიკვადის მიდგომა მისი ნაწარმოებების მამოძრავებელ პერსონაჟისადმი.

ავტორი არ განისაზღვრება მარტო საწარმოო პროცესების მიხედვით იძლევა ადამიანებს, მის საყოფაცხოვრებო გარემოცვაშიაც, მაგრამ იგი ყოველთვის სცდილობს ადამიანთა პირადი ყოფა დიალექტურად დაუკავშიროს საზოგადოებრივ ტენდენციათა განვითარებას.

ამ კუთხითაა დაყენებული ჩიკვადის ნაწარმოებებში ოჯახის პრობლემაც. ამ პრობლემის გადაჭრაში, ავტორი იჩენს ცალმხრივობას, ოჯახს იგი ყოველთვის სახავეს ადამიანის საზოგადოებრივ საქმიანობის დამამრკოლებლად და შემზღუდავ კატეგორიად. ყველგან ადამიანის გადაგვარების და საზოგადოებრივი ჩამორჩენილობის ძირითად ფაქტორად ოჯახი გამოისჩანს. ეს კი რა თქმა უნდა არ შეიძლება ამსოლიუტში ავიყვანოთ. ოჯახური და საზოგადოებრივი ყოველთვის არ ებრძვის ერთმანეთს. ჩიკვადეს ეხერხება მოვლენების კომპლექსური გამოხატვა იგი არ გამოთიშავს მოვლენას გარემოცვისაგან, ადამიანებსა და ფაქტებს იგი იძლევა განვითარებისა და მოძრაობის პროცესში. აქ არის ელემენტები ჩიკვადის შემოქმედებითი მეთოდის მატერიალისტურ-დიალექტიკურობისა. უნდა ითქვას რომ პერსონაჟის განვითარებაში ყოველთვის ვერ არის მიღწეული კანონზომიერება, დასაბუთება და ცვლილებათა დაშავებული მოტივაცია (მაგ. „ამზანავი ბუთხუნი“).

ჩიკვადის მარტივი სტილისტური კონსტრუქცია ახასიათებს. ნაწარმოებებს ყოველთვის ფაბულარულად აშენებს. აღწერილობითი მომენტს მის ნაწარმოებში მონოტრობელობა სჭარბობს.

უკვე გამოქვეყნებული ნამუშევრები შეიცავენ ყველა ღირსებებს იმისათვის, რომ ჩიკვადიმ მოგვეცეს სოციალიზმის მშენებელი დღევანდლობის სათანადო ძალით და სიღრმით გამოშხატველი მხატვრული ტილო. მას დასჭირდება ბრძოლა ლიტერატურული ტენიკის, მხატვრულ გამომსახველობით საშუალებების შემდეგი გაღრმავებისა და კვალიფიკაციისათვის, სიუჟეტურ აღნაგობის მეტი სიმტკიცისა და სირთულისათვის, სტილის უფრო მაღალი ოსტატობისა და ორიგინალობისათვის.

პროლეტარულ ბელეტრისტიკის მოწინავე რიგს მიეკუთვნება აგრეთვე ბორის ჩხეიძე, პირველივე ნაწარმოებით მან სამართლიანად მოიპოვა საკუთარი ადგილი ლიტერატურულ ფრონტზე და გამოჩნდა როგორც ძლიერი პოტენციის მხატვრული ძალა. გასულ წელს მან მხოლოდ ერთი ნოველა გამოაქვეყნა რომელიც მისი „დღეების“ შემდეგ არაფერს მატებს ავტორის ლიტერატურულ რეპუტაციას, მაგრამ როგორც სჩანს გასულ წელს ჩხეიძე ამუშავებდა თავის ახალ რომანს („ფერო“) რომლის შეფასების საშუალება მისი მთლიანად დაბეჭდვის შემდეგ მოგვეცემა. ჩხეიძე იჩენს პასუხისმგებლობის დიდ შეგნებას; მუშაობს ფრთხილად და დაფიქრებულად: მისი „დღეები“ როგორც მასალის სპეციფიკურობით და სიმდიდრით, ისე მაღალი მხატვრული ხარისხით მიეკუთვნება ისეთ ნაწარმოებთა მეტად მცირე რიცხოვან რიგს, რომელსაც ახალ ეტაპზე აყავთ ჩვენი მხატვრული პროზა.

სოციალისტური რეკონსტრუქციის აქტუალურ მასალებზე მუშაობს მარხილ ჩიქოვანი. ახალი სოფელი, მასში კლასობრივი ბრძოლის მთელი სიმწვავეით სოციალისტური ინდუსტრია, წითელი არმიის ყოფა-ცხოვრება და საბჭოთაო უნარიანობა— ასეთია მისი მხატვრული პროზის თემატიურ-მეტაფორული კარგადანსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი "ანული", რომელიც გაწლილია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის მასალაზე. წიგნი შესდგება რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწარმოებისაგან, რომელთაც იდეურ-თემატიური მთლიანობა აერთებს. კლასობრივი ბრძოლის ახალი ეტაპი სოფლად ამ ნაწარმოებში მოცემულია მთელი თავისი სირთულით და სიმწვავეით.

გასული წლის სოციალისტური ინდუსტრიის მასალაზე აღებული მხატვრულ პროდუქციას იძლეოდა სიმონ წვერაძე. მისი „სტალინელები“ „შეკლებების უბანი“ და სხვა გადამწყვეტი წლის კონკრეტულ მასალებზეა აგებული. „გადაპირილ მუხლში“ წვერაძემ განიცადა უდავო მარცხი. მან წარმოადგინა ლიტერატურა სახეების სისტემად. მან მოინდომა რთული სახეების კონსტრუქციით მიეღწია მხატვრული ხარისხისათვის. ამ პროცესში იგი მივიდა მთელ რიგ კუროზობამდე. ეს ნაწარმოებები სანიმუშოა მხატვრული მუშაობის შემცდარი, არა სწორი მეთოდის თვალსაზრისით.

ფრიდონ ნაროუშვილი პროლეტარული პოეზიის სადღეისო აქტუალობისათვის, მისი ბოლშევიკური სიმახვილისათვის მებრძოლი, მოწინავე პოეტია. თავისი მხატვრული პრაქტიკის უკანასკნელ პერიოდში მან „უკვე გაარღვია თემატიური რკალის სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესებით განსაზღვრულობა და მისი პოეზია გარდამქმნელი დღევანდლობის ყველა ფრონტზე დასმულ საბრძოლო ამოცანებს ემყარება.

გასულ წელს მან დაბეჭდა ლექსების წიგნი „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“. ამით არ განსაზღვრულა მისი ლიტერატურული მუშაობა საანგარიშო პერიოდში, მაგრამ, ამ წიგნში მოთავსებულ მასალების ნიადაგზე შესაძლებელია მოიხალოს ამ პოეტის განვითარების ძირითადი სპეციფიკა— მისი მებრძოლი, პარტიული იდეურობა, კლასობრივი შეურაცხებლობისა და მრისხანების კოლორიტითაა აღნიშნული მისი ყოველი სტროქონი.

ნაროუშვილი პოლიტიკურ პოეზიის აბოლოგეტია და საკუთარ პოეტურ პრაქტიკასაც ყოველთვის პოლიტიკური აქტუალობით ამხევილებს. იგი გონებრივი ინტელექტუალურ პოეზიისათვის იბრძვის.

„უკვე გონებამ გადაიარა
შთაბეჭდილება ცრუ-წინაპრული
შენი პოემის ყოველი ფრაზა
შენიერულად არის მხატვრული.

ამ რიგად ნაროუშვილს ბოლშევიკური პოეზია- აზროვნების პოეზიად ესმის და თითონაც ამ სახით ანვითარებს საკუთარ შემოქმედებას.

„პოლიტიკური პოეტის დეკლარაციაში“ მოთავსებულ ლექსებით ნაროუშვილს მიაქვს გამანადგურებელი იერაში ძველი სამეურნეო ურთიერთობის და ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებზე. ასეთივე შეურაცხებლობით ამჟღავნებს მისი ლექსი

„მკვდარი სულების ფედერაცია“ ქართული ლიტერატურის შემარცხენ ბანაკის რეაქციონურ კლასობრივ ბუნებას.

ნაროუშვილის პოეტურ მეტყველების სტრუქტურული ქვეყნა შეფარდებულია მისი ლექსის მებრძოლ ფუნქციონალობასთან, მისი ფუნქციონალობა ცვალებადია. ხშირად ერთსა და იმავე ლექსში მოწოდებითი პათეტიური ტონი გადადის მომთხრობლობაში და სიუჟეტურ აღნაგობაში. მაგრამ მას არ ახასიათებს „ეპიური სიმშვიდე“.

ნაროუშვილს ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში უთუოდ დამოუკიდებელი ადგილი აქვს მოპოებული იგი ქმნის საკუთარ პოეტურ ხაზს—შატრულ მეტყველების თავისებურობის თვალსაზრისით.

მებრძოლ აღფრთოვანების ექსპრესიაში ზოგჯერ ნაროუშვილი აკეთებს „შემარცხენ“ ნახტომებს. მაგალითად:

„ხდება ერების გარდაცვალება
 კვდება რუსეთი, კვდება გრენადა
 გინდა იხილო შენ ბუზუნში
 ეპობრობის ურიცხვ ენათა“

პოეტი სამართლიანად და სწორად ებრძვის ნაციონალ-შოენინიზმის ნაშთებს მაგრამ ამ ბრძოლამ არ უნდა მიგვიყვანოს ისეთ უცილდურგობამდე, რომ „ერების გარდაცვალება“ დღევანდლობის ფაქტად წარმოვიდგინოთ. ეს არ გამომდინარეობს ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის აზრიდან.

გასულ წელს განმტკიცდა და ლიტერატურულ ფრონტის მოწინავე პოზიციაზე წამოიწია ახალგაზრდა პოეტების მთელი თაობაც, რომელთა შატრული-პროლეტარული უკვე სოციალისტურ შინაარსის შემცველ პროლეტარულ მწერლობის აქტივს მიეკუთვნება. ირაკლი აბაშიძემ გამოსცა ლექსების წიგნი „რამდენიმე ლექსი“, სადაც უდავოდ სჩანს ამ ახალგაზრდა პოეტის უნარი მოსტებნოს დამოუკიდებელი პოეტური გზა, საღი კლასობრივი ხედვით შევიდეს დღევანდლობის შრავალფეროვანი თემატიკის არეში და კონკრეტულ მასალათა ფონზე მოგვცეს სინამდვილის მებრძოლი გამოხატულება, მისი პოეტური ტემპერამენტის და საღი ოსტატობის დასახასიათებლად საკმარისია შემდეგი ადგილის მოყვანა ლექსიდან „დავეუფლოთ ტექნიკას“.

„რომ ჩვენმა ტანმა,
 ჩვენმა რიკარდომ
 ფრონტიდან ფრონტზე ყუმბარა გასცეს,
 ასწიოს ლულა
 შემომართოს
 საიფრიშით მტაცებელ კლასზე.
 ეს ვალად გაზდა მხედა ო შენზე
 და დაყოვნების არც გაქვს ეფლება.
 იბრძოდე, შესძელ,
 ტენიკის ციხის დასაქვთობა.“

ძლიერი პოეტური პოტენციით ხასიათდება აგრეთვე ახალგაზრდა პოეტის ალექსანდრე გომიასვილის შემოქმედება. მისი წიგნი „ანდუზიტის სიმღერები“ პირველი გამოსვლისთვის იშვიათი გამოარჯვებაა. გომიასვილს აქვს

მდიდარი ფანტაზია და ლექსის მტკიცე კონსტრუქციის გამძლეობა. განსაკუთრებით ძლიერია იგი პეიზაჟების და საერთოდ ბუნების სტიქიის ასახვაში. იგი მუშაობს უმთავრესად მთის მასალებზე და იძლევა ამ პრიმიტიულ პრინციპულ სოციალისტურ რეკონსტრუქციის შექრით გამოწვეულ კოლიზიების პოეტურ განსხვავებას.

მაგრამ ზოგჯერ პოეტი გადადის მთისა და ბუნების რომანტიულ ესთეტიზმში, რაც უსათუოდ სახიფათო ზნაა პროლეტარული პოეტისათვის. ამავე დროს გომიაშვილის თემატიკა აბსოლუტურად შემოიფარგლება მთის მასალით. ასეთი განსაზღვრულობაც პროლეტ. პოეტისათვის მიუღებელია და ეს უთუოდ უნდა დასძლიოს გომიაშვილმა. ეს მისი შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობაა.

ახალგაზრდა პროლეტმწერალთა თაობიდან გასულ წელს უმჯველი ზრდა წარმატება გვიჩვენეს კ. ბობოხიძემ, გ. კაკაბიძემ, ა. ჩაჩიბაიამ, გ. ვასალიამ, გ. შატბერაშვილმა.

P. S. ჩვენი სამიმობილვო წერილი არ წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის მდიდარ ლიტერატურული პროდუქციის მთლიან და სრულ ანალიზს. ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ აღგვეჩუხა და გაგვეჩუხა გადაწყვეტი წლის ლიტერატურული ცხოვრების ძირითადი პროცესები და მხატვრული პრაქტიკა შეგვეჩუხა ამ პროცესების საილიუსტრაციო თვალსაზრისით. ჩვენ განზრახ არ განვიხილეთ ამ წერილის ფარგლებში ისეთი სპეციფიური და საყურადღებო მასალა, როგორცაა ლიტერატურაში გაწვევულ დამკვერელ მუშათა შემოქმედება. სოციალიზმის მშენებლობის საჯეტესო ენტუზიასტთა შემოქმედებითი მონაწილეობა საბჭოთა ლიტერატურის მშენებლობაში გასული წლის ლიტერატურული ცხოვრების ერთერთი ძირითადი მიღწევათაგანია. ეს პროცესი დამახასიათებელია სოციალიზმში შემავალი ქვეყნის კულტურული მშენებლობისათვის. იგი ელემენტია იმ ძლიერი პროცესის, რომელიც უნდა გავითავსოთ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის საზღვრების წაშლისა და მათი ორგანიული დაახლოვების ხაზით. როგორც ამ წერილის შესავალშიაც აღვნიშნეთ, ჩვენი სალიტერატურო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით და სიფიზლით ვერ მოეპყრენ დამკვერელბთან მუშაობის მეტად რთულსა და საპასუხისმკებლო მასალას. მიუხედავით ამისა, გასული წლის სამხატვრო-სალიტერატურო გამოცემებში სისტემატიურად იბეჭდებოდა დამკვერელთა შემოქმედების ნიმუშები, რომელთაც გარდა იმისა, რომ შემოაქვთ ლიტერატურაში წარმოებითი პროცესების ზედმიწევნითი ცოდნით აღნიშნული მასალა—კვალიფიკაციის მხრევაც მთელ რიგ შემთხვევებში გვიჩვენეს ავტორების მხატვრული უნარი და შესაძლებლობა.

ამ მასალის პრინციპიალურად ახალმა და შრავალმხრივ საყურადღებო თავისებურობამ გვაფიქრებია გამოგვეყო იგი ამ წერილში განხილული ლიტერატურული პროდუქციიდან და სპეციალური წერილის საგნად დაგვესახა.

აგრეთვე სპეციალური წერილისათვის გამოგვყავით გასულ წელს გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალის ის ჯგუფი, რომელიც შეიცავს ჩვე-

ნი კლასის რევოლუციონური წარსულის ისტორიულ თემატიკას. ამ მხრივ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულად მდიდარი პროდუქცია გამოქვეყნდა ამხ. პავლე საყვარელიძის, ბარონ ბიბინჯიშვილისა და ს. თალაკვაძის ნაწარმოებთა სახით. ამ სამი ავტორის ნაწარმოებთა შორის, მიუხედავად თემატიური მასალის ერთგვარობისა, არსებობს პრინციპიული განსხვავება, როგორ განჩინსა და შემოქმედების მეთოდის, ისე ოსტატობის ხარისხის და ლიტერატურული კვალიფიკაციის მხრივ. ამ ჯგუფის ლიტერატურულ პროდუქციას ჩვენს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მით უფრო ამხ. სტალინის ეტრნ. „პროლეტარული რევოლუციის“-სადმი გაგზავნილ წერილთან დაკავშირებით. ამიტომაც ჩვენ აუცილებლად დაეინახეთ ამ მასალისადმი განსაკუთრებული ყურადღებით მიდგომა და მისი ცალკე განხილვა.

„ფერფლი“

საბჭოთა მწერლის თემატიკა უნდა ატარებდეს უაღრესად სოციალოგიურ ხასიათს. ამ მხრივ ადამიანი, როგორც მასალა მხატვრულ შემოქმედებისათვის, შემეცნებული უნდა იქნეს არა როგორც წიშველი ბიოლოგიური ინსტიქტების შემცველი კატეგორია, არამედ იგი გაგებულ უნდა იქნეს როგორც კლასიური მოვლენა. ამ უკანასკნელი ამოცანის დაძლევა შეუძლებელია კოლექტიურ მეურნეობათა, რევოლუციონურ მოძრაობის, კლასიური ბრძოლის, ზეთწლედის პრობლემების და სხვ. მხატვრული შემეცნების გარეშე.

სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“ თავისი იდეური დაახლოებით რევოლუციასთან და მხატვრული სიძლიერით სწორედ აღნიშნულ საკითხების გარშემო ტრიალებს; მისი ფაბულარული მომენტები იშლება კლასიური ბრძოლის კანონზომიერების ცალკეული ეპიზოდების სახით.

დღეს დასავლეთ ევროპის რევოლუციონური პროლეტარიატის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მილიტარისტულ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ იმპერიალიზმის საბოლოო განადგურება. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ლიტერატურის მძაფრი იარაღით ბრძოლა მოითხოვს ყოველი ნაწარმოების დატვირთვას პოლიტიკური მომენტებით. ამ მხრივ საბჭოთა მწერლის მხატვრული მეთოდი ძირითადად უნდა დაუპირისპირდეს ბურჟუაზიულ რეალიზმის მთელ სისტემას, რომლის პრინციპის მიხედვით ზოგჯერ მოქმედების მთავარი ცენტრი სოციალურ პრობლემიდან მოხსნილია და გადატანილია ოთახურ—ობიექტულურ ყოფის, წიშველი ინსტიქტების სიბრტყეზე. როდესაც მწერლი სწერს ომის შესახებ, მას გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, რომ მეოცე საუკუნის მანძილზე კაპიტალიზმმა თვისობრივი ხასიათის ცვლილება განიცადა, წარმოი-

შეა იმპერიალიზმი, როგორც უკანასკნელი საფეხური კაპიტალიზმისა, გაიბრუნა მთლიანად სოციალ-დემოკრატია, ის საბოლოოდ გადაბარდა თაშიზმის ბანაკში. „მან კლასობრივი ბრძოლის მრისხანე და ცხოველყოფიერ მტერი გადამაქცია კლასთა შორის მშვიდობიანობის უბირო ქადაგებად. კლასობრივ წინააღმდეგობათა გაშვებების თეორია მან გასცვალა მეწიანურ ზღაპარზე კაპიტალის დემოკრატიზაციის შესახებ. კაპიტალიზმის დროს ომების აუცილებლობის თეორიის მაგიერ მან წამოაყენა ბურჟუაზიული ცრუპაციფიზმი“. ¹⁾ ფინანსურ-კაპიტალისტურ პლუტოკრატიის და საერთაშორისო მენშევიზმის ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მხატვრული მწერლობა ემზარება მუშათა კლასის ომის თემატიკაზე წარმოშობილ მხატვრულ ლიტერატურის წვრილბურჟუაზიულ ნაწილს ეტყობა რემარკიზმის ძლიერი გავლენა. საბჭოთა მწერალი მედგრად უნდა ებრძოდეს რემარკიზმის, როგორც პაციფიზმის გამოხატულებას ლიტერატურაში.

წარსული იმპერიალისტური ომის საწინებლანი, მისი გამანადგურებელი ზეგავლენა ჯარში გაწვეულ მშრომლებზე, რევოლუციონერ განწყობილებათა შექმნა ამ ნიადაგზე, ყველა ეს მომენტები კარგად არის ნაჩვენები სერგო კლდიაშვილის „ფერფლში“. ამ „ქრონიკებში“ როგორც თვითონ ავტორი უწოდებს ნაწარმოებს, მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს არა ცალკე ინდივიდუალური გმირების პორტრეტების მოცემას, არამედ მასების ფსიხიკისა და იდეოლოგიის ასახვას კლასთა ბრძოლის ფონზე. „ფერფლში“ ნათლად მოსჩანს იმპერიალისტური ომის ბურჟუაზიული ხასიათი, მისი მთელი მიზან-მიმართება.

ფრონტებზე გასულმა ჯარისკაცებმა იგრძნეს, რომ ისინი იბრძოდნენ საკუთარი ძმების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ქონების გასაზრდელათ. ამიტომ მათ დასტოვეს ფრონტი, საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ფერფლის“ მომქმედი ჯარისკაცები ძირითადადში უპირისპირდებიან რემარკისებურ „სამხედრო“ განწყობილებას, რემარკის წიგნი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ არ შეიცავს არც ერთ საპროტესტო ფრაზას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც უჩინოდ ინტერესების გულისთვის აფარებელი სისხლი დააქცია, რომელმაც მხეცურ სასაკლაოზე გაიყენა მშრომელი ხალხი. „ფერფლის“ მომქმედი გამრებმა იციან კლასიური ბოროტების სათავე, ისინი პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ჯარისკაცებს წარმოადგენენ. და ასეც ხდება. არსენა იბრძვის თეთრების წინააღმდეგ. განა იაკობ შეიერის საუბარი არ არის მძაფრი პროტესტი იმპერიალისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგ? რასაკვირველია არის. „ფერფლში“ ის თავები, რომელიც მეიერს ებება (მისი მოხუცებული დედამამის ანბავი მოგილიევი) ნაწილობრივ ბაბელის ზოგიერთ მოთხრობის სახეებს გვაგონებს. რასაკვირველია აქ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

„ფერფლას“ სიუჟეტი განვითარებულია სოციალურ კანონზომიერებათა მსვლელობის გასწვრივ. აქ სჩანს მოვლენების და ადამიანების ვითარების მიზეზობრივი ურთიერთობანი.

ჩვენ გვახსოვს, რომ ს. კლდიაშვილი წარსულში სიმვოლისტურ პროზის ფორმებზე იყო შეჩერებული. ის მიმართავდა იგრეთვე „საიდუმლოებათა ნოვე-

¹⁾ იხ. კომენტარები პაატაძას, მ-ღებული მე-VI კონგრესის მიერ 1928 წ. I სექტემბერს.

ლის „ქანრსაც. ამ განხრითა დაწერილი მისი „ქინკა“. „ფერული“ და „პრო-
ვინციის მთვარე“ კი მწერლის ახალ გზაზე შედგომის უტყუარე განწყობები
აჩიანს.

იდეურ გარდატეხასთან ერთად ემეტიკაც თამაშობს მნიშვნელოვან როლს
ახალი ნამდვილი საბჭოთა ლიტერატურული პოზიციების განმტკიცების
დარგში. ომის წინააღმდეგ ბრძოლის თემის დაუფლება უაღრესად რთულსა და
საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს.

რუსულ ლიტერატურაში მოიპოება ნაწარმოებთა მთელი რიგი მსოფლიო
ომის შესახებ, ქართული ლიტერატურა კი ამ მხრივ უერ კიდევ საკმაოდ ჩამო-
რჩენილია.

„ფერულში“ ნათლად მოსჩანს ერთის მხრივ იმერეთის სოფელი თავისი
კლასიური დიდებულებით, ხოლო მეორეს მხრივ — შორეული ფრონტი.
კლდიაშვილი ხაზს უსვამს ომის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას, ის ჰქნის
შკითხველში დაუძლეველ ანტიპატიის გრძნობას იმპერიალისტური ომის მიმართ.
ამაში მდგომარეობს „ფერულის“ პოლიტიკური სიმბოვილე.

ავტორი სწერს:

„მეწამულ ზღვიდან ჩრდილოეთის მარად ყინულებამდე, დიდ ოკეანეში ჩა-
ბუდრებულ კუნძულებიდან, ამომავალ მზის ქვეყნებიდან. ინდოეთის უღრან ტყე-
ებიდან, აფრიკის უდაბნოებიდან ამშალა ხალხი იმისთვის, რომ ძველი ტექტონე-
ბის ველებზე ერთმანეთი ეხოცათ.

აკმავე მათ იცოდენ მხოლოდ სახნისზე მოკეთება, როდის დაითქვას მარ-
ცვალო, როდის უნდა ხლის მოკრეფა და ტყეების გაფეა. ახლა ბარის მავიერ ზე-
ლში თოფი მისცეს და ერთმანეთის მოსპობა ასწავლეს.

— მიწა მარ და მიწადეე მიიქცე და ისინი უბრუნდებოდენ მიწას დაგლეჯილი
სბუფლიო. ახელილი ერთმანეთში, დაუტარებთ მთებში და ველებში კენესოდენ
სიკედელს ნახიარები მილიონები“

კლდიაშვილი გვაცნობს მშრომელი ახალგაზრდობის მთელ წყებას, რომე-
ლიც ახლად გაუყვანიათ მეფის არმიისში. ისინი მოსულან ღარიბი ქოხებიდან
და თავისი ძელებით აბოხიერებდენ პოლონეთის და ბალტიის ველებს. განსაკუ-
თრებით საინტერესოა დაწერილი უცნობი ჯარისკაცის დღიური. ავტორი
ყოველ ფეხის ნაბიჯზე ააშკარავებს ომის საშინელ ფიზიონომიას. ამ ფონზე მე-
ტად საინტერესო ფიგურას წარმოადგენს ებრაელი ჯარისკაცი:

„—შენე ჩვენ რაჯულს იცავ?—ფარიკება გუცენკო იაკობ მეიერს, ებრაელ
ჯარისკაცს.

—რაჯულს, ტ.ხტს და სამშობლოს!—სერიოზულად უპასუხებს მეიერი. პა-
სუხში ხუმრობის კილოს ვგრძნობთ და უნებურად ვიციინით...

და შემდეგ ნაწარმოების სიუჟეტის გაშლის მანძილზე ნაჩვენებია, რომ
ღარიბ იაკობ მეიერს ტახტთან და სამშობლოსთან სიძულვილის და გამანადგუ-
რებელი ზიზლის მეტი აღარაფერი დარჩენია. „მოგილიოვიდან ფეხი არსად გა-
შიდგამს, — ეუბნება იგი ამხანაგს, — და ოსმალო არ მინახავს. მის წინააღმდეგ კი

ვიბრძვი. ან იმას რა უნდა ჩემგან, ან მე მასთან. მტერი შე სხვა/მყა—
 ვდა "... იაკობ მეიერს აქვს საკმაოდ მტკიცე კლასიური შეგნება, ეს ხედავს,
 რომ თვითმპყრობელობა მისი სასტიკი მტერია, ის ხედავს გაბატონებული კლასის
 წარმომადგენლებს, რომელნიც მის ლარობ დედამამას სახლიდან ყინვაში აგ-
 დებენ და ასე ჰლუპავენ. „იაკობ მეიერი კი,—გულადი ჯარისკაცი,—ამ დროს
 რუსეთის ტახტს იცავს და მზადაა შეეწიროს იმათ, ვისაც ეს ომი უნდა. იაკობ
 მეიერი მისდავე მსგავსს უამრავ იაკობ მეიერს ებრძვის და სასიკვდილოდ იმე-
 ტებს... მოგილიოველ იაკობ მეიერს იმის უფლებაც არა აქვს იკითხოს, თუ რა-
 ტომ უნდა ესროლოს ოსმალეთში მყოფ იაკობ მეიერს. იაკობ მეიერი მხოლოდ
 იმისთვისაა გაჩენილი რომ ჯერ მოგილიოველში იტანჯოს, შემდეგ კი ძალღურად
 ჩაკედეს აქ. ამ მხარეში, რომელიც სიზმარშიც კი არ მოლანდებია.—ი მე და
 შენ წავალთ ამ მთებით—ესაუბრება ამხანაგს მეიერი—აქაურობას მოვსცილდე-
 ბით. გადავივლით ნისლით დაბურულ მწვერვალებს იქიდან უფრო ახლოა ღმე-
 რთი და როცა ის ბებრუხანა დავეინახავს და გავვიწყრება იმისათვის რომ ფიცს
 ვუღალატეთ, მე დაურიდებლათ ვეტყვი:—მე იაკობ მეიერი, ვაფურ-
 თხებ შენს ბოროტ გულში ისევე, როგორც შენ შეაფურთხებ
 ჩემს ვაჩენას. შენი სიმართლის მე აღარა მჯერა. ახლა მე
 ჩემი სიმართლე მაქვს..."

„ფერფლი“ პაციფიზმის და რემარკისტული ლიტერატურის წინააღმდეგაა
 აშკარად მიმართული. „არც ერთი ომი... ისე ცინიკური, მახინჯი და სასტიკი-
 არ ყოფილა როგორც უკანასკელი“—სწერს ავტორი. იგი გარკვევით აღნიშნავს
 რომ რუსეთის, გერმანიის, ანგლისის და სხვა ქვეყნების მუშებს და გლე-
 ხებს არავითარი მიზეზი, არავითარი ინტერესი არა ჰქონდათ, რომ ომში ჩარე-
 ულიყვნენ. შემდეგში მათ „როგორც კი მოიშორეს ომის ნამდვილი გამოწვე-
 ვნი, ჯარმა რომელიც ერთი-მეორეს თითქო ბრახით და სიძულელით სპობდენ,
 ერთმანეთს ძმური ხელი გაუწოდეს და შემდეგ სასიკვდილო იარაღი მიმართეს
 იმათ წინააღმდეგ, ვინც მათა ელეტას აიძულებდა“.

„ფერფლში“ მკითხველის ყურადღების ცენტრში სდგას აგრეთვე დათიკას
 ოჯახის ამბავი. მისი შეილები,—არსენა და იორამი, ომში არიან წაყვანილი.
 გავრცელდება ხმა, რომ ორივე დაიღუპა, სინამდვილეში კი არსენა ვადარჩა სი-
 კვდილს, ომის შემდეგ იბრძოდა თეთრების წინააღმდეგ და ბოლოს დაუბრუ-
 ნდა მშობლიურ სოფლის. განსაკუთრებით ფსიქოლოგიური დამკვიკრებლობითაა
 ნაჩვენები დედის (მარიამი) ლოდინი. „ფერფლის“ ეს ადგილი
 თავისი მხატვრული სიძლიერით განუსაზღვრელ შთაბეჭდი-
 ლებას სტოვებს. ავტორს კარგათ აქვს ნაჩვენები გაიანეს ტიპიც, ამ ფო-
 ნზე იგი იძლევა აგრეთვე იმერეთის ყოფის საინტერესო სურათებს.

კიდევ ერთი მომენტი უნდა აღინიშნოს: მენშევიზმის ბატონობის ეპოქის
 სწორი გაგება. ამ მხრივ დამახასიათებელია სოფლის მიტინგი, სადაც დათიკა
 აშკარად ხედავს, რომ ეს ახალი „რესპუბლიკაც“ ისევე ლანჩას და საერთოდ მდი-
 დრების სასარგებლოდ მუშაობს. „ქადაგის“ (მოხსენების) მოსმენის შემდეგ და-
 თიკა სამართლიანად დარწმუნდა, რომ ძველი და ახალი მთავრობა არაფრით

განსხვავდებოდა ერთი-მეორისაგან. ავტორი საბოლოოდ მიდის იმ სწორ და-
სკვნამდე, რომ ხსნა მშრომელი მასებისა მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას
შეუძლია.

„ფერფლი“ ავტორის იდეურ ზრდის შესახებ ლაპარაკობს, მოუხედავად
იმისა, რომ ნაწილობრივ „ფერფლში“ და „პროვინციის მთვარეში“ც გვხვდება
რეციდივები სიმბოლისტური მხატვრული მეთოდისა. საერთოდ კი სერგო კლ-
დიაშვილის შემოქმედების ძირეული გადახალისება „ფერფლით“ და „პროვინ-
ციის მთვარე“-თი უკვე რეალური ფაქტია. ჩვენ ამ პროცესს აუცილებლად ხელი
უნდა შევუწყოთ.



მეთოდოლოგიური შენიშვნები

შალვა რადიანის წიგნის „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“-ს გამოც

მარქსისტულ-ლენინური სალიტერატურო კრიტიკისაგან პარტია მოითხოვდა და მოითხოვს ურყევად დგომას ბოლშევიზმის სასიცოცხლო ინტერესების სადარაჯოზე ხელოვნების ყველა სფეროში. ამ ამოცანის შესრულების გარეშე შეუძლებელია კრიტიკა გახდეს ლიტერატურული მოძრაობის კომუნისტურ ხელმძღვანელად და მის წამყვან ძალად. მაგრამ ამ უდიდესი როლის შესრულებას სალიტერატურო კრიტიკა შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ საკუთარ რიგებში შეებრძოლება ყველა სახის ოპორტუნისტულ გადაზაბინჯებებს. დაპროლეტების დაძლევის, ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლით და ლიტერატურული პრობლემების მეცნიერულ—პრინციპიალურ სინალზე აყვანილ—კომუნისტური კრიტიკა უნდა გახდეს იდეურ ორგანიზატორად, ლიტერატურული ფრონტის მესაქედ.

თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით ამხ. შალვა რადიანის ახლად გამოსულ წიგნს „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“-ს, გულახდილად უნდა ითქვას, რომ იგი მახვილად ვერ უზასუხებს იმ რთულ, პრობლემატიურ საკითხებს, რომელიც დღეს დასმულია ქართული მხატვრული ლიტერატურის წინაშე, და ამავე დროს მთელი რიგი მეთოდოლოგიური—საპასუხისმგებლო კითხვებს დაბნეულობის ბეჭედი ახის.

ზემოაღნიშნულ შრომის მიზანს ავტორი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ამ წერილების ამოცანაა, გაარკვიოს ის სოციალურ—კლასიური და მხატვრული შემოქმედების პროცესები, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“. ახერხებს თუ არა შ. რადიანი ამ საკითხების ლენინურად გადაწყვეტას, იმ რთული პრობლემების დაძლევის, რომელიც დღეს სდგას მარქსისტულ-ლენინური სალიტერატურო კრიტიკის წინაშე?

ვინც იცნობს რადიანის წიგნს და ამავე დროს ოდნავ მაინც გარკვეულია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, ვინც დაინტერესებულია ლიტერატურის მეცნიერების სფეროში, დასმულ პრობლემატიურ კითხვების კომუნისტურად გადაწყვეტაში, ვინც ქართული ლიტერატურის რთულ მექანიკას ზერელე ოპტიზმით არ უცქერის, მისთვის ნათელია, რომ ამხ. შ. რადიანი არამც თუ ლენი-

ნურად სწევრებს ლიტერატურის მეთოდოლოგიურ საკითხებს, არამედ ისედაც ნათელ ამოცანებს ხშირად გაურკვეველობის ბურუსში აქცევს და მოვლურად უდაო ქვეშარიტებებს კვლავ სადავოდ ხდის.

მეზოლოგიისა



სარეცენზიო წიგნი სიმბოლიზმის განხილვით იწყება. წიგნის ავტორს სიმბოლიზმის ცნების განმარტების დროს მოყავს დახლოებით 7 „ავტორიტეტის“ აზრი, რომლებშიაც არც-ერთი არ არის მარქსისტი; მიუხედავად ამისა რადიანი მათ აზრებს უკრიტიკოდ იღებს. სტეფან მალამეს, რემი და გურმონის, კ. ბალმონტის, ვიან. ივანოვის და სხვათა აზრების რეგისტრაციის შემდეგ რადიანი დაასკვნის: „როგორც დავინახეთ თეორია სიმბოლიზმისა, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ იგი იყო მწერლობა იმ ინტელიგენციისა რომელიც გაეგცა სინამდვილეს, რომელმაც უარყო ამ ქვეყნიური მოვლენები და მიაშურა ინდივიდუალისტურ-მისტიურ შთაბეჭდილებებს „იქითა ქვეყანას“ და სხვა“.

სიმბოლიზმის ასეთი განმარტება არამც თუ ხსნის მის რეაქციონურ-ლიტერატურულ ბუნებას, არამედ გაურკვეველობის ბურუსში ახვევს და ამ ნიადაგზე გზას უხსნის, სიმბოლიზმის ხეკლასიურობას. შემთხვევითი როდია რომ როგორც ბალმონტი, ისე ვიან. ივანოვი, სტ. მალარმე და ანდრეი ბელი-სიმბოლიზმს განმარტავენ, როგორც კავშირს ემპირიულ სამყაროსა და მის მიღმა მყოფ-უხილავ „ქვეყანას“ შორის. მათი აზრით, ეს კავშირი შეიძლება გაგებული იქნეს მხოლოდ მისტიური ექსტაზის საშუალებით. ანდრეი ბელის განმარტებით „შე“-სა და „არა მე“-ს შორის მყოფ ემპირიულ მასალის დაძლევით და ამ საფუძვლებზე მათ შორის მისტიური კავშირის დამყარებით—შეიძლება მოიძებნოს სიმბოლიზმის დედა არსი. ამ მიზნის მისაღწევით სიმბოლისტები თითქოს „ემიჯნებიან მთელ ხილულ ბუნებას, და სხვათა შორის მთელ კაცობრიობასაც და იკეტებიან საკუთარ თავში, რათა თავიანთ სულის ფსკერში იპოვონ აბსოლუტური და ნეტარებით შეურთდენ მას. სწორედ ამ საკუთარი ნეტარებისათვის მიიჩნიათ მათ-საკუთრად გაემიჯნონ საკუთარ ბუნებას, განთავისუფლდენ გარეგან შთაბეჭდილებებისაგან, რომელიც აწვალებს მათ; დაიხშონ ყურთა სმენა, თავალთა ხედვა, თითთა შეხება და მთელი თავიანთი გულისყური მიიპყრონ საკუთარ „მე“-ს შინაგან განცდას“.

სიმბოლიზმის დამახასიათებელი მხარეების ამგვარ განმარტებას არავითარი საერთო არ აქვს ფაქტის ქვეშარიტ მხარესთან. ისტორიის გრძელ მანძილზე სიმბოლისტები და მისტიკოსები, მიუხედავად იმისა რომ მკითხველ საზოგადოებას მრავალჯერ დაპირდნენ ქვეყნის გაშიჯნას, თორმე ნამდვილად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სიმბოლისტები და მისტიკოსები უარყოფდნენ „პოზიტიურ ქვეყანას“ და ამავე დროს ყელამდე ჩაფლულნი იყვნენ გაბატონებული კლასის (ბურჟუაზიის) მეშინურად აშშორებულ ყოფა-ცხოვრებაში. სიმბოლისტები და მისტიკოსები ყოველ მხატვრულ ფაქტში მკითხველს პირდებოდნენ თვითმკვლელობას, მაგრამ სიკვდილის ყველას ეშინოდა. შოპენჰაუერს-ამ პესიმისტური ფილოსოფიის მონურ მორჩილს, კაიზერების და სიმბოლიზმის ოფიციალურ იდეოლოგს „სძავდა“ ქვეყანა, მაგრამ არა ნაკლებ უყვარდა სიცოცხლე. სიმბოლისტები პროტესტს(1)

აცხადებდნენ ბურჟუაზიულ, კაფე-შანტანების გარყვინილებას წინააღმდეგ (?). მაგრამ ამ გარყვინილებას ისინი გახელებით ეძლეოდნენ. ასე რომ სიბოლისტი და მისტიკოსი ნამდვილად როდი ემიჯნება ემპირიულ-ქვეყნმანათლებელ თუ ზოგჯერ პროტესტს აცხადებს ამ ქვეყნიურ ცხოვრების მიმართ, მისი მხარედ რეაქციონური რევერანსია, რომელიც საკუთარ „მე“-ში ატარებს კლასის გახარწვისა და ვადაგვარების შხამიან ელემენტებს.

სიმბოლასტები ნიღაბ აფარებულნი, რეაქციონური რელისტები არიან, მხოლოდ იმ-განსხვავებით, რომ პირველნი უფრო ობიექტიურად გამოხატავენ საკუთარ კლასის დაცემისა და დაკნინების ფაქტს, მაშინ როდესაც მეორენი ფილისტერულად ფარავენ დაცემის ღრმა სოციალურ საფუძვლებს.

ამხ. შ. რადიანი, ვიან. ივანოვის სიმბოლიზმის მისტიური განმარტების უკრიტიკო მიღებით, იქამდე მიდის, რომ შესწევს გამბედაობა ამტიკოს—თითქოს „სიმბოლისტებისათვის საყვარელ მოტივს წარმოადგენს წმინდა ლირიკა ლირიკა მოტივი არაა—დ. ბ.), ე. ი. ლექსში გადმოცემა თავიანთი პირადი (ვანცდების, უმთავრესად მისტიურისა და რელიგიურის. ეს პირადი განცდები, ლაპარაკობენ მარადიულზე, ღმერთზე, ჯოჯოხეთზე და ასე შემდეგ (გვ. 11)

კ. მარქსი „ფილოსოფიის სილატაკე“—ში პრუდონს დასცინოდა საკითხების ზერულე დასმისათვის; პრუდონი ამა თუ იმ მოვლენის ახსნის დროს—ყურადღებას აქცევდა არა მის ძირითად კანონს, არამედ მოვლენის გარეგან გამოაშკარავების ერთ-ერთ ფორმას. ამიტომ იყო, რომ როგორც მარქსი შენიშნავს, პრუდონი ვერ ხსნიდა დასმულ საკითხს და ამ ნიდაგზე მონურად მიყვებოდა ტრადიციას. რადიანიც სულ სხვა პირობებში და ფრიად ელემენტარულ საკითხში—პრუდონისებური ტრადიციით ცდილობს სიმბოლიზმის გაგებას. რადიანი კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რასაც სიმბოლისტები ლაპარაკობენ საკუთარ თავზე; ამ საუფძვლებზე მას დაავიწყდა, რომ სიმბოლისტები მხოლოდ მარადიულ კითხვებზე, ღმერთზე და ჯოჯოხეთზე კი არ ლაპარაკობდნენ არამედ ძლიერ ხშირად ისინი გამოდიან მონარქიზმის და საერთოდ ბურჟუაზიული კლასის ერთგულ აბოლოგებებად ჯერ კიდევ ადრე, როდესაც საფრანგეთის პროლეტარიატი პოლიციასთან ბრძოლაში სისხლით იცლებოდა—ბოდლერი, ვერლენი და არტურ რემბო გამოდიოდნენ აჯანყებულთან წინააღმდეგ და მუშებს საჯაროდ „მაწინაწილა ძარღებს“ უწოდებდნენ. მერეტკოვსკი, —რუსეთის მონარქიის ოფიციალური იდეოლოგი ცინიკურად დასცინოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს და დახოცილ ძმთა სასაფლაოზე შეგარზნულ-მისტიურ ლეგენდებს თხზავდა. როდესაც რუსეთის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა დღესასწაულობდა გამარჯვებას-მაშინ მისტიკოსი სიმბოლისტი ზინაიდა გიპიუსი და „წყნარ-მთელემარე“ კ. ბალმონტი რუსეთიდან ვარბოდნენ ბურჟუაზიულ ევროპაში

ამიტომ არ არის მართალი ამხ. რადიანი, როდესაც სწერს: „სინამდვილეს, ამ ქვეყნიურ ყოფას სიმბოლისტები ითვისებდნენ, როგორც მარიონეტების თეატრს, როგორც „ბალაგანს“ ეს ფრაზა არსებითად არაფერს არ ამბობს სიმბოლიზმის

შესახებ, რადგანაც ძლიერ ზოგადია და თვითონ სიმბოლიზმს დრო და სივრცის გარეშე აყენებს. რადიანმა უნდა იცოდეს, რომ სიმბოლისტები არა უარყოფენ ყოველგვარ ყოფას, ყოველგვარ სინამდვილეს. განა სიმბოლისტები უარს ამბობენ ბურჟუაზიულ ყოფაზე? მართალია ისინი მშორად უარყოფენ სინამდვილეს, მაგრამ არა ყოველგვარ სინამდვილეს, არამედ რევოლუციონურ სინამდვილეს, სადაც კლასთა ბრძოლის ლოლიკამ, გონიერმა სინამდვილემ—შეარყია ის კლასი, რომელის მხრებზე იზრდებოდნენ სიმბოლისტები.

სიმბოლიზმი არც აპოლიტიურია¹, როგორც რადიანი ფიქრობს. ძლიერ მშორად სიმბოლისტები მარადიულ-ზეციურ კითხვებიდან უბრუნდებიან მიწიერ საკითხებს და ამჟღავნებენ თავიანთ რეაქციონურ სახეს. (ჩვენი სინამდვილე: რუსი და ქართველი სიმბოლისტების მაგალითი)

შემთხვევითია თუ არა რადიანისათვის ეს შეცდომები? მარქსისტული-ლენინური თვალსაზრისით რა თქმა უნდა არ არის შემთხვევითი, რადგანაც იგი ლიტერატურულ-მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობს პლენაროვის მენშევიკური შეხედულებებით; პლენაროვი კი თავის მხრივ ამავე საკითხების გარკვევის პროცესში გამოდიოდა კანტის, ჰეგელის და ბელინსკის მეტაფიზიკური ესთეტიკიდან. ამ ესთეტიკის ზეგავლენით პლენაროვმა მწერლის სუბიექტიური „მე“ ხელოვნურად მოგლიჯა კლასობრივ-პარტიულ გარემოს და დეტერმინიზმის ცნება ინდეტერმინიზმად შესცვალა. „თუ ხელოვანი-სწერდა პლენაროვი, ამათუ იმ ქვეყანაში ერთ დროს გაუბრძიან ბრძოლას, ცხოვრების მღელვარებას, მეორე დროს კი ეტანებიან, ბრძოლას და მასთან შეკავშირებულ დღევანდელ-ეს იმიტომ კი არა რომ ვიღაც გარედან აძალებს მათ სხვაგვარ ვალდებულებას, არამედ იმიტომ, რომ ერთ საზოგადოებრივ პირობებში ისინი ერთნაირ გუნებაზე დგებიან და მეორე პირობებში მეორნაირზე.“

მოყვანილ ციტატაში სრულიად დაეწყებულა მწერილის პარტიული-კლასობრივი დეტერმინიზმობა და საკითხების გადაწყვეტა მოქცეულია ინდეტერმინიზმის სალტებში ჩვენ რა თქმა უნდა წინააღმდეგი ვართ პერვერსიების-ური დეტერმინიზმობის, რომელმაც ეს საკითხი მეტის-მეტი ცალმხრივობით კარიკატურამდე დაიყვანა, მაგრამ ეს არ გვაძლევს საბუთს, რომ მწერალი როგორც შემომქმედი სუბიექტი ნებისყოფის მხრივ აბსოლუტურად დამოუკიდებელ პიროვნებად ველიაოთ. როგორ შეიძლება მწერლის პარტიული მსოფლმხედველობის ახსნი მწერლის პირადი სურვილებით, პირადი გუნების ცვალებადობით. აქ საკითხი პირუკუ უნდა დასმულიყო.

გამოსული ამ ყალბ შეხედულებებიდან პლენაროვს შემცდარად აქვს ახსნილი მისწრაფება „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“. მისწრაფება „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“-სწერდა პლენაროვი, აღმოცენდება იქ, სადაც არსებობს განხეთქილება ხელოვანსა და გარე საზოგადოებრივ წრეს შორის¹).

რატომ არის შემცდარი პლენაროვის ეს აზრი? პირველი იმიტომ, რომ აქ გარეშე საზოგადოებრივი წრე აღებულია ყოველგვარ კლასიურ-პარტიულ-დიფერენციულობის გარეშე; ამავე დროს თვითონ მწერალი მეტაფიზიკურადაა

¹ პლენაროვის ეს ციტატა რადიანს მოყავს თავისი წიგნში და სახეებით ეთანხმება მას.

მოწყვეტილი ამ წრეს. აქ არა სწანს, თუ საზოგადოების რომელ კლასს ეკუთვნის მწერალი, რომლის იდეებს იღებს იგი სახელმძღვანელოდ და სხვა, ამ საკითხების გაუთვალისწინებლობის ნიადაგზე დაშვებულია მეორე შეცდომა — თითქოს მწერალი, რომელიც ქადაგებს „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“! ვაჭურბლის საზოგადოების ყველა კლასებს, ყველა წრეებს, რაც რა თქმა უნდა სიყალბეა. თუ განსაზღვრულ დროში ესა თუ ის მწერალი პირობითად გაურბის პრაქტიკულ ცხოვრებას, არა იმიტომ რომ ამას მოითხოვს მისი პირადი ბუნება, როგორც პლენხანოვი ფიქრობდა, არამედ იმიტომ, რომ კლასი (რომლის იდეებსაც გამოხატავს მწერალი) და მისი მერყევი მდგომარეობა (ყოფა) ბიძგს აძლევს მწერალს-იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი საკუთარი ინტერესები. თუ კი, ესა თუ ის კლასი ცხოვრებაში კარგავს საყრდენ ძალას და მიექანება დაღუპვისაკენ, მაშინ ამ კლასის ხელოვანი პირობითად უარს ამბობს იმ წრეში მონაწილეობის მიღებაზე, რომელმაც დაიკავა ისტორიის საპოქიმედო ასპარეზიდან გასული კლასის ადგილი.

ასეთია ამ საკითხის ნამდვილი აზრი. მისწრაფება-ხელოვნება ხელოვნებისათვის — პლენხანოვისებური შეფასება აღუჩჩჩებს კლასიურ-პარტიულ ეკვივალენტს და სამაგიერსდ გზას უხსნის მენშევიკურ ობიექტივიზმს.

ამხ. რადიანი უკრიტიკოდ იღებს პლენხანოვის მენშევიკურ კანტიანურ ფორმულას ხელოვნების განმარტების შესახებ. პლენხანოვის აზრით „ხელოვნება არის სახეებით აზროვნება“ თავის დროზე ეს ფორმულა ვახდა წყაროდ ოპორტუნისტული ანტილენინური შეხედულებებისა, რომლის ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენდა პერევერზევის მენშევიკური-ლიტერატურული კონცეპცია და ვორონსკის იდეალისტური — წვრილბურჟუაზიული ესთეტიკა.

პლენხანოვის ზემოაღნიშნულ ფორმულას კანტის და ბელინსკის მეტაფიზიკური ესთეტიკა უდევს საფუძვლად. ცნობილია, რომ კანტი „წმინდა გონების კრიტიკა“ — ში ხელოვნურად ამცირებდა ადამიანის გონების როლს შემეცნების მომენტში და სამაგიეროდ ფართო გზას უხსნიდა გრძობიერ შთაბეჭდილებებს; მაგრამ საკითხის მეტაფიზიკურად დასმამ კანტს არ მისცა საშუალება სინთეტიურად გადაეწყვიტა გონებისა და გრძობის როლი გნოსეოლოგიაში. ამ ნიადაგზე კანტმა რაც ვერ გადასწყვიტა შემეცნების ფარგალში, გადაიტანა ესთეტიკაში და ადამიანის გრძობებს მისცა პრიმატის როლი ხელოვნებაში. ამის შემდეგ დაკანონდა აზრი, თითქოს ხელოვნება იყოს მხოლოდ გრძობების სფერო, ხოლო მეცნიერება (პუბლიცისტიკა) წმინდა აზროვნების სფერო. იმ აზრით, რომ უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო ზღვარი ხელოვნებასა და მეცნიერებს შორის, ხელოვნება აქციეს სახეებით აზროვნებად, ხოლო მეცნიერება სილოგიზმებით. ამ პრინციპით ხელოვანი სახის საშვალებით გამოხატავს თავის აზრს ხოლო მეცნიერი პუბლიცისტი იმავე აზრს გამოხატავს სილოგიზმებით ამ დებულების ავტორები (ბელინსკი პოტებნია, პლენხანოვი, ტროცკი, ბუხარინი, პერევერზევი, ვორონსკი) ლოლიკურად მიდიოდენ ვარკვეულს დასვენამდე: რომ ხელოვნება ქვეცნობიერი ობიექტების სფეროა, ხოლო მეცნიერება ნათელი გონების. პლენხანოვის სიტყვით, ხელოვნება პერეტაა პუბლიცისტიკა კი განსჯა“ ეს იდეალისტური დებულება საქაო სიძლიერით განავითარა თავის ცნობილ წერძელში: „Белинский и разгадывающая действительность“ (იხ. Плеханов „В. Белинский сборник статей“ გვ. 38).

ასეთ მეტაფიზიკურ დაშორებას სახეობითი ელემენტის (ხელოვნებაში-გრძნობითი ელემენტის) და სილოგისტიკის (პუბლიცისტიკაში, ცხველებითი-ელემენტის), ჩვენ მივეყვართ ე. კანტისა და ანრი ბერქსონის (კანტისგან განსხვავებით) რადგანაც ბერქსონის ესთეტიკა სახეს იხილავდა, როგორც შთაბეჭდილებათა, ერთობლივობას, ხოლო სილოგიზმს (პუბლიცისტიკას) როგორც პირად სწრაფვას-ქმეზარიტებისადმი, სწორედ ამ საუბუძვლებზე ბერქსონის ესთეტიკაში დაიბადა-წინააღმდეგობა გონებასა და გრძნობის შორის; ამ წინააღმდეგობის გადალახენ ბერქსონმა სკადა მონიზმით, მაგრამ პირობითად დაშეებული მონიზმი უძლეობ-აღმოჩნდა საკითხების არსებით გადაწყვეტაში.

ვინც იცავს პლენანოვის ფორმულას, რომ „ხელოვნება სახეებით აზროვნე-ბაა“, მან უნდა დაიყვას პლენანოვის აქედან გამომდინარე შემდეგი ფორმულე-ბი: „ხელოვნება ქერეტაა“, „ხელოვნება თამაშია“ და „ინსტიტუტების სფერო“—სწორედ ამ დებულებებიდან გამოდის პლენანოვის—არა ნაკლებ იდეალისტური-მოსაზრება: „მხატვარი, სწერს პლენანოვი, აზრს გამოხატავს სურათების სა-შუალებით, პუბლიცისტი კი თავის აზრს ამტკიცებს ლოგიური დასკე-ნებით (ხაზი პლენანოვისა—დ. ბ.), თუ მწერალი სურათების მაგიერ ხმარობს-ლოგიურ დასკენებს, ან თუ სურათებს იგონებს რომელიმე აზრის-დასამტკიცებლად, მაშინ ის მხატვარი არ არის, მაშინ ის პუბლიცისტიკა, ისტორიულად თუნდაც ის არ სწერდეს გა-მოკველევებს. ოუნდაც რომანებს ან მოთხრობებს და სათეი-ტრო პისენს სწერდეს“¹⁾ (ხაზი ჩვენი).

ამ ფორმულაში შემოქმედებითი პროცესი წარმოდგენილია როგორც ალა გიური პროცესი და ამავე დროს მენშევიკურად უარყოფილია მხატვრული ნაწარ-მოების პოლიტიკური ტენდენცია. ისტორიულად ცნობილია, რომ ესა თუ ის მწერალი სურათებს იგონებს არა სურათებისათვის, არამედ რომელიმე აზრის-დასამტკიცებლად. ამ ურყევი კანონის უარყოფა არ შეიძლება. პლენანოვს მწე-რალი წარმოდგენილი ყავდა, როგორც პასიური მკერეტელი, რომელიც მხოლოდ-ითვისებს მოვლენებს. მარქსისტული ლენინური თვალსაზრისით მხატვარი პასიური-მაყურებელი კ არ არის, არამედ თითონ ცხოვრების ორგანიული ნაწილია, ის მოქმედობს ნასში, იგი არა მარტო ერკვევა მოვლენებში, არამედ იბრძვის ქვეყ-ნის, გარდაქმნისათვის და ამ ნიადაგზე ქმნის საკუთარ თავსაც. მაგრამ ეს არ გვაძლევს საბუთს ასეთ მწერალს არ უწოდოთ მხატვარი. დიდ მწერალს მხა-ტრულ ფაქტში—ხშირად ლოლიკური დასკენებისაც არ ეშინოდა. ბალზაკი და ტოლსტოი იქ იყვნ ძლიერნი, სადაც ლოლიკური დასკენებით გაყავდათ შემხვე-დრი ხაზები აწყობისა და მოშავალს შორის.

ხელოვნებაში ლოლიკური ელემენტის უარყოფამ პლენანოვი მიიყვანა კან-ტიანურ მოსაზრებაში—შემეცნების საკითხებში. ერთ-ერთ წერილში პლენანო-ვი სწერს: Польза познается рассудком; красота — Созерцательной способностью: Область первой — расчет; область второй ин-стикт. При этом же это необходимо понять — область, принадлежа-

¹⁾ იხ. ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება.

щая созрительной способности, не сравненно мире
 области расудка“ (ხაზი ჩვენია დ. ბ.).

ნათელია, რომ პლენანოვი აქ ანტროპოლოგიზმის საფუძველზე წყნარად, როგორც მელიც შორეული ხაზებით უკავშირდება კანტიანიზმს, ხოლო უშუალოდ გამოდის ფეიერბახის და ჩერნიშევსკის მექანიკური ვულგარული მატერიალიზმიდან. პლენანოვმა ადამიანი სოციალურ კატეგორიიდან დაიყვანა ბიოლოგიურ კატეგორიაში და ამით ინსტიტუტების სფერო აქცია როგორც სილამაზის შემეცნების რეგულიატორი. თქმა იმის, რომ ინსტიტუტების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე გონების სფერო, წარმოადგენს დაბრუნებას ფრანგულ მატერიალიზმთან, რომელსაც ლენინმა ჰეგელის „ლოლიკის მეცნიერების“ შესახებ დაწერილ კონსპექტებში „სულელური მატერიალიზმი“ უწოდა.

აი სადამდე მიყვარათ ფორმულას, თითქოს „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა“. ამ ფორმულის შემდგომ განვითარებამ თავის კულმინაციურ წერტილს პერევერზევის მენშევიკურ-ლიტერატურულ კონცეპციაში მიაღწია. პე რევე რეზე ვას აზრით, რადგანაც ხელოვნებაში აზრი საბით გამოითქმის, ამიტომ „ხელოვნება არის სახეების სისტემა“. აქ უკვე საზე დამოუკიდებელ სუბსტანციად იქცა, რომელიც თავისთავად აზროვნებს და გამოხატავს მწერლის მსოფლმხედველობას. ამგვარ მტკიცებამ ნაწარმოებიდან გამოორიცხა იდეები, ამიტომ იგი რეაქციონური და ანტიმარქსისტულია. მარქსისტული-ლენინური თვალსაზრისით ხელოვნება არის არა სახეების-სისტემა, არამედ იდეების მხატვრული სისტემა.

პლენანოვის ანტიმარქსისტული ფორმულის რესტავრატორად გამოდის ანხ. შ. რადიანი და გულუბრყვილოდ იცავს ესთეტიური გრძობების პრიმატს მხატვრულ ნაწარმოებში. რადიანის ნაწერებში ხშირად შეხვედებით ასეთ გამოთქმებს: „პოეტის დანიშნულებაა მოგვეცეს გრძობით სავსე სახე“... (გვ. 293), „მისი ლექსები მეტად დამძიმებულია. მასში ბევრია აზროვნება და მსჯელობა“ (გვ. 161) „აბაშელის ლექსში ბევრია მსჯელობის სტიქია უშუალოდ გონებისაგან და არა გრძობებისაგან გადმოცემული განწყობილებები“ (გვ. 153).

მიუხედავად იმისა, რომ რადიანი უკომენტარიოდ იღებს პლენანოვის ხელოვნების განსაზღვრის ფორმულას, ბოლშევიზმთან ზნეობრივი ვალის მოხდის მიზნით რადიანი უსაყვედურებს პლენანოვს, რომ მის „წერილებში ტოლსტოის შესახებ ნათლად გამოსჭვივის მის მიერ დაუფასებლობა ხელოვნების აქტიური როლის, როგორც სინამდლის შემცნობის (თუ შემეცნების! დ. ბ.) და შეცვლის მეთოდი“. ანხ. რადიანის საყვედურის პირველი ნაწილი სწორია, მაგრამ ეს სისწორე სრულიად ანგრევს პლენანოვის იმ ფორმულას, რომელსაც რადიანი უსიტყვოდ იღებს. ხელოვნების აქტიური როლის უარყოფა უშუალოდ გამოდის მის მენშევიკურ ფორმულიდან, თითქოს „ხელოვნება ქვრეტაა, ხოლო პუბლიცისტიკა განსჯა“, უკეთ „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა, პუბლიცისტიკა—სილოგიზმებით“. თუ რადიანი ამ უკარასკნელ განსაზღვრას უჭერს მხარს (და არამც თუ უჭერს, არამედ იბრძვის მისი ორტოდოქსისათვის) მაშინ უადგილოა მისი საყვედური პლენანოვის მიმართ, თუ საყვედური მართალია, მაშინ მან უა-

თილი ბოროტს, ჭკვიანი-სულელს და სხვ. დიალექტიკის ასთ-გაგების არაერთი საერთო არ აქვს მარქსისტულ—ლენინურ გაგებასთან. იგი უშუალოდ ტოლსტოიდან მოდის. ამ ფაქტის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს არადიანის მიერ პ. ჩხიკვაძის „სართულები“-ს ერთ-ერთი გმირის შეფასება: „გრიგოლ გიგაური. სწერს რადიანი, გაორებული პიროვნებაა, იგი ერთია საზოგადოებრივ საქმეში, მეორეა ოჯახში, პირად ცხოვრებაში... ამ მომენტში ჩხიკვაძე კარგად ხმარობს კლასიკური ნაწარმოებების და მწერლების დამახასიათებელ მხატვრულ ხერხს. 1898 წელს ლ. ტოლსტოი თავის დღიურში სწერდა: „კარგია ისეთი მხატვრული ნაწარმოების დაწერა, რომელშიაც ნათლად იქნება ნაჩვენები ადამიანის მოძრაობა, რომ ის არის ხან ბოროტი, ხან ანგელოსი, ხან ბრძენი-ხან სულელი, ხან ძლიერი-ხან უძლური არსება“. ამ გზით—განაგრძობს რადიანი, იძლეოდა ტოლსტოი თავის მხატვრულ ტიპებს. მის ყოველ გმირში ორი ადამიანი სცხოვრობს (ნებლიუდოვი, მარია დოლოხოვი და სხვ.) ასეთ გაორებას ტოლსტოი ყოველთვის ხაზს უსვამდა, აღსანიშნავია, რომ ამ გაორების ნიადაგი გმირისათვის ერთი იყო. ამ წინააღმდეგობებს ტოლსტოი იძლეოდა მუდმივ უწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთთან. ჩხიკვაძეც გრიგოლ გიგაურს ასეთი წინააღმდეგობების გზით იძლევა. მასშიც ორი ადამიანი სცხოვრობს. გრიგოლ გიგაურში ეს წინააღმდეგობები არ იმყოფება მყარ მდგომარეობაში, ან უბრალო თანაარსებობაში, არამედ მუდმივ ბრძოლაში. ამ ბრძოლის ნიადაგზე მისი ხასიათიც მუდმივ მოძრაობაში, განვითარებაშია“ (გვ. 284).

ჩვენ მიერ მოყვანილ რადიანის ციტატაში სამი მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომაა დაშვებული: ა) მატერიალისტური დიალექტიკის გაიგივება ყოველგვარ და ყოველი სახის წინააღმდეგობასთან ბ) ტოლსტოის გმირების გაორების და მის მხატვრულ შემოქმედებაში არსებული წინააღმდეგობის არა-ლენინური, არსებითად პლენზანოვისებური ახსნა გ) კლასიკოსებიდან სწავლის საკითხის ყალბად გაგება.

რადგანაც ტოლსტოი ერთ ადამიანში ხედავდა ორ ცნების დასაბამს: კეთილს და ბოროტს, ჭკვიანურს და სულელურს, უძლურობას და სიმარჯვეს და ამ ორ ცნების დაპირისპირების ნიადაგზე მწერალი ქმნიდა შინაგან მუდმივ წინააღმდეგობას; რადიანისათვის ეს საკმაოა, რომ ამგვარი დაპირისპირება დიალექტიკად აღიაროს და ურწევს პროლეტ-მწერლებს ისწავლონ დაპირისპირება ტოლსტოისგან. საკითხის ასეთი დაყენება ააშკარავებს ერთ-რამეს, რომ აშშ. რადიანს არ ესმის მატერიალისტური დიალექტიკის ნამდვილი არსი. კ. მარქსი პროდონთან პოლემიკის დროს დიალექტიკის ამგვარ გაგების წინააღმდეგ სწერდა: თავისთავად გასაგებია, რომ იმ მომენტიდან, როდესაც დიალექტიკური პროცესი იმ უბრალო პროცედურაზე დაიყვანება რომ კარგი ცუდს დაუპირისპირდება რომ პრობლემა დაისვას ცუდის მოხსნის მიზნით და ერთი კატეგორია თრიახად გაუხდეს მეორეს; ამ მომენტიდან კატეგორიებს აღარ აქვთ თვითმოქმედება; იღება აღარ მოქმედობს“, მასში აღარ არის სიცოცხლე, იგი აღარც დაიდგინება და აღარც დაიშლება კატეგორიებად, კატეგორიების თანამდევრობა რაღაც ხარაჩობათაა გადაქცეული. დიალექტიკა აღარ წარმოადგენს აბსოლუტური გო-

ნების მოძრაობას. დიალექტიკა გამჭრალა, რჩება დიდი-დიდი წინდა სახის მორალი**)

კ. მარქსის ეს სიტყვები გენიალურად ახასიათებს კეთილშობილურ მარქსის, ცუდისა და კარგის—მექანიკური დაპირისპირების უსაფუძვლობას. ტოლსტოი ასეთი დაპირისპირებით, რომელსაც ბიძგს აძლევდა მაშინდელი რუსეთის სინამდვილე, დიალექტიკის გაჭრობამდე და წინდა სახის მორალის გაბატონებამდე მიდიოდა. („Непротивление злу“).

რადიანს ყოველი სახის მოძრაობა და წინააღმდეგობა დიალექტიკად წარმოუდგენია; ნამდვილად კი „ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე მხარის თანაარსებობა, მათი ბრძოლა და მათი ახალი კატეგორიებად შედუღება შეადგენს დიალექტიურ მოძრაობას; როდესაც ჩვენ ცუდი მხარის მოშორების პრობლემას ვისახავთ,—შუაზე ვწყვეტთ დიალექტიურ მოძრაობას; აქ აღარ არის კატეგორია; რომელიც თვითდაიდგინება და თავის თავს წინ აღუდგება თავისივე წინააღმდეგობის შემცველ ბუნების გამო***).

ამასთან ერთად რადიანმა არა ლენინურად, არამედ პლენანოვისებურად გაიგო წინააღმდეგობა ტოლსტოის შემოქმედებაში. რადიანი ამ წინააღმდეგობის მიზეზად ასახელებს ტოლსტოის სუბიექტიურ „მე“-ში, მის „სულში“ მომხდარი ფსიქოლოგიური გაორებით, ნამდვილად კი წინააღმდეგობას ტოლსტოის შემოქმედებაში ღრმა სოციალური საფუძვლები ქონდა. „Но противоречия во взглядах и учениях Толстого не случайность, а выражение тех противоречивых условий, в которые поставлена была русская жизнь последней трети 19 века“ ***)

გამოდის რა პლენანოვის შემცდარ მოსაზრებიდან—ტოლსტოის შესახებ, ამხ. რადიანი ყალბ ორიენტაციას იძლევა კლასიკოსებიდან სწავლის საკითხებზე. პროლეტ-მწერლებს ურჩევს ტიპების მოცემას ტოლსტოის გაორების მეთოდით. ეს უკვე ტოლსტოიზმია, რასაც მარქსისტულმა-ლენინურმა სალიტერატურო კრიტიკამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

* *

ამხ. შ. რადიანი—თავის წიგნში თუ ერთის მხრივ მემარჯვენე-ოპორტუნისტულ დამოკიდებას იჩენს მემარჯვენე რეაქციონურ მწერლებთან მეორე მხრივ „მემარცხენე“ ნილილისტურ და არა ბოლშევიკურ რჩევას აძლევს თანაგზავრ მწერლებს.

ამხ. რადიანი მიწიშვილს აფასებს, როგორც თანამგზავრს რომელიც „საბჭოთა პლატფორმაზე სდგას“ და „ითვისებს ჩვენი ეპოქის, ჩვენი ცხოვრების პოლიტიკურ კონცეპციას“ თვითონ მიწიშვილი კი საკუთარ თავზე სწერს: „პოეზიაში მე მივეყვები მხოლოდ საკუთარ გულს და აღბად ესაა „მიზეზი, რომ

*) კ. მარქსი „ფილოსოფიის სილატაკე“, გვ. 177.

***) კ. მარქსი „ფილოსოფიის სილატაკე“ გვ. 175.

***) „Ленин „Лев Толстой, как зеркало русской революции“. წიგნი „Ленин и Толстой“ გვ. 51

მე როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელ აბოპოკრიფულ დროს აქტიულობას; როგორც პოეტი, მე, შესაძლებელია დავრჩე წარსულში“ . ს. შანშიაშვილის შესახებ რადიანი სწერს: „ს. შანშიაშვილი მუშაობდა პოეზიის დარგში მემარჯვენე თანამგზავრული ხასიათისა... ს. შანშიაშვილი იტყვას, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ს. შანშიაშვილი გლახობის (რომელ გლახობისმდ. ბ.) და სოფლის პოეტია უმთავრესად“ . ს. შანშიაშვილი საუცხოვოდ აღნიშნავს ღრმა სოციალურ კავშირს ჩვენს გლახსა და პროლეტარიატს შორის. „შანშიაშვილის ქვეყანა არის-ქვეყანა გლახის (რომელი გლახის—დ. ბ.), ხოლო დანარჩენს, რაც ამ ქვეყნის იქით (?) იმყოფება, ის უყურებს აგრეთვე გლახის (საერთოდ გლახის—დ. ბ.) თვალებით“; „ამგვარად შანშიაშვილი ცდილობს თავის შემოქმედებაში გლახის კულტი გამოაცხადოს“; „მის (ე. ი. შანშიაშვილის—დ. ბ.) მიერ მოცემული სახეები და სიტყვები სოფლის ცხოვრებიდან, გლახობის ყოფიდან იღებს დასაბამს“.

ასეთია—რადიანის მიხედვით, ს. შანშიაშვილის პორტრეტი. მაგრამ ამ პორტრეტში შანშიაშვილი არა გავს ნამდვილ შანშიაშვილს, რადგანაც აქ იგი წარმოდგენილია მთლიანად გლახობის პოეტად, იდეოლოგად, ნამდვილად კი ს. შანშიაშვილი კულაკური სოფლის პოეტია. დღეს პიონერმაც კი იცის, რომ არ არსებობს ერთი-მთლიანი სოფელი, მთლიანი გლახობა, რომ სოფლად ბრძოლაა გამართული ერთის მხრივ კულაკსა და მეორეს მხრივ კოლმეურნე, ღარიბ და საშუალო გლახებს შორის; რადიანს კი ეს ვერ შეუგნია და შანშიაშვილის კულაკურ პოეზიას ნათლავს მთლიანი გლახობის, მთლიანი სოფლის პოეზიად.

თუ რადიანი მემარჯვენე ოპორტუნისტული დამოკიდებულებას იჩენს მემარჯვენე და რეაქციონურ მწერლებთან სამაგიეროთ მემარცხენე ოპორტუნისტულ ორიენტაციას აძლევს თანამგზავრ მწერლებს. რადიანი სწერს: „თანამგზავრ მწერლებს დღეს ორი გზა, ორი შესაძლებლობა აქვთ: ან უნდა გახდენ პროლეტარული რევოლუციის, სოციალისტური აღმშენებლობის მოკავშირეები, ან და მტრის ბანაკში გადაბარდენ, საშუალო და ნეიტრალობის გზა არ არსებობს“ (გვ. 78).

საკითხის ასეთი დასა მთლიანად ამხინჯებს პარტიის პოლიტიკას თანამგზავრების მიმართ. ლოზუნგი „ან მოკავშირე-ან მტერი“ მემარცხენე ოპორტუნისტული ლოზუნგია, რომელიც რუსეთში წამოაყენეს „ნალიტპოსტოველებმა“ და რომელიც პარტიის ცეკას ორგანომ „პრავდამ“ უარყო და შეაფასა, როგორც „ლევკური“ ლოზუნგი.

საკუროთა: თანამგზავრებთან ფრთხილი მისვლა, სამაგიეროდ რეაქციონერ მწერლებთან—ბოლშევიკური ბრძოლა.

* *

კონკრეტული კრიტიკის დროს იმ. რადიანი ერთგვარ „მიკრობას“ იჩენს ამა თუ იმ პროლეტარული მწერლისადმი. მაგალითად-თუ მისი აზრით „ნაროუშვილის პოეზიას ახასიათებს ზერელე, იაფფასიან ოპტიმიზმი, რაც ანტიციტებს, რომ, პოეტს არა აქვს ღრმად შეცნობილი სინამდვილე“ (გვ. 90), სამა-

გეროდ „კ. ლორთქიფანიძე სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობის თვალსაზრისით უყურებს ყოველ მოკლენას, ყოველ ფაქტს. პირველი პირობა ამ დიდი მიზნის შესრულებისათვის არის ის, რომ შეიყვარო ცხოვრება არ გაეჭე მას; მეტრძოლი ადამიანი სრულიად არ უნდა შეაკრთოს ზოგიერთმა სიძნელემ. დაპრკოლებამ, რომელიც მას შეხედება წინსვლის გზაზე, ის არ უნდა გადაეშვას ცხოვრების უარყოფაში კ. ლორთქიფანიძესაც, როგორც მეტრძოლი კლასის წევრს შეხვედრია ბრძოლაში და ცხოვრებაში მრავალი დაპრკოლება, მაგრამ მას ქედი არ მოუხრია მათ წინაშე“ (გვ. 248).

ჩვენ აქ არ შეუდგებით იმ ლექსების ჩამოთვლას, სადაც ლორთქიფანიძემ არამც თუ ქედი მოიხარა ძველის წინაშე, არამედ იგი წარმოადგენდა ძველი იდეების რესტავრაციას.

რაც შეეხება ნაროფშვილის „იაფფასიან ოპტიმიზმს“, ეს შეფასება ტენდენციურობით არის გამოწვეული, რადგან ნაროფშვილის — „ყორღანის“, „პოლიტიკური პოეტის დეკლარაციას“, „ამილახვარს“, „ხოლტს“, არ შეიძლება იაფ-„ფასიანი ოპტიმიზმი“-ს შეფასება მიეცეს.

რადიანს არ მოსწონს ნაროფშვილი იმიტომ, რომ ის არ იძლევა პეიზაჟს (გვ. 292), გრძნობით გამთბარ სახეს (გვ. 293) ინტუიტიურ შეგრძნებას და სითბოს. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ მიუღებელია პროლეტარული მწერლისათვის. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ რადიანი პლემანოვის თვალსაზრისით უდგება ხელოვნების საკითხებს. და საჯაროდ აცხადებს: რომ „პროლეტარული მწერლისათვის არაფერი არ არის უცხო“ (გვ. 292). აი სადამდე შეიძლება მივიდეს შემარჯვენე ოპორტუნისში.

რადიანის წიგნში არის სხვა შემცდარი ადგილებიც (გვერდი 25, 26, 42, 45, 91, 152, 309, 310, და სხვა) მაგრამ მათი კრიტიკა ჩვენ ძლიერ შორს წავიყვანდა.

სამოლოოდ: უნდა შევიგნოთ ის უდავო ქეშპარბტება, რომ ზერელობით საკითხებთან გულგრილი და ოპორტუნისტული მისვლით ლიტერატურის შეცნიერების პრობლემები და თანამედროვე ქართული ლიტერატურის რთული მექანიკა — არ გაირკვევა.

გამია გურიელის უსნოზი პოემა.

მამია გურიელი დღეს თითქმის დავიწყებული სახელია ქართული ლიტერატურისათვის თავის დროზე იგი ცნობილი იყო, როგორც ავტორი პოპულარული ლექსისა „ადამიანი“, მთარგმნელი ლერმონტოვის „დემონისა“ და ამასთანავე ერთად, როგორც ლექსების შესანიშნავი დეკლამატორი.

მამია გურიელი დ. 1836 წ., გარდ. 1891 წ., სწერდა „ფაზლის“ ფსევდონიმით. მისი ერთ ტომიანი თხზულებათა კრებული გამოცემულ იქნა 1897 წ. ქუთაისში. ამ კრებულში „ირმის ნამბობი“ არ არის მოთავსებული. ეს პოემა, ცალკე რვეულის სახით, პოეტმა ი. გრაძიაშვილმა იპოვა საქართველოს ცენტრარქივის „საცენზურო კომიტეტის“ საკმეგბში. რვეულს თავფურცელზე ახლავს ცენზურის წარწერა: „Задержано по постановлению Комитета 30 сентября 1906 г.“. რვეულის ბოლო ვერადზე სწერია: „Рукопись прислана из Кутаиса тавографией Н. Квладзе и Н. Хеладзе“. როგორც სჩანს, ამ პოემის ცალკე გამოცემა სტრდათ, მაგრამ საცენზურო კომიტეტს აღკრძალავს.

ამ პოემის ვარიანტი მაინც დაუბეჭდიათ ე. თუმანიშვილის მიერ განახლებულ ორნამენტულ „ივერიაში“ № 39, 1909 წელს, მაგრამ შეუდომებოთ და კუპირებოთ.

პოემა „ირმის ნამბობი“ წარმოადგენს მე-XIX ს. ქართული თავდა-ახნაურული პატრიოტული პოეზიისათვის დამაბასიათებელი კოლიტიკური-ალეგორიული ჟანრის ერთ-ერთ ნიმუშს. ამ ჟანრის ლირიკისა და ეპოსის საფუძვლად დასაყრდენი ქართულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს აკაკი, ზოლო თვით ჟანრის სათავეები უნდა ვეძებოთ უფრო შორს, ნიკო ბარათაშვილის შემოქმედებაში („სუმბული დამწირო“ და სხვ.).

პოემა „ირმის ნამბობს“ ებეჭდავთ იმ სახით როგორც გადმოგვცა ი. გრიშაშვილმა...
რედაქცია.

ირმის ნამბობი

ბ ლ ა შ ა რ ი

(ახლად შემოღობულას შიჯიქმათ მთხზობილია)

იყო არაბი
სად მომხდარა
სულ არაბა რომ არ იყოს?
ან ზღაპრები
ტყუილები
თან სიზმრები ამხდარიყოს?
მაგრამ ერთსა
შეესთხოვ ლმერთსა,



ჩვენსა მსნელსა მათჴმევეინოს
 თუნდ ხუმრობა,
 მასხარობა, —
 აგებ ვისმე გაეციონოს.

ავდებ, გამოველ ცისკრის დროს,
 მომინდა მონადირეობა,
 გამოვიარე ქალები,
 სითაც მაძლევედა გუნება
 წევხვდი ირემსა ნუკრებით
 უცხოთა საბალახოსა,
 ვეპარებოდი სიფრთხილით,
 არ მიმიკარა ახლოსა.
 წინ ჩავსრიალდი და თოფი
 შიგ დაუნიშნე გვერდებში.
 ის საწყლად შემომამჩერდა
 შიშვნეულობით თვალებში.
 შითბრა, ღვთის კაცოს ნუ მომკლავ,
 ერთი რამ მათჴმევეინო,
 კარგს რამეებსა ვიამბობ,
 შენც კარგად მომისმინეო.
 თოფი დაუშვი შეკრთომით,
 ჯური დავუგდე ირემსა, —
 კაცურმა მისმა სიტყვებმა
 მე უფრო გამაკვირვესა.
 ასრე დაიწყო მოთბრობა
 ახირებული თავისი.
 არვიდნ იფიქროთ ჩემგნითა
 შომატება რამ ამისი.

I

ადრე დილით
 მე ლოგინით
 ტკბილის ძილით წამოვარდი
 წაველ ტყეში,
 ბარს და მთებში,
 ღრიანკლებში, ზედ მივეარდი
 ერთსა დათვისა,
 სწორედ აესა
 მანახავსა, შევეუშინდი
 თეთრ-ყვითელსა
 თვალ-წითელსა,



ვით კურდღელსა, მთლად გაგვირდი-
 ილრიალა,
 ბალა-ბალა.
 სად დამთვრალა ეს უმსგავსო?!
 აგებ დასტკებეს
 დამიწყნარდეს
 მოდი ერთი მეც შეეასო.
 ვადაშუშა
 ორი შუშა,
 როგორც მუშა, სულ მწყურვალ-
 რალაც სიტყვებს
 გაუგებლებს
 ბურღულულობდა ის დამთვრალი.
 მოჰყვა ტირილს,
 ქვითინ-ყვილის
 კოცნა-ბლოშნას და მოყვრობა
 განშიცხადა,
 თან მიქადა
 კეშმარიტი მეგობრობა.
 მითხრა: მტერებს,
 შენსა მკვლელებს,
 სისხლის მსმელებს მოგაშორებ.
 მოგასვენებ
 დაგაშენებ,
 ბედით მეფეთ გაგასწორებ.
 მრავალ ასთა
 ძლიერ დათეთა
 მცველად თავზე დაგაყენებ.
 საჩუქრებსა,
 ოქროებსა
 იმდენს მოგცემ, ვაგაშტერებ.
 მხოლოდ ესა
 მსურის დღესა,
 შენსა მტერსა ვუყურებდე
 დაჩაგრულსა,
 გულ-წასულსა,
 შენ კი ჩემი ღ გიგულეზდე.

II

პასუხი მივეც: რალა სჯობს
 სიტყვებსა თქვენსა მქევერებსა,
 თქვენი უთელელი ჯარები



ზარს სცემენ ჩემსა მტერებსა.
 მე უზრუნველად მივადგე
 ჩემის სახლისა აღდგენას,
 ნუკრებთა მოშენებასა
 წესიერების დადგენას...
 თუ სულსა მოგვაოქმევინებ,
 ჩვენცა გვაქვს ღონე, ძალები,
 ჯანი სულისა უქანცი
 და დაუღლეი მკლავები.
 გვეტყვი, წამს მხათა ვიქმნებით
 ყოველთვის მოსახმარებლად,
 მებრძოლ-მეტოქთა გამტეხად
 და ტახტის დასამაგრებლად.
 დრო იყო, ვერვინ გვეტყოდა,
 დადექ, მოვდივარ შენზედა,
 მათ თვითონ ჩვენ შეეუტევიდით,
 ჯაქვს დაეაფრეწდით მხრებზედა.
 მაგრამ ეხლა სხვა ეამია
 შენ ერთი გვეყავხარ დამხსნელი;
 ჯერ ღვთის წინ მადლად გვეყოფა,
 მერმეა დიდი სახელი.

III

მან შითხრა: ნეტავ რათ მინდა
 მოხმარება და ჯარიო?
 უანგარიშო ხალხი მყავს
 ბრიჯვი და შიუმხედარიო,
 რასაც ვუბრძანებ, მაშინვე
 სრულ ყოფენ უეჭველათო,
 თვით ცეცხლში ჩასცვივდებიან
 უჩივლად, უკვნესელათო.
 ცოდნა-სწავლასა ისინი
 დიმილით უკჷკერიანო;
 საზრდოთ აქვთ მკვალი კვავისა,
 ქონ-წყლითა გასძლებიანო;
 ამებეს ზედა დაასხმენ
 უხვად სიკოცხლის წყალსაო,
 სხვას ბერსა არ დაგიდევენ
 სუიანიდ სთვლიან თავსაო.
 მეცა ამითა ვსარგებლობ,
 რას ვაქნევ სულელებსაო,
 განესცხრები, ფულებს ვაგროვებ,



ტყავს ვაძრობ მაგ ვირებსაო.
 ვისაც სურს, ჯილდოს ვუბოძებ,
 ადგილს მომცემელს თფილსაო.
 ნაცვლად ჩემთვის თავს დასდებენ
 შემწირვენ ცოლს და შეილსაო.
 ამნაირები ბევრი მყავს
 მსახური და სარღებო,
 ფულის თაყვანისმცემლები,
 მამულის ერთგულებო.
 ხალხსა აქვს საამჟამოთა
 მე თუ ვარ გასუქებული.
 წყავის წვენითა დამთვრალი
 მრისხანე, გაწითლებული.
 თუ ვისმე დავსჯი, დავებნობ
 გაგავდებინებ თავსაო,
 ამითა მკვებარებენ
 რა კარგი მეფე გვყავსაო!
 როცა ვჯავრობ და ელრიალებ
 ეაშასა შიძახიანო,
 თაყვანსა მცემენ მუხლ-მოყრით,
 მეტს ვერას მიხედებინანო.
 მაშ რაცა გითხარ, გჯეროდეს
 არის სიმართლე სწორიო,
 სიტყვა და საქმე ერთი მაქვს
 გულიცა შერცხვეს ორიო.
 იფიცა ლმერთი საბაო,
 ერთობით თავის კერპები,
 საქირა დროზე გიშველო,
 მენდო, არ გეტყუები.

IV

ამ გვირად დამოყვრებული
 წამოვიყვანე სახლშია,
 გავუწყე დიდი მეჯლიში,
 ლხინი არ გეკლდა სმაშია.
 მოვიხმე ზურნა, დუდუკი,
 თარები, კიანურები,
 თან მომდერლები უცხონი,
 ჩიტყვით მოკიკვიკები.
 ბოლი აუდის ყვარელსა
 ღვინოსა წითელ-მაგარსა,
 როგორც მზის სხივთ ქვეშ
 შავსა-ზღვას,



შათის ალერსით გამთბარსა,
 კარდინახელი კებულობს,
 ბაჯალლოს ფერი გულს ატკობს,
 დათუნა სოფს და დურდღულობს,
 ეინ მიუხედება, რას ამბობს.
 ასე თითქმის ერთ კვირამდის
 დროს ვატარებდით ვლხინობდით.
 ხან ვეჯირითობდით, ვარბევდით
 ცხენებსა, ხან ვნადირობდით.
 სალამოობით კრე'ულნი
 ქალ-ვაენი შეექცეოდენ,
 ნარდით, სხვადასხვა თამაშით
 ერთმანეთს ეჯიბრებოდენ.
 დაკრავდენ თარსა, დაირას,
 ლეკური გაიმართოდა;
 ღვინისა შემდეგ ჩვენს სტუმარს
 ეს მეტის-მეტად მოსწონდა.
 ბოლოს დროს გამომეთხოვა,
 მითხრა შრავალი მადლობა,
 აღმითქვა მალე მოვალო,
 რომ დაგიმტკიცო მოყვრობა.

V

აღარ გასულა ბევრი რამე დრო,
 მან აღასრულა თქმული პირობა,
 მოასხა დათეთა ას ათასობით
 გამოწყობილი უცხოთ მხედრობა.
 ვითა ეტიკი მე წინ ვუძლოდი
 არჩეულების ჩემის გმირებით;
 ჯადაც მას მტერზე მიეუთითებდი,
 ის შეუტევდა ფიცხლავ ხიშტებით.
 სულ მცირე ხანში ჩემთა მებრძოლთა
 თავზარი დასცა მილეწ-მოლეწა;
 მოსრა, დახოცა შეუწყალეზლათ,
 ეინც სიჩქარით არ გარდაეხვეწა.
 შეშინებულთა შეედრეს ზავი,
 თანხმა გაუზდა და აზღვევინა:
 ხარჯი, ზარალი, კარგი თუ ავი,
 საუდიეროც დაათვლევინა
 დიდძალი ოქრო და რაც დააკლდათ
 ნაცვლად მოსთხოვა მიწა, სოფლები,
 ისინი თითონ ამოიჩაია,



წაართო მთელი სამთავროები.
ჩვენ გვახარებდა ჟინის ამოყრა
დაუფიწყარი იმათზე ძველი,
დაჩაგვრა, დევნა, სახლ-კრიდამ გაყრა,
იყო მეტი რამ გასახარელი.

VI

დაებრუნდით სახლში, მივეციტ შევბას,
არ გვეშინოდა აღარავისი,
ხელი მოგვიდეთ გუთანს და თოხსა
კვლავ ვაქნევინეთ საქმე თავისი.
დამშვიდ-დაეწყნარდით, წამოესულდგმულდით,
მოეშენდით კიდევ, ვაგასწორდით წელში,
სახრდომ იმატა, უფრო გაემრავლდით,
ჩავეარდით სწორედ სანატრელ ბედში.
აწ კი შეგვეძლო თვითვე ცხოვრება
მძლავრი მტერები რადგან მოგვეცილდენ,
ჩვენ შეჩვეულებს ერთ-ასთან ბრძოლას
წვლილები რაღას ვაგვიბედვიდენ.
ამისთვის ვსთხოვეთ ჩვენსა შემწესა,
რომ წასულიყო თავის მხარეში,
თქვენსა ამაგსა, დიდსა იმედსა
არ დავივიწყებთ ჩვენს სიკოცხლესი.
უეცდებით მარად ჩვენც გემსახუროთ,
მინამ აღვაულებთ ზეკად ლოცვენსა,
ამ ამბებს საქებს, რაცა გიქნია,
გარდაეცემთ შვილთ და შვილის-შვილებსა.

VII

ეს სიტყვები მას არ მოეწონა,
გასწყრა, განრისხდა, შექნა ღრიალი,
მეტი ხმა აღარ გამაღებინა
მხეცურათ იწყო თვალთა ბრიალი.
დიდი ხნის შემდეგ შემომიბღაკლა:
რაო, რას ამბობ ხომ არ გაცოფდი?
ამ რიგი აზრი ვინ დაგასწავლა?
თუ თავი გინდა, ეხლავ გამშორდი.
ამდენი შრომა გამიწევია
უთვლელ მტერებთან სასტიკ ბრძოლებში,
ქვეშევრდომთ სისხლი დამითხევია
უხვად უკნობთა უცხო ველებში,
და ეხლა გინდა შინ გამისტუმრო,



შენ სახლში დარჩე მოსვენებული?
 ის არა გიჯობს, სხვა რამ იხუმრო,
 თუ შილად არა ხარ გაგიყვებული.
 ნუ თუ გეგონა სადღაც ტყეებში
 ბაევშთა ვადია ჩამოვიდოდი?
 თქვენ დაგავდებდი ამ სამოთხეში
 და მე სიჩქარით შინ წავიდოდი!
 ხა! ხა! ხა! ხა! ხა! არა ძმობილო,
 მეტად შემცთარხარ ანგარიშშია
 გინდა მართალი ვაგაგებინო,
 თუ რამ შეგივა ვამხმარ ტვინშია?
 მე ჩამოვბრძანდი, მტრები განუღვენე,
 მხარე მივეცი განსვენებასა,
 დღეიდან, გესმის, უნდა ემონოთ
 უსიტყვოდ ყოველს ჩემს ბრძანებასა.
 მე დაგიპყარით, ჩემი ყმები ხართ,
 კარგათ ვაიგეთ, იყავით ჩემათ;
 მითხარი აბა, თქვენ ვინა გდინხართ,
 რომ გეწვეოდით ორი დღით სტუმრათ?
 ვინც არ შეისმენს, ძალა შეასმენს,
 გამოგინახავთ უკეთეს ბინას,
 იქ ვაგავზავნით, სადაც ბუჭი სტყვენს
 და თვითონ ყვაევი სადაც ვერ ფრინავს.

VIII

ცა თაეს დამატყდა, მიწა ვაირღვა,
 დამიტრიალდა გულღვიძლს ნალველი,
 ძველ შენობივით სასო დაინგრა,—
 უბედურების გაუხდი მნახველი.
 მოჰყვა აწ ჩვენსა შეიწროებას
 ბნელეთის შვილთა მოხერხებითა:
 პირად ქალაქუნს, ჩუმათ წამებას
 სხვადასხვა ხრიკთა მოგონებითა.
 ჯერ ვეთხოვა ხარკი, შემდეგაც ღალა,
 გაანადგურა ჩემი ნუკრები,
 მცველ-მოშველელები მიმალ-მოშალა,
 აფსო მათით საპურობილები.
 წაგვართო მთები, სახნავ-სათესი,
 ტყეები, სიტყვით, მოლათ დაგვატყია,
 რაც დაგვრჩა ისიც კვლავ უარესი
 სადავდარაბოთ გადაგვიტყია.
 სულ გაგვიფუჭა ახალგაზდობა,

ჩარლზ რობერტ დარვინი

მოკლე ბიოგრაფია

(გარჯაცელებიდან ორმოცდაათი წლის თავის გამო)

დარვინი დაიბადა 1809 წლის 12 თებერვალს, ძველისძველ ქალაქ შრტსბერიში, ცნობილ ექიმის რობერტ დარვინის შეძლებულ ოჯახში. დარვინის პაპა იყო მე-18-ს. სახელგანთქმული ნატურალისტი ერაზმ დარვინი. საერთოდ დარვინის მამისა და დედის (ვეჯუელის გვარის) ნათესაობა განთქმული იყო ინგლისში: ამ ორმა გვარმა ინგლისის მისცა საქვეყნოდ ცნობილი ექიმები, მოგზაურები, ნატურალისტები, ფაბრიკანტები და პოლიტიკური მოღვაწეები.

1818 წელს დარვინი მიიბარეს შრტსბერის გ. წ. „საგრამატიკო სკოლაში“, სადაც მთავარი ყურადღება ძველი ენების სწავლებას ეძღვოდა. შემდეგში დარვინი სწერდა: „სკოლა, როგორც სწავლების საშუალება, ჩემს ცხოვრებაში ცარიელ ადგილად დარჩაო“. ბავშვის ინტერესები სრულიად სხვა ხაზით მიემართებოდა: იგი აგროვებდა მწერებს, მინერალებს, თვალყურს ადევნებდა ფრინველთა ცხოვრებას და უფროს ძმასთან ერთად ქიმიკში ცდებოდა კი აწარმოებდა. დარვინს ცოტა მისცა აგრეთვე უნივერსიტეტშიც. დარვანი ჯერ (1825 წ.) ედინბურგის უნივერსიტეტში შევიდა, რომ ექიმობა ესწავლა. მაგრამ მან არავითარი მიდრეკილება არ გამოიჩინა მედიცინისადმი და მამის სურვილის თანახმად 1828 წ. გადავიდა კემბრიჯის უნივერსიტეტის კრაისტ კოლეჯში (ქრისტეს კოლეჯია), რომ მღვდლად მომზადებულიყო. არც ამ საქმეში გამოუჩენია დარვინს რაიმე ხალისი. მას ნადირობა და სპორტი უფრო იტაცებს. უნივერსიტეტში იგი ეცნობა ბოტანიკოს პროფ. ჰანსლოუს, გეოლოგს პროფ. სეჯვიკს და სხვ. ეს ნაცნობობა საბოლოოდ არკვევს მის მოწოდებას. დარვინი იწყებს დამოუკიდებელ მუშაობას ბუნებისმეტყველებაში, კითხულობს დიდი რაოდენობის წიგნებს, ხოლო 1831 წელს, მეცნიერებათა ბაკალავრის სახელწოდებაზე გამოცდის ჩაბარების შემდეგ, სეჯვიკთან ერთად მონაწილეობს გეოლოგიურ ექსკურსიაში ზრდ. უელსი. იმავე 1831 წელს ჰანსლოუ რეკომენდაციას უკეთებს დარვინს როგორც ნატურალისტს ხომალდ „ბიგლ“-ის ექსპედიციაში, რომელიც ინგლისის მთავრობამ მოაწყო პატაგონიისა და ცეცხლის მიწის ნაპირების შესასწავლად. „ბიგლს“ ამასთანავე ერთად დედამიწის გარშემოც უნდა ემოგზაურნა სხვადასხვა ადგილას ქრონომეტრიულ გაზომვების საწარმოებლად. 1831 წლის დეკემბერში „ბიგლმა“ დასტოვა ინგლისის ნაპირები ორი წლით. მაგრამ მოგზაურობა გაგრძელდა და, „ბიგლმა“ მხოლოდ 1836 წლის ოქტომბერში მოახერხა უკან დაბრუნება. ბრაზილიისკენ წასული „ბიგლი“ სამხრეთ ამერიკისა და ცეცხლის მიწის აღმოსავლეთ ნაპირზე 1834 წლის შუა თვეებამდე დარჩა.

ამ ხანებში დარეინმა რამდენიმე ექსკურსია გააკეთა ხმელეთზე, ეს ექსკურსიები 1-2 თვეს გასტანდა ხოლმე. დარეინმა მოიარა კუნძულები ჩილოე და ჩონოსი, ორჯერ გადალახა კორდილიერები, გამოიკვლია მისი მუშაობის შედეგად სახელგანთქმული პალაპაგოსის არქიპელაგი. 1835 წ. ბოლოს და 1836 წელს ექსპედიციამ მოიარა კუნძულები ტაიტო, ახალი ზელანდია, ტასმანია და ინდოეთის ოკეანისა. ამერიკის დასავლეთ ნაპირების და ატლანტიური ოკეანის გავლით „ბიგლმა“ კვლავ ბრაზილიისკენ იბრუნა პირი, საიდანაც დაბრუნდა სამშობლოში.

„ბიგლზე“ მოგზაურობამ გარდამწყვეტი როლი ითამაშა დარეინის, როგორც ბუნების შეტყვევლის, საბოლოო ჩამოყალიბებაში. სწორედ „ბიგლი“ შეიქმნა დარეინის ნამდვილ შკოლად. ხელუხლებელ ბუნების დიად სურათების ნახვამ, უმდიდრესმა გეოლოგიურმა, ბოტანიკურმა და ზოოლოგიურმა დაკვირვებებმა, დარეინის მიერ მოგზაურობის დროს შეგროვილმა ძვირფასმა კოლექციებმა ერთა შესახებ ახალგაზრდა მეცნიერის აზროვნებას, დასაწყისი მისცეს მის შემდეგ სამეცნიერო მოღვაწეობას. სამოგზაუროდ წასვლისას დარეინმა თან წაიღო იმ ხანებში გამოსული ლაიელის „გეოლოგიის საფუძვლების“ პირველი ტომი, რომელიც პირველად ასაბუთებდა მიწის ზედაპირის ნელს, ცვლადობას, რომელიც განვითარებას, მუდამ წარმოებულს იწვევს ფაქტორთა ზეგავლენით, რომლებიც ეხლაც ადამიანის თვალისათვის შეუმჩნევლად სცვლიან მიწის ზედაპირს. ამ წიგნმა დარეინზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. უნივერსიტეტში ყოფნის დროს იგი ერთხელაც არ დაეკვივებულა საეკლესიო დოგმის სისწორეში. ეხლა კი დაკვირვებები მას ერთი-მეორეზე აწოდებდნენ დოკუმენტალურ საბუთებს ლაიელის თეორიის სისწორის დასამტკიცებლად. დედამიწის ისტორიაში ზებუნებრივ ძალთა გავლენის უარყოფა და აღიარება ახალი ფაქტორისა, უხანგრძლივესი დროის მანძილისა, ბუნების სხვადასხვა მცირე და თანდათანობით ერთმანეთზე გადაბმულ ძალთა გავლენისა— იძილებულს ხდიან დარეინს დაუფიქრდეს იმ არაჩვეულებრივ ფაქტებს ზოოლოგიის სფეროში, რომელიც მან გაიკნო თავისი მოგზაურობის დროს. მან შეამჩნია, რომ სამხრეთ ამერიკის ბევრი ცხოველი ძალიან წაავსებს ეხლა მიწიდან ამოთხრილ ცხოველებს, რომელთაც აღრინდელ გეოლოგიურ ეპოქებში იტყვევებდნენ უცხოვრიათ. ამასთანავე ერთად ეს ცხოველები დამახასიათებელი არიან მხოლოდ სამხრეთ ამერიკისათვის და სხვაგან არსად მოიპოვებიან. განსაკვირვებელი მსგავსება იპოვა მან აგრეთვე პალაპაგოსის კუნძულებისა და სამხრ. ამერიკის მეზობლად მდებარე ნაწილების ცხოველთა შორის, ისინი ეჭვს ვარაუდებენ წარმოადგენდნენ სხვადასხვა სახეებს, მაგრამ მათი მსგავსება შეუძლებელია რომ შემთხვევითი ყოფილიყო: თავისთავად იზადებოდა აზრი ერთ ნათესაურ წარმოშობაზე. სამხრეთ ამერიკის პამპასებში დარეინი მოწმე შეიქნა ცხოველთა მასიური გაწყვეტისა არა ხელსაყრელ პირობებში და მათი გადაჭარბებული გამრავლებისა ხელსაყრელ პირობებში. ასე შეუმჩნევლად დარეინმა დაიწყო ფაქტების დაგროვება, რამაც იგი მიიყვანა სახეთა წარმოშობის პრობლემამდე. დაკვირვებამ ცეცხლის მიწის მცხოვრებლებზე, რომლებიც თავისი კულტურის განვითარებით ჯერ კიდევ ქვის საუკუნის სტადიაზე იმყოფებოდნენ, აგრეთვე უდიდისი შთაბეჭდილება მოახდინა დარეინზე და ჩაუ-

სახა მის ჯერ კიდევ გაურკვეველი აზრები ადამიანის ევოლუციასე. სისტემა ალმუთათება გამოიწვია მასში ნეგრების მონობის საზარელმა სურათებმა. ლიბერალურ იდეებზე აღზრდილი დარვინი ვერ ურიგდებოდა მონობას. შემდეგში იგი არაერთგზის დაბრუნებია ამ საკითხს.

ინგლისში დაბრუნების შემდეგ დარვინი ამხადებს დასაბუქდად თავისი მოგზაურობის დღიურს. უკანასკნელი გამოცემული იქნა 1839 წელს როგორც „ბიგლის“ ექსპედიციის ანგარიშის მე-III ტომი, ხოლო 1845 წ. ხელმეორედ დამოუკიდებლად წიგნის სახით. თავისი კოლექციების საშეცნიეროდ დამუშავებისათვის დარვინი იწვევს მთელ რიგ მსწავლულებს, თითონ კი კისრულობს მუშაობას გეოლოგიურ ნაწილში. ამ დროს იგი მჭიდროდ უახლოვდება ლაიელს და ჯონ გუკერს, რომლებმაც შემდეგში საგრძნობი როლი ითამაშეს მისი თეორიის გამოქვეყნების საქმეში. 1837 წელს დარვინი ლებულობს შაგისტროსის ხარისხს კემბრიჯის უნივერსიტეტში. 1839 წელს იგი ირთავს ცოლად ემმა ვეჯუელს და 1843 წლამდე რჩება ლონდონში, საიდგანაც ხანგამოშვებით აწარმოებს გეოლოგიურ ექსკურსიებს ინგლისის საზღვრებში. ლონდონში ცხოვრების დროს დარვინი პირველად დაავადდა მძიმე სენით, რომელიც გამოწვეული იყო ნერვით სისტემისა და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლით. ამ ავადმყოფობისაგან იგი მთელი თვისი სიცოცხლე ვერ განთავისუფლდა. დარვინმა გადასწყვიტა ლონდონის მიტოვება. იგი გადასახლდა ლონდონიდან ორი საათის მანძილზე მდებარე სოფელ დაუნში. აქ მან გაატარა მთელი თავისი დანარჩენი ცხოვრება, აქ განიხილუა მან თავისი უდიადესი იდეები, მოახდინა მრავალრიცხოვანი ზოოლოგიური და ბოტანიკური დაკვირვებები და დასწერა თავისი თხზულებები. დაუნი გადაიქცა ცენტრად სადაც დარვინთან სასაუბროთ მრავალგზის მოდიოდნენ ინგლისის ყველაზე უფრო სახელგანთქმული ნატურალისტები. 1859 წლიდან კი ამ სოფლისაკენ ილტვოდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მსწავლულებიც. დარვინს ათი შვილი ჰყავდა, მათგან უმეტესობა სახელოვანი მეცნიერი შეიქნა: ჯორჯ დარვინი—სახელგანთქმული ასტრონომი, ფრენსის დარვინი—ცნობილი ბოტანიკოსი, ლეონარდ დარვინი—ბიოლოგი, ევოლუციონისტი და ევანგელისტი, მორას დარვინი—ინჟინერი, ცნობილი გამომგონებელი და სხვ.

დარვინი სამართლიანად ცნობილი იყო როგორც უმტკიცესი ზნეობრივი ძალის ადამიანი: ცნობილია მისი უდიდესი შრომისმოყვარეობა და სისტემატიურობა მუშაობაში, მისი უაღრესი თავდაბლობა, თავაზიანობა და სისადავე. მისი სიყვარული და ყურადღება მოწინააღმდეგეთა აზრებისა და გუქებისადმი. დარვინი გარდაიცვალა 1882 წლის 19 აპრილს, უკანასკნელ წუთამდე თავისი სიცოცხლისა მას თავი არ მიუწუნებია მუშაობისათვის. დარვინი დასაფლავებულია ვესტმინსტერის სააბატოში ნიუტონისა და გერშელის საფლავების გვერდით. დარვინმა თავისი წიგნების ჰონორარით საკმაო სიმდიდრე შეიძინა, აქედან ძალიან დიდი თანხა მან უანდერდა ღედამიწის ზურგზე არსებულ ყვავილოვან მცენარეთა სრული სიის გამოცემის საქმეს. ეს გამოცემა მართლაც განხორციელებული იქნა ჯ. გუკერის მეთვალყურეობით. ამ გამოცემის სიდიდის წარმოსადგენად საკმარისი იქნება ეთქვას, რომ მარტო მისი ხელნაწერი ერთ ტონაზე მეტს იწონიდა.

დარვინის მთავარი თხზულება, რომელსაც ეწოდება „გვართა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით“, გამოქვეყნდა 1859 წლის 24 ნოემბერს.

ამ წიგნის პირველი გამოცემა, —ათასი ეგზემპლარი, პირველსავე დღესვე გაიყიდა. დარვინის თხზულებამ ყირამალა დააყენა მანამდე განუცხადებელი აზრი ცხოველთა და მცენარეთა სახეების წარმოშობისა და მთელი ორგანიული სამყაროს ევოლუციის შესახებ.

დარვინი მართლაც წარმოადგენს ევოლუციონური მოძღვრების დამფუძნებელს. მან დაამტკიცა, რომ ბუნებაში არ არსებობს მუდმივი, უცვლელი ორგანიული ფორმები, რითაც დაამსჯერია ყველა მეტაფიზიკური მოძღვრება ბუნების უცვლელობის შესახებ. დარვინმა გვიჩვენა, რომ მთელი ორგანიული სამყარო, მცენარეები, ცხოველები და მანამდე ადნითანიც, წარმოადგენს ნაყოფს ხანგრძლივი განვითარებისა რამოდენიმე მილიონი წლის მანძილზე.

ასე ახასიათებს დარვინის მოძღვრებას ენგელსი „ანტიდირინგის“ შესავალში. ენგელსი „გვართა წარმოშობას“ მისი გამოქვეყნებისთანავე გაეცნო, 1859 წლის დეკემბერში, მარქსისადმი მიწერილ ბარათში ენგელსი სწერს: „საერთოდ დარვინი, რომელსაც სწორედ ებლა ვკითხულობ, შესანიშნავია. ამ დარგში თელეოლოგია ჯერ კიდევ არ იყო დამსხვრეული, ებლა კი ეს საქმე გაკეთებულია. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ ყოფილა ასეთი გრანდიოზული ცდა ბუნებაში ისტორიული განვითარების დამტკიცებისა და ისიც ასე წარმატებით“.

ენგელსმა საუცხოოდ დაათვა სადარვინის უდიდესი როლი იდეოლოგიურ სფეროში. მართლაც დარვინის მოძღვრება საეცებით უარყოფს რელიგიურ შეხედულებებს ადამიანის შექმნის შესახებ „სახისამებრ და მსგავსად ლეთისა“.

სახეცლად, რომელიც ახასიათებს ყველა მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმს, დარვინის მოძღვრების მიხედვით, გამოიხატება იმაში, რომ ცალკე სახეებს უჩნდებათ სხვადასხვა გადახრა, ბუნებრივი შერჩევის გზით კი ამ გადახრათა დაგროვება იწვევს ახალ ცხოველურ და მცენარეულ ფორმების გაჩენას.

ბუნება კმნის უამრავი რაოდენობის ჩანასახებს, მაგრამ სიმწიფეს აღწევენ არა ყველა ორგანიზმები. განვითარების აღრინდელ საფეხურზე უმეტესობა მათგანი იღუპება, ბუნება ყველასთვის არ უზრუნველყოფს არსებობის პირობებს და ამით სახლვარს უღებს მათ უსაზღვრო გამრავლებას.

ორგანიზმებს შორის სწარმოებს მუდმივი ბრძოლა არსებობისათვის, ამ ბრძოლის შედეგად არა სრულყოფილი სახეები იღუპებიან. რჩებიან, ის ორგანიზმები, რომლებიც ცვალებადობის პროცესში, (რაც მემკვიდრეობით გადადის), აღჭურვილნი არიან არსებობისათვის ბრძოლაში გამოსადეგი თვისებებით. გარემო პირობებთან ყველაზე უფრო შეგუებული ორგანიზმები რჩებიან, ნაკლებ შეგუებულნი იღუპებიან. ასე სწარმოებს ბუნებრივი შერჩევა.

აი, ზოგად ხაზებში დარვინის მოძღვრების ძირითადი თეზისები.

დარვინმა შექმნა არსებითად მატერიალისტური მოძღვრება, რომელმაც ლახვარი ჩასცა იდეალისტურ და სარწმუნოებრივ იდეოლოგიას. მაგრამ დარვინის მოძღვრება თავისუფალი არ არის ზოგიერთი ნაკლისაგან, ეს ნაკლი აიხსნება დიადი მეცნიერის ბურჟუაზიული კლასიური მსოფლმხედველობით. დარვინის დიად დამსახურებას უაღრესად აფასებენ მარქსი და ენგელსი, მაგრამ

ისინი არ ფარავდენ მისი მათგანმხედველობის ნაკლოვანებებს. ზემოხსენებულ წერილში ენგელსი აღნიშნავს: „უბეწ ინგლისურ მეთოდს“, რომელსაც ცხადია უნდა შეუროგდეთ“.

1860 წელს დაახლოებით ამასვე ამბობს მარქსიც: „თუმცა გადმოცემა უბეწია, ინგლისური, მაგრამ ეს წიგნი საფუძველს უჭმნის ჩვენს საბუნებისმეტყველო—ისტორიულ შეხედულებებს“. ორი წლის შემდეგ ლასალისადმი წერილში მარქსი სწერს: მეტად ძვირფასია დარვინის თხზულება, იგი გამოსადეგია ჩემთვის, როგორც საბუნებისმეტყველო-მეცნიერული დასაყდენი ისტორიული კლასობრივი ბრძოლისა“.

რაში მდგომარეობს დარვინის მოძღვრების ნაკლი? მარქსი, ენგელსი და ლენინი აღნიშნავენ, რომ დარვინმა ბუნებაში გადაიტანა მალტუსის შემცდარი „კანონი“ მოსახლეობის ზრდის შესახებ.

„აღსანიშნავია,—სწერს მარქსი,—რომ დარვინმა ცხოველთა და მცენარეთა გარშემო კვლავ აღმოაჩინა თავისი ინგლისური საზოგადოება, მისი შრომის განაწილებით, კონკურენციით, ახალ ბაზრების აღმოჩენით, „გამოგონებებით“ და მალტუსისებური „არსებობისათვის ბრძოლით“.

დარვინი სცდებოდა აგრეთვე, როდესაც ძველი ტრადიციული მოძღვრების თანახმად ამბობდა, რომ „ბუნება ნახტომებს არ აკეთებს“.

დარვინიზმის რეაქციონური „ნიმდევრები“ სარგებლობდენ დარვინის ამ შეხედულებით, თეზისი „ბუნება ნახტომებს არ აკეთებს“ გადაჭონდათ სოციალურ ურთიერთობათა სფეროშიდაც და აცხადებდენ: „ისტორია ნახტომებს არ აკეთებს“. ამ თვალსაზრისით ყოველგვარ სოციალურ რევოლუციას შემთხვევითისა და უკანონო მოვლენად სთვლიდენ.

დარვინის თეორიას გამოჰქვეყნებისთანავე გამოუჩნდა დაუძინებელი მტერი: ეს იყო ყოველი ჯურისა და ფერის სამღვდლოება. დღესაც სამღვდლოება გააფრთხილებს ებრძვის დარვინიზმს. ყველას ახსოვს მაგალითად ყბადაღებული „მაიმუნის“ პრეცესი ამერიკაში.

კაპიტალიზმის აღორძინების ეპოქაში დარვინიზმის წარმოშობა მოსალოდნელი იყო ყველაზე მოწინავე და განვითარებულ კაპიტალისტურ ინგლისში. მარგამ ამჟამად, სასტიკ ეკონომიურ კრიზისის ხანაში კაპიტალიზმი ცდილობს უარი სთქვას გამოგონებებისა, აღმოჩენებისა და თავისი ტექნიკისაგან. ბურჟუაზია უარყოფს მატერიალიზმს, გვედლება მეტაფიზიკისა და რელიგიის.

თუ ბუცები გადაჭრილ ომს უცხადებდენ დარვინიზმს, როგორც რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ მოძღვრებას,—რადიკალური ბურჟუაზიის ზოგიერთმა ნაწილმა სცადა დარვინის თეორიის გამოყენება თავისი კლასობრივი მიზნებისათვის. ეგრეთ წოდებული „სოციალური დარვინიზმი“ რომელიც თითქოს ემყარება ბუნებრივ შერჩევის თეორიას, ამტკიცებს, გაბატონებული კლასები ერის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენო. ამ რასიული შოვინისტების აზრით ქვეყანაზე არსებობენ უმაღლესი და უმდაბლესი რასები თავისი ბუნებრივ ფსიქობიოლოგიურ თვისებებით. ამით ისინი ამართლებენ კოლონიალურ ქვეყნების ჩაგვრას, მათ მონურ შრომას და სილატაკეს. ძალიან საინტერესო და დამახასი-

ათებელია ამერიკელ ბიოლოგის კონკლინის ცდა დარვინიზმის გამოყენებისა თანამედროვე ეკონომიური კრიზისის გასამართლებლად. კონკლინი აცხადებს, რომ კაპიტალიზმის კრიზისსა და მისგან გამოწვეულ მშრანქმულს გალატაკებას მიუყვართ რასის გაუმჯობესებისაკენ, ვინაიდან შამშლისსტანტობიანი ყველაზედ ნაკლებად შეგუებულნი და გადარჩებიან ყველაზე უფრო ძლიერნი.

დარვინის იდეებმა ვერ ნახეს თავისი სრული გამოყენება კაპიტალიზმის პირობებში. მხოლოდ სოციალისტური მშენებლობის ქვეყანაშია შესაძლებელი დარვინის ბიოლოგიური თეორიის პრაქტიკულად გამოყენება მსხვილ სასოფლო სოციალისტურ მეურნეობაში. დარვინიზმის ბიოლოგიური საფუძვლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარცვლოვან და ტენიკურ კულტურათა მოსავლიანობის ასაწევად, სოციალისტური მეცხოველეობის პრობლემის გადასაჭრელად.

მარქსისტ-ბიოლოგების წინაშე უდიდესი ამოცანაა წამოჭრილი — ეს არის დარვინიზმის გადამშავება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლებზე.

ლენინის შეხედულებები განვითარებაზე და ევოლუციის ლენინური კონცეპცია საფუძვლად უნდა დაედოს სოციალისტურ მშენებლობას და მისი ტემპების გაძლიერებას, დარვინის მოძღვრების მატერიალისტური საფუძვლები-სათვის ბრძოლით მუშათა კლასი გამოიყენებს დარვინიზმს სოციალიზმის აშენების საქმეში.

ღარვინიზმის მეთოდოლოგია^{*)}

თამაზმად ღარვინის მოძღვრებისა, ორგანიული სამყაროს წარმოშობა უწარმოებდა თანდათანობით უმარტივეს ცოცხალ არსებიდან, ისე რომ ყოველივე მაღალ საფეხურზე მყოფ ცხოველს თუ მცენარეს განვლილი აქვს განვითარების გრძელი ისტორიული გზა. მაშასადამე, არსებულ ცხოველთა და მცენარეთა თვითეული სახე უახლოესად წარმოიწევა სხვა რომელიმე სახისაგან, რომელიც შესაძლოა დღესაც სცხოვრობდეს, მაგრამ შესაძლებელია ამომწყვდარიყო ერთ რომელიმე გეოლოგიურ ეპოქაში. ამ დებულებას იზიარებდა შრავალი მეცნიერი, როგორც ღარვინის დროს, ისე წინათაც. მაგრამ ღარვინმა მოგვცა ცნობილი ფაქტიური მასალის და საკუთარი დაკვირვების და ცდების ისეთი ანალიზი, რომ ღარვინის მთავარი შრომის, „სახეთა წარმოშობის“, გამოქვეყნების შემდეგ მეცნიერთა უმრავლესობისთვის და ძალიან ხალე მთელი კულტურულ, კაცობრიობისათვის სრულიად ნათელი და დამტკიცებული გახდა ცხოველთა და მცენარეთა ისტორიული განვითარება, ანუ როგორც ბიოლოგები გამოთქვიან — ფილოგენეტიური განვითარება. მხოლოდ შედეგად ღარვინის კვლევისა ფილოგენეზი, ისტორიზმი ანუ ევოლიუციის პრინციპი გახდა აუცილებელი პირობა ბიოლოგიურ მოკლენათა კვლევა-ძიებისა.

ღარვინის მოძღვრება იძლევა არა მარტო სახეთა ფილოგენეტიური განვითარების სრულიად დამარწმუნებელ მტკიცებას. ღარვინის მოძღვრება იძლევა აგრეთვე იმ მთავარ ფაქტორებსაც, რომლის წეობებითაც ხდებოდა სახეთა ისტორიული განვითარება; ეს ფაქტორებია სახის ცვალებადობა და დამახასიათებელ ნიშანთვისებათა მემკვიდრეობა. სახელდობრ, ღარვინის მოძღვრებამ მოგვცა უტყუარი საბუთი იმისა, რომ თვითეული სახე ძალიან ცვალებად ჯგუფისაგან შეესდგება, რომ თვითეული სახეცვლილებების დამახასიათებელ ნიშანთვისებათა უმრავლესობა მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე და ამიტომაც ამ ნიშანთვისებებს აქვს არსებითი მნიშვნელობა სახეთა განვითარებაში.


^{*)} მოხსენება ღარვინის გარდაცვალების 50 წლის თავზე მარტოხმ ლენინის ინსტიტუტში, 1932 წლის 27 აპრილს.

სახეცვლილებათა წარმოშობას დარვინი ნიაჭერს ერთის მხრივ/ცხოვრების პირობებს და მეორეს მხრივ თვით ორგანიზმის ბუნებას; უკანასკნელი პირობა, ორგანიზმის ბუნება, დარვინის აზრით უმთავრესია. ვინაიდან, ამბობს იგი, სრულიად თანაბარი ცვლილებანი ზოგჯერ აღმოცენდება ხოლომე სხვადასხვა პირობებში, ახ და სხვადასხვა სახეცვლილება წარმოიშობა თითქოს ზედმიწევნით თანაბარ პირობაში. ამნაირად, თანახმად დარვინის მოძღვრებისა, ცვლილების თვითთული ფორმის განსაზღვრაში გარეგან პირობებს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს შედარებით ორგანიზმის ბუნებასთან. „მაშასადამე ორგანიზმის ბუნებაში უნდა იყოს მოცემული უკვე ის მთავარი ფაქტორები, რომელზედაც უნდა იყოს დამოკიდებული ინდივიდის სახეცვლილებები“. შესაძლებელია, ამბობს დარვინი, გარეგან პირობათა მნიშვნელობა უფრო მეტი არაა, ვიდრე ალის თუ ცეცხლის, როდესაც იგი საწვავ მასალის გროვის ანთებას იწვევს. („სახეთა წარმოშობა“, ფილიპოვის მეორე გამოცემა, გვ. 15--18), ამნაირად, დარვინის მოძღვრება ჰგულისხმობს, რომ ორგანიზმის ბუნებას ახასიათებს თვითმოძრაობა, რომელიც პირობადებულია ერთის მხრივ ორგანიზმის შიგნით არსებული მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ფაქტორებით და მეორე მხრივ, გარემოს სპეციფიკური ზეგავლენით. ამის შედეგად ჩვენ ვლბებულვით უამრავ ახალ-ახალ ნიშან-ცვლილებებს, რომელთაგან ზოგი მემკვიდრეობით გადადის, ზოგი არა, ზოგი უსარგებლო ან მავნეა ორგანიზმის თავდაცვის და გამრავლებისათვის, ზოგი კი სასარგებლო ან ინდიფერენტული. აი ეს ცვლილებანი იძლევა შესაძლებლობას რათა ორგანიული სამყარო ფილოგენეტიურად განვითარდეს და იგი სულ უფრო და უფრო მაღალ ხარისხზე ავიდეს.

მაგრამ დარვინის მოძღვრების მთავარი ღირებულება სახეთა ცვალებადობისა და მემკვიდრეობის დამტკიცებაში კი არ მდგომარეობს. მთავარი ღირებულება დარვინის მოძღვრების, მთავარი მისი დამსახურება ბიოლოგიის წინაშე, ის არის, რომ აღმოჩენილი იყო ის კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ცვლილებათა შერჩევას ორგანიულ სამყაროს განვითარებისას. დარვინის წინაშე წარმოიშვა ასეთი საკითხი: თუ შემოაღნიშნული სასარგებლო და მავნე ცვლილებანი შემთხვევითია, უმთავრესად ორგანიზმის შინაგან ბუნებაზე დამოკიდებული, რატომ არსებობს მაშინ, სახეთა სრული შეგუება იმ გარემოსადმი, სადაც ისინი სცხოვრობენ, და აგრეთვე რატომ არსებობს ორგანიზმის თვითთული ნაწილის შეგუება სხვა ნაწილებისადმი?

ამ კითხვებზე დარვინი 25 წელზე მეტს მუშაობდა. მან უამრავი მოკლენა შეისწავლა და გაიმეორა ცდის პირობებში სანამ საბოლოოდ დარწმუნდებოდა. თუ რა იყო ის კანონი, რომლის მიხედვითაც სწარმოებს ახალ სახეთა წარმოშობა და მიხანშეწონილი შეგუება გარემოსადმი. ეს არის დღეს უკვლასათვის ცნობილი კანონი ბუნებრივი შერჩევისა.

ცნობილია, რომ თვითთული ცოცხალი ორგანიზმი მრავლდება გეომეტრიული პროგრესიით. თვითთული სახე სულ რამოდენიმე ათეული თუ ასეული წლის განმავლობაში დაჰფარავდა მთელ დედამიწას, რომ მის გამრავლებას არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდეს. დედამიწის ზურგზე არსებობს საკვების



განსაზღვრული მარაგი ორგანიზმების გამოსაკვებად. რადგან თვითიული სახის გამრავლება სწარმოებს ისეთი პროპორციით, რომ შეუძლებელი ხდება ამ სახის ყველა ინდივიდის გამოკვება, ამიტომ ისინი იძულებულ არიან იბრძოლონ არსებობისათვის ერთმანეთში და სხვა სახეების ინდივიდებთანაც. ამ ბრძოლას ივებს ისეთი ინდივიდი, ვისაც უფრო მაღალი ხარისხის ნიშან-თვისებანი აქვს.

მხოლოდ ესენი სძლებენ და ღებულობენ მონაწილეობას შემდეგ „გამოკვლევაში“ რადგან ნიშანთვისებანი მეტ წილად შემკვიდრეობით გადადის, ამიტომ /მრავლდება და ბატონდება ის სახეცვლილება, რომელიც უფრო კარგად ნიშნავს მრავლებული თავის ნიშანთვისებებით გარემოსთან, ცხოვრების პირობებთან, სოლო დინარქიული სახეცვლილებანი იღუპებიან ამ ბრძოლაში უშედეგოდ. ამნაირად, ბუნებაში თავის თავად ხდება ისეთი პროცესი, არსებობისათვის ბრძოლის პროცესი, რომელიც პირობადებს მხოლოდ ხელსაყრელ ცვლილებათა დაცვას, და ამის გამო წარმოშობს როგორც ერთი სახიდან მეორე სახეს, ისე თვითთელი სახის საუკეთესო შეგუებას ცხოვრების პირობებისადმი. ამ კანონს დარღვევა უწოდა ბუნებრივი შერჩევა ანუ არსებობისათვის ბრძოლაში საუკეთესოდ შეგუებულთა გადაარჩენა.

თანახმად ამ კანონისა თავის თავად ცხადია, რომ ორგანიზმთა მიხანშეწონილი აგებულება და მათი სრული შეგუება გარემოს სპეციალურ პირობებისადმი არის პირდაპირი შედეგი ბუნებრივი შერჩევისა. მაშასადამე, ორგანიზმთა მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური მიხანშეწონილობა არ შეიძლება ჩაითვალოს რაღაც შემომქმედი უზენაესი ძალის გამოშატველად, როგორც ეს ყველას ეგონა ძველად და დღესაც მრავალს ჰგონია.

შემდეგ, თანახმად ამ კანონისა, ორგანიზმული ბუნება ვითარდება თანდათანობით განუწყვეტლივ არსებობისათვის ბრძოლის დროს. მაგრამ აქ ისმის ასეთი საკითხი: თუ თვითთელი სახე თანდათანობით ვითარდება, რატომ არსებობს ბუნებაში სახეთა დიფერენცირება? რატომ თვითთელ სახეს არ ახადია სინამდვილეში ყველა სათანადო გარდამავალი ფორმები? ამას დარღვენი ხანის ამნაირად: ჩვენ უნდა დავუფიქროთ, რომ თვითთელი ორგანიზმისთვის უსათუოდ სასარგებლოა ყოველნაირი გადახრა თავის მსგავს არსებობათგან, ვინაიდან ასეთ გადახრასთან ერთად ისპობა ცოტათ თუ მეტად კონკურენცია კვების მხრივ თავის მსგავს ორგანიზმებთან და ამის გამო არსებობისათვის ბრძოლაში მისი გამარჯვების შანსები უფრო მეტია. და რაც უფრო დიდია გადახრა, იმდენად უფრო მეტი სარგებლობა უნდა მიიღოს მისგან ორგანიზმმა, მით უფრო მეტი უნდა იყოს გადაარჩენის შანსებიც. სწორედ ამიტომ ვერ უძლებს გარდამავალი სახეცვლილი ფორმების უმრავლესობა დაწინაურებული სახეცვლილებების დღითი-დღე გამრავლებას და გაძლიერებას, და ამის გამო ისპობა, უთმობს თავის ასპარეზს ამ ყველაზე დაწინაურებულს, ყველაზე უფრო განსხვავებულ სახეცვლილებებს. ამნაირად ხდება ახალი სახეცვლილებების გაბატონება, და როდესაც მისგან ვლებულობთ ისეთ ახალ ფორმას, რომელიც თავის ზოგიერთი ნიშანთვისებებით დღესახისგან მნიშვნელოვნად არის დაშორებული, მაშინ ჩვენ გვაქვს საქმე უკვე ახალ სახესთან. ამიტომ ამპობს საშარტლიანად დარღვენი, რომ სახეცვლილება არის ახალი სახის დასაწყისი, ხოლო თვით სახე წარმოადგენს დამთავრებულ განვითარებულ სახეცვლილებას. აქედან გამომდინარეობს, რომ ბუნებრივი შერჩევის ნიშანდგენე სწარმოებს, როგორც საზოგადოთ სახეთა განუწყვეტელი განვითარება, ისე მათი დიფერენციაციაც. ე. ი. სახეთა დაშორება შედეგად გარდამავალი ფორმების ამოწყვეტისა.

მოკლედ ასეთია მთავარი, არსებითი მხარე დარვინიზმისა, დარვინის მოძღვრებისა. დარვინის მოძღვრებას სახეთა წარმოშობის შესახებ ჰქონდა უაღრესი მნიშვნელობა ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში. ვინაიდან ბუნებრივი შერჩევის კანონის მიხედვით სწარმოებს ორგანიზმის ყოველმხრივი განვითარება, ამიტომ ეს კანონი საფუძვლად დაედვა კვლევა-ძიებას ყველა ბიოლოგიურ მეცნიერებაში. როდესაც ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ემბრიოლოგია, პალეონტოლოგია, გენეტიკა შეისწავლიდნენ მეცნიერულად ამა თუ იმ ბიოლოგიურ მოვლენას, ყველა ეს მეცნიერებანი ხელმძღვანელობდნენ დარვინის მიერ მოცემული განვითარების პრინციპით და უკავშირებდნენ მოვლენის წარმოშობას და მთელ მის თავისებურებას ორგანიზმთა ფილოგენეტიკურ განვითარებას ბუნებრივი შერჩევის ნიადაგზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დარვინიზმი წარმოადგენდა ყველა ბიოლოგიურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიას. ეს მეთოდოლოგია გვეუბნება, რომ არც ერთი ბიოლოგიური მოვლენა, მორფოლოგიური იქნება იგი თუ ფიზიოლოგიური, არ შეიძლება განხილული იყოს გარეშე აღებული ორგანიზმის ისტორიული განვითარებისა, რომ ყოველივე მარტივი თურთული მოვლენა არ შეიძლება შესწავლილი იყოს მეცნიერულად და სწორედ გაგებულად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ მოვლენის ფილოგენეტიკურ განვითარებას.

საგლახისზნა, რომ დარვინის მოძღვრება მარტო ნამდვილ რევოლუციონურ მოძღვრებას კი არ წარმოადგენს. მან გამოიწვია მთლიანი გადატრიალება თავის დროის ბუნებისმეტყველ მეცნიერებაში და თვითონ ამ მოძღვრების გაბატონებაც მოხდა უცხად, რევოლუციონურად, როგორც ნახტომი ძველი მიტაფიზიკური მსოფლმხედველობიდან დარვინულ-ევოლუციონურში. დარვინის თანამედროვე განთქმული ფიზიოლოგი დიუბუა რეიშონი ასე ახასიათებს ამ მომენტს კაცობრიობის ისტორიაში: „ეს იყო აფეთქება, რომლის მსგავსი ჯერ მეცნიერებას არ ენახა; რომელიც ასე დიდხანს მზადდებოდა და ასე უცხად აქუხდა, ასე უმჩნევლად შემოიჭრა და ასე სასიკვდილოდ იბრძოდა. მის მიერ წარმოებული დანგრევის სიფართით და მნიშვნელობით, იმ გამოძახილით, რომელიც მან ჰყოვა კაცობრიობის აზროვნების სულ გამოვლენულ სფეროებშიაც კი ეს იყო მეცნიერული, ლეაწლი რომელსაც ბადალი არ ჰქონდა“.

იმის ნათელყოფისათვის, თუ რას ნიშნავს, ბიოლოგიისთვის დარვინის მეთოდოლოგია, მე მოვიყვან მაგალითებს ჩვენი პედაგოგიკის ფიზიოლოგიის და ქვევითმეცნიერების ლაბორატორიის პრაქტიკიდან. ამ რამოდენიმე წლის წინათ ჩვენ შევისწავლიდით ძვლოვან თევზების და ამფიბიების ქვევას სრულიად თანაბარ ლაბორატორიულ პირობებში. ჩვენ ავიღეთ მტკვრის ლოქო და კიდევ ბარბუსი (არ ვიცი ამ თევზს ქართულად რას უწოდებენ. ჩვენი მეთევზეები მას „ცოცხალ თევზს“ ეძახიან). ამფიბიებიდან ვიღებდით ბაყაყს, ტრიტონს, და აქსოლოტლს. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო გამოვგერკვია, თუ როგორია მათი უნარიანობა ინდუვიდუური გამოცდილებით სარგებლობისა. ამ შედარებითი გამო-

კვლევიდან აღმოჩნდა, რომ თევზებზე უფრო მალე და უფრო მკვიდრი ინდივიდური ქცევა-ფითარება, ვიდრე ამფიბიებზე.

ჩვენ კი, თანახმად ცნობილი ანატომიური და ზოოლოგიური მონაცემებისა, მოველოდით სულ საწინააღმდეგო შედეგებს. ამფიბიებს, რომლებსაც ცენტრალური ნაწილი უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველებს, ინდივიდური ქცევის უნარიანობა უფრო მეტი უნდა ჰქონოდათ, ვინაიდან ინდივიდური ქცევა შედარებით თანშობილ ქცევასთან, უფრო მაღალ ფორმას წარმოადგენს. ჩვენ ამ წინააღმდეგობის მიზეზის გამოსარკვევად მივმართეთ თევზების და ამფიბიების ტვინის შესახებ ანატომიურ ჰისტოლოგიური ლიტერატურის შესწავლას. სწორედ ამ ხანებში, როდესაც აღნიშნული პარადოქსალური შედეგები მივიღეთ, ცნობილმა ამერიკელმა ნევროლოგმა იუდსონ ჰერიკმა გამოაქვეყნა ამ ცხოველთა ტვინის ანატომიურ-ჰისტოლოგიური დაწვრილებითი გამოკვლევა, სადაც იგი დაასკვნა, რომ ამფიბიების ტვინი თავის განვითარებით ძელოვან თევზზე უფრო დაბლა სდგას, რომ ამფიბიების ტვინი შედარებით თევზებთან რეტროგრადულ ე. ი. უკუსვლით განვითარებას განიცდისო. (C. Judson Herrick: Jour. of compar. neur., ტ. 32, გვ. 429, 1921;—Jour. of comp. neur., ტ. 43, გვ. 231. 1927) იუდსონ ჰერიკი ჩემდამი მომართულ წერილში ამ საკითხის შესახებ აღნიშნავდა, რომ ჩვენ მიერ მალევე აღმოჩენილი პარადოქსალური შედეგების მიზეზი უნდა ვეძიოთ თევზებისა და ამფიბიების ნერვული სისტემის მორფოლოგიურ სტრუქტურაში, რომ ძელოვან თევზებს შედარებით ამფიბიებთან უფრო მაღალ დიფერენცირებული თავის ტვინი აქვთ, მეტადრე უშამდებარე ტვინი, რომელიც ამ ცხოველებში ქცევის ცენტრალურ ორგანოდ ითვლება. ამნაირად, მიუხედავად იმისა, რომ ამფიბიები ძელოვან თევზებიდან უნდა წარმოშობილიყვნენ და მათთან შედარებით ცხოველთა მაღალ ფორმას წარმოადგენენ, მათი ფილოგენეტიური განვითარება თანახმად დარვინის მეთოდოლოგიისა ისეთ პირობებში სწარმოებდა, რომ თავის ტვინის და ქცევათა ფორმის წინქცევით განვითარებას ადგილი არ ჰქონია, პირიქით მის მაგიერ მომხდარა ტვინის და ქცევის უკუსვლითი, რეტროგრადული განვითარება. (იხ. ი. ბერიტაშვილი: ხერხეშლიან ცხოველთა ქცევის შედარებითი შესწავლისათვის მოხსენება I. ტფილისის უნივერსიტეტის მოაპე ტ. X, გვ. 225. 1929).

შემდეგ, როდესაც ჩვენ შევისწავლიდით ძაღლის ლეკვებზე თავდაცვის ქცევის აქტებს, აღმოვაჩინეთ, რომ მათი ინდივიდური ქცევის უნარიანობა ისეთივე არ არის, როგორც მოზრდილი ძაღლისა. სახელდობრ 13—30 დღის ძაღლის ლეკვზე ინდივიდური ქცევა უფრო ძნელად ვითარდება და უფრო ნაკლებად არის დიფერენცირებული, ვიდრე მოზრდილი ძაღლისა.

ამავე დროს ჩვენ შევისწავლიდით მოზრდილ შინაურ კურდღელთა ინდივიდუალურ ქცევას. მათ აღმოაჩნდათ დაახლოებით ისეთი უნარიანობა ინდივიდური ქცევის განვითარებისა და დიფერენციაციისა, როგორც 13—30 დღის ძაღლის ლეკვს ჰქონდა. აქედან ჩვენი დასკვნაა, თანახმად დარვინის მეთოდოლოგიისა, რომ ძაღლის ქცევის ფილოგენეტიური განვითარე-

ბა შედარებით შინაურ კურდღელთან შემდეგ საფეხურს წარმოადგენს, რომ ძალის ქცევის ონტოგენეტიკურ განვითარება იძლევა ქცევის ფილოგენეტიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურებს. (იხ. ი. ბერიტაშვილის იგივე შრომა).

მოვიყვან აგრეთვე მშენიერ მაგალითს ადამიანის წარმოშობის შესახებ. დარკინმა ისე დასცენა ადამიანის ფილოგენეტიკური წარმოშობა მაიმუნის მსგავს ცხოველიდან, რომ მას სრულიად არ ჰქონია არავითარი ცნობა ადამიანსა და მაიმუნთა შორის გარდამავალ სახეებზე. მისი ანალიზი ებებოდა უმთავრესად შედარებით ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ემბრიოლოგიიდან ნიღებულ ფაქტებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მან ეს დასცენა გააკეთა თავის მეთოდოლოგიის წყალობით, რომელიც მან წინასწარ შეიმუშავა ცხოველთა და მცენარეთა განვითარების მდიდარ მასალაზე.

მაგრამ დღეს მთავარი საკითხი გარდამავალი ტიპების შესახებ ამოწურულად შეიძლება ჩაითვალოს. დარკინი გარდაიცვალა 1882 წელს და აი მისი გარდაცვალების ითი წლის შემდეგ დიუ ბუამ კენჭულ იავაზე პლეოცენის პერიოდის მიწაში, რომელიც ამ ნახევარი მილიონი წლის წინათ უნდა წარმოშობილიყო, აღმოაჩინა წინაპარი ადამიანის ჩონჩხის ნაშთები. ამ ადამიანს დიუ ბუამ უწოდა პითე-კანტროპუსი. თავის-ქალის სიღრუის მოცულობა მას ჰქონდა ადამიანზე ნაკლები 900—940 კუბ. სანტ. დღევანდელი ევროპიული თავის-ქალის მოცულობა 1300+1600 კუბ. სან. უდრის, ხოლო ავსტრალიის ველურ ბინადართა თავის-ქალის სიღრუის მოცულობა ხშირად 930 კ. ს. უდრის. უმაღლეს საფეხურზე მდგამი მაიმუნის შიშვანუსი და გორილას თავის-ქალის მოცულობა არ აღემატება 600 კ. სანტ. ამნაირად, პითე-კანტროპუსის თავის ტვინის ოდნობა ყოფილა ადამიანისაზე ცოტა ნაკლები, ხოლო შედარებით ანტროპოიდების ტვინზედ გაცილებით მეტი იყო.

პითეკანტროპუსს კბილები და ქვედა ყბა უფრო მაიმუნისას მიემსგავსებოდა ვიდრე ადამიანისას. მათ ორ ფეხზე სიარულის უნარი ჰქონდათ, ხოლო ბარძაყის ძვალი, როგორც მაიმუნებს, შედარებით ადამიანთან უფრო მოკლე ჰქონდათ. მალე ამის შემდეგ აღმოაჩინეს სხვა გარდამავალ ტიპების ჩონჩხთა ნაშთებიც. საინტერესოა, რომ იმ ადგილის მახლობლად, სადაც დარკინი სცხოვრობდა, აგრეთვე აღმოჩენილი იყო მნიშვნელოვანი ნაშთი ადამიანის წინაპრის, ამ ნაშთს ვო-ანტროპუსს უწოდებენ.

ამათ გარდა კიდევ რამდენიმე სხვა ჩონჩხის ნარჩენებია ნაპოვნი სხვადასხვა ადგილას. ეს ჩონჩხები იძლევა ადამიანის წინაპართა განვითარების სხვადასხვა საფეხურს. საგულისხმოა, რომ ყველა ეს ნაშთები აღმოჩენილი იყო ისეთ გეოლოგიურ პერიოდში, სადაც მოიპოვება აგრეთვე უმაღლესი მაიმუნების ანტროპოიდების ნაშთები. ხოლო წინა გეოლოგიურ პერიოდებში, სადაც დაბალი საფეხურის მაიმუნების ნაშთები მოიპოვება, ადამიანის წინაპრის ნაშთი არ აღმოუჩენიათ. მაშ ადამიანი პლეოცენის პერიოდში წარმოიშვა, ე. ი. ნახევარი ან ერთი მილიონი წლის წინად.

ცნობილია, რომ ყველა დღევანდელი დროის მაიმუნები ტყეში ხეებზე სცხოვრობენ და ხის ნაყოფით იკვებებიან, ადამიანი კი, როგორც ვიცით, ყველ-

გან დედამიწაზე მიმდგრიან ადგილებზე სცხოვრობს და იკვებება ხის ნაყოფით და ხორცუფლით. იგივე ითქმის წინაპარ ადამიანთა შესახებაც.

საკითხავია, როდის და რამ გამოიწვია მაიმუნის განუხრევნიან და მის მიერ ადამიანის მსგავსი ცხოვრების დაწყება? დღეს ეს საკითხი მსოფლიო მეცნიერების მიერ უკვე გადაწყვეტილია. მეცნიერმა რაიმონ დ-დარტმა ამ რამდენიმე წლის წინ, 1925 წელს, ისეთი მაიმუნის ნაშთი იპოვა, რომელსაც უკვე მიიჩნებებინა თავი ტყისთვის და უტყუო მიმდგრიან ადგილებზე დაეწყო ცხოვრება. ამ მაიმუნს მან უწოდა აესტროლოფითეკუსი. ამ მაიმუნის წინამორბედი საქმლის ნაკლებობის თუ სხვა მიზეზის გამო ტყიდან გამოსულან და უტყუო ცხოვრებას შესდგომიან, ცხოველების ხორციით და მცენარეთა მოლქვებით იკვებებოდნენ. იმ გამოქვაბულში, სადაც მისი ჩონჩხი აღმოჩნდა, ასამდის სხვადასხვა ოდენობის პატარა ცხოველთა ნაშთები იპოვეს და ამ ცხოველთა ხორცი შეეკამა მას. კბილები და ქვედა ყბა მას უფრო სუსტი აქვს ვიდრე დღევანდელ ანტროპიდურ მაიმუნებს. აღბად ეს ცხოველები თავს კბილებით არ იკვადნენ. თავის-ქალის სიღრუის მოცულობა 625 კ. სანტ. უდრიდა, ე. ი. აესტროლოპითეკუსს შუა ადგილი უჭირავს პითე—კანტროპუსს და შიმპანზეს შორის. თავის ქალის მოკვანილობიდან სჩანს, რომ აესტროლოპითეკუსს მძლავრი კუნთოვანი სისტემა არ უნდა ჰქონოდა. იგი შედარებით სუსტი აგებულებისა უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ მისი ტვინი შედარებით ტყის მაიმუნთან უფრო მეტად უნდა ყოფილიყო განვითარებული, ეს კი საქმლის მუღმივი ძებნისა და მტერთაგან მუღმივი თავდაცვის გამო უნდა მომხდარიყო. აესტროლოპითეკუსი ფეხზე დიდოდა და წინა კიდურებს ხელის მსგავსად ხმარობდა. ამ მაიმუნის ნაშთის აღმოჩენა იძლევა დიდ პერსპექტივებს ადამიანის და მაიმუნის ევოლიუციის შესახებ: აესტროლოპითეკუსის აღმოჩენის შემდეგ ასე შეიძლება გადაწყვიდეს ადამიანისა და მაიმუნთა შორის გადაშავალი ტიპების საკითხი: ანტროპოიდების შემდეგ წარმოიშვა აესტროლოპითეკუსი, მერმე პითეკანტროპუსი, შემდეგ ერანტროპუსი, კიდევ შემდეგ—მაილბერგის მახლობლად აღმოჩენილი ადამიანი, შემდეგ—ნიენდერტალისა, შემდეგ კიდევ—როდენზიანისა და კრომინიონის ადამიანი და ბოლოს—დღევანდელი ადამიანი.

ამაირად, ფაქტიურად დამტკიცდა დარტინის მეთოდოლოგიური დისკენა ადამიანის წარმოშობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ შთავარი შრომის „სახეთა წარმოშობის“ გამოქვეყნების შემდეგ 70 წელიწადზე მეტი გავიდა და ამ დროის განმავლობაში ექსპერიმენტული ბიოლოგია გიგანტური ნაბიჯებით მიისწრაფოდა წინ, დარტინის მეთოდოლოგიის საწინააღმდეგოდ ბუნებისმეტყველთა მხრივ ბევრი რამ იყო დაწერილი, იგი სწრაფად გაბატონდა მთელ ბიოლოგიაში და დღემდის გაბატონებულად ითვლება. რასაკვირველია, ეს გარემოება ხელს არ უშლიდა დარტინის დროს, და აკრთვე დღესაც არ უშლის ხელს გამოილაშქრონ დარტინიზმის წინააღმდეგ, სხვადასხვა პოლიტიკურ-რელიგიური მოსაზრებით ანდა იდეალისტურ-ვატალისტური თვალსაზრისით.

დარტინის მოძღვრება წარმოადგენს მატერიალისტურ ფილოსოფიას ბიოლოგიაში, თანაც ისე დასაბუთებულ ფილოსოფიას, რომელიც სწრაფად

გავრცელდა და გაბატონდა ბიოლოგიის ყველა დისციპლინებში. ცხადია, რომ ეს გავრცელება აიძულებდა ყველა იდეალისტურ პოზიციებზე მდგომ მეცნიერს თავისი კრიტიკული აზრი გამოეთქვა დარჯინის მოძღვრების საწინააღმდეგოდ. მეტადრე აღსანიშნავია ამ მხრივ ჩვენი დღევანდელი მომენტი *სტრუქტურული* ბუნებაზე. ბუნებაზე კვლევებში ვხედავთ ამ მეცნიერთა დარჯინის თეორიის ფრონტით დარჯინის და საზოგადოთ ამ მატერიალისტური-პოზიტივისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, რომელიც აქამდე იყო გაბატონებული ბურჟუაზიულ ბუნებისმეტყველ მეცნიერებაში; ცხადია, ამას კავშირი უნდა ჰქონდეს დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისთან. კანონიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ როდესაც ბურჟუაზიის ამოღობები ვერ პოულობენ თავიანთთვის სასარგებლო გამოსავალს თანამედროვე ეკონომიურ კრიზისიდან ცნობილ ბუნებრივ-ისტორიულ კანონზომიერებათა საშუალებით, მაშინ მათ უნდა მიმართონ უზენაეს ძალთა ჩარევას, გამოსავალი უნდა მოსძებნონ ბუნების გარეშე ძალებში, იდეალისტურ, ვიტალისტურ მსოფლმხედველობაში. აი ამ მოვლენის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს სხვათა შორის ის დიდი კრებული, რომელიც შარშან გამოვიდა გერმანიაში შემდეგი სახელწოდებით: სიცოცხლის პრობლემა თანამედროვე გამოკვლევათა თვალთხედვით.

(Das heben problem im hichte der wnodrenen Eorschuny. 1931. Leipzig).

ამ გამოკვლევას ხელმძღვანელობენ ცნობილი ვიტალისტები დრიში და ვოლტერეკი. თანამშრომლობენ აგრეთვე კარგად ცნობილი ვიტალისტები უკსკული, გუსტაველი და სხვები. მთავარი მათი ამოცანა მდგომარეობს მატერიალისტურ-პოზიტივისტური, ანუ როგორც ისინი ამბობენ—ნეჭანისტური ფილოსოფიის გაკრიტიკებაში და საბოლოოდ დამარცხებაში და ამასთანავე ახალი და ძველი ვიტალისტური მიპოვნების გავრცელება—გაბატონებაში ვინაიდან დარჯინის მოძღვრება ეკუთვნის სწორედ ასეთ მატერიალისტურ ფილოსოფიას, და მასთან მეტის მეტად მძლავრ და გაბატონებულ ფილოსოფიას. ამიტომ არა მარტო თვითიველი ავტორი აკრიტიკებს ასეთ-თუ-ის დარჯინის მოძღვრებას, არამედ ამ მოძღვრების გასაქარწყლებად სპეციალური წერილიც არის მოთაყვებული ვოლტერეკის მიერ. ამ წერილში „შემკვიდრება და შემკვიდრებითი ცვალებადობა“ ვოლტერეკი პირდაპირ აღნიშნავს, რომ დარჯინულ თეორიას სახეთა წარმოშობის შესახებ, რომელიც ემყარება მსგავსად სხვა მექანიკურ თეორიებისა, შემთხვევაზე, კომბინაციებზე, გარემოს და შერჩევას მოქმედებაზე, მიმე დაბრკოლებანი, ელამება წინა. სახელდობრ: 1) კონსტიტუციის შემკვიდრებითი ცვლილებანი არ შეიძლება შეუფუთ იმ გენების სისტემას, რომელიც გენეტიკამ აღმოაჩინა; 2) ორგანიზმი მთლიანი სტრუქტურა არის და შეუძლებელია ეს მთლიანი სტრუქტურა აიხსნას სათანადო გენების განრიგებით ქრონოზომებში გარეშე ისეთი რამის რომელიც ამ მთლიანობას ხელმძღვანელობს; 3) შეუძლებელია ორგანიზმთა მრავალსაზოგადოება, მათი განსაცვიფრებელი „ფანტასტური“ აგებულობა გაგებულ იყოს ბუნებრივი შერჩევის საშუალებით. შეუძლებელია ადამიანის წარმოშობა აიხსნას შემთხვევითი მუტანტების ან შემთხვევითი გადაჯვარებინებით, მით უფრო არ შეიძლება, რომ მისი ფსიქიური თავისებურებანი, ფსიქიური კონსტიტუცია მენდელის კანონს

ეჭველები არგუმენტებს; 4) ყველა ცოცხალი ფორმები მთელ ორგანიზმს სანყაროში არ იძლევა შემთხვევითი ნარევის შთაბეჭდილებას, პირიქით, ეჭველები ერთ მთლიან სტრუქტურაში, რომლის თვითველი ნეგატიური შერევის ეგზემა, ერთი-ერთმანეთზე დამოკიდებული.

ყველა ეს არგუმენტები, ამბობს ვოლტერეკი, გვიჩვენებს, რომ დარვინის მიერ ცნობილ ცვალებადობებს და მემკვიდრეობის კანონები განმარტავენ მხოლოდ სახეცვლილებათა და მემკვიდრეობითი რასების სხვადასხვაობას და არა მათ წარმოშობას და სახეთა ისტორიულ განვითარებას, და მით უფრო არ განმარტავენ მთავარი ტიპების არსებობას, მათ ურთიერთ შეგუებას და მთლიანობას.

ამ არგუმენტის ერთი ნაწილი თანამედროვე გენეტიკის წინააღმდეგ არის მომართული და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს არგუმენტები სრულიადაც არ გამოდგება დარვინიზმის საწინააღმდეგოდ. დარვინიზმი არ იძლევა არავითარ მასალას მემკვიდრეობით ცვლილებათა წარმოშობისათვის. იგი მხოლოდ ამტკიცებს ასეთი ცვლილებების არსებობას და მიაკუთვნებს მათ უაღრეს მნიშვნელობას ორგანიზმთა ისტორიულ განვითარებაში. გენეტიკა სრულიად ახალი შეცნობებაა, და საკვირველი არ უნდა იყოს, რომ დღეს იგი გერ იძლევა ყველა ცვლილებათა სათანადო განმარტებას. არგუმენტების მეორე ნაწილი, მიმართული ბუნებრივი შერევის წინააღმდეგ, ვითომ შეუძლებელია ახსნილი იყოს ამ შერევის საშუალებით ორგანიზმის მთლიანობა, მისი მიზანშეწონილი შეგუება გარემოსადმი, რომ შეუძლებელია შემთხვევით ცვლილებიდან ასეთი მთლიანობა და მიზანშეწონილი შეგუება წარმოიშოს. დარვინი იძლევა სრულიად დამარწმუნებელ საბუთებს ცხოველთა და მცენარეთა მთლიანობის და მიზანშეწონილი შეგუების ასახსნელად. მაგრამ ცხადია, რომ ეს საბუთები ვიტალისტურად მოაზროვნე მეცნიერებზე ვერ მოქმედობს სათანადოდ.

ებლა ვიკიანხოთ, ვოლტერეკი როგორ თეორიას იძლევა დარვინიზმის სამაგიეროდ

ვოლტერეკი იძლევა ისეთ მოძღვრებას, რომლისთვისაც მას არც საბუთი და არც მტკიცება არ სჭარდება. ყველა ცვალებადობა არის კონსტიტუციონალური ცვალებადობა, ე. ი. მთლიანობის ცვალებადობა — ამბობს ვოლტერეკი, — რომელიც ემორჩილება შინაგან კანონებს, როგორც მაგ. რადიოაქტიური ნივთიერების დაშლაო. მერმე რა არის ეს შინაგანი კანონები? ყველაფერი, რაც ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს, წარმოიდგენს შინაგანი მიწისწრფების („der: mnere Dramg“) გამოვლინებას, ე. ი. იმის გამოვლინებას, რასაც დრიში ენტელეხიას უწოდებს. მისი მეოხებით ორგანიზმი წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომელიც იმ თავითვე დეტერმინებულია განსაზღვრულ ცვლილებებისადმი განსაზღვრულ პირობებში. ამ ცვლილებას შეიძლება „ისტორიული“ ეწოდოსო. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ვოლტერეკის აზრით ამ შინაგანი მიწისწრფების მიხედვით ორგანიზმი სანყაროს განვითარება შესაძლებელია უკვე დღეს სრულიად დამთავრებულად ჩაითვალოს, ამიტომ დღევანდელ პირობებში მხოლოდ ისეთი კომბინაციების და მუტაციების მიღება შეიძლება, რომელიც მხოლოდ რასებს ან და სახეცვლილებებს წარმოშობს და არა ახალ სახეს. ამ-

ნაირად, შეუძლებელია, რომ წარსულში ცოცხალ ორგანიზმთა ნამდვილ შენებრივ ისტორიულ განვითარებას ჰქონოდა ადგილი, და ამასთან სრულიად უარყოფილია დღევანდელ პირობებში ცოცხალ ორგანიზმთა ნამდვილ განვითარება.

თქვენ რომ მთელი აღნიშნული კონცეპცია მიიღოთ მხედველობაში, უსათუოდ უნდა დაასკვნათ, რომ ვოლტერეკი და, ცხადია, მასთან ერთად კრებულის ყველა ავტორებიც, სრულიად უარყოფენ ბუნების ისტორიული განვითარების შესაძლებლობას ბუნებრივი კანონების საშუალებით. ყველაფერი, რაც ბუნებისმეტყველებაში ცოცხალ თუ მკვად გამორკვეულად იყო მიჩნეული, ან და ჯერ ხავესებით არ არის გამორკვეული, მათ შეუძლებლად მიიჩნიათ გამორკვეულ იყოს ბუნებისმეტყველური კანონებით. ცოცხალ არსებათა განვითარება, მრავალსახეობა, შთლიანობა, მიხანშეწონილი შეგუება ცხოვრების პირობებისადმი და სხვა, ყველა ის ნიშნები, რაც ცოცხალ სისტემას ახასიათებენ, ვოლტერეკს გამოჰყავს, როგორც შინაგანი მისწრაფების, არა მატერიალური თვისების გამოვლინება. ეს არის იდეალისტური, წმიდა ვიტალისტური პოზიცია. ეს არის ორგანიზირებული ბუნების ისტორიული განვითარების ნამდვილი ევოლუციის უარისყოფა უფრო მეტიც; ეს არის მისტიკა მეცნიერული დასკვნის მაგიერ. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ჩვენს სინამდვილეში საბჭოთა კავშირში, ადგილი არა ჰქონდეს ბრძოლას დარვინის მოძღვრების წინააღმდეგ ვიტალისტური პოზიციებიდან.

თავდაპირველად უნდა დასახელდეს პროფესორი ბერგის ანტიდარვინული მოძღვრება ნომოგენიზის სახელწოდებით. ბერგი გვიმტკიცებს, რომ ორგანიზმთა ევოლუცია, მათი მიხანშეწონილი შეგუება ცხოვრების პირობებისადმი, შეუძლებელია ნომინალიზო ბუნებრივი შერჩევის ნიადაგზე იმ სულ მცირე და თითქმის უმნიშვნელო ცვლილებიდან, რომელსაც სახე განიცდის გარეშე პირობების შევადენით. ბერგი ამტკიცებს, რომ ევოლუციის დროს თავისთავად გამოივლინება უცხად და ნახტომებით ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც ამ თავითვე მოიპოვება ცოცხალ არსებაში, რომ ამისთვის საჭირო არაა გარეგანი პირობებიო. ბრმა როტიმ, რომელიც სცხოვრობს ბნელ ადგილებში, მიწის ქვეშ წყლებში, იმიტომ კი არ დაკარგა თვალთხედვა, რომ ყველა ის სახეცვლილებები, რომელნიც თვალთხედვის გამო გარეთ სინათლეზე გამოდიოდენ ისპობოდენ არსებობისათვის ბრძოლაში მრავალნაირ მტრებისგან, არამედ იმიტომ, რომ ნომოგენეზმა მას საზოგადოდ მოუსპო თვალები, ე. ი. ნომოგენეზის ნიხედვით ჯერ მოხდა თვალის ორგანოს დაკარგვა და მხოლოდ მერე ამ ცვლილების სათანადო შეგუება მოხდა ე. ი. უსინათლო ცხოვრების ბნელ ადგილში დამალვით ცხოვრება, აქედან უნდა დავასკვნად, რომ ნომოგენეზის შემოქმედებითმა ძალამ წინასწარ იცის და იძლევა სწორედ იმას, რაც ორგანიზმს ნომოვალში დასჭირდება. ცხადია, რომ პროფესორის ბერგის მოძღვრება დარვინის მეთოდოლოგიის წინააღმდეგია და მთლიანად ვიტალისტურია.

იგივე უნდა ითქვას პროფესორ სობელოვის ავტოგენეზის შესახებ, რომელიც ნომოგენიზის განვითარებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე მთლიანად ახალ მოძღვრებას. ავტოგენეზის მოძღვრება აგრეთვე არ სთვლის ორგანიზმი ბუნების განვითარების ფაქტურად ბუნებრივ შერჩევას. გარდა ამისა, მისი აზ-

რით, ევოლუცია არის ორგანიზმში იმთავითვე ჩანერგილი ტენდენციების განვითარება, ამასთან განვითარების მსვლელობა მოცემულია წინასწარ, გარეშე ცხოვრების პირობების ზეგავლენისა. გინდა თუ არ გინდა, ~~არაფრანსის~~ უნდა განვითარდეს, როგორც ეს წინასწარ არის ჩანერგილი. ამიტომ ორგანიზმის ბუნებას შეადგენს მიზან-მისწრაფება, ანუ მისწრაფება მასში ჩანერგილი მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული.

მე შივიყვან კიდევ ერთ მაგალითს საქართველოს სინამდვილიდან, ცნობილია დარვინის შრომიდან, რომ ცხოველთა ინსტიქტები ვითარდებიან ამავე ბუნებრივი შერჩევის წყალობით, როგორც ყოველივე სხვა ბიოლოგიური მოვლენა. წარმოდგენილი უნდა იყოს, რომ ცხოველთა შეგუება გარემოსადმი ხდებოდეს გარეშე იმ ინსტიქტებისა ანუ ინსტიქტური ქცევისა, რომელიც პირობადებენ ცხოველის არსებობას, როგორც მის თავდაცვას, ისე მოდგმის დაცვას. თუ სტრუქტურული ფილოგენეტიური განვითარება ხდება შედეგად ბუნებრივი შერჩევისა, უსათუოდ მასთან ერთად უნდა ხდებოდეს ცხოველთა ქცევის განვითარებაც. უფრო მეტიც უნდა ითქვას: ცხოველის ყოველივე სტრუქტურულ ცვლილებას მაშინ ეტეზობდა მნიშვნელობა ცხოველის არსებობისათვის ბრძოლაში, თუ იგი გაადვილებდა ცხოველის შეგუებას გარემოსადმი, ე. ი. გამოიწვევდა ცხოველის ინსტიქტების ანუ ცხოველთა ინსტიქტური ქცევის გაუმჯობესებას. მიუხედავად ამ დებულებისა პროფესორი დიმიტრი უხნაძე ამტკიცებს თავის ფსიქოლოგიის საფუძვლებში, რომ არც ლამაზიზმა, არც დარვინიზმი, და არც ძველი დარვინიზმი, ე. ი. ის დარვინის მოძღვრება, რომელიც ჩვენ დღეს მხედველობაში გვაქვს არ ხსნის ინსტიქტების მიზანშეწონილებას, რომ დარვინის მეთოდოლოგიის მიხედვით ინსტიქტების მიზანშეწონილების ახსნას საგრძნობი დაბრკოლება ეღობება წინო (ექსპერ. ფსიქოლ. საფუძვლები გვ. 164). ამ დაბრკოლებას ხედავს აგრეთვე ინსტიქტის მთლიანობის, ინსტიქტის ცვალებადობის დარვინისტულ ახსნა განმარტებაში. მიზანშეწონილების, მთლიანობის და ცვალებადობის ასახსნელად პროფ. უხნაძე იძლევა თავის მოძღვრებას, რომლის მიხედვით ყოველივე ქცევა, ინსტიქტურია იგი თუ ცნობიერი, რაღაც უფრო მიუკვლეველი სფეროს, ე. ი. წოდ. ბიოსფეროს ხელმძღვანელობით სწარმოებს. აქედან ცხადია: თუ ჩვენ უარვყავით ინსტიქტების მიზანშეწონილების გამოუმჯობესება ფილოგენეტიური განვითარების გზით, თანახმად დარვინის მეთოდოლოგიისა, მაშინ თავისთავად ისობა დარვინის მეთოდოლოგიაც მთლიანად. თუ რომ „ცოცხალი არსების თვალსაჩინო ქცევა ბიოსფეროს ხელმძღვანელობით სწარმოებს“, როგორც ამას პროფ. უხნაძე გვეუბნება, აბა მაშინ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობის ცვალებადობას და ბუნებრივ შერჩევის ცხოველთა ქცევის განვითარებაში? ამ თვალსაზრისით, მაშასადამე, ორგანიზმის ცხოვრების პირობებისადმი შეგუებას განაგებს რაღაც „ბიოსფერო“, რაღაც „სიცოცხლის პრინციპი“, და არა ბუნებრივი შერჩევა (ექსპ. ფსიქოლოგიის საფუძვლები გვ. 170). ცხადია, ეს მოძღვრებაც იბრძვის დარვინიზმის წინააღმდეგ ვიტალისტური პოზიციიდან.

ტლა შეეხოთ იმ საკითხს, თუ რამდენად უდგება დარვინის მეთოდოლოგია მარქსისტულ მეთოდოლოგიას, დიალექტიკურ მატერიალიზმს. არსებობს, ასეთი აზრი, ვითომ დარვინის მეთოდოლოგია ორგანიული ბუნების

განვითარების შესწავლის მიმართ იგივე იყოს თითქმის, რასაც ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების შესახებ. დღეს ამ აზრს ადგია მაგალითად სლექკოვი, აგოლო და სხვები. მისი უპირატესობა მათ მოქავეთ სხვათა შორის ციტატები მარქსის, ენგელსის, პლენხანოვის და ლენინის ნაწარმოებიდან, მაგრამ ეს ციტატები თანაბარი მნიშვნელობისა არ არის. მაგ. პლენხანოვი პირდაპირ ამბობდა: „ის თეორია რომელიც დარვინის სახელს ატარებს, არსებითად დიალექტიკური თეორია არის“. (Очерки по истории материализма). ხოლო ენგელსი დარვინიზმს უწოდებდა „რაციონალური დიალექტიკის განსაცვიფრებელ მაგალითს“, მარქსი ლასალისადმი მიწერილ წერილში დარვინიზმს უწოდებდა როგორც „ბუნებრივი მიზანშეწონილების რაციონალურ განმარტებას“. მასასადამე, იმ დროს, როდესაც პლენხანოვი თითქმის აიგივებდა დარვინის მეთოდოლოგიას დიალექტიკურ მატერიალიზმთან, მარქსი და ენგელსი უყურებდნენ დარვინიზმს როგორც ორგანიული სამყაროს განვითარების ყველაზე უფრო რაციონალურ მოძღვრებას. მაგრამ ასეთი აზრი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მარქსი და ენგელსი, დიალექტიკური მატერიალიზმის შემქმნელი, აიგივებდნენ დიალექტიკურ მატერიალიზმს და დარვინის მოძღვრებას. მათი აზრი მიგვითითებს მხოლოდ იმაზე, რომ ბიოლოგიის მდგომარეობის მაშინდელ ეტაპზე დარვინის აღმოჩენას ჰქონდა ისეთი დიდი და მასთან რევოლუციონური მნიშვნელობა ორგანიული ბუნების განვითარების შესწავლის მიმართ, როგორც მარქსის მოქმედებასად ამიანის ისტორიის განვითარების შესწავლის მიმართ. სწორედ ეს აზრია გამოხატული ენგელსის სამგლოვიარო სიტყვაში, რომელიც მან მარქსის დასაფლავებისას წარმოსთქვა: „როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანიული ბუნების განვითარების კანონი, ისე მარქსმა აღმოაჩინა ადამიანის ისტორიის განვითარების კანონი“. ამ გამოთქმაში ენგელსი უეჭველია ჰგულისხმობდა დარვინის კანონის ქვეშ სახეთა ისტორიულ წარმოშობას ბუნებრივი შერჩევის საშუალებით და მოყვანილია იგი, როგორც უბრალო შედარება მარქსის კანონთან, მარქსის ღვაწლის უფრო მეტად ნათელ საყოფად კაცობრიობის წინაშე.

დარვინის მოძღვრების მნიშვნელობა ბიოლოგიაში სწორედ ამ სახით არის მოცემული ლენინის მიერ იგი სწერდა თავის შრომაში: „რანი არიან ხალხის მეგობრები“ როგორც დარვინმა ბოლო მოუღო შეხედულებას ცხოველთა და მცენარეთა სახეებზე, ვითომ ისინი წარმოადგენენ რაღაც შეუცავშირებელ, შემთხვევით, „ღვთისაგან შექმნილ“ და უცვლელ სახეებს, და პირველად დააყენა ბიოლოგია ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე, დაადგინა რა სახეთა ცვალებადობა და მათ შორის თანამიმდევრობა, ისევე მარქსმა ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდთა მექანიკურ აგრეგატზე, რომელიც ვითომ შეიძლება სხვადასხვა გვარად შეიცვალოს მთავრობის (ან საზოგადოების) ნებით, რომელიც ვითომ აღმოცენდებოდა და იცვლებოდა შემთხვევით, და შემდეგ ისევე მარქსმა პირველად დააყენა სოციოლოგია მეცნიერულ ნიადაგზე, დაადგინა რა ცნება საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციის შესახებ, როგორც მოცემული საწარმოო ურთიერთობის მთლიანობისა,

დაადგინა რა, რომ ამ ფორმაციითა განვითარება არის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი“. ლენინის ამ ციტატაში აღნიშნულია სახეთა ისტორიული განვითარება, როგორც დარვინის მთავარი დამსახურება.

ახლა ვიკითხოთ, რაშია არსებითი მსგავსება და განსხვავება დარვინის მეთოდოლოგიის და დიალექტიკური მატერიალიზმის შორის? ორივე მეთოდოლოგია მატერიალისტურია. ამის შესახებ შეუძლებელია იყოს ორი აზრი. ორივე მეთოდოლოგიის მთავარი იდეა მდგომარეობს ბუნების ისტორიულ განვითარებაში, შემდეგ თანაბარია შემთხვევითის გავება, დარვინის მოძღვრებით სრულიად უმნიშვნელო შემთხვევითი ცვლილება იძლევა ბუნებრივ შერჩევის ნიადაგზე მიზანშეწონილ და მნიშვნელოვან სასარგებლო ცვლილებას, ამასთან დარვინს შემთხვევითი ცვლილება წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც უმიზნო რაიმე მოვლენა, არამედ როგორც აუცილებელი შედეგი ორგანიზმის შინაგანი მოქმედებისა, „თვითმოძრაობისა“, გარემოს განსახლვრული გავლენის ქვეშ. ხოლო რაც შეეხება დიალექტიკის მთავარ კანონებს, როგორც არის რაოდენობის რომელობაში გადასვლა, წუნალიმდევობათა ერთიანობა უარყოფის უარყოფა—ამ კანონებს დარვინის მეთოდოლოგიაში აღვნიშნავთ არა აქვთ ფორმალურად. უნდა აღინიშნოს შემდეგიც: მართალია, დარვინი უარს არ ამბობდა „ნახტომებით“ განვითარების შესაძლებლობაზე ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ მაინც არ სწამდა ამ „ნახტომებით“ მთელი ბუნების განვითარების შესაძლებლობა. ის გამოსთქვამდა ზეც, ინსტიტუტების შესახებ: „ის ფაქტი, რომ ინსტიტუტები არ არის აბსოლიტურად სრულქმნილი და შეცდომებს განიცდის, მერმე ის ფაქტიც, რომ შეუძლებელია დამტკიცდეს, რომ ინსტიტუტები სხვა ცხოველების საკეთილდღეოდ წარმოიშვა, თუმცა ზოგიერთი ცხოველები სარგებლობენ სხვების ინსტიტუტებით, და ბოლოს ის გარემოებაც, რომ წესი—„ბუნებამ არ იცის ნახტომებიო“—ინსტიტუტებსაც ეხება, ისევე როგორც სხეულის აღნაგობასო... ყველა ეს ფაქტები ლამაზდენ დაფიქტკიონ ბუნებრივი შერჩევის თეორია“ (სახეთა წარმოშობა, გვ. 224, ფილიპოვის მეორე გამოცემა). ეს ციტატა პირდაპირ მიგვითითებს იმაზე, რომ დარვინის აზრით ნახტომებით განვითარება არამც თუ გაბატონებული არაა ორგანიზმულ ბუნებაში, პირიქით, იდეა ასეთი განვითარების შესახებ ეწინააღმდეგება ბუნებრივი შერჩევის კანონს. მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა კი ისეთია, რომ, პირიქით, წარმოდგენილია ორგანიზმული ბუნების განვითარება გარეშე ასეთი ნახტომებისა. დეფრინის, მორგანის, მიულერის, სერენბერგის და სხვათა გამოკვლევებიდან ნათლად სჩანს, რომ სწორედ „ნახტომებით“ ცვლილებები, რომელიც სასქესო უჯრედების ქროზომოზომებში სწარმოებდა, იძლევიან იმ მთავარ მასალას, საიდანაც მერმე, ბუნებრივი თუ ხელოვნური შერჩევის საშუალებით, წარმოიშვება ახალი სახეები, თუ „ნახტომ“ ცვლილებათა, ე. წ. მუტაციითა არსებობა წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს სახის შემკვიდრებაში, ცვლებადობისათვის ცხადია მაშინ, რომ ორგანიზმების განვითარება არ სწარმოებდა განუწყვეტელი მცირერდენი ცვლილებების საშუალებით, როგორც ამას დარვინის მოძღვრება გვეუბნება, არამედ სხვადასხვა ხარისხის მუტაციების საშუალებით. შემდეგ დარვინის მეთოდოლოგია არ იძლევა სრულიად

კონკრეტულ ფორმებში იმ ფაქტორებს, რომელიც იწვევს საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახეცვლილებებს. ეს მხოლოდ დეფინიციის გამოკვლევის შემდეგ გახდა კვლევის ნამდვილ ამოცანად, თანახმად დიალექტიკურ მატერიალიზმისა, ბუნებრივი მოვლენის ყოველი არსებითი ცვლილება, ყოველივე ახალი თვისების წარმოშობა უნდა სწარმოებდეს შედეგად მოწინააღმდეგე ძალთა ბრძოლისა თვითონ მოვლენის ბუნებაში, ანუ იგი უნდა იყოს დამოკიდებული ამ ბუნების წინაგან სტრუქტურაში მოწინააღმდეგე ძალთა რაოდენობითი ცვლილებების რომელიმე ცვლილებაში გადასვლაზე. დარვინის მეთოდოლოგია სრულიად არ ჰგულისხმობდა ორგანიზაციული ბუნების ამ სახით განვითარებას, ამიტომ არ შეიძლება დარვინის და მარქსის მეთოდოლოგიის გაიგივება, დარვინის მეთოდოლოგიის დიალექტიკური მატერიალისტურ მოქვრებად აღიარება.

დარვინის მეთოდოლოგიის მთავარ დებულებათ ეკუთვნის ორგანიზაციული ბუნების მემკვიდრეობით ცვალებადობა და ისტორიული განვითარება. ეს დებულებები უსათუოდ შედის დიალექტიკურ მატერიალიზმში, მაგრამ ამასთან ერთად დიალექტიკური მატერიალიზმი შეიცავს ისეთ დებულებებს ცნობილ დიალექტიკური კანონების სახით, რომელიც აყენებს დიალექტიკურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობას დარვინისტულზე უფრო მაღლა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დიალექტიკური-მატერიალიზმი ბიოლოგიაში არ კეთიანაბრება დარვინიზმს, არამედ შეიცავს მის მთავარ ელემენტებს თავის თავში, როგორც ერთერთ საფუძველს; ამის გამო დიალექტიკური მატერიალიზმი ბიოლოგიაში გვესახება ჩვენ, როგორც ბუნების განვითარების მოქვრების უმაღლესი ფორმა.

ბიბლიოთეკა



3. ლუარსაბშიძე. „ქართული ეტიმოლოგიის მწერლობა. სახელგამო. 1931 წ.“

მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო წიგნი, თვით ავტორის სიტყვით რომ ესთქვათ, კონსპიკტურად არეყვეს არჩეულ საგანს, უნდა ითქვას, რომ მოცემულ ფაქტიურ მასალის მეტის მეტ სიფხველესთან ერთად (წიგნი ეტიმოლოგიის დროის მწერლობის „უმახვილეს“ ციტატების ნამდვილ ენციკლოპედიას წარმოადგენს), იგი პირველი (უაღრესად) „დემოკრატიული იაზისის“ გონებრივი ცხოვრების ფუნქციების მატერიალისტურად წაკითხვისა.

„დემოკრატიული ეტიმოლოგიის და მოპოვებო ავანტიურისტების“ სამფლობელოში, რომელსაც წარმოადგენდა 1918, 19 და 20 წ. წ. საქართველოს საკუთრების ფეოდალურ ბურჟუაზიულ საყრდენზე აღიშრათა ტენორიტად სოციალურად ბორიტი და „თავისებურად“ შექმნილ გრანობების, ილუზიების, აზროვნების წესების და ცხოვრებაზე შეხედულების მიფლი ზედნაშენი“

თუმცა ავტორი მხოლოდ ლიტერატურულ ასფექტში ცხება ეტიმოლოგიის ეტიმოლოგიურ საყრდენს (ამის მაგიერ იგი ცალკეულ ეტიმოლოგიების მომენტალურ ლიტერატურულ სილუეტებს უფრო იძლევა) მაგრამ სამაგიეროდ „ზედნაშენი“—ლიტერატურულ პროცესის კონკრეტულ მონაწილეთა პორტრეტებს იგი იძლევა საბრძოლო, სატირულ პანფლეტის სტილით, რომელიც ყოველგვარი ნიღბების ჩამოგლეჯის სიმბოლიურა მკვეთრი და დამაღწევი მსჯავრის დაფების სიმბოლიურ სდას.

როდესაც საქართველო გლეხურ აჯანყებათა დაქრულებულ რკალში იყო მოწყვედებული და მფშათა კლასი დამშუფლი გმინადა, „დემოკრატიის მგოსანს“ ეს რუალური სამოქალაქო ომი ცაში გადაჭონდა და ასე აწკარუნებდა „უქმად დაუფებულ გერკლბის წკირას რომელსაც უნდა გაეღვიბებია საქართველოს ხელუკანათა ქნარის მიძინებული სინღრა“ (გურან „ციხარტყელა“—ს საპროფრაში წერილიდან):

„ქარი შეგვექნა დასარაზავი; სამოქალაქო ომი ცაში,—(I ?)— მაგრამ იმედი გლეში ზომ არის, რომ გაიმარჯვებს მხარე მართალი“.
(ს. აბაშელი სარეც. წიგნის გვ. 49)

„გურანის და მელის“ პარპონიაზე დაყრდნობილი ეტიმოლოგიის „პროპოზი“ კი „ცენტრში (მომხდარ) წყლის ამღვრვის“ უწოდებდა ოქტომბრის რევოლუციის და „რევოლუციის ნაციონალიზაციად და მის გადასარჩენად“ აცხადებდა რუს თეთრგვარდიულების და ეტიმოლოგიის პაპის შიერ რჩეულ დასავლეთის იმპერიალიზტების სათარგუნოდ გამხდარ მენშევიკურ საქართველოს.

მეჯად დანახასიათებელია ამეცე სავანზე მოყვანილი გ. ქიქოძის ციტატა იმის შესახებ „რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნიღბადი არა აქვს სამოქალაქო ომს... და სპარტაკის (პროლეტარული რევოლუციის—ა.ა.) აზრდის უფრო ლიტერატურული ინტერესი აქვს ვიდრე პოლიტიკური“—ო (მოყვანილია წიგნის 74 გვ.)

ავტორი ისტორიული სიმბოლით აღადგენს ეტიმოლოგიის მწერლობის სამ ძირით და ლიტერატურულა ჯგუფის (დემოკრატიული მწერლები, ცისფერკანწელები და ფედაურალბტი მწერლები) იდეოლოგიის არსებით მომენტებს, რომელიც „თავდაზნაურულ—სემეულიანტურ ორგების დამის ფეიების, რუსული თეთრგვარდიული მხატვრულ—ლიტერატურული ეტიმოლოგიის, ზოოლოგური შიგინიზმის, გლეხთა აჯანყებების, რევოლუციონერი მფშების ზვრეტის, მასურია შიშის, ცისფერკანწელები აუდმუფობის, პატრიოტული მზღების ლალამის“ ფონზე ერთ მოლიან ნაციონალიზტურ წვრილბურჟუაზიულ და მისტიკურ—პორნოგრაფიულ რახმს წარმოადგენენ.

თუ იმ დროინდელი პუბლიკა, ე. ააფრინაშვილის ოქმით „იწვის თაყის საყრდენი და არა—ფერს არ სესხულ ომს ცხოვრების დან“ (გარდა ზემოთ მოყვანილ „მშენიერებისა“!), არც

აზროვნება და კრიტიკა სდგას მტრ სიმაღლეზე და არაფერს „არ სესხულობს“ ოფიციალურად ვითომდა, „ალიარბულ“ მარქაიზმიდან: იგი თავისი მტერის იე. გომარათლის სახით იძლეოდა „...წერილბურჯულხიულ ესოტრისს, ობიგატულურ ინტრობას, დემოკრატიული ნაციონალიზმის მოვინისში გადაზრდის მოთხოვნას, ლიტერატურაში კლასიკური ბრძოლის იგნორაციას და კუტის ვულგარულ მატერიალიზმს“ (გვ.102). ან — ფედერალისტური ფრთის სახით — არჩვეულ ჯორჯანის მოვინისტური ლიტ. ტრადიციის გადაცობნას ოგრაფულბა საბჭოთა ეპოქის ზანამდგ (გვ. *ტრანზენს“ სოც. ფედერალიზმის ნარჩენები და სხვ.)

ფორმდის რაქციონალურ ლიტერატურულ პრაქტიკის დემონსტრაციასთან ერთად აეკორი ებება იმ რევოლუციონერულ ფენის პრინციპულ — მოკავშირე მიმდინარეობებს, რომლებსაც მიუხედავად დაიკვეთლობის და გაზრდის გაბატონებულ ზანისა, მაინც იძლეოდა ფორმდის ეპოქის სინამდვილედ და რომელსაც დაფერდნა შემდეგი ლიტერატურული განვითარება: პროლეტარიატურის უკვეფის ჩამოყალიბება, საბჭოთა რევოლუციის მიკნახე და ყოფილ ლიტ. დაჯგუფებათა დაშლის და დიფერენციაციის ნიადაგზე გაჩენილი და ზრდაში მყოფი სალი ელემენტები.

აღო არხენიშვილი.

ალექსანდრე გომიასვილი „ანდეზიტის სიმღერები“ — სახელგამო 1932 წ.

გვ.—19 საუკუნის ქართულმა კლასიკურმა ლიტერატურამ ვადა ფშაველას და ალ. ვახუშტის სახით, მხატვრულად მოგვცა მთის ზღლის ცხოვრება, მათი ყოფა და ხნე-ჩვეულება. ამ ორი მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში მოვლი სრულყოფილობით მოცემულია მთის ზღლის ტრადიციების დაშლა-კაპიტალიზტური ელემენტების შეტრის ნიადაგზე. მაგრამ მათი პოლიტიკური ტენდენცია ძველი მთის მხარეზეა; ამ საფუძვლებზე შედარა თაობათა ტრადიცია ბატონობდა ცოცხალ თავებზე.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ აღმოაფხვრა ყველა ცრუმორწმენება წარსულის მიმართ. ოქტომბერმა როგორც, გადამწვეტმა ფაქტორმა მთის მშრომელ ხალხის ცხოვრებაში, რადიკალური ცვლილებები შეიტანა მის სამეურნეო ყოფაში, რომელზედაც აღმართული იყო სპეციფიკური აზროვნების და მსოფმხედველობის მთელი ზედნაშენი.

სამეურნეო კულტურულ და იდეურ სფეროში მიმდინარე ცვლილებები თავის მკვეთრ გამოხატულებას ხდის აზროვნებაშიც პოპულოზმ, რადგანაც ეს უკანასკნელი ძველი და ახალი ყოფის კვიდილში წარმოადგენს კლასთა ბრძოლის ერთ ერთ იარაღს. პროლეტარული მწერლობა, როგორც გამარჯვებული კლასის მწერლობა, ფერ დარბობდა ამ ბრძოლის გარეშე მაცურებლად. მას უნდა ემოვა მხატვრული საშუალებანი, მთის მშრომელი ხალხის მეურნეობას და ყოფა-ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთა გამოსახატავად,

თუ დღემდე მთა ბურჯულხიულ-დგადენტურ მწერლობისათვის ვაზოტიკა და თავის გადარჩენის მიზანი (და არა საშუალება) იყო, პროლეტარული დიქტატურის პარობებში მთა პროლეტარულ ლიტერატურაში შემოღის თავისი ნამდვილი სახით (კლასთა ბრძოლა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ელადების წინააღმდეგ ბრძოლა, საკოლმურენეო მშენებლობა, სამთამადნო წარმოება და სხვა).

სწორედ ამ ფონზე იწლება ახლგაზრდა პროლეტარული მწერლის ალ. გომიასვილის მხატვრული შემოქმედება. მისი ახლად გამოსული წიგნი — „ანდეზიტის სიმღერები“ ამ ფაქტის საუცეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს. ალ. გომიასვილი ქართულ პროლეტარულ მწერლობაში ერთ-ერთი საიმედო ახლგაზრდა პოეტთაგანია, რომლის ყოველი მხატვრული ფაქტი მის წინსვლად ლაპარაკობს.

ორბიტო, რომელშიაც ალ. გომიასვილი აქცევს თემატურ მასალას, მეტად ფართოა და ამხედროს მრავალ-მხრივი.

მეთოდოლოგოური მხრით სარეცენზიო ლექსების წიგნი, რა თქმა უნდა, არაა თავისუფალი შედოქმენისაგან.

ალ. გომიასვილს ზოგჯერ ლექსებში მთელი გამაფრებით სურს მოგვეცეს მთის გრანდიოზული გარდატეხა და ამ გარდატეხის რიტმი, ამისათვის პოეტი არ იშურებს სიტყვიერ მასალას, მაგრამ ზოგჯერ სძლევენ ძველი ტრადიცია და პოეტი კომუნისტურ იდეოლოგიიდან რამოდენ

ნიმე ნაბჯით იხვეს უკან. გომიაშვილი ღრმად დარწმუნებულია, რომ კვდება მთის ძველი იდილია, ამ ნიადაგზე მას სურს ხმა ჩაუწვიტოს იდილიურ ღირიკას, რომ ახალი სიმღერა დაემსგავსოს მთების ხლტას!

მოიღოთ ძიებო,
თქვენ სიმღერა მოწვეურდათ ისევ...
მაგრამ რა ვქნა
თუ „ძველ მოტივზე“ არ შემღერებ

როცა ლაღუმი
კლდის კედურებს ღრანტეში ისერის
მაშინ სიმღერა
არ სისინებს ჩაღის ღერებად
მაშინ სიმღერა
უნდა გაგდეს კლდეების ხლტასს,
რომ შეგთვიცხოს
„ამხანაგ მთას“ რიტმი ბადალი,
თორემ ისე თუ
სიმღერები ძველ მოტივს წერბა
ანდღეშიტივით
სად მოვწაზოთ ლექსის მადანი“
მაგრამ პოეტის ნასროლი სიტყვა ხოჯჯერ
სცილდება მიზანს. გომიაშვილის ბევრ
ლექსებსაც კლია მართიულ-პოლი-
ტიკური სიმბავილე.

სარცენზო წიგნი მოთავსებულ ერთ-ერთ
ლექსში („ნაწერეთა შორის“) გომიაშვილს მუ-
თოლოლოგიურად არა სწორად აქვს გაგებელი
კლასთა ბრძოლა მთაში, მექანისტურადაა და-
პირისპირებული ახალგაზრდა და მოზენი. ასეთმა
მექანისტურმა დაპირისპირებამ გომიაშვილი მოიფ-
განა „მანა და შვილთა ბრძოლის“ აპოლოგიაშიმდ;
მან კლასიკური დიფერენციულობის გარეშე აიღო
მთის კლდეური მასა და გააკო ახალგაზრდობის
და მოზენების ორ ჯგუფად მათ შორის და-
პირისპირების საფუძველზე გამართა ბრძოლა
და ახალგაზრდობა გამარჯვებული გამოიფ-

განა ამ ბრძოლიდან. გომიაშვილი დააიწყდა,
რომ მოზენების და ახალგაზრდების ამგვარი
დაპირისპირება არა დიალექტიკურია. ეს შეიძ-
ლება მასის უდიფერენციალურად აქვს მოხდა
არ არსებობს ერთი მთლიანი მასა; ამ მასაში
არის მდიდარი და ღარიბი, მსაგურელი და ჩაგ-
რული (ჩვენს პირობებში: კლდეი და მშრო-
მელი კლდეურზე საშუალო და ღარიბი კლდე-
ები), გარდა ამისა ყოველი ახალგაზრდა არაა
რევოლუციონერი და ყოველი მოზენი რეაქ-
ციონერი. მატერიალისტური დიალექტიკის ცოდ-
ნა საჭიროა, რომ მწერალი უფრო სრულყოფი-
ლად გაერკვეს კლასთა ბრძოლის ლოლიკაში.
გომიაშვილს კი ლექსში „ნაწერეთა შორის“
კლასთა ბრძოლა—დიალექტიკურობადან მექანის-
ტურ პოზიციებზე გადაყვას და ამით კლასთა
ნამდვილი ბრძოლის მაგიერ ბელში გერბება
ახალგაზრდის და მოზენის ცამთი, რომელსაც
უშთაურესად მორალური საფუძველი აქვს და არა
იდეური.

ალ. გომიაშვილის სარცენზო ლექსების წიგ-
ნიმ ცხელადფერი ეს მშოლოდ ჩაწარდებია და
არა ძირითადი ხაზი, ძირითადში კი გომიაშვილი
უპირისპირდება მთის დეკადენტურ (სიმბოლის-
ტურ და ფუტურისტულ) გაგებას; ამ თვალსაზ-
რისით იდებრად და მხატვრულად მათზე მალდა
სვდას. იდეურ სიახლესთან ერთად—გოსი გო-
მიაშვილს შესაძლებლობას აძლევს საკმაო მხატ-
ვრულ სიმღერით ასაბოს მთაში მომხდარ პო-
ლიტიკურ და ეკონომიური გარდატეხა, საწმე-
ხაროდ აეტორს კიდევ არ ახასიაღებს საკმარის
კონკრეტულობა თემატური მასალის იდეური
შეკრუშვა. გომიაშვილმა გაიარა მოწაღების პე-
რიოდი, მიმდინარე მომენტში ახალგაზრდა პოე-
ტის წინაშე სვდას ფრიად საპასუხისმგებლო
ამოცანა: გაარღვიოს მთის ეპურთ თემატური
რკალი დადატუფლოს სოციალისტური მშენებ-
ლობის ფართე და მრავალფეროვან თემატიკას.

დომ. ბენაშვილი.

მ. კაპახიძე „ჩემი პირველი უჯრედი“ ლექსები 1982 წ.

პროლეტარული პოეზიის ფრონტზე დღეს
იდულოგიური ბოლშევიკური სიმტიკის შე-
მდეგ მტორე საპასუხისმგებლო ამოცანას წარ-
მოადგენს ლატერატურულ კვალიფიკაციის ამა-
ღლება, მისი აყვანა ჩვენი ეპოქის შესაფერის
სიმაღლესე. ამ მხრივ ჩვენი გვაქვს მთელი რიგი

მოღწევებისა, პროლეტარულ პოეზიის შემოქმე-
დებითი ზრდის უდავო მანერებელია გიორგი
კაპახიძის უკანასკნელი ლექსები, რასაკვირველია
კაპახიძეს აქვს მთელი რიგი წვედომებისა, რა-
მელთა დაძლევას იგი უკვე რამდენიმე ხანია
სციდილობს, ძირითადში კი იგა თვალსაჩინო

წარმოადგენდა ჩვენი შემოქმედებითი ახალ-გაზრდობისა.

გ. კაჭაბიძის შემოქმედების მთავარი თემა სოციალიზმია; ზრანდიოზული მშენებლობა, კლასთა ბრძოლა და ადამიანის ფსიქოლოგიური ვითარება. თუმცა ამ უკანასკნელ საკითხის სწორ გადაჭრას იგი ყოველთვის ვერ იძლევა.

კაჭაბიძის „ნათესადენი“ როგორც მკეთრი მხატვრული ნაწარმოები ინდუსტრიალური ლექსის კოლორიტითაა შესრულებული. ამ ლექსში დიალიტიკურად გაგებულა ნათესადენი როგორც საბჭოთა მხარის „სიცოცხლის ერთი ძარღვი“.

პოეტი სწერს:

„მიჩნდება კითხვად:
რამ გაზარდა მილი ამხელა?
მეტად ეს ზოლი
თუჯითა და რკინით ნაშენი,
გზის დაფარვამდე
შეგნებოდეს თელის საღწენათ.“

შემდეგ ქვემოთ იგი განაგრძობს:

„და მე ამ საქმის
სიძვირფასით გულავსებული
ვამბობ ნაბუღით
გაზარება თუ მომდებია
ეს თუჯის ზოლი
ფლომინდერებში გასიერებულნი
ბაქოს ძარღვი და
ჩვენი დიდი ნავსადენია.“

აქ ნათლათ სწანს მწერლის სასოგადობრივი ინტერესით, სიყვარულით ნისვლა ლექსის თემასთან.

კაჭაბიძის ლექსის დადებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მას ლირიკულ ლექსში შეაქვს თბრობითი ელემენტი. გარეშე ამისა შეუძლებელი ხდება პრაღეტიკული ჯანსაღი რიტმის გამოძებნა იმ იდეებისათვის, რომელსაც ლენინიზმის მსოფლმშედეგობა აყენებს მწერლის წინაშე. კაჭაბიძის ლექსების მთელი ციკლი („საბჭოთა პერიო“, „მანქანამ უწყაა მოგვეცეს მანქანა“, „წერილი მეზობელ კოლმეურნეებს“ და სხ.) პოლიტიკური სიმახვილის და აქტუალობის მართების სიმაღლეზე არის აყვანილი.

კაჭაბიძის ზოგიერთ ლექსებში („ის უბანი და ის ვარშიდახით“, „ცაიხვების ხეივანი“ და სხ.) დაშვებულია მთელი რიგი მეზარაჯევენ ხასიათის შეცდომებისა. ერთგვარი სანტიმენტალურ-ლირიკული დამოკიდებულება ბავშვობის დღე-

ებთან (ესენინისჩინი დანაშაული (კლ. მოტივი), ბუნების მჭერტლობითი პენსიკური გაგება წინააღმდეგ მისი გაგებისა (კრეფურ ტელეალისტური მშენებლობის ობიექტული წყობითური გაგება სიყვარულის საკითხისა და სხ. ამ ფარგლებში ტრიალებს უმთავრესად ანუ. გიორგი კაჭაბიძის შეცდომები.

საინტერესოა როგორ გვიჩვენებს „ბუნებას“ კაჭაბიძე. ის სწერს:

„კრიალა ცის ქვეშ
ვით საუკუნე
ტოტებდარწევით დგანან ცაიხვები
ცაში ვარსკვლავთა რაზმი კანკა-
ლებს
და ცის ლაქარდი მოსჩანს დარცხვე-
ნით.“

შუბი ეწეება რხევით მიწამდე
ღამის სიმუქით სივრცე ნახდებდა“...

ეს არის ნამდვილი რომანტიული გაგება ბუნებისა. ასეთი ადგილები მრავალადაა კაჭაბიძის ლექსებში, ის ერთ ადგილს ცას ადარებს „კრიალა ვერცხლს“, განთიადს „მთების ღიმილს“, ხოლო „ყოფნას“ „ბაღის ზილს“, ზემოღმოსავლელ ამონაწერში რომანტიკოსების მტავსად „მანარაღებულელია“ ყველაფერი და მოცებულია ბუნების უპარტიო აღწერა. ჩვენ აქ არ მოვიყვანთ ამონაწერებს სადაც კაჭაბიძე იმეორებს მინორულ ფრაზებს ესენინიდან, ძველი პოეზიიდან ქალის, ბავშობის დღეების და სხ. შესახებ. კაჭაბიძე უნდა ეცადოს დასძლიოს ეს ნაკადი თავის შემოქმედებაში.

აღნიშნულ წიგნში მოთავსებულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა საინტერესო ლექსებისა. ასეთია მაგ. „ჩემი პირველი უჯრედი“, ეს იდეითა და მხატვრულათ ძლიერი ლექსი მართლაც ნათლად გვიჩვენებს თვალწინ კომკავშირის უჯრედის პირველ ნაბიჯებს.

უნდა ითქვას, რომ გიორგი კაჭაბიძეს როგორც საკმაო მხატვრული უნარის მქონე მწერალს ესაჭიროება ყურადღების გამახვილება ლექსის იდეითი მართისათვის. ის არ უნდა გაძვედეს ტუბილი ლირიკის ზახს. ანატოლ ფრანსის ერთ-ერთ რომანში ფილისტერი ბლები ასეთ შემოქმედებითი დირექტივას აძლევს მხატვარ ევარისტ გაშლენს: „ნება მოშეცით ერთი რჩევა მოგვეთ მოქალაქე მხატვაროა დაეხსენით თქვენს რეკოლუციონერ სიმელოგებს, ფერებს, თა-

ვისუფლებს გენიებს, რომელნიც დანაშაულს სდევნიან, და მშენიერი ქალები მიხატეთ. დროთა მიმდინარეობა მოქალაქეებში აჩელებს აღორძინების ცეცხლს, მაშაც იცხებს კი ქალები ყოველთვის ეფარებათ. განიკეთეთ ვარდისდერი ქალები და გაიგეთ... რომ რევოლუცია აღარავის არ ეინტერესება*.

ეს არის წარსული ეპოქების და აგრეთვე თანამედროვე ობიექტულის მხატვრული პლატფორმა. მას ეხარება ყოველთვის რევოლუციანე დაწერილი ლექსების კითხვა. ის მშენიერი

ქალების საზოგადოებრივ მოღვაწეობა პროლეტარული პოეტი ყოველ მახვილზე ფრფა გბრძოდეს ასეთ განწყობილებებს, *ქვეყნული*

ასეთი განწყობილებების დროს კვაზიბიძის პოეზიის წამყვანი ძალა, ძირითადად იგი ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელია პროლეტარული პოეზიის მოწინავე რახმისა, რომელიც ცდილობს მოგვეს ჩვენი ეპოქის კლასიური და პარტიული შედეგება.

გ. ნატროშვილი.

ინგლისის და ამერიკის მწერლობა გასულ წელს.

კაპიტალიზმის განწვევებულმა კრიზისმა თავისი დალი დააჩინა ამერიკის და ევროპის წიგნის ბაზარსაც. მეტად შევიწროდა გამოშვებულ წიგნთა რიცხვი. ასე მაგ., 1931 წ. ოთხი თვის განმავლობაში წვერუბულ მატრებში გამოშვებული იქნა 843 ბელეტრისტული ნაწარმოები, მაშინ როდესაც 1930 წ. იმავე პერიოდის განმავლობაში გამოვიდა 1830 საბელეტრისტული ბელეტრისტული ნაწარმოები. ასევე ინგლისში, მაგრამ ბელეტრისტული პროდუქციის რიცხვი ორთავე ქვეყანაში მაინც დიდია. 150-200 ახალ რომანამდე თვეში მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოებთა დიდ უმეტესობას არადიფერი საერთო არა აქვს მხატვრულ ლიტერატურასთან: ესაა ობიექტივისტური და მხადებელი სისხლის სამართლისა, თავდადასავლის, და „საიდუმლოების რომანის“ ხასიათის სტანდარტული „საკითხავი მასალა“, რომელთა ავტორებს „წარმოების“ სიჩქარის გამო იმის დროც, კი არ გააჩნიათ რომ „სინტერესო“ სათაური მაინც მისცენ თავიანთ ნაცოდებილეს და მხოლოდ აწერდნენ ბოროტმოქმედების ადგილის აღნიშვნით კვაცოფილდებთან: „მკვლელობა 700 ოთახში“ „მკვლელობა რუდაქციში“ და სხვა. ერთი ასეთი „ბელეტრისტი“ სენსაციის გვლსათვის იქამდე მივრედა, რომ თავის ერთმანად თავგადასავალში „ჩხუპი უწვლვებში“ აწერს, თუ რა გემო ჰქონდა ადამიანის (რა თქმა უნდა, ზანგის!) ზორის, რომელსაც ის შეეცეოდა ამერიკის კაცის მკამედებთან და მეგობრების დროს.

ახლად გამოსულ ასევე წიგნთა შორის, რომელთა სათაურები ციფრი მანის მზგავსად მოციფვა ევრონალების და გაწუთების დფორცლებიდან, არის ათეული ისეთი, რომელნიც ამა თუ იმ ზომით შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, და ამ ათეულებში კი შოაობება ისეთი ერთეულება, სადაც მოცემულია არა სრული და ნაწილობრივი სერათი იმ სოციალური ძვრებისა, რომელთაც ადგილი აქვთ ინგლისში და ამერიკაში.

ინგლისი თუ ამერიკა?

ინგლისური ლიტერატურა, ისე როგორც ინგლისის მრწველობა მსოფლიო ომის შემდეგ იმყოფება კრიზისული და მოზარდი კრიზისის მდგომარეობაში. ჯერ არ დადუმებულან და ისევ განაგრძნობენ წერას ომის წინა დროის ლიტერატურის დედა-ბომები: გელ სტორტი, უელსი, ბერნარდ შოლ, კაბლინი და სხვ. დრო გამოშვებით ჯერ ისევ მზდებიან ცალკეული გამოჩინილი ნიჭის მწერლები, რომელნიც უმოთვრესად დაკავშირებული არიან ინგლისის პროზის ნოვატორის, „უელსის“ ავტორის უკმა ჯონის სკოლასთან. მაგრამ საერთოდ ინგლისურ ლიტერატურის წამყვანი როლი ანგლო-საკსონურ ქვეყნებში შეიწეულია, და პირველობას იჩემებს ახლგაზრდა, უფრო ცოცხალი და ენფიჯიული ამერიკული ლიტერატურა.

კინ ვის — ინგლისი ამერიკას, თუ ამერიკა ინგლისს? ეს დავა ორ კაპიტალისტურ გიგანტთა შორის ლიტერატურის სფეროშიაც შეეკრა და, როგორც სჩანს, ამერიკის სასარგებლოდ სწედება.

მისტრი უელსის მოკიბი მანბაზია.

ინგლისურ ლიტერატურის „კორიფე“-თა უკანასკნელ წელში გამოსულ ნაწარმოებთა შორის ჩვენთვის თემატიურად ყველაზე უფრო საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს ჰერბერტ უელსის რომანი „მისტერ პარკემის თვითმკვრობელობა“ სადაც ნავერად ფანტასტიურად და ნახვერად სტი-

რულად დაბატულია ინგლისის ფაშინაცია და ინგლის-ამერიკის მომავალი ომი, რომანის გმირს, მუსოლინის მებრძოლ თაყვანის მცემელს პროფესორ პარგემს, რომელიც ოცნებობს ძლიერ ეროვნულ ხელისუფლებას და დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმის ოქროს ხანის აღდგენაზე, სპირიტუალ სუანისის დროს ეხიზრება, რომ იგი, ჩამრგვალებული და „ფეხბრუნის“ მისთვის სპირიტუალური პარგემი, გადაიქცევა ეროვნულ გმირად, ინგლისურ მუსოლინად, დიდებულ ღორბ პარამაუნტად, რომელიც სათავეში უდგება ფაშისტურ მოძრაობას, გარყვას პარლამენტს და დიდი ბრიტანეთის „თეიმპერობელ“ დიქტატორად ხდება. მისი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს შეადგენს საპულოთა კავშირის იზოლიაცია და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საერთო ეკონომიკის მოზიდვა. ღორბ პარამაუნტი აეროპლანიტ ჩამოივლის გერმანიას, იტალიას, საფრანგეთს, რათა შეფთაშმდნენ მათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთო გამოსვლის საქმეში. მაგრამ მისი გეგმები იფუჭება ამერიკასთან მომხდარ მიუღიანებელ გართულების გამო, რომელიც მოაუბრება გრანდოზულ სახელო შეტაკებით ატლანტიურ ოკეანეში. დიდი ბრიტანეთის და ამერიკის სახელგანთავსება ისპობა. მოკავშირეები უარს აცხადებენ გამოსვლაზე, დომინიონები სცილდება ინგლისს, მისტერ პარგემის ფაშისტური-იმპერიალისტური პოლიტიკა, მისი „თუ პიპერბელობა“, სრულ დამარცხებას განიცდის, დიდი ბრიტანეთის იმპერია იშლება. მაგრამ სველაზე უფრო საშინელ ალაგას მისტერ პარგემი მშვიდათ იღიბებს—და მთელი მისიხანე კატასტროფა მხოლოდ სპირიტუალ სუანისის დროს ზმანებელი სიზმარი გამოდგება. იგი ისევ ის „უფინარა“ პროფესორი პარგემია, რომელიც თავს დატრიალებს ახირებულ მილიონერს იმ იმედით, რომ მიიღოს მისგან პოლიტიკური ჟურნალის რედაქტორობა. ინგლისელი მკვითბელი—ბურჟუა მშვიდდება: ეს ხომ მისტერ უელსის შორიგი ფანტაზია იყო—და სხვა არაფერი, რომანი წარმოადგენს ბრწყინვალე სატორას კაპიტალისტურ ევროპასე და ინგლისზე. ევლსი მისტერ პარგემის სახით დასცილნის არა მარტო ინგლისურ იმპერიალიზმს და ფაშიზმს, არამედ (დაბოთ ფაზიანელ უელსს) ეკონომიკურ და კომ. „მეშათა“ მთავრობასაც კი. მეტად მწვეველ და მამილათ აქვს დახატული უელსის მათი დაბნევა და ბრიყველი გამოხატველება გეარულილებს მიერ პარლამენტის გარყვის დროს. გადასწავიერებელ სახელების ქვეშ სულ ადუღად გამოიცილობთ მაკდონალდს, სნოუდენს და გენდერსონს. სატორიულად არიან გამოყვანილი აგრეთვე თანამედროვე კაპიტალისტური ევროპის სხვა ხელმძღვანელები მუსოლინი, ბრიანი და სხვ. მაგრამ, მიუხედავთ ასეთი შორს მჭერებელობისა პოლიტიკაში, უელსი მაინც ბევრ წერალ ბურჟუა რჩება, რადგან იყო იგი ლენინთან საფბრის დროს, რადგან სრულებით ვერ ხედავს მთავარ მამოძრავებელ სოციალურ ძალას—პროლეტ-რიატს. ღორბ პარამაუნტის მთელი აშბაეი ხელოვნურ და უშაერო სიყრცეში სწარმოებს, რეალური კლასობრივი ბრძოლის და პროლეტარიატის აქტიური ჩარევისათვის ანგარიშის გაწევის გარეშე. ევლსი ხელოვნურად რიცხავს პროლეტარიატს, როგორც უდიდეს ისტორიულ ძალას რის გამო, მიუხედავთ მისი დიდი ანტატიზისა, რომანი მეტად მსუბუქ და ზერეველ ხასიათს ატარებს. მსოფლიო ომისა და კატასტროფისაგან შევლას უელსი მოგონის არა პროლეტარიატისგან, არამედ რალეც ერთი მეტა ზეკლასიურ „ფილოსოფოსთა და ბრძენთა“, მეცნიერთა და მრეწველთაგან, რომელიც სპირიტუალ სუანისაგან თვალახელილები, უარს აცხადებენ მისტერ პარგემის ევლური ფანტაზიის გამოხორციელებაზე. მაგრამ უელსს აქვს ერთგვარა ისტორიული განჭრეტის უნარი: დიდი ხნის წინ მსოფლიო ომამდე იგი ამჟღავნებდა მას თავის ფანტასტიურ რომანებში. ამ შორე „მისტერ პარგემის თეიმპერობლობაც“ ნიშნულობა: უნან ატმოსფერა მეტად დაძაბულია მსოფლიო ომის მოლოდინით, თუ პაციფისტი უელსი თავის უკანასკნელ რომანის ცენტრში აფენებს მას.

მ. შლანკის „ოლი ვილი“.

მსოფლიო ომის შემდეგ გამოსულ ინგლისელ მწერალთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ოფლავრტის, „ულის“-ის ავტორის ჯოანის სახელთან დაკავშირებულ ლიტერატურული მოძრაობის ერთ ერთ ხელადს, რომელიც ედილობს ტრადიციულ ინგლისურ რომანის კონსერვატიულ ფორმებს თემატიკურ და სტილისტურ განახლებას; ამ თავის ნოვატორულ ცდებში ახალი ინგლისური ლიტერატურა ამერიკულ ახალ ლიტერატურასთანა დაკავშირებული (ბენინგერი, დოს მასის, ნატარ აშ და სხვ.) ელავრტის უკანასკნელი წიგნი „ოლი ვილი“ წარუდგენს ავტორის საფთარ თავგადასავალს იმპერიალისტური ომის შემდეგ, სადაც იგი, სულ

ოცი წლის ახალგაზრდა, მოპალსკედ იყო. მან მოიარა ევროპის და ამერიკის ყველა ქობე, მისიწა ყველა პროფესია, მუშაობდა ლუდის ჭარხანაში, ღამის კარის კაცად სსსტუბროში, რეგისტრატორად კონტორაში, ცეცხლის ფარვის თანამუშევრად გემზე, მიფეტქმენ შტრის „ბო-ბო“ თ ამერიკაში, ტყის მჭრელად და სხვ. ფორმის მხრივ „როა წელი“ შარხანაში მსახურობდა და მოგონებების წირვს, მაგრამ სტრულის სისადავით იგი ამგვარებს ავტორის ოსტატობას. ფლავრტი გულახდილია და თითონვე ხმის თავისი ანარქისტული დაუდევრობის და ბუნტარობის ძირებს. იგი აღფრთოვანებით ხედავდა ძველი ფრანგი ჯარის კაცის მიერ გადმოცემულ ამბავს იმის შესახებ „რომ რუსეთი უკვე აღარ ოპობს“. იგი აღფრთოვანებლია მით, რომ მთელმა ერმა შეეკრად სანგრებიდან სახლში წასვლა გადასწყვიტა და თავი დააღწია იმ სასაცილო ავადმჯავლს, რომელსაც სხვა ერები ასე სწრაფხვლად შეუტევიან. მაგრამ ოქტომბრის რევოლუცია, როგორც თითონ ამბობს, მან ვერ გაიგო, „ოქტომბრის რევოლუციამ მაშინ არათავი შეათბევილებდა არ მოაბრძინა ჩემზე, რადგან იმ დროს მე დიდი ცინიკოს ვიყავი და არ მშამდა, რომ არსებობს ადამიანის მოქმედების განახლებული რაიმე გომიერ გეგმა და მიხანი“. ბოლშევიზმიდან და კომუნისმიდან, როგორც თითონ აღიარებს, ფლავრტი მივიდა შეფენებლად. „თანდათან შეუმჩნეველად მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიზმი ახალი ღმერთის სახარებაა, რომ იგი ძველ მორალზე უფრო სალი და ძლიერია... მე მუშათა რევებში უნდა ვიყო, რადგან იქა ის დინამური ძალა, რომელიც ჰქმნის ადამიანთა შეგნებაში მშვენიერების ახალ გრძობას ახლდ პოვნის, ახალ კომიურ შეგნებას. და მე გავხდი კოპუნისტა“—სწერს ფლავრტი. მაგრამ მასში მაინც სჭარბობს ის ანარქისტული ინდივიდუალიზმი, რომელიც ვერ გააქარწყლა ორი წლის წლის განმავლობაში შეე მუშად ყოფნამ მისი საზოგადოებრივი შეზღუდვებში ისევე იმპრესიონისტური და მერყევა, როგორც თითონ ის. ხშირად მისი მსჯელობა რუსეთის რევოლუციაზე და დოკტორიცსზე, მარქსზე და შრომაზე არა თუ და ბნულა, არამედ გულუბრყვილოცაა, — ეტყობა, რომ მის მარქსთან და ენგელსთან ერთად პრედონიც უკითხავს. „ახლაც კი, როდესაც მე გავხდი მწერალი, ე. ი. ავირნიე ბეში ხასიათისათვის ყველაზე უფრო შეხაფერა პროფესია, მე უმეფერათ ვსთლი თავს იმის გამო, რომ იმელებელი ვარ გაცივდა ჩემი მოაზრობება, რათა ამ გზით ვიფიადო თავისთვლიად დრო მათი თხზვისათვის“. მიუხედავად ასეთი პასიურ — ტერორითი განწყობილებისა ფლავრტი წათლად ხედავს, რომ „XX საუკუნის მწერლთათვის აუცილებელია საზოგადოებრივი მოძრაობის ხედშიწვენით შესწავლა, თუ მას არ უნდა მოკლედ წასრულის ახლის მოცემით დაკმაყოფილება. ბიერ მწერალს და მხატვარს ეწინაა ასეთი შესწავლის დაწება. მათი აზრით, მანქანა მეტად უხეში, მზიანი, მკეთური და სასტყია. მათ არ შეეკრათ ახლად აღმოცენებელი არისტოკრატია — პროლეტარიატი. ისინი უყაქ მისანიალებენ მოძრაობას, მაშინ როდესაც მხატვარი კოვულთის აუანგარაში უნდა იყოს“. ფლავრტი აღფრთოვანებით ესაღმება ძველი რწმენის და ძველი ღმერთის გამანადგურებელ მანქანას და მანქანური შრომის ერთად ერთ ნაკლესანებას ხედავს მასში, რომ არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილების დროს მეშები „ყველგან (გარდა ერად ერთი სხაბკოთა კავშირისა) მოწენია“. საკუთარ გამოცდილებას ფლავრტი კიდევ ერთ საყურადღებო დასკვნამდე მიკვავს: „ეკოლიზაციის ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გლეხის მოპობა, ე. ი. მიწისადმი მონური მისამსახურეობისაგან მისი განთავისუფლება“.

ბრიტონი და ზანდი.

მეტად მძიმე და მწყობრ ავტორთა მდკომარეობა ინგლისში და საერთოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში. გამოცემლებს „ცნობილი“ ავტორის გამოცემა ურჩევნიათ, ახალ თუნდაც ნიჭიერი ავტორების გამოცემას.

ბრიტონის რომანმა „სიმშლი და საყვარელი“ გამოიწვია უტონ სინკლერის აღფრთოვანებელი შეფასება. ოცი წლის განმავლობაში ველოდი ასეთ ნაწარმოებში — სწერს სინკლერი. ესა ინგლისის ახალი თაობის პროლეტარული მწერლის ტემპარიატად უფიადესი ნაწარმოები, მასში იგრძნობა გენია, რეალისტური ცეცხლი და ყველაფერის დაბტევი არც როგორც იქნა ინგლისის ელიტსა ახალ მწერალს, რომელიც გვერდში ამოუდგება უელს და შოესო. რომანი სიდიდით მოგვაგონებს დრახტის „ამერიკელ ტრაგედიას“ ან ჯოსის „ულის“, შეეკავს ორიოცდაათ ბეჭდვით ფურცელს და ნახევრად მეცნიერულ — პოეზიარული ტრაქტატია.

ავტორი მეტად მძაფრად აკრიტიკებს კაპიტალისტურ საზოგადოებას და უამაყდროს კაპიტალისტურ ადამიანს მისი ინდივიდუალისტური სულიკვეთებით და უპირისპირებს მათ პაპავალ სოციალისტურ საზოგადოებას და სოციალისტური სულიკვეთებით. ადვოკატები, მომავალ იდეალურ ადამიანს, ავტორის ფილოსოფიური სოციალისტური, ბიოლოგიური და პედაგოგიური და კომენტარები გადახალართულია ბელეტრისტულ თარობასთან, მათი ცალკე გამოყოფა ცალკე ტრაპეტას ან პაპავალს შეადგენდა. როგორც ავტორი, რომლის გმირიც წიგნის მალაზიაში გამოყვავლად მუშაობის დროს ხარბად ეწაფება წიგნს და თვითგანუთარების მაღალ დონეს აღწევს. რაიც მეტად ემჩნევა ნაწარმოებს. ახშიმებს მას ამას გარდა, ავტორის შეჯღოზა, რომელიც შეიძლება მეტად აქტიურად და გაბედულად ეხეწოს ინგლისისა და ამერიკის მკითხველებს, ჩვენთვის არ წარმოადგენს სიახლეს და სოფურ მეტად გულგებრყვილო და ტრივიალურია.

სრულიად სხვა მეორე დამწყების — გრანტის რომანი „ზურგიტ ზურგზე“. ესაა სამთამდნო მუშებზე დაწერილი ნაწარმოები. გრანტი არ მამართავს მეცნიერულ განზოგადებას და კომენტარიებს. იგი მხოლოდ მხატვრული ზენების მეთადათ მოქცეობას მკითხველზე და დასკვნების გამოტანას თვით მკითხველს ანდობს. ინგლისურ ლიტერატურაში ბერია სამთამდნო მუშებზე დაწერილი ნაწარმოები ნაგრამ გრანტის წიგნი გამოირჩევა თავისი შეხენელი თავისებურების სიმკვეთრით. ფლავრტი სწერს გრანტის წიგნის შესახებ, რომ თუ ასეთი საბაგერი მონობა არსებობს ჩვენ შორის და თუ ზეგნ ვითმენთ, რომ ხალხის შესამწვევი ნაწილი სტოვარობს პირობებში, რომელიც უფრო კუქვიანი და სტოველურია ვიდრე პირველყოფილი ხანის გამოქვაბულში მტოვრებ ადამიანთა კრფა, ეს ნიშნავს, რომ ზეგნი ცივილიზაციის დამბობა შესაძლებელია ადუნელი იქნას მხოლოდ დაუყოვნებლივი რევოლუციით. როდესაც ვკითხვლობ ამ სამთამდნო მუშათა შესახებ და ავტორის სახეთა ძლეერების წყალობით მთელი სიმაწველით ვხედავთ მათ, მე ვგრანობ ჩვენი ცივილიზაციის მთელ საზიზრობას და ჩემი საკეთარი პიროვნება მიმანია პასუხის მტებლად ამ სილატაციეში, რადგანარ ამიღია კვა და არ მისურია იგი ამ სოციალური შექანიზმისათვის, [რომლის გამო შესაძლებელი ხდება ასეთი მონობა]... ინგლისელ მუშებმა გართა უცის წარმოებად გელი, პროტაკვიონიული მოხელე, სამთამდნო მუშათა ასოციაციის ნდვიანი ვ. რატი კი სწერს „რომ შენებლოს. გვანადგურებდი ამ რომანს. ეს კუქვიანი ზალბა და ტუადევიერა წიგნია, იგი წარმოადგენს ცილის წამებას მამაკაცის და დედაკაცის მშვენიერი ხეგლას მამართო.“ ავტორი არაა რევოლუციონერი და მის წიგნსაც არ შეიძლება ეწოდოს რევოლუციონერი ნაწარმოები ამ სიტყვის პირდაპირი ნიშნებით. თითონ გრანტი არაა მუშა, იგი მალაროს ტენიკურ თანამშრომლის შეილია. რომანში არაა მოცემული მალაროელთა გაფიცვა და რევოლუციონერი ბრძოლა. მასში აწერილი მალაროელები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ვიდრე გაყვით ნახეები მუშობელ მალაროს მუშები რომელიც საესებით ამოწევიტა უმუშევრობამ და სიმწიღმა. რომანში აწერილი ხაგვერის მალაროელები ცხოვრობენ საქათმის მხაგეს ხის ფიცრულებში, რომელიც „ზურგიტ ზურგზე“ ერთმანეთთან მიშვეხული მალაროს გულიდან ამოყრილ უარგის ფებების გარებზე. ფიცრულები უკან მყოფ ერთ ცოდა „გზალებში“ მათ შევლიათ მოიგვანონ ნიორი და ამას გარდა გაბდენ გარედან სასპორტო და სხვა ამოღიტიურ საზრგადიობათა წერებად, რომელთა ინტერესები შენოიფარგლება ბოსტნეულის მოყვანის და მტრედების გამრავლების სწავლებით და „გადარჩენის არმიის“ დოლებ დაყვრით სახეიმო შეზიხვევებში. მაგრამ ყველაფერი ეს კადემ უფრო მკვეთრად ამლანენებს მალაროების ამ შთამომავლობითი კმების მონური ცხოვრების აუტანელ კომმარს. გრანტის მალაროელები უარ კიდევ კლასიბრეად შევუნებელი არიან და პროტაკვიონებისა და ურთიერთ დამზარე სალაროს იქეთ მეწარმესთან ბრძოლაში ნაბოტი ვერ გადაუდგამთ, არც თითონ ავტორი ავეთებს რევოლუციონერ დასკვნას თავის კომმარული რომანიდან, მაგრამ ასეთი დასკვნა თავის თავად გამომდინარეობს და როგორც ზემოთ დავინახეთ, ფლავრტიც სწორედ ასე მოიქცა.

ჩ. აშლის „მოსხილამ ბიმი“ და ხაზლოვის „წითელი მიწა“.

ბრნიტონიდან და გრანტიდან რომ ინგლისის მეტოფრიცხოვან რევოლუციონერ მწერალთა მემარტებზე ფრთას მიგმართოთ, შეხეხვებით ჩარლზ აშლის სახელს. აშლის საინტერესო ბიო-

სა და წითლებს შორის და მასთან ერთად ძველ რომს და მასში მომხდარ რღვევებს. და პატრაცების ბრძოლას, რომელიც მან ნაბა ტინის ანთების დროს ბოძეაში, ვეტორი გმირის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენების გამო იცილებს საყვედურს ისტორიულ სიუჟეტს, რაც მდგომარეობაში აყენებს სწორად მეტად გაბეჯულ და რისკიან პარალელებს ძველ რომსა და ახლანდელ რომს. პატრაცების ბრძოლაში მდგომარეობაში ჩაყენების გამო იცილებს საყვედურს ისტორიულ სიუჟეტს, რაც მდგომარეობაში აყენებს სწორად მეტად გაბეჯულ და რისკიან პარალელებს ძველ რომსა და ახლანდელ რომს.

გახსულ წელს დრახიზმა გამოაცხა „ჩემი ცხოვრების ისტორიის“ პირველი ტომი, სადაც აწერილი აქვს თავისი ბავშვობა და სიუჟეტი, მას უნდა მოჰყვეს სხვა ტომებიც, სადაც ავტორი გადაწვლის თავის ცხოვრების შემდეგ ეტაპებს, როგორც ეტრნალისტი და რომანისტი. I ტომი — „კრიტიკა“, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, თავისი შინაარსით, სერიოზულობით, სიმძაბრით და დიდს ვულგარულობით, როგორც „ალსარტისთან“ ერთად ყველაზე უფრო მართალი და რბა წინაა რომელიც კომპილირებულია „თავის თავზე“-თ. მაგრამ ეს ინტერესი არაა მართლ ავტობიოგრაფიული ხასიათის, ნაწარმოები თავის განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს დრახიზის დიდ მხატვრულ ტილოთა შორის.

ქარიშხლიანი 42 პარალელი.

იმის შემდეგ გამოქვეყნდა ავტობიოგრაფიული ნაშრომი „რომის ყველაზე უფრო დიდ იმედება იმდენად დოსასოსი, მისი ქარიშხლიანი 42 პარალელი“, გაგრძელება „მანატიანისა“ და მორე ნაწილია ტრილოგიის, რომელიც დატანილია ქარიშხლიან ელექტრობით, რომელსაც ნაპერწკლებად ისწავს რომანში შეტანილი რადიოს გამოძლიერებული ძალის „ახალ ანბანთან“ დასტა, რომელიც შესდგება პროზით დაწერილ ლექსთა მზავის ვიდიონის, ლაფაეტის, ჰეგელის, დების და სხვ. ცხოვრების აწერის გადმოცემით. რომანის სიუჟეტური მხარე აგებულია მეტად რთულად, — ესაა ორი სხვადასხვა პირის ერთმანეთში გადამხარებული ისტორია, რომელთაგანაც ერთი არის მუშა, მსოფლიო ინდუსტრიულ მუშათა ორგანიზაციის წევრი, გამოცხვენებულია საგანგებო ამბების, ნაწილებების, წარმოუქმელ სიტუაციების, რეკლამების და სხვ. ლიტმონტიკის ბერძნი. მათი მკვლელი ლითონისებური მშა, როგორც უზარმაზარი რადიო-მიწების მშა რეკავს და სწავლავს ნაწარმოების მიმდინარეობას და ამასთან უხვევებს, თუ რომელ საზოგადოებრივ ფონზე იმდება გმირთა პირადი ცხოვრება. ტრილოგიის შესამე დასკვნით ნაწილი ჯერ არ გამოსულა, მაგრამ უკვე გამოსული ორი ტომიდანაც აშკარაა, რომ დოს-პასოსის რომანი — ტრილოგია უკანასკნელი ათი წლის ავტობიოგრაფიული ლიტერატურის ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს.

„ძივირი სპორ და ვანდატის სიკვდილით დასჯის რამის“.

ავტობიოგრაფიული „პრობლემატიკის“ ახალი სკოლიდანაა გამოსული ნატან ამ რომლის უკანასკნელ რომანში „ბელუსის ანების დღე“ აწერილია საესტეტიკო ჩვეულებრივი, სტანდარტული და ტრილოფი ღვე, ნიუიორკის უთვალავ ათას წერილ ზრუნავივლ კონტორის მონასაზრთოა ხელუხასის ანების დღე, რომელიც შეგანიშნავია მხოლოდ იმით, რომ იგი ერთ-ბევვა საკონ და ვანდეტის სიკვდილით დასჯის დღეს. რომანის გმირმა ჯიმიმ არც კი იცის ეს. ნაღბით გაჭედდელ ტრამვაში იგი თვალს მოკრავს მუხობლის გადაშლილ გახეთს, სადაც მსხვილი ასობით იფრებიან საკონ და ვანდეტის სიკვდილით დასჯის მზადების შესაბებ. მაგრამ მან ზერიანად არც კი იცის — ეინ არიან იმნი, ვიდაც „წითლები, ანარქისტები“, — და თუ მათ სიკვდილით სჯიან, ალბათ, ღირსად არიანო. მას უფრო აინტერესებს იმ საღამოს უღმრთესი შეხვედრა სხლში დაბრუნებისას მას უხვევა აფთხიკში წამლისათვის წასვლა, რათა უწველოს მგზობედ ახალგაზრდა — ქალს, რომელიც სამაზხურიდან დაბრუნების დროს ჯობით გაფლანავს პოლისმის საკონ და ვანდეტის სიკვდილის დასჯის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის მოღებისათვის. საღამოს ჯიმი ელენესთან ერთად მიდის ღამის საიდუმლო სატეფო დეტანში სადაც ჰვარგავს ელენეს, გაიხიბოს სხვა ქალს, რომელთანაც განაგრძობს კვიუს. მაგრამ დრო გამოვლენით ღამის ქეფშივე კ „მენტორი მორი“-ს („განსოცდეს სიკვდილი“) მზავსად შემოიჭრება საკონ და ვანდეტის სიკვდილით დასჯის ანბან: მასზე ლაპარაკობს მოკვიფ ბოს-ლოინელი სენატორი და განთიადზე დეტანში შემოკარდნილი მეგახეთე — ბიკი გაყვარის საკონ და ვანდეტის სიკვდილით დასჯის... დასწყებს ერთი საათის წინ... აი, დილის გახეთი...“.

ანი სწერს იმპრესიონისტული ნახტომისებური არა თანამიმდევარი სტილით. ხატორიცა მისი დროის მოქიფე და ფუტკავიტი ჯი'ის შექმნება. რამოდენიმე ხანითაა გამოცემული გაცემილი გაიძვრა ბისტონელი სენატორი, რომელიც დიდის კმაყოფილებითაა დასრულებული ღი-ფის დროს საკის და ვანკერის სიცილილით დასრულს შესახებ: „ჩემზე რომ უფროსი ვიქნებოდა, არც ამდენ ხანს ვაქოტლებზე მათ... ისინი ხომ წითლები, ბოლშევიკები არიან? სენს ქვეანაში მათი გაკატანება როგორ იქნება...“

რომანი გასონელ ფიქტატო გაფიცვის შესახებ.

მერი ეორის რომანში „გაფიცვა“ გადმოცემულია აეტორის, როგორც კორესპონდენტის, მიერ ნახული ამერიკული პროლეტარიატის უკანასკნელი წლების ერთერთი თვალსაჩინო რევოლუციონერი გამოსვლა—გასტონელ ფიქტატო გაფიცვა. გაფიცვის მთელი გარემო და განვითარება, რომანის ყველა პერსონაჟები, გაფიცვის ხელმძღვანელ მთავარ გმირამდე აღებულია სინამდვილიდან.

თავის უმრავლესობაში ჩამორჩენილი და ელასობრივად უფრო კიდევ შეუღწებელი მოშათა მასა თერთი ყუბის მდგომარეობაში იმყოფება, მათ აკრძალული აქვთ პროფკავშირების ჩამოყალიბება და ელემენტარულ უფლებებისათვის ბრძოლის ცდაც კი შეიარაღებულ ძალის ჩარევას იწვევს. ფიქტატის მიერ თავისი იენიონის (კავშირის) დაარსების ცდა იწვევს გაფიცულთა ბანაკზე პოლიციის, ჯარების და ტალაქის შეიარაღებული ბურჟუაზიის დაცემას და აწიოვებას დასასრულს, ასამართლებენ არა მოძალადე—დაარბევს მოწყობით, არამედ გაფიცვის ხელმძღვანელებს. მათ ვლით ელექტრონის სკანზე სიცილილით დასჯა იმისთვის, რომ ღამე საერთო სროლის დროს ვიღაცამ მოკლა პოლიციის აგენტი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ აეტორმა საკვებით სავალი წამოყვებულ ამოცანა—რომანის მხატვრულ ეპიურ ფორმაში გასტონელ ფიქტატის ბრძოლის გადმოცემა, რომანის ფაქტურული მასალა უფრო სწიშნულივანად და საინტერესოა ვიდრე მისი მხატვრული გადამწვავება რომანის სახით.

ჩ. გარისონის ო რომანი.

ჩარლზ გარისონის სახელს საბჭოთა მეთხელი იცნობს მისი რომანი „გენერლები კდგებთან საწოლში“. სისადავით და თხრობის სიმართლით ეს რომანი რამოდენიმე გეგონებს რემარკის ცნობილ რომანს „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, სიმდიერით და მხატვრული ღირსებებით იგი ჩამოუვარდება რემარკის ნაწარმოებს, მაგრამ სამაგოროდ სოციალურად რეპარტე უფრო მხელიდა, რაიც მგლავნდება თუნდაც მის სათაფრიდან. ესაა ერთი ახალგაზრდის ისტორია, რომელიც მოხალისეთ შედის კანადის, ჯარში და იტანება ფრონტზე საფრანგეთში, პატრიოტული აღტაცება ჩქარა იფანტება და იგი საკვებით იტებს მსოფლიო კაპიტალიზატორი სასაცლას მთელ სანამდღერას. მეტად მძაფრად აქვს აბდილი ფარდა ომს რომანის ორ უკანასკნელ თავში, სადაც აწერილია მოკავშირეთა ჯარების მიერ მცხოვრებლებისადგან მიტოვებულ ტალაქის დაარბევა და ტყვედ ჩაყარნილ გერმანელ ჯარისკაცთა დახრტვა.

გარისონის ახალ რომანში „ბავში გაჩნდა“ აწერილია არა ომი, არამედ ნიუიორკის სანაპიროები, ბრუკლინის ნაეთით შეთხუნილი მიდამოები, სადაც მტერთაღის ედვარდ რომბერტის ოჯახში ჩნდება ბავში, რომელსაც სახელად არწმევენ არტურს. ომის დროს სანაპიროებში სამუშაო დიდი სამშედრო ტვირთბრუნვის გამო ბერია და მელფასიც იმდენია, რომ რომბერტის „შეი დოსთერას“ კი ინაბავს ფულს. მაგრამ ბავის დადების შემდეგ გეგმობრეობა საკვებით იცვლება—მტერთაღების ხელფასი ეცემა, მათ უმშვეურება მოვლის ყუთიერი ტრედ—იენიონის პროფ-ბიუოკრატები მუშების შერგს უკან გამციმლურ პოლიტიკას აწარმოებენ,—სდებენ მიწარმეებთან ხელშეკრულებას ხელფასის შემცირების შესახებ. აღმოფოთებული მუშები იდიებთან, მათ თავს ესხმის ჯარი და პოლიცია, რომბერტის მდებარე პოლიციის მსხვერპლი ტქნაში. ოჯახი უსასროდ რჩება. არტურის დედა დლოურ სამუშაოს საძებრად დადის. ფოვალურით მიტოვებული ბავში ამანავებთან ერთად ტკბილეულთან პარავს ვაკარს, რისთვისაც მას ათ ავსებენ ფლანტროპიულ გამასწორებელ დაწესებულებაში, საიდანაც ბარბაროსულ ფიხიფორ ტანჯვისაგან სასაწარკვეთილი იგი უწმელიდან ვარდება წყალში და მისცურავს სინათლით გაიარაღდნებულ ნიუიორკისაკენ. გარისონის რომანი მძლავრად ამშულს ნიუიო-



რკის ბურჟუაზიის ფარისევლურ კვილოქმედებას, რომელიც საკატორღო „კამარობებელ“ საქრობილებს უწყობს პროლეტარიატის შეილება, აწესებს დახლევებს თალითურ სისტემას რომლის საშუალებით მუშას ერთივეა უკანასკნელი მონაგარი, აწარმოებს ცენტრალურ კონტროლს მუშების გამცემელურ პოლიტიკას და მშვიდობიან გაფიცულებებს მისი სახელის პრეტორიარულ და უღმობელ თარემს აწყობს.

ახალი ზანგური რომანი.

ამერიკის ლიტერატურაში სავსებით გამსაქურებული ადგილი უკარავს ზანგების მწერლობას. იგი ამერიკულ მწერლობაზედაც კი უფრო ახალგაზრდაა და სწრაფად განვითარდა იმ ნაბეგარი საუკუნის განმავლობაში, რომელიც გავიდა ზანგთა ვერედ წოდებულ „ემანსიპაციის“ დროიდან ჩარდილოეთის სამოქალაქო ომის შემდეგ. ზანგთა ახალ მწერლობას უკვე მოვლობდა პოეტების და პროზაიკების მთელი რიგი. ვასლუ წელს ზანგთა ლიტერატურამ შეიძინა იგივე მწერალი, როგორცია ლესტონ ჰიუზი, რომლის პროზა („არც თუ უსიცილოთ“) ისევე უშუალო, სიხლით სავსე და ღირიულია, როგორც მისი პოეზია, რომანში გამოყვანილია ზანგთა ერთი ოჯახი. მანა ჯიმიზი მოხეტიალე მუშაა, რომელიც ქალაქიდან ქალაქში გადადის საშოვარის საძებნელად და იშვიათად თუ მიიწახლებს ოჯახს. დედა მზარეულია შედლებულ თეთრების ოჯახში და შალულად მიაქვს შეილისთვის ბატონების ნასუფრალი. შეილი სენდი რომანის ცენტრშია მოქცეული. იგი ადრე ეცნობა ამერიკაში გაბატონებულ რასიულ და კლასობრივ უთანასწორობას, სამზარეულოში ნასუფრალის მთლიანობის დროს მას ესმია სავსე უსიცილო მიმართავენ დედას. კინოში მან ადგილი უნდა დაუთმოს თეთრებს. ბაღში საუბიზო სვირობაზე შესვლა მას, როგორც ზანგის შეილს, აკრძალული აქვს, თუქა ბილეთი ნაყიდა. პირველი სამუშაო, რომელსაც შეილმოს სენდი, მეტად დამამკირებელია—მან უნდა სწმინდოს სასტუმროში სპილენძის საფერობებლები. ამერიკის რევოლუციონური პრესა თანაგრძობით შებუდა ჰიუზის რომანს, როგორც პირველ ნაწარმოებს ზანგ მუშებზე. „ეს რასიული რომანიაო, —სწერდა ამ წიგნის შესახებ ჟურნალი „ახალი მსახიბი“—მგერამ მისი შევი კანის ქვეშ სჩქვეს ცხელი პროლეტარული სისხლიო“. თუქა ჰიუზი სდგამს ნაბიჯს წინ მაკ—კვის „შინ, პარლემენტებ“—თან შედარებით, მგერამ მის რომანს მაინც არ შეიძლება ეწოდოს პროლეტარული ზანგური რომანის სახელი, რადგან მის მიერ ამერიკილი გარემო უმეტესად მიიწე ობიექტულური, წერილობტრეახიული და მუშაჩანურია. ნამდვილ ზანგ—პროლეტარს, ზანგ—მუშას, რომელიც ებრძვის კობიტალისმს, ჰიუზი არ გვიჩვენებს, რომანში არ იგრძნობა ის რევოლუციონური სული, რომელიც აქვს ახალ მსახიბს“ დაბეჭდვად ჰიუზის ლექსებს. მოზარდი სენდი ისწრადის განათლებიანკენ, უცხოეს მოზავალიაკენ, მგერამ მის გამოცემაზე და სათი წვაკ ის—ჩვენ არ ვიცით, რომანი მოვლოდინელად სწყედება, და შესაძლოა აეტორმა გააღრმავოს და გაავარსოვოს თავისი თემა და გვიჩვენოს ის, რაც არაა მოცემული მოზაოდ სენდის ღირიულად გადმოცემულ თავადანსავალში.

დრაიზერი 60 წლის შესრულების გამო

ახლი წარსულში 60 წლის შესრულდა ცნობილი ამერიკელი მწერალი თეოდორ დრაიზერი, რომელიც წარწან საჯაროდ გამოვიდა მუშათა რევოლუციონური მოძრაობის დასაცავად. ამ შემთხვევის გამო კულტურული ორგანიზაციების მუშათა ფედერაციამ დრაიზეს გაუგზავნა შემდეგი წინაარის დეკლარაცია: „კულტურული ორგანიზაციების მუშათა ფედერაცია ამ ფედერაციის მიერ გაერთიანებული 179 ორგანიზაციის 30 ათასი წევრის სახელით მფრავალედ გვსაძლებათ თქვენი 60 წლის შესრულების დღეს. ჩვენ გვსაძლებით თქვენ როგორც უდიდეს მწერალს და როგორც დანიგრული მასის და საბჭოთა კავშირის მედგარ მეგობარს. გისურვებთ თქვენ შემოქმედების მრავალ წლებს მუშათა კლასთან კიდევ უფრო მტკიცე კავშირში.“ დრაიზერი დაიბადა 1871 წელს 27 აგვისტოს ტერ სოუტში (ინდიანის შტატი), წერილ ბურჟუაზიულ ოჯახში, რომელიც გაკოტრდა და პროლეტარიატის რიგებში მოექცა. დრაიზერი პატრონიბიდანე იძულებულ იყო თავი თვითონვე ერჩინა და გამოიყვალა მრავალი პროფესია.

დრაიხერის კალამს აკეთენის: „და კარია“ (Sister Carrie) „ჯენი გერჰარტი“ (Sennie Gerhardt), „ფინანსისტი“, „ტიტანი“, „განიოსი“ „თორმეტი ადამიანი“ (Twelt men), „წიგნი ჩემს შესახებ“ (A book about myself) და „განთიადი“. დრაიხერი თოვლებში მწიგნობარის მსახურის ერთ-ერთ უდიდეს მწერლად.

1927 წელს დრაიხერმა იწაშლა საბჭოთა კავშირი და დაბრუნების შემდეგ დასწერა წიგნი: „დრაიხერა უახერხურესი“.

დრაიხერი თავმჯდომარეობს სკოტსბოროს ტუსალითა დამცველ კომიტეტს. 1931 წელს ის იყო საპარტიო პოლიტიკურ ტუსალითა დამცველი კომიტეტის თავმჯდომარე. ის დახმარებას უწევდა აგრეთვე კომპარტის ნოემბრის არჩევნების დროს. რამოდენიმე თვის წინათ დრაიხერი მეთაურობდა დასავლეთ პენსილვანიის გაფიცულ მშენებარეთა მდგომარეობის შესასწავლად გამოყოფილ მწერლებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებსაგან შემდგარ კომისიას. მან დასწერა სტატია, რომელშიც დაასტრიათა „სამთა-მადნო მუშების გაერთიანებული კავშირის“ მოღვაწეობის რთული. დრაიხერის სტატიაში მშენებ კომისიის გააფთხებული თავდასტვა აქტივობის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის ფილამ გრინის და აგრეთვე „სოციალისტის“ ცნობილი ტაი-მასხარის ჰეივუდ ბრუნის და სხვების მხრით.

დრაიხერის 60 წლის შესრულების აღსანიშნავად ამერიკის გახეთმა „დეალი უორკერმა“ მოათარსა ანტიგაბრდა პრინციპული პოეტის და კრიტიკოსის, რეჟისორის ამერიკული სექციის წევრის და კულტურული ორგანიზაციების ფედერაციის გენერალური მდივნის, ანს. ა. ბ. მაკელის სტატია. მოგვყავს ეს სტატია მცირე შენიშვნებით.

ახალი და ძველი დრაიხერი.

I

გენიმარტად, უმერხულია კიდევ მაგრამ როგორ გსურთ მოიკენ ბრტყეზიული საზოგადოების ნაფიცი ქერუნნი, როდესაც ბრტყეზიული ცის ერს ერთ-ერთმა უდიდესმა ვარსკვლავმა უდკრად გადაუხვია თავის წინასწარ განკუთვნილ გზას და სადღაც სხვა მზარეს წაიდაწი ისინი იტყვიან ის, როგორც იტყვიან ყოველთვის სხვა ექსპლოატატორები და მათი ლაქებთ: ისინი გაჟეკრიან ყველგან, რომ ეს „ეარსკვლავი“ არც ისე დიდია, მეორე ხარისხიანი მნათობანა, რომ იგი ამაოდ ცდილობს მიიპყროს უტრადღება, რომ მისი ცდები უნადრუკი და სასაცალაოა, და სხვა და სხვა. სხვანიარად რომ ვთქვათ, ისინი იმასვე სიადან, რასაც სიადან დაღეს ბრტყეზიული ლიტერატურული სამყაროს ქერუნნი დრაიხერის მიმართ. ლიტერატურული მეთხვევნი „სოციალისტის“ ტაი-მასხარას, თერთი შოვინისტის და ოტელ „ალოკაციის“ ს პოეტის მოთამაშეთა ბელადის, ჰეივუდ ბრუნის მეთაურობით მოული ძალღონით სედილობენ განდევნონ „ძველი მოხვევება“—ახალი თეოდორ დრაიხერი, ის დრაიხერი, რომელაც ჰკიკიხეს ლინის წეით გასამართლების მომზრების და ამითარბებს ქვანახროს მალარობის მეტატრონეთ და „გამტყვლების ამერიკულ ფედერაციას“.—ზოლო ამის მიღწევას ისინი სულ მარტივი საშუალებით ცდილობენ: ისინი გატყვირიან ყველგან, რომ დრაიხერი, როგორც ამერიკის უდიდესი მწერალი, არ არსებობს და არც არასოდეს არსებობდაო.

დრაიხერის წინააღმდეგ მიმართულ თავის უყანასწულ სტატიაში ბრუნნი სწერდა: „თეოდორ დრაიხერი შესანიშნავი რომანსტიკა მეორე რანგის“ (ნიუიორკი, „უორდ ტელეგრაფი“, 1931 წ. აგვისტო). იგი დიდს მოწოდებდა ათავსებს დრაიხერს მეორე რანგში. ძალიან საწუხაროა, რომ დრაიხერი არ დაკმაყოფილდა იმ ადგილით, რომელიც მას ბრუნმა მიუჩინა და გამოეყიდა „რეკლამას და პოპულარობას“. და ამას აბობენ იმ ადამიანზე, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი უმადურო შრომაში გაატარა, რომელიც განიცდიდა გაჭირვებას, ხელისუფლების დევნას და გაუბოძა მხატვრულ რეკლამას, იმ დრაიხერის შესახებ, ვისაც თითქმის ავადმყოფურად ეზიზღებოდა ყოველგვარი საჯარო გამოხატული კემმარტიად, ეს კი ჰეივუდ ბრუნისთვისაც მეტის-მეტო თავებლობაა რომელიც ეტებს იაფსიანი გახეთურ სახელს.

რა თქმა უნდა მოსალოდნელი იყო, რომ დრაიხერს თავს დაესხმოდა ბილმ გრინი—ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე. გრინი, როგორც ყოველთვის, აქაც თავის კლასობრივ ინტერესებს (ე. ი. ბრტყეზის ინტერესებს) იცავს და ასრულებს შტრეიკბრუნერის და

მუშათა კლასის გამეცნის როლს. მაგრამ რა გვეთქმის იმ დიდხლოვან, სულთნულად შე-
ნტლმუნებზე ლიტერატურის სფეროდან, ვინც ასე თავგამოდებით იბრძვიან იმისთვის, რომ პოლი-
ტიკა არ შეიგრძას ხელოვნების სამუაროში? მათ თვალში დრაიხერმა დაუშვებელი პერიუტომიქმე-
დობა ჩაიღწია: მისი ხნის ადამიანი ცოტა უფრო „განაიერულად“ უნდა ექვემდებარებინა მკე-
დვის იერიშის მიტანას კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლებზე და უნდა განაგრძობდეს მკვლე-
ლობა საზიზო და უკანონო გლეშინტებთან, „წითლებთან“, კომუნისტებთან. მან გააძვირა ხმის
ამაღლებლობა მუშათა კლასის დასაცავად კაპიტალისტების კლასის
წინააღმდეგ. და ერთ წამში მოხდა სასწაულებრივი გარდაქმნა: დრაიხერის წიგნებმა უე-
ცრად დაპარტეს ყოველგვარი ფასი, — მან ხომ არასოდეს არ იცოდა წერა, ის მხოლოდ საშველო
ფაღბის მწერალია და სხ. და სხ. სალიტერატურო საზღაროს თანავარი ფრინველები, ვერ კი-
დეფე გუნინ კებათა — კებას რომ უსტყნიდენ დრაიხერს, დღეს ჰკორტნიან მას.

II

თვითღირ დრაიხერი დაიბადა 1871 წ. 27 აგვისტოს ტურ ხოტში (ინდიანის შტატი)
სწორედ იმ შუა დისაღლებში, რომელიც ამერიკის კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მის,
თვალწინ გადაიქცა ქვეყნის ბედლად და ისევე დროს ქვეყნის ინდუსტრიალურ ცენტრად. ეს
იყო ამერიკის კაპიტალიზმის ოჭრის ხანა, რომელიც თავის ძალუფლებას დასაფუძვლის მიზარ-
თულებით ავრცელებდა, და ყველგან მის გზაზე იხრდებოდა ახალი კალაქები, ფაბრიკები, რკინის
გზები, და მალაროები, ნავთის კაბურღილები. უზარმაზარ ხელშეუხებელ ტერიტორიაზე წარმოიშვა
მწვითარეც ცხოვრება, ეს იყო მორგანის, როჯერსის, ჰარისონის, მელდისი, ვარნერის უზარ-
მაზარ სიმდიდრეთა შექმნის ხანა, ის ხანა, როდესაც კაპიტალისტური კონკურენცია ადგილს უთ-
მობდა მონაპოვლის დაუნდობელ ღუთებას, რომლის სათავეში ფინანსიური კაპიტალიზმი
იგდა, — ეს იყო მე XX საუკუნის თავმჯდომეებელი კაპიტალისტური გესპანისის პრელუდია.

და ამის გვერდით იხრდებოდა მუშათა მოძრაობა. დაუნდობელი გესპანიატაციით შევი-
წროვებული მუშები, რომლებმაც თავისი წრომი შექმნეს მთელი მისი სიმდიდრე ძლიერება,
თავგამებებულ წინააღმდეგობამდე მივიწყენ. დიდი გათოცვა რკინის გზაზე 1877 წელს, მოლა
მეგურსი, ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღისათვის, რომელიც ჰეირმარკეტის პროცესად იქცა
გომბტდის და პულმანის გაფიცებები რომისოცდაათთან წლებში, — ყველა ეს ოჭრის ხანის მეორე
შხარეა. კაპიტალიზმის განვითარების გზა სისხლიანი გზა იყო.

დრაიხერმა ახლგაზრდობა სილარიბეში და გაკირვებაში გაატარა. მისი ემოციონალური
და გონებრივი ცხოვრება მისი კათოლიკე მამის რელიგიური ფანატრზმით იყო დამახივებული.
ის ვერ ხედავდა მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლას და არსებობისათვის ცხოვრება დაუნდო-
ბელ ინფიდედალურ ბრძოლად ეჩვენებოდა. შეიღს საყოფარი სიტყვით, რომ ვთქვათ „ის მო-
ედო ცხოვრებაში გამარჯვების მხარე სურვილი“ და გავრცელებული ილუზიების მსხვერპლი
შეიქნა, რომლებსაც ასე გულმოდგინედ ავრცელებდა მხარეთელი კლასი. იგი აღტაცებაში მოჰყ-
ვდა ახალი ინდუსტრიალური ხანის ძლიერებას და ბრწყინვალეებას; ეს ხანა ხიზლავდა მატერი-
ალური კეთილდღეობის მოპოვების იმედებით ადამიანს. რომელიც გაკირვებაში გაიზარდა.

მაგრამ დრაიხერმა კარიერისტი არ გამხდარა. კუნძუ, ჩაკვირებული, მწვავედ მგრობობე-
ლი, იგი ხალე მოხედა ფულის მოწინასთვის ბრძოლის ამბოვებს და იმის მაცნერ, რომ ცნობილი
ფერნანდისტი გამბატარიუო-ხილო მას შეეძლო, ეს — იგი შეიპოვებდას მიუბრუნდა. დრაიხერი
ინსტიტუტრად ჰგრობდა, რომ კაპიტალიზმს ბრწყინვალეების და ძლიერების ზურგს უკან ადა-
მიანის ტანჯვის, გაკირვების და სასოწარკვეთილების უზარმაზარი პლასტი ძვეს. იგი ვერ ხე-
დავდა რევოლუციონერ მუშებს და კლასობრივ ბრძოლას; მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ხედავდა
მრავალ ინდივიდუუმებს, რომლებიც პროლეტარიატს და საშველო კლასებს გეუონთოდენ, რომ-
ლებსაც ავით-იქით ახუტებდა ინდუსტრიალური ცხოვრების მიმოქცევა. ეს ადამიანები ჯანყდ-
ბოდენ და დამარცხებული, ძირს ედემოდენ ზურცუახილ საზოგადოების ცდუნებით მოხიბლულნი
ის ხედავდა აგრეთვე, თუ რა სასტიკნი და განურჩევლნი არიან ხელისუფალი საბრძოლელი სა-
შველებათა გამოყენებაში.

მისი პირადი გამოცდილება და XIX საუკუნის ბურჟუაზიული მატერიალიზმების (დარ-
კინის, გესლის, ტინდალის და სენსერის) გაცნობა თითქო ადასტურებდა მის შეხედულებას

ცხოვრებაზე, არსებობისათვის დაუნდობელ-ბრმა ბრძოლაზე, სადაც ძლიერნი ამარცხებენ სუსტებს. მა რამ დრამისთვის მატერიალიზმი ყოველთვის წინააღმდეგობით იყო სასეს და ძლიერი იყო შეფერადი მისტიციზმით. მას ნიაღვრისტური დამოკიდებულება ჰქონდა ცხოვრებისადმი. ამა-
ვე დროს მწვევე ინტერესს განიცდიდა ცალკე ინდივიდუუმების მიმართ, ეს ამტკიცებდა, რომ ძლიერი ყოველთვის შეერაცხეთეს სესტს და აღტაცებული იყო ძლიერის ძალღლით. მაგრამ
ნიუნიდავად ამისა მთელ მის შემოქმედებაში ეგრძობათ შეუწყნებელ პროტესტ კაპიტალიზმის-
ბარბაროსული სისასტიკის წინააღმდეგ. აქ ბევრ მოწმენი ერთ ტიპითი ინტელიგენტური გა-
ურკვევლობისა.

1900 წელს დაიბეჭდა რეალიზმის პირველი რომანი „და კარი“ (Sister Carrie), ამ რომანით-
აღინიშნა ახალი მანის დასაწყისი ამერიკის ლიტერატურაში, —ახალი რეალიზმის წარმოშობა,
რომელშიც საბოლოოდ გასწივტა კავშირი საშუალო კლასის მშვიდი, დარბაისლური ცხოვრების
დასერათების ტრადიციასთან, რომელიც, მაგალითად, უილიამ დიკონველსის რომანებშია მოცემუ-
ლი. „კარი“ შეტისმეტად ძლიერი, მეტისმეტად რეალისტური ნაწარმოები იყო, კრიტიკოსები სანი-
მუნო ეკნემლიაობის განიხილვას შემდეგ თავს დაესხნენ ამ წიგნს როგორც წინაბრევა მდარე,
ნაწარმოებს გამომცემლებმა უარი განაცხადეს წიგნის გაივრებაზე. მთელი უბედურება ის იყო, რომ
დრამისებრი თხრობითი წილით გასწირო თანადროულობას.

შეიძლოდ თერთმეტი წლის შემდეგ გაბედა დრამისებრი კვლევი ერთი რომანის დაბეჭდა-
მაგრამ ზნეობისათვის უკარონიული ომის მონაწილენი, ბერეზუხიული მორალის და ყველვის
უყოველი, დასტულოვანი დამცველები ხელახლად დაესხნენ მას თავს, და 1915 წელშიაც მათ
თავისი გაიტანეს: რომანი „გენიოსი“ აგრძალეს. ამ დროისთვის დრამისებრი, როგორც მწერა-
ლმა უკვე გაითქვა სახელი, მაგრამ მას დარჩენიდა ოფიციალური ცნობის მოპოვება. მისი კრიტი-
კოსები ორ სახედ იყოფოდნენ: ერთი იმ ადამიანთა რიგს ეკუთვნოდნენ, რომელნიც სიამოვნებით
ჰყნისადაცენ უწინაწერობას—მათი სიტყვით უკარხერი გარყვნილი კაცი იყო, რომელიც ღირსია-
კოცონზე დაწვის; მეორეთა კი—ესთეტიკები, ცხერის გვერდზე იბრუნებდნენ მისა „უბნაში“ სტი-
ლის გამო—ეს ხალხი ბევრს უარ ამბნეუდა ტყეს. ერთი სიტყვით—განმეორდა ის რასაც ერთ-
დროს ალგლი ჰქონდა უიტანის მიმართ.

დრამისებრი, რომელიც მასიდან გამოვიდა, მიუხედავად მრავალი შეცდომისა, თავისი ფსი-
ქოლოგიით ყოველთვის ახლო იდგა მასასთან. აი რატომ არას, რომ „ოკუაათწილიანი“ „და კე-
რი“ ბერად უფრო თანამედროვე და აქტუალური ნაწარმოებია, ვიდრე რომელიმე სენსაციური
რომანი, რომელიც გასულ წელს გამოვიდა, ხალხ ანის დამტკაცება ძნელი არ არის; სცადეთ
იშოვთ ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის რომელიმე განყოფილებაში დრამისების წიგნი-
თქვენ დაიდ დროს დაქარგეთ (რაც ამ სტრიქონების ავტორსაც დაემართა) და მაინც ვერა-
ფერს გახდებით: დრამისების წიგნები ყოველთვის დაჯაცებულია ხოლმე.

ახლა დრამისებრი უფრო სურს წაიდა— მან დღეს ვადასდა ის ნაბიჯი, რმელიც არ გა-
დაუდგამს 1927 წელს საბჭოთა კავშირის ნაბიჯს შემდეგ. შეიძლოდ იბიტო რომ საბჭოთა კა-
ვშირში მან დაინახა ყველაფერი, მთავარი მამორავებელი ძალის ვარდა: კაპიტალიზმის მოსპობა-
და პროლეტარიატის დიქტატორის დამყარება.

მაგრამ ეკონომიურმა კრიზისმა ბრმებსაც კი აუხილა თვალი, ხოლო დრამისების და რო-
მენ როლანის მსგავსი ადამიანები არასოდეს არ ყოვილან თვალაბვეულში. ისინი ყოველთვის
წინ მიდნან, ზოჯერ ფეს წამოპარავენ გვიმან კიდევ უწინედებათ მათ წლოვანობაში წარაუ-
ღობას კავშირის გაწყვეტა, იმის აღიარება, რომ ყველაფერი, რაც მათ სწამათ, სიკრფე იყო.
მაგრამ ისინი ესე ფეხზე დგებიან კაპიტალიზმის გავტორების და საბჭოთა კავშირის განსვლილი
სოციალისტური აღმშენებლობის სურათით აღფრთოვანებულში და ხელის ცვეებით ებებენ თა-
ვის გამოსავალ გზას კაპიტალიზმის ჩახიდან გზას ნოელი მათდლოს მშრომელთა მასების-
განთავისუფლებისათვის რევოლუციონური ბოძოლისაკენ.

ეს ეუდი ნიშანი კაპიტალიზმისათვის, რადესაც საეუთესო ადამიანები, მისი ყველაზე
უფრო ყუთილიზობილი და დრმა მთაბროწმენი სტრეებენ მას. ისინი სტრეებენ წაგებული ბოძოლის-
ვილს.

ძნელი საბჭოელია რა გზით წავა დრახერის შემდეგ განვითარება. ახლა წარსულში გამოხუთ „ცოცხალი ფილოსოფიის“ კრებულში მოთარგმნული მისი სტატია გვიჩვენებს, რომ ის უფრო კიდევ ძველი აბსტრაქციონის ტყვეობაშია.

წინააღმდეგობა მის ნიადაგშია, მისტიური ფატალიზმის ფილოსოფიასა და მისი ახალი წარსულში მუშათა კლასის დასაცავად მოღვაწეობის შორის ინდენად დიდია, რომ ახელია იმის წარმოადგენა, თითქოს დრახერი არ გრძნობდეს მას. ამ წინააღმდეგობას შექმნილია ის სწორი გზის აკედინოს; და მისი ფაქტუა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ დრახერი უფლებებს მთელ რაიის ფსევდო-მეცნიერულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და შესცვლის მას ერთადერთი ფილოსოფიის, რომელიც მარტო მხოლოდ საკითხებს-კი არ არკვევს, არამედ იმასაც გვასწავლის, თუ როგორ შეიძლება გადაკეთდეს და უნდა კიდევ გარდაიქმნას იგი, ე. ი. დიალექტიკური მატერიალიზმით, იმ მატერიალიზმით, რომელიც დამუშავებს მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა.

ამერიკის რევოლუციონერი მეშები ესაღმებთან ახალ თეოდორ დრახერს, ისინი იმედოვნებენ, რომ ის შემდეგვედ განაგრძობს იმ გზას, რომელსაც ახლა დაადგა, ისინი ხედავენ მასში თავის მეგობარს და მედგარ მომარჩლეს. მან დაქარგა რამოდენიმე ბერეუბელი ფაროსული, საზაგეროდ ათასობით მოსამუშაო მეკობრები, რომელნიც წარსულის უდიდესი მიღწევების შემკვიდრები არიან და მოამყელის გულტურის მშენებლები. მისი 60 წლის შესრულების დღეს ჩვენ ესაღმებთ თეოდორ დრახერის ახალგაზრდულ ენერჯიას და მგრძნობარულს, რომლის ნეონებით ის დღეს ბერად უფრო ძლიერ განაიკის ცხოვრებას, ვიდრე განიცდიდა მას ამ 30 წლის წინათ. როლანის და დრახერის მსგავსი ადამიანები თავის კვლს სტოვეტენ ისტორიაში ისინი უფრო მეტია ვიდრე უდიდესი მწერლები; ისინი ადამან ახალ კვებისათვის მებრძოლთა რიგებში.

ა. ბ. ლაგელი: ჟურნ. „მსოფ. რევ. ლიტ.“ № 8-9 1931 წ.

— რაბინდრანატ თაგორის ახალი წიგნი.

ნიუ-იორკში გამოვიდა რაბინდრანატ თაგორის წიგნი „The Religion of Man“. თაგორის ამ წიგნში გადმოცემული აქვს თავისი რელიგიური შეხედულებები. ძირითად დებულებას წარმოადგენს „იდეები ღმერთის ადამიანურობისა და მარადი ადამიანის ღვთაებრივობისა“. თაგორის ფილოსოფიის მსტიციზმი გადამის ინდუიზმის ბერეუბიას, კერეტაში და ბრძოლის უარყოფაში. ამ აზრით წიგნი, მიუხედავად ენის სიღამაზისა და საინტერესო ფსახოლოგიური შენიშვნებისა, არქირეაქციონერ ნაწარმოებს წარმოადგენს.

— გორკის წერილების კრებული ფრანგულად.

საფრანგეთში გამოვიდა მაქსიმ გორკის წერილების კრებული სათურით, ისინი და ჩვენ. კრებული შეიცავს სხვადასხვა სტატიებს და აგრეთვე ავტორისადმი მიმართულ უამრავ წერილებზე გაცემულ პასუხებს. კრებულს წარმდგარებული აქვს რომენ როლანის წინასიტყვაობა; როლანის ცდილობს დაუმტკიცოს დასავლეთის ბერეუბიას, რომ შექმლებულია განვაცალკევით გორკ-მწერალი, ეგრეთის მიერ აღიარებული „მეტრო“—მეორე გორკისაგან, რომელსაც „ესტეტკოსები მორცევადა აფარებენ კალთას“, იმ გორკისაგან „რომელიც რევოლუციის ბანაკში გადავიდა და დასავლეთის ინტელიგენციას ბარკადების მეორე მხრიდან მიმართავს. ეს წინასიტყვაობა არკვევს აგრეთვე თვით რომენ როლანის დღევანდელ პოზიციებს. „მეუ გადაუბოძე ამ ბარკადებსო“—სწერს იგი. გორკისთან ერთად როლანი უარყოფს „ბერეუბიის ძველ კრებს—ლიბერალიზმსა და ინდუიზმისა“

— გონკურების პრემია გახულ წელს.

საფრანგეთში გახული წლის გონკურების სახელობის პრემია წილად ხედა ვინმე ჟან ფიბარს, რომელმაც დასწერა რომანი „სიყვარულის სენი“. ეს რომანი წარმოადგენს „მატა-

— კაზიმირ ედშმიტის წიგნი სამხრეთ ამერიკაზე.



გერმანული ექსპრესიონიზმის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი კაზიმირ ედშმიტი წარმოდგენილი უკვე რამოდენიმე წელია მხატვრულ რეპორტაჟზე გადავიდა, საბჭოთა მხარის მხარისადაც ენობილია სრულიად არა ექსპრესიონისტულ ხასიათის წიგნით: „ხარები—ბასები—არაბები“. ეს არის სრულიად ახალი ენის ნაწარმოები ედშმიტის შემოქმედებაში, თუმცა ავტორი აქაც ისეთივე წარმომადგენელი ინდივიდუალისტად ჩნდება, როგორც წინადა იყო. გასულ წელს ედშმიტმა გამოაქვეყნა ახალი წიგნი სამხრეთ—ამერიკის შესახებ, ეს წიგნი წარმოადგენს „მსუბუქე სათითაჟ“ ნაწარმოების საუკეთესო ნიმუშს. თვითველ საშუალო გერმანულ ბურჟუაზიკის საშუალებას აძლევს ვალიუტის დაუხარჯავად მიმოიხილოს მთელი რიგი ქვეყნებისა, მიიღოს „საინტერესო“ გაკეთილი სამხრეთ ამერიკის ისტორიიდან და სხვ. წიგნი ავტორად სწინს ვეროიხელის ქედმალღერი დამოკიდებულება ამერიკული კონტინენტის სამხრეთ სახელმწიფოებისადმი.

— რომენ როლანი—საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.

— საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სესიამ, რომელიც მიმდინარე წლის მარტში ჩატარდა, აკადემიის საპატიო წევრად ერთმანაღ აირჩია საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი რომენ როლანი.

არქვის წინ ანბ. ლენინსკიმ მოკლედ დააბასათა რომენ როლანი. „თავისი მსოფლიო სახელი და მოწინავე ადამიანთა ნილიონების მზერაველ სიმპატია რომენ როლანმა მოიპოვა არა თავისი სამეცნიერო მუშაობით, არამედ როგორც მწერალმა ბელეტრისტმა და უდიდესმა მოქალაქემ.

მთავარ საბუნთს მისი საპატიო აკადემიოსად არჩევისა წარმოადგენს ეხადია მისი სამეცნიერო შრომები, მაგრამ აკადემია გეროდს ვერ ავლდის მის მხატვრულ ლიტერატურულ დამსახურებას და მოქალაქობრივ ღვაწლსაც მისი რომანები არა მარტო უდიდესი ნიჭით არიან დაწერილი (განაკეთობით „ენ კრისტოფი“), არამედ წარმოადგენენ თავისებური ეპიური კულტურის წყაროს, რომლითაც საზრდოობა გეროპისა და ამერიკის ინტელიგენციის სასულიერო ნაწილი, მისმა მთრეველ პოეტესტმა ომის წინააღმდეგ, კაცობრიობისა და ადამიანობის ერთგულებამ განადა იგი ჰუმანიზრობისა და ინტერნაციონალიზმის ერთერთ ბელადათ.

თუ წინადა რომენ როლანს არ ესმოდა, —რა ანახევენდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ომებს „ველა ჩაგრულთა ერთად ერთი უწინდესი ომისაკან ყველა მხარეველთა წინააღმდეგ“ (მარტის სიტყვებია), —უკანასკნელ ხანებში როლანმა საკვირველის გამჭედობით განაცხადა, რომ საბოლოოდ იზარებს ლენინის თვალსაზრისს და მხად ირის დაიქვას „ძაღვადობა“, მიმართული კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ ველადვერს ამას თავი რომ გავანებოთ, როლანი მეტად სერიოზულ მსწავლელს წარმოადგენს. მგონი აკადემია მას ეოდევად არ ჩაუთვდის იმ გარემოებას, რომ როლანის მეცნიერული ნაშრომები აღსავსენი არიან გრძობით და მოხუცილობით, რომ მხატვრული დამეშვეებით ისინი არ ჩამოღვარდებიან ამავე ავტორის უკეთეს რომანებს.

რომენ როლანი უკო კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, რომ დასწერა საფრეულიანი შრომა XVI, XVII და XVIII საუკ. დასაწყისი ოპერის ისტორიის შესახებ. მის ნაშრომებს მუსიკაზე გუთნის ნამუშევარი ბეთხოვენის შესახებ; ვგრეთ წოდებულნი მკოვრ ბიოგრაფია გენიოსის მუსიკისა, დიდი ბიოგრაფია და საუკეთესო წიგნი „ბეთხოვენი და გოეტე“.

გარდა ამისა როლანის კალამს გუთუნის შესანიშნავი სიღრმითა და ოსტატებით დაწერილი ბიოგრაფიები ტალსტოის, მოქლენჯელისი და სხვა. უნდა გვახსოვედეს, რომ რომენ როლანი წარმოადგენს უდიდეს მეგობარს კაცობრიობის იმ აქანგარდესა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ახალ ცხოვრებას აშენებს“.

როლანის ამ დაბასათებას ხელი მოაწერეს აკადემიკოსებმა: ლენინსკიმ, ველგინმა, მირამა, დებორინმა, გუბკინმა და ბენარინმა.

— ლენინის ძველი ლენინგრადის ნავთხადგურში.

გამოცხადდა სერთაშორისო კონკრეტის ლენინის ძველი პროექტის შედგენილი ძველი უნდა დაიდგას ლენინგრადის ნავთხადგურში. მისი საერთო ღირებულება ეტყობა 19 მილიონ მანეთს. საფუძვლად პროექტისათვის პირველი პრებიად დანიშნულია 10 ათასი მანეთი.

— მამლეტი ვახტანგოვის თეატრში

ვეფხვი ვახტანგოვის სახელობის თეატრი 19 მაისს პირველად სდგამს „დანიის პრინციის“, მამლეტის ტრადიციულ ისტორიას (დადგმა ნ. აკიმოვის, პ/გ. რეჟისორი ბ. ზაზაია, მუსიკა-შოსტაკოვიჩის, მამლეტი—ა. გორიუნოვი, ოფელია-ე. ვაგარინა).

ამ უდიდესი ნაწარმოების სცენიურ ინტერპრეტაციას საფუძვლად ედება მისწრაფება-გაწმენდილი იქნეს პიესა მე-XVIII ს. და უმთავრესად მე-XIX ს. დანართისაგან. შექსპირის ტექსტისა და აგრეთვე კრიტიკული ლიტერატურის თანამედროვე ანალიზი ცხადათ გვიჩვენებს, თუ როგორი დამაბინჯებელი სახით მოაბრუნა ჩვენამდე ამ პიესამ. ამ ტრადიციის „გარღმავებელმა“ ანალიზმა, რომელსაც დასაწყისი გვიტანს მისცა. შექსპირი დაუკვირდებარა ბურჟუაზიული იდეოლოგიის მოთხოვნებს. შექსპირის „შესწორებები“ გამოხატებოდა მის თავისუფალ თარგმანში, რაც ხშირად გულაბილ ლიტერატურულ გადაქმნაზედ აღწევდა, შენდევ სცენიურ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც პიესიდან ამოღებული იქნა თითქმის ნახევარი ტექსტისა. დაბოლოს ეს „შესწორება“ გამოხატა შექსპირის აზრების კრიტიკულ განმარტებებში, რომელთა წყალობითაც შექსპირი ხან მართლმორწმუნე ფრედიისტი ხდებოდა, ხან ანტირომისოფი, ხან რელიგიადენტი მამათავარი. თითოეული დამაბინჯება სადღებოდა, როგორც ერთადერთი სწორი და ობიექტური განმარტება ტექსტისა, სადაღებულთა ყველა დროისათვის. გოტეც ამ შემთხვევაში პირველი მაგალითის მიძევი იყო. მან გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა „მამლეტიდან“ ამოღებული იქნეს მთელი მოქმედება, მთელი ინტრიგა და საფუძვლად დარჩეს მხოლოდ გმირების „სულიერი ვამედები“.

ამის მიხედვით მე-XIX საუკუნემ დამსჯულ მსპედიციად გადითარეა შექსპირის ტექსტზე. „მამლეტი“ ღრმად იქნა დამარხული, მას თავზე ღოდათ დააწვა უთვალავი ანალიზი, ტრაქტატი და გამოკვლევა „მარადიულ იქმეულობისა“. ნერვოზისა და გაუხედაობის შესაბებ, მთელი იმპრეფორმები „მამლეტიზმის პრობლემა“

დღესაც საბჭოთა მკითხველი და მსმერებელი და თვით კრიტიკა „მამლეტს“ ფიქტის მე XIX ს. თვალბით. მამლეტის ყველა არსებელი რუსული თარგმანი გუთუნის მე-XIX ს. დამლეტს, არც ერთში არ არის დაძლეული სცენიური ტრადიციის გაკვლევა.

ვახტანგოვის თეატრის მუშაობის საფუძვლად უდევს პირველი საბჭოთა თარგმანი „მამლეტისა, რომელიც გუთუნის საუკეთესო რუს მთარგმნელს მ. ლოზინსკის. ეს თარგმანი გამოირჩედა როგორც თავისი მხატვრული ღირსებით, ისე შექსპირის ტექსტის (1874 წლის გამოცემის) შესტი გამომოღებით, რაც ვერ არ ახსოვს „მამლეტს“ რუსულ თარგმანების ისტორიას.

ვახტანგოვის თეატრი (დამდგმელი ნ. აკიმოვი) უარყრს ყველა იდეალისტურ სახელმძღვანელოებს შესპირილოგიიდან. თეატრს „მამლეტი“ განიღვლი აქვს მე XVI ს. კუმანისტების ფილოსოფიასთან დაკავშირებით. საინტერესო მსგავსებები, რომელიც შექსპირის დროინდელ ინგლისში სახელგანთქმულ ერასმ როტერდამელის თხზულებებსა და „მამლეტის ტექსტში იქნა აღმოჩენილი, თეატრს საშუალებას აძლევს ისარგებლოს ერასმის კამიტალფერი ნაშრომით „კოლექციებით“, როგორც უფროდასუსთ ენობრივით მუშაობის დროს.

მე-XIX ს. კრიტიკა ბოტბას ახსნა „მამლეტს“, მისი ფილოსოფიური და პოეტური ღირსებებისათვის, იგი ნაკლებად აფასებდა შექსპირის, როგორც დრამატურგის მიღწევებს ამ ტრადიციის. ვახტანგოვის თეატრის დადგმაში წინა პლანზეა წამოწეული პიესის დრამატურგიული მხარე. თეატრი ცდილობს ტრადიციის შემოქმედებით ინტერპრეტაციის დროს ფორადლების ცენტრში დაყენოს შექსპირის ეპოქის კონკრეტული გარემო.

ბეჭდვითი სიტყვის სახლი ტფილისში



საქართველოში პოლიგრაფიული ბაზა საგრძნობლად ჩამორჩა ბეჭდვითი სიტყვის გაზრდილ მოთხოვნილებებს. არსებული სტამბები, როგორც ტექნიკური მოწყობის, ისე კადრებით, ვეღარ უთავდებიან მათხე დაკისრებულ მოვალეობებს, რაც შეუძლებელს ხდის ყურნალგახეობისა და წიგნების თავის დროზე და პოლიგრაფიული ტბნიკის მხრივ უნაკლოთ გამოცემას.

გარდა ამისა, პოლიგრაფიულ საშუალებათა დაქაჰაქელობა კიდევ უფრო აფერხებს პერიოდულ გამოცემათა წორმალურ მუშაობას.

ამ ნაკლოვანებათა აღსაქვეთად და საქართველოს ცენტრალურ განუთებისა და გერნალების სარედაქციო-საგამომცემლო საქმის რაციონალიზაციის მიზნით, საქ. კ. ბ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის 30 აპრილს დაადგინა ტფილისში აგებულ იქნას ბეჭდვითი სიტყვის სახლი. ამ სახლში მოთაქსდება ცენტრალურ პერიოდულ გამოცემათა სარედაქციო-საგამომცემლო აპარატები, ამ გამოცემათა პოლიგრაფიული ბაზა, ექსპედიცია, საწყობები და ს.ა.

ბეჭდვითი სიტყვის სახლის სადამუშენებლო კომიტეტი არჩეული იქნა შემდეგი შემადგენლობით: ა.ბ. გ. ყურულაშვილი, ფ. შაჰარაძე, ნიკ. კიქნაძე, (კომუნისტ"-ს რედაქტორი), ვ. გრიგოლიანი, გ. სტურუა, ბ. შანიძე, კ. გორდელაძე, ნ. სოკოლავსკი, ს. ავაღავა.

ბეჭდვითი სიტყვის სახლის საძირკველი ჩაყრება წესლევ.

ა.კ. სამხარჯო-კომიტეტის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რათა ბეჭდვითი სიტყვის სახლის ასაგებად საჭირო თანხები ჯალბებული იქნეს ბეჭდვითი სიტყვის 1933 წლის ფონდიდან. ამავე მიზნით გახ. კომუნისტ"-ს რედაქციამ გადასდო 300.000 მან.

სააღმუშებლო კომიტეტს დაეველა თბ. საბჭოსთან ერთად გამოჩაბოს შესაფერი მიწის ნაკვეთი სახლის ასაგებათ.

სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე

მიმდინარე წელს სახალხო მოქანდაკე იაკობ ივანეს-ძე ნიკოლაძეს უსრულდება სამხატვრო-მოდელწიობის მწ წელი.

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება განსაკუთრებით გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში. შექმნა მხატვრული ძეგლები: „კანო“, „ღვინია“, „კაკაი“. „საშა წულავის დე სხვა, რომლებითაც დღეს მოდერნილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქები მოუხედავად წლებით დატვირთვისა იაკობ ნიკოლაძე, დღეიდან ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს.

იაკობ ნიკოლაძემ დაამთავრა პროფ. პეტრე მელიქაშვილის ბიუსტი. იგი იწყითი ოსტატობითა გამოცეითლი.

ნიკოლაძის ნამუშევართა შორის პრო. პეტრე მელიქაშვილის ქანდაკება უსაყოფდ შედევრად უნდა ჩაითვალოს.

ამჟამად იაკობ ნიკოლაძე საქართველოს პედინსტიტუტთან არსებულ ქანდაკების ფაკულტეტის კათედრის გამგეა და პროფესორი. პროფეტარულ მხატვართა ასოციაციამ შუამდგომლობა აღიძრა განათლების ცოინსპირატის წინაშე, რათა იაკობ ნიკოლაძეს პერსონალური პენსია დაეინიშნოს. ამავე ასოციაციის ინიციატივით ასლი მომავალში თბილისში მოეწყობა სახეიშო სალაშო მისი მწ წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— „ქარხნების ისტორია“

„ქარხნების ისტორია“-ს შედგენისა და გამოცემის საქმე მეტად ნელი ტბნით სწარმოებს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საქ. კ. ბ. (ბ) ც. კომიტეტმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები.

„ქარხნების ისტორია“-ს გამოცემისათვის წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად მასალების შესარებად და ამასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად გამოიყოფილია სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ა.ბ. ანბ. გიორგი ყურულაშვილი (თავმჯდომარე),



ფ. ნაზარაძე, ჯ. გორდელაძე, მარიაშ ორბელიანი, გ. სტურუა, ბ. ბიბინიანი, კ. კინაძე, პ. შარია, შ. რაფიანი, სტ. აკოპოვი, პ. მიიკაძე, დ. დემეტრიაძე და ხაქაბურთაძე; პ-მ. შიგინი ან. სიმ. ზენაძე.

ქარკინული

ც. კოს დადგენილებით 1932-33 წ. გამოცემული იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის და დეპოს, შიპოურის მალაროების, ბათუმის ნავთის ქარხნის, ტყეების კარხნის (კოფ. ადელხანოვის), თბ. ტრანზაის და პოლიგრაფიულ წარმოების ისტორია.

რედოლოგიას დაეკავა აღნიშნულ ქარხანების და წარმოებათა ისტორიის შედგენის საქმეში შვიდრო კავშირი იქონიოს მწერალთა ორგანიზაციებზე და მარქსისტ-ისტორიკოსებთან, აქტიურად დაიხმაროს ყველა საქარხნო ორგანიზაცია, მემკორები, ძველი მემები, ინვენტარები, ტექნიკები და სხვა.

„ქარხნების ისტორია“-ს გამოცემა დაეკისრა სპ. გამომცემლობას რომელიმანაც აღნიშნულ მიმართულებით მუშაობას საწარმოებლად არსდება შესაფერი აპარატი.

საქართველოს მუზეუმის ქართულ ხელსაქმის გამოცემა

15 წლის საქართველოს მუზეუმში გაიხსნება გამოცემა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება ქართული ხელსაქმის ნიმუშები (ოჯახში სახმარი ნივთები, ოქრომშვედურ მოკაბმულობით, სატყეაღებო მოწყობილობათა და სხვ.).

გამოცემა ითვალისწინებს მე-18 საუკუნის დამლევადან მე-19 საუკუნის უკანასკნელ პერიოდს. ქსოვილები, თაღის საშუებით, ფურად შეხავეებით და სეროთო ნაკეთობით გვიმტკიცებენ თუ როგორ ისპობდა დეოდალური წყობა და მის წიაღში როგორ იკავებდა ფეხს ბერძენული წესწყობილება.

გამოცემაზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა კლასების ნახელავთა ნიმუშები, რომელთა შორის დიდი კლასობრივი განსხვავებაა. ბატონობის მტყელსაქმენი, უმთავრესად, ყმათა ცოლები იყვნენ. ცხადია, უკანასკნელს ბატონთათვის შედობილ ქსოვილებზე და ნაქარგებში შექონდათ თავისი კლასის მოტივები, როგორც ფერადების შეხავეებით, ისე სახეების და მხაღების შირი.

მუზეუმში გამოფენილ საგნებზე წარწერილია სახელწოდება, დანიშნულება, ნაქარგის მალა და მისი შესრულების ტექნიკა.

მორიგ გამოცემას, რომელსაც საქართველოს მუზეუმი ამ მოკლე ხანში აწყობს, მიზნად აქვს დასახული პრაქტიკულად შეუწოას ხელი კომლუერნიობებს და საერთოდ, სოფლის მეურნეობას გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სოფლის მეურნეობის მანებლები, ნაქეციები იქნება აგრეთვე მათ საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდები, რომელსაც წინათ მიმართავდნენ და ნაჩვენები იქნება ბრძოლის ის ხერხებიც, რომელსაც ტყენ მიმართავთ.

გამოცემის გახსნა განზრახულია ივნისის დამდეგს.

ცირკისა და კინო-თეატრების ახალი შენობები

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა „გომეც“-ის შუამდგომლობა ცირკის ახალი შენობის აგების შესახებ პლენაროვისა და სადგურის ქუჩების კუთხეში.

(ობსერვატორიის გვერდით). იქვე აიგება ახალი კინო-თეატრის შენობა.

ცირკის შენობის ტყეადობა გათვალისწინებულია 3000 მიუჯრებელისათვის მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის აპრილის თვეში. ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ცირკის ახალი შენობისათვის ასაგებათ გადასდო ნახევარი მილიონი მანეთი.

ტფილისის საბჭოს წიგნთსაცავი

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საბჭოს საგამომცემლო ნაწილთან არსდება წიგნთსაცავი. უკვე დამტკიცებულია შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

სამონიგანს დეველა წიგნთსაცავის მოსაწყობად შეიტანოს ხარჯთაღრიცხვაში 20,000 მანეთი.

წიგნთსაცავის შტატის შესადგენად გადადებულია 5,000 მან.

— მისალმება ს.კ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს



საქარ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმში და აქტიური მხარეა მისალმება ს.კ. კ.პ. (ბ) ც. კ. 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას: „ლიტერატურულ და მხატვრულ ორგანიზაციების გარდაქმნისათვის“.

დღეს, როცა ასრულებს პირველ ხუთწლეულს და იწყებს სოციალისტურ მშენებლობის მეორე ხუთწლეულს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა, როცა გაუკონარი ენტუზიაზმით იკმნება განთავისუფლებული შრომის ახალი ფორმები და იკვებება უკლასო საზოგადოება, ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება ლატერატურულ და მხატვრულ ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ უდიდეს პასუხას სცემლობას აკისრებს იმ ერთიან ორგანიზაციას, რომელშიაც თავს იყრიან საბჭოთა მწერლები.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისა და კულტურული რევოლუციის მიღწევის საფუძველზე საბჭოთა მწერლობამ უფრო უნდა შეამკობდროვოს თავისი რიგები, შეკეთებოს და აღზარდოს ახალი კადრები, რომ ლირსეულად გამოეხატოს გამოქვამი და აქტიურად ქმნიდეს სოციალისტურ კულტურას.

საერთო ლოზუნგი ხარისხის მაჩვენებლის აწევისა საბჭოთა მწერლობასაც ავადებს თავის ფორმებზე უფრო მეტი შეგნებით და პასუხისმგებლობით ასწიონ მწერლობის ხარისხი და იზრდოს საუკეთესო ოსტატობისათვის, რომ გვერდში ამოუდგეს მშრომელთა კლასს გიგანტიურ ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობისათვის.

საქარ. საბჭოთა მწერლები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ მეფის რეჟიმს ჰყენს ჭეშმარიტ და მთელ ამიერ-კავკასიას კოლონიისა და ნაბევარ კოლონიის მდგომარეობაში ამყოფებდა, აფერხებდა რა მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, რომ გასაბჭოებამდე მომქმედი დემოკრატიული ბურჟუაზიული მოაზრობები კიდევ უფრო აღრმავებდნენ მეფის სადაველ მემკვიდრეობას და ვალტაკებამდე მიიყვანეს მშრომელთა მასები, ბელოცერად ქმნიდნენ ერთნულ შტაბს და გამწვანებდას, ამიტომ საბჭოთა მწერლობა მეტის თავდადებით იზრდობებს სოციალისტურ მშენებლობისათვის და მასების ინტერნაციონალურ აღზრდისათვის, გარდაქმნის რა თავის მუშაობას ცეკას ისტორიულ დადგენილების მიხედვით.

გაუმარჯოს მთაფლიო-სოციალისტურ მშენებლობის დამკვირვებ ბრიგადას—კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიისა და მთაფლიო მუშათა კლასის ბელადს აშხ. სტალინს.

— ს.კ. საბჭოთა მწერლების კავშირის ხაორგ. ბიურო

საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის გადართობულმა კრებამ ორგანიზაციის აირჩია:

კ. გორდელაძე (თავკრ.) ს. ყული, პ. ჩხიკვაძე, დ. დემეტრაძე, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ა. ჭუბბაძე, შ. რადიანი, ლ. ქიანელი, ნ. შიშიშვილი, რ. გვეტაძე, ნ. ზომილეთელი, ბ. ელენტი, გ. ბუნიაშვილი.

— პარტიული კომისია

ს.კ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის სამდიონომ გამოყო პარტიული კომისია, რომელსაც დაევალება დეკადის განმავლობაში გამოიზრდეთ ღონისძიებანი სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციითა გარდაქმნისათვის.

კომისიაში შედიან: აშხ. გ. ყურულაშვილი (თავჯდომარე), კ. გორდელაძე, შ. რადიანი, დ. დემეტრაძე, პ. ჩხიკვაძე, გ. ბუნიაშვილი.

ხაყ. კომ. პარტ. (ზ) ცეკას შპ აპრ.
დადგენილება სალიტ.-სამხ. ორ-
განიშაც. გარდაქმნის შესახებ .
რედაქციისაგან

ლექსები

ბალ. ტაზიძე:
ეროვნებათა მარში 1

პარლ. კალაძე:
ამბავი აპარელ ამხანაგების 3

სიმონ ჩიქოვანი:
გმირის ძიებაში 7

ირაკლი აბაშიძე:
შეიქნე გმირი 13

გრ. ცაცხლაძე:
სოციალიზმის ენტუზიასტებს 15

კალე ზოგოხიძე:
ზანაქის მშენებელი ხუროები 16

პროზა

პანტ. ჩხიკვაძე:
ნაბიჯები 17

ქოსტ. ლორთქიფანიძე:
ძირს სიმინდის რესპუბლიკა 41

დ. სულიაშვილი:
კედელი 62

ფ. ჯავახიშვილი:
არსენა მარაბდელი 86

ადამიანები და უპატიობი

დემან შანგალაძე:
რამდ. დღე „ბრძოლის ველზე“ 122

აკაკი ბელიაშვილი:
არაშენდას დახასრული 135

ხერგო კლდიაშვილი:
დავით კლდიაშვილი 155

ბარონ ბიბინაშვილი:
კამო 171

ლიტერატურა და ხელოვნება

ი. ვ. გომბის ბიოგრაფია 197

ალ. არსენიშვილი: *ერყენული*
განთავისუფლებ ტულა [ქანჭყლა]
ვანება 202

ი. ვ. გომბი:
ლექსები 209

ა. გაწარალია:
გოგთე ქართულ ლიტერატურაში 212

ბესო ჟღერძი:
გლამფუვეტი წელი ქართულ ლიტერატურაში 220

წიგნები და მწერლები

გ. ნატროშვილი:
„უერული“ 248

დ. ბენაშვილი:
მეთოდოლოგ. შენიშვნები 248

სალიტერატურ. არქივი
მაგია გურიელი:
იკმის ნაამბობი 260

ცხოვრება და მცენიერება

ჩ. დავინის ბიოგრაფია 269

პროფ. ი. ბერიტაშვილი:
დარვინიზმის მეთოდოლოგია 275

ბიბლიოგრაფია

ა. არსენიშვილი:
ვ. ლუარსაშიძე, „ქართ. ეროვნ-
დის მწერლობა“ 290

დ. ბენაშვილი:
ა. გომიაშვილი - „ანდუნიტის
სიმღერები“ 291

გ. ნატროშვილი:
გ. კაქაბიძე - „ჩემი პირველი
უჯრედი“ 292

ქრონიკა

ინგლისისა და ამერიკის მწერლობა
გასულ წელს, თეოდორ დრაიზერი.
საბჭოთა კავშირი, საქართველო.
რახვედ მენაობენ მწერლები 395

მნათობი

წ 1 უ ი წ ბ ე ი
მ 7 6 5 4 3 2 1

სპ. საზ. მფლ. ფადარაციის საკრებულო, კოლეგია
კრებულოური სამსახური—სალიტერა-
ტურა და საზოგადოებრივ—საპოლიტი-
კო ურნალი.
გ. ურულაშვილი (პ.მ. რედ-
ს. ეულა, მ. ჩალიანი, პ. შა-
რია, დ. სულაშვილი, გ.ლ.
ტაბიძე, ტიცი, ტაბიძე, სიმ.
ჩაქვიანი, ვ. ანგოიანი.

წელიწადში გამოდის თორმეტი ნომერი ცხრა წიგნად.

ურნალი იმსახურება: პარტიულ, კომპარტიულ, კრესტარტულ და სა-
კოლეგიაურად აქტივს და საზოგადოებრივ ინტელიგენციას.

1932 წლის განთავსებაში დაიბეჭდება შემდეგ ავტორთა ნაშრომები

- | | |
|--------------------------|------------------------|
| პ. ჩხიკვაძე | ს. კლდიაშვილი |
| ნაბიჯები | „სვანური მოთხრობები“ |
| ტრილოგიის პირველი წიგნი | „მინა“ |
| კ. ლორთქიფანიძე | მოთხ. თანამედ. სოფელზე |
| ძირს სიმინდის რესპუბლიკა | რაქდენ გვეტაძე |
| ლექსები | ხრამული |
| ბ. ჩხეიძე | მოთხრობა |
| ფოილუს ხიდი | ერთი პოემა |
| მოთხრობა | დემნა ფენგელაია |
| ე. კოლუმორდინოვი | ნარკვევები |
| ერთი მოთხრობა | ნიკო ლორთქიფანიძე |
| ნარკვევები | მოთხრობა |
| მისხილ ჩიქოვანი | შალვა და დიანი |
| ნარკვევები | მოთხრობა |
| კარლო კალაძე | ნიკოლოზ მიწიშვილი |
| ლექსები | ლექსები და პროზა |
| ა. მაყაშვილი | დ. სულიაშვილი |
| ლექსები | კადელი |
| ფ. ნაროშვილი | მოთხრობა |
| ლექსები და პროზა | აღ. ჭუთათელი |
| მის. ჯაფარიშვილი | ლექსები და პროზა |
| არსენა გარაბდელი | გალ. ტაბიძე |
| ანაუკის სიკვდილი | ლექსები |
| მოთხ. თანამედ. თემაზე | ტიციან ტაბიძე |
| ლევო ქიაჩელი | ლექსები და პროზა |
| მოთხრობები | სიმონ ჩიქოვანი |
| | ლექსები და პროზა |
| | ბ. ლორიძე |
| | ლექსები |



მადონ კლდიაშვილი და ვაჩა-ტყეველა.